ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ცისკარი

სამხატვრო
სალიტერატურო
ჟურნალი

1-2 | 2003



ეროვნული
ბიბლიოთეკა


















გამომცემლები:
საქართველოს მწერალთა კავშირი
ჟურნალ „ცისკრის“ რედაქცია

# ცისკარი

WWW. Opentext.ge/Ciskary

1-2 | 2003

დაარსებულია 1852 წელს აღდგენილია 1957 წელს

მთავარი რედაქტორი:

**ზაურ კალანდია**

სარედაქციო საბჭო:

**ბადათერ არაბული**

**ლევან მალაზონია**

**ელზა მეტრეველი – მთ. რედაქტორის მოადგილე**

**მიხო მოსულიშვილი**

მხატვარი:

**გიორგი წერეთელი**

ტექრედაქტორი:

**ზიული სირაძე**

გამომცემელი:

**ლევან თითმერია**

საქართველო, თბილისი, ხიდის ქუჩა №1
ტელ: 99- 85- 81 მთ. რედაქტორი
98-36-43 მოადგილე

## შინაარსი

### პოეზია, პროზა

3. ჯარჯი ფხოველი. ლექსები
9. ომარ თურმანაული. შიშვლად ცხოვრება. მოთხრობა
13. რენე კალანდია. ლექსები
18. ბესიკ კეკელიძე. დიდმარხვისას. მოთხრობა
28. ამირან ახობაძე. ლექსები
31. რამაზ გიგაური. ნოველები
35. აკაკი სურმანიძე. ლექსები
37. ლელა ბჟინავა. რკალიდან - სევდის ზღვა. მინიატურები
43. აზა დუმბაძე. ლექსები
45. ნუგზარ აფხაზავა. ორი მოთხრობა

### დრამატურგია

49. გოდერძი იათაშვილი. ერთი ღამე სამოთხეში. კომედია ორ მოქმედებად

### ეს ჩვენი წარსულია

68. თემურ მირიანაშვილი. ჩვენი ტრაგედიის ფესვები (ოციან-ოთხმოციანი წლების ქრონიკა). დასაწყისი

### მივიწყებული სახელები

97. კონსტანტინე გაჩეჩილაძე. ლექსები, მინიატურები. მარინე ქადაგიძის წინასიტყვაობა

### ახალი თარგმანები

107. ვენედიქტ ეროფეევი. მოსკოვ-პეტუშკი. პოემა. დასასრული. თარგმნა ჯუმბერ თითმერიამ

### წერილები

129. ნუგზარ შავგულიძე. ორი ლიტერატურული წერილი
134. ოთარ ჯანელიძე. „დიად საქმეს დიადი ენთუზიაზმი შობს“
139. თეიმურაზ მთიბელაშვილი. მერაბ მამარდაშვილი და ქართული ეროვნული გონი
143. რევაზ ბერულავა. ენობრივი გლობალისტიკა უძველეს საქართველოსა და თანამედროვე სამყაროში



ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჯარჯი ფხოველი



●●●

სიტყვამ დაგათრო მწარე ბანგივით:
ცლიდი სასმისებს, დარდის მრეკავებს...
წინ დაგხვდა, როგორც სამგლე ხაფანგი:
ცხოვრება, შენ რომ კბილით ეკავე.

ვინ იცის, ბედი იყო თუ არა,
ფიქრი შორეთის ცაში გაწირე...
შენ წარსულს გულზე გადაუარე:
ფეხი დაადგი ძვირფას ნაწილებს...

ბოლოს დაგეცა ფლოქვი კენტავრის:
დასრულდა გზებზე სისხლით თამაში...
შენი ცხოვრება, ქანცგამწყვეტავი,
შემკვრივდა მწარე ეპიგრამაში!

2001

●●●

იმისი ცხენის ნაკვალევი
დიდგორს გულზე ისევ ატყვია...

და იმისი მწარე სიტყვები
ცას აჩნია ნახმლევებივით...

ის ნახმლევები ცასაც სტკივა
და ჩვენც გვტკივა,
გარდასულის პირშავ ნისლში თვალჩაყოფილებს...

და ჩვენც გვტკივა...
და გზას მივდევთ, სადაც ომის ცეცხლი ანთია,
იმ გზას მივდევთ,
იმ გზას მივდევთ
ბნელში
ქრისტეს მეომრებივით...

2002

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა



## ის მიდიოდა...

ის მიდიოდა და ტიტველ ქუჩას
გულზე თავის ჩრდილს აფარებდა...

და კაცების ხარბი თვალები
კვალზე მისდევდენ და კორტნიდენ იმის მშვენებას
მშიერ ყორნების ნისკარტებივით...

მიდიოდა, როგორც დილა გაზაფხულისა,
გულში რომ იკრავს
სიზმრებიდან გამოქცეულ ადამიანებს,
ერთურთს დილის არაყივით რომ უწვდიან
სანდო სიტყვებს მისალმებისა...

ის მიდიოდა და გაშლილი თმებით ფარავდა
კაცების დაღლილ და ტიტველ გულებს,
რომლებზეც ომში დალეწილი ხმლები იყო
ამოტვიფრული
და ზედ მოჭრილი მტრის მკლავები
სისხლით ეხატა...

2002

●●●

გმარხავენ და ცრემლებს გაწვეთებენ
გულები, მიწაზე მიბმულები...
გზები, ათასწლობით ნაცვეთები,
შენს დარდს უკანვე გიბრუნებენ.

რომ გფლეთდა, ის ფიქრი წაიშალა,
სიზმარო, ზღაპარო, არაკო და...
სტრიქონო, შენა ხარ ქარიშხალი,
ტანზე დახვეული ანაკონდა.

წყვდიადი წამწამებს ახამხამებს,
ეშვება სიბნელე ახოვანი...
თვალი ვეღარ სწვდება ახმახ ღამეს,
ტანმაღალ ვარსკვლავებს: თანხმოვანებს...

იგრძენი წყურვილის აბოლება,
სიტყვების წრიალი, ფეთიანი...
წერტილი, ამ ლექსს რომ აბოლოებს,
გულმწარე წყვდიადის წვეთი არი!

2001

●●●

წამი ვერავინ გააჩერა,
თუმცა ბევრნი იმის გზაზე კედლებს აგებდნენ...
ჯებირებიც აღმართეს და
ხაფანგებიც დაუგეს და
ღვთაებრივი სახილველიც დაუხატეს გზისნაპირებზე...

მაცდური ქალიც მიუგზავნეს...
და სასმისშიც ჩაუყარეს ძილის წამალი...
და ტყვიითაც დაემუქრნენ...
და ხელებიც გადაუგრიხეს...
ისე ევედრნენ,
რომ ენები დაუფლითეს სიტყვის ხანჯლებმა...

მაინც ვერავინ გააჩერა,
თავის დარდის მოღობილში ვერ დაამწყვდია...
ვერ ჩაუდვა რკინის საყელე...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

აჰა, ჩვენც უკვე ჩაგვიარა
მუხლმოდრეკილებს,
როგორც ფიცხელი ბედაური ჩაუქროლებს და
ოფლს მიაშხეფებს
და მტვერს მიაყრის!

●●●

მეც ცოდვილი ვარ,
რადგან გრძელი ცხოვრების გზაზე,
ჩემს განუჭვრეტავ შუაღამეში
იმ ქალის ცოდვა ვერ შევიყვარე,
ვინც ფეხები ცრემლით დაგბანა,
ვინც თმები ფერხთით დაგიფინა პატიების ყრუ ქვითინივით...

2001

●●●

მომძლავრებულა დუშმანი: ყელყელაობს და შმაგობს.
მაცილის ენის მონაწურს წინ დაგიღვრიან ჟარგონს...

დიდგორის ომში ნაცვეთო, ხმალო, არ დაიჟანგო!

1999

●●●

გადამდებია დარდი კეთრივით,
მაგის სუნთქვაში წლები ოხრავენ...
დადიხარ, ქუჩის მტვერში ეთრევი:
შავმა ფიქრებმა გული გამოხრეს...

მწარე სიტყვები გისხეპენ თითებს,
კვალდაკვალ მოგდევს ურუოლა ავი თვის...
ბედი თუ არ გაქვს, დაწერე თვითონ:
ადუღე შხამი თავის თავისთვის!

2001

●●●

პოეტის ცრემლს გადმოჰყვება სამშობლოს მიწა,
შავი დარდით გარემოსილი...

ის ვერ ეტევა სიტყვაში და
ვერ ეტევა გულებში და
ვერ ეტევა სტრიქონში და
ვერ ეტევა მწარე ცრემლში, დაუშრობელში...

2002

●●●

ის ოდესღაც ხმა იყო ჩემი...

ახლა, როცა ხორცი შეისხა
და სამოსი ჩაიცვა ტანზე,

6
ეროვნული
ბიბლიოთეკა

უცხო გახდა საქარავნო გზების მგზავრივით,
ვისაც თვალები ამოუშრო უდაბნოს ქარმა
და ჩოქზე დგომამ
დაუხეთქა მუხლისთავები...

ის ოდესღაც ხმა იყო ჩემი...

2001

●●●

გულს რომ გიფლეთდა, დღესაც იგივე
დარდისა ისმის შორით ამო ხმა...
წასვლის ამბავი მოჩანს იგავად,
გრძელი ლოდინით გული ამოხმა...
ბედნიერია, გაღმა ვინც გავა,
საბრალო არის, ვინც დგას გამოღმა!

2000

## მაშინ, როცა...

მაშინ,
როცა მღვრიე ქუჩამ
მწარე წუევლა შემომაფურთხა,
ჩემი თვალებიდან გამოძვრნენ
გველები ასპიტები...
ჩემი ხელები გადაიქცნენ ფოლადის ზამბარებად
და შეკრეს მუშტები, როგორც ჩაქუჩები...
და ჩემი ტანი ეკლებმა დაფარეს...

2002

●●●

ჰოდა, ის იყო უცხო გზის მგზავრი,
ვინც პოეზიის საიდუმლოს სამოსელი შემოახია,
ვინც ფეხებზე დაიკიდა ტაშისცემა ამქვეყნიური...

ვინც ამოიცნო შენი გული,
დაფარული მძიმე ფოთლებით...
ვინც ბევრჯერ სცოდა
და ძირმწარე წუთისოფელში
შეიყვარა წყალწაღებულ ყარიბთა საქმე:
შეცდომების გამეორება...

2002

●●●

და ის სიტყვა ფურცელს აამღვრევს...
თითქოს თვალებში ღამე ჩაგიძვრა,
თითქოს კამკამა ტბორს დაეცა ტალახის შხეფი...

2001

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვალი

შენი თვალი გაფართოვდა:
სივრცით გაივსო...

და დაეტია შიგ ღრუბლების
გაშლილი ფრთები...
შიგ დაეტია ქართლის მინდვრები...
შიგ დაეტია მწვერვალები,
შენ რომ გიყვარდა;
შიგ დაეტია ის საქართველო,
ამოვარდნილ გულივით რომ სცემს,
უთვალავ დარდით დაზნექილი
და შავბნელი ეჭვებით სავსე...

2001

●●●

ქარი ჩადგა...

ქალაქის ხეებს
ცელოფანის ყვავილები გამოუბიათ...

2002

●●●

აქ დავმარხეთ მოგონებები...

ჩვენს სამყოფ ქვიშას
გულმავიწყი ქარი ახლა მუჭით მოიტანს...

ხომ უნდა წაიშალოს ის გზა, რომელმაც
სასაფლაოსთან მიგვიყვანა
ხელისკიდებით...

დავიწყებაც ხომ უკვდავების ნათესავია.

ხომ უნდა წაიშალოს ის გზა...
საფლავებზე ხომ ბალახი უნდა ამოვიდეს,
ცასაც ხომ უნდა შეხედოს ვინმემ
და ღრუბლების თეთრი ლექსი გადაიკითხოს...

ხსოვნა რომ არა,
უფრო მსუბუქად
იძგერებდა ჩვენი გულები...
და კვნესასაც ასე ხშირად არ გამოვცრიდით
ახეული ნესტოებიდან!

2001

●●●

ლექსს ჩაუჯდები (დილის არაყს) ჩამხრჩვალ ლოთივით
და ჩანხარ ისე, ბნელში კაცი რო
სიყვარულს ძერწავს და აცოცხლებს მარმარილოთი...
დაიბრჭყალები ცეცხლით, ქვაცივო!

ხედავ: მიწისპირს, სადაც შენი ჯავრი მოკრიფე,
დრო დასწოლია, დანაფეთები:

ეროვნული ბიბლიოთეკა

საფლავის ლოდებს და სიკვდილის იეროგლიფებს
ზედ რომ აცხია სისხლის წვეთები...

ცად აიწურა სიტყვის ლანდი, შენით დაღლილი,
და, სანამ იგი მზემდე არ ავა,
კვალდაკვალ მისდევ შენ ქსანტიპეს ერთგულ ძაღლივით,
აეტოტები ღამის გალავანს...

ცის ფსკერზე მოჩანს შორეული ჩრდილი აკვნისა.
და ვარსკვლავების ცვივა მარილი...
წარსულს, სისხლიანს, შენს სიტყვაში ვიღაც აკვნესებს.
გულს დრო ეტყობა ნახანჯლარივით...

ლექსს ჩაუჯდები (დილის არაყს) ჩამხრჩვალ ლოთივით
და ჩანხარ ისე, ბნელში კაცი რო
სიყვარულს ძერწავს და აცოცხლებს მარმარილოთი...
დაიბრჭყალები ცეცხლით, ქვაცივო!..

2002

## ცას დაეკიდა

ცას დაეკიდა რქებით ხარჯიხვი.
შენც შენი კვალი ცაში არიე...
იმ წლებს მთლიანად დაუხარჯიხარ:
ჰგავხარ ბოგანოს, ჯიბეცარიელს...

მოგწვდა სამყაროს დარდი იაფი,
მოდგა დღეშავი, გასაჯანჯლები...
შენ საქართველოს ბარელიეფი
ამოგათალეს გულზე ხანჯლებით.

სულში ჩაგიძვრა სიტყვა ჯაშუში,
შეხველ შავეთში, როგორც წარსულში...
სულ მალე ცეცხლში გამონაშუში,
ჩამოგემსხვრევა თავზე ცა შუშის!

2002

●●●

დიდი მდინარე,
უძილობით გაბეზრებული...
უთვალავი ხელისგულით
რომ გიზეპირებს...
შენს მრუდე ტანზე რომ დაცოცავს -
თითქოს ბრმაა -
ხელისცეცებით...

ერთადერთია,
ვისაც ქვეყნად სიძულვილი არ შეუძლია...
უარს არავის ეუბნება:
კარს სუყველას ღიად ახვედრებს...

ზოგი ისე შეიყვარა და ჩაიკრა,
სიყვარულით ლამის დაახრჩო!

2001

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ომარ თურმანაული

## შიშვლად ცხოვრება

ძილ-ბურანში კარვის თავზე წვიმის ხმაური და ქარი, კარვის კედლებს რომ ძრავს არ მაძლევს ღრმად ჩაძინების საშუალებას. ვწვალობ. ვიღვიძებ. ვაყურადებ... არავითარი წვიმა და ქარი. სიჩუმეა. ტყეში ჩიტებიც არ უივყივებენ. მაშასადმე, გათენებამდე ჯერ კიდევ დროა. რამდენი დრო - ვერ გაიგებ. შეიძლება - ოცი წუთი, შეიძლება - ორი საათი ან კიდევ მეტი. ძლივსშესამჩნევი პირველი სხივი ერთბაშად ჩნდება; ფრინველებიც სწორედ ამას ხვდებიან ხოლმე აყიოტაჟით; გეგონება მთელი ღამე კი არ სძინავთ, დაძაბულები ამ წამს ელიან. სიბნელეში, ხუთიოდ მეტრზე, ჯერ ერიკას კარავიც არ ჩანს... რამდენჯერმე ვტრიალებ, თითქოს იმაზე ფიქრს რომ ერიკა აქ აღარაა წელანდელი კოშმარივით მოვიშორებდე; გუშინ საღამოს პოლიციამ აიყვანა... ტყიდან გასულებს შეგვეჩეხნენ; მე მქონდა ჩემი მწვანე საბუთი, ერიკას - არა. ვადაგასული საბჭოეთის ვადაგასული პასპორტი ჰქონდა; თავისთავად მნიშვნელოვანი სამუზეუმო ექსპონანტი, მაგრამ პოლიციელების სამკაციანმა ექსპერტიზამ შიგ ვერაფერი ფასეული ვერ დაინახა... რომელ მხარეს ვიწექი რომ გამომეღვიძა? ბავშვობაში დედა მირჩევდა, ცუდი სიზმარი რომ მოიშორო სხვა გვერდზე უნდა დაიძინოო. რამდენჯერმე ვტრიალებ ვიდრე ჩავიძინებდე... მიწურ სახლში ვარ. ჩემი ბავშვობის სახლს წააგავს - ბნელი, დაბალი. უფრო დაბალი, ვიდრე იყო ჩემს ბავშვობაში. ცხრა წლის ბავშვსაც შიგ გამართული სიარული გაუჭირდება. მუხლებში და წელში მოხრილი, ჩაცუცქული დავდივარ თითქმის. კედლები, ჭერი, დედაბოძი ბუხრის კვამლისგან გამურულია. ერთი კედელი, უკანა მხარეს სულ არა აქვს, მის ადგილას შავი ხვრელია, გამოქვაბული... იატაკი მიწისაა, უსწორმასწორო; ჩამქრალ ბუხარში, ზედადგარზე, გამურული დიდი ქვაბი დგას; ძველებური, სპილენძის ქვაბი. ჩაცუცქული ვუახლოვდები. შიგ ჩატოვებულ ხის ჩამჩას ვიღებ; შიგთავსს ვურევ და ვაკვირდები - სიბნელეში, ერთადერთი გამურული სარკმელიდან მომავალ სუსტ სინათლეზე ბრინჯის სუპს ვარჩევ შიგ თხლად დაჭრილი ხორცის ნაჭრებით. ერიკაც იქვე დაბაჯბაჯებს, ისიც ჩემსავით იძულებით ჩაცუცქული, მუხლებში და მხრებში მოხრილი; ჩემს ზურგს უკან ჩაიარა, კედელთან ბებოს საწოლზე დაჯდა. მინდა ვუთხრა რომ ეს ჩემი ადგილია, რომ იქედან სულ ახლახანს მე წამოვდექი. ნაწყენი ვარ მაგრამ არაფერს არ ვეუბნები; ბრინჯის წვნიანს ბებიაჩემის ხის ჯამში ვუსხამ; სუპი ცივია... მეღვიძება კვლავ; ამჟამად ეს შარდის მოწოლის ბრალია უკვე... უცნაური სიზმრები იყო; თუმცა სიზმრების უმრავლესობა უცნაურია, თვით ფაქტი, რომ სიზმარი ვნახე უფრო მაკვირვებს - დიდი ხანია აღარაფერი დამსიზმრებია. ამბობენ სიზმრებს ყველა ხედავსო; თან ყოველ ღამე, მაგრამ, თურმე არ გვამახსოვრდება... სიზმრების არ ნახვასა და იმათ ვერდამახსოვრებას შორის რა სხვაობაა? არა მგონია ვინმე სიზმარში ნანახმა და გაღვიძებისას დავიწყებულმა გულმავიწყობა გვისაყვედუროს; ყოველ შემთხვევაში ერიკას, აქ რომ იყოს, არ ექნებოდა სასაყვედურო - კარგად მახსოვს ჩემს მიწურ სახლში გორილასავით დაბაჯბაჯებდა... აქ გავიცანი სამი თვის უკან; თურმე ამ ტყეში მეორედ იყო; სამი წლის წინ, ზამთარში მხოლოდ ერთი თვე დარჩა; მერე მეგობარმა ქალმა, ვისთან ერთადაც აქ რუსეთიდან გადმოიხვეწა, სიცივეს და, უფრო კი იმ იმედების გაცრუებას ველარ გაუძლო, ევროპაში ცხოვრებისგან რასაც ელოდა და მიატოვა... ის ერთი თვე კი, აქვე, ქალაქში, გიტარაზე დამღერებული "კატიუშათი" მოგროვილი ევროპული მონეტებით კვლავ რუსულ არაყს ყიდულობდნენ რომ გამთბარიყვნენ; ვერცა თბებოდნენ, თვრებოდნენ მხოლოდ; მერე ჩხუბობდნენ; ქალი უფრო მალე თვრებოდა და საყვედურებს იწყებდა ხოლმე; ერიკა კი ამასობაში გიტარაზე რაღაც სიმღერას აღიღინებდა; ბოლოს იგიც უკვე მთვრალი, ყელში მოწოლილი ბოღმისგან სიმღერა რომ გაუწყდებოდა, გადადებდა გვერდზე გიტარას, წამოდგებოდა და - ტკაპ! - ტკეცავდა; ქალს ერთერთ თვალს ჩაულურჯებდა; მეორე დღეს კვლავ გადიოდნენ ქალაქში და სიცივისა და არყისაგან ჩახლეჩილი ხმით ისევ მღეროდნენ; საღამოზე კვლავ არაყს სვამდნენ, თვრებოდნენ და ისევ ჩხუბობდნენ; ქალი ისევ საყვედურობდა; ერიკა, მთვრალი, კვლავ გადადებდა გვერდზე გიტარას, წამოდგებოდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

- თქაფ! - ქალს ახლა მეორე თვალს ჩაულურჯებდა; ბოლოს მოსწყინდა; ერთ დღეს გიტარა რომ გადადო, ქალს ხელი აღარ გაუტკაცუნა - გადაბრუნდა და დაიძინა; მისი მეგობარი ქალი იმედგაცრუებული დარჩა; შემდეგ კიდევ რამდენიმე დღე, ბოლოს ქალმა ერიკას თვითონ გაარტყა ხელი; ერიკამ მას არც ამაზე უპასუხა, ლოყაზე ხელი ჩამოისვა, გადაბრუნდა და დაიძნა; მომდევნო დღეს ქალმა კიდევ გაარტყა ხელი; ერიკამ მხოლოდ ჩაიხითხითა; ამაზე ქალი მთლად გაცოფდა - ერიკას დანა დაარტყა მხარში... ერიკამ ქალს დანა წაართვა და ამჯერად კიდევ ერთხელ გაარტყა ხელი; ქალმა იტირა, დაჭრილი მხარი არყის ნარჩენით ჩამობანა, შეუხვია და დაიძინეს; მერე დაშორდნენ: ქალმა გერმანიისაკენ გაუტია ბედის საძებრად, ერიკამ კი თავის გიტარით - ნორვეგიისკენ... სიმღერ-სიმღერით მთელი ევროპა შემოიარა, მაგრამ ყველგან პოლიტიკურ თავშესაფარზე უარი უთხრეს... ძველი სამხედრო ოფიცერია... თორმეტი წელი იმსახურა საბჭოთა ჯარში; ადრე საბჭოთა ოფიცრები, ერიკასავით საზღვარგარეთ ვინც მსახურობდა, კარგად ცხოვრობდნენ; შვიდი წელი ჩეხეთში იყო, ხუთი წელი გერმანიაში; ბერლინის კედლის ნგრევის პროცესს იქვე დაესწრო; კედლის ნანგრევებს ხელიც შეახო; ხელშიც აიღო ერთი ნატეხი, ატრიალა, სინჯა თითებით, დაყნოსა კიდეც, შემდეგ ჯიბეში ჩაიდო და სულ თან დაჰქონდა თილისმასავით; მეც მაჩვენა - ჩვეულებრივი ბეტონის ერთი ნატეხი იყო, ცემენტისა და ქვების ნარევი; კარგი თილისმა არ აღმოჩნდა - ამის შემდეგ არაფერში არ უმართლებდა: პირველი ცოლი ამ ამბების შემდეგ გაშორდა; სამხრეთ რუსეთში, ქალაქ სოჭში მისი აღმზრდელი ბებოც მერე გარდაიცვალა; ბებოს ბინა სასამართლომ სხვებს მიაკუთვნა; ცოტა ხნის შემდეგ ევროპაში პოლიტიკურ თავშესაფარზე ყველა ქვეყანამ უარი უთხრა; ბოლოს, აი, პოლიციამ ის აიყვანა, მე აქვე დავრჩი... რომ მიჰყავდათ ბეტონის ნატეხს ისევ ხელში ატრიალებდა. გადააგდემეთქი, ვუთხარი...

საშარდე მილის წვა არ მასვენებს. შარდდენის ასე გახშირებაც ამ სინესტის და სიგრილის ბრალია ალბათ; მშრალ ლოგინში, თბილად როდესაც ვიძინებდი, ღამე მოფსმა არ მჭირდებოდა. ერთი ხანობა თავს ვიტყუებ რომ შეიძლება გადამიაროს; ადგომა და გარეთ გასვლა არ მეზარება - იმის წარმოდგენაზე რომ სიბნელეში შეიძლება კარვის ირგვლივ მოლოლიალე ფილოქსერებს დავადგა ფეხი, მთელ ტანში მბურძგლავს; ფიზიკურად ვერ ვიტან ამ უხერხემლო ლორწოიანებს; დღისით, თუ არ წვიმს, თითქმის არ ჩანან - სიმშრალეზე მოძრაობისას მეტი ლორწოს და ენერგიის ხარჯვა უხდებათ და უაზრო დანაკარგებს ერიდებიან; უხერხემლონი კი არიან, მაგრამ ვერ იტყვი, რომ ჭკუაც არა აქვთ! მზიან ამინდში გრილ, ნესტიან ნეშომპალაში, ბნელ ხვრელებში იმალებიან, შესაძლოა კარვის ქვეშაც - ჩემი კარვის იატაკი ხომ მუდამ სველია; შიგნით მუდამ შმორის სუნი დგას; პირველად თავის შემოყოფისას - აუტანელი, მერე ვეჩვევი; ტანსაცმელებს და ფეხსაცმელებს ამ სუნისგან დასაცავად ცელოფანის პარკებში ვაწყობ; თუმცა მე თვითონ მგონი სინესტის, ობისა და ნეშომპალის სუნი გამიჯდა და სახეზეც, როგორც გარედან კარვის ქსოვილს ხავსის და ობის ფერი დამედო... ნაწვიმარზე გუბეში რომ ჩემს სახეს ვხედავ ამგვარი შთაბეჭდილება მრჩება... სარკეც არა მაქვს ჩემი ეს შთაბეჭდილებები რომ გადავამოწმო - პირს ვარაუდით ვიპარსავ უკვე სამი თვე არის... საღამოობით, მზე რომ უკვე დასავლეთით გადაიხრება ჯერ კოლოები გამოდიან ჩემს საძებნელად - ჩამასხბენ ხან აქ, ხან იქ თავის ნისკარტებს, არხეინად, თითქოს დედამ სპეციალურად ამათთვის მშობა; ვაფართხალებ ხელებს, ფეხებს არ მეშვებიან; სხედან ჩემზე თავდახრილები, გატრუნულები, თითქოს ცოცხალი ადამიანის სისხლს კი არ სვამენ, ამერიკული დეტექტივის კითხვით არიან გატაცებულნი; ვიტყაპუნებ ხელებს გიჟივით; სისხლის წვეთებში აზელილი მათი გამჭვირვალე ფრთები და ხორთუმები ჩემს კანზე რჩება ან ტანსაცმელზე... ამ დროს კარავში ჩაგუბებული მძიმე სუნის მიუხედავად შიგ მივძვრები, კოლოსაწინააღმდეგო ბადეს ვკეტავ, სანთელს ვანთებ ჰაერი რომ "გავაჯანსაღო"; კარვის ნესტიან კალთებს თავი და ფეხები რომ არ შევახო, სინთეტური ღრუბელების ბალიშებზე (ერიკამ რომ საიდანღაც გამოჩხრიკა) წელში ვიხრები და სანთლის ალს ძაღლის პოზაში მოკუნტული, "თათებზე" თავჩამოდებული მივჩერებივარ; რაც ერიკა აქ აღარაა, სანთლის ალია ჩემი ღამის კომპანიონი. ძილი თვალებს რომ დამიელმებს სულის შებერვით, ან პატრუქზე საჩვენებელი და ცერა თითის მოჭერით ვაქრობ... შემდეგ უკვე არა უშავს რა, ისე თუ ასე მაინცა მძინავს, ღამღამობით რომ, როგორც ახლა, მოსაფსმელად გარეთ გასვლა არ მჭირდებოდეს: ჩვეულებრივად საშარდე მილის და საშარდე ბუშტის წვისგან ვიღვიძებ ხოლმე; სანთელს ვანთებ; კოლოსსაწინააღმდეგო ბადის გახსნამდე მისი გარეთა ზედაპირის შესწავლას ჯერ შიგნიდან ვცდილობ; ზედ ყოველთვის სამ-ოთხ, ზოგჯერ მეტ - შვიდსა და რვა ფილოქსერას მაინც ვპოულობ. ეს ადვილი სულაც არ არის - გამჭვირვალე ფარდის შიგნითა ზედაპირი შუქს ირეკლავს და გარეთა მხარეს, სიბნელეში არაფერი თითქმის არა ჩანს; მათი განლაგების ადგილებს ოდნავ მუქი აჩრდილებით თუ გამოვიცნობ. მსგავს მომენტებში დაძაბული ვარ; უსათუოდ იმ მეცნიერის გამოხედვა მაქვს ჯერაც უცნობი ფენომენის დაკვირვებას რომ აწარმოებს; ან იმ მკითხავის, სანთლის ალში ვინმეს მომავლის ნახვას რომ ცდილობს და შიგ კარგს რომ ვერაფერს ხედავს... ვერ გავიგე ეს ცხოველები კარვის ამ სინთეტიკურ ქსოვილზე რას ნახულობენ; ირგვლივ ქორფა ფოთოლ-ბალახი, რომელსაც თვით დახვეწილი პირისგემოს მქონე ვერც ერთი ლოკოკინა ვერ დაიწუნებს, უამრავია; მათ აჩრდილებს წკიპურტებს ვურტყამ; ყველა ამგვარი დარტყმის შემდეგ, ხელი ცეცხლზე დამწვარივით სწრაფად გამომაქვს... იმის მტკიცება, რომ ესენიც ღმერთის შექმნილი არსებებია მორწმუნე კაცსაც (ფანატიკოსი თუ არ არის) შერცხვება ალბათ... ჩემმა მთიელმა წინაპრებმა ამნაირი საზიზღარი ცხოველების, მცენარეების, უკეთური მოვლენების ასახსნელად კარგი გამოსავალი ნახეს - შესაქმის რთულ პროცესში მამაუფალთან ერთად ეშმაკიც ჩართეს; შესაქმემ უფრო ლოგიკური, თანაც უფრო საინტერესო, აზარტული სახე მიიღო: თეთრი (კეთილი) ფიგურებით ღმერთი თამაშობს, შავით - ეშმაკი; დრო და დრო ღმერთსაც და ეშმაკსაც სვლები ეშლებათ - ღმერთი ცუდსა ქმნის, ეშმაკი - კეთილს... შესაქმის ასე ბიპოლარული გააზრება - კოლოები, ფილოქსერები... - ჩემთვის უფრო მისაღებია... ზოგი ისე მაგრადაა კარვის ფარდაზე მიწებებული ორი, ხან სამი დარტყმა სჭირდება რომ მოვაშორო; ამასობაში კი შარდი უფრო მაწვება ხომლე; ცალი ხელით საქმეს განვაგრძობ, მეორე ხელი (სანთლიანი) ატკიებული სქესისკენ მიმაქვს (მცნება სქესი ჩემს ამ ორგანოს მსგავს მომენტებში უფრო ნაკლებ ესადაგება ვიდრე ჩემი ოცი თითიდან რომელიმეს, ან თუნდაც ენას); შარდი წვეთებად გამდის ხოლმე, ტრუსიკს მისველებს; ხვნეშახვნეშით, ხელში ჩემი ფეხსაცმელებით ბოლობოლო გარეთ მივძვრები; ნესტიანი, თითქმის სველი ფეხსაცმელების შიშველ ფეხებზე ამოცმაც კი არაა დიდად სასიამოვნო... ხანგრძლივი შეკავებისაგან დაჭიმული პროსტატის კუნთი ველარ ახერხებს მოშვებას და სითხის გაშვებას; რაც შემიძლია ვიჭინთები, სუსტ ნაკადად გამოყოფილი თბილი შარდი კი სიბნელეში იქვე, შიშველ ფეხებზე დამდის; შარდის ბუშტი ნელა, მაგრამ მაინც იცლება; შვებით ვსუნთქავ; უფრო ვფშვინავ და სიამითაც ვკრუტუნებ ბოლოს; მუცლის ქვედა ნაწილში და საშარდე მილში ტკივილების დაცხრობის კვალად მაღლა თავ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ში ჰუმანური აზრიც კი მომდის; მაგალითად, რომ ფილოქსერებთან ხელჩართულ ბრძოლას აზრი არა აქვს და რომ თვით ჩემში მათდამი ზიზღს უნზდა ვებრძოლო; წკიპურტების კვრით და მითუმეტეს მათი გასრესვით ზიზღის დაძლევა არ მოხერხდება... გასრესილი ფილოქსერა ბევრად უფრო საზიზღარია; ნაზად უნდა ავიყვანო და ფრთხილად გადავსვა გარეული ვაზისა ან სუროს ფოთოლზე; მერე მზერაც სიყვარულით მივადევნო შიშისაგან (ხელში აყვანის დროს) შეკუმშული მისი მწითური (ან ყავისფერი, ან მონაცრისფრო) სხეული რომ თანდათანობით კვლავ გაიშლება; თავზე ანტენებს ისევ ამოშლის; მიაბრუნებს, მოაბრუნებს მათ; გაცურდება, გასრიალდება... განა ლამაზი არაა ეს სანახაობა? სიყვარულით თუ შევხედავთ, დავინახავთ რომ... არა, ნამდვილად მშვენიერი სანახავია. დიდებული! არის რაღაც მის მოძრაობაში - ნუ შეგვრცხვება ვთქვათ - ჯენტლმენური, რაინდული... თუნდაც მეფური. რატომაც არა? ოთხ ქიმს, როგორც მეფურ გვირგვინს რომ თავზე დაიდგამს, შემდეგ თავს რომ მეფურ ღირსებით მიაბრუნებს და მოაბრუნებს, შემდეგ დინჯად, თავაღერილი გასრიალდება... ღმერთის ქმნილება არ არის ამ დროს?.. რაღაც ამგვარი ამაღლებული იდეებით ავსილი თავით ვამთავრებ ხოლმე ამ ღამეულ, ხანმოკლე გასვლებს... ვამთავრებდი, ერიკა რომ აქ მეგულებოდა. რამდენიმე მილიარდი ადამიანით დასახლებულ დედამიწაზე ერთი მაინც რომ შენს გვერდითაა, ერთისთვის რომ მაინც შენი არსებობა, შენი წუხილი, შენი ფიქრი რაღაცას ნიშნავს, ეს ძალას გაძლევს მსგავსი ჰუმანური ფიქრისთვის; როცა მარტო ხარ, კოღოების და ფილოქსერების გარდა როდესაც არავის არ აინტერესებ (თან უკანასკნელთ ძალზე ზერელედ) მაშინ... მაშინ... ისევ გვერდს ვიცვლი. გარეთ გასვლის რიტუალის შესრულება ასე არასდროს დამზარებია; შარდის მეტი მოწოლისგან ტკივილები მთელ სხეულში მივლის; სანთლის ანთების და გასასვლელის მეცნიერული ყურადღებით შესწავლის დრო უკვე არა მაქვს; გვერდზე მოწყობილ ფეხსაცმელებს სწრაფად ვიცვამ შიშველ ფეხებზე და გავრბივარ... ტყეში კვლავ ბნელა; სიჩუმეში შარდის ნაკადის მაყვლის ფოთლებზე დაცემის ხმა გარკვევით ისმის; და დრო და დრო ჩემი გმინვა ჯერ ტკივილისგან, შემდეგ შვებისგან... ბავშვობაში ერთი უფროსი ბიჭისაგან მოვისმინე, რომ როცა ძაან გეფსია და ფსამ ამაზე დიდი სიამოვნება არ არსებობსო; იმ ბიჭის სახე ბუნდოვნად მახსოვს, შავ-თეთრ ფერში; შეიძლება მისი შავ-თეთრი სურათიდან, მათ ოჯახში კედელზე რომ იყო ბოლოს მიკიდებული - თხუთმეტი წლის ტრაგიკულად გარდაიცვალა... გიგია ერქვა; იმანა თქვა: "ძაან, ძაან რომ მოგეფსმევა და ბოლოს მოფსამ, ამაზე დიდი სიამოვნება არ არსებობს"... ახლა, ამ და მსგავს მომენტებში ვფიქრობ გიგია შეიძლება მართალი იყო; ტყის სიჩუმეში ჩემი ჯერ კვნესა, შემდეგ სიამის კრუტუნი ისმის. ადრე ერიკას ჩემი ხმაური აღვიძებდა თავის კარავში; სიბნელიდან ნამძინარევი ხმით რამდენიმე სახუმარო სიტყვას ისროდა; შემდეგ სიჩუმე იდგა ტყეში გათენებამდე. გულის სიღრმეში ერიკას კარვის მხრიდან ისევ იმის ხმას ველი. ჩემი კვნესა, შემდეგ კრუტუნი უპასუხოდ რჩება და შვებით გამოწვეული სიამოვნებაც ის აღარაა; კარვისკენ მძიმე გულით ვბრუნდები; ფეხი მიცურავს; ვიგინები: თფუ! საზიზღარი ფილოქსერები!.. თუ ესენიც ღმერთის მიერ შექმნილებია, უსათუოდ ეს ღმერთის მიერ დაშვებული შეცდომა არის; ერთ-ერთი, ალბათ... ვიღაცამ ისიც კი დაასკვნა, ადამიანიც ღმერთის მიერ დაშვებული შეცდომააო; გამოდის რომ შეცდომების გარდა ღმერთს თითქმის არაფერი უკეთებია. იმ ვიღაცამ კი ალბათ ეს დასკვნა საკუთარ თავზე დაკვირვებიდან გამოიტანა; ამგვარი დასკვნა უსაფუძვლო არ უნდა იყოს (საკუთარ თავზე დაკვირვებიდან ვამბობ მეც ამას)... თუმცა ესაა, ეს შეცდომები, ღმერთის მიმართ რომ თანაგრძნობით გამაწყობს ზოგჯერ. ამ აფექტურ მომენტებში თავს როგორღაც ახლოს ვგრძნობ ღმერთთან; იმდენად ახლოს, რომ ეჭვიც კი მეპარება ჩემს არსებობაში... ადამიანთან შედარებით, ვთქვათ სიმართლე, ფილოქსერა არც ისე დიდი შეცდომა არის, მაგრამ სულაც შეიძლებოდა რომ შეცდომა არ ყოფილიყო. მაგალითად, მისი ზღვაში ბინადარი ზოგიერთი უხერხემლო ბიძაშვილივით მარგალიტებს რომ იძლეოდეს ლორწოსა და შავი განავლის სამაგიეროდ. დღეს იქნებ კიდეც შეიძლება მათი გარდაქმნა - მცირეოდენი გენეტიკური ქირურგია და, ღმერთის ნებაც თუ იქნება, ერთბაშად გარდაიქმნებიან, არა თეთრი და არც შავი მარგალიტების, არამედ მწვანე, ყვითელი, ლურჯი, წითელი, იასამნისფერი, ლაჟვარდოვანი მარგალიტების მწარმოებელ ფილოქსერებად. უკეთესი იქნებოდა ადამიანის ჩაურევლად ეს ღმერთს თვითონ ექმნა. უფრო მეტად უკეთესი კი, რომ ეს პირველი გარდასაქმის ექსპერიმენტი მას ჩემი კარვის ირგვლივ დაეწყო... გავიღვიძო და კარვის ირგვლივ დამხვდეს ლამაზად მოფენილი ყველა ფერის მარგალიტები... რაში გამოვიყენებდი? ნაღდად არ ვიცი. ამიტომ ღმერთი ფეხქვეშ არ მიფენს ამ მარგალიტებს. არც თეთრს, არც შავს, არც ფერად-ფერადს. არავითარი გარდასაქმის ექსპერიმენტი და სასწაული ჩემთან არ ხდება; არც ერიკასთან; ჩვენთან მხოლოდ გარდაქმნა ხდება, პერესტროიკა. ამის შედეგი - ერიკას ხელში ობოლი მარგალიტის ნაცვლად ბერლინის კედლის ნატეხი შერჩა; ერთად-ერთი თავშესაფარი, ბებიამისის ბინა წაართვეს და სხვას მისცეს, მას, ვისაც ჰქონდა... ყველაფერი ისე ხდება, როგორც წერილს არის. ინტერნატში რომ ვსწავლობდი, შაბათ-კვირას სხვაგვარ ზღაპრებს გვიკითხავდა რომელიმე ჩვენი აღმზრდელი - ან ოლია, გათხოვილი და უშვილო, ან სირანა გასათხოვარი; კოღოებზე და ფილოქსერებზე ლაპარაკი იქ არ იყო, მაგრამ იყო თათში ეკალჩასობილი ვეფხვი, რომელსაც კეთილი პრინცი ეხმარებოდა, ეკალს აძრობდა; სანაცვლოდ ვეფხვი ბალანს აძლევდა: "კეთილო კაცო, აი, აიღე ჩემი ბალანი; როცა ძალიან გაგიჭირდეს იმ დროს დაწვი, ჩემი სახელიც ახსენე და იქ გავჩნდები!" ზღაპრებში იყვნენ ასევე შავი ან წითელი ჭიანჭველები, მელა, დათვი, მგელი, ბატები, გედები, მტრედი... ხარი წიქარა; გომბეშოც იყო, მზეჭაბუკად რომ იცვლის სახეს; და სიკეთე იმარჯვებდა, ყველგან, ყოველთვის; კოღოები და ფილოქსერები იმ ზღაპრებში არა ყოფილან; ისინი აქ, ამ ნესტიან ტყეში არიან, თანაც ბევრნი, ძალიან ბევრნი; აქ ამ ტყეში არც იმის იმედი მაქვს რომ სიკეთე იზეიმებს, რომ ბოლობოლო რომელიმე ჩემგან დანდობილი კოღო, სისხლის მოწოვა რომ ვაცალე (ალბათ ოლიას ან სირანას წაკითხული ზღაპრის გავლენით) და გამაძღარი, კმაყოფილი რომ გაფრინდა, ერთ საღამოს მოფრინდება და შემეკითხება: "კეთილო კაცო, მითხარი რატომ მოგიწყენია? რით დაგეხმარო?" თუმცა მოდიან (და შეიძლება ისინიც, ვინც ერთხელ უკვე მომწოვეს სისხლი - სახეებიც და ჩაცმულობაც ერთნაირი აქვთ, ვერ განასხვავებ), მაგრამ მხოლოდ იმიტომ, რომ ისევ და ისევ სისხლი მომწოვონ... ასე მგონია, ღმერთი მისგან შექმნილი ამ პატარ-პატარა შეცდომების, კოღოების საშუალებით, ცდილობს მისი დიდი შეცდომის, ადამიანის მიწის პირიდან საერთოდ წაშლას. რატომაც არა? ჩვენი გამოსწორების მიზნით მისგან გამოყენებულმა რადიკალურმა მეთოდებმა (წარღვნა, ცეცხლი და თვით საკუთარი შვილის მოგზავნა) სასურველი შედეგი ხომ არ გამოიღო! და აი, ახლა ამგვარად ცდილობს... ადრე ერიკასაც კბენდნენ; ამ სატანჯველსაც ვინაწილებდით; ახლა მთელი ტყის კოღოებს ერთადერთი მე შევრჩი ხელში... ღმერთის, ეშმაკის და კოღოების ხელში ცოდოა ადამიანი. რაღა თქმა უნდა ამისი თქმა დედა ანდრესთვის უხერხულია... დედა თუ და? ორთოდოქსული ტრადიციით არასაეკლესიო პირი მოლოზონს მგონი დედას მიმართავს...

ეროვნული ბიბლიოთეკა

დედა ანდრე, კათოლიკეა, ფრანცისკანელი; მითხრა რომ და დამიძახეო; ისიც მითხრა რომ ცხრამეტი წლის შესულა თურმე მონასტერში და ახლა, ორმოცი წლის შემდეგაც არაფერს ნანობს; მე არ მიკითხავს თუ ნანობთ-მეთქი; ვკითხე რამდენი წელია-მეთქი მონასტერში ხართ; ორმოციო, მიპასუხა და გააგრძელა, ცხრამეტი წლისა შევედი და ახლა, ორმოცი წლის შემდეგაც არა ვნანობო; მე რომ ხმა არ ამოვიღე, დაამატა, ცხრამეტი წლის რომ ვიყო ისევ იგივე გზას ავირჩევდიო; ასე იყოს, მაგრამ მე ეს არ მიკითხია; ორმოცი წლის ვარ, მაგრამ არც მე არაფერს ვნანობ. მიუხედავად იმისა რომ ამასობაში უამრავი პროფესია, უამრავი საცხოვრებელი ადგილი და ცხოვრების ორი თანამგზავრი გამოვიცვალე; ახლა აქ ვარ, ტყეში, კარავში; ოცდამეერთე საუკუნის ცივილიზებულ ევროპაში შუასაუკუნეების ქრისტიანი ბერივით ვცხოვრობ; თუმცა ვერ ვიტყვი, ცხრამეტი წლის რომ ვიყო ახლა იგივე გზას ავირჩევდი თქო; იმიტომ არა, რომ არაფერი არ მომწონს ჩემი უკვე განვლილი ცხოვრებიდან, რომ მთელი ორმოცი წლის წარსულს შეცდომადა ვთვლი - ორი ცხოვრება თუ მეძლევა, მეორედაც ზუსტად იგივე რატომ ვიცხოვრო, ამას ვერ ვხვდები; მოსაწყენი იქნება ძაან... ამის თქმას დედა ანდრესათვის რაღა თქმა უნდა რომ არ ვაპირებ. დედა ანდრე კარიტასის სასადილოში გავიცანით მე და ერიკამ; რომ გაიგო ტყეში ვცხოვრობდით ძალზე შეწუხდა; მას შემდეგ თვითონ გვაკითხავდა, კონსერვები და პური მოჰქონდა, რომ გაიგებს ერიკა გუშინ პოლიციამ წაიყვანა, შეიძლება კიდეც იტიროს...

წვიმის სიზმარი ამიცხადდა - სამი დღე-ღამე კარავს თავზე წვიმა ასხამდა. შეუჩერებლად. გარეთ მხოლოდ მოსაფსმელად, ტყის სისველისთვის ჩემი სისველის მისამატებლად გავდიოდი ან, კიდევ უფრო იშვიათად - ტალახისთვივს ჩემი ტალახის. გამიგია ცრემლის და შარდის შემადგენლობა ერთნაირია; ან რომ თითქმის ერთნაირია. გამოდის რომ თითქმის ვტიროდი. დანარჩენ დროს წვიმის ხმაურს ვაყურადებდი. ყველანაირ პოზიციაში: წამომჯდარი, გულაღმა მწოლი, მარჯვენა ან მარცხენა გვერდზე მოკუნტული, კარვის ნესტიან კალთას ანდა სანთელის ალს მიჩერებული... გარეთ ცეცხლის ანთებაზე ოცნება არ შეიძლებოდა; თუმცა... ოცნება შეიძლებოდა. მხოლოდ და მხოლოდ. ვოცნებობდი სიმშრალეზე, სითბოზე, ცეცხლზე... სანთელს დღისითაც ვანთებდი ზოგჯერ და ვუყურებდი დასამშვიდებლად. ვინ მოიფიქრა ჯოჯოხეთის სიმბოლოდ ცეცხლი? ჯოჯოხეთი სინესტე და წვიმაა უფრო - უდროობაში განფენილი მონოტონური წვიმის ხმაური; და სინესტე, ძვლებში რომ ატანს. ისეთი შეგრძნება მქონდა, რომ მთელი ტყე თავისი ფლორით, ფაუნით და ჩემი ჩათვლით თანდათან წყალში იხსნებოდა ერთ მღვრიე მასად, ყელაფერი უფორმო და უსახური, ცივი ტალახის სახეს იძენდა... როგორც იქნა გამოიდარა - წუხელის რომ მოსაფსმელად გამეღვიძა მაშინ შევნიშნე. ჰაერი დღესაც ისევ სულის შეხუთვამდე ნესტიანია; უკვე არა იმნაირად, რომ თევზებმა, როგორც ერთი თანამედროვე ლათინოამერიკელი მწერლის რომანშია, ჰაერში ლაღად სრიალი შესძლონ, მაგრამ დაბლა ადგილს ვეძებ ფეხი სად დავდგა ფილოქსერა რომ არ გავსრისო; და იქიდანაც მერე სწრაფადვე უნდა ავიღო ვიდრე ზედ არ ამაცოცდება; მზის სხივებსაც აღარ უფრთხიან; თითქოს უფრო სწრაფები და მოქნილები მეჩვენებიან... ამდენი მაინც არასოდეს მინახია. სამწუხაროა ფერად-ფერად მარგალიტებს რომ ჯერაც არ ჰყრიან. დილას ცეცხლის ანთება ვცადე: სველი შეშით ეს ძაან გაჭირდა. ჩავუჟინდი - ცივი კონსერვების ყლაპვა აღარ შემეძლო. საზიზღრობაა: გახსნისას თავზე მოგდებული ქონის დანახვაც ცუდად მხდის უკვე. პირველ ორ ლუკმას არა უშავს, შიმშილს როგორღაც გადააქვს ყელში. მერე უკვე მეზიზღება ეს ხორციც და, უფრო კი ის ხორცის, ტყავის და ძვლების მასა, თვითონ მე რომ ვარ... წვიმის გუბეში როცა საკუთარ ანარეკლს ვხედავ, ის სურათი მიდგას თვალწინ, ჩემმა მეგობარმა მხატვარმა, ბადრიმ აქეთ მომავალს რომ მისახსოვრა აეროპორტში; ახლა ვხვდები რომ ეს ჩემი პორტრეტი არის; ჩემზე უფრო ასაკოვანი. დაახლოებით ორმოცწელს გადაცილებული, ნაადრევად თმაწვერგათეთრებული კაცი; ყელზე, ჩანს ძველი ჩვევისამებრ, დარდიმანდულად მოხვეული შინდისფერი, გრძელი შარფით და მწვანე კურტკით... ეტყობა რომ ახალგაზრდა ხელოვანის ბოჰემური ცხოვრებიდან მხოლოდ ჩაცმის უცნაური მანერა შერჩა; დანარჩენი... თითქმის ჭაღარა, უწესრიგოდ გაჩეჩილი თმა და წვერი, მწვანე კურტკაზე რაღაც საეჭვო, მუქი ლაქები მიანიშნებს რომ ქუჩაში მაწანწალებთან ღამის თევა მისთვის უცხო არ უნდა იყოს. გამხდარი და გრძელი სახე; ერთად შეყრილი, მაღლა კონუსისებურად აზიდული წარბები და ამ წარბების ქვეშ სასოწარკვეთით სავსე თვალები სადღაც შორ წერტილს მისჩერებიან; ან, უფრო სწორედ, დასჩერებიან. შორს, მაგრამ დაბლა... თითქოს რაღაც თვალჩაუწვდენ, შიშისმომგვრელ უფსკრულს ჩაჰყურებს; ან სადმე მაღალსართულიანი სახლის - ერთ-ერთი იმ სახლის მსგავსის, მის ზურგს უკან, ღამის ვარსკვლავიანი ცის ფონზე რომ ჩანან - სახურავზე დგას და ქუჩას ჩასცქერს ვიდრე დაბლა გადაეშვება (მისი გამომეტყველებიდან შეიძლება ასეც ვიფიქროთ)... შვიდი წლის წინ, აქეთ მომავალს, ჭაღარა კი მქონდა აქაიქ, მაგრამ ასე მთლად ჭაღარა არა ვყოფილვარ; მწუხარე კი, უსათუოდ, მაგრამ ასეთი განწირულის გამოხედვა არა მქონია; უთუოდ არა; ამნაირი გამოხედვის მქონე ადამიანები გამოსავალს ან აღარ ეძებენ, ან, თუ ეძებენ უკვე არა სხვა ქვეყანაში - ადგილზევე პოულობენ საამისო საშუალებას: თოკი და ხე; თოკი და ჭერი; მაღალი სახლის სახურავი და დაბლა ასფალტი... თვითონ ბადრიმ, სამი წლის შემდეგ აქ გავიგე, თავი მოიკლა... აკვარელით შესრულებულ ამ სურათზეც იმ კაცს სახეზე ეს მომწვანო ელფერი დაჰკრავს გუბეში რომ ჩემს სახეს ვამჩნევ. დედა ანდრეს უნდა ვთხოვო სარკე რომ ეს შთაბეჭდილება გადავამოწმო - ამნაირი მსგავსება ჩემს და შვიდი წლის წინ დახატულ ამ მამაკაცის პორტრეტს შორის სიურეალისტურია, დაუჯერები... ბოლო ბოლო ცეცხლი ავანთე. სველი შეშა ბოლავდა და თვალებს მიწვავდა; ”ჩემი სახის იერს ახლა ცრემლები აკლდა!” გავიფიქრე და მოულოდნელად კარგ გუნებაზე დამაყენა თვითირონიამ; თვითირონია გონებისთვის იგივეა რაც პულსი გულისთვის; ამ სიტყვების გაგონებაზე ფსიქიატრს ალბათ შეეძლო ეთქვა: ”ჯერ ცოცხალია, თუმცა... ვერაფრის იმედს ვერ მოგცემთ”. უკვე გაღვივებულ ნაკვერჩხალს აღარ მოვეშვი, ცეცხლად ვაქციე, ნამდვილ კოცონად, ზედ მიმატებულ სველ ტოტებსაც რომ ადვილად სწვავდა. კარვის თავზე მოყვავილე ცაცხვის სურნელმა ჩემი ბავშვობის დროინდელი ცაცხვის ნადუღის არომატი მომანატრა და ცხელი სითხის ის მხურვალება, სხეულს შიგნიდან რომ ეფერება; არა მარტო სიცივისგან, მარტოობისგან გგონია რომ განთავისუფლებს; ყოველ შემთხვევისთვის ასატანს ხდის სიცივესაც, მარტოობასაც; წყალი კონსერვის კოლოფით წამოვადუღე... ახლა, კოცონთან ჩაცუცქული, სურნელოვან სითხეს ვყლუპავ, ვიგემოვნებ მცირე ყლუპებად; თან ვცდილობ რომ ჩემი ბავშვობის მოგონებებში სლოკინივით მომაბეზრებლად შემორეული პრუსტისეული მოგონებები მოვიგერიო - როდესაც თავში ყველაფეში რიგზე არა გაქვს, შედევრებიც ნერვებს გვიშლიან...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# რენე კალანდია

## წიგნიდან: **კვადრატული ღრუბელი, III**



### სკამების დიქტატურა

*ო, ნავი, ნავი, ნავი მწყურია...*
გალაკტიონ ტაბიძე

XXI-ს არ სჭირდება ხმა გრიგალების,
ორასწლოვანი სტანსები თუ მადრიგალები...
თვლემენ სკამებიც: იცვლებიან უკანალები,
ანუ გავები...

მრისხანებს პრესა: შეჭმულია მილიარდები,
ბიუჯეტში გვაქვს გარღვევა და შარვლებს "კადრები"
ხშირად იცვლიან... წინ: მორევი - ეკალბარდებით,
იძირებიან ნავები...

თუნდ "SOS"* იძახი ინგლისურად, გინდაც ქართულად:
- უფალო, მიხსენ!.. ყველა ძებნა-შოვნით გართულა
და არვინ გისმენს... დგას მამონა - წელგამართული:
მოდიან ახალი ხამები...

ანაქრონიზმად ჩაგეთვლება პატიოსნება,
საღმრთო წერილის კითხვით გონის გასხივოსნება...
რა ჰქნან ჩიტებმა, ფრინველებმა, ანუ მგოსნებმა,
როცა "გალობენ" ყვავები?!.

---

* იხსენით ჩვენი სულები (ინგ.).

## სპელეოლოგიური ძიებანი

*გივი ორაგველიძის ხსოვნას*

მან თან წაიღო უებრო
ფრანგული ენის ცოდნა:
- მარტოკა უნდა ვუბერო,
განა არა ვარ ცოდვა?!

არ მეტყვის დილის ყავაზე:
- სტარიკ, სდელაემ ტიტი!*
გამქრალა, როგორც ლამაზი
სტალაგმიტ-სტალაქტიტი...

მიწაზე როგორ ვეძებო,
თუმცა ცის თაღზეც არ ჩანს...
თუ ხმა ჩამესმა: ვერ ძლებ-ო!..
გამოქვაბული დამრჩა...

## ხე ფანჯარასთან:

## ცალფურა და ცალთვალა დეპრესია

შიგნით მოიწევს ხურმა,
იგი ჩემი ხნის არის:
- რა ქნას საბრალო ყურმა? -
ესმის შხუილი ქარის...

- რა ქნას საწყალმა თვალმა? -
ხედავს ბეჩავი თვალი,
რომ შთანთქა სანთლის ალმა
იმედი - ნატვრისთვალი...

- რა ქნას ბედშავმა გულმა? -
გრძნობს საცოდავი გული:
ნაძირალამ და თულმა
წარსტაცეს სიხარული...

ხურმა, ქარი და თვალი,
ალი, იმედი, გული...
აქ - სამყაროს წინ - ლოდინით მთვრალი -
პოეტი - დაზაფრული...

## სოფ. გრიგოლიში: თუხის** გასინჯვა

*როდიონი ბოხუაქ*
*დუდი დომიხორხუა...****

(სოფლელი ბავშვების სიმღერა-გამოჯავრება)

სიცარიელის ფსკერზე ვიძირები,
როგორც ჯიკი-ჯიკის**** ტომის ბელადი:
- თქვენ ხომ არა გაქვთ ფეხსაცმლის ძირები? -
საკუთარ კანისგან მე შევიკერავდი

---

* პოეტისა და მთარგმნელის კოდი: მოხუცო, შევაკეთოთ არაყი სალოკი თითის სისქეზე და გადავკრათ (ავტ. შენიშვნა).
** მოსაწევი ბალახი (ჟარგ.).
*** როდიონ ბოხუამ თავი დამისერხა (მეგრ.).
**** აფრიკის ერთ-ერთი ტომის ენაზე ნიშნავს ჟიმაობას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხამლებს და ჟანგიან ვედროთი გიჟიჲით
ვივლიდი: შევთქვლეფდი მისიმას*      ხურმას,
ბავშვები "როდიონ ბოხუას..." ყიჟინით
დამედევნებოდნენ "მტერს" - ხურმის გურმანს...
......................
......................
რადგან დავიღალე: დაგროვდა ნაცარიც
სულში და, თანაც როგორი!..
დამთავრდა კაიფი... დროზე გავასწარი:
მზის თავი - მოჭრილი მოგორავს...

## 1837 წელი: იმპერატორის მოგზაურობა კავკასიაში

მოდიოდა ნიკოლოზი,
თითქმის მთავარანგელოზი:
სომხებისთვის - მწყალობელი,
ჩვენთვის - მორი აბანოზის...
მოჰყვებოდა რუსთა ხიშტი,
ხელთ ეჭირა თუშთა ქიშტი:
ჭავჭავაძეს დო აჭამა,
დადიანს კი მწიფე ხვიშტი,
აქსელბანდებს აგლეჯდა და
ქირქილებდა: "კნიაზ? - იშ-ტი!**
.....................................
.....................................

შემდეგ იყო ბალ-ბანკეტი,
დეკოლტე და ლალ-ზურმუხტი,
პოლონეზიც იცეკვა და
მოეწონა ფერი მუფთის...
თავადებმაც ჩაუწვინეს
მაიკო და გურანდუხტი...

## ლოკალიზებული ლექსი

არეალში რომ სახლია,
ეკუთვნის მავან დახლიდარს:
რატომღაც მიმზერს "მაღლიდან! -
უფხო და სულელ პოეტს...
მისი ქისით თუ დახლითა,
სუფრით, ზურნით და დაფითა,
თუნდაც ნემსით და ძაფითა
არ ვცხოვრობ, თუმცა დაფლითა
სულმა სხეული ჯაფით და
ვსვამ ჩემს წილ სიმარტოვეს...

## იმედგაცრუების შემდეგ

სიმარტოვეში, როცა საუბრობ
საკუთარ თავთან და მოსახედი
უკანღა დაგრჩა, თურმე საწუთრო -

---

* იუკიო მისიმა - იაპონელი მწერალი (1925-1970).
** თავადი? ამას უყურე ერთი! (რუს.).

ყველაფრისმხედი, თანაც თავხედი
ყოფილა: არრას გიტოვებს წინ და
გინდ წერე, გინდა ილაპარაკე!..
სიცოცხლეს - ქუსლზე გახეულ წინდას
კემსავ ეზოპეს იგავ-არაკით...

### შტრიხები პოეტისა და

### ფინანსთა მინისტრის პორტრეტისთვის

"მარმარილოს გოეთე"
პორტფელს, ანუ ჩანთას
აზის, მიეთმოეთებს
ამბობს ეკერმანთან...

მწამს: მამონას წინარე
პოეტის ინტერესებს
ვერც დაიცავს, თან წინ არის
და არც მაინტერესებს...

### დაგვიანებული ბარათი

(ციკლიდან: იქ და აქ)

*უშანგი გაბიტაშვილის ხსოვნას*

იქ რას აკეთებ, ბიჭო უშანგი,
ხომ არ უკითხავ "პედრო პარამოს"*
საძმოს?.. როცა ჩვენ აქ აეშაგი
დაგვდევს შიმშილი და უვარამოდ
დღე არ გვედირსა... ზუგდიდში ვზივარ
და კუჭს ვატყუებ მეზობლის მსხლებით,
თუმცა, რა უჭირს? - ბერიკაცი ვარ!..
საერთო ჯამში ყველანი ვკვდებით...

ვერ მოგეფერე... ვერც დაგიტირე...
და მაინც, მაინც, ვით ღვიძლი ძმები
ვრჩებით: ტურებმა დედა გვიტირეს
და გადადიან მალაყებს მგლები...

●●●

სავლე იქცა პავლედ
და მოსავალს იმკიდა:
ცხვირით წყალს არ დავლევ
მისი გადამკიდე,
თუმც ვიქნები ღარიბი,
როგორც უფლის გლახა -
პოეზიის ტარიგი
და დაკვლის წინ ახალ
სიტყვას ვიტყვი... თვალებს
შეიფარებს დაისი...
ბღავის ექო: მალე!..
არვის შესაბრალისი

* ხუან რულფოს რომანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ ვარ, დაფნის რტოებით
ვერ მიყიდის ცისკარი!
წავალ, რადგან პოეტი
ყველა - ნაღდი - იქ არი!..

## უჭირველესი ვედრება უფალს

*დალი ყალიჩავას*

გადაარჩინე ჩვენი შვილები,
მათი სულები გადაარჩინე
და არ აბღავლო - ნაშიმშილევი:
- უზენაესო, რად გამაჩინე?!

სხვა სავედრები რა უნდა მქონდეს
შენთან, უფალო, ჭაღარა პოეტს?..
თუნდ ოქრო-ვერცხლის ფანტელი თოვდეს.
რა უნდა გთხოვო? - იანვრის რტოებს
აწყდება ჩემი სიკვდილის ჟამი;
აი, საცაა გაიბზარება
პოეტის გული და დიდი ღამე
შთანთქავს ცის სევდას და მწუხარებას...

სხვა სახვეწარი რა უნდა მქონდეს?
- გადაარჩინე მათი სულები!..
თუნდ სიბინძურის გრიგალი ქროდეს,
ენძელების და ფურისულების
სახით ამოვა ჩემი თაობა
ოცდამეერთე საუკუნეში,
რომელსაც ეყო გამბედაობა,
ეცხოვრა რწმენით - ლექსებით; შეშლილ
საქართველოში, სადაც სინდისი
უკვე არქაიზმს განეკუთვნება;
სულზე ბატონობს კუჭი და მქისე
სიტყვა - ნასროლი ხარჩოს დუქნებთან...

დე, ჩვენ გვესროლონ ქვა და ტალახი,
დე, ჩვენ შეგვამკონ ეკლით და ჭორით,
დე, ჩვენს კეფაზე ცდიდნენ ძალაყინს
იმპერიული ვირთხა თუ ღორი!..

უფალო, როცა ჟამი დადგება,
მოვალთ ხატებად: გადატეხილნი
რომ გავამხნევოთ, ვით გვეკადრება:
აშრიალდება ნორჩი ხეხილი -

მარადიული სამშობლოს ბაღის,
ცას გაკაწრავენ ატმის კვირტები
და პოეტური სტრიქონიც - ნაღდი
მძივი იქნება მარგალიტების...

გადაარჩინე ჩვენი შვილები,
წმინდა სულები გადაარჩინე!..
აღარ აბღავლო - ნაშიმშილევი:
- უზენაესო, რად გამაჩინე?!

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ბესიკ კეკელიძე

# დიდმარხვისას



აპრილის თვემ საბოლოოდ გამოაღვიძა მიძინებული, ნაზამთრალი ქალაქი.

თავისი წილი მზის სხივები ფორიების ოჯახსაც ესტუმრა.

პატარა ლევანმა პირველმა გაიღვიძა:

- დედა, - დაიბღავლა ხბოსავით.

ბუტამ ღრმა ძილში მყოფ მეუღლეს მუჯლუგუნი გაჰკრა:

- ადე, ბავშვი გეძახის.

- ნუ მაღვიძებ, ვერას დაუძახე და ის მიხედავს, - ძილში წაილუღლუღა ანომ და მხარი იცვალა, საბანი სახეზე გადაიფარა.

ოჯახის უფროსს წინა დღის ნაბახუსევზე თავი უსკდებოდა. ფანჯარაში შემოჭრილი მზის სხივები ჯიბრზე აფთარივით დასხმოდა და მოსვენებას არ აძლევდა.

- დედაა, - ისევ გაისმა ლევანის ძახილი.

- ეჰ, მალიას ქალო, - უკმაყოფილომ ჩაილაპარაკა ბუტამ მეუღლის მისამართით, გვერდით ტუმბოზე მდგარ ბორჯომის ბოთლს გადაწვდა და მოსვა, შემდეგ ისევ საწოლში გაიშოტა.

კარის ჭრიალი გაისმა:

- ლევან, გაიღვიძე? დილა მშვიდობისა, - ბავშვის ოთახში მოსამსახურე შევიდა.

- ვერა დეიდა, ჩოგბურთზე ვინ წამიყვანს?

- არ ვიცი, შენი მშობლები ადგებიან და მერე გადაწყვეტენ, - საწოლზე ჩამოუჯდა ქალი. ბავშვს ჩააცვა, აბაზანაში შეიყვანა და პირი დაბანა. აბაზანიდან გამოსული ლევანი პირდაპირ მშობლების საძინებელი ოთახისკენ გაიქცა, კარი შეაღო და ხმამაღლა იკითხა:

- დღეს ჩოგბურთზე ვინ წამიყვანს?

მძინარე ქალი ტყვიანაკრავივით წამოჯდა საწოლზე:

- დედიკო, მე წაგიყვან. ეკლესიიდან, ლოცვის შემდეგ გამოგივლი და წაგიყვან.

ოთახში ვერამ შემოიხედა:

- ყავას ხომ არ დალევთ?

- გამიკეთე, იქნებ, მიშველოს, თორემ გამისკდა თავი, - წაილუღლუღა ოჯახის უფროსმა, - მანქანა დღეს მე მჭირდება, - გადაულაპარაკა ცოლს.

- სამსახურის მანქანა სად არის? - იკითხა ანომ.

- მძღოლმა მთხოვა და შაბათ-კვირას სოფელში გავუშვი.

- მაშინ ეკლესიამდე ამიყვანე.

- კარგი, - დაეთანხმა ბუტა.

მოსამსახურემ ყავა შემოიტანა და ოჯახის უფროსს მიაწოდა.

- ვერა, გმადლობთ, - მოსვა ყავა ბუტამ, - ეკლესიაში რომელ საათზე უნდა იყო?

- ლოცვა ორზე იწყება, - უპასუხა ანომ.

- ცოტა ადრე მიგიყვან, სამინისტროში საფრანგეთიდან სტუმრები მოდიან და უნდა დავხვდე.

- მაშინ არ მინდა. დოდოს დავურეკავ და ეკლესიაში ის წამიყვანს, - ქალი წამოდგა, ხალათი გადაიცვა და აბაზანისკენ წავიდა.

- რომელი საათია? - იკითხა ბუტამ.

- თორმეტი ხდება, - გამოსძახა ანომ.

- დროზე გამოდი, წვერი მაქვს გასაპარსი.

- წყალს გადავივლებ და გამოვალ, - კარი მიიხურა დიასახლისმა.

ვერამ ბავშვი სასაუზმოდ სამზარეულოში წაიყვანა. ბუტა ტელეფონს გადასწვდა და ნომერი აკრიფა:

- რეზო, მე ვარ, პახმელიაზე ხომ არა ხარ? კარგი ღვინო კი იყო, მაგრამ თავი მისკდება. ორზე სამინის-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტროში უნდა ვიყო, ექვსისთვის დაიბარე. კი, ძალიან მაგარი ქალია. მოკლედ, ექვსზე რესტორან "შობასთან" შევხვდეთ. საღამომდე, - ბუტამ ყურმილი დაკიდა, სპორტული ტანსაცმელი გადაიცვა და ოთახიდან სამზარეულოში გავიდა, გზად აბაზანის კარზე მიაბრახუნა, - დროზე გამოდი, - დაუძახა მეუღლეს.

- უკვე ვიმშრალებ, - გაისმა კარს მიღმა.

ბუტამ მოსამსახურეს მეორე ჭიქა ყავა დაასხმევინა. თხლად დაჭრილი რაჭული ლორის ნაჭერი კარაქიან პურზე დაიდო და გემრიელად ჩაკბიჩა. ყავა მიაყოლა.

ამასობაში სამზარეულოში ანო შემოვიდა:

- ვერა, ჩემი ფაფა მზად არის?

- დიახ, - უპასუხა მოსამსახურემ.

- ცოტა გადმომიღე, - დიასახლისმა მეუღლეს გადახედა და მადააშლილმა გადაულაპარაკა, - მარხვის შემდეგ, აღდგომას, კარგი პურ-მარილი შენზეა. ხორცეული ძალიან მომენატრა.

- აუცილებლად, - თავი დაუქნია ბუტამ, - ვერა, ჩაქაფულის გაკეთება ხომ იცი?

- დიახ, - უპასუხა მოსამსახურემ, ლევანს ხელი მოჰკიდა და სასტუმრო ოთახში გაიყვანა.

საუზმის შემდეგ ბუტა აბაზანაში შევიდა. ტელეფონმა დარეკა:

- გისმენთ, დოდო ხარ? როგორ ხარ? ეკლესიაში მოდიხარ? კი, ჩოგბურთზე მიმყავს და შენც წამოდი. დღეს გაგაცნობ, - ანომ ყურადღებით მიმოიხედა, ვინმე ხომ არ მისმენსო, - რას ამბობ, გლიჯავს, ძლივს თავი ქალად ვიგრძენი, ორმოცი წლის ასაკში ახალგაზრდობა დამიბრუნდა. ჯაბა ძალიან სიმპათიურია, სპორტული აღნაგობის, მაღალი. რამდენის და, ალბათ, ოცდახუთიოცდაშვიდის იქნება. აუცილებლად მოგეწონება. კარგი, ამ თემაზე ნუ მელაპარაკები, ვინმემ არ გაგვიგოს. როცა განახავ, დანარჩენს მერე მოგიყვები. ორისთვის გამომიარე და ეკლესიაში ერთად წავიდეთ. აბა, დროებით, - გათიშა ტელეფონი, წამოდგა და კმაყოფილი, ხელების სრესით საძინებელ ოთახში გავიდა, ხალათი გაიხადა და ჩაცმა დაიწყო. ოთახში ბავშვმა შემოირბინა:

- დედიკო, ჩოგბურთამდე ვერა დეიდა ზოოპარკში წამიყვანს.

- წაგიყვანოს, - დაეთანხმა ქალი, - როცა ვიცვამ, ოთახში ნუ შემოდიხარ, - დატუქსა ლევანი.

ბავშვი ბუზღუნით გავიდა და სათამაშო კომპიუტერს მიუჯდა. ვერამ ჭურჭელი გარეცხა და ლევანის გვერდით სკამი მიიდგა.

- ვერა დეიდა, ჩემთვის თქვენს მეტს არავის სცალია, - უკმაყოფილომ გადაულაპარაკა მოსამსახურეს და მეორე პულტი მიაწოდა.

- არა, შენს მშობლებს ძალიან უყვარხარ, მაგრამ დაკავებულები არიან. მამა თანამდებობის პირია, დედა ფირმის ხელმძღვანელია და არც ის არის თავისუფალი, - ბავშვის დამშვიდება სცადა ვერამ.

ბუტა საძინებელში შევიდა:

- გასაღები მომეცი, - მიმართა მეუღლეს.

ანომ კარადიდან მანქანის გასაღები გამოიღო და ქმარს მიაწოდა. ბუტამ გამოართვა, საწოლის გვერდით ტუმბოზე დააგდო და ჩაცმა დაიწყო.

- ეს ჰალსტუხი მიხდება? - გადაულაპარაკა ცოლს.

- ბუტა, რამხელა ღიპი დაიდე, ჰალსტუხი მუცელზე გაქვს ჩამოდებული, ადამიანის ფორმა დაკარგე, - უკმაყოფილოდ მიუგო ანომ.

- ყველამ თავის ფორმას მოუაროს, რა ვქნა, ხშირად მიწევს დალევა, დღესაც სტუმრები უნდა ვაქეიფო, ასეა, ბატონო, თანამდებობა, - გაბრაზებულმა უპასუხა ცოლს, პიჯაკი ჩაიცვა, გასაღებს ხელი წაავლო და ოთახიდან გავიდა.

- ვაი, შენს პატრონს, - ჩაიჩურჩულა ანომ.

ორს წუთები აკლდა, როდესაც დოდომ მობილურით დარეკა:

- მოვედი, სახლთან გელოდები.

- ჩამოვდივარ, - ყურმილი დაკიდა ქალმა. სუნამო იპკურა და სახლიდან გავიდა.

- დედა, როდის მოხვალ? - კიბეზე ჩამავალს ჰკითხა ლევანმა.

- ხუთისთვის მოვალ და მზად იყავი, - ამოსძახა მშობელმა.

ანო მანქანაში ჩაჯდა და მეგობარი გადაკოცნა:

- დოდო, ძალიან კარგად გამოიყურები, - გაუღიმა და კომპლიმენტი ესროლა.

ქალი მთელი ტანით ანოსკენ შემობრუნდა, სახეზე ალმური ჰქონდა მოდებული:

- ჯაბა კარგი ბიჭია?

- გლიჯავს, ჩვენი ქმრებივით კი არ არის.

- მერე, რომ გაბაზრდეს?

- რატომ უნდა გაბაზრდეს, იმას თვითონაც არ აწყობს, მე მგონი, ცოლიც ჰყავს, უბრალოდ, სხვა ქალი უნდა და ეგ არის.

- შენ მაგის მეგობარს ხვდები?

- კი, დათოს ვხვდები. ოცი წლის გოგოდ მაქცია, აღარც თავის ტკივილები, აღარც გული, მოკლედ, თავი ზღაპარში მგონია. აბა, ჩვენმა ქმრებმა ჩამოგვწერეს, აღარ ვაინტერესებთ, თვითონაც რას დაემსგავსნენ, გასივდნენ ღლონტის ღორებივით. საწოლში მარტო ხვრინავს, ჩემი არსებობა სულაც არ ანაღვლებს, დამიკიდა და მეც ვაჩვენებ, როგორ უნდა დაკიდება.

- ლევანს დათო ავარჯიშებს?

- ადრე ავარჯიშებდა, ახლა სხვა მწვრთნელი ჰყავს.

- ჯაბაც კორტებზე მუშაობს?

- არა, უბრალოდ, ხშირად მოდის, თამაშობს. როგორც კაცი, ძალიან მომეწონა, დათომ თვითონ შემომთავაზა, იქნებ, ვინმე შენი დაქალი დავაჯახოთო.

დოდომ მანქანა დაძრა და გეზი ეკლესიისკენ აიღო:

- ალსარებაში მოძღვარს დათოსთან ურთიერთობის შესახებ უყვები?

- არა, რას ამბობ, ეგ რომ გაიგოს, ხომ დამაპუტავს თმები.

- მაშინ არც მე ვეტყვი.

- გოგო, გაიგე, რომ ეკლესიაში სიარული მოდაში შემოვიდა. უამრავი ნაცნობი დადის და ჩვენც სხვაზე ნაკლები რითი ვართ? - სიგარეტს მოუკიდა ანომ, - მთელი ცხოვრება უეკლესიოდ ვიცხოვრეთ, მაშინ ასე იყო საჭირო, ახლა ყველას მოძღვარი ჰყავს და ღღევანდელობას ფეხი უნდა ავუბათ, რითი ვართ სხვაზე ნაკლები.

- მართალი ხარ. კორტებზე რომელ საათზე მივდივართ?

- ლოცვის შემდეგ ჩემთან გავიაროთ, ლევანს მოვამზადებ და ერთად წავიდეთ.

- დათოს როდის ხვდები ხოლმე?

- ბავშვი როცა ვარჯიშობს, მე და დათო კორტების ერთ-ერთ გასახდელში შევდივართ. ისე, ერთოთახიანი ბინაც ვიქირავე და ახლა უპრობლემოდ შევხვდებით, - უპასუხა ანომ.

- კარგია, - დაეთანხმა დოდო და მანქანა ტაძრის ეზოსთან გააჩერა.

- დროზე შევიდეთ, ლოცვა იწყება, - გადაულაპარაკა ანომ.

ქალებმა თავშლები გაიკეთეს და სწრაფი ნაბიჯით ტაძრისკენ წავიდნენ.

მედავითნე ლოცვას კითხულობდა. მეგობრებმა თავისუფალი ადგილი მონახეს და ისე დადგნენ, რომ ეკ-

ლესიაში შეკრებილი მრევლის ყველა წევრს თვალნათლივ ხედავდნენ.

- ის ბიჭი, წმინდა გიორგის ხატის წინ რომ დგას, - მიახედა ანომ დოდო, - რაღაცით ჯაბას ჰგავს.

- რომელი, რომელი? - ცნობისმოყვარე მჭერა მოატარა ქალმა მრევლს.

- ლურჯპერანგიანი, ხედავ?

- კი, სიმპათიურია, - დაეთანხმა დოდო, - ჯაბა ასეთი მაღალია?

- აბა, ყარტაყურტა ჯეელისთვის ხომ არ გაგიმეტებდი, - ჩაეცინა ანოს.

- კარგია, - კმაყოფილმა გადაულაპარაკა დოდომ მეგობარს, - ერთი ამ წყვილს შეხედე, - თავით ანიშნა მედავითნესთან მდგომ ქალსა და კაცზე.

- ვინ არიან?

- ქალისთვის მეორე ქმარია, კაცისთვის - მეოთხე ცოლი. გლიჯავს, მაგარი სასტავია, - დამცინავი ღიმილით უყვებოდა დოდო.

- ეს კაცი კოლექციონერია? - მისჩერებოდა ანო მაღალ, თმააბურძგნილ მამაკაცს.

- რა გინდა, თავისას კი ისწორებს, - გაიღიმა დოდომ.

საკურთხევლიდან მოძღვარი გამოვიდა, მარჯვენა ხელში კელაპტარი ეჭირა. ტაძრის ცენტრში დადგა და სახარების კითხვა დაიწყო.

- მე ეზოში გავალ. სიგარეტს მოვწევ, - მიმართა მეგობარს ანომ.

- მეც წამოვალ, - უკან გაჰყვა დოდო.

ეზოში სკამზე ჩამოსხდნენ და სიგარეტი გააბოლეს.

- არ შემიძლია, ვილლები, ამდენი ხანი ფეხზე დგომის თავი არა მაქვს, - ჩაილაპარაკა უკმაყოფილოდ ანომ.

- ქმრების ყურამდე არ მივიდეს, - ჩაფიქრდა დოდო.

- გამორიცხულია. იმათ, როგორც ქალები, აღარ ვაინტერესებთ, დაავიწყდათ, რომ ჩვენც მოთხოვნილება გვაქვს, ბოლოს და ბოლოს, ბალზაკის ასაკში ვიმყოფებით. დამეწყო გულის ამოვარდნები, ყველაფერზე ნერვები მეშლებოდა. ახლა ოცი წლის გოგოსავით ვგრძნობ თავს, - გამწარებულმა ანომ სიგარეტის ნამწვი მოისროლა.

ქალები წამოდგნენ და ტაძარში დაბრუნდნენ. ლოცვების დამთავრებას დაელოდნენ და მოძღვართან მივიდნენ.

- მამაო, ხვალ რომ ვეზიაროთ, ხომ შეიძლება? - ჰკითხა ანომ.

- რასაკვირველია, - დაეთანხმა მღვდელი, - აღსარებას დღეს მეტყვით თუ ხვალ დილით?

- დილით გეტყვით.

- საღამოს ზიარების წინა ლოცვა წაიკითხეთ და თორმეტი საათის შემდეგ არც საჭმელი, არც წყალი და არც სიგარეტი. გაიგეთ? - ქალებს გადახედა მღვდელმა.

- დიახ, - დაეთანხმნენ და ტაძრიდან გამოვიდნენ.

* * *

ქალებმა გზად ლევანს გაუარეს და სამივე კორტებისკენ გაემართა.

- დოდო დეიდა, თქვენც იწყებს ჩოგბურთზე სიარულს?

- არა, უბრალოდ, შენ მინდა გიყურო, მაინტერესებს, თამაში ისწავლე თუ არა.

- ახლა უკვე უკეთ ვთამაშობ.

- ძალიან კარგი.

მანქანა სანაპიროზე კორტებთან გააჩერეს და ეზოში შევიდნენ. ანომ ბიჭი გასახდელში წაიყვანა და სპორტული ტანსაცმელი ჩააცვა, შემდეგ მწვრთნელს ჩააბარა. თვითონ კი დოდოსთან ერთად მაყურებლებისთვის განკუთვნილი იარუსისკენ წავიდა.

- აქ მოვლენ? - დაბნეულმა იკითხა დოდომ.

- ჰო, დათო დაგვინახავს და ჯაბასაც მოიყვანს.

რამდენიმე წუთში ვაჟები მათ გვერდით ისხდნენ. ანომ დოდო წარუდგინა.

- დათო, წამოდი, ქვევით ჩავიდეთ, ჯაბა და დოდო მარტო დავტოვოთ, ერთმანეთი უკეთ გაიცნონ, - წამოდგა ქალი და გასახდელისკენ გაეშურა, ცოტა მოშორებით, ვინმეს რამე რომ არ ეეჭვა, დათო მიჰყვა.

ერთ საათში დაბრუნდნენ და წყვილს გვერდით მიუსხდნენ. ანოს სახეზე წითელი ფერი გადაჰკვროდა, ტუჩები სიამოვნებისგან უთამაშებდა.

- მე და ჯაბა მივდივართ, - წამოდგა დოდო.

- აბა, თქვენ იცით, - ეშმაკურად ჩაეღიმა ანოს.

- ხვალ დილით წირვაზე შევხვდებით, - გადაულაპარაკა დოდომ და ვაჟს უკან გაჰყვა.

* * *

ექვსი საათი ხდებოდა, როდესაც ბუტა ვაკე-საბურთალოს გადასახვევზე რესტორან "შობასთან" მივიდა. რეზოს მანქანა რესტორნის წინ იდგა. ბუტა შენობაში შევიდა და ადმინისტრატორთან გაარკვია, მისი მეგობარი რომელ კუპეში იმყოფებოდა.

ბუტამ მითითებული კუპისკენ ნაბიჯს აუჩქარა, კარი გამოაღო და შევიდა:

- რეზოს გაუმარჯოს, გოგოებო, გაგიმარჯოთ, - მიესალმა იქ მსხდომთ და ეკას გვერდით ჩამოჯდა, - ეკაკო, როგორ ხარ? გუშინ დაგლიჯე, მაგარი ხარ, - ყურში უჩურჩულა, შემდეგ რეზოს მიმართა, - შეუკვეთე რამე?

- არა, შენ გელოდებოდით.

- ქალებს რაც უნდათ, შეუკვეთონ, ჩვენთვის ჩაქაფული, მწვადი, თევზეული, მგელივით მშია, - ბუტა ხარბი თვალით დასცქეროდა მენიუს.

- რა დავლიოთ?

- "სამება", ხოშიანი ღვინოა, თორემ გუშინდელმა თავის ქალა ამხადა.

რეზომ მაგიდაზე მიმაგრებულ ღილაკს თითი მიაჭირა და ოფიციანტი იხმო.

- გოგოებო, თქვენ რას მიირთმევთ? - გადახედა მომღიმარ ქალებს.

- რასაც თქვენ, - უპასუხა ეკამ და ბუტას თვალი ჩაუკრა.

მიმტანმა ცივი კერძებით მაგიდა უმალ შეავსო, შემდეგ ხაჭაპური და ხუთი ბოთლი "სამება" შემოიტანა.

თანამესუფრეებს ღვინო ჩამოუსხა რეზომ:

- მოდით, ბუტას გაუმარჯოს, გუშინდელივით კარგი დრო გაგვატარებინოს, - ადღეგრძელა მეგობარი და სასმელი შესვა.

თამადა ქალებმაც ადღეგრძელეს, ჯანმრთელობა, დიდხანს სიცოცხლე და ბევრი ფული უსურვეს.

- თქვენ შემოგევლეთ, - გადაულაპარაკა ქალებს სახეგაბადრულმა ბუტამ, - დიდი მადლობა დღეგრძელობისთვის. ეკაკო, რა მოგაწოდო? - გადახედა ზომაზე მეტად მიხატულ-მოხატულ დედაკაცს.

- ხაჭაპური, - თვალებში შესციცინებდა ეკა.

მაგიდასთან ცოტა ხნით სიჩუმე ჩამოვარდა, ყველა თავის ულუფას ჩაჰკირკიტებდა.

- ძალიან გემრიელია, - სუფრის წევრების გასაგონად თქვა ბუტამ და ღიპზე ხელი მოისვა.

რეზომ ჭიქები შეავსო. თამადამ სასმისი აწია, ყველას მიუჭახუნა და წყნარი ტონით სადღეგრძელო დაიწყო:

- მოდი, ჩემო რეზო, ეკას და მარინას გაუმარჯოთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კარგად იყვნენ და ჩვენთვის ბევრი სიამოვნება ეჩუქებინოთ. ეკამ გუშინ ისეთი პატივი მცა, რომ ყოველგვარი პრობლემები გადამავიწყა, - ბუტამ შესვა, შემდეგ ქალს კისერზე ხელი მოხვია, თავისკენ მიიზიდა და ჭიქაში დარჩენილი ღვინის წვეთები მკერდში ჩაასხა, - მკერდს "სამება" უხდება, თავს როცა ჩავრგავ, თავბრუ უნდა დამახვიოს.

ყველამ გაიცინა. ეკამ სამადლობელის მოსახდელად ჭიქა ასწია:

- დიდი მადლობა, მე ბედნიერი ვარ, შენ რომ გაგიცანი, - ბუტასთან ახლოს მიიწია და აკოცა, - იმდენი კომპლიმენტი მესროლა ჩემმა ბუტამ, რომ თავი დედოფალი მგონია...

- რა, ტყუილია? - გადაულაპარაკა ბუტამ რეზოს, - მაგარი ქალია, ძმაო, თავი ძლივს კაცად ვიგრძენი. აბა, ჩემი ცოლი, აი, აქ ამომივიდა, - ყელზე ხელი გაისვა, - გინდა, მაგის უკანალზე დამიდვია ხელი და გინდა ჩემსაზე, შევეჩვიე, აღარ მოქმედებს, სიახლე დიდებულია.

- მართალი ხარ, ჩემო ძმაო, - კვერი დაუკრა რეზომ.

ქეიფი გახურდა. ხუთ ბოთლს კიდევ ხუთი მიემატა. ბუტას წინა დღის ნამთვრალევი შეუბრუნდა. თვალები ბოინის ბუღასავით გადმოკარკლოდა, ტუჩები დაბლა ჩამოსწეოდა, ცხვირი მოღრეცოდა, მხრები ჩამოჰყროდა. გაჭირვებით ეკასკენ გადაიხარა და ყურში რაღაც უჩურჩულა.

- არა, ბუტა, აქა არა, - შეიცხადა ქალმა.

- თითო ნაჭერში ას დოლარს გიხდი, - საჩვენებელ თითს ცხვირწინ უქნევდა კაცი.

- რაზე ამბობს უარს? - ვერ გაერკვა რეზო.

- მინდა, მაგიდაზე სტრიპტიზი იცეკვოს. თითოეულ გახდილ ნაჭერში ას დოლარს ვუხდი, - სლოკინით თქვა ბუტამ.

თანამესუფრეებმა მხარი აუბეს.

- აი, ავანსი, - ბუტამ საფულედან ასდოლარიანი ამოაძვრინა და ქალს მკერდში ჩაუცურა, - მიდი, შენ გენაცვალე.

კუპეში დარბაზიდან მუსიკის ხმა შემოდიოდა. მარინამ და ეკამ მაგიდა მიალაგეს, შემდეგ ეკა სკამზე ავიდა, იქიდან მაგიდაზე აბიჯა და ნელი რხევით ცეკვა დაიწყო. კაცები საზურგეებს მიეკვრნენ და ხარბი თვალით ქალს მიაშტერდნენ. ეკამ ოსტატური მოძრაობით ისედაც მოკლე კაბა გაიხადა და მაგიდაზე ლიფის, ბიკინისა და მაღალყელიანი წინდების ამარა დარჩა. კაბა ორ ხელში ჩაბღუჯა და ბუტას სახეში ესროლა. გახარებულმა კაცებმა ტაში შემოჰკრეს.

- მიდი, მიდი, - ისმოდა შეძახილები.

ეკას ფეხები მუხლებში ოდნავ მოეხარა და ცეკვას ისე განაგრძობდა, უკანალს ბუტას სულ ცხვირწინ უტრიალებდა.

- შენ გენაცვალე, - შეაქო ბუტამ ქალი და მეორე ასდოლარიანი ბიკინში ჩაუცურა. ეკა როლში შეიჭრა და თავის საქმეს დიდი მონდომებით ასრულებდა. ლიფი გაიხადა, ცალ ხელში სიგრძეზე დაიჭირა და ბუტას კალთაში ჩაუგდო, რისთვისაც კიდევ ერთი მწვანე კუპიურა დაიმსახურა.

ბუტა წამოდგა, ხელში ღვინით სავსე ბოთლი ეკავა:

- ახლოს მოიწიე, - ქვედა საცვალში თითო ჩაუყო და ახლოს მიიზიდა, - შენ გაგიმარჯოს, - მიმართა ქალს, ძუძუები ხელით ერთმანეთზე მიუტყუპა და ღვინის ჩასხმა დაუწყო, პირი შეაშველა, ხარბად იწყო სმა, რითაც რეზოს და მარინას ოვაციები დაიმსახურა. ეკას მთელი ტანი "სამებით" დასველებოდა, მაგრამ არაფერს იმჩნევდა და ცეკვას განაგრძნობდა. ბუტამ ბოთლი დაცალა და ისევ სკამზე მიესვენა. ქალმა თავისი მოვალეობის ბოლო აკორდი, ბიკინის გახდა, დიდი სიფაქიზით შეასრულა და მაგიდიდან სკამზე გადავიდა, შემდეგ ბუტას მიუბრუნდა:

- ჩავიცვა თუ ასე ვიყო?

- მარტო კაბა ჩაიცვი, მალე სასტუმროში წავალთ და იქ მოგხედავ, - უგონოდ მთვრალი ბუტა ქალს ფეხებს შუა ხელს უცაცუნებდა.

თავში ღვინოავარდნილები წამოიშალნენ, ოფიციანტს ანგარიში გაუსწორეს და მანქანებისკენ წავიდნენ.

- ბუტა, მოდი, იქით კვირას ცხვარი დავკლათ, აღდგომაა და ერთი მამაპაპურად ბუნებაში ვიქეიფოთ, - შესთავაზა მანქანასთან მოქანავე რეზომ მეგობარს.

- ზედაზენზე ავიდეთ და ცხვარი იქ დავკლათ, - დაეთანხმა ბუტა, ეკას ხელი გადახვია და ანოს მანქანასთან ბარბაცით მივიდა, - ახლა სასტუმროში წავიდეთ, - მანქანაში ჩამჯდარმა გადაკოცნა ქალი.

- წავიდეთ, მე შენი ვარ.

ბუტამ მანქანა დაძრა და გეზი სასტუმროსკენ აიღო.

თენდებოდა, როდესაც ნაქეიფარი და გადაღლილი ბუტა სახლში მივიდა. ტანთ გაიხადა, საწოლში ჩაწვა და იმავ წამს ჩაეძინა.

* * *

დილის რვა საათზე ვერამ ანო გააღვიძა. ქალი წამოდგა და ჩაცმა დაიწყო. ერთი წამით ღრმა ძილში მყოფ მეუღლეს გადახედა. ბუტას საბანი მუცელზე ეფარა, ბანჯგვლიანი, მსუქანი ფეხები საცოდავად მოეკაკვა, ხელები უკან გადაეყარა და ხვრინავდა. ტუჩები ისე ჰქონდა ერთმანეთზე მიწებებული, რომ ამოხვრინვისას ჰაერს ძლივს უშვებდა. - გალოთდა ეს ჩემისა, - ჩაილაპარაკა ანომ და ღვინის სუნისგან შეწუხებულმა ცხვირთან ხელი გაინიავა, - აფსუს, მალია, ვის ხელში ხარ, - სინანულით ჩაილაპარაკა და, ის იყო, ოთახიდან უნდა გასულიყო, რომ ქმრის კისერზე სილურჯე შეამჩნია. ახლოს მივიდა და დაკვირვებით დააშტერდა, - ქალებში დასეირნობ ბიჭი, - დამცინავად ჩაილაპარაკა და ოთახიდან გავიდა.

- ყავას დალევთ? - სამზარეულოდან ჰკითხა მოსამსახურემ.

- ძალიან კი მინდა, მაგრამ არ შეიძლება, დღეს უნდა ვეზიარო, - აბაზანიდან უპასუხა ანომ.

ცხრა სრულდებოდა, როდესაც მანქანა ტაძართან გააჩერა. გადმოვიდა, თავშალი მოიხვია და ეკლესიაში შევიდა. მოძღვარი დოდოსგან აღსარებას იღებდა. ანო შორიახლოს დადგა და თავის რიგს დაუწყო ლოდინი. მედავითნე ლოცვას კითხულობდა.

დოდოს შემდეგ ანომ თქვა აღსარება და თავის მეგობარს გვერდით დაუდგა:

- გუშინ რა ჰქენი?

დოდომ აქეთ-იქით მიმოიხედა:

- მოდი, მერე ვილაპარაკოთ.

- მაინც?

- ყველაფერი კარგად არის, დაგლიჯა, - გაიღიმა დოდომ, - სიგარეტი ისე მინდა, ლამის გავგიჟდე.

- რას ამბობ, გოგო, ზიარების წინ როგორ შეიძლება. მეც მინდა, მაგრამ ვითმენ, - უპასუხა ანომ.

სახარების წაკითხვის შემდეგ მედავითნემ ლოცვა თქვა, ხოლო მოძღვარი მეორე მოძღვართან ერთად საკურთხეველზე დადგა და მრევლის ზიარება დაიწყო. მეგობარი ქალების რიგი მოვიდა:

- ეზიარება მხევალი ღვთისა ანო, - მღვდელმა ბარძიმიდან წითელ ღვინოში ჩალბობილი პურის ნამცეცი ამოიღო და ქალს პირში ჩაუდო, სტიქაროსანმა ჯვარგამოსახული ნაჭრით ტუჩები შეუმშრალა. ანო გვერდით მდგომ ღვთისმსახურთან მივიდა, რათა სეფისკვერი გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოერთმია. რომ მიაწოდა, ქალს სეფისკვერი ხელიდან გაუვარდა, დაიხარა და აიღო.

- საკურთხევლად სულისა და ხორცისა, - გაუღიმა სტიქაროსანმა.

- სადიდებლად უფლისა, - მიუგო ანომ და სეფისკვერი ჩაკბიჩა.

დოდოს ზიარების შემდეგ სამადლობელ ლოცვას არც დალოდებიან, სიგარეტის მოსაწევად გავიდნენ. სიგარეტს მოუკიდეს, დამშეულებივით ხარბად დაიწყეს მოწევა.

- გუშინ თორმეტის შემდეგ არ მომიწევია და თავბრუ დამეხვა, - ჩაილაპარაკა ანომ. - ახლა მომიყევი, გუშინ რა ჰქენი?

ქალს წინა დღის განცდები გაახსენდა და კმაყოფილმა ჩაიღიმა.

- მე და ჯაბა ლისის ტბაზე, ტყეში ავედით და მანქანაშივე ვისიამოვნეთ, - დოდოს სახეზე ალმური მოედო, ტუჩები მოკუმა და მოყოლა ისე განაგრძო, - კაცი კი არა, ტაიფუნია. როგორც იქნა, სული მოვითქვი, ძლივს ქალად ვიგრძენი თავი. ეს რა კარგი რამე ყოფილა, მომენტალურად უძილობა მომშორდა, ისე მეძინა, რომ დილით ძლივს გამაღვიძეს. ანო, ხუთიანს გიწერ, - დოდომ მეორე ღერს მოუკიდა, ღრმად ამოისუნთქა და საუბარი განაგრძო, - რამე საჩუქარი მინდა ვუყიდო, ძვირფასი ოდეკოლონი ან კარგი შმოტკა.

- წამო, ჩემთან წავიდეთ და იქ გავაგრძელოთ, - წამოდგა ანო.

- შენთან ბავშვი და ვერა იქნებიან, ვერაფერსაც ვერ ვილაპარაკებთ, - უპასუხა დოდომ.

- არა, სასეირნოდ გავუშვებ, პრობლემა არ არის.

ანო და დოდო თავიანთ მანქანებში ჩასხდნენ და გეზი ვაკისკენ, ანოს სახლისკენ აიღეს. მანქანები სახლის წინ, ტროტუართან გააჩერეს და სადარბაზოში ლიფტი გამოიძახეს. მეხუთე სართულზე შეჩერდნენ. ანომ ბინის კარი გააღო. ქალს ვაჟიშვილი შეეგება და ჩაეხუტა:

- დედიკო, როგორ ხარ? - მონატრებული ხმით მიმართა მშობელს.

- კარგად, დედიკო. ვერა დეიდას ხომ არ აბრაზებ?

- არა, ჭკვიანად ვიქცევი, ყველაფერს ვუჯერებ.

- მამა სად არის?

- სამსახურში წავიდა.

სამზარეულოდან მოსამსახურე გამოვიდა:

- ანო, საჭმელს მიირთმევთ?

- კი, ძალიან მოგვშივდა, ფაფა გააცხელე და ჩაიდანი დაადგი, ყავას დავლევთ, შემდეგ ლევანი წაიყვანე, გაასეირნე.

- ვაშაა, - სიხარულისგან ადგილზე ხტომა დაიწყო ბავშვმა, - დედიკო, ვერა დეიდას ფული მიეცი და ნაყინსაც მიყიდის.

- კი, შვილო, - გაუღიმა ანომ და დოდო სასტუმრო ოთახში შეიპატიჟა.

ქალი სავარძელში ჩაჯდა:

- ისე დავიღალე, ფეხები წართმევაზე მაქვს, ძალიან ძნელია ეკლესიაში გაუთავებელი დგომა. რა კარგია კათოლიკური სარწმუნოება, ყველანი სხედან და ლოცვას ისე ისმენენ, - უკმაყოფილომ ჩაილაპარაკა.

- რას იზამ, უნდა მოვითმინოთ, - დაამშვიდა ანომ.

მოსამსახურემ ქალებს დაუძახა:

- მზად არის, მობრძანდით.

ანო და დოდო სამზარეულოში შევიდნენ და მაგიდას მიუსხდნენ, ხორბლის ფაფა გადაიღეს და გემრიელად შეექცნენ.

- აღდგომის შემდეგ ერთი კარგად ვიქეიფოთ, გემრიელი რაღაცები ისე მომენატრა, რომ ლამის გავაფრინო, - გადაულაპარაკა ანომ მეგობარს.

ზარი გაისმა. ანო წამოდგა და კარის გასაღებად გაეშურა.

- ვა, ირინე? - შეეგება მეზობელ ქალს.

- ანო, გამარჯობა. ყავა გამითავდა და ერთი ორი კოვზი გადმომიყარე.

- კი, გენაცვალე, შემოდი, დოდო მყავს სტუმრად და ზუსტად ყავის დალევას ვაპირებთ, დაგალევინებ და გაგატან კიდეც, - გზა დაუთმო და შინ შემოუძღვა მეზობელს, რომელსაც სტუდენტობის წლებიდან იცნობდა.

- ირინეს გაუმარჯოს, - სამზარეულოში შეეგება დოდო და სტუმარი გადაკოცნა.

- ირინე, დაჯექი, - სკამი გამოუწია ანომ, - ყავას ახლავე დაგისხამ, - ფინჯანი გამოიღო კარადიდან, ყავა ჩაყარა, - შაქარი რამდენი ჩაგიყარო?

- ორი კოვზი.

ქალმა შაქარი ჭიქაში ჩაყარა და ადუღებული წყალი დაასხა. მეზობელს ქაფქაფა ყავა წინ დაუდგა:

- რას მიაყოლებ?

- რა ვიცი, მარხვაზე ვარ, არაფერი მინდა, - უპასუხა ირინემ.

- ჩვენც მარხვაზე ვართ, ძალიან გაიწელა, დავიტანჯე. გემრიელი საჭმელები მომენატრა, - სინანულით ჩაილაპარაკა დიასახლისმა და სიგარეტს მოუკიდა.

- ირინე, რამდენი წლის ხარ? - შეეკითხა დოდო.

- ოცდათექვსმეტის.

- მერე, გათხოვებას არ აპირებ?

- როგორც იქნა, ერთი კაცი გამოჩნდა და ვაპირებ, - უპასუხა ირინამ.

- რა ყრია გათხოვებაში, ერთი ვიცოდე, - ჩაილაპარაკა ანომ.

- რატომ? - ქალს შვილი უნდა, - მხარი დაუჭირა დოდომ ირინეს.

- შვილი ჰო, მაგრამ ჩვენი კაცები როგორი ასატანები არიან. მე და შენ, ჩემო დოდო, ორდენები გვეკუთვნის. რასაც ჩვენ ვუძლებთ, ვერც ერთი ქალი ვერ აიტანს.

- კაციც გამოდგომაზეა, - წარმოთქვა დოდომ.

- არა, მე და ვახოს ერთმანეთი გვიყვარს და ამით ძალიან ბედნიერები ვართ, - საკუთარი გრძნობა დაიცვა ირინემ.

- სიყვარული, ჩემო კარგო, რამდენიმე წელიწადში ფაფუს დაიძახებს და მორჩება, მერე შეგრჩება მუტრუკი, რომლის ვირობა და უხეშობა უნდა აიტანო, - გაბრაზებულმა მიუგო ანომ, - რომელი საათია? - გადახედა დოდოს.

- სამის ნახევარია.

- უი, სამზე დათოს ვხვდები, - წამოდგა ანო და ტანსაცმლის გამოსაცვლელად საძინებელი ოთახისკენ გასწია.

ირინემ ყავა მოსვა, ქალების ასეთი შემოტევა არ ესიამოვნა, თავს ზედმეტად გრძნობდა:

"ესენი სრულ ჭკუაზე არიან? ამდენი წელია ვიცნობ და ასეთებს პირველად ვხედავ, ეს ვინ ყოფილან?!" - გაიფიქრა და როდესაც ანო სამზარეულოში დაბრუნდა, წამოდგა, - ანო, ერთი-ორი კოვზი ხელსახოცში ჩამიყარე, - სთხოვა დიასახლისს.

- მოიცა, სად გეჩქარება, ერთად გავიდეთ. მითხარი, როდის აპირებ გათხოვებას?

- ჯერ არ გადაგვიწყვეტია.

- იცოდე, თავიდან კარგია, მაგრამ მთლიანობაში სახარბიელო არაფერია. მთელი ცხოვრება ვიღაცას კოჭი უნდა უგორო, იმის დაკრულზე უნდა იცეკვო. ჩვენ რომ გათხოვილები ვართ, რა მოვიგეთ? კი, ქონება თავზე გვაყრია, მაგრამ რად გვინდა? იმათ თავიანთი ცხოვრება აქვთ, ჩვენ - ჩვენი, - სინანულით უხსნიდა დოდო ირინეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

- ჩვენ გვიყვარს ერთმანეთი, - ამითი თითქოს ყველაფერი თქვა ირინემ და წამოდგა, - ანო, ყავა გადმომიყარე.

დიასახლისმა კარადიდან ყავის ქილა გამოიღო, რამდენიმე კოვზი ხელსახოცზე დაყარა, გადაკეცა და მეზობელს გაუწოდა.

- დიდი მადლობა, კარგად იყავით, - ირინე ქალებს დაემშვიდობა და ბინიდან გაოგნებული გამოვიდა. კიბის ქვედა ბაქანზე შეჩერდა, ფიქრმა გაიტაცა, - "მთელი ცხოვრება ოჯახის შექმნის სურვილი მახრჩობს. ნუთუ ეს ყველაფერი ლამაზი მოჩვენებაა? ნუთუ გათხოვება სისულელეა?" - ანოს კარის გაღების ხმამ ფიქრის გაგრძელების საშუალება არ მისცა და დარჩენილი საფეხურები სირბილით ჩაიარა.

ქალები სადარბაზოში გამოვიდნენ, ლიფტი გამოიძახეს.

- მოდი, დოდო, ჩვენი ჯეელები ფირმაში წავიყვანოთ, - გადაულაპარაკა ანომ მეგობარს.

- კარგი აზრია, მაგრამ სად?

- ანტალიაში გავქუსლოთ, თან ვისიამოვნებთ, თან ზღვით ვიკაიფებთ.

- სამსახურში საქმეებს მოვაწესრიგებ და დაახლოებით ორ კვირაში წავიდეთ.

- ჰო, - დაეთანხმა ანო, - ჩემი ფირმიდან მივლინებას გავაჩალიჩებ და შევუბეროთ.

- მანქანით?

- არა, გოგო, თვითმფრინავით გადავფრინდეთ. მალია ანოს ამ სიშორეზე მანქანით ჯაყჯაყი არ შეშვენის.

- გადასარევია, ყველაფერი მოვაწესრიგოთ და მერე ავიწყვიტოთ.

ამასობაში ლიფტი მოვიდა და ქვემოთ ჩავიდნენ. ანო მეგობარს დაემშვიდობა და თავისი მანქანისკენ წავიდა. რამდენიმე წუთში დიდუბეში, ნაქირავებ სახლთან იმყოფებოდა. როდესაც ქუჩაში დათო შეამჩნია, მანქანიდან გადავიდა და, როგორც მოლაპარაკებულები იყვნენ, ცხვირწინ ჩაუარა. მამაკაცი უკან გაჰყვა. ანო სადარბაზოში შევიდა, კიბე აირბინა, შესასვლელი კარი გააღო და ღია კარს უკან დათოს დაუწყო ლოდინი, როდესაც მისმა მიჯნურმა ზღურბლს გადმოაბიჯა, ქალმა კარი მიხურა, გადარაზა და კისერზე მოეხვია, აკოცა:

- როგორ მომენატრე, ჩემო ბიჭო.

- მეც, - გაეღიმა დათოს და მოეხვია.

- წამო, სამზარეულოში შამპანური გველოდება, - ანომ ხელზე ხელი ჩაავლო და სამზარეულოსკენ წაიყვანა.

- კარგია, ცივი შამპანური მაგრა ასწორებს, - უკან გაჰყვა დათო. მაცივრიდან ერთი ბოთლი გამოიღო და გახსნა, ჭიქებში ჩამოასხა, - გაგვიმარჯოს, - მიუჭახუნა ანოს და შესვა, - ჩემო ანო, ერთი რაღაც მინდა გთხოვო.

- რაა? - დაინტერესდა ქალი.

- მანქანას ვყიდულობ, მაგარი "მერსედესია", და ფული მაკლდება.

- რამდენი გჭირდება?

- ორი ათას ხუთასი დოლარი.

- ჩათვალე, რომ მანქანა შენია, - გაუღიმა ანომ, - მაგრამ იქამდე სხვა რამით მინდა გაგისწორო.

- რითი? - სახეზე გაკვირვება აღებეჭდა დათოს.

- შენ, ჯაბა, დოდო და მე ანტალიაში საგრიალოდ მივდივართ. მე და დოდომ დღეს გადავწყვიტეთ და, ალბათ, ორ კვრაში შევუბერავთ.

- სიამოვნებით, - გაუხარდა დათოს, - მაშინ მანქანის "ბეს" მივცემ და, როცა დავბრუნდებით, მერე ვიყიდი.

- რამდენი უნდა ბეს?

- ხუთასი დოლარი ეყოფა.

- ჩემი ბიჭი, - თავზე ხელი გადაუსვა ანომ, - მიეცი ეგ ფული. როცა ჩამოვალთ, ორი ათასსაც მოგცემ და მანქანა იყიდე, - ქალმა შამპანური ჩამოასხა, - წამო, ტუმბოზე დავიდგათ და საწოლში დავლიოთ. ძალიან მომენატრე და ერთი სული მაქვს, მოგეფერო, - საწოლისკენ წაიყვანა დათო.

* * *

ქალებთან საუბრის შემდეგ ირინე ისეთი განერვიულებული და გრძნობებაშლილი დაბრუნდა შინ, რომ სამზარეულოში საგულე წვეთები მონახა, ოცადათი წვეთი გახსნა წყალში და დალია. კატაბალახას გემოსგან დაიჯღანა, სკამი გამოიწია და ჩამოჯდა. თითქოს მის გრძნობას, მის სიყვარულს დასცინეს, გადაუარეს და ჩაწიხლეს, საშინლად შეურაცხყოფილად გრძნობდა თავს, გათხოვების სურვილი გაუნელდა, სიყვარული დაბერავებოდა და სული აფორიაქებოდა. ყურმილი აიღო, ვახოსთან სამსახურში დარეკა:

- ვახო, მე ვარ.

- რა შეწუხებული ხმა გაქვს, მოხდა რამე?

- ისეთი არაფერი. სასწრაფოდ შენი ნახვა მინდა, - ირინემ ისეთმა სულდარდიანმა ჩაილაპარაკა ბოლო წინადადება, რომ მამაკაცი შეცბა.

- ხომ მშვიდობაა? - გაისმა ყურმილს იქიდან.

- არა, უბრალოდ, შენი ნახვა მომინდა.

- სახლში ხარ?

- კი.

- მაშინ, ვაკის პარკში, ჩვენს სკამთან ვიქნები. რამდენ ხანში მოხვალ?

- ნახევარ საათში.

- კარგი, მოვილაპარაკეთ, - ყურმილი დაკიდა ვახომ.

ირინე წამოდგა, საძინებელ ოთახში შევიდა და ტანსაცმლის გამოცვლას შეუდგა. მექანიკურად მოქმედებდა. ბინიდან სწრაფად გამოვიდა და სამარშრუტო ტაქსს ვაკის პარკამდე გაჰყვა. ხეებს შორის, ნაცნობი სკამისკენ გასწია, რომელზეც ვახო იჯდა და ელოდა. მამაკაცს სახეზე დაბნეულობა აღბეჭდვოდა, დაძაბული ეწეოდა სიგარეტს. ირინეს დანახვისას წამოდგა, შეეგება და გადაკოცნა:

- რა სახე გაქვს? - გაკვირვებული თვალებში შეჰყურებდა.

- სალაპარაკო მაქვს, - სკამისკენ წავიდა ირინე. ვახო უკან გაჰყვა, ახალი სიგარეტი ამოიღო და მოუკიდა, - ვახო, გიყვარვარ? - თავი დახარა და ისე იკითხა ირინემ.

- რომ არ მიყვარდე, ცოლად შენს მოყვანას დავაპირებდი? მე ერთხელ უკვე დამენგრა ოჯახი და, გრძნობა რომ არა, ამას მეორეჯერ არ გავაკეთებდი. რა ბუზმა გიკბინა, რა მოგივიდა? - მამაკაცი ვერ გარკვეულიყო, რამ გამოიწვია საცოლის ასეთი მდგომარეობა.

- ახლახან გათხოვილ ქალებს მოვუსმინე და გაოგნებული ვარ მათი ოჯახური სიტუაციით. ცოლები ცალკე ცხოვრობენ, სულ სხვა ინტერესი აქვთ, ქმრები - ცალკე, ერთ ჭერქვეშ ფორმალურად არსებობენ, ურთიერთობაც მოჩვენებითი აქვს, მათ ოჯახს ხალხის თვალში ოჯახი ჰქვია, თორემ სინამდვილეში ძველი ეკლესიის ნანგრევებს უფრო ჰგავს, ვიდრე ლამაზ, წელში გამართულ ტაძარს, რომელსაც ოჯახი ჰქვია. თუ ჩვენი მომავალი ურთიერთობა ასეთი იქნება, მე უარს ვამბობ გათხოვებაზე. შეუღლება იმიტომ მინდა, რომ ჩვენ ერთმანეთი ნამდვილად გვიყვარს და, თუ ეს გრძნობა მოჩვენებითია, მაშინ ასეთი ოჯახი არ მსურს, რომ მქონდეს.

- ირინე, მე მგონი, თექვსმეტი წლის ბავშვები აღარ ვართ. მე შენს მიმართ წრფელი გრძნობა მაქვს. თანაც ვიცი, რა მინდა, როგორი ოჯახი მინდა. იცი, ყალბი ოჯა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხური ურთიერთობა უკვე გავიარე და ამას მეორეჯერ აღარ დავუშვებ. არც შენ გაგაუბედურებ და არც ჩემ თავს, - სიყვარულით შეჰყურებდა მამაკაცი თავჩაქინდრულ, სახეაწითლებულ ქალს.

- მართალია? - ირინემ თავი ასწია, ვახოს შეხედა.

ვახომ თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია და გაუღიმა, კისერზე ხელი მოხვია, ქალი მიიზიდა და აკოცა.

- ასეთ დედაკაცებთან რა საერთო გაქვს? - ყურში უჩურჩულა.

- არაფერი, მათ საუბარს შემთხვევით შევესწარი და კინაღამ გავგიჟდი. ეს ვინ ყოფილან, არადა, მთელი ცხოვრება ვიცნობ და მათი ნამდვილი სახე დღეს დავინახე.

- ახლა ცუდ ნოტზე ყოფნა გვეყო და წამოდი, კაფეში გეპატიჟები, - ღიმილით შეჰყურებდა ვახო საცოლეს.

წყვილი წამოდგა და ვაკის პარკის გასასვლელისკენ გაეშურა. ირინე დამშვიდდა, გულის სიღრმეში ნანობდა კიდეც, ვახოს ამ თემაზე რომ დაელაპარაკა.

* * *

ბრწყინვალე აღდგომის დილა გათენდა. ანო ეკლესიიდან სახლში გვიან დაბრუნდა. მოსამსახურე გააფრთხილა, ორ საათზე გამაღვიძეო და საძინებელ ოთახში შევიდა. ბუტას ეძინა. ოთახში სასმელის მძაფრი სუნი იდგა. ქალმა ფანჯარა გამოაღო:

- ყოველდღე სვამს, გარეკა ამ ჩემისამ, - ჩაილაპარაკა ანომ და ხელჩანთა კარადაში შეაგდო.

- რომელი საათია? - ძილბურანში მყოფმა იკითხა ბუტამ.

- ფორია, არ გრცხვენია? ყოველდღე სვამ? - გაბრაზებულმა ჰკითხა და გახდა დაიწყო.

- სამინისტროში სტუმრები გვყავდა და რა მექნა? - თავი იმართლა ქმარმა.

- რაც გინდა, ის ქენი, - მიუგო ანომ და საწოლში შეწვა.

- მანქანის გასაღები სად გიდევს?

- კარადაშია.

- ძალიან კარგი, - ჩაიბუტბუტა ბუტამ და საწოლიდან გაჭირვებით წამოდგა. სპორტული ტანსაცმელი ჩაიცვა და აბაზანისკენ გასწია, - ვერა, საუზმე გამიცხელე, - ბავშვის ოთახში მყოფ მოსამსახურეს გასძახა და აბაზანაში შევიდა.

საუზმის შემდეგ რეზოსთან დარეკა:

- გაუმარჯოს, ქრისტე აღდგა.

- ჭეშმარიტად - უპასუხა მეგობარმა.

- დღეს წავიდეთ?

- აუცილებლად.

- მაშინ, გოგოებთან გადარეკე და ზედაზენზე ავიდეთ, ცხვარი დავკლათ და ვიშარაფოთ.

- რამდენ ხანში გამომივლი?

- ნახევარ საათში შენთან ვიქნები, - დაკიდა ყურმილი ბუტამ და საძინებელი ოთახისკენ გაბიჯა. ანოს ეძინა. ჯინსები ჩაიცვა, მაისური გადაიცვა და კარადაში მანქანის გასაღებს დაუწყო ძებნა.

ავტოფარეხში შევიდა, მანქანა გამოიყვანა და რეზოს სახლისკენ გაემართა. მეგობარი ქუჩაში დაუხვდა, კარი გამოხსნა და მანქანაში წინა სავარძელზე მოკალათდა. აღდგომა ისევ მიულოცეს ერთმანეთს.

- ეკასთან და მარინესთან დარეკე?

- გველოდებიან, - უპასუხა რეზომ და სიგარეტს მოუკიდა.

კაცებმა ჯერ ბაზარში გაიარეს, იყიდეს კიტრი, პომიდორი, ყველი, მწვანილი, შებოლილი თევზი, შოთის პურები და ქალების შესახვედრად გაეშურნენ. დილმის მასივში ეკა და მარინე ჩაისვეს, იქვე, სუპერმარკეტში ათი ბოთლი "სამება" შეიძინეს და ქალაქის გასასვლელთან ცხვრის საყიდლად გაჩერდნენ.

- აი, ის ჭედილა ვიყიდოთ, - გაიშვირა ხელი რეზომ რქებჩაგრეხილი ცხვრისკენ.

კაცები მანქანიდან გადავიდნენ და ცხვრის პატრონთან მივიდნენ:

- იმ ჭედილას როგორ ყიდი? - ცხვარზე მიუთითა ბუტამ.

- ბოლო ფასი ოთხმოცდაათი ლარია.

- ცოტა დაგვიკელი, სამოცდაათს მოგცემთ, - შეევაჭრა რეზო.

- ჯანდაბას, ოთხმოცად წაიყვანეთ.

- ფეხები შეუკარი, - ფული ამოიღო ბუტამ და მიაწოდა.

მეგობრებმა ფეხებგაკოჭილი ცხვარი მანქანის საბარგულამდე ძლივს მიათრიეს.

- კარგა მძიმეა, - ჩაილაპარაკა რეზომ.

- ხოშიანია, - მიუგო ბუტამ და საბარგული გახსნა.

- ამას ხომ არ გასდის? - იკითხა რეზომ ბენზინით სავსე ათლიტრიან ჭურჭელზე.

ბუტამ ტუჩები აპრუწა.

- არ ვიცი, მე მგონი, არ გასდის, - დააფინა ნაჭრები.

ცხვარი ასწიეს და საბარგულში ჩასვეს. ხელების წმენდით მანქანაში დაბრუნდნენ.

- ეკაკო, როგორი ცხვარია? - შეეკითხა ბუტა ქალს.

- კარგია, - თავი დაუქნია ეკამ და გაუღიმა.

მანქანის საბარგულიდან ბრახაბრუხი ისმოდა.

- ეტყობა, ფეხები გაიხსნა, - ჩაილაპარაკა რეზომ.

- არაფერია, იმის სიცოცხლე მაინც განწირულია, - უპასუხა ბუტამ, - ჩვენ რომ არ შეგვაწუხოს, მაგნიტოფონს ავუწიოთ, - გაეცინა, მუსიკას აუწია და მანქანა დაძრა. გზაში ეკას ფეხებს შორის ხელს უფათურებდა და ნასიამოვნები ბურტყუნებდა.

- ოჰ, შენ შემოგევლე, მაგარი ხარ.

მანქანაში მსხდომნი ბუტას ანცობაზე იცინოდნენ და აღგზნებულ მამაკაცს სხვადასხვა ქათინაურებით ეხუმრებოდნენ.

საგურამოში შევიდნენ. ილიას სახლ-მუზეუმთან ნელი სვლით გაიარეს:

- ინგრევა, - ნაღვლიანად ჩაილაპარაკა რეზომ.

- ბიჭო, საუკუნის წინანდელია, დაინგრევა, აბა, რას იზამს. დღეს სახელმწიფოს რესტავრაციის ფული არ გააჩნია, უჭირს ჩვენს ქვეყანას და რა ქნას? და, საერთოდ, რაღა დროს ილიაა? - ბუტამ მანქანა ააჩქარა და ზედაზნის გადასახვევთან შეუხვია.

ას მეტრში მშენებარე სახლი შენიშნეს.

-შენ გენაცვალე, - კმაყოფილმა ჩაილაპარაკა ბუტამ, მანქანა გააჩერა და გადავიდა. უზომოდ ბედნიერი შეჰყურებდა ცადაწვდილ ქვის ღობეს. იქვე მუშა შენიშნა და დაუძახა:

- გამარჯობა, ძიაკაცო, - მიესალმა უცნობს.

- გაგიმარჯოს.

- ძიაკაცო, რა სიმაღლისაა ღობე? - თვალს ვერ აშორებდა უზარმაზარ ღობეს.

- შვიდი მეტრია, - მიუგო მუშამ.

- რეზო, - ბუტამ თავი მანქანაში შეყო, - გაიგე?

- რა? - ვერ გაერკვა მეგობარი.

- ბიჭო, შვიდი მეტრის სიმაღლის ყოფილა. შეხედე, ჩიტი ვერ გადაფრინდება, გლიჯავს, მაგარია.

რეზოც გადმოვიდა მანქანიდან.

- ამხელა ალაყაფის კარი ბავშვობაში ზღაპრების წიგნში მაქვს ნანახი, დევების კარ-მიდამოს ჰქონდა. კი მაგრამ, ძია, როგორ აღებთ ან როგორ კეტავთ?

ეროვნული ბიბლიოთეკა

- შვილო, ყველაფერი ავტომატურია. ღილაკს თითს მიაჭერ - გაიხსნება, ისევ მიაჭერ - დაიხურება. შენ შიგნით უნდა ნახო, ყოველ ნაბიჯზე სათვალთვალო კამერა დგას, ეზოში ჭიანჭველას მოძრაობასაც კი დაინახავ.

- საღოლ, ძმაო, ამის პატრონმა უნდა თქვას, აგარაკი მაქვსო, - ჩაილაპარაკა ბუტამ და მანქანაში ისე ჩაჯდა, რომ იქაურობას თვალს ვერ აშორებდა, - ნახეთ, რა დონეა? - გადაულაპარაკა ქალებს.

- მაგარია, უმაღლესი პილოტაჟია, - დაეთანხმნენ ეკა და მარინე.

- ბუტა, ჩვენი ცხვარი ნამეტანი ფართხალებს და არ ვნახოთ? - შეეკითხა რეზო.

- აწი მალე ავალთ და იქ ვნახავთ, - მანქანა დაძრა ბუტამ.

ახლად ამწვანებული ზედაზნის ტყის მიკლაკნილ-მოკლაკნილი გზა აიარეს და მონასტერთან გაჩერდნენ. საბარგული გახსნეს. ბენზინის მძაფრი სუნი ეცათ.

- მთელი ბენზინი დაუღვრია ამ ოხერს, - გაბრაზებულმა ჩაილაპარაკა რეზომ და ცხვარს რქებში დაეჭიდა.

ბუტა მიეხმარა, საბარგულიდან გადმოსვეს:

- თოკი რქებზე მოაბი და, სანამ ეკლესიას შემოვატარებთ, გაშრება, - საბარგულს ალაგებდა ბუტა, - შეხედე, სულ დაუღვრია, - ცარიელი ათლიტრიანი უჩვენა მეგობარს.

ბენზინის სუნისგან დარეტიანებული ცხვარი ეკლესიის ეზოში შეიყვანეს. ბევრი ხალხი ირეოდა.

- მე მღვდელს ვნახავ, ვკითხავ, როგორ მოვიქცეთ, - ტაძარში შეაბიჯა ბუტამ, რამდენიმე წუთში უკან გამოვიდა, - ჰო, სამჯერ შემოვატაროთ და მერე მღვდელი აკურთხებს, - გადაულაპარაკა მეგობარს და ცხოველის ტაძრის ირგვლივ შემოტარებაში რეზოს მიეშველა. რის ვაივაგლახით სამი წრე დაარტყეს.

- ცხვარს ვინ დაკლავს? - იკითხა რეზომ.

- ვინმეს ვნახავთ, - უპასუხა ბუტამ და მღვდლის დასახახებლად წავიდა.

მოძღვარმა ბუტას სანთლები აყიდვინა და ჭედილასთან მივიდნენ. საცოდავი ცხოველი შეშინებული მზერით ათვალიერებდა ირგვლივ მოფუსფუსე ხალხს. მღვდელმა ლოცვა დაიწყო, ოთხივეს სანთლები აანთებინა, პირჯვარი გადაწერა, შემდეგ ბუტას ანთებული სანთელი გამოართვა და ცხვართან ახლოს მიიტანა, რათა შუბლზე ბეწვი შეეტრუსა.

ანთებული სანთელი ბეწვს შეეხო თუ არა, ალმა იფეთქა და ჭედილა ცეცხლში გაეხვია.

- ვაი, - შესძახა განცვიფრებულმა ბუტამ და შიშისგან უკან გადახტა. იქვე მდგომებმაც იგივე მოიმოქმედეს.

დაბნეული, ცეცხლმოკიდებული, გამწარებული ცხვარი ბუტას დაეჯახა, შემდეგ მიმართულება იცვალა და ტყისკენ გაიქცა. გარბოდა ცეცხლის დიდი გუნდა. ეზოში მყოფი განცვიფრებული ხალხი უბედურ ცხვარს მისჩერებოდა.

- დიდება უფალს, - პირჯვარი გარდაისახა მოძღვარმა და ბუტას ჰკითხა, - რა მოუვიდა, რატომ მოედო ცეცხლი?

- საბარგულში ბენზინი დაგვეღვარა და...

- აა, - თავი გადაქნია მღვდელმა. ისევ პირჯვარი გარდაისახა და ეკლესიაში შევიდა.

- რა ვქნათ? - იკითხა რეზომ.

- არაფერია, ქვემოთ საგურამოში სამწვადე ვიყიდოთ და ტყეში ვიქეიფოთ.

მონასტრის ეზოდან გამოვიდნენ, მანქანაში ჩასხდნენ და საგურამოში ჩავიდნენ. ბუტამ იმ აგარაკთან ისევ გააჩერა მანქანა.

- ეჰ, ფორია ბუტას ასეთი აგარაკი არ უნდა ჰქონდეს? - სინანულით ჩაილაპარაკა და მანქანა დაძრა. სოფლის ცენტრში ხორცი იყიდა და ზედაზნის გზას აუყვა. ტყეში გადაუხვიეს, წყარო მონახეს და შეჩერდნენ. პურ-მარილის მომზადებაში ქალები შეეშველნენ და ქეიფი გაჩაღდა. ცხელ-ცხელ, დაბრაწულ მწვადებს რეზო მოარბენინებდა და მიწაზე გაშლილ სახელდახელო სუფრაზე ალაგებდა. ბუტა ჩვეული ოსტატობით თამადობდა. რეზოს ორი ბოთლი "სამება" წყაროდან ამოაღებინა და გაახსნევინა. ერთი ბოთლი გამოართვა:

- ამ განსხვავებულით, - მაღლა აღმართა ბოთლმომარჯვებული ხელი, - ჩვენი მიწა-წყალი დავლოცოთ, ჩვენს სამშობლოს გაუმარჯოს. მაგარი ქვეყანა გვაქვს, რომელსაც გაფრთხილება, მოვლა და პატრონობა სჭირდება. მე და რეზო სახელმწიფოს სამსახურში ვიმყოფებით, - გადახედა ქალებს, - და ჩვენი უპირველესი მოვალეობა ქვეყნის აღმშენებლობა, ფეხზე დაყენებაა, - ისევ გადახედა ეკას და მარინეს - რასაც ორივე მთელი ენერგიით ვემსახურებით. არ ვემსახურებით? - გადაულაპარაკა რეზოს.

- როგორ არა, - თავი დაუქნია თანამეინახემ, - ღმერთმა უმრავლოს ჩვენს ქვეყანას ფორია ბუტას მსგავსი ხალხი, ვინც სამშობლოზე ზრუნავს...

- აქ ჩემი სადღეგრძელო კი არ არის, - გააწყვეტინა მეგობარს ბუტამ, - მოკლედ, ჩემო კარგებო, ამ მიწა-წყალს გაუმარჯოს, - ეკას მიაჩერდა და ბოთლი მოიყუდა.

რეზომაც გამოსცალა ბოთლი. ქალებმა ჭიქებიდან შესვეს.

- რეზო, მიდი, კიდევ ორი ჩაციებული მოიტანე, მაგარი სადღეგრძელო უნდა ვთქვა.

რეზომ ყინულივით ცივი წყაროდან ორი ბოთლი ამოიღო, ნაკვერჩხლებთან მიირბინა, შემწვარი მწვადი აიღო და ბუტას მიუტანა.

- გადაიღეთ, გოგოებო, - ქალებს მიმართა რეზომ.

- ახლა, ჩემო ძმაო, ალავერდს შენთან ვარ, - ბოთლი ბოთლზე მიუჭახუნა ბუტამ.

- გისმენ, - გაუღიმა რეზომ.

- მოდი, ძმაო, ეკა და მარინა ვადღეგრძელოთ. ჩვენი სამშობლო მარტო იმიტომ არის კარგი, რომ ასეთი ლამაზი ქალები ცხოვრობენ, ამ მიწაზე დაიარებიან და თავიანთი სილამაზით მე და შენ გვატკბობენ. გოგოებო, გაგიმარჯოთ, დიდხანს იცოცხლეთ და მე და რეზოს ბევრი დღე გაგვილამაზეთ, - ბოთლი ყლუპყლუპით გამოცალა.

რეზომაც იგივე გაიმეორა, შემდეგ ცარიელი ბოთლი ყველას თვალწინ ჩამოუტარა:

- კარგია, - ჩაილაპარაკა და მარინეს თვალი ჩაუკრა.

ცოტა ხანში სასმელი გაუთავდათ.

- ბიჭო, როდესაც დალევის კლაპანი გამეხსნება, ღვინო მაშინ უნდა გათავდეს, - სიცილით ჩაილაპარაკა ბუტამ და წამოდგა. წყაროს წყალში ხელ-პირი დაიბანა, სველი ხელები ჯინსებზე შეიმშრალა და ეკასთან მივიდა. მჯდომარე ქალს უკნიდან, კისერზე მოხვია ხელი, შემდეგ ნელი მოძრაობით მკერდში ჩაუცურა, - იფ, რა კარგი ხარ, - აგზნებულმა წაიღრუტუნა და რეზოს მიმართა, - ახლა, ძმაო, რესტორანში ვიგრიალოთ.

- სად?

- ჯვრის ქვემოთ საკაიფო რესტორანია, ავიღოთ კუპე და ვიქეიფოთ.

- ძალიან კარგი, - დაეთანხმა მეგობარი და წამოდგა.

მანქანაში ისე ჩასხდნენ, ნასუფრალი არ აულაგებიათ, მიწაზე დაგდებული ცელოფანი და საჭმლის ნარჩენები იქვე დატოვეს. დაღმართზე დაეშვნენ, მშენებარე

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

აგარაკთან ბუტამ ერთი წამით მანქანა გააჩერა:

- რა მაგარია, ამის პატრონს გაუმარჯოს. აი, ქართველი, ჭეშმარიტი ქართველი, სახლს რა სიმაღლის ღობეც აქვს, ამის პატრონი იმხელა ბუნების და გემოვნებისა იქნება. ასეთ რამეს მარტო ჩვენთან, საქართველოში ნახავ, - სიამაყით ჩაილაპარაკა და მანქანა დაძრა.

ჯვრის ქვემოთ, რესტორანთან გაჩერდნენ და ოთხივე ფაცხაში შევიდა.

* * *

ორი ხდებოდა, როდესაც ვერამ ანო გამოაღვიძა. ლამენათევი ქალი ზლაზვნით წამოდგა, ხალათი გადაიცვა და აბაზანისკენ გასწია. პატარა ლევანი მშობლისკენ სირბილით გამოემართა:

- დედიკო, - დაუძახა ანოს, - დღეს სასეირნოდ არ წამიყვან?

- არა, შვილო, მე არ მცალია, ვერას ვეტყვი და ის წაგიყვანს. ვერა! - დაუძახა მოსამსახურეს.

- დიახ, - მიუახლოვდა ქალი.

- ვერა, ბავშს ჩააცვი და ზოოპარკში ან სადმე გაასეირნე.

- გასაგებია, - დაეთანხმა მოსამსახურმე და ლევანს დაუძახა, ბიჭს ჩააცვა და შხაპისქვეშ მდგომ ანოს ხმამაღლა გასძახა, - მე და ლევანი მივდივართ, თქვენი საუზმე ცხელია.

- კარგი, - გაისმა აბაზანის კარს მიღმა.

მოსამსახურე და ბავშვი ბინიდან გავიდნენ.

ანომ ტანი გაიმშრალა, დეზოდორი დაისხა, ხალათი მოიცვა და სამზარეულოში გავიდა. სანამ ყავას დალევდა, დოდოსთან დარეკა და თავისთან იხმო. ტელევიზორი ჩართო. რომელიღაც პროგრამაზე ფუტკრების ცხოვრების შესახებ დოკუმენტური ფილმი გადიოდა. ქალმა ყავა დაისხა და ტელევიზორს მიუჯდა.

ცოტა ხანში ზარი გაისმა, ანომ კარი გააღო და დოდოს შეეგება:

- გამოიძინე? - შეეკითხა მეგობარს.

- კი. - დაეთანხმა დოდო და სამზარეულოში შეჰყვა.

- კაცო, ფუტკრების ცხოვრებაზე ფილმი იყო, - ჩამოჯდა ანო.

- მერე?

- მაგრა საკაიფოდ აუწყვიათ ცხოვრება.

- როგორ? - დაინტერესდა დოდო.

-როგორ და გაქანებული მატრიარქატი აქვთ, დედალი ფუტკარი ყველაფერია, ·ის ხელმძღვანელობს ოჯახს.

- ვა, რა კარგია, - მოეწონა დოდოს.

- ჰოდა, როცა კაცი უნდა, გამოჩეკავს მამალს, ისიამოვნებს, მერე მეომარ ფუტკრებს აბრედინებს. მუშა და მეომარ ფუტკრებს სქესი არ აქვთ, ერთნი მუშაობენ, თაფლს ქმნიან, მეორენი დოვლათს იცავენ. ასე რომ, მატრიარქატი გლიჯავს.

- ჩვენსავით კი არ არიან, საქმე კარგად ჰქონიათ აწყობილი. როცა უნდათ, კაიფობენ; როცა უნდათ, თაფლს შეექცევიან. აი, მესმის ცხოვრება, - ჩაილაპარაკა დოდომ.

- ბილეთებზე რა ქენათ? ანტალიაში როდის წავიდეთ? - თემა შეცვალა ანომ.

- მე მგონი, ბიჭებს პასპორტები არ აქვთ, ჯერ ეს პრობლემაა გადასაჭრელი და წასვლაზე მერე ვიფიქროთ.

- პასპორტებს სამ დღეში მოვაკვარახჭინებ, თითოს ასი დოლარი სჭირდება. ჯაბას დღეს ნახავ?

- კი, საღამოს ვხვდები.

- მაშინ უთხარი, რომ ორი სურათი მოიტანოს. ხვალ ლევანს ჩოგბურთზე რომ წავიყვან, იქ მომცეს, - ქალმა საათს დახედა, - აუ, ოთხის ნახევარია. თმა მაქვს დასავარცხნი. სპარიკმახეროში უნდა წავიდე, ხუთზე კი დათოს ვხვდები, - თმის სწორებით წამოდგა ანო.

- ყოველდღე ივარცხნი?

- ჰო, ჟორჟიკასთან დავდივარ, თითქმის ყოველდღე მჭირდება.

- რამდენად ვარცხნის?

- არ არის მეძვირე, ხუთ ლარად.

- ნაღდად კარგი ფასია, თან კარგი პარიკმახერია, - დაეთანხმა დოდო.

- დათოზე ლამის თხუთმეტი წლით უფროსი ვარ, ყოველთვის ფორმაში უნდა ვიყო, ბიჭს ხომ უნდა ვევასებოდე, - საძინებელი ოთახისკენ გაემართა ანო. სწრაფად ჩაიცვა და ქალები ბინიდან გამოვიდნენ.

* * *

მოსაღამოვდა. სახლში დაბრუნებულ ანოს ბუტა შინ დაუხვდა. ქმარი უჩვეულოდ ანერვიულებული და შეშფოთებული იყო. ვიღაცას ტელეფონზე ელაპარაკებოდა.

- მოხდა რამე? - გვერდით მიუჯდა ანო.

ბუტამ ყურმილი დაკიდა, ნაბახუსევზე თავი სტკიოდა:

- სამინისტროში კონტროლის პალატა შემოდის, - მიუგო მეუღლეს.

- მერე?

- ამას რა მოჰყვება, ჯერ არ ვიცი, - შეწუხებულმა უპასუხა ანოს.

- რა უნდა მოჰყვეს? ფულს წაიღებენ და წავლენ. თქვენს უწყებას რა, პირველად ამოწმებენ?

- საქმე იმაშია, რამდენს მოითხოვენ.

- რასაც მოითხოვენ, გადაიხდით, მარტო ხომ არ ხარ, სანერვიულო არაფერია. ბავშვი სად არის?

- ვერა აძინებს.

- მეც მეძინება, დავიღალე, - წამოდგა ანო და საძინებელი ოთახისკენ წავიდა. ტანთ გაიხადა, ღამის პერანგი ჩაიცვა და საწოლზე წამოწვა.

* * *

დღე დღეს მისდევდა. ბუტას სამსახურში საქმე გაურთულდა. დილას სახლიდან გასული, გვიანობამდე კაბინეტში იჯდა, საბუთებს აწესრიგებდა. ანომ დათოს და ჯაბას პასპორტები გაუკეთა და მაისის ბოლოსთვის ანტალიის ბილეთები აიღო. იმ ღამეს ბუტა გვიან მოვიდა, უხასიათოდ იყო.

- ბუტა, ორ დღეში ანტალიაში მივფრინავ, - საწოლიდან უთხრა ანომ მეუღლეს.

- სად მიდიხარ? - ვერ გაერკვა ბუტა.

- ანტალიაში, კონფერენციას უნდა დავესწრო.

- რა დროს ანტალიაა, ლამის სამსახურიდან მომხსნან, - გაბრაზდა ბუტა.

- რა ვქნა? შეტყობინება მომივიდა, რომ არ ჩავიდე, არ შეიძლება. ამხელა ფირმის ხელმძღვანელი ვარ და აუცილებელია იქ ყოფნა. შენთან სამსახურში რა ხდება?

- საქმე ცუდადაა, დიდ ფულს ითხოვენ.

- რამდენს? - დაინტერესდა ანო.

- ნახევარ მილიონ დოლარს.

- მერე?

- რა მერე, მინისტრმა, მე და ორმა მოადგილემ უნდა გადავიხადოთ.

- ესე იგი, გვერხევა?

- რას იზამ, გამოსაშვები სისხლი უნდა გამოვუშვათ, სხვა გზა არ არის. ისე, როგორ ჩამეშალა აგარაკის აშენების გეგმა.

- არაფერია, ფულს კიდევ იშოვი და მერე ავაშენოთ, - მხარი იცვალა ანომ და დასაძინებლად მოემზადა.

ორი დღის შემდეგ ანომ ბარგი ჩაალაგა, ბავშვს მოეფერა, დაემშვიდობა და ბუტასთან სამსახურში დარეკა:

- ბუტა, მივდივარ. დაახლოებით ათ დღეში ჩამოვალ. აბა, შენ იცი, თავი არავის დააჩაგვრინო. იქიდან დაგირეკავ, დროებით, - დაკიდა ყურმილი ქალმა, - ესეც ასეე, - ჩაილაპარაკა და დოდოს შესახვედრად სადარბაზოში გავიდა. რამდენიმე წუთში მეგობარმა ქალმა მოაკითხა და ორივე აეროპორტისკენ გაეშურა.

- ბიჭები იქ მოვლენ? - ჰკითხა დოდომ.

- კი, უკვე იქ იქნებიან, მაგრამ ჩვენ თავი ისე დავიჭიროთ, ვითომ არ ვიცნობთ. ვინმემ არ შეგვამჩნიოს, - დაარიგა მეგობარი ანომ.

ქალები აეროპორტში მივიდნენ, მანქანა დააყენეს და შენობაში შევიდნენ. ჯაბა და დათო რეგისტრაციას გადიოდნენ. ქალები შორიახლოს დადგნენ. ცოტა ხანში მათაც გაიარეს რეგისტრაცია. თვითმფრინავშიც სხვადასხვა ადგილებზე დასხდნენ.

ანტალიაში ჩაფრენილებმა ტაქსი იქირავეს და ზღვის პირას მდებარე სასტუმროსკენ გაემართნენ. ორი საუკეთესო ნომერი აიღეს და ბარგის დასაბინავებლად თავიანთ ოთახებს მიაშურეს.

- ძლივს ჩვენს გემოზე არა ვართ, - მოეხვია ანო დათოს.

- ერთად დასვენება კარგია, - მხარი აუბა დათომ.

- მოდი, ახლა გამოვიცვალოთ და პირდაპირ ზღვაზე, - შესთავაზა ანომ დათოს და გახდა დაიწყო. ოთხივე ზღვის ნაპირზე გავიდა. დათომ და ჯაბამ შორტები გაიძვრეს, მაისურები გაიხადეს და ზღვაში გადაეშვნენ.

- მოდით, გლიჯავს, მაგარია, - ბიჭები ხელს უქნევდნენ ქალებს.

ბანაობის შემდეგ რესტორანში შევიდნენ. ანომ შამპანური შეუკვეთა და სადღეგრძელო მოითხოვა:

- მოდი, თავისუფლებას გაუმარჯოს, - თვალი ჩაუკრა დოდოს, - ყველაფერი კარგია, მაგრამ ამის ფასი არაფერია, - შესვა ანომ.

მაგიდის წევრებმა სადღეგრძელო აიტაცეს. გაჩაღდა ქეიფი.

რამდენიმე საათში თავ-თავიანთ ნომრებს მიაშურეს. ანო დათოს ეხვეოდა და ბუტბუტებდა:

- ხომ მოგწონვარ, ჩემო ბიჭო?

- ძალიან, ძალიან, - პასუხობდა დათო და ტანსაცმელს აჩქარებით ხდიდა.

ყოველი დღე ერთმანეთს ჰგავდა. ხორციელ სიყვარულს ზღვაზე ბანაობა ან რესტორანში ქეიფი ენაცვლებოდა. ერთი კვირის თავზე ანომ სახლში დარეკა. ყურმილი ბუტამ აიღო:

- ბუტა, როგორ ხარ?

- ეჰ, ცუდად, სამსახურიდან მხსნიან, - ნაღვლიანად უპასუხა ქმარმა.

- ფული არ გადაიხადე?

- კი, გადავიხადე, დაჭერას გადავურჩი, მაგრამ სამსახურიდან მხსნიან.

- არაფერია, ჩამოვალ და რაღაცას ვიზამთ, - დაამშვიდა მეუღლემ, - ბავშვი როგორ არის?

- ლევანს არა უშავს, კარგად არის. შენ როდის ჩამოდიხარ?

- ერთ კვირაში კონფერენცია მორჩება და მერე ჩამოვალ. დოდოსთან ოჯახში დარეკე და უთხარი, რომ კარგად ვართ და ერთ კვირაში ჩამოვალთ. დროებით, - დაკიდა ყურმილი ქალმა და ყველას გასაგონად გამოაცხადა, - აწყვეტილი ცხოვრება ერთი კვირით გავიხანგრძლივეთ.

* * *

როდესაც თბილისში დაბრუნდნენ, დოდომ ანო სახლოთან მიიყვანა.

- დიდი მადლობა, მე ამდენი სიამოვნება ცხოვრებაში არ მიმიღია, - გადაულაპარაკა მეგობარს.

ანოს ჩაეღიმა, კარი გამოხსნა, რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ მისი ყურადღება უამრავი მანქანის სიგნალმა მიიპყრო, რომლებიც სადარბაზოსთან შეჩერდნენ, ხოლო უკნიდან სასწრაფო დახმარების მანქანა სირენის კივილით მიადგა.

- რა ხდება? - გაკვირვებულმა იკითხა და მანქანიდან გადავიდა. ფეხდაფეხ თეთრხალათიანი ექიმები მიჰყვნენ. სახლის წინ საქორწინო კაბაში გამოწყობილი ირინე თავის მომავალ მეუღლესთან და მაყართან ერთად შენიშნა.

- ანო, როორ გაშავებულხარ? - ღიმილით მიმართა მეზობელმა.

- გათხოვდი?

- დიახ, გაიცანი ვახო, - საქმრო წარუდგინა ირინემ.

- ძალიან სასიამოვნოა, - ხელი ჩამოართვა ანომ, - გილოცავთ, ბედნიერებას გისურვებთ, - მიულოცა წყვილს და ლიფტისკენ წავიდა.

სასწრაფოს ექიმები ლიფტთან იდგნენ.

- ქალბატონო, ფორია რომელ სართულზე ცხოვრობს?

- რა იყო? - სახეზე ღიმილი შეეყინა ანოს.

- გამოგვიძახეს, ფორია ბუტას ინფარქტი აქვსო.

- აუჰ, - შეიცხადა ქალმა და ლიფტში ექიმებთან ერთად შევიდა.

მობილურმა დაურეკა:

- გისმენთ.

- ანო, დათო ვარ, ამ წუთას მანქანის პატრონმა დამირეკა, ფულია მისატანი.

- ეჰ, - ამოიოხრა ანომ, - ცუდი ამბები დამხვდა.

- რა მოხდა? - გაიკვირვა დათომ.

- ჯერ სახლში არც შევსულვარ, ბუტას ინფარქტი აქვს.

- რაო, რაო?! მერე მე რა შუაში ვარ?! გოგო, შენ ნორმალური ხარ?! - ყურმილში დათოს ყვირილი გაისმა, - ბე რაღას მიმატანინე, ხუთას დოლარს მაკარგვინებ, შე ბებერო წაკლავ?! - დათომ ყურმილი დაახეთქა.

ანო გაშრა, გაოგნებული თეთრხალათიანებთან ერთად ლიფტიდან გამოვიდა და ბინისკენ გაიბიჯა. ტუუ, ტუუ, ტუუ, - დიდხანს ესმოდა მექანიკურად მიბჯენილი ტელეფონიდან...

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ამირან ახობაძე

## ციკლიდან: **გალაკტიონი**

### 1. ვერვინ პოულობს



სხვა ხმით ძერწავდი
აპრილს თუ მაისს,
მშობლიურ მიწის
ზღვას, მთებს თუ ველებს,
შენი ესოდენ
სიმაღლე მაინც
რად დაინახეს
სიკვდილის მერე?!

დღეს არ გაკლია
დაფნა, ვარდები...
დღეს მშვიდად დგახარ
მწვერვალის ქიმზე,
მგონია, სულ მთლად
ვპატარავდებით,
მაგ სიმაღლიდან
როდესაც გვიმზერ.
გადახდილი გაქვს
ყველაფრის ვალი,
სამაგიეროს
გადახდის გარდა...
შენი ცხოვრება -
ზღვა, ბობოქარი, -
ყველა კუთხიდან
სასწაულს ჰგავდა.

ჟამი - სიზმარი,
ავად თუ კარგად,
ვხედავ თუ როგორ
შფოთავს და გადის, -
ამ სიჩქარეში,
ვის არ სურს, მაგრამ
ვერვინ პოულობს
შენს გვერდთი ადგილს...

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ვერაფერს გეტყვი

არ დაგაძინეს
დარდებმა წუხელ;
არ მოგასვენეს,
არა და არა...
შენთვის თავს არვინ
არ შეიწუხებს -
იყავი ჩუმად,
იყავი წყნარად.

სული შეგიძრეს
ისე ფიქრებმა,
გაგიფერმკრთალეს
ძველი ალერსი...
ვერაფერს გეტყვი,
ხვალ რა იქნება, -
დღე უფრო კარგი
თუ უარესი?

## მოვა ვინმე

თავო ჩემო, თუ გელოდა
აქ ამდენი სევდა...
ცის სინათლის დასანახად
რას ჩქარობდი, ნეტავ?

ეგ ცრემლები თვალის გუგებს
მძივებად რომ მოსავს,
იქნებ ასეთ საწუთროში
არც კი ღირდა მოსვლა?

მაგრამ, მაინც გულს არ იტეხ,
ეძებ მხოლოდ ახალს...
ალბათ, ქვეყნად მოვა ვინმე, -
მაგ წვას დაინახავს.

## თუ არ გამოჩნდა

ისე დადიხარ, წლებით
დამძიმებულხარ, ალბათ...
მე კვლავ გიდგები ფეხზე,
მე კვლავ თავს გიხრი მდაბლად.

ჩემგან რომ ელი ასე
სიტყვას გამძლეს და შემძვრელს, -
მთელი ცხოვრება მე მას
თავდავიწყებით ვეძებ.

თუ არ გამოჩნდა კაცი -
ნაღდი, გამგები, წმინდა...
თავი შეაკალ ლექსებს,
წერე რამდენიც გინდა.

## ბედის ვარსკვლავი

ასე სულ საოცნებო,
ასე გულმოსაკლავი
სადღაც სულ შორს ანთია
ჩემი ბედის ვარსკვლავი.

ქვეყნად რა არ ვიღონე,
ქვეყნად სად არ ვიარე,
მაგრამ მაინც მის სითბოს
ახლოს ვერ ვეზიარე.

აწი, ბედის ვარსკვლავო,
ნეტავ, შენგან რას ველი, -
რჩები კვლავ საოცნებო
და კვლავ მიუწვდომელი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## ამ ბილიკით

მოველ, ისევ გეკითხებით
მთებს, მინდვრებს და ხრამებს,
ჩემს დაკარგულ ბავშვობაზე
იქნებ, მითხრათ რამე?!

აქ ფრთებს შლიდა სიყვარულით,
არ იცოდა სევდა...
ამ ბილიკით სად წავიდა,
რას ეწია, ნეტავ?!

## კოლხეთის გზაზე

*იგორ კვესელავას*

ამაღლებული
სულ სხვა ბუნება
და სულ სხვა სივრცე
იშლება თვალწინ,
ჩემო კოლხეთო!
აქ მეგულება
და აქ დავეძებ
მე ოქროს საწმისს.

ძველი ტკივილი
თავს შემახსენებს,
ძველი ტკივილით
ამ გზაზე მივქრი...

ვატყობ, არასდროს
არ მომასვენებს
მე მედეაზე
დარდი და ფიქრი.

სულ სხვა სითბო ხარ,
სულ სხვა ალერსი,
საუკუნენი
შენს ფეხთით წვანან...
მაქვს სიზმრის ფრთები,
როცა ჩამესმის
"ოდოია" და
მეგრული "ნანა".

## რაღაც არ კმარა

სული და გული
შემრჩა ანკარა,
ასე ვადნები
ხელში მოლოდინს...
ვატყობ, ყოველთვის
რაღაც არ კმარა,
რომ ბედნიერი
ვიყო ბოლომდის.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# რამაზ გიგაური

## ფისო

*"კატას ერთი უცნაური თვისება აქვს -*
*რაც უნდა იშინაურო, თუ თვითონ არ უნდა,*
*ვერ მოიშინაურებ, და კიდევ - უპატრონო სახლში*
*არ ჩერდება."*

მ.ა.

შეიძლება ჩემი მონათხრობი არავინ დაიჯეროს, მაგრამ, ალბათ, ამ ქვეყანაზე დაბიჯებენ ადამიანები, რომლებიც მიხვდებიან, რისი თქმაც მინდა.

თუმცაღა იმ ადამიანებს (ჩემი ჩათვლით) წუნარი ცხოვრება აღარასოდეს ეღირსებათ...

ის დილა წვიმიანი გათენდა. წვიმა ძალიან მიყვარს, ამიტომ ცუდ გუნებაზე არ დავმდგარვარ, პირიქით...

სახლის კარი სტვენა-სტვენით დავკეტე და სამუშაოსკენ გავწიე. სასიამოვნოდ ჟინჟლავდა...

მშვენიერია იმაზე ფიქრი, რომ წვიმის ერთი პატარა, ციცქნა წვეთი სადღაც ცის სიღრმეებიდან მოექანება, გამოივლის ამხელა მანძილს და მაინცდამაინც შენ ჩამოგეღვრება სახეზე...

წვიმამ თანდათან მოუხშირა, მერე კოკისპირულიც დასცხო, უკვე აღარ ხუმრობდა, ამიტომ რომელიღაც სადარბაზოს შევეფარე, სველი თავი ცხვირსახოცით შევიმშრალე და საათზე დავიხედე - არ მაგვიანდებოდა, ესე იგი, შემეძლო წვიმის გადაღებისთვის დამეცადა.

- რაღა ახლა მოუნდა წვიმა?! - მომესმა ქალის ხმა.

მივიხედ-მოვიხედე, სადარბაზოს შესასვლელში ჩემს გარდა არავინ იყო თუ ერთ ფუმფულა, თეთრ სიამის კატას არ ჩავთვლიდით. ის სველ სახეს თათებით იწმენდდა და ყურადღებით მაკვირდებოდა. ალბათ, მომელანდა-მეთქი, გავიფიქრე.

- რომელი საათია? - აშკარა იყო, კატა მელაპარაკებოდა.

პირველი, რაც გავიფიქრე, ის იყო, გავგიჟდი-მეთქი, მერე მეგობრის რჩევაც გამახსენდა: - დაანებე თავი ამ გურჯიევისა და კასტანედას კითხვას, შენ კიდევ გაგიჟება გაკლია.

ეტყობა, ეს შეშფოთება კატამაც შემატყო: - "თუ არ შეგეშინდება, კარგი იქნება".

მაინც ენაჩავარდნილი ვიდექი და მას შევყურებდი. მისმა (ადამიანურმა?) გამომეტყველებამ თანდათან დამამშვიდა.

- ეჰ. მუნჯი ყოფილხარ, - ტანი შეიბერტყა და წასასვლელად მოემზადა.

- მოიცა, არ წახვიდე რა, - კი არ ვუთხარი, შევეხვეწე.

კატა ისევ უკანა თათებზე ჩაჯდა. ტვინი გამალებული მუშაობდა და ცდილობდა, ამ ამბისთვის ლოგიკური სახე მიეცა. ხან ბულგაკოვის პერსონაჟი ბეჰემოთი გამახსენდა, ხან ის, რომ ძველ ეგვიპტეში კატა წმინდა ცხოველად ითვლებოდა, ხან...

- არ გინდა ჩემთან ლაპარაკი? - შემეკითხა და თვალები მოწკურა.

ჩვეულებრივი ქალის ხმა ჰქონდა - ნაზი, სასიამოვნო ტემბრის, მაგრამ ჩემი კონსერვატული ხასიათის გამო კატის და ადამიანის ხმას ერთმანეთთან ვერაფრით ვაკავშირებდი.

- კი, როგორ არა, - ამოვიოხრე და ჩუმად ვიჩქმიტე, თან გარეთ გავიხედე - წვიმას გადაეღო.

უცბად გონება გამინათდა:

- მომისმინე, აქ ხომ არ ვისაუბრებთ, წავიდეთ ჩემთან, აქვე ვცხოვრობ, - თანდათან ლამაზი მეჩვენებოდა (არადა, მანამდე კატებს დასანახად ვერ ვიტანდი...).

ეროვნული ბიბლიოთეკა

- სადღაც რომ მიდიოდი?!

- არა უშავს, მოიცდის ის ამბავი, - ვუთხარი სასწრაფოდ.

ადგა, ნელა მომიახლოვდა და მითხრა:

- ამიყვანე.

დავიხარე და ხელში ავიყვანე, მისმა სითბომ მთელ ტანში დამიარა...

მოვდიოდი სახლისკენ და ვგრძნობდი, როგორი შურით მიყურებდნენ გამვლელები (თურმე შეიძლება კაცისა კატაც შეგშურდეს, ამაზე ადრე არასდროს მიფიქრია).

უცბად ჩემს ფეხებთან უცხოური მანქანა დამუხრუჭდა:

- არ მოგვყიდი, ჯიგარ, ბლომა ფულს მოგცემთ.

არც შემიხედავს, ვინ იყვნენ, სარკასტულად გავიღიმე და ჩემს სადარბაზოში შევაბიჯე.

სახლში შევედი, ის დივანზე დავსვი, მე სავარძელში ჩავჯექი.

"ახლა ამან მთელი ქვეყანაც რომ შეყაროს კნავილ... უკაცრავად, ყვირილით, მაინც არსად არ გავუშვებ. გავგიჟდები, მოლაპარაკე კატა?! ვინ დამიჯერებს?! ქეთის დავურეკავ, რა "დაიშოკება".

ავდექი, მაცივრის კარი გამოვაღე, ერთი ბოთლი ლუდი გამოვიღე, გავხსენი და მოვიყუდე.

- კარგი მასპინძელი ყოფილხარ. იქნებ, მეც მინდა, არ უნდა შემეკითხო?! - გამომარკვია მისმა ხმამ.

- ეს რძე არ არის, თუ გშია, ჩავალ და ამოვიტან, - ჩავჯექი ისევ სავარძელში.

- ლუდი ძალიან მიყვარს, მომიტანე ერთი ბოთლი! - არ ვიცი, მიბრძანა თუ...

"აუჰ, მოლაპარაკე კატას უყვარს ლუდი. ყავაზე მკითხაობა თუ იცის, ნეტავ?"

- ყავაზე ხომ არ მკითხაობ? - მივაწოდე ჩემი ბოთლი, თან ხელით ვანიშნე, ლუდი მეტი აღარ არის-მეთქი.

მან ბოთლს თათები მოხვია, მოიყუდა და ... გამოცალა, მერე ისევ ისე დაწვა და თვალები მინაბა:

- რა მკითხე??

- ყავაში თუ იხედები-მეთქი?! - გულში გავბრაზდი, ლუდი მთლად რომ დამილია.

- არააა... - გააგრძელა: - მაგრამ პიანინოზე ვუკრავ, კიდევ - გიტარაზე. ჰო, ლექსებსაც ვწერ, - დაამატა ბოლოს.

- მერე რა, ლექსებს მეც ვწერ, - ავუბზუე ცხვირი.

- აბა, წამიკითხე, - მოეწყო მოხერხებულად.

მე ის ლექსი წავუკითხე, რომლის გულისთვის ავანგარდული პოეზიის საღამოზე პომიდვრები დამიშინეს.

- არა უშავს-რა, - შემაქო გულწრფელად.

გამიხარდა, ადამიანი ხომ არ მაქებდა, ტყუილად რომ დაეწყო ჩემი ცაში აყვანა, გენიოსი ხარო.

- მოიცა, სახელი რომ არ გითქვამს, - ვუთხარი უცებ.

ხმამაღლა გაეცინა:

- როდის შემეკითხე?

მისი სიცილი გულში თბილი წყლის ნაკადივით ჩამეღვარა...

- ახლა გეკითხები, რა გქვია?

- უბრალოდ, ფისო დამიძახე.

- ფისო??

- ჰო, ფისო, რა, არ მოგწონს?

- ეგრე ხომ კატას ეძახიან, ფისო იგივე კატაა.

- კატა შენ თვითონ ხარ, მე ფისო ვარ!

- ჰოოოო...

- შენ რა გქვია?

- მე? მე... რამაზი.

- არ მომწონს, გაგაის დაგიძახებ.

- გაგაი, გაგაი რაღა არის?!

- შენ გაგაი უნდა გერქვას, გა-გა-ი, შე პაპის ცრემლების შემგროვებელო...

მკერდში რაღაც გამიღღვა - პაპა ერთი თვის მკვდარი მყავდა.

- ფისო, პატრონი გყავს? - შევეკითხე და გული ამიფართხალდა.

- აბა, უპატრონო ხომ არ ვიქნები?! - მომეჩვენა, რომ მწარედ გაეღიმა.

- ფისო, დარჩი ჩემთან, დარჩი რა, გეხვეწები.

- მერე, შეძლებ ჩემს პატრონობას, გაგაი?

- შევძლებ, შენი გულისთვის მთებს გადავდგამ, ოღონდ დარჩი.

- არა, მთების გადადგმას არ გთხოვ, უბრალოდ, არ შემზღუდო და არ გამძარცვო, შეძლებ?

- შევძლებ ფისო, შევძლებ, შენ აბსოლუტურად თავისუფალი იქნები, მძარცველი კი ჩემს სიცოცხლეში არ ვყოფილვარ და რაღა ახლა გავხდები?! - ვღრიალებდი ხმამაღლა.

ვგრძნობდი, რომ მე გი მიყვარდა, ვგრძნობდი, რომ მისი გულისთვის ყველაფერს გავაკეთებდი, ყველაფერს შევძლებდი.

ფისო დარჩა...

სადღაც წამიკითხავს, ცაში თმით ვეკიდე და დაბლა ცეცხლი მქონდა შენთებულიო - აი, ასე ვიყავი იმ ხნის მანძილზე, რაც ფისომ ჩემთან იცხოვრა. ეს დრო შვიდი თუ რვა თვე იყო, მერე... წავიდა, ალბათ, ძველ პატრონს დაუბრუნდა.

მე? მე დიქტატორი და მძარცველი ვყოფილვარ და არ მცოდნია.

ის რვა თვე მეზობლები ჩემზე ჭორაობდნენ: - სახლში ალი ჰყავს, ღამღამობით მისი სახლიდან გიტარის დაკვრის და ქალის სიმღერის ხმა ისმისო.

ზოგი უფრო შორსაც მიდიოდა და იმასაც იძახდა: - კლეოპატრას სული ცოლად მოიყვანაო.

ეს ყველაფერი მერე გავიგე.

სანამ ის ჩემთან ცხოვრობდა, არავისთვის არაფერი მითქვამს (უბრალოდ, ბედნიერი ვიყავი და ამით ვტკბებოდი.), მერე კი აზრი დაკარგა ვინმესთვის რაიმეს მოყოლამ - ვინ დაიჯერებდა?! შეიძლება, ისიც კი წამოეძახებინათ: - შე, შეშლილო, თუ მოლაპარაკე კატა სახლში გყავდა, რა ჩუმად დაიარებოდიო?

არ ვიცი, ხანდახან ამ ამბავში მეც ეჭვი მეპარება ხოლმე, იქნებ და, ყელაფერი სიზმარი იყო-მეთქი.

თქვენ როგორ გგონიათ?..

## ჯოჯო...თხე

"ალაჰის მეომრებო, თქვენ ალაჰმა აგირჩიათ და დიდი პასუხისმგებლობა გეკისრებათ. ნუ იფიქრებთ ნურაფერზე, გარდა ალაჰისა. ხვალ თქვენ ალაჰს შეუერთდებით. ალაჰი დიდია..."

*******

"უდიდესი ტერორისტული აქტი მოხდა ნიუ-იორკში - ასსართულიან ცათამბჯენებს სამგზავრო თვითმფრინავები შეასკდნენ. ორივე ცათამბჯენი, რომლებიც ერთმანეთის გვერდით იდგნენ, ჩამოინგრა. წინასწარი მონაცემებით, დაიღუპა ხუთი ათასი ადამიანი, დაკარგულად ითვლება ოცდახუთიათასამდე. ფბრ-ს ცნობით, თვითმფრინავებს არაბი ტერორისტები მართავდნენ".

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * * * * * *

- "მაშ, რა ეგონა, იაპონიაში ატომური ბომბები რომ ჩამოყარა, შერჩებოდა?!"
- "ეგეც ვიეტნამელების პასუხი, ვენაცვალე ვიეტნა... რას მირტყამ, რა, შენი გაზრდილი კი არა ვარ".
- "ხალხმა რა დააშავა, ამ ბინ-ლადენის დედა ვატირე!"
- "გაიგეთ, ოსამა ბინ-ლადენი ქართველი ყოფილა - ოსიკო ბენდელიანი".
- "თქვენ, რაც გინდათ, ისა თქვით, მე კი მითქვამს, ამ საქმეში რუსების ხელი ურევია".

* * * * * * *

"გამოდიოდა მასთან იუდეველთა მთელი ქვეყანა და ყველა იერუსალიმელი და მდინარე იორდანეში მის მიერ ინათლებოდნენ და თავიანთ ცოდვებს აღიარებდნენ. მას ემოსა აქლემის ბეწვი და წელზე ტყავის სარტყელი ერტყა და ჭამდა კალიასა და ველურ თაფლს.

ქადაგებდა და ამბობდა: "ჩემს შემდეგ ჩემზე უძლიერესი მოდის, ვის წინაშეც არა ვარ ღირსი დავიხარო და სანდლის თასმა გავუხსნა. მე წყლით გნათლავთ, ის კი სულიწმინდით მოგნათლავთ".

* * * * * * *

ხუთი პროცენტი ნაგვის ბუნკერს ავსებდა, ორმოცდაათი ცლიდა, დანარჩენი გავაჭრებულიყო, გაჯიბგირებულიყო, გამეძავებულიყო...

და... "საქართველო გაყიდულიყო".

"ეჰა, მეომარნო - ქრისტესანო..."

ერთმანეთს დარეოდნენ პოლიტიკოსები, მეცნიერები, მწერლები...

მალიმალ ახსენებდნენ პოეზიის ფერს...

წაებილწათ ილია, ვაჟა, გალაკტიონი...

ვინ იყო პატრონი - იტაცებდნენ ყველაფერს და ჰიანი კბილებით ღრღნიდნენ, ღრღნიდნენ და აშმორებულ მუცლებს ივსებდნენ.

ერთ... ორ... სამოთხ...

ჯოჯოხეთი იყო პირდაპირ.

მთელი ძალით გაჰყვიროდნენ: - "ივერია გაბრწყინდება..."

საარჩევნო პლაკატზე ვიღაცას მიეწერა: "მას ხმა არ მისცეთ, ის ფაშისტია!"

"აცე, ვირო, არ წაიქცე, ალავერდობა მოდისო".

ცხოვრება გაძლებაზე იყო.

"ალაჰის მეომრებო... ებო... ებო.. ბო... ბო... ო...

* * * * * * *

"მოინანიეთ, ვინაიდან მოახლოებულია სასუფეველი ცათა".

"მოინანიეთ, ვინაიდან მოახლოებულია სასუფეველი ცათა".

მოინანიეთ...

## სტრიქონები გაუგზავნელი წერილიდან

... ალბათ, არეულად გწერ და მაპატიე.

... ამ ზაფხულს ზღვაზე ვიყავი, ერთ საღამოს - უცებ - თავის დახრჩობა მომინდა, ზღვაში ყელამდე შევედი და... შემეშინდა.

... იცი, რა წარმოიდგინე?! ბავშვს რომ საჩუქარს მისცემენ, დაიწყებს ბავშვი თამაშს და ამ დროს ისევ უკან წაართმევენ საჩუქარს. წარმოიდგინე იმ ბავშვის სახე საჩუქრის წართმევიდან ატირებამდე, სწორედ ეგ არის ჩემი ცხოვრება.

... ათას მეერთედ დავრჩი გაოცებული და ნაწყენი.

... ამასწინათ ერთი არაბი მწერლის წიგნი წავიკითხე. იცი, რას წერს: ღმერთი ყველაზე ცოდვილ ადამიანებს მარტოობითა და შიმშილით სჯისო. - სხვამ თუ არა, შენ ხომ მაინც იცი, რომ მთელი ცხოვრება მარტო ვიყავი და მთელი ცხოვრება მშიოდა.

... ვერ წავედი ბარსელონაში, "პესეტების დედოფალიც" გათხოვდა.

... ძალიან გთხოვ, ცოტა ფული გამომიგზავნე, რა...

... ამ ზაფხულს ზღვაზე ვიყავი და... თუმცა ეს უკვე გითხარი. ჰო, მართლა, ამასწინათ წმინდა გიორგის ეკლესიაში პატრიარქმა დამლოცა - ტაძრიდან რომ გადიოდა, შეჩერდა, გამიღიმა და თავზე ხელი გადამისვა. ძალიან გამიხარდა. ისე, ჩემი დარდი არ გქონდეს.

... კარგად იყავი, მომავალ...

... გამარჯობა, მე ძალიან ცუდად ვარ!..

## „პატარა უფლისწული"

*პატარა უფლისწული ხომ ყველამ იცით.*
*მეც მყავს ასეთი უფლისწული სახლში, მასზე*
*დავწერ და პლაგიატს ნუ დამიძახებთ, გთხოვთ!*

- გილოცავ დაბადების დღეს.

თვალებს ვახელ, უფრო სწორად, თვალს, რადგან მეორე დასიებული მაქვს. ჩემს ერთიბეწო ოთახში ერთიბეწო ბიჭი დგას.

- გილოცავ დაბადების დღეს.

მუცელში ჩავარდნილ ენას ძლივს ვპოულობ:

- დიდი მადლობა, მაგრამ...
- მაგრამ მე ვინ ვარ, აქ როგორ მოვხვდი და რა მინდა, არა?

ჯანსაღ თვალს ვხუჭავ და საბანს თავზე ვიფარებ.

"დღეს ჩემი დაბადების დღეა - ოცდაერთის გავხდი. არც სუფრა, არც მეგობრები, არც ნათესავები, მხოლოდ ვიღაც თმაგაბურძგნილი ათიოდე წლის ბავშვი, რომელსაც "შორტები" აცვია, დაბადების დღეს მილოცავს. ფიუუუ, პატარა უფლისწული?!"

- არა, პატარა უფლისწული არა ვარ, მე შენი ანგელოზი ვარ, - მესმის საბნის ქვეშ.

საბნიდან თავს ვყოფ და ბავშვს ვაშტერდები. ბავშვი მიყურებს, მიყურებს...

ჩვეულებრივი ბავშვია - "შორტები" აცვია, ფეხზე სანდლები, ტანზე... არაფერი.

- რა გინდა, შვილო? - ვითომ მასზე ძალიან დიდი ვიყო.
- მე შენი შვილი არა ვარ, მე შენი ანგელოზი ვარ, - ლამის ტირილი დაიწყოს.
- რა გქვია? - ხომ უნდა გავიგო, ჩემს ანგელოზს რა ჰქვია.
- გიორგი, - უბრწყინავს თვალები.

ტანზე ბეწვი მეშლება - გიორგი მამაჩემს ერქვა, ომში დაიღუპა - აფხაზეთში.

- მამა, - მიკანკალებს ხმა.
- მე შენი ანგელოზი ვარ, - თვალებში ციური სხივი უდგას:
- რატომ აცემინე თავი გუშინ იმ ვიგინდარებს?!
- აბა, რა ვიცი, ქალს ფულს პარავდნენ და... - ხელს

ვიდებ დასიებულ თვალზე.

- მერე შენ წესრიგის დამცველად ვინ დაგნიშნა?! - მიღიმის თბილად, მერე ჩემს საწოლზე ამოდის და პატარა, სუსტი ხელებით თვალს მისინჯავს, ხელებში უცნაური სუსხი აქვს.

- არაფერია, გაგივლის, - მეუბნება ღიმილით, მერე წარბს იკრავს: - და საერთოდ, ამ ბოლოს დროს ძალიან აუშვა აფრები - ლექციებს აცდენ, ეკლესიაში აღარ დადიხარ, თვალები... ჰმ, სადღაც გაგირბის და, რა ვიცი, რომელი ერთი ჩამოვთვალო. საკუთარი დაბადების დღეს კი თავის მოკვლაზე ფიქრობ, არ გრცხვენია?

- მაპატიე... მაპატიე, გამოვსწორდები. გპირდები, - ის იქით ტირის, მე - აქეთ.

ტელეფონი აწკრიალდა. მე მას ვუყურებ.

- აიღე, შენი ლექტორია, დაბადების დღე უნდა მოგილოცოს.

ყურმილს ვიღებ, ჩემი ლექტორია, დაბადების დღეს მილოცავს, მადლობას ვუხდი და ყურმილს ვკიდებ.

გიორგისკენ ვტრიალდები:

- კარგი კაცია და... - სიტყვა მიწყდება - გიორგი აღარ არის.

- გიორგი, მამა... მამა! - ლამის ხმამაღლა ავღრიალდე.

მაგიდაზე დაგდებულ წერილს ვამჩნევ, ხელში ვიღებ და კითხვას ვიწყებ:

"ძვირფასო, არ ინერვიულო, აქ ბრძოლაა, ამიტომ მეც ვიბრძვი. ისე, რომ გითხრა, ჩემი ავტომატი კანფეტებს ისვრის-მეთქი, დამიჯერებ?

ძალიან მიყვარხარ და მენატრები. წუხელ სიზმარში შენ და ბავშვი გნახეთ. ფული თუ დაგჭირდეს, ჩემს ბიძაშვილს - ოთარს ესესხე, ჩამოვალ და გადავუხდი. არაფერზე იდარდო. რამაზს გაუფრთხილდი, ხომ იცი, როგორი ამაყია, უსამართლოდ შენიშვნა არ მისცე. პირველ სექტემბერს სკოლაში ძველი ტანსაცმლით არ გაუშვა. ახლა მეძახიან, მივდივარ. გკოცნით ორივეს ძალიან ბევრს".

შენი გიორგი იარაჯული

P.S. ჰო, მართლა, ახალი ამბავი უნდა გითხრა. აბა, მოემზადე. მისმენ? მე შენ ძალიან მიყვარხარ!

ტელეფონი ისევ აწკრიალდა. ყურმილს ვიღებ:

- გისმენთ.

- გილოცავ დაბადების დღეს, ჩემო ვაჟკაცო. ჯანმრთელი და ბედნიერი ყოფილიყავი. დაგლოცოს შენი გვარის სალოცავებმა.

- დიდი მადლობა, დედა.

- რამაზ, დილას აღარ გაგაღვიძე. მამაშენის წერილი ვიპოვე შემთხვევით, მაგიდაზე დაგიდე, წაიკითხე. არ ინერვიულო. მე სამსახურიდან გავენთავისუფლები და ადრე მოვალ. სიურპრიზს გიმზადებ.

- კარგი, დედა. ჰო, მართლა, იცი, მამამაც მომილოცა დაბადების დღე.

- კარგი ერთი, რას ცუღლუტობ?!

- შენს თავს ვფიცავარ, აი, საღამოს მოგიყვები.

მართლაც და, როგორ მოვყვე, მამაჩემი პატარა ბავშვის სახით გამომეცხადა-მეთქი. მოიცა, როგორ მითხრა, აფრები აუშვიო, არა?!

აბა, რამაზ იარაჯულო, სიცოცხლე მშვენიერია, ადამიანები ლამაზები არიან, შენში სინათლე და სიყვარულია, ამიტომ სრული სვლით მზისკენ!



ეროვნული ბიბლიოთეკა



# აკაკი სურმანიძე

## სავიზიტო ბარათი

როგორც სულის ყვავილი,
მომიძღოდა მარადის
მადლი ხალხურ სიმღერის -
სავიზიტო ბარათის.
ნაბადივით მესხა და
ყაბალახადა მეხურა
ჩემი "ოდოია" და
ჩემი "ხასანბეგურა".
სულ თილისმად ვატარე
სტვირია თუ ფანდური;
ხმალის ჟინი - "ჩაკრულო"
მკლავის ძალა - "ნადური".
რადგან ღმერთის მესმოდა,
ვიყავ ჯვარზე გაკრული.
ჯვარით გარდამოხსნაა
"აჭარული მაყრული".
დღემდე ასე ვიარე
უზნეობის მგმობელმა,
მიხსნა ჩემმა სიმღერამ,
სულის სალაღობელმა.
მიწით ვიდრე ცათამდე
მაკავშირებს მარად ის;
მაშ, დიდება სიმღერის -
სავიზიტო ბარათის.

## სიცოცხლედ მიღირს

არის "მგზავრული",
არის "ურმული",
არის "მხედრული" და
არის "რერო",
მე ეს ქვეყანა ასე ვიწამე
და ახლა მიჭირს, არ დავიჯერო!
არის კირთება,
არის კვეთება,
გვარზე ხტუნება უბელო კვიცის.
ირგვლივ ბურია,
მზეა და ქარი
და ეს კოშმარი კრწანისმა იცის!
ცხელია ქვიშა,
გრძელია გზები,
ამ გზებით ბდღვირი უნდა იდინო,
სადაც წეროებს აქვთ პაემანი,
იქვე მწყერჩიტას კორტნის მიმინო!
იყო "მგზავრული",
იყო „ურმული",
იყო "მხედრული" და
იყო "რერო".
მე ეს ქვეყანა სიცოცხლედ მიღირს,
მინდა, სიმღერით რომ შევაჯერო!

●●●

სულ ჩემი ქვეყნის გული მეძახის,
დედის გულივით სათნო, კეთილი,
ხატი - სანთლების შუქით გამთბარი,
ცრემლი - მირონად ჩამოღვენთილი.
სულ პოეზიის ძუძუს მაწოვებს
მშობელი ცის და მიწის ჯავარი,
წარმართი იყო თუ ქრისტიანი
ერთობა არი მისთვის მთავარი!
სიმართლე არი მისთვის მთავარი
და სიყვარული ფერშეუცვლელი,
რადგან ძირმწარე გაკვეთილია
"ქართლის ცხოვრების" ყველა ფურცელი!

შეგინდოს ღმერთმა

*ი.ბ-ს*

რატომ მეწვიე სიზმარში წუხელ
გამოწყობილი ცისფერ კაბაში,
ჩემს სულის ყვავილს თუკი გაუმხელ,
წავალ და ლამაზ წიგნად გადავშლი!
ვერ ამიხსნია მე ეს ჩვენება,
რა წყალს მივეცე, სად დავიკარგო,
იქნება, შენი მშვენიერება,
ჩემგან შენდობას ითხოვდა, კარგო,
ვერ ამიხსნია და გეკითხები:
- რა წყალს მივეცე,
სად დავიკარგო?!

გაქრა ის ძველი აყალმაყალი,
მასთან გიჟმაჟი ლტოლვაც წავიდა,
მახლავს ვნებები ახალთახალი,
მიტომ ყველაფერს ვიწყებ თავიდან,
გაგირბის ხანა ჯულიეტასი,
ხედავ? - რომეოს ეშხიც წავიდა!

ვერ დავიამე ნაღველი ჯერაც,
კვლავ მარტოობით უნდა ვეწვალო,
შეგინდოს ღმერთმა,
ოღონდ სიზმარშიც
არ გამცვალო და
არ გამეცალო!

უწყვეტი გამა

აკვნის კამარა,
თმის კავი და
სანთლების სამა, -
აი, დიადი სამი ძალის უწყვეტი გამა.
მომავლის მზერა,
ხშირი სუნთქვა
და სავსე უბე
ვით სიცოცხლის და სიხარულის უშრეტი გუბე.
ჩვეული ჟინი,
არტახები და
აკვნის რწევა, -
თავისუფლების ძიებისთვის სიყრმითგან ჩვევა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ლელა ბჟინავა

## რვალიდან - სევდის ზღვა

**(ნამდვილი ამბავი)**

### ნანა, ქოგალე!

*დუშას და ჟუჟუნს - ჩემს უნახავ ძმიშვილებს, რომლებიც ცრემლის წვიმას ჩაჰყვნენ სევდის ზღვაში*

დეკემბრის სუსხიანი დღეა. ამსვლელს ჩამომსვლელი ჭარბობს, ამეკვიატა ბავშვობაში მეგობრისგან ნათქვამი. ესკალატორის კიბე ჩავათავე. ვაგზლის მოედანზე მილეთი ხალხი ირევა. ვინ ყიდის, ვინ ყიდულობს, ვინ იწყევლება და ვინ მღერის. დუღს, ქოთქოთებს და ფუსფუსებს ვაგზალი.

ვიღაცამ მუჯლუგუნი მითავაზა.

- გზა, გზა! - იყვირა მებარგულმა.

ხალხი ნელ-ნელა წინ მიიწევს. შავად შემოსილი ქალი გორგოლაჭებიან ჩანთას მიახრიგინებს. კაბის ბოლო შემოუტეხავი; კოჭებამდე შავი თავშალი; ზურგს უკან ჩქარი ნაბიჯი. მოხედვაც ვერ მოვასწარი, ჩამიქროლა. ქალმა ჩანთიანად მეორე კუთხისკენ მოინაცვლა. ბიჭმაც მოინაცვლა.

დაიღუპა ქვეყანა! - გავიფიქრე, ფეხს ავუჩქარე. ქალმა შეისვენა.

- ქალბატონო, ერთი წუთით! - მხრებზე ხელი წაატანა ბიჭმა.

- რა იყო? - მიუბრუნებლად იკითხა ქალმა.

- მაპატიეთ!.. - თავი დაღუნა ბიჭმა.

ქალი მობრუნდა. კივილი: ნანა... ქოგალე... ნანა... ჰაერში აფრიალდა შავი მანდილი. შავი ძაძა ნაფლეთ-ნაფლეთად დაიყარა მიწაზე.

- სიარულზე გიცანი, დედა! - ჩურჩულებდა დედის მკერდში მოქცეული ბიჭი. ტიროდა დედა, ტიროდა შვილი და ტიროდა ვაგზალი.

დეკემბრის ქარი დედის გულმკერდზე შემორჩენილ მედალიონს აქანავებდა. ცას დედის შეკივლება აკრთობდა: ნანა, ქოგალე!

იმ დღეს ომზე არ მიფიქრია.

უფალო, შემინდე!

### თამარიე

ყოველდღე ასეა - დილას, შუადღეს, საღამოს.

- ფრრრ... ფრრრ... თამარიე ვარ... ლამაზი ვარ, ლამაზი... ფრრრ... ავფრინდები... ფრრრ... თამარიე ვარ... მაჭარი ვარ... ფრრრ...

- დაწექი, ბებია, გაცივდები, რამ აგაყენა ასე ადრიან, შვილო, დაწექი - თხოვს ინგულია ბებია.

- ფრრრ... ბებია ინგულია... ფრრრ... თამარიე და ქვეყნის თვალი ვარ... ფრრრ...

მოხუცი დედაკაცი თავის გზაზე მიდის. აფრებაშვებული გოგო ყოველდღე ასეა - დილას, შუადღეს, საღამოს. გუგა ბაბუას რომ ჰკითხოთ, თამარიე ცხოვრებას ეჯაჯგურება, ცხოვრება კი თამარიეს აყანყალებსო. ბებია ინგულიას აზრით, შექანდა, ნენა, ქვეყანა და შექანდა თამარიეც.

ყოველდღე მოაქვს ბონდოს თამარიესთვის ყვავილები.

- ფრრრ... ფრრრ... ბონდოიე...

... და ყვავილები ქარში მიფრინავენ.

- შეხედე, ბონდო ბიჭო, მიხდება ეს კაბა, თათულა დეიდასია; კარგია, ხომ?!

- კი, შიგ ცოტას რო არ ქანაობდე.

- სად იყავ, ბონდოია?

- სხვაგან. თამარიე, ბესია მოკვდაო, მართალია?

გალესეული ბიბლიოთეკა

- რა ვიცი, ბონდოია, ქე მოასვენებდნენ... ფრრ... ბესია... ფრრ. ბონდოია...

მერე გადაჭრილ მორზე ჩამოჯდება თამარიე და იწვიმებს თვალებიდან ცრემლები.

- ცოცხლად დამარხული ობოლი საფლავი ვარ... ვინ მიტირებს, ბიჭო, მე... წვიმა, თოვლი?

- მე გიტირებ, თამარიე, მე! - ამშვიდებს ბონდო ბიჭი.

- მართლა? ჩამახედე შენს კატის თვალებში, ბონდოია. გაფიცებ, რა?!

- ვფიცავ!

- აუ... აუ... ფრრ... გესმით, ბონდოია მიტირებს... აუ, აუ.... ფრრ... ცრემლები დამისველებს საფლავს, ბონდოიას ცრემლები... ფრრ...

თამარიე ხეს მიეყრდნობა, თვალებს მილულავს, გააპობს გახეთქილ ბაგეებს, ჩუმად იტყვის:

- ფრრ... საქართველოს ისტორია ვარ!

- რა? - გაოგნებული კითხულობს ბონდო ბიჭი.

- რა და ისტორია! - იმეორებს გოგო.

- როგორ?

- ჩვეულებრივ. მე, თამარიე, ისტორია ვარ... უპატრონო, უძირო, უსახლკარო, უსამშობლო... არა ვარ ახლა, ბონდოია გამოთაყვანებული, ისტორია, აბა, რა ვარ?!.. ისტორია ვარ, მაშ?!

- კაი ახლა, გეყოფა, შე აფეთქებულო, მსხმოიარე ატამო. - ბობოქრობს ბიჭი.

- რა გაუვირებს, ბონდოია ჩერჩეტო, გადაგრია მამაზეციერმა, ხომ...

ბონდოია ეკლესიაში შედის, სანთლებს ანთებს, ბუტბუტებს:

"ღმერთო, შენ უშველე ჩემი თამარიეს სულს, შეშლილს უსაშველო ბოდვებით... დამიჭკვიანე ჩემი თამარიე... დამიბრუნე რა... დაუძახოს ხალხმა თუნდაც მერე ნაგიჟარი... მოახედე, უფალო, თამარიე ჩემკენ... გევედრები, მაცხოვარო, გევედრები"...

ფრრ... ფრრ... ფრრ...

გარეთ, გორაკზე ნასხვისარი კაბა ფრიალებს.

## გაზაფხული მართლაც მალე მოვიდა

მორზე ჩამომჯდარი ჩამოფლეთილი ჩონჩხი შეირხა. მეორემ მიწიდან წამოყო თავი. ირგვლივ ძეხორციელი არ ჭაჭანებდა. ჩაცუცქულმა ამოისუნთქა.

- უჰ - არყის და ნივრის სუნი ამოიტანა.

- შენ იცი, რა არის სიყვარული? - იკითხა.

- რა? - ჩაეკითხა ჩონჩხი.

- სიყვარული რაა? - გაუმეორა.

ჩონჩხმა მარჯვენა ხელის საჩვენებელი თითი შუბლთან მიიტანა და დაატრიალა.

- შენ კარგად ხარ? - გარშემო ნაღვლიანი მზერა მიმოავლო.

- ჰო, როგორც ჩვენს ყოფნას შეეფერება, "ნიჩევო", ვასია, არა მიშავს რა.

- ეჰ, თეოდორ, რა დროს სიყვარულია, მაგის რჯული არ იყოს... ვკვდები, ბიჭო... - წაილუღლუღა ვასიად წოდებულმა ჩონჩხმა.

- სიკვდილშიც არის სითბო, - თეოდორმა ჩაიბურტყუნა.

- სიკვდილში თავისუფლება და სიმშვიდეა მეტი, - შეუსწორა ვასიამ.

- მაინც რაა სიყვარული? - არ მოეშვა თეოდორი.

- არ ვიცი. არ მახსოვს. მოიცადე... გავიხსენე. ძალიან თბილი იყო, დედა შუბლზე რომ მკოცნიდა. თვალებს ვხუჭავდი. სასიამოვნო იყო. მერე თითებს ხუჭუჭა თმაში ჩამიყოფდა. დიდხანს რჩებოდა გარინდებული. ჰე, წავიდა ყველაფერი იმ გამქრალ საფლავთან ერთად, რომელიც ძალიან შორს დარჩა, ტობოლსკის მხარეს. მას შემდეგ გამომშრალი, დაცლილი, ცარიელი მოვდივარ, არსად არ ვჩერდები.

ვასიამ ბოღჩა თავისკენ გადმოსწია, გახსნა.

- ეს შენ, თეოდორ, გამოგადგება. მე მივდივარ. უსაფლაოდ არ დამტოვო, ბიჭო. - ფეხსაცმელი გაუწოდა.

- მალე მოვა გაზაფხული?

- ჰო...

- Мы так случайно в парк встречали - ვასიამ ერთი ამოიხრიალა და გათავდა.

- უფალო, შემიწყალე, ვიღაცა უყვარებია, - ჩაიდუდუნა თეოდორმა, ობოლი ცრემლი ცხიმიან სახეზე ჩამოუგორდა.

გაზაფხული მართლაც მალე მოვიდა.

"აუდიენცია" იუწყებოდა: დღეს თბილისის შემოგარენში საგაზაფხულო სამუშაოების შესრულების დროს, უცნობი მამაკაცის გვამი აღმოაჩინეს. გარდაცვლილს ძალადობის ნიშნები არ აჩნევია. მიმდინარეობს გამოძიება.

მარჯანიშვილის ქუჩის ერთ-ერთი კორპუსის სადარბაზოში მთვლემარე თეოდორს მინდორზე დაბინავებული ძმაკაცი ესიზმრა.

- აქაც არ მომასვენეს, თეოდორ... ეხ, აღარ დამაყენეს, ბიჭო.

თეოდორი შეიშმუშნა. თვალი გაახილა. კიბის ქვეშეთიდან ჯერ კიდევ ღამის თბილისი ჩანდა.

## დაგვიანებული მადლობა

მიწას უაზროდ ჩაშტერებოდა. მარჯვენა ხელს ქვიშაზე ოკრობოკრო ნახატები გამოჰყავდა.

- როგორა ხარ? - მიესალმა მეზობელი ონოფრე.

- შემზადებულად! - უპასუხა.

- შემზადებულად? - ჯოხზე იდაყვი დაადო ონოფრემ.

- რა იყო, ბატონო ონოფრე, გასამგზავრებლად ვარ შემზადებული.

- იქნება, ხელს გამაყოლო?

- მოასწრებ!

- რა რებუსებით მელაპარაკები?! - ხელი ჩაიქნია ონოფრემ და გზა განაგრძო.

ის ჭაღარათმიანი, შავეთში გასამგზავრებლად გამზადებული ქალი, ფიქრით ძალიან შორს მიცურავდა. ჩათვლიმა. მოეჩვენა, იმ გზის ბოლო მონაკვეთში, რომელსაც მისი სიკვდილი ერქვა, სინათლე მოჩანდა.

შეიძრა სოფელი. კაცმა, რომელსაც ქმარი ერქვა, უხეში ნაბიჯით ოთახში შეაბოტა, ტახტს შემოუარა და წავიდა. აღარც გამოჩენილა. წუხდნენ.

ქალის სხეულს მიწა ითხოვდა. პროცესია ზანტად მიდიოდა.

- მოდის! - შეიცხადეს წინა რიგებიდან.

აწეწილი, ჯაგარათმიანი კაცი, ხელში მინდვრის ყვავილების თაიგულით, ცხენს მოაგელვებდა. კაცი პროცესიას გაუსწორდა. ყვავილები ჰაერში აისროლა. ნახევარი კუბოში ჩაცვივდა. კაცი, რომელსაც ქმარი ერქვა, ცხენიანად გაუჩინარდა.

როცა კუბოს სარქველი დაახურეს, ერთ-ერთი მესაფლავე იჩწმუნებოდა, მიცვალებულს იმ მინდვრის ყვავილების ფერი დაედოო.

იქნებ, მართლაც ასე იყო?!

ვინ იცის?!

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მდინარე

იყო ერთი მდინარე ორი ნაპირით. გაღმა - ხალხით, გამოღმა - ხალხით.

- ეჰეი...

- ოჰოი...

გოგო იქმნა ქალად, ბიჭი იქმნა კაცად.

- ოხ...

- ეხ...

წავიდნენ სხვადასხვა გზით.

ქალი ჩადიოდა ქალაქში.

- სად მიხვალ?

- სასყიდლებზე.

ჩამოდიოდა ხან ცარიელი, ხან სავსე.

გავიდა დრო. გაუთხოვდა იმ ქალს შვილი ქალაქში. ახლა უფრო უხშირა სიარულს.

- სად მიხვალ?

- შვილთან.

დაქვრივდა ქალის გოგო. დაბრუნდა სოფელში. ვეღარ დადიოდა ქალადქცეული გოგო ქალაქში. გახდა. როგორ ჩამოხმა? - შეიცხადეს მეზობლებმა.

იწყო ქვამ შლა. მერე? მერე... იყო ეგრე, ერთი მდინარე ორი ნაპირით. გაღმა - ხალხით, გამოღმა - ხალხით.

იყო გოგო და იყო ბიჭი.

## მზე ყველგან ანათებს

მიგრიალებს მანქანა. რიტმული გულის ძგერა. მზე დასავლეთისკენ გადაიხარა.

- ბენჟამენისთვის სიყვარული ეს არის ის, როცა გრძნობ, რომ გიყვარს და, როცა გრძნობენ რომ უყვარხარ.

- ანტონიო, რას შობი, ბებია, მანდ?

- ვაკაკუნებ.

- ნუ იზამ, არ დაგვღუპო, ძვირად დაგვიჯდება მაგათი გამოღვიძება.

- ბაბუა, თბილისი კრუხია?

- რას ამბობ, ბაბუკო?

- აბა, თავის ფრთებქვეშ ყელას შეიფარებსო.

- გაუმარჯოს რევოლუციას!

- აბა, რა!

- თინია, თინია, რა ხდება აი, იქ? - ხელებს იშვერს თათია ცისკენ.

დიდი უბედურებაა ვნებააშლილობა. ზოგის სახლიდან სამყარო შეიცნობა. ყველაფერი მოძრაობს. მოქმედებს. ბილიკი, ორღობე, ქუჩა - ყველა გზა მზიანია. მზე ყველგან ანათებს. კარგია განათებული გული.

- სად მიხვალ მაგ ძაღლით, ლევარსან?

- ქორწილში.

- მერე და ძაღლით?

- ოჯახით ვარ დაპატიჟებული.

- ჰმ!

- რა, ჰმ?

სიცოცხლე ზღაპარია. ზღაპარი რაა? - სიზმარი, ცუდი და კარგი დაბოლოებით. ლტოლვა - ესაა, ფრთები გაშალო და აფრინდე.

- რას შვრებიან ლტოლვილები?

- უცდიან ფრთების გაშლას.

წვიმს. დაიქცა წვიმის მომგონი. ცრემლებს გაუმარჯოს. არ გამხდარა ჩხირივით. მოდის, მოდის, მოდის.

- მართლა მოვა?

- ისე ადგა ბაბუაშენი.

"აღარც დაბნეული მძივი ვარ და აღარც მარცვალმარცვალ ვიკრიფები" - სიმღერა ეთერში. კაციც შენ უყოფილხარ და ქუდიც შენ გხურებია.

- ო, ეს პარლამენტი.

- "მოდი, ნახე და იცანი, არც შენ ინანებ, არც ისა".

- რას გვაძლევს ქათამი?

- კვერცხს, ხორცს, ბუმბულს.

- რომელი ჰუმანიტარული ორგანიზაციაა, ნანა, მაგი?!

პატარძალი მოიყვანეს. დედამთილი ღელავს. იბზარება ოჯახი.

- სარა!

- რაა, დანიელ?

- აი ჩვენი ბიჭი, სტრაიტელნი ინჟინერიაო რომ იძახი, მაშ, რას ანგრევს, ე, დედა მოხნული.

- დაგენაცვლე, თუ არ დაანგრია, როგორ ააშენოს.

სამყაროში ყველაფერი მოძრაობს. ერთს ცვლის მეორე. ცვალებადობის კანონი უაქტიურესი და უკამათოა. კამათიც ხელოვნებაა. კი, ბღავილში თუ არ გადაიზარდა.

- მაწონი, მაწონი! -ყვირის გამყიდველი.

- ვერაზე, მაწონი?

- რა, არ ეკადრებათ?

- არა, არ ეულაპებათ.

წამი, წუთი, საათი, დღე, ღამე, თვე, წელი, ხანი, ჟამი. არ მომშხამა, ახლა ასაკი?!. წერილი ცივი ქვეყნიდან: "люблю от смеха до смерти".

......და მუსიკის საოცნებო ხმებია. სოფი, სოფი, სოფია... მარინა, რა ლამაზი ხარ, მარინა... ნათია, ჩემო ლამაზო ნათია... თამუნა... ვაი, თქვენს პატრონს უბედურს, რავა ერთ ხმაზე მღერიხართ ყველა.

გადაცემათა ციკლი. ტკრც... ტკრც...

- Я уезжаю, совсем уезжаю...

ტკრც... ტკრც... ტკრც...

- Если ты друг уидеш, я скажу, ну и что-ж, за тобой ни побегу и этим горем справится магу.

ტკრც... ტკრც... ტკრც...

- "თვალები გაფრენილ ორბის ფრთებს მიგიგავს".

ტკრც...

- ვაუჩერი, ეს თქვენი მოგებაა.

- ისე აგიშენდა ოჯახი და არ აგიდგა გვერდები, მოსაგებს ჩვენ მოგვცემდით რამეს?

გაუმარჯოს სატელევიზიო არხებს. მოკეტე მაგი საინფორმაციო ღრუ. გავგიჟდები, ნამდვილად გავგიჟდები. ახალი ამბავი. უახლოვდება შეშლილობას გენიოსობა, გადაულახავი არ არსებობს მათ შორის ზღვარი. ა, ბოი, ბაღანა, რას ლაქლაქებს. იღება და ივსება. ჰგონია, ყველაფრის შემქმნელია და არ ეუფლება შექმნილს. სრულყოფილება შორსაა. ჩამოკრეს ზარებს. ჩუმი ლოცვა. ჯვარი ქანაობს ჰაერში. დუმილი. დუმილი შეიქმს ქვეყნად თანხმობას ყაყანით დაინგრა ბაბილონის გოდოლი.

- რამ ააფეთქა კაცო, ეგ?

- საკუთარმა ნერვებმა.

გაუფრთხილდით ნერვებს, ზამბარა არაა, გამოცვალოთ.

- ბებია, ბებია, რაც დრო გადის, როგორ პატარავდები, სულ ძირს მიდიხარ...

- აბა, შენა ხარ, ერთი, რა წვეტიანი აზრები გაწუხებს.

რას ითხოვენ სოც-დემოკრატები?.. ესენი არ ვიცი, მათი წინაპრები... "ერთადერთი აუცილებელი მოთხოვნა, რომელიც დემოკრატებს, შეუძლიათ, წამოაყენონ, როგორც საზავო პროგრამა, რათა ხელი შეუშალონ ოპორტუნისტებს, შემდეგია: უარის თქმა სამხედრო ვალების გადახდაზე და ჩვენ ვაყენებთ ამ მოთხოვნას მასების რევოლუციურ ბრძოლასთან დაკავშირე-

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ
ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ბით". Salut. ლენინი. 1916 წელს 20 მარტი.

მომძლავრდა ენერგია. საჭიროა განმუხტვა. რას არ წერს პრესა. "ამას რატომ ვწერ, საკითხავია? არ შემიცოდავს კარგა ხანია".

კაცი ზის და ლაპარაკობს.

- ივანე, გაგიჟდი, თავს ელაპარაკები?

- მაგაზე ჭკვიანს ვის დაველაპარაკები, ზოსიმე ჩემო!

უფალო, შეგვიწყალე! უფალო, შეგვიცოდე!

ვიღაცა ხვრინავს. დაუსტვინე და გაჩერდება. იხვრინოს, რას გიშლით?! - არ გვაძინებს. რას გადაგვეკიდე, რას გადაგვეკიდე, რას გადაგვეკიდე, რას...

არ ემორჩილებათ აზრები. სიტყვების რახარუხია. პოეზიაში ცეტი რითმები გაურბიან პოეტებს. მშვიდი დღეა, გაცილებით უკეთესი, შეიძლება, ხვალ იყოს.

გინდ დაიჯერე, გინდ არა!

მზე ყველგან ანათებს, ყელა გზა მზიანია.

## გაცხადება

წინწკლებიანი სუდარა იატაკს სწვდებოდა. კედლის მარჯვენა მხარეს მჯდარმა ქალმა თავი ასწია. მიცვალებულის ხელისგულიდან ფული მოჩანდა. ვერ გაარჩია რამდენი იყო.

პანაშვიდი დაიწყო. კუბოს თავთან მჯდარი ქალი სამძიმარს იღებდა.

- რა ევროპულად ტირის - გაიფიქრა კედლის გასწვრივ მჯდარმა ქალმა და თვალებიდან ცრემლმა იფეთქა. "ჩემო"... - წამოიკვნესა გულმა.

- მოდიან! - თქვა ვიღაცამ.

ოთახში ლიპიანი კაცები შემოლაგდნენ. ჭირისუფლებს თავი მდაბლად დაუკრეს.

- გმადლობთ! - ჩაილაპარაკა კუბოს თავთან მჯდარმა ქალმა.

ოთახის ზღურბლზე მაღალი, ხმელი, ქერა კაცი იდგა.

- ბიჭო! - თქვა იმ ქერამ და მიცვალებულს თავზე ხელი გადაუსვა.

- დავიღუპე, ლევან! - ჩაილაპარაკა მიცვალებულის თავთან მჯდომარემ.

ქერამ ჭირისუფლებს მზერა აარიდა, კედლის გასწვრივ, მარჯვენა მხარეს მჯდარ ქალს მიეახლა.

- ვწუხვარ! - ესღა უთხრა.

- ჰო! - ამოასკდა ქალს.

- რო...გო...რრრ!

აიშალნენ.

წინწკლებიანი სუდარა ირხეოდა.

## გალინა

ყულევში შავი ზღვის სანაპიროს გემმა მოაყვირა. ნაპირზე ხალხი ირეოდა. გემიდან ერთმანეთის მიყოლებით ოთხიდან თორმეტ წლამდე ასაკის ბავშვები გადმოიყვანეს. ულვაშებიანმა კაცმა მიწაზე გადმოსულთა სია წაიკითხა. მერე გემმა ნაპირს ორ-სამჯერ მძლავრად მოაყვირა და ტალღებში გაუჩინარდა.

ძალიან დიდხანს იმ პატარებს ევაკუირებული ბავშვები ერქვათ. ომის გრიგალს გადარჩენილმა მშობლებმა შვილები მოიძიეს და წაიყვანეს. უმშობლონი სამუდამოდ ჩარჩნენ ქართულ მიწაზე.

ესეც ერთი იმათგანი იყო. კაფანდარა, ცისფერთვალება, ოქროსკულულებიანი, კნაჭა გოგო.

გალიას ეძახდნენ. მერე გალია გალინად იქცა, გარეშე ხმაურით და დამალული ჩივილით.

ახლა თეთრქვეშაგებში იწვა და სიკვდილს ებრძოდა.

- დედა, მოგვხედე! - იხვეწებოდნენ შვილები.

მომაკვდავი შეიძრა, ხელები აქანავა... ოთახში სიჩუმემ დაისადგურა. გალინას მოეჩვენა: მის შესახვედრად დიდიხნის უნახავი დედა გამორბოდა ხუტორიდან. "Мама, я тебе кохяю" - წაიბუტბუტა და დადუმდა.

ორმოცდათვრამეტი წლის შემდეგ.

## გიჟი

ჩვეულებრივი გიჟი. რიგითი. დაბადებიდან გიჟი. ჩვეულებრივი მოვლენა ჩვეულებრივ გარემოში.

- ბესო, ბესო, გულში რა გიდევსო? - ბიჭების შეძახილი.

- სიყვარული და სიყვარული! - არის პასუხი.

- იმღერე, ბესო!

ხორხიდან ამომსკდარი ზმუილის მაგვარი საშინელი ბგერები.

- იცეკვე, ბესო!

როკვა, გახელებამდის მისული. აგზნებული თვალები, დუჟი ტუჩებზე.

- ტემპი, ტემპი, დასცხე, მიდი, შეუბერე, ბესო, შე ძველო, სიცილის გენიავ და ჩვენო ეშხო...

უმატებს. ქოშინობს. მიწაზე ვარდება. გორაობს.

- ონი, მეტი არ შემიძლია.

ხორხოცებენ ბიჭები.

- რამდენი წლისა ხარ, ბესო?

- თხუთმეტი წლისა, ბიჭებო.

- თხუთმეტი წლის წინ რამდენის იყავი ბესო?

- თხუთმეტი წლისა, კაცო.

- თხუთმეტი წლსი შემდეგ რამდენის იქნები, გიჟაძე?

- ვაჰმე, ისევ თხუთმეტი წლისა ვიქნები, მაშ?!

იცინის უბანი.

- შენ რომ არ გვყავდე, ბესო, ვინ გაგვამხიარულებდა?!

- კარგი რა, ბიჭებო!

- ცოლი რატომ არ მოგყავს, ბესო? ქორწილი როდის უნდა გვაჭამო, ვაჟკაცო?

- ე... ეე... ერთი თქვენცა ხართ, აბა, არავინ მომყვება და...

- რას ამბობ, ბიჭო, შენ მარტო გვითხარი, ვინ მოგწონს?

- მართლა?

- ჰო, მართლა!

- მაშინ შენი და გამირიგე.

- ვა?

- რა ვა?.. სულ ვაცინებ, ბიჭო, არაფერს დავუშავებ, სულ ვაცინებ, მამის სული ნუ წამიწყდება; აი, ეგრე ვაცინებ, ეგრე ვაცინებ, ხო, ეგრე ვაცინებ, რო ძილშიაც იცინოდეს.

- ხო, კარგი რა, სიძევ!

იცინიან ბიჭები.

დრო გადის. ის პატარა ბიჭები თვითონ ხდებიან პატარა ბიჭების მამები.

- თქვენ რა, სიცილი დაგავიწყდათ ხალხო? - გაღმაუბნელები გადმოსძახებენ ხანდახან.

- რათა, კაცო, ვინ გითხრათ?

- მაშ, რა, აბა, რად ჩამოგტირით ცხვირ-პირი?

- ჰე, სიცილის სათავე დავკარგეთ, ბიჭებო, ბესო აღარა გვყავს.

გიჟებიც ცხოვრების შვილები არიან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## რევიზორი

*მამის - ჟორჟე ბჟინავას ხსოვნას*

ეს ამბავი მამამ მიამბო. დაახლოებით ოცდაათი წლის წინათ მოხდა, მამის ჭაბუკობის ჟამს. იმ დაწესებულებას, სადაც მამა მუშაობდა, ერთი ენაბრგვილი დირექტორი ხელმძღვანელობდა. თქვენ წარმოიდგინეთ, ასეთივე დღეში ყოფილან: მთავარი აგრონომი და ბრიგადირი.

ერთ, არცთუ ისე მშვენიერ დღეს, დედაქალაქიდან შემოწმებაზე ჩამოსულ რევიზიის წევრებს, დირექტორი თავის კაბინეტში ხელგაშლილი შეგებებია.

- მმ...ობრ...ძან...დღდ...ით ბ..ბბატ...ოოო-ნებო!

აგრონომისთვის უხმია. აუხსნია, რისთვის იყვნენ რევიზორები ჩამოსულები.

- კ...კეთილი წწწ-ამო...ოოო...ბრ...ძძძ...ანდით - ამოილუღლუღა, როგორც იქნა აგრონომმა.

მოდიან თურმე ესენი: რევიზიის წევრები, დირექტორი, აგრონომი.

აი, სანერგე მეურნეობაც გამოჩნდა. მუშაობაში გართულ ალიოშა ბრიგადირს თავს წამოდგომიან. იმას თავი აუწევია, წელში გამართულა და სისხლის ძარღვების გაბერვითა და დაჭიმვით დაუწყია:

- აი, ეს, ეკ-კკკ...ვა...ლლიტის, ეს კი ააარყის ნნნ...ნარ...გგგა...ვე...ვე...ბბია.

მთელ ფართობს შემოუარეს. მოდიან ესენი: რევიზიის წევრები, დირექტორი, აგრონომი, ალიოშა ბრიგადირი. მთვრალი კაცი შემოეყარათ.

- კაი, გგგ...ააამარ...ჯჯჯობათ თთთქვენი ქქქააართთველებბბო!

გადარეულა თურმე უფროსი რევიზორი, სიმწრისგან თვითონაც ენა დაბმია.

- რრრრასა ჰგავს ეს, რრრ არის ეს, სსააბბჭოთა მმეუურნეოობა ეს თუ ეეეენნა ბბბლუეეებბბის დადადა...წწწ ეესესებბულეებბბა!

მნახველები იმოწმებიან: თვალებიდან მუჭის ოდენა ცრემლებს ჰყრიდაო ის რევიზორი.

## ბერიკაცი

მზე შუბისტარზე იდგა. ყველანი გაკრეფილიყვნენ. სოფლის დარაჯად სახლები იდგნენ.

სახლის უკან, ლაფაროსთან, ჯორკოზე მჯდარი მოხუცი მზეს მიფიცხებოდა, ძვლებს ითბობდა. თავისთვის ბუტბუტებდა: "არავინ არა მყავს ხმის გამცემი. ისიც რომ არ მოდის, ჰე, სიკვდილსაც რო დავავიწყდი, ულმერთოსა". რული მოეძალა თვალთა უპეებს. ჩაეთვლიმა. იღიმებოდა ძილში ბერიკაცი. ძაღლის ყეფამ მოხუცს ძილი დაუფრთხო. იგუმანა რაღაც ბერიკაცმა. ძლივს აითრია წელი. სახლისკენ ლასლასით გასწია. კარი შეაღო. ხელჯოხი საწოლის თავთან მიაყუდა. წამოწვა. სოფლის თავიდან სიმღერა მოესმა. გაჯავრებულმა წაიბურტყუნა: "გავახსენდი და როდის?"

გარეთ ძაღლი შეჰყმუოდა სახლს.

## ელენე

*ელენე ბჟინავა-ბერაიას ხსოვნას*

ქალი - თეთრი, თეთრი, როგორც თოვლი. მაღალი, აშოლტილი. თვალები? - შავი, შავი, დიდრონი, სულ მოცინარი. წარბი აზიდული, მშვილდივით. ფართო შუბლი. სიარული არისტოკრატული, ამაყი, თავაღერილი. ღვთის მოშიში და მორწმუნე. ამ ქალს ელენე ჰქვია. მას ერთი ძმა ჰყავს. ამათ მამას ომაინე ერქვა. ის დედისერთა იყო. ომაინეს მამა - ოქროპირიც დედისერთად მოევლინა ქვეყანას. ოქროპირის მამა - ზაქარიაც მხოლოდშობილი ბიჭი იყო. ხო, ამათი გვარი, სულ ერთი ბიჭით მოდის. სულ რო არ გაწყდნენ, არ ამოიშალონ მიწიდან, არ გადაშენდნენ.

ელენე ბებოს ერთი დიდი ხნის ნატვრა აქვს. ეს ნატვრა მისი წინაპრების აუხდენელი სურვილიცაა. სულ ლოცულობს: ღმერთო, გამიმრავლე ჩემი გვარიო. ამბობენ: მხოლოდშობილებმა სიყვარული არ იციან, ცივი და უკარებანი არიან. აბა, ესენი ნახეთ, საოცრად თბილები. მეშინია, მეტი სითბოსგან არ დაიფერფლონ.

მე მათი შტო ვარ. ის პატარა ბიჭი, რომელსაც ბებია მზეს ეძახის, ჩემი ძმაა. იცით, როგორ გვლოცავს ბებია: ჯოგებად გამრავლდით, ბებია, ჯოგებად. ჩვენ ვიცინით. ვეკითხებით: როგორ შეიძლება, ადამიანი ჯოგად იქცეს?.. ბებია გვპასუხობს: პირველად სულ ჯოგებად დადიოდა ხალხი. ოჯახი სავსე იყო. ბევრ და-ძმას რა სჯობია, შვილო. - დასძენს ჩემი ნატვრად ქცეული ბებია. ისმინა უფალმა ჩემი წინაპრების ვედრება და მე სამი ძმა მაჩუქა. გული ხარბიაო, ტყუილად როდი უთქვამთ. მეც ვლოცულობ ელენე ბებიას მსგავსად. რა იქნება, ერთხელ ჩემს გვარზედაც თქვან: ეგ უბანი სულ მაგ გვარისა არ არიო?! რა მოხდება, ჰა, ღმერთო?! სხვა თუ არა, მრევლი გაიმრავლე, უფალო.

მზე შუბის ტარზე დგება. ზაფხულში ეს დრო ყველაზე ლამაზია. მოდიან, მოდიან ჩემი მოხუცები ფეხსაცმლის ფხლაკაფხლუკათ, ჩიფჩიფით, ფრუტუნით. ცაცხვის ფრთებქვეშ შეიყუჟებიან. მოდის ჩემი ლამაზი და ამაყი ჯიში. ქარში, შავი, გახუნებული კაბა გაიშრიალებს. მოდის, ღიმილიანი ელენე ბებია.

- სადა ხარ, გოგო, რატომ დაიგვიანე? - ერთხმად ჩაიჩიფჩიფებენ ქალები.

- რა ვიცი. გოგოებო! - მხრებს აიჩეჩავს. გასწევს ცარიელ ბებოს თავშალს, ჩამოჯდება.

- შენ თუ არ იცი, მაშ, ვინ უნდა იცოდეს?

- გითხრათ?

- აბა, ჰე.

- წუხელის ჩემი ცხონებული ქმარი მესიზმრა.

გოგოები ჩაიცინებენ.

- უკუი, ძღაბი?.. (მერე, გოგო?)

- მერე? დგას ჯეირანივით ლამაზი, დგას და მიღიმის. ცის გახსნას ჰგავდა მისი სიცილი. მიცნობს? - ვეკითხები თავს. რა ხანია, ერთმანეთი აღარ გვინახავს. მისმა სიკვდილმა ფრთები ორმოცი წლის წინ დამილეწა. ოცდათხუთმეტი წლისამ გავისტუმრე მე უბედურმა იმქვეყნად. ჰოდა, ვდგავარ სამოცდათექვსმეტი წლის დედაბერი ახალგაზრდა კაცის წინაშე. ლამისაა გული ამომივარდეს. ოფლში ვიწურები. რა აცინებს? - სიბერემორეულ გულს დარდი ჰკლავს... ვაითუ, დამცინის?! ვიყვირე. ყვირილმა გამომაღვიძა. ვინანე, თავიც დავტუქსე, რა გაყვირებდა, დაგეცადა, გიცნობდა თუ არა. რას იტყვით, გოგოებო, მიცნობს ჩემი გიორგი?!

აიმედებენ. ცეცხლი იკვესებს შავ-შავ თვალებში. ქალები ახალ ამბავს ახვედრებენ, ჯოტოს ბიჭი ჩამოსულა.

- გავიგე, - პასუხობს, - ჩამოვიდოდა აბა, რას იზამდა. მოხუცდა, დაბერდა. ის ცეცხლი და სისხლი იმ გაყინულ და სულდაცლილ ქალაქში რო დაატარებდა, მინავლდა, ჩაქრა. ახლა იმ დაკარგულ სითბოს დაეძებს. პატარაა. განა ვერ მიხვდეს, მისი გამომშრალი ძვლები უკანასკნელად სად გათბება. ახალგაზრდობა-

ეროვნული ბიბლიოთეკა



ში აქედან გარბიან, სიბერისას გვიბრუნდებიან. სოფელი დედის უბესავითაა, თბილი, თბილი, თბილი. შენ მისგან მიდიხარ, შორდები, შიგდაშიგ თუ გაგახსენდება, ის სულ შენს მოლოდინშია, იმ გზას გასცქერის, რომელმაც მასთან უნდა დაგაბრუნოს. ყველაფერს გპატიებს, საბოლოო ჭირისუფალიც ის სოფელია, ჩვენგან გარკვეული დროის განმავლობაში უარყოფილი.

ისიც მოვიდა, ფაშფაშა, ოქროსთმიანი ლიდია ბებია.

- ლიდი, თქვენი ბავშვი რას შვრება, იზრდება? - ეკითხებიან.

- ხო, ველურდება.

ხითხითებენ.

- გოგო, კიდევ წერს?

- წერს, წერს. ბავშვობიდან წერასა ჰყავს ატანილი. წერს და თავის ნაცოდვილარს შემოქმედებას ეძახის. ახლახან ბარამიას ბიჭი შეხვეწნია, ერთი ჩემზეც დაწერეო. მაგას მასალა სჭირდებაო, უთქვამს. მაინც რამდენი კუბამეტრი, - არ მოეშვა ბიჭი. სიცილადქცეულ გოგოს უპასუხია: მაგ მასალაზე არ გეუბნებიო. ძმას არ იკითხავთ? - კითხვა მაგას არ უნდა და წერა. ათამაშე და ათამაშე. გუშინწინ სკოლის დირექტორს გაუჩერებია და უკითხავს:

- შვილო, ვერ მეტყვი, ვინაა თქვენი სკოლის დირექტორი?

- ა, სულელი, თვითონაა და არ სცოდნია. - ხელი ჩაუქნევია ჩემს მერაბის.

იცინიან და იცინიან. ჩემი ცარუ, ელენე, ნადე, ლოლა, ჟენია, ლიდია... დროდადრო შეისვენებენ, მოჩრდილავენ. ისევ საუბარი. ჩაჟუნცული ვხარხარებ. რა უშნოდ იცინი, გაზაფხულის ცრემლო! - შემომიტევენ. რა კარგები კარიან! ცარუ ბებია სახლში მიყვანას მთხოვს. მივაცილებ. მიიყვანე? - დაბრუნებულს მეკითხებიან. თვალები აცრემლებიათ. ცარუ ბებიამ არ იცის, რას სჭირს. ის ჩამოსაწყვეტად გამზადებული ფოთოლია თურმე. ღმერთო, რისთვის? ვტირივარ. შე უდღეურო, რა გატირებს? - შემომიბღვერენ ოსურ პატონეფი (ქალბატონები). მერე ნადე ბების მივაცილებ.

მივდივართ ასე, მე, როგორც იტყვიან, სიცოცხლე და ეს ჩემი კეთილი მოხუცები, როგორც თვითონ ამბობენ, სიკვდილის მოზრდილი ლუკმები. გავა დრო. მერე ჩამკიდებს ხელს ვინმე პატარა და მიმიყვანს სახლამდე.

ასე ვივლით სიცოცხლე და სიკვდილი ერთად.

ეს - დასასრულის დასაწყისია.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# აზა დუმბაძე



## სასაფლაო

დუმს სასაფლაო უგრძნობი თითქოს,
დუმს და დუმილით ყველაფერს ამბობს.
ის ჩვენგან მხოლოდ სხეულებს ითხოვს
და ყურს არ უგდებს სულების ამბოხს.

დუმს სასაფლაო. განა დუმილი
ყოველთვის მხოლოდ თანხმობას ნიშნავს.
მუდმივი რჩება მარტო სიკვდილი
სიცოცხლე ტოვებს საკუთარ ნიშანს.

ქარი ქვითინებს, ოხრავს ლობეში,
საფლავის ლოდებს უგზავნის ამბორს.
დუმს სასაფლაო სიმარტოვეში,
დუმს და დუმილით ყველაფერს ამბობს.

## ვიღაც მნატრობს

ვიღაც მნატრობს, მე კი სულ სხვას ვნატრობ
და ცხოვრებაც მიილევა ნატვრით,
მოგონება ნოსტალგიით მათრობს,
ჩვენც ხომ მაშინ ერთმანეთით დავთვრით.

ყველაფერში დამნაშავე იყო ზეცა,
ყელაფერში დამნაშავე - მიწა...
ახლა ის დრო, ნატვრის ნაცვლად, საყვარელო,
ნატვრის ნაცვლად მონატრებად იქცა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



## მოგენატრები

მოგენატრები,
ვიცი, შენთვის არ ვარ სულერთი,
ვიცი, გაწამებს უჩემობა,
გიხსნის იარებს,
მე შენთვის ვცხოვრობ ცხადლივ კი არა,
სხვა სამყაროში,
მე დაბრუნებით ვერაფერს შევცვლი,
დავიგვიანე.

## ოდესღაც მერქვა ამაყი ქალი

ოდესღაც მერქვა ამაყი ქალი,
ოდესღაც ვიყავ ღმერთივით მარტო,
მე გავისტუმრე წარსულის ვალი
და მოურჩენელ ჭრილობებს ვდარდობ.
ტყვე ქალბატონი, გამოკეტილი,
გაბეზრებული ღამის ფიქრებით,
მივიწყებული სული კეთილი
ნეტავ უშენოდ მე ვინ ვიქნები?
როცა დადგება წვიმების ჯერი
და დადუმდება უშენოდ სახლი,
ჩამოინგრევა სასახლის ჭერი.

## ქარდას!

ჩვენგან დარჩება ეს დღეები... და მოგონება,
მოვენატრებით ნაცნობ ქუჩებს, ხეებს და ბაღებს,
მარტო დარჩენილთ სულს გვიმძიმებს ეს მონატრება
და ნაღვლიანი გადავცქერით შავი ზღვის ტალღებს.

შენ დაბრუნდები აფხაზეთის რძისფერ ნისლებში,
მოგენატრება ბათუმი და წვიმა ქალაქში,
გაგახსენდება გაზაფხული, ზღვა თაფლისფერი,
როს მარტოობით გადაღლილი ბოდლერს გადაშლი.

სულს მოწყენია ქედმაღლობა, სევდა აწვალებს,
გიმძიმს ყოფნა და გაბეზრებულს გინდა ტირილი,
იცი, ძვირფასო, რა ერქმევა მაშინ ამ წამებს? -
ტკივილზეც უფრო დიდი ტკივილი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნუგზარ აფხაზავა

## მეორედ მოსვლა

გიგამ ნაბიჯით დაასწრო მიქელ-გაბრიელს და ღილაკს ელვის სისწრაფით დააჭირა თითი. ლიფტის ორმაგი კარი ჯახანით დაიხურა და კაბინა რწევითა და რახრახით წავიდა ზემოთ, მეათე სართულისკენ.- ეგეც შენ, გიტირე თუ არა დედა! - ნიშნის მოგებით ჩაიცინა გიგამ. - იწანწალე ახლა ქუჩაში და ეძებე საკბილო! - მათხხხოვარი! კრრრეტინი!.. - შეამკო მისებურად და გუნებაში შეაფურთხა კიდევაც: - თფუჰ!

●

მიქელ-გაბრიელი გიგამ რვა წლის ასაკში გაიცნო, როცა "მგელობიას" თამაშის მერე გასაგრილებლად წყალცინარას მორევში ჩაყვინთა და იქიდან ფილტვების ანთება ამოიტანა. იმ ღამეს ასე თუ ისე არა უშავდა, მეორე დღეს სიცხემ ნელ-ნელა აუწია, მესამე ღამეს კი ორმოცდაერთზე აუვარდა. ე, სწორედ მაშინ აიტუზა მის სასთუმალთან თვალებჩაღამებული და კბილებდახრჭენილი ლანდი. გიგილომ (ბავშვობაში ეს სახელი ერქვა) ხელად იცნო, ვინც იყო, თუმცა მერე, მოგვიანებით, კი უკვირდა, ნეტა, რანაირად უნდა მეცნო, თუკი იმ დროს, როცა დედაჩემმა მუცლის მოშლა და, ამრიგად, ჩემი მოკვლა მოინდომა (უჰ, ქმარმა მიატოვა საბრალო!), ოთხიოდე თვის ჩანასახი ვიყავი, სხვა არაფერი მახსოვს და რაღა ეს უუმური დამამახსოვრდაო. მაგრამ, ასე იყო თუ ისე, სასთუმალთან წამოყუდებული მიქელ-გაბრიელი, როგორც მოგახსენეთ, შეხედვისთანავე იცნო და, არიქა, თავს ვუშველოო, წამოხტა და ღელე-ღურდას შეენთო გორა-არამეულის წვეროსკენ (აბა, ამ გაცხარებული ომის დროს მამასისხლად ნაშოვნი ორი აბი სულფიდინის იმედით ხომ არ იქნებოდა!)... სინამდვილეში არსადაც არ გაქცეულა, სად ჰქონდა ამის თავი, საწოლში ბორგავდა, აქეთ-იქით ეხეთქებოდა და ხან ცივსა და ხან ცხელ ოფლში ცურავდა, მაგრამ მიქელ-გაბრიელს მაინც აჯობა, გაასწრო, კარგა მანძილზე ჩამოიტოვა და ბოლოს ენაც კი გამოუყო. მერე, მართალია, ციცაბო ფერდობზე ფეხი აუცდა და ბნელ, უფსკერო ხევში ლიწინ-ლიწინით ჩაიჩეხა, მაგრამ თვალი რომ გაახილა, სასთუმალთან დაბალ სკამზე საცოდავად მოკუნტული, მთლად დალეული დედა დაინახა და - წყალით, - მიახვედრა როგორღაც...

●

მეათე სართულის კიბის მოედანი, როგორც ყოველთვის (თითო-ოროლა გამონაკლისის გარდა), ახლაც უკაცრიელი იყო - ალბათ, მოგეხსენებათ, რაოდენ იშვიათად ხვდებიან ერთმანეთს თანამედროვე რკინა-ბეტონის მრავალუჯრედიან კოლოფთა მობინადრენი. რასაკვირველია, ვერც ის მიხრწნილი მიქელ-გაბრიელი ამოასწრებდა ლიფტს ამსიმაღლეზე ამოსვლას, მაგრამ გიგამ მაინც სიფრთხილე არჩია: გასაღები რომ გადაატრიალა და საკეტის ენის ნაცნობი ჩხაკუნი გაიგონა, ყოველი შემთხვევისთვის, უკან მოიხედა, მერე უცებ შეაღო კარი, ტალანში კი არ შევიდა, შეხტა და კარი ისე მიაჯახუნა, მიქელ-გაბრიელი, სადარბაზოდან გასული თუ არ იყო, უთუოდ გაიგონებდა.

- კრრრეტინი! - დაგემოვნებით გაიმეორა გიგამ საკმაოდ ხმამაღლა. იცოდა, რომ ბინა ცარიელი იქნებოდა, მისი მეუღლე, ქალბატონი თამარი (ქმრისთვის - თამრიკო, თამთა, თამუნია... ერთხელ "ტომაც" კი დაუძახა: ახალდაბრუნებული გახლდათ ივანოვო-ვოზნესენსკიდან) ათი საათის მატარებელს ჩამოჰყვებოდა და შინ თერთმეტამდე ვერ მოვიდოდა. გუშინ გაემგზავრა კახეთში თამარი, იქაურმა მიქელ-გაბრიელმა ერთი შორეული ნათესავი წარსტაცა გიგას ცოლოურებს და თამარის გარეშე ხომ ვერ დაკრძალავდნენ...გიგამ ფეხები ფლოსტებში წაჰყო და სიამოვნებისგან მსუბუქად ამოიკვნესა.

●

ცხრამეტი წლის გოგა (არმიაში სამსახურისას შინაურულად, ესე იგი, ქალებში ეს სახელი ერქვა) სოკოთი მოიწამლა. ვერაფრით ვერ წარმოიდგენდა, ის მისი ნაცნობი მიქელ-გაბრიელი ყაზანშიაც თუ ჩააკითხავდა და ახალგაზრდა მარტოხელა ქვრივის, მადინა ილიასოვას მყუდრო ბინაშიც მიაგნებდა. კიდევ კარგი, თავად მადინას სოკო არ უჭამია (ცოტა იყო და ულუფაში არ ჩაეზიარა მოშიებულ ჯარისკაცს), თან ფხიზელიც გახლდათ და დროზე მოისაზრა, რომ სამხედრო ნაწილის ექიმისთვის მიეწვდინა ხმა, თორემ გოგასა და მიქელ-გაბრიელის ცხარე ორთაბრძოლაში უთუოდ ამ უკანასკნელს დარჩებოდა გამარჯვება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სხვათა შორის, ეტყობა, ნაწილობრივ იმ ავბედითი მოწამვლის შედეგიც იყო, მოგვიანებით კუჭის წყლული, ქოლეცისტიტი და მარჯვენა თირკმლის კენჭოვანი დაავადება რომ შეიძინა, რომლებიც ხან ერთად, ხანაც ცალ-ცალკე, მორიგეობით ახსენებდნენ ხოლმე თავს. ნაწილობრივ-მეთქი, იმიტომ ვთქვი, რომ ზემოჩამოთვლილ სნეულებათა განვითარებას, ავადმყოფობის ისტორიის ენით თუ ვიტყვით, არარეგულარულმა კვებამ და უძილობამაც შეუწყო ხელი - ბატონ გიორგის ხომ (სამსახურში მას ეს სახელი - პასპორტით დაკანონებული სახელი - ერქვა) ხშირად უხდებოდა მივლინებებში ყოფნა... თუ ამას თამბაქოს თავგამოდებული წევის ოცწლიან სტაჟს და, მართალია, ზომიერად, მაგრამ მაინც საკმაო სიხშირით (როგორც ქართველ კაცს შეეფერება) მიღებულ ალკოჰოლს დავუმატებთ, აღარც ის გაგაკვირვებთ, ბოლო ხანს ჩვენს გიგას არითმია და ჰიპერტონიაც რომ შემოეჩვია.

- მაგის დედაც ვატირე, - იტყოდა ხოლმე გიგა მეზობლების სადაბადებისდღეო, საქელეხე ან საორმოცე თავყრილობაზე (ამ დროს, რა თქმა უნდა, ხმას დაუწევდა, რომ მისი მოუწმაწურო სიტყვები ქალებს არ გაეგონათ), - ხომ ამდენი რამე მაწუხებს, მაგრამ თქვენ გგონიათ, მიქელ-გაბრიელს ვუფრთხი? წვალების მეშინია, მეგობრებო, წვალების! თვარა მე - ამ დროს მისი თამთა-ქალი ცხრა მთას იქითაც რომ ყოფილიყო, ეშმაკურად თვალებმოწკურული მიიხედ-მოიხედავდა და კიდევ უფრო დაუწევდა ხმას, თითქმის ჩურჩულზე გადადიოდა, - ჩემი წილი წუთისოფელი ჩემს გემოზე გავლიე, კაი დრო მიტარებია, კაი მისვამს, კაი მიჭამია და კაი ქალებშიაც მიხვანხვალია. აბა, ასეა ეს! ხნიერი არ მქვია, ორმოცდაათისაც არ ვარ ჯერ, მაგრამ თუ წინ წვალება და გაჭინაურებული სულთაბრძოლა მელოდება, მირჩევნია, ახლავე, ამაღამვე გავიპარო ძილში, წყნარად, მშვიდად, დაუკვნესებლად...

●

გიგამ საშინაო ტანსაცმელი გადაიცვა, სამზარეულოში შეფრატუნდა და მაცივარი გამოაღო. შიოდა კაცს...

●

ამ ათიოდე წლის წინ ექიმებმა ურჩიეს, კუჭის ოპერაცია უნდა გაიკეთო, თორემ ერთ მშვენიერ დღეს გაგეხვრიტება და გაგათავებსო. გაეცინა. თითიდან სისხლის აღებისას და შპრიცის დანახვისას გული მისდიოდა ხოლმე და ასეთი კაცი კუჭის ოპერაციის გამკეთებელი იყო? ტომას გამჩენი აცოცხლა ღმერთმა (ეს ის ტომაა, შეცდომით თამუნიას რომ დაუძახა ერთხელ მისი სახელი), ისეთი უებარი სამკურნალო ბალახები გამოუგზავნა, თვენახევარში მოუშუშა ის წყლული და თვალებამოღამებული მიქელ-გაბრიელი კიდევ ერთხელ კუდამოძუებული გააბრუნა უკან.

- ნიძლავის გულისთვის ქვას დავღეჭავ, თუ გინდათ, - შუა პურ-მარილში დაიქადნა ერთხელ გიგამ. - არადა, ექიმებისთვის რომ დამეჯერებინა, ახლა ჩემი ძვალიც კი არ იქნებოდა მიწაში. პირდაპირ საოპერაციო მაგიდაზე, გამარმარებული დანის ქვეშ გამძვრებოდა სული. ასეა ეს, აბა!..

●

მინანქრიან ცისფერ ქვაბში მწვანე ლობიოს შეჭამადი აღმოაჩინა. მაცივარს თვალი ჩაუკრა, ტუჩები გაილოკა და გაზქურა აანთო. გარეთ, კარადაში, კაი ცხარე ტყემლისსაწებელიც ეგულებოდა.

●

სამი... არა, თითქმის ოთხი წლის წინათ საავტომობილო კატასტროფაში მოჰყვა. მაშინაც პირში ჩალაგამოვლებული დატოვა მიქელ-გაბრიელი. შოფერი ავარიის ადგილასვე გარდაიცვალა, ხოლო ორმა მგზავრმა მთელი კვირა იწვალა საავადმყოფოში და ჯოჯოხეთური ტკივილებით დალია სული... გიგას კი... გიგას განაკაწრიც არ დასჩენია, მხარი დაებეჟა მომსუბუქოდ, ეს იყო და ეს.

- საწყლები, რამდენი იწვალეს, - იტყოდა ხოლმე და ფრთხილად წაუქცევდა თავს სავსე ჭიქას. - ღმერთმა ნათელში ამყოფოს... ეჰ, არა, ძმაო, ბედნიერია სანდრიკა, მშვიდად, წყნარად წავიდა, არაფერი სტკენია, არაფერი გაუგია...

სანდრიკა შოფერს ერქვა.

●

ქვაბს სახურავი ახადა და აშიშხინებულ კერძს კოვზით ამოურია. სამზარეულოში საამო სუნი დატრიალდა. ისევ გამოაღო მაცივრის კარი იდუმალი მოლოდინით. გაუმართლა - ოდნავ ნაკლული ერთი ბოთლი წითელი "შუშხუნა" არ აღმოაჩინა?

- გვიქეიფია, აბა! - თვალი ჩაუკრა ბოთლს.

●

დღეს დილიდანვე აედევნა თვალებჩაღამებული ლანდი. სამსახურში მისვლისთანავე იგრძნო საზიზღარი თავბრუსხვევა, საფეთქლები აუბათქუნდა, მარცხენა ხელის თითები გაუცივდა და დაუბუჟდა. მიხვდა, წნევამ ამიწიაო. დაახლოებით ას ოთხმოცი-ას ათზე ექნებოდა. უჯრა გამოაღო, წამალი მოძებნა, ენაზე ფხვნილი დაიყარა და წყალი მიაყოლა. ერთხანს თვალდახუჭული იჯდა. წნევამ მალე დაუწია. შესვენებამდე ბარაქიანად იმუშავა. ნასადილევს მაგიდიდან საშლელმა ისკუპა, იატაკზე დავარდა, კალიასავით ახტა და თვალსა და ხელს შუა გაუჩინარდა. გიგამ ჩაიმუხლა, ჯერ მაგიდის, მერე კარადის ქვეშ გვერდულად შეიჭვრიტა და უცებ იგრძნო, როგორ გადაეხლართა ნაწლავები. ცივმა ოფლმა დაასხა. სადღაც, კუჭის მიდამოში, მძაფრმა ტკივილმა გაჰკრა და ირგვლივ ყველაფერს ნაცრისფერი დაეფინა. მაშინვე საოპერაციო მაგიდა, თეთრნიღბიანი ქირურგები და ცივად მოლაპლაპე სკალპელი დაუდგა თვალწინ. მუხლებს ძალა დაატანა, ოდნავ წამოიმართა და, მადლობა ღმერთს, ნელ-ნელა ჩაუყუჩდა ტკივილი.

- როგორაა შენი წნევის საქმე - ჰკითხა განყოფილების გამგემ დღის ბოლოს.

- არ ვეპუები, ბატონო ტრიფონ! - ცოტა არ იყოს, ამაყად უპასუხა გიგამ. - ამ დილასაც მქონდა, ერთიორჯერ შემაქანა, მაგრამ დავაგდე. მაგას თუ ავყევი...

ტრიფონმა ხელები გაასავსავა:

- აჰ, არა ხარ მართალი, ჩემო გიორგი! მაგას დროულად უნდა მიხედვა, თორემ წნევას ხუმრობა არ უყვარს, იცოდე. ბოლოს არ განანოს!

- იჰ, წნევა რა ბედენაა, ბატონო ტრიფონ, მაგისი სულაც არ მეშინია. თქვენ სხვა თქვით, თორემ წნევამ უცბად იცის - "რახ" ერთი და გათავდა!

- მაგას არ გეუბნები მეეც?

- ჰოდა, წყნარად და უწვალებლად თუ დავლევ სულს, ამას რა ჯობია, ამაზე ვოცნებობ მეც.

- მე ჩემი მითქვამს და დანარჩენი შენ იცი, ჩემო გიორგი...

●

გიგამ ჩაიხითხითა და ღვინო დაისხა. ჭიქამ გარედან ნისლის ჰაეროვანი ქსოვილი გადაიკრა, შიგნიდან კი პაწია ვერცხლისფერი ბურთულებით დაიწინწკლა. ენას ისე საამოდ მოეფხაჭუნა, ისე, რომ... იფ!..

ცხრას ოცი წუთი აკლდა, როცა ტელევიზორი ჩართო და მის წინ სავარძელში მოეწყო მოხერხებულად. რაღაც ულიმღამო, უფერულ ფილმს უჩვენებდნენ. ვი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თომ მხატვრული იყო, სინამდვილეში კი უხეირო და "აბა, ჰე, აბა, ჰოს" ტიპის კოლმეურნეობაზე გადაღებულ დოკუმენტურ ფილმს ჰგავდა. ამიტომ მალე თვლემა მოერია და, დიდი-დიდი, ათი წუთი იქნებოდა გასული, გემრიელად ჩაეძინა კიდეც...

●

ვიღაც ფრთხილად შეეხო მხარზე. თავი არ აუწევია, ისედაც მიხვდა, ვინც იქნებოდა, და ტანში უსიამოდ გააჟრჟოლა. "საიდან შემოვიდა ეს ოხერი!" - გაიფიქრა და ერთიანად დაიძაგრა, უცაბედი წამოხტომისთვის შეემზადა, იქნებ, ხელიდან დავუსხლტეო, მაგრამ გვიანღა იყო. მუხლები უკვე მოკვეთოდა. თვალები ოდნავ გაახილა და მოპირდაპირე კედელზე აკრულ დიდ, ოქროსფერჩარჩოიან სარკეში ცოტათი გადღაბნილი ნახატი დაინახა - სავარძელში საცოდავად ჩაკეცილი, მუხლებთან ფეხებწაკვეთილი პატარა კაცი (კი, მაგრამ სისხლი რომ არ სდიოდა?) და მის უკან - თვალებში წყვდიადჩამდგარი და დაცინვით კბილებდახრჭენილი მიქელგაბრიელის ლანდი. "თუ არ ვცდები, რუბენსის ნახატი უნდა იყოს", - მწარედ გაიფიქრა და ამ დროს მიქელგაბრიელმა მეორე ხელით ლაპლაპა სკალპელი დაუსვა შიშველ მუცელზე (კი, მაგრამ როდის მოასწრო კვართის გახდა?), მესამე ხელი კი ღია ჭრილობაში შეუყო და დაკლული ქათამივით აფართხალებულ გულს ბასრი ფრჩხილებით ჩაეჭიდა. გიგამ დაიგმინა და გაიბრძოლა. რომ არაფერი გამოუვიდა, მიშველეთო! - იყვირა მთელი ხმით, მაგრამ რად გინდა, ამ ტრიალ მინდორში ვინ იყო მშველელი! მიქელ-გაბრიელმა მეოთხე ხელი თმაში წაატანა, მოქაჩა და კინაღამ თავის ქალა ახადა, მეხუთე კი ყელში წაუჭირა და ხრიალი დააწყებინა. ამ დროს უცებ აცივდა, ქარბორბალა დატრიალდა, დაიგრგვინა, მიწა შეინძრა და ატორტმანდა. გიგა უკვე წყალცინარას ჭალაში - თავისი ბავშვობის ჭალაში - მირბოდა. ღამდებოდა. კიდევ ცოტაც და, საცაა, მიაღწევდა გორა-არამეულის წვეროს, მაგრამ უცებ მთის მწვერვალი მოირღვა, გადმოიქცა და ფერდობზე დაგორდა. ვეებერთელა კუპრისფერმა ლოდმა ცის ნახევარი დაფარა, გუგუნით წამოვიდა, თანდათან უმატა სიჩქარეს, მოზანზარებდა, მოდგანდგარებდა და მოჰქონდა ხე და მიწა. იქაურობა ჯოჯოხეთურმა გრიალმა და ხათქახუთქმა გააყრუა. "ალბათ, ესაა მეორედ მოსვლა!" - გაუელვა გიგას. ზვავი ელვის სისწრაფით მოახლოვდა, მერე აიყალყა, ერთიანად ჩამოაბნელა ცა, წამით თავზე წამოადგა შიშით გულგაყინულსა და გარდუვალ ხვედრთან თითქმის უკვე შერიგებულს, გამანადგურებელი, ყოვლისდამთრგუნავი ძალით დაეჯახა, თან დაიტანა, აითრია, ხერხემალი დაუჩეჩქვა, თავის ქალა ჩაუნგრია და ფილტვები დაუფლითა. გიგას თვალწინ უცებ უზარმაზარი ბნელი უფსკრული გადაიხსნა, არაადამიანური ტკივილებით გულგახეთქილმა ერთი კი დაიღრიალა და, როცა ტვინდანთხეულ თავზე ხელებშემოჭერილი იმ ჩაშავებულ უფსკრულეთში გადაფრინდა, მოულოდნელად სამარისებური სიჩუმე ჩამოწვა... დიდხანს, უსასრულოდ დიდხანს მიფრინავდა თვალშეუდგამ ცივ სიბნელეში...

●

- საწყალი, ქა, სულ წყნარ სიკვდილზე ოცნებობდა და - აჰა...

- მაშა, ქა, დღენიადაგ წვალებისა ეშინოდა უბედურს...

- ბედნიერი ყოფილა: რასაც ნატრობდა, აუხდა კიდევაც...

- ხედავ? ტელევიზორის ყურებაში გაპარულა!..

- რა მშვიდად წასულა, კაცო, ა?..

●

... ეჰ, რა იცოდნენ თამარის ხაფ კივილზე შემოცვენილმა მეზობლებმა, როგორი ჯოჯოხეთური, საუკუნის სიგრძე წამება გაიარა სიკვდილისწინა ზმანებაში საბრალო გიორგიმ... გიგლომ... გიგამ...

# ქსენიას სიკვდილი

არ ვიცი, დამიჯერებთ თუ არა იმას, რასაც ახლა მოგიყვებით, მაგრამ მამალს უთქვამს, მე მიყივლია და თუნდ გათენებულა და თუნდ არაო, ხოლო, ერთ-ერთი სატელევიზიო პროგრამისა არ იყოს, გინდ დაიჯერეთ და გინდ არა.

ორთოდოქს ქრისტიანთა ოჯახში არ გავზრდილვარ, ამიტომაც მიკვირს და დღემდე დანამდვილებით არ ვიცი, საიდან გამიჩნდა სულის უკვდავების, ერთი არსებიდან მეორეში მისი გადასახლების, სულთა ნათესაობის რწმენა. ვითომ მარტოოდენ წიგნებიდან? ან, იქნებ, სიზმარში შთამაგონა ზეციერმა?..

რამდენ ვინმეს შევხვედრივარ (ქუჩაში, მგზავრობისას, სუფრასთან) ისეთს, ვინც ნაცნობი მგონებია, გავსაუბრებივარ და გამორკვეულა, რომ თურმე მასაც ნაცნობად მივუჩნევივარ, მაგრამ ვერაფრით ვერ დაგვიდგენია, სად შეიძლებოდა ერთმანეთს შევხვედროდით. და ბოლოს იმ დასკვნამდე მივსულვარ, რომ ერთიმეორეს წინა ცხოვრებაში ვიცნობდით, როცა ჩვენ ჩვენ კი არ ვიყავით, არამედ სულ სხვა ვინმე ან სულ სხვა რამე, ვთქვათ, ჩიტი, პეპელა, ძაღლი, ჭიანჭველა, ცაცხვი ან, რა ვიცი, კიდევ რა... ამ ბოლო ხანს პრესაშიც გამოჩნდა სულის გადასახლების დამადასტურებელი თითქმის უტყუარი ფაქტები.

მეგობარმა მიამბო: მის ახლობელს ძაღლი ჰყოლია თურმე ერთი. მგონი, სეტერიაო, თქვა, ოღონდ არა წმინდა სისხლისა, რომელიღაც სხვა ჯიშთან ნარევი. შუქრი (ასე ერქვა პატრონს) კარს რომ შეაღებდა, მისი დანახვისთანავე ძაღლს მოულოდნელი სიხარულისგან გული მისდიოდა თურმე. დიახ, დიახ! მეც გამიჭირდა დაჯერება!.. როგორი წარმოსადგენია - შედის პატრონი, ძაღლი ერთს შეხედავს, საცოდავად ამოიწკმუტუნებს, წაიქცევა და თვალებს გადაქაჩავს! ატყდება ერთი ალიაქოთი, გაქცევ-გამოქცევა, ნიშადურის სპირტის ძებნა... ბოლოს ერთმა ცნობილმა კინოლოგმა ურჩია თურმე შუქრის, მოულოდნელად ნუღარ შეხვალ ოთახში, ძაღლი წინასწარ შეამზადეთ ხოლმეო. მას შემდეგ სამსახურიდან წამოსვლის წინ შუქრი შინ რეკავს, გამოვდივარო. და ძაღლს ეუბნებიან:

- აი, შუქრიმ დარეკა, მოვდივართ!

ძაღლი კუდს აქიცინებს, თვალებში შეჰყურებს მახარობელს.

მერე:

- აი, შუქრი მოვიდა მანქანით!

ძაღლი ყურებს ცქვეტს და წკმუტუნებს.

მერე:

- აი, შუქრი ლიფტით ამოდის!.. ახლა კარზე ზარს დარეკავს!

ძაღლი კარისკენ გარბის და შემოსულ პატრონს მკერდზე აეტოტება, ცდილობს, როგორმე მისწვდეს და ენით სახე აულოკოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე დავასკვენი, რომ წინა ცხოვრებაში ის ძაღლი და მისი პატრონი ან ორივენი ძაღლები იყვნენ, ან ადამიანები და მჭიდრო ურთიერთობა აკავშირებდათ. ტვინს არაფერი (ან თითქმის არაფერი) ახსოვს, სულებმა კი იცნეს ერთურთი და ერთმანეთი ისევე უყვართ, როგორც წინა ცხოვრებაში უყვარდათ.

ფანტასტიკას ჰგავს, არა?..

ჩემი ყრმობის დროინდელ ერთ ამბავს მოგიყვებით, რომელიც, მე მგონია, სულთა ნათესაობის უტყუარი მაგალითია.

სოფელში ვცხოვრობდი. მეათე თუ მეთერთმეტე კლასში ვსწავლობდი. მძიმე ბავშვობა მქონდა გავლილი და თავს უკვე დაკაცებულად ვთვლიდი. მეზობლად (მესერი გვქონდა შუაში) ერთი ქვრივი ცხოვრობდა, ახალგაზრდა, კოჭმაღალი და შვლისთვალება ქალი. ჩემზე უფროსი იყო, მაგრამ გულისგულში ჩუმ-ჩუმად მომწონდა და, ახლა რომ ვუკვირდები, ეტყობა, ამიტომაც მეჯავრებოდა ესე უსაშველოდ მისი დედამთილი, რომელიც უსათუოდ ავად გახდებოდა, დღეში ერთხელ მაინც რომ არ წაჩხუბებოდა რძალს. მორგვივით დედაკაცი იყო, ცხვირნისკარტა, მოკლეკისერა, დიდი მკერდი ჰქონდა, წელი არ ეტყობოდა, ვეება თეძოებს ძლივძლივობით დაათრევდა. სამსახურიდან დაბრუნებული აუცილებლად ჩვენს ეზოში გამოივლიდა, ოდის ქვეშ ძელსკამზე ჩამოჯდებოდა, ჭიდან ახალმოტანილ ყინულივით ცივ წყალს პირდაპირ ვედროდან მოსვამდა, რამდენიმე წუთით დედაჩემს გაესაუბრებოდა, მერე, წელზე ხელმოჭიდებული, კუთვა-კუთვით წამოდგებოდა, ბაჯბაჯით მივიდოდა ჭიშკართან, თავის ეზოში გადავიდოდა და წუთის შემდეგ უკვე მესმოდა მისი ღავღავი და ქოთქოთი.

ბევრი ქათამი გვყავდა. იმათში ერთი ერია - მოკლეკისერა, დიდჩიჩახვიანი, ვეებაკურტუმიანი. ქსენიასავით ბაჯბაჯით დადიოდა, იმასავით კუთავდა; გამოხედვაც ისეთი ჰქონდა, რომ ყოველთვის მეგონა, ქსენიამ შემომხედა თავისი ცივი, მოთავებული მზერით-მეთქი.

ქსენია დავარქვი იმ ქათამს.

შემოდგომაზე ბათუმიდან სტუმრები გვეწვივნენ - ბიძაჩემი, ბიცოლაჩემი, უმცროსი ბიძაშვილები. ქათამი დაიჭირე და დაკალიო, დედაჩემმა. სტუმრები ზევით ისვენებდნენ, ოდაში.

ქათმის მეტი რა იყო ეზოში! მოკლე ჯოხი ავიღე და, ფეხებში ვესვრი-მეთქი, მაინცდამაინც ქსენია-ქათამი ამოვიღე მიზანში, იმას გამოვენთე ქორივით. სწორედ ამ დროს ქსენია-ქალმა შემოაღო ჭიშკარი.

- რას შობი, ბიჭო? - მკითხა. - დედლებს ეჯიბრები სირბილში?

მკვახე სიტყვა ენის წვერზე დავიჭირე, არაფერი ვუპასუხე და ფრთხილად მივუახლოვდი ქათამს, რომელსაც უკვე არაქათი გამოსცლოდა და თხილის ბუჩქის ძირას მიყუჟულიყო.

- მარინე, სახლში ხარ? - დედაჩემს გასძახა ქსენიამ.

- აგერ ვარ! - დედა სამზადში საქმიანობდა. - ჩამოჯექი, ახლავე გამოვალ.

- არა, ცავ, რაცხა ვერ ვარ კარქათ, - უპასუხა ქსენიამ, ვედროდან ცივი წყალი მოსვა, ჩვეული კუთვა-კუთვით გაიარა ჭიშკარი და თავისი ოდის კიბეზე აბრახუნდა. ქათამი დავიჭირე. წალდი მოვძებნე. სისხლს ვერ ვიტან, მის დანახვაზე ცუდად ვხდები. ქათამს ფრთების ბოლოები და ფეხები ცალი ხელით გავუკავე, კისერი კუნძზე დავადებინე, წალდი დავუმიზნე, თავი გვერდზე მივაბრუნე და...

"ჩახ!"

ის იყო, უკან გადავხტი, სისხლი არ მომეშხეფოს-მეთქი, რომ მეზობელი ოდიდან ქალის კივილი მოისმა. ვიცანი - ახალგაზრდა ქვრივის ხმა იყო.

დედაჩემი გულგახეთქილი გამოვარდა სამზადიდან.

- რა იყო, ცავ, ცისანავ?! - გასძახა. - რა დაგემართა, გოგო?

- ქსენია... ქსენია მოკვდა, მარინე ბიცოლა! - აივნიდან ჩამოჰკივლა ქვრივმა.

საერთოდ, ხელცოცხალი ვარ - ჩემი დაკლული ქათამი ათიოდე წუთს მაინც ფართხალებს და ხტუნვა-ხტუნვით ლამის მთელი ეზო შემოიაროს ხოლმე. ახლა კი... ქსენია-ქათამი, სადაც და როგორც დავაგდე, ისევე და იქვე იწვა კუნძთან, უმოძრაოდ, და წაჭრილი კისრიდან თქრიალით სდიოდა სისხლი.

როგორც თქვენ არ გიჭამიათ, ისევე მეც არ მივკარებივარ იმ ქათმის ხორცს.

ფანტასტიკას ჰგავს ყველაფერი ეს, არა?..



ეროვნული ბიბლიოთეკა

გოდერძი იათაშვილი

# ერთი დღე სამოთხეში

კომედია ორ მოქმედებად



### მოქმედი პირები

| | |
|---|---|
| სულიკო | ნიკა |
| დუდა | ნონა |
| პეტრე | ლიკა |
| დათო | ნანა |

## პირველი მოქმედება

*სულიკოს ბინა. იგი თითქმის დაცარიელებულია, მაგრამ იგრძნობა, რომ აქ ოდესღაც ყველაფერი გემოვნებით იყო გაწყობილი. ძველი დიდების ნიშნად ოთახს შემორჩენია იმ ავეჯის ნაწილი, ადრე რომ ამშვენებდა აქაურობას - მაგიდა, სკამები, ტახტი, კარადა და თითქმის გამოცარიელებული წიგნების თაროები. კედლებზე გაკრული შპალერი ერთ-ორ ადგილას ჩამოხეულია. მას "ამშვენებს" უხამსი მინახატები, ავტოგრაფები, წარწერები და ღვინის ლაქები. მაგიდას პეტრე, სულიკო და ნიკა უსხედან. დატურტლულ სუფრაზე არაყის ცარიელი ბოთლები, გამხმარი პურის ნატეხები, კონსერვის ქილები და ძეხვის ნაჭრები ყრია. სამივეს ლოთობისგან გატანჯული, დაჭმუჭნილი სიფათი აქვს. გამწარებული ექაჩებიან სიგარეტს და ცდილობენ თამბაქოს კვამლში ჩაახრჩონ სულში ჩაგუბებული დეპრესია.*

სულიკო - ყელი მიშრება, რამე თუ არ მოვიფიქრეთ, გავგიჟდები!

პეტრე - ერთი-ორი ყლუპი მაინც დაგეტოვათ, თქვე ულმერთოებო, ასე როგორ გამოწრუპეთ.

სულიკო - ახლა ასი გრამი იყოს და... (*გააჟრჟოლებს*) უუჰ!

ნიკა - მე ლუდზეც თანახმა ვარ... ლუდის ფული ვერ უნდა ვიშოვნოთ, ბოლოს და ბოლოს!

პეტრე - (*თითქოს თავისთვის წაიბუტბუტებს*). მე მაქვს ფული.

(*ამის გაგონებაზე სულიკო და ნიკა ისარნაკრავებივით წამოცვივდებიან, აღელდებიან, აფორიაქდებიან, გახალისდებიან*).

სულიკო - მერე რას გვაწვალებ ჯალათივით, აქამდე ვერა თქვი?!

პეტრე - ვერ დავხარჯავ.

ნიკა - (*აგრესიულად*). რაო? როგორ თუ ვერ დახარჯავ?!. ახლავე ამოყაჭე, ჰა, ჩქარა!.. რამდენი გაქვს?

პეტრე - რამდენი უნდა მქონდეს... მანეთიანი მომცა ცოლმა - ბავშვს რძე ამოუტანეო.

სულიკო - რძე თვითონ უნდა აწოვოს ქალმა. შვილებს ძროხების იმედზე რომ აჩენენ, იმიტომ წახდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი საქმე.
პეტრე - ძუძუ არ ყოფნის და რა უნდა ვქნათ?
ნიკა - რა უნდა ქნათ და პატარაობიდანვე არ უნდა გაანებივროთ, არ უნდა გააფუჭოთ ბავშვი. გოგო რომ იყოს, კიდევ არა უშავს, მაგრამ... (*სულიკოს*) ერთი მითხარი, თუ ძმა ხარ, რა ვაჟკაცის საქმეა რძე!
პეტრე - აბა, ღვინო დავალევინო?
სულიკო - (*ნერვულად*). მორჩით ბაზარს! (*პეტრეს გადაჭრით*) მომეცი ფული!
(*პეტრე ჯიბიდან ოთხად დაკეცილ მანეთიანს ამოიღებს, გაშლის, გულდაგულ გაასწორებს და სულიკოს გაუწვდის*).
ნიკა - სამმანეთიანი ვერ გამოართვი?
პეტრე - სამმანეთიანი კი არა... რძეს თუ არ მოიტან, თვალით არ დამენახოო.
სულიკო - (*ნერვულად*). რად გინდა კაცს ეგეთი ცოლი, მანეთიანს თუ თან გული გააყოლა?!
ნიკა - (*სულიკოს*). გუშინწინ, პეტრესთან რომ ამაგზავნე, მაგის ქალბატონი ისე მიბღვერდა, თითქოს...
პეტრე - კარგი, ნუ გაახურე, არც შენი ცოლი გიყდებოდა შენი ძმაკაცების დანახვაზე.
ნიკა - ჰოდა, იმიტომაც გავაგდე.
პეტრე - (*ავდებით*). გააგდე კი არა და!..
ნიკა - ჰო, ჰო, გავაგდე! ახლაც მეხვეწება - შემირიგდიო.
სულიკო - (*ნიკას შეუტევს*). კარგი, კარგი! (*ფულს გაუწვდის*) გამომართვი. (*ნიკა ფულს გამოართმევს*) ეგ ცარიელი ბოთლებიც წაიღე.
ნიკა - (*ბოთლებს იწყობს ჯიბეებში, ბურდღუნით*). ჩანთა მაინც იყოს...
სულიკო - ჩანთა არა, ერთი... ეგ ჯიბეები რისთვის მიაკერა მაგის გამომშვებმა?!
ნიკა - (*გასასვლელისკენ მიდის*). პეტრე ვერ წავა?
სულიკო - მე ვიცი, ვინც უნდა წავიდეს... მაგას, შეიძლება, ცოლი შეეჩხოს და დავიღუპებით.
ნიკა - ჰო, კარგი, კარგი. (*მიდის*).
სულიკო - მოიცა. (*ნიკა შეჩერდება*) აჰა, ეს ოცი კაპიკიც გამომართვი (*ჯიბიდან ხურდა ფულს ამოიღებს და ნიკას გაუწვდის*).
ნიკა - პური არ გვინდა?
პეტრე - (*დაცინვით*). ხიზილალას ხომ არ მიირთმევთ?
სულიკო - (*მაგიდაზე მიუთითებს*). ეს პური არ არის?
ნიკა - ისეა გამხმარი, თათარს რომ თავში დაარტყა, ქრისტიანი ვარო, დაიძახებს.
სულიკო - ჰოდა, გააქრისტიანე შენც მთელი სამუსულმანო, რა გენაღვლება, რა... ჰა, ჰა, ჰა! ისე, ჩვენში დარჩეს და, კი გავხარ ქრისტეს მოციქულს - ხორცი შენ არა გაქვს, ფერი შენ არა გაქვს, ფული შენ არა გაქვს, სახლი და კარი. ნამდვილი წმინდანი ხარ, ერთი ჯვარი ხელში და...
ნიკა - მე ჭიქა უფრო მომიხდება.
სულიკო - ჰოდა, თუ მოგიხდება, წადი ახლა, რაღას ითრევ ფეხს.
ნიკა - თუ ნისიად მომცა, არაყიც წამოვიღო?
სულიკო - მაგას კითხვა უნდა?
(*ნიკა გადის*).
პეტრე - (*სიტყვას დაადევნებს*). არაყს არა, ვირის თავფეხს მოგართმევენ ნისიად.
სულიკო - (*შეუღრენს*). რას ითარსები, იქნება, მართლა აძლევენ!
პეტრე - კარგი ერთი, ვინ მისცემს. ყველა ნოქარმა იცის, რა სტუვის პატრონიც არის.
სულიკო - თორემ შენი სიტყვა მილიონად ფასობს, რა!
პეტრე - მე და ნიკა ერთი ვართ? მაგას, როცა გინდა შეხვდე, კაპიკი არ უჭყავის.
სულიკო - შენ ხომ სულ ხვლიკისფერი ხუთთუმნიანებითა გაქვს ჯიბეები გამოტენილი!
პეტრე - მე მანეთიანი მაინც მაქვს ხოლმე.
სულიკო - ნუ გადაგვაყოლებ ახლა იმ შენს დაჩენჩილ მანეთიანს.
პეტრე - დაჩენჩილი დაუძახე... შეიძლება, დღეს მაგ მანეთიანისთვის ჩხუბი მქონდეს ოჯახში.
სულიკო - არა, შენი ცოლის მორჯულება არ იქნება - ძმაკაცებში მანეთიანიც არ დახარჯო?
პეტრე - რა ვქნა, რაც არი, ეგ არი.
სულიკო - ჰო, რა უნდა ქნა, თუ არ ელოლიავე, ადგება და გაგეყრება, მე შენ გეტყვი და, ვინმე გაამტყუნებს, ვინმე დაძრახავს, ოჯახი რად დაანგრიეო. (*პაუზა*) აგერ, ჩემმა ცოლმა დაკრა ფეხი და გავარდა სახლიდან.
პეტრე - შენ კარგი ცოლი გყავდა... მაინც რა მინდაო?
სულიკო - ქალისას რას გაიგებ - შენი გამოსწორება არ იქნებაო. (*პაუზა*) გინდა, წერილი წაგიკითხო?
პეტრე - რა წერილი?
სულიკო - წასვლის წინ რომ დამიტოვა (*სათუთად შენახულ ფურცელს ამოიღებს, გაშლის. წერილი ზეპირად იცის, მაგრამ კითხვის დროს მაინც განიცდის ყოველ სიტყვას, ყოველ ფრაზას*) სულიკო!.. ეს სიტყვა გადაშლილია... ჩემო სულიკო!.. ესეც გადაშლილია. ნახე, როგორი ნერვული ხელით არის დაწერილი. (*პეტრე წერილს ჩასცქერის.*) შენ თვითონ წაიკითხე, მე არ შემიძლია. (*წერილს გაუწვდის*).
პეტრე - (*კითხულობს.*) ჩემო საყვარელო სულიკო! მე მივდივარ. არ ვიცი, უშენოდ როგორ გავძლებ, მაგრამ მაინც მივდივარ. შენი გაუთავებელი ღრეობები, დღედაღამ ლოთობა აუტანელი გახდა.
სულიკო - მე ვარ ლოთი?.. ახლა, შეიძლება, ვლოთობ, მაგრამ მაშინ წესიერად ვიყავი, წესიერად ვსვამდი.
პეტრე - (*კითხვას განაგრძობს*). მე კიდევ გავუძლებდი ყველაფერს, მაგრამ არ მინდა, რომ ჩვენმა შვილებმა, რომლებიც მალე ჭკუაში ჩავარდებიან, თავიანთი მამა ისეთი გასაცოდავებული დაიმახსოვრონ, როგორსაც მე გხედავ თითქმის ყოველდღე. (*სულიკო თავს ჩაღუნავს.*) სულიკო, მე შენი არაფერი მინდა: არც ალიმენტს მოგთხოვ, არც სახლ-კარს, არც ავეჯს. შენთვის დამილოცნია ყველაფერი. მშობლებთან დავბრუნდები, ხომ იცი, ისინი არაფერს გამიჭირვებენ... რომ ვუკვირდები ჩვენს ცხოვრებას, იმ დასკვნამდე მივდივარ, რომ აღარ გიყვარვარ. ჰო, აღარ გიყვარვარ და ამის გამხელა კი ვერ გაგიბედავს. ალბათ, სხვა ქალს გადაეყარე, ჩემზე უკეთესს შეხვდი და იმან დაგირღვია მყუდროება, აგაფორიაქა, გადაგრია, გაგალოთა. თუ ასეა, დამილოცნიხარ! შვილებსა ვფიცავ, გამეხარდება კიდეც, შენ რომ გამოსწორებული გნახო.
სულიკო - ხედავ, რას სწერს?!
პეტრე - (*ისევ წერილს მიუბრუნდება.*) მაგრამ, თუკი სხვა არავინ გიყვარს, თუკი ღვინოზე გამცვალე, მაშინ უარესად ყოფილა შენი საქმე. გონს მოდი. ეგრე თუ გააგრძელე, ხელში შემოგადნება კაცობაც, ჯანმრთელობაც, ნიჭიც და ეს წუთისოფელიც! შენი გულისა და ნიჭის ადამიანი არ უნდა დაიღუპოს! მაპატიე, ჩემო ერთადერთო საყვარელო, რომ გტოვებ... შენს თავს ვფიცავ, შე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნი ბრალია ყველაფერი. კარგად დარჩი ჩე... ჩემო... მელნითაა გათხაპნილი, ველარ ვარჩევ.

სულიკო - ალბათ, ცრემლი ველარ შეიკავა და...

პეტრე - (*კითხულობს*) გისურვებ ოცნებების შესრულებას. ბედნიერი ვიქნები, თუ შენს სიმფონიებს მოვისმენ. გაუფრთხილდი როიალს. უინსტრუმენტოდ სულ დაიღუპები... გაუფრთხილდი თავს, გაუფრთხილდი შვილების სახელს. უკანასკნელად გეხვევი და გკოცნი. შენი ნანა (*წერილს გაუწვდის. ხანგრძლივი პაუზა*). ძალიან უყვარებიხარ.

სულიკო - (*უცებ აფეთქდება*) მერე რაღას გაიქცა?! მე ხელოვანი ვარ, თუ არ დავლიე, თუ არ გავეთიშე ამ ცხოვრების სინამდვილეს, ვერაფერს შევქმნი! ვერ გამიგო, ვუყვარდი, მაგრამ მაინც ვერ გამიგო! იმიტომ კი არა ვსვამ, რომ ლოთი ვარ... არა ვარ ლოთი, არა! როცა დავლევ, ხილვები მეწყება, მუზა მომდის, საოცარი ჰანგები ჩამესმის. ერთხელაც იქნება, დავიჭერ ამ ჰანგებს, ნოტებში ჩავამწყვდევ და გენიალურ სიმფონიას შევქმნი... ჰო, ის დღეც მოვა, ის დღეც დადგება, როცა დავწერ საოცარ, განუმეორებელ სიმფონიას და ჩემზე ალაპარაკდება მთელი ქვეყანა... ჩემს საავტორო კონცერტზე ორ ბილეთს გამოგიგზავნი. ცოლთან ერთად მოხვალ და მესამე რიგში დაჯდები. ყვავილებს რომ მომართმევენ, ერთ ცალ მიხაკს თქვენკენ გადმოვისვრი და თან დავიძახებ - ეს ჩემი მეგობრის ცოლს-მეთქი. ჰა, ჰა, ჰა! ხომ კარგი იქნება? შენი მეუღლე დღევანდელი მანეთიანის სამაგიეროდ სამმანეთიან მიხაკს მიიღებს გენიალური მუსიკოსის ხელიდან.

პეტრე - (*თითქოს არც გაუგონია სულიკოს მაღალფარდოვანი სიტყვები*) ნიკა სად დაიკარგა?

სულიკო - (*წყენით*) მე მუსიკაზე გელაპარაკები, შენ კი...

პეტრე - (*ისევ იმ ტონში*) რა დროს მუსიკაა. (*პაუზა*) ალბათ, თქვენს გასტრონომში არ იყო ლუდი და სხვაგან წავიდა (*ნერვულად*). ამ უბანში ისეთი ტუზები ცხოვრობენ - ლუდს ვინ გაიკარებს, შამპანურითა და კონიაკით გამოდიან პახმელიას!

სულიკო - ჯანდაბა, ეს ცხოვრებაა?! ძაღლივით იღრინები ერთი ბოთლი ლუდის მოლოდინში.

პეტრე - მომწიფებული სოციალიზმის ეპოქაში ვცხოვრობთ, კომუნიზმში შევდივართ და ათასი ხრიკები გჭირდება კაცს, რომ ლუდის ფული დასტყუო საკუთარ ცოლს... მე თუ მკითხავ, ლუდი მუქთა უნდა იყოს. ლუდიც ხომ პური არ არის, ფულს რომ გვახდევინებენ... სულიკო, ხომ იცი, ზოგი საერთოდ არ ეკარება ლუდს - თირკმელებზე მოქმედებსო. გამიჩინოს, ბატონო, მე ნეფრიტი და ციროზი, თანახმა ვარ, მხოლოდ დამალევინე ეს ოხერი, ცხენის შარდივით აშმორებული სასმელი და ნუ მიშლი ნერვებს! (*პათეტიკურად*). ჰო, ნუ მიშლი ნერვებს, მეც კომუნიზმის მშენებელი საზოგადოების წევრი ვარ და უნდა გამიფრთხილდე!.. შენ რომ გამიფრთხილდები, თავის დროზე რომ მაქეიფებ, თავის დროზე პახმელიაზე რომ გამომიყვან, მეც თავდადებით მოგემსახურები, ჩემო საყვარელო სამშობლოვ!

სულიკო - როგორც გატყობ, შენ იმაზეც არ იტყვი უარს, ონკანში წყლის მაგიერ ღვინო რომ მოჩუხჩუხებდეს.

პეტრე - არა, არ მინდა. ეს საშინელება იქნება. ეს უპატივცემულობა იქნება ღვინის მიმართ. მილებში რომ გაუშვა, ამ ქრისტეს ცრემლივით წმინდა სასმელით ზოგიერთები პირის დაბანას დაიწყებენ, აბაზანას გაავსებენ და შიგ ჩაწვებიან, შიგ ჩაიბანენ თავიანთ ტურტლიან კისერსა და ფეხებს.

სულიკო - შენ მართალი ხარ, არაყის მდინარე რომ მოდიოდეს, ჩვენ ერთ ბოთლს არ აგვავსებინებენ. ყველაფერს ბედი უნდა, ბედი!.. აი, ახლა, ამ წუთას, რამდენი სულით ხორცამდე დამპალი კაცი უზის სუფრას და არმად ნაშოვნი ფულით ჰარიჰარალოს გაიძახის. სად არის სამართალი, რატომ უნდა ჰქონდეს ჩემზე მეტი ფული? ჩემზე კარგი ვაჟკაცია, ჩემზე მეტი განათლება აქვს თუ ჩემზე უკეთესად იცის სასმელის ყადრი?!

პეტრე - მეც სწორედ ეგ მიშლის ნერვებს... აი, ჩვენი მთავარი ინჟინერი არა სვამს, სამაგიეროდ, მთავარია, მე კი ვსვამ და უბრალო ინჟინერი ვარ; რამე რომ გაფუჭდება, მე უნდა გავაკეთო, იმან კი საბუთებზე ხელი უნდა მოაწეროს და თათბირებზე ბრტყელ-ბრტყელი სიტყვებით გამოვიდეს; მე რომ მთვრალს დამინახავენ, კრებაზე დამამუშავებენ, პრემიას მომიხსნიან, იმას კი წარმოდგენა არა აქვს, ჩარხი როგორ მუშაობს და პრემიებს მაინც ღებულობს; მე, თუ პახმელიაზე ნერვებმოშლილმა ვიღაცას შევაგინე, სამსახურიდან მოხსნით მემუქრებიან, ის კი პახმელიაზე არასდროს არ არის და ამიტომ დეპუტატად აირჩიეს (*პაუზა*). სულიკო, თუ კაცი ხარ, გამაგებინე - მე რომ ვსვამ, რასაც ვიღებ, მაშინვე უკანვე რომ ვუბრუნებ სახელმწიფოს, დანაშაულია და, ის რომ არა სვამს, ფულის მიმოქცევაში ყოფნას რომ ხელს უშლის, დანაშაული არ არის?!

(*რეკავს ზარი. ორივე დაფეთებული მივარდება კარს*).

სულიკო - ძლივს დაადგა საშველი.

(*კარი იღება. შემოდის დუდა. მას ორივე გაოცებული შეჰყურებს. დუდა ახალგაზრდა კაცია, წვერგაუპარსავი, გაბურძგნილი; დაჭმუჭნილი ტანსაცმლით, დაღლილი სახითა და თვალებით ნათრევი კაცის შთაბეჭდილებას ტოვებს*).

დუდა - (*უაზროდ აცეცებს თვალებს, ხელებს იქნევს, ბუტბუტებს*) ალისა, არ მომეკარო, გადი აქედან, გადი, რომ გეუბნები!

სულიკო - რა დაგემართა, დუდა?

პეტრე - დუდა, არ გესმის?!

(*დუდა მაგიდასთან მიფრატუნდება, ცარიელ ჭიქას აკანკალებულ ხელს მოუფათურებს, ძალაგამოცლილი ჩამოჯდება და საწყალი, უიმედო თვალებით შესცქერის ხან ერთს, ხან მეორეს*).

სულიკო - ნიკა ლუდზეა წასული, მალე მოვა... გესმის, დუდა?

(*დუდა ჭიქას ყნოსავს, მერე მოიყუდებს და ძირში ჩარჩენილ წვეთს შეისრუტავს*).

პეტრე - (*თავისთვის*) რას დამგვანებია.

დუდა - (*ძლივს გამოცრის*) წყალი (*სულიკო ჭიქას დაავლებს ხელს და გასვლას აპირებს, მაგრამ დუდას ხმა შეაჩერებს*). ცოტა, ძალიან ცოტა ჩაასხი, თორემ არაყის გემო დაეკარგება.

(*სულიკო გადის და სწრაფად ბრუნდება უკან. დუდა ჭიქას გამოსტაცებს, ხელისგულს დააფარებს და შეაჭანჭყარებს, შემდეგ მეორე ჭიქაში გადაასხამს, შემდეგ მესამეში, მეოთხეში... დაყნოსავს და ისე გადაჰკრავს, როგორც არაყს. სულის*

ეროვნული ბიბლიოთეკა

*მოითქვამს. სიცოცხლის ნიშანწყალი აუკიაფდება თვალში).*

**პეტრე** - ყოჩაღ, მაგარი რამე მოიფიქრე.

*(დუდა უცნაურად იღიმის. სულიკო ისევ გადის და ბოთლით ხელში ბრუნდება. ამის დანახვაზე ორივე წამოხტება. დუდა ხელში ეცემა და ცდილობს, ბოთლი გამოსტაცოს).*

**სულიკო** - (*შეუტევს*) დაჯექი!.. ძმარია ეს, ძმარი!

**დუდა** - არა უშავს, მომეცი, მომეცი!

**სულიკო** - (*მკაცრად*) დაჯექი, რომ გეუბნები!

*(დუდა მორჩილად შეასრულებს ბრძანებას, თან გაფაციცებით ადევნებს თვალს სულიკოს ყოველ მოძრაობას).*

**სულიკო** - პეტრე, წყალი მოიტა!

*(პეტრეს ჭიქით წყალი მოაქვს. სულიკო ჭიქას გამოართმევს, შიგ ძმარს ჩაასხამს და დუდას გაუწვდის).*

**დუდა** - (*აკანკალებული ხელით ჩამოართმევს ჭიქას და, ის არის, პირთან უნდა მიიტანოს, რომ არაადამიანური ხმით იყვირებს*) ალისა, მოგკლავ, იცოდე, ხელი არ მახლო (*ჭიქას მკერდში იხუტებს*)! არ დაგალევინებ, გადი აქედან (*უცებ გადაჰკრავს, დიდხანს დგას უმოძრაოდ, მერე ჭიქას გაუწვდის სულიკოს*)! ერთიც დამისხი.

**სულიკო** - მეტი არ შეიძლება (*ბოთლს შეინახავს*).

**პეტრე** - დიდი ხანია, დაიწყე?

**დუდა** - ერთი თვეა... თუმცა, შეიძლება, მეტიც არის, კარგად აღარ მახსოვს, დღეს რომელი რიცხვია?

**პეტრე** - ოცდაერთი.

**დუდა** - სექტემბერი?

**პეტრე** - არა, ოქტომბერი.

**დუდა** - მაშინ თითქმის ორი თვე ყოფილა.

**სულიკო** - სად იყავი?

**დუდა** - არ ვიცი... ალბათ, აქ ვიყავი. შეიძლება, სხვაგანაც ვიყავი, არაფერი მახსოვს... გუშინ ღამე გამოვფხიზლდი საბარგო მატარებლის ვაგონებშუა.

**პეტრე** - სად გამოფხიზლდი?

**დუდა** - ვაგონებშუა ფიცარი იყო გადებული და ზედ ვიწექი. გვერდზე რომ გადავბრუნებულიყავი, ალბათ... ახლაც მიკვირს, როგორ გადავრჩი ან როგორ მოვხვდი იქ?.. ჰო, მართლა, ამ დილით სასაფლაოზე გამეღვიძა - მარმარილოს ქვაზე ვიწექი. მერე სახლში წავედი. იქ აღარაფერი დამხვდა. ალბათ, გავყიდე, რაც გამაჩნდა. კარები კი დაკეტილი იყო (*გასაღებს ამოიღებს*). აი, გასაღები... ჰო, იცით, კიდევ რა უნდა გითხრათ? სახლში ვერ გავძელი, შემეშინდა - ალისა დამდევდა დანით.

**პეტრე** - ვინ ალისა?

**დუდა** - ჩემი პირველი შეყვარებული (*სულიკოს*). გახსოვს, ლექსი რომ ვუთხარი ექსპრომტად ამ ათი წლის წინათ? (*იხსენებს*)

*ალისა, ალისა,*
*ალისა და მალისა,*
*ნეტა, ვისი შვილი ხარ, -*
*ალისა თუ ქალისა.*

**სულიკო** - ის ხომ გათხოვდა.

**დუდა** - ჰო, გათხოვდა. ქმარიცა ჰყავს, შვილებიც და მაინც არ მასვენებს... ვერსად დავემალე... ცოტა ხნის წინათ სახლში შემომივარდა, ხელები გადამიგრიხა და...

**სულიკო** - (*გააწყვეტინებს*) გეჩვენება, დუდა! ნუთუ ვერ ხვდები, რომ გეჩვენება?!

**დუდა** - კი, როგორ არ ვიცი, რომ მეჩვენება, მაგრამ რა ვქნა? კუთხეში მიმიმწყვდია (*ბარძაყებზე ხელს მიიდებს*), აი, აქედან ხორცებს მაჭრიდა, შამფურზე აგებდა, მაყალზე აშიშხინებდა და სულ სიცილ-კისკისით მიირთმევდა... როგორც თქვენ გხედავთ, ისე ვხედავდი ალისას, ვეხვეწებოდი, შემიბრალე-მეთქი, მაგრამ არ მეშვებოდა. აქამდე მომყვა (*სულიკოს*). შენ რომ ჭიქა მომაწოდე, მაშინაც გამომეცხადა, უნდოდა, ხელიდან წაერთმია.

**სულიკო** - ახლა ხომ აღარ ხედავ?

**დუდა** - არა, გაქრა. ეს წუთია, გაქრა და ცოტა დავისვენე. ღვინომ მიშველა. ერთიც დამისხი, თუ ძმა ხარ.

**სულიკო** - მეტი არ შეიძლება.

**დუდა** - სულ ცოტა, ნახევარი ჭიქა.

**სულიკო** - არა... ახლა ნიკა ლუდს მოიტანს.

**პეტრე** - სად დაიკარგა აქამდე?

**სულიკო** - ყელი მიშრება. ეგეთი ლუდი კი არა, უკვდავების წყალი არ მინდა.

**პეტრე** - მე წავსულიყავი, სჯობდა.

**სულიკო** - ვინმეს ხომ არ გადაეყარა და ხომ არ დაამღერეს შენი მანეთიანი?

**პეტრე** - მაგას ვერ იკისრებდა.

*(უცებ კარი იღება და ხმაურით შემოდის ნიკა).*

**სულიკო** - სად დაიკარგე?

**ნიკა** - გასტრონომის წინ ბიჭები იდგნენ გაგიჟებულები, ძლივს გავძვერი... ვინმეს რომ დავენახე, კაპიკს არ შემარჩენდნენ.

**სულიკო** - დუდას არ იცნობ?

**ნიკა** - (*ცდილობს, თვალი აარიდოს*) კი, როგორ არა (*ცალყბად*) გამარჯობა!

**დუდა** - რა განზე იყურები? თუ სალამს იძლევი, თვალებში შემომხედე და ისე თქვი.

**ნიკა** - მე ძალიან კარგად მოგესალმე.

**სულიკო** - (*დუდას*) შენ ახლა ისეთ ხასიათზე ხარ, რომ ყველაფერი უკუღმად გეჩვენება.

**დუდა** - თუ ეგრეა, ბოდიში მომიხდია.

*(სულიკო ბოთლებს გახსნის და ყველას სათითაოდ ჩამოურიგებს, ისინიც მოიყუდებენ და პირდაპირ ბოთლიდან სვამენ, მხოლოდ სულიკო ირჯება დინჯად - ჭიქაში ასხამს და ნელ-ნელა წრუპავს).*

**სულიკო** - რა ველურებივით იქცევით, ჭიქაში ვერ დაასხამთ?

**დუდა** - მართალი ხარ, ჩემო სულიკო.

**პეტრე** - სწორია. ნელ-ნელა დავლიოთ, რომ ცოტა ხანს მაინც გავიგრძელოთ სიამოვნება.

*(ნიკა ისევ ბოთლიდან წრუპავს).*

**სულიკო** - შენც გეხება, ნიკა!

**ნიკა** - (*ბოთლს მოიცილებს*) დამალევინე ჩემს გემოზე, თუ კაცი ხარ.

**სულიკო** - ჯერ სადღეგრძელო ვთქვათ.

**ნიკა** - (*ირონიით*) რა ვთქვათ, სამშობლოს სადღეგრძელო?

**სულიკო** - თუნდაც ეგრე იყოს, რა მოხდა... შენ რა, უარზე ხარ?

**ნიკა** - სამშობლოს სადღეგრძელო იმან დალიოს, ვისთვისაც ცხოვრება დუღს და გადმოდუღს, ვისაც სამშობლომ რაიმე მისცა, რაიმე სიკეთე მოუტანა.

**დუდა** - შენ რა გაგიცია და რის სამაგიეროს მოითხოვ?

**ნიკა** - არაფერი, მაგრამ მაინც მოვითხოვ (*ნერვულად*). სხვებივით სტანდარტული, დაშტამპული ცხოვრება არ შემიძლია. მე თანახმა ვარ - ჯერ დრო მატარებინონ და, როცა სამშობლოს დასჭირდება, მაშინ, იაპონელი კამიკაძის მსგავსად,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღიმილით, მუსიკით, ყვავილით გამაცილონ სიკვდილთან შესახვედრად!

**დუდა** - ღიმილით სიკვდილთან შეხვედრა მხოლოდ გენიოსებისა და ზეადამიანების ხვედრია.

**სულიკო** - (*ლუდს მოსვამს*) დალოცვილი სითხეა, პახმელიაზე ლუდს არაფერი სჯობია.

**პეტრე** - მე შამპანური მირჩევნია.

**ნიკა** - (*დაცინვით*) ბატონებო, გაიცანით არისტოკრატი!

**დუდა** - ახლა ყველა უნიფხვოს არისტოკრატად მოაქვს თავი და დიდი საქმეა, თუ პეტრემ შამპანური მოინდომა.

**პეტრე** - დუდა, შენ გენაცვალე, კაცი ხარ კაცური!

**ნიკა** - მე შამპანურის წინააღმდეგი კი არა ვარ, მაგრამ... (*ოცნებით*) რა სჯობია, ნაპერწკლებს რომ ისვრის ჭიქიდან... სვამ და თან მაცივრიდან გამოღებულ ლოყაწითელ ატამს, სანთელივით ჩაყვითლებულ გულაბ მსხალს, შავ ხიზილალასა და ცხვრის დუმაში ჩაბუღულ ბადრიჯანს აყოლებ.

**დუდა** - ჰა, ჰა, ჰა! სად გულაბი მსხალი და სად ხიზილალა, სად შამპანური და სად ბადრიჯანი!

**ნიკა** - (*ჯინიანად*) მე ეგრე მიყვარს.

**სულიკო** - (*ირონიით*) ასეთი გემოვნების კაცს, ფული არ უნდა ჰქონდეს?

**ნიკა** - ცუდი გემოვნება მაქვს?

**სულიკო** - კარგი, გადასარევი, მრავალფეროვანი.

**ნიკა** - არა თქვა ახლა, იმ ქაჯებს აქვთ გემოვნებაო, ვისაც ბედმა ყველა სიკეთე თავს დააბერტყა, გაანებივრა და ისინიც დაეწაფნენ ამ ცხოვრებას - შეხვრიპეს, სტომაქი გაივსეს, დააბინძურეს, ზედ გადაეფარნენ და ახლოს არავის უშვებენ.

**პეტრე** - (*გულდაწყვეტილი*) სასმელებიც იმათია, პურმარილიც და ლამაზი ქალებიც.

**სულიკო** - ლამაზ ქალებს მოეშვი და იმაზე იფიქრე, ამაღამ სახლში რომ მიხვალ და ცოლი რძეს მოგთხოვს, რა პასუხს გასცემ?

**ნიკა** - რას იტყვი, ძროხები გაბერწდნენ და აღარ იწველებიანო? ჰა, ჰა, ჰა! ეგეთ ცხოვრებას რა ვუთხარი, ცოლი რომ დილით მანეთიანს მოგცემს და საღამოს ანგარიშის ჩაბარებას, ახსნა-განმარტების დაწერას მოგთხოვს.

**პეტრე** - რა ვქნა, ზოგიერთებივით ფულის შოვნის შანსი არა მაქვს და...

**დუდა** - ჩვენ იმიტომ გავჩნდით ამ ქვეყანაზე, რომ მუზებს ვემსახუროთ, ღმერთამდე ავმაღლდეთ, ვიოცნებოთ.

**სულიკო** - (*გულდაწყვეტილი*) შენ იოცნებე, მეხაშე საქუა კი ალისას ბავშვებს გაუკეთებს.

**დუდა** - (*ნერვულად*) ეგრეა, თუ ხაში გინდა, მეხაშეს არ უნდა აწყენინო, რომ ჩლიქები ჩაგიყაროს მათლაფაში!

**ნიკა** - (*დაცინვით*) ალისა მეხაშესა ჰყავს?

**დუდა** - (*თითქმის ყვირილით*) არა! ალისას ქმარი დიდი კაცია, დასუფთავების ტრესტში მუშაობს!

**პეტრე** - ჰა, ჰა, ჰა!

**დუდა** - შენ იცინე და მე ლექსებით ლუკმაპური ვერ მიშამია, ზოგიერთები კი ნაგავში პოულობენ მარგალიტებს. მერე ამ სიბინძურიდან ამოღებულ სამკაულს ჩვენ საოცნებო ქალებს ყელზე ჰკიდებენ, ათახსირებენ და მიჰყავთ ჩვენგან სამუდამოდ!

**ნიკა** - ეგრეა, ქალს ფული უყვარს, ფული! ფეხებზე ჰკიდია შენი მუსიკა და პოეზია!

**სულიკო** - ჰოდა, თუ მაგდენი იცი, უნდა იშოვნო კიდეც. შენც ჩემსავით მუსიკოსი ხომ არა ხარ, სულის სისუფთავეს რომ უფრთხილდებოდე?.. თუ გინდა, მე ჩაგიწყობ საქმეს, ლუდის გამყიდველად რომ გაგიშვან.

**ნიკა** - ეგეთი რამე მეორედ აღარ მაკადრო! რახან მუსიკოსი და პოეტი არა ვარ, თავმოყვარეობა არა მაქვს?.. სოლოლაკელი ნიკა ვიღაც გოიმებს ვემსახურო?.. კარგად იცით, რომ თავის დროზე მათემატიკურზე ვსწავლობდი, მაგრამ ხელოვნების სიყვარულით ჯერ სამხატვრო აკადემიაში, მერე კი თეატრალურ ინსტიტუტში ვაბარებდი გამოცდებს...

**დუდა** - (*პათეტიკურად*) გაუმარჯოს ხელოვნებას (*პეტრეს*)! შენ ჩვენგან განსხვავებით ინჟინერი ხარ, მაგრამ სულით მუზებს ემსახურები. ჩვენთან საერთო ენას რომ პოულობ, ეს იმას ნიშნავს, რომ, როგორც ნიცშე იტყოდა, შენი სული თანდათან სცილდება ბრბოს, ყოველივე მიწიერს და ცდილობს ღმერთთან მიახლოებას, ამაღლებას, ზეკაცად გადაქცევას. წაკითხული გაქვს ნიცშეს გენიალური ნაწარმოებები?

**პეტრე** - არა.

**დუდა** - (*ნიკას*) შენ?

**ნიკა** - გამიგონია.

**დუდა** - გაგიგონია კი არა, თუ გინდა, ამაღლდე, უნდა ღრმად შეისწავლო, შეიცნო, ასე არ არს, სულიკო?

**სულიკო** - ნიცშე სულით ავადმყოფი იყო.

**დუდა** - არა! იგი უდიდესია ფილოსოფოსთა შორის. მე მას ლექსიც კი მივუძღვენი (*პათოსით კითხულობს*):

*ავდივარ მაღლა, მაღლა -*
*ვუყურებ შენს სახეს, ღმერთად ქცეულს.*
*ავდივარ ღრუბლებზე უფრო მაღლა*
*და ვხედავ ზარატუსტრას.*
*შენ მე ვერ მხედავ ჯერჯერობით,*
*მაგრამ, რომ ავმაღლდები ზეკაცად,*
*მოვალ და კი არ გეამბორები,*
*შეგხვდები, როგორც თანამოაზრეს,*
*გადაგეხვევი, როგორც მეგობარს,*
*როგორც ძმას,*
*როგორც ჩემი სულის ნამდვილ ტყუპისცალს!*

(*პაუზა*) როგორია, ჰა?

**პეტრე** - სისულელეა.

**დუდა** - მართალია, ჯერ ვერ ჩაწვდი ამ ლექსის სიღრმეს, მაგრამ დადგება დღე, როცა შეიგრძნობ ჩემი ფილოსოფიური პოეზიის მაგიურ ძალას (*სულიკოს*). როგორც მეგობარს, უფლებას გაძლევ, ამ ტექსტზე სიმფონია დაწერო. ღრმა, ფილოსოფიური, ამაღლებული სიმფონია, ისეთი, ნიცშეს რომ მოეწონებოდა. სათაურად კი შეიძლება დაარქვა "მიახლოება ზარატუსტრასთან". დავლიოთ ნიშცეს სადღეგრძელო (*ჭიქაში დარჩენილ ლუდს გადაჰკრავს*)!

**სულიკო** - მე არ დავლევ ნიცშეს სადღეგრძელოს - ის ფაშისტი იყო, კაცთმოძულე იყო.

**დუდა** - არა!

**სულიკო** - ტუტუციც იყო... მუსიკაში არაფერი გაეგებოდა და მუსიკაზე წერდა.

**დუდა** - ნიცშემ ყველაფერი იცოდა უმაღლეს დონეზე!

**სულიკო** - თავისი მეგობარი, ვაგნერი, გაყიდა. ვაგნერი შეიძულა იმიტომ, რომ შურდა მისი სიდიადისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**დუდა** - ვაგნერი კოლოა, ჭიაყელაა ნიცშესთან შედარებით!
(*რეკავს ზარი*).

**სულიკო** - შემოდი, რომელი ხარ?!
(*ზარი კვლავ რეკავს*).

**პეტრე** - (*ნიკას*) კარები ჩაკეტე?

**ნიკა** - არა, ღიაა.

**პეტრე** - (*ყვირის*) ღიაა კარები, შემოდი!
(*შემოდის დათო, ელეგანტურად ჩაცმული მოხულიგნო-მოინტილეგენტო ახალგაზრდა. იგი მთვრალია*).

**სულიკო** - დათოს გაუმარჯოს!

**ნიკა** - დათოს სიცოცხლე!

**დათო** - გენაცვალოთ თქვენი დათო, ჯიგრებო!

**სულიკო** - კარგ დროს მოხვედი.

**ნიკა** - ლუდზე დაგვეწვიე.

**დათო** - არ მინდა. მე უკვე მაგრადა ვარ. ხოშიან პურმარილზე ვიყავი, კარგად შევუბერე და თქვენ გამახსენდით.

**ნიკა** - მოდი, რომ გეუბნებიან, რას კეკლუცობ!

**დათო** - ნიკას ვენაცვალე, ნაშა მყავს დაბმული. მე დავჯდე და ის იქ მელოდოს?

**სულიკო** - მერე ვერ შემოიყვანე?

**დათო** - ცოტა ისეთია, რა! (*ჟესტიკულაციით გამოხატავს, მორცხვი, მორიდებული, პრანჭიააო. გასძახებს*) ლიკა, შემოდი! (*არავინა ჩანს*) ხომ გითხარით, ეგეთია-მეთქი! (*ისევ გაიმეორებს ჟესტიკულაციას. დუდა უკმაყოფილოდ უყურებს მის მოქმედებას*)

**დუდა** - თუ ქალი მოგიყვანია, პატივი ეცი.

**დათო** - (*კართან მივა, გამოაღებს*) შემოდი (*პაუზა*)! რა სირცხვილია, მე რომ გეუბნები, შემოდი!
(*შემოდის ლიკა, ლამაზი, ეფექტური გოგო. მართალია, ერთი შეხედვით მორიდებული ქალიშვილის შთაბეჭდილებას სტოვებს, მაგრამ იგრძნობა, რომ თავს არავის დააჩაგვრინებს*).

**ლიკა** - გამარჯობა.

**ნიკა** - ყველას მაგივრად გაგიმარჯოს.

**სულიკო** - რატომ ყველას მაგივრად?

**ნიკა** - (*ლიკასთან მივა და ხელს ჩამოართმევს*), ნიკა.

**ლიკა** - ლიკა.

**ნიკა** - როგორ რითმაშია ჩვენი სახელები - ნიკა და ლიკა! ნამდვილი პოეზიაა. (*წაიმღერებს*) ნიკა და ლიკა, ნიკა და ლიკა, ნიკა და ლიკა.

**დათო** - (*ლიკას*) ეს სოლოლაკელი ნიკაა, ადრეც მიხსენებია შენთან, გახსოვს? (*სულიკოზე მიუთითებს.*) ეს ჩემი უფროსი მეგობარია, სულიკო - კომპოზიტორი და პიანისტი, თუ კარგ გუნებაზეა, სიმღერაც მაგარი იცის.

**პეტრე** - კარგ გუნებაზე რომ დადგე, ამისთვის საჭიროა... თუმცა შენ ისეთ ფორმაში ხარ, გეცოდინება, რაც არის საჭირო.

**დათო** - ყველაფერს მოვაგვარებთ... თქვენი სახელი?

**პეტრე** - პეტრე, მაგრამ არა პეტრე პირველი.

**დათო** - (*სულიკოს, დუდაზე მიუთითებს*). არც ამას ვიცნობ.
(*დუდა, კარგა ხანია, გათიშულია აქაურობას და თავის ანგელოზებს ებუტბუტება*).

**სულიკო** - ეგ დუდაა.

**დათო** - (*გაოცებული*). პოეტი დუდა?

**სულიკო** - ჰო, პოეტი დუდა, გაგიგონია?

**დათო** - როგორ არა, ჭურში ხომ არ ვზივარ... მაგაზე მთელი ქალაქი ლაპარაკობს.

**სულიკო** - (*დაიყვირებს*) დუდა!

**დუდა** - (*თავს ასწევს*).

*ალარ მინდა ნიცშე,*
*ალარც ფროიდი მინდა,*
*ალარც მინდა კაფკა.*
*ერთი კარგი, კარგი გოგო დამანახეთ,*
*რომ გავხადო ჭრელი ჩითის კაბა.*

**დათო** - (*ტაშს დასცხებს*). ბრავო! აი, ნაღდი პოეზია.

**პეტრე** - შენ გენაცვალე.

**სულიკო** - (*დუდას წაუმღერებს*):

*მარტო კაბის გახდა გინდა,*
*თუ სხვა რამის გახდაც?!*
*უსიმღეროდ და ულექსოდ,*
*ეს ცხოვრებაც წახდა.*

**დუდა** - (*სულიკოს გადაეხვევა*) მე მჯერა, რომ სულ მალე დადგება შენი აღზევების დღე და...

*მე დავითვრები შენი მუსიკით,*
*არ დამჭირდება ღვინო და ბანგი...*

**პეტრე** - (*გააწყვეტინებს*). ოო, რა ფორმაში ხართ და როგორ სცდებით!.. ახლა ერთი კარგი სუფრა, თქვენი ლექსითა და სიმღერით დატკბობა და მერე თუნდაც გილიოტინაზე ავალ ჩემი ფეხით.

**დათო** - (*ლიკას, აღფრთოვანებული*). ლიკა, ნახე, სად მოგიყვანე! მთელი ქალაქის "ცვეტია" შეკრებილი.

**სულიკო** - (*ლიკას*). დაბრძანდით. (*ლიკა დაჯდება, ოთახს ათვალიერებს*). არ მოგწონს ჩემი ადგილსამყოფელი?

**ლიკა** - (*უხერხულად*). *როგორ არა.*

**სულიკო** - ეს სახლი თავის დროზე ძვირფასეულობით იყო გაჭედილი. ადამიანები აქ რომ შემოდიოდნენ, თვალს ვერ აცილებდნენ ავეჯს, ჩინურ ლარნაკებს, ხალიჩებს... ტკბებოდნენ ათასი ხარახურას მზერით და, ერთმანეთისთვის გული რომ გადაეხსნათ, ამის დრო და სურვილი აღარ ჰქონდათ. ჰოდა, მე მოვიშორე ყველაფერი, რითაც ეს სახლი იყო ჩახლამული და ჩემი საცხოვრებელი თანამედროვე, კომფორტულ დიოგენის კასრად ვაქციე.

**დათო** - ცოტა ხანს დაგტოვებთ, თუ უფლებას მომცემთ. (*ლიკას*). გასტრონომში ჩავალ. აქვეა, ამ სახლის ქვეშ. (*ყველას გასაგონად*). იმედია, არ მოგაწყენენ. (*გადის*).

**სულიკო** - (*ლიკას ლუდს დაუსხამს.*) მიირთვით, ქალიშვილო.

**ლიკა** - გმადლობთ, ლუდს არა ვსვამ... აი, ყავა რომ იყოს.

**სულიკო** - ყავაზე ბოდიშს გიხდით... ამ სახლში გამოსაფხიზლებელ სასმელებს ვერ გავაჭაჭანებ.

**ლიკა** - როგორ სასმელებს?

**სულიკო** - გამოსაფხიზლებელს... უნდა მოგახსენოთ, რომ სასმელები იყოფა სამ ჯგუფად. პირველი არის გამაგრილებელი, რომელშიაც შედის წყალი, ბორჯომი, ლიმონათი, პეპსიკოლა და სხვანი და სხვანი მათი მსგავსნი. მეორე - გამაბრუებელი, ანუ დამათრობელი. ამ კატეგორიის სასმელებს მიეკუთვნება: ღვინო, კონიაკი, არაყი, შამპანური, პორტვეინი და მათთან მიმხრობილ-მიტმასნებული ლუდი. მესამე ჯგუფი ორი ძირითადი სასმელისგან, ჩაისა და ყავისგან შედგება. მეცნიერები მათ გამომაფხიზლებ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლებს უწოდებენ. მე, დიდი ხანია, ომი გამოვუცხადე ამ კატეგორიის სასმელებს და ამიტომ ვერ ვაკმაყოფილებ თქვენს სურვილს.

**ლიკა** - არა, მაინცდამაინც კი არ მინდა, მაგრამ... ისე ვთქვი.

**დუდა** - (*უცებ წამოხტება, თეატრალური ჟესტით მოჭმუჭნილ კოსტიუმს გაისწორებს და ლიკას წინაშე წარსდგება*). ბოდიშს გიხდით, ლამაზო გოგო, რომ არ მაცვია ფრაკი და არ შემიძლია, მოგართვათ წითელი მიხაკები. თუ უფლებას მომცემთ, ამჯერად მხოლოდ პოეტურ ამბორს მოგიძღვნით საჩუქრად. (*ხელზე კოცნის*).

**ნიკა** - (*დაცინვით*). მაგარი საჩუქარია, ჩემმა მზემ.

**დუდა** - რაც გამაჩნია, ის გავეცი. ჩემი მხურვალე კოცნა მილიონად ფასობს.

**ნიკა** - ხელზე კოცნა თუ მილიონი ღირს, ტუჩებში კოცნა რაღა ეღირება?

**სულიკო** - ნუ გააწითლე ბავშვი.

**ნიკა** - ბოდიშს გიხდი, ლიკა... მართლა გაწითლდი?

**სულიკო** - მორჩი, ნიკა!

(*დუდა წიგნის თაროსთან მიდის, წიგნს გამოიღებს და გადაფურცლავს. პეტრე, კარგა ხანია, გაყურებული ზის და ჭიქაში ჩარჩენილ ლუდს წრუპავს*).

**ნიკა** - კარგია, როცა ქალიშვილს გაწითლების უნარი აქვს.

**სულიკო** - პეტრე!

**პეტრე** - (*გამოერკვევა.*) ჰა,

**სულიკო** - ისევ რძეზე ფიქრობ?

**ლიკა** - (*მექანიკურად.*) რა რძეზე?

**სულიკო** - ნატურალურ ძროხის რძეზე.

**ნიკა** - (*ლიკას*). თქვენ გიყვართ რძე?

**სულიკო** - ლიკას ყავა უყვარს, ურძეოდ.

**დუდა** - (*რაღაც ლექსს კითხულობს ჩურჩულით*). ნაღდი ლექსია.

**სულიკო** - ეს შენი ავტოგრაფი კი პოეზიის შედევრია. (*კედელთან მივა და კითხულობს*).

*გაუმარჯოს ზღვაში დამხრჩვალ თოლიას,*
*მაღალ კლდიდან დაგორებულ ლოდს,*
*არწივს - ცაში ნავარდის დროს განვმირულს,*
*ღვინის კასრზე დასვენებულ ლოთს.*

**დუდა** - (*ხელს ჩაიქნევს*). ეეჰ.

**სულიკო** - რა მოგივიდა?

**დუდა** - მაინც არ არის დიდი პოეზია.

**ნიკა** - არის... ასე არავის გადმოუცია ბობოქარი სულის სიამაყე. განსაკუთრებით სულიკოს მუსიკამ მაგრძნობინა მისი შინაგანი ექსპრესია. (*სულიკოს*). მოდი, ვიმღეროთ... (*წაიმღერებს.*) გაუმარჯოს ზღვაში დამხრჩვალ თოლიას...

**სულიკო** - (*გააწყვეტინებს*). არ გამოვა, ცარიელ სუფრაზე ხმებს ვერ შევუწყობთ ერთმანეთს. ასე არ არის, დუდა?

**დუდა** - სწორი ბრძანებაა.

**სულიკო** - (*ლიკას*). მოდი აქ. (*ლიკა მიდის*). შეხედე ამ კედლებს. (*ლიკა ათვალიერებს*). როგორ მოგწონს?

**ლიკა** - ძალზე ორიგინალურია.

**სულიკო** - ორიგინალური კი არა, ისტორიულია. მე რომ მოვკვდები, აქ მუზეუმს გახსნიან... ეს ნახატები, წარწერები, ღვინის ლაქებიც კი დიდი ადამიანების ცხოვრებასთან არის დაკავშირებული. სხვათა შორის, ვინც აქ შემოდის, ყველა თავის ავტოგრაფს ტოვებს... შენც უნდა დატოვო.

**ლიკა** - (*ირონიით.*) მე რომ დიდი ადამიანი არა ვარ?

**სულიკო** - რახან აქ მოხვედი, უკვე დიდი ხარ.

**დუდა** - (*ლიკას ხელკავს გამოსდებს.*) მართლა საინტერესო ავტოგრაფებია.

(*ლიკა და დუდა წარწერებს კითხულობენ. სულიკო მაგიდასთან მიდის. შემოდის დათო. ქაღალდში გახვეულ ბოთლს დადგამს მაგიდაზე და ჯიბიდან შოკოლადის ფილას ამოიღებს*).

**პეტრე** - შოკოლადი რამ გაყიდინა, ამაში შეიძლება ფულის გადაყრა?

**სულიკო** - სსს! (*ლიკაზე მიუთითებს*) არ გაიგოს.

**პეტრე** - გაიგოს, რა მოხდა?

**სულიკო** - ახალგაზრდა არა ყოფილხარ? ქალიშვილი რომ გინდა მოხიბლო, შოკოლადს კი არა, სულს არ დაიშურებ.

**პეტრე** - შოკოლადი რას მიქვია, მთავარი ვაჟკაცობაა.

**დათო** - მერე, მე მაკლია ვაჟკაცობა?

**პეტრე** - კონკრეტულად არ მითქვამს.

**დათო** - მე კი უმისამართო ქაქანს ვერ ვიტან.

**ნიკა** - დათო, პეტრე ჩემი ძმაკაცია.

**დათო** - მერე?

**ნიკა** - მერე და მერე!.. გოიმებში ხომ არა გგონია თავი?

**დათო** - (*მოლბება*). მე ეგრე მიცნობ?

**ნიკა** - ჰოდა, მოკეტე!

**სულიკო** - (*წაიმღერებს*).

*დათომ რა მოგვიტანა?*
*ვნახოთ, რა მოგვიტანა,*
*ვნახოთ, რა მოგვიტანა.*

(*მაგიდას შემოეხვევიან, ბოთლს ქაღალდს შემოაცლიან და უცებ ყველას გაოცება გამოეხატება სახეზე*).

**სულიკო** - რა არის?

**დათო** - კონიაკი.

**პეტრე** - სამარკო?

**დათო** - ჰო.

**ნიკა** - ორი მაინც წამოგეღო.

**დათო** - მეტი არ შემეძლო.

**ნიკა** - შენ ჭკუაზე ხარ? რაში დაღუპე ამდენი ფული?

**სულიკო** - მარტო ძვირფას სასმელებს მიირთმევ?

**ნიკა** - არაყი კუჭს აგიშლიდა?

**პეტრე** - ეს რა ქენი, კაცო, მაგ ფასად რვა ბოთლ ღვინოს მოვიტანდი თავისი პურ-მარილით.

**დათო** - რაც მინდოდა, ის მოვიტანე.

**ნიკა** - (*კბილებში გამოსცრის*). შენი დედიკოს ბიჭი დედა ვატირე. (*დათოზე გაიწევს, მაგრამ პეტრე შეაჩერებს და გვერდზე გაიყვანს*) უუჰ, მაგის!..

**პეტრე** - კარგი, დაანებე თავი.

**ნიკა** - ხედავ, რა იკისრა მაგ ნაბიჭვარმა? - სამარკო კონიაკი მოგვიტანა, გაგვაშაყირა, ნაშასთან მარკა აიწია.

**პეტრე** - ჯერ ახალგაზრდაა - ბრექი სჭირს.

**ნიკა** - ხომ იცი, თუ მოვინდომე, ახლავე გავატიტვლებ მაგ გოგოს.

**დუდა** - (*სუფრასთან მიიყვანს ლიკას*). ჩემო ლიკა, ასე მხოლოდ ზღაპრებში და სულიკოს სახლში ხდება: სანამ გენიოსების ავტოგრაფებს თვალს შეავლებ, სუფრაზე ჩნდება სამარკო კონიაკი და უმაღლესი ხარისხის შოკოლადი.

**სულიკო** - გთხოვთ, გთხოვთ, მეგობრებო.

(*სუფრას შემოუსხდებიან. სულიკო კონიაკს გახსნის და დაასხამს*).

**დათო** - თუ ნებას მომცემთ, პირველი ჭიქით აქ შეკრებილი მეგობრების სადღეგრძელოს დავლევ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

პეტრე - (*გააწყვეტინებს*). არა, არა!.. ჩვენს შორის არის მანდილოსანი, რომელიც...

დუდა - (*გააწყვეტინებს*). მაპატიე, ბატონო პეტრე, სიტყვა უნდა ჩამოგართვა. ჰო, აქ არის ქალიშვილი, რომელმაც პირველად გადმოაბიჯა იმ საოცარი სავანის ზღურბლს, სამოთხე რომ ჰქვია. ლიკა, რომ იცოდე, ამ კედლებში უოველდღე ჟღერს ლექსი და მუსიკა, ისმება ღვინო. ადამიანები ერთმანეთს გულს უხსნიან, ესიყვარულებიან, ეფერებიან და მომავალზე ოცნებობენ. გაუმარჯოს ამ პატარა გოგოს, დღეიდან ჩვენი სალონის სრულუფლებიან წევრს! (*სადღეგრძელო ისმება*). ბოდიშს ვიხდი, რომ ვითიდნებურად ვუწოდე ჩვენი წევრი, თუმცა, ვფიქრობ, ამით უველას სურვილი გამოვხატე.

სულიკო - ასეთ კარგ გოგოს შეუძლია მხოლოდ, გააკეთილშობილოს ჩვენი საზოგადოება, ეშხი და სილამაზე შემატოს იმ მიწიერ სამოთხეს, სადაც ამჟამად ჩვენ ვიმყოფებით. მართალი ხარ, ჩემო დუდა, დღეიდან ჩემი სახლის კარი ღია იქნება ლიკასთვის (*ლიკას კოცნის*). გთხოვთ, ეამბოროთ ჩვენს ახალ წევრს.

(*ყველა რიგრიგობით კოცნის ლიკას: ლოყაზე, შუბლზე, ხელზე. ის იმდენად ზეამაღლებული და წმინდაა, რომ ღვთაებრივ რიტუალს უფრო მოგვაგონებს, ვიდრე ერთი ჩვეულებრივი გოგოს ამბორს. ბოლოს ნიკას ჯერი დადგა. იგი მიუახლოვდა, წინ აეტუზა, გამომწვევად დააშტერდა, უცებ ემდღვნა და ტუჩებზე დააკვდა. ლიკამ ძლივს დააღწია თავი, სახე ხელებში ჩარგო და აზლუქუნდა*).

დათო - ნიკა!

ნიკა - (*გამომწვევად*). ბატონო? (*დათო ერთ-ორ ნაბიჯს წადგამს გაუბედავად და შეჩერდება*). გისმენთ... რაღაცის თქმას აპირებდით, პატივცემულო?

დუდა - დათოს უნდოდა ეთქვა, რომ შენ ღორი ხარ.

ნიკა - (*წამოდგება*). მერე შენ რატომ ამბობ სხვის სათქმელს?

დუდა - იმიტომ, რომ დათოც ღორია, უფრო სწორად, პატარა, ღრუტუნა გოჭია და არ შეუძლია, შენი პიროვნება ჭეშმარიტ პოეტურ ფორმებში წარუდგინოს აქ დამსწრე საზოგადოებას.

ნიკა - (*დუდასკენ წავა*). მაშ, მე ღორი ვარ?!

სულიკო - (*წინ გადაუდგება*). რახან დუდამ თქვა, უნდა დავუჯეროთ.

დუდა - (*ბოთლს ხელს დაავლებს*). ენდეთ ჩემს პოეტურ ინტუიციას.

სულიკო - (*ყვირის*). დადგი ბოთლი, დუდა!

დუდა - (*ბოთლს დადგამს*). რას მირჩევ, ხელი გავისვარო?

ნიკა - მაგას მე ვინა ვგონივარ?!

სულიკო - გაჩუმდი, როცა დამნაშავე ხარ.

დუდა - (*ნიკას*). ლიკას ბოდიში მოუხადე.

ნიკა - მე მოვუხადო ბოდიში?

დუდა - ჰო.

სულიკო - ნიკა, ბოდიშის მოხდა უველაზე დიდი ვაჟკაცობაა.

ნიკა - (*სიცილით*). ქალის კოცნა თუ დანაშაულია, კი, ბატონო, მოვიხდი ბოდიშს (*ლიკასთან მივა*). ხომ არ დავიჩოქო?

სულიკო - (*მკაცრად*). ნუ ტინგიცობ!

ნიკა - ბოდიშს გიხდით, თუკი ისე ვერ მოვიქეცი, როგორც თქვენ და აქ დამსწრე საზოგადოებას ეკადრება.

დუდა - (*დათოს*). იყო დრო, როცა ქალის შეურაცხყოფისთვის შენნაირი ჭაბუკები დუელსაც არ ერიდებოდნენ.

ნიკა - რა ქნას, ხელთათმანი არა აქვს, რომ მესროლოს (*სიცილით დუდას უახლოვდება*). კარგი ახლა, ხომ მოვიხადე ბოდიში, მეტი რა ვქნა.

პეტრე - მაგიდასთან გთხოვთ, მეგობრებო.

დათო - (*წამოდგება, უაზროდ აცეცებს თვალებს*). ნიკა, იცი რას გიზამ?

სულიკო - რა დაემართა?

ლიკა - ძალიან ბევრი დალია.

დათო - არა, არ დამილევია... აი, ახლა დავლევ (*კონიაკს დაისხამს და უნდა გადაჰკრას, მაგრამ პეტრე გამოსტაცებს ხელიდან*). მომეცი!

დათო - ჰა, ჰა, ჰა! ხელთათმანი არა მაქვს, მაგრამ სამაგიეროდ ფიშტო მაქვს (*ჯიბეში ხელს ჩაიყოფს*). ვის ვესროლო? (*ნიკას დააშტერდება*). შენ უნდა გაგიხვრიტო შუბლი (*უცებ ჯიბიდან პისტოლეტივით მომარჯვებულ ხელს ამოიღებს, ნიკას დაუმიზნებს და ვითომ ისვრის*). ბუჰ, ბუჰ, ბუჰ! კიდევ ცოცხალი ხარ, ჰა, ჰა?! მე მართლა მაქვს ფიშტო, მაგრამ სახლში დამრჩა. ახლა ტყვიამფრქვევი უნდა ვიყიდო, რაში მენაღვლება მამაჩემის ფულები... თუ მინდა, ზარბაზანსაც ვიყიდი და ატომურ ბომბსაც. ლიკა, ხომ შემიძლია, ატომური ბომბი ვიყიდო?.. კიდევ "მერსედესი" შემიძლია ვიყიდო. კიდევ ვირი და ჯორი (*წაიმღერებს*). ვირი მოდის ბაღდადიდან... აქეთ მოდის უველა ვირი, უველა ჯორი, უველა ღორი. ჰა, ჰა, ჰა! (*ისევ პისტოლეტივით მოიმარჯვებს ხელს და ჭერში ისვრის*). ბუჰ, ბუჰ, ბუჰ! (*დაბარბაცდება*).

ლიკა - (*ხელს შეაშველებს*). დათო!

დათო - (*იღრიჭება*). თუ გინდა, ყირაზე დავდგები (*უცებ დაიღუნება, ვითომ ყირა უნდა გაჭიმოს და ძირს მოადენს ზღართანს. ლიკა და სულიკო წამოაყენებენ და ტახტისკენ წაიყვანენ*). ბუჰ, ბუჰ, ბუჰ! (*ტახტზე გაიშხლართება და ჩაიძინებს*).

პეტრე - რა დალია ასეთი?!

ნიკა - უცებ მოსწყდა კინწი.

ლიკა - ერთმანეთში აურია ღვინო და კონიაკი და, ალბათ...

დუდა - ისე გიკვირთ, თითქოს პირველად ხედავთ მთვრალ კაცს.

სულიკო - შევავსოთ ჭიქები.

ნიკა - მე ვკისრულობ მაგ საქმეს (*ბოთლს მისწვდება და დასხმას დაიწყებს*).

პეტრე - ასანთი დაუდე და ისე გაანაწილე.

ნიკა - ასანთი რად მინდა, ამ საქმეში პროფესორი ვარ.

სულიკო - რომ გეუბნებიან, გაიგე, წესრიგისთვის მაინც საჭიროა (*ჯიბიდან ასანთს ამოიღებს და ჭიქას გვერდით დაუდებს*).

ლიკა - მე არ დამისხათ.

ნიკა - ერთი-ორი ყლუპი მიირთვით ჩვენთან ერთად, სიმბოლურად.

დუდა - დაძალება არ იყოს!

სულიკო - (*ჭიქას აიღებს*). ამ სასმისით სისუფთავისა და სიწმინდის სადღეგრძელო მინდა დავლიო ლიკას თამადობით... შენ, ჩემო პატარა დაო, (*დათოზე მიუთითებს*) ამის გადამკიდემ, ალბათ, უკვე ბევრ ბინძურ ადამიანს ჩახედე თვალებში, მაგრამ გეტყობა, ცრემლივით სუფთა მიხვედი სიყვარულისა და ღმერთის წინაშე.

ნიკა - სულიკო, სად არის სისუფთავე? სუფთა მდინარე აღარ მოედინება მთიდან, პურს ვერ შეჭამ და ღვინოს ვერ დალევ ისე, მოწამლული რომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ იყოს და შენ ქალის სიწმინდეზე მელაპარაკები?

ლიკა - თუ ვინმემ გაწყენინათ, მე რას მერჩით?

სულიკო - სადღეგრძელო თუ არ მოგწონს, ნუ დალევ.

ნიკა - მომწონს, როგორ არ მომწონს. (*კონიაკს გადაჰკრავს*).

პეტრე - სიწმინდე და სიყვარული რომ არ იყოს, ამ საოცარ გოგოს რა უნდა აქ?

ნიკა - შენ არაფერს გვეტყვი, ლიკა?

ლიკა - დათო კარგი ბიჭია. (*ჩურჩულით*). ჰო, მართლა კარგი ბიჭია, დედას გეფიცებით, (*რატომღაც წამოდგება და დასჯილი ბავშვივით, შეშინებული აცეცებს თვალებს*).

დუდა - (*ლიკას ნაზად მოეფერება.*) მე რომ თავის დროზე შენნაირი გოგო შემხვედროდა... (*ხელს ჩაიქნევს.*) თუმცა ახლა მაგას რა მნიშვნელობა აქვს. (*კონიაკს გადაჰკრავს და ჭიქის ფსკერზე დააკაკუნებს.*) ჩემი სიყვარული, აი, აქ არის ჩამარხული და მეც სხვა გზა არა მაქვს...

*უნდა ჩავიხრჩო ღვინის სმაში, თამბაქოს კვამლში,*
*უნდა ვსვა, სანამ ქვეყნად წვეთი სასმელი არის...*
*და როცა მივალ საიქიოს განსაწმენდელში*
*ვიცი, რომ ღია დამიხვდება სამოთხის კარი.*
*შემეგებება ღმერთი დიდი, ღმერთი მაღალი*
*და მე წარვსდგები მის წინაშე სუფთა, ალალი.*

სულიკო - ღვინოში ჩახრჩობაზე ვინ შობელძაღლი იტყვის უარს, მაგრამ (*ცარიელ ბოთლს აიღებს*) ამ ბოთლში კოღო ვერ ჩაიბანს თავის გამხმარ კანჭებს და ჩვენ რა უნდა ვქნათ.

ნიკა - მე არ დაგზარდებით, ახლავე გავიქცევი გასტრონომში.

პეტრე - ნიკა, შენ აღარ შეგაწუხებ (*ოცკაპიკიანს ამოიღებს და მაგიდაზე დადებს*). ეს ჩემგან იყოს.

სულიკო - აკი მეტი არა მაქვსო?

პეტრე - ავტობუსის ფულად ვინახავდი, მაგრამ...

ნიკა - წეღან ათი კაპიკი დამრჩა (*ფულს მაგიდაზე დადებს*).

სულიკო - ოცდაათი კაპიკით რომელ მკვდარს ვაზიარებთ?

დუდა - (*ჯიბეებს იქექავს*). ბოდიშს გიხდით, ბატონებო, ბანკის ჩეკი სახლში დამრჩა (*ლიკას*). ქალიშვილო, თქვენ თუ შემოგრჩათ ცოტაოდენი თანხა, ალბათ, არ დაიზარებთ და ხვალამდე ასესხებთ ამ ცოდვის შვილებს. ვალის გასტუმრებას მე ვკისრულობ.

ლიკა - (*უხერხულად იჩეჩავს მხრებს და ჩანთაში იქექება*). ამ ორი მანეთის მეტი არა მაქვს.

დუდა - (*არტისტულად გამოართმევს ფულს და პეტრეს გადასცემს*). აბა, გაფრინდი. (*ლიკას ხელკავს გამოსდებს და კედელთან მიიყვანს*). ჩვენ კი ავტოგრაფების კითხვა გავაგრძელოთ, თუ წინააღმდეგი არ იქნები.

პეტრე - (*ფულს ატრიალებს ხელში*). ამით რა უნდა მოვიტანო?

ნიკა - (*ლიკას.*) დათოს ხომ არ ექნება?

ლიკა - არა.

ნიკა - როგორც იტყვიან: ენდე, მაგრამ შეამოწმე. (*დათოს ჯიბეებს მოუჩხრეკს*). ფუ-ფუ!

დუდა - პეტრე, აღარ მიდიხარ?

პეტრე - ამ ფულით გინდა წასულხარ და გინდა არა.

ნიკა - ცოტაც მოვიცადოთ, იქნებ, ვინმე შემოეხეტოს.

სულიკო - ფულიანი კაცი აქ შემომსვლელი არ არის.

პეტრე - ღმერთი მოგვცემს.

ნიკა - არ არის ღმერთი.

პეტრე - ვა, მართლა არ არის?

ნიკა - არა.

პეტრე - რა იცი.

ნიკა - ღმერთი რომ იყოს, შენ რა გასაჩენი იყავი.

პეტრე - წადი, შენი...

სულიკო - აბა, აბა, გახსოვდეთ, რომ აქ ქალია!

ლიკა - (*შემობრუნდება.*) რა გნებავთ?

სულიკო - არაფერი... იმას არჩევენ, ღმერთი არის თუ არა.

დუდა - მერე, რა დასკვნამდე მიხვედით?

პეტრე - არის, მხოლოდ ისეა ცაზე დაკიდული, რომ ჩვენგან სულ ზურგშექცევითაა და ვერა გვხედავს.

ლიკა - შემობრუნდება.

პეტრე - რა თქვი?

ლიკა - შემობრუნდება, ბატონო პეტრე და დაგინახავთ?

დუდა - მე თუ დამინახავს?

ლიკა - თქვენ, ბატონო დუდა, დიდი ხანია, გხედავთ და თავზე გაბერტყავთ კიდეც ღვთაებრივ ნიჭს... ყველას დაგცქერით ზემოდან, გიგზავნით სიხარულსა და სიკეთეს, მაგრამ თქვენ თვითონ ამბობთ უარს იმ საოცარ, ადამიანურ ბედნიერებაზე, რისთვისაც მოგავლინათ გამჩენმა ამქვეყნად.

სულიკო - აგიტატორი ხარ?

ლიკა - მე ქალი ვარ. მიყვარს მინდვრის ყვავილები, ვარსკვლავებით მოჭედილი ცა და აი ეს ბიჭი, უგონოდ გალეშილი რომ გდია... დათო, შეიძლება, ამ წუთას ზიზღის მეტს არაფერს იმსახურებს, მე კი მაინც უმაგისოდ სიცოცხლე არ შემიძლია... დამიჯერეთ, ყოველი თქვენგანი ვიღაცას უყვარს, ვიღაცა ლოცულობს ყოველი თქვენგანისთვის, მაგრამ ამას ვერ ხედავთ, უფრო სწორად, არ გინდათ დანახვა. (*კედელთან მივა.*) აი, ამ ავტოგრაფების პატრონებიც უყვართ თავდავიწყებით, მაგრამ... კარგათ დაუკვირდით, რა ავტოგრაფი დაგიტოვათ თქვენმა მეგობარმა - გუგა ფილოსოფოსმა. (*კითხულობს.*) სამოთხის ნათელი გზა სიყვარულით იწყება. (*კარისკენ მიდის.*)

სულიკო - მიდიხარ?

ლიკა - ჰო, ცოტას გავივლი.

დუდა - არ დაგვტოვო.

ლიკა - დათომ თუ გაიღვიძა - მალე მოვალ. (*გადის, ხანგრძლივი პაუზა*).

სულიკო - (*კედელთან მიდის და კითხულობს*). სამოთხის ნათელი გზა სიყვარულით იწყება... გუგა ფილოსოფოსი.

დუდა - გარდაცვლილია.

პეტრე - (*კითხულობს*). მხოლოდ სიკვდილის შემდეგ ვიგრძნობ სულიერ სიმშვიდეს... გიზო.

დუდა - გარდაცვლილია.

ნიკა - (*კითხულობს*). ემთხვიეთ ამ კედლებს, თუ გსურთ უკვდავება... ზურაბ ანგელოზი.

დუდა - გარდაცვლილია.

სულიკო - (*კითხულობს*). მე დიდი ხელოვანის კარიერა გავცვალე ყოველდღიურ სიამოვნებაზე, ოცნებებზე შამპანურის შხეფებზე. გაუმარჯოს შიშველ ქალს და გაცოფებულ მამაკაცს... ბალერინა ნონა.

დუდა - ცოცხალია.

პეტრე - (*კითხულობს*).

გაუმარჯოს ზღვაში დამხრჩვალ თოლიას,
მაღალ კლდიდან დაგორებულ ლოდს,
არწივს - ცაში ნავარდის დროს განგმირულს,
ღვინოს კასრზე დასვენებულ ლოთს...

*პოეტი დუდა.*

დუდა - ჯერ ცოცხალია.

ნიკა - ვგრძნობ, რომ მივდივარ ამ ქვეყნიდან, ველარ მომაბრუნებს ვერავითარი სასწაული. ჩემი შესანდობარი დააწვეთეთ პურის ნატეხს... დევი გადარეული.

დუდა - გარდაცვლილია.

ნიკა - აუცილებლად უნდა ვთქვათ შესანდობარი.

პეტრე - წყალი დავაწვეთოთ პურზე?

დუდა - მოვიფიქროთ რამე.

სულიკო - საოცარი გოგოა - სულ სხვანაირად წაგვაკითხა ეს ავტოგრაფები.

დუდა - სწორი ხარ, სულიკო.

ნიკა - (*ხელს იწევს*). წინადადება შემომაქვს.

სულიკო - გისმენთ.

ნიკა - (*დათოს მისამართით*). ეს ლენჩი გავაღვიძოთ როგორმე, იქნება, წავიდეს და თავის დამპალ მამას წაღლიტოს ცოტა ფული.

სულიკო - მიდი, სცადე.

ნიკა - (*დათოსთან მიდის*). დათო! (*აჯანჯღარებს, ლოყაზე ურტყამს ხელს*). დათო, დათო, დაინგრა ქვეყანა, შე ოჯახდაქცეულო!.. აი, ლიკა მოვიდა. (*ლიკას ბაძავს*). დათო, დათუნი, გაიღვიძე, გენაცვალე! (*ნაზად კოცნის, მერე ისევ ტახტზე მიაგდებს და იფურთხება*). თფუუ! (*ტუჩებს იწმენდს*). ამასაც ხომ არ მოვუხადო ბოდიში, ერთი თვით დაუბანელ სიფათზე რომ შევახე ჩემი კოკორა ტუჩები? (*დუდას, რომელსაც წიგნი ჩამოუღია თაროდან და კითხულობს*). რა დროს წიგნის კითხვაა, დუდა, მოვიფიქროთ რამე.

დუდა - (*კითხულობს*). *"ამისათვის გეტყვით თქუენ: ნუ ჰზრუნავთ სულისა თქვენისათვის, რაი სჭამოთ და რაი ჰსუათ, ნურცა ხორცთა თქვენთათვის, რაი შეიმოსოთ. ანუ სული უფროის არს საზრდელისა და გუამი სამოსისა"*.

ნიკა - სახარებაა?

დუდა - ჰო, სახარებაა.

ნიკა - (*სულიკოს.*) დიდი ხანია, მორწმუნე გახდი?

სულიკო - სულაც არ არის აუცილებელი მორწმუნე იყო, რომ ეს წიგნი გქონდეს. სახარებაში კაცობრიობის ნააზრევია თავმოყრილი, იგი ყოველივე წმინდასა და ამაღლებულს ქადაგებს და, გწამს თუ არა, უნდა ეზიარო მის მცნებებს.

ნიკა - მაინც არ არის ამ წიგნის ადგილი შენს ოჯახში.

სულიკო - რატომ?

ნიკა - იმიტომ, რომ, ჯერ ერით, შენ ღმერთი არა გწამს და, მეორეც - რაც მე აქა ვარ, ერთხელაც არ გადაგიშლია ეგ წიგნი. ასეა თუ არა?

სულიკო - ჰო, მე უკვე აღარ მაინტერესებს საღმრთო წიგნები.

ნიკა - საქმეც სწორედ მაგაშია, რას წარმოადგენს წიგნი, რომელსაც არავინ კითხულობს? რისი მაქნისია წმიდა სახარება ურწმუნოთა ხელში?

სულიკო - ეს ძალზე ძვირფასი რელიქვიაა ჩემთვის, ყველაზე საყვარელმა ადამიანმა მისახსოვრა. (*დუდას წიგნს გამოართმევს და კითხულობს*). აი, რა აწერია: სახსოვრად სულიკოს, ნიშნად ჩვენი სიყვარულისა, ერთგულებისა და რწმენისა. შენი ნანა. (*ხანგრძლივი პაუზა*).

ნიკა - მაპატიე, სულიკო.

დუდა - როცა ქალს ვკარგავთ, მისი სახსოვარიც უფასურდება.

სულიკო - (*ნერვულად*). ჰო, ეგრეა, დუდა! (*წიგნს მაგიდაზე დაადებს*).

ნიკა - სახარება... რას გვასწავლის წმინდა წიგნი! - *არა კაც ჰკლა, არა იმრუშო, არა იპარო, არა ცილი სწამო მოყვასსა შენსა წამებითა ცრუითა.*

დუდა - (*აღზნებული*). ვკითხულობთ და ვკითხულობთ, თავს ვიტენით ამ შეგონებებით და მშიერი ვკვდებით, ხოლო ვინც წერა-კითხვა არ იცის, დაგვდგომია თავზე და გვმბრძანებლობს... ვისთვის დაიწერა ეს სახარება? ჩემთვის, შენთვის, ჩვენნაირი სულელებისთვის! იმიტომ დაიწერა, რომ პატიოსნების, სიწმინდის, ადამიანობის, საიქიოს, სულის, მაღალი ღმერთის არსებობაში დავრწმუნდეთ, რომ ვერწმუნოთ წმიდა მცნებებს. (*სახარებას აიღებს*). ჩვენც ვკითხულობთ და ვერწმუნებით, ვკითხულობთ და ვიზიარებთ, მაგრამ მაინც იმის ფულიც არა გვაქვს, რომ დავიკმაყოფილოთ ჩვენი სულიერი მოთხოვნილებანი: ლუდით გავიჯეროთ, ღვინით ვისიამოვნოთ, არაყით მივცეთ ჩვენს სულს აღმაფრენა! (*სახარებას დაადებს*). ჰო, ჩვენ ვკითხულობთ, მაგრამ მაინც არაფერი გაგვაჩნია: ხოლო იგი, ვისაც ფეხებზე ჰკიდია სახარება და წმინდა საქმე, განებივრებული, გაბეყვილი, გაფუებული, გათუნთულებული დადის, უდარდელად ცხოვრობს და, ერთ ბოთლ არაყს კი არა, ათ ბოთლ კონიაკს იყიდის, როცა მოესურვება.

პეტრე - საღმრთო წიგნს შეუძლია, საღმრთო საქმე გააკეთოს - სუყველა დაგვაპუროს და წყურვილი მოგვიკლას.

სულიკო - დიდი ხანია, მე სიხარულის რწმენა დავკარგე და, როგორც საკვერცხე დედალი, ისე უნდა გავყიდო ეს წიგნი. ჰა, ჰა, ჰა!.. დე, წაიღოს ვინმე ჩიჩახვიანმა მუტრუკმა და დაამშვენოს თავისი ტვინის ქერქივით გაპრიალებული თარო უნიკალური გამოცემით. (*წიგნს აიღებს*). (*პეტრეს*). წაიღე ბუკინისტებში და იმ ყველაზე საშინელ კაცს მიუტანე, ვინც ჩვენი სულის უკანასკნელი თავშესაფარით ვაჭრობს. (*ისმის საეკლესიო საგალობელი. ყველანი მუხლს იყრიან. მხოლოდ სულიკო დგას წიგნით ხელში*). მე სახარება ზეპირად არ მისწავლია, ვერც წმინდანთა მოძღვრების ცოდნას დავიკვეხნი მაინცდამაინც, მაგრამ ერთი კი დაბეჯითებით ვიცი, რომ დღეს, აი, ამ წუთას, თვით ქრისტე ღმერთი რომ მეახლოს, გამომართმევდა ამ წიგნს, წაიღებდა ჩემი სახლიდან და მეტყოდა: *არა იქონიო იგი წიგნი, რაიცა არა ირწმუნო!* (*პეტრეს წიგნს გაუწვდის.*) წადი, გაყიდე და ამის საფასურით მოიტანე ღვთიური სასმელი, რომ შევსვათ იგი და ავმაღლდეთ ჩვენც ღმერთამდე. (*მუსიკა ძლიერდება, პეტრე სასოებით ჩამოართმევს წიგნს და გასასვლელისკენ მიდის.*)

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მეორე მოქმედება

(*იგივე სცენა. ფარდის ახდისას ისმის საცეკვაო რიტმი, რომელსაც გამოსცემენ სკამები, თეფშები, ბოთლები, კონსერვის ქილები. ამ "ინსტრუმენტზე" დანებითა და ჩანგლებით უკრავენ: ახლახან გაღვიძებული დათო და უკვე კარგა მაგრად შემთვრალი სულიკო, პეტრე და ნიკა. ისინი საცეკვაო რიტმს ხმას აყოლებენ და თან როკავენ თავდავიწყებით. მხოლოდ ლიკა ზის მაგიდასთან და გაოცებული უყურებს ალკოჰოლით დამუხტული ადამიანების აღმაფრენასა და თავდავიწყებას, მათ შეშლილ სახეებს, მათი სულის თანდათანობით დაცლასა და გამოფიტვას. ნიკა ლიკასკენ წავა ისეთი გრიმასებითა და მანჭვა-გრეხით, დებილებს რომ სჩვევიათ და სიცილსა და წუხილს რომ იწვევს ერთდროულად. წინ აეტუზება, თავს დაუკრავს, მერე ჩაებღაუჭება და ძალით წამოაყენებს*).

**ნიკა** - მე და შენ უნდა ვიცეკვოთ.

**ლიკა** - გმადლობთ, არ შემიძლია.

**ნიკა** - ჰა, ჰა, ჰა! შეგიძლია... ნიკა და ლიკა, ნიკა და ლიკა, რა მაგარია, არა?!

**ლიკა** - არ მინდა ცეკვა.

**ნიკა** - მე მინდა, ჰა, ჰა, ჰა! (*შემოეხვევა და ძალით აცეკვებს.*) წეღანაც არ გინდოდა, მაგრამ მაინც გაკოცე... იცი, მე ვინა ვარ?

**ლიკა** - ვიცი.

**ნიკა** - ნუ გეშინია, ტუჩებში აღარ გაკოცებ, ჰა, ჰა, ჰა! (*ცდილობს, ახლოს მიიზიდოს.*)

**ლიკა** - (*მკაცრად*). გამიშვი.

**ნიკა** - დათო, უფლებას მაძლევ, ლიკასთან რომ ვიცეკვო?

**დათო** - (*ცეკვის ეშხშია შესული*). მიდი, ჯიგარო, მიდი!

**ნიკა** - აი, ხომ გაიგე, რა თქვა?.. ისე, მაგარი ვინმე ხარ, ლიკა, ძალიან აგიჟებ ნიკას! (*უცებ მიიზიდავს და ველური ხარხარითა და ქშიტინით მკერდზე დაუწყებს ლოშნას*).

**ლიკა** - (*სასოწარკვეთით*). დათო, მიშველე!

(*ცეკვა შეწყდა, ლიკამ ძალა მოიკრიბა, ნიკას ხელი ჰკრა და, როგორც იყო, თავი დაიხსნა მისი მარწუხებიდან. ნიკა შეტორტმანდა, მაგრამ თავი შეიკავა დავარდნისგან. დგას და კმაყოფილი რაღაცა გაუგებარს ბლუკუნებს, ხარხარებს, იმანჭება და იგრიხება. სულიკო და დუდა თითქმის ერთდროულად წავიდნენ მისკენ. სულიკო პირველი მიუახლოვდა, გაშლილი ხელი მოუქნია და სტკიცა სახეში. ნიკა კედელს მიენარცხა და მოცელილივით ჩაიკეცა. ლიკა ერთ ადგილზეა გაყინული, გამშრალი და დაჭიმული, მერე უცებ გონს მოეგება, ფოცხვერივით ისკუპებს დათოსკენ და ისტერიულად აკივლდება.*

**ლიკა** - დათო, დათო, დათო! (*გამეტებით ურტყამს ფეხებს და ხელებს*). მათხოვარო, ლაჩარო, ლაჩარო! (*მოდუნდება, მუხლებზე დაეშვება, მოიკუნტება ჩაიფერფლება*).

**პეტრე** - (*დათოს*). უჰ, შენი!

**დათო** - (*ნირწამხდარი*). ლიკა.

**დუდა** - (*ლიკას წამოაყენებს*). კარგი, კარგი... (*მაგიდასთან მიიყვანს*). (*აბა, აქ დავსხდეთ... აი, ასე... შენ კარგი გოგო ხარ, დათოც კარგი ბიჭია...* ძალიან უყვარხარ. (*დათოს*). მოდი აქ, ბიჭო, დაუჯექი გვერდით. (*დათო მიდის*).

**ლიკა** - (*ნიკაზე მიუთითებს*). მიხედეთ, არაფერი დაემართოს.

**პეტრე** - მაგან ერთხელ დენატურატი დალია და მაინც არაფერი დაემართა.

**დუდა** - ნიკა, გეყოფა კოტრიალი! (*ნიკასთან მიდის, ცდილობს, წამოაყენოს*). არ გესმის, ნიკა?!

**ნიკა** - (*უცებ ჩაებღაუჭება და ტუჩებით კოცნის იმიტაციას გამოსცემს*). ახლაც იხტუნე, ხომ გაკოცე?! (*დუდა მოიცილებს და მაგიდასთან მივა. ნიკა იატაკზე კოტრიალობს და მღერის*). კოცნა ვთხოვე, არ მაკოცა!.. რატომ არ მაკოცე, შენი დედა ვატირე!

**სულიკო** - (*ლიკას*). მაგისგან არ უნდა გეწყინოს, ხომ ხედავ, კოცნის მანიაკია.

**ლიკა** - მე წავალ, თუ შეიძლება.

**სულიკო** - ძალიან მეწყინება, ახლა რომ წახვიდე.

**ლიკა** - (*ადგება*). დიდ ბოდიშს გიხდით, მაგრამ... დათო, გამაცილე.

**დათო** - ლიკა, რა მოგივიდა?

**სულიკო** - შენ თუ წახვედი, ნიკას მოვკლავ... (*დანას აიღებს*). აი, ამ ჟანგიანი დანით გამოვღადრავ ყელს (*ლიკა ვერ გარკვეულა, ხუმრობს თუ მართალს ამბობს*). არა გჯერა? (*ნიკასკენ მიდის*).

**ლიკა** - რას შვრებით, რას?! (*სულიკო ნიკას უახლოვდება*). არ მივდივარ (*ცრემლნარევი ხმით*). სულ აქ ვიქნები (*სულიკო შემობრუნდება*). ფეხს არ მოვიცვლი, სანამ არ გამაგდებთ.

**სულიკო** - ნუ ნერვიულობ, ლიკა, არავის მივცემ უფლებას, შეურაცხყოფა მოგაყენოს. ბუზს ვერავინ აგიფრენს, გულით რომ უნდოდეს... ეს ჩვენი გაცნობის სუფრაა. სახარების ფულით ვქეიფობთ, ღვინოცა გვაქვს და პურ-მარილიც. თუ დაგვაკლდა, კიდევ მოვიტანთ, აი, ფული! (*ჯიბიდან რკინის მანეთიანებს ამოიღებს და მაგიდაზე დაყრის*).

**დუდა** - (*პეტრეს*). კი მაგრამ, როგორ წაღლიტე ამდენი ფული ბუკინისტებს?

**პეტრე** - ჰა, ჰა, ჰა! შენა გგონია, იმ სისხლის მწოველმა სინომ გამოიჩინა გულუხვობა?.. შევედი თუ არა, ისე მოიჯღუნა, თითქოს სამათხოვროდ ვიყავი მისული. მერე როდის-როდის, როგორც იცის ხოლმე, დინჯად შემობრუნდა, ცბიერი თვალებით ამათვალიერ-ჩამათვალიერა, უხმოდ გამომართვა წიგნი, გადაფურცლა და ათმანეთიანი გამომიწოდა.

**სულიკო** - ოო, მაგის დედა ვატირე!

**პეტრე** - სისხლი მომაწვა, ხელიდან გამოვგლიჯე წიგნი და გასასვლელისკენ წავედი გინებით, მან კი მომაძახა: რომ მობრუნდები, ხუთ მანეთზე მეტს აღარ მოგცემო... სწორედ ამ დროს შემოვიდა ის ანგელოზი, რატომღაც წიგნს დააშტერდა და აკანკალებული ხმით მითხრა: თუ შეიძლება, მაჩვენეო. მე გავუწოდე. მან ათრთოლებული თითებით გადაფურცლა წიგნი და თვალები ცრემლით აევსო. ნამდვილად ღვთისმოსავი ქალი იყო, სულითა და ხორცით წმინდა არსება, ჭეშმარიტი მორწმუნე... უცებ ხვეწნა დამიწყო: თუ შეიძლება, ეს წიგნი დამითმეთ, ჩემი ბიჭის დაბადების დღეა და ამაზე ძვირფას საჩუქარს ვერაფერს მივუტანო... რკინის მანეთიანები პირდაპირ პეშვში გადმომიყარა და გაიქცა, თან მომაძახა: ბოდიშს გიხდით, ყულაბაში მოგროვილიაო და...

**სულიკო** - (*აღელვებული გააწყვეტინებს*) დღეს რა რიცხვია? ოცდაერთი ოქტომბერია, არა?!

**პეტრე** - ჰო, ოცდაერთია.

**სულიკო** - ჩქარა, შევავსოთ ჭიქები, შევავსოთ!

**დათო** - რა მოხდა?

**სულიკო** - დღეს ჩემი ბიჭის დაბადების დღეც არის!.. (*დამარცვლით*). ჩემი ბიჭის დაბადების დღეა!.. ტატოს გაუმარჯოს! (*დალევს, ჭიქას დაახეთქებს და ლოცვასავით წარმოსთქვამს*). მაპატიე, შვილო, სულ გადამავიწყდა, რომ შენი დაბადების დღე იყო, შემინდე ეს ერთი ცოდვაც და ღმერთი სამაგიეროს მოგიზღავს. რა ვქნა, ცუდ ვარსკვლავზე ვარ დაბადებული, სულ ოღროჩოღრო გზებით დავდივარ და ამ გზებს დასასრული არ უჩანს. მთელი ჩემი ცხოვრება იმაზე ვოცნებობ, რომ სიკეთე და სიხარული მოგიტანოთ, მაგრამ არაფერი გამოდის... შვილო, მე აუცილებლად შევქმნი ისეთ ნაწარმოებს, სახელსა და დიდებას რომ მომიტანს! პატივმოყვარე არა ვარ, მაგრამ სახელი იმიტომ მინდა, რომ თქვენ, ჩემმა შვილებმა იამაყოთ. ჩემს ბიჭსა და გოგოს გაუმარჯოს, თქვენს შვილებსაც ავანსად გაუმარჯოს, ჩემო ნიკა, დუდა, დათო და ლიკა! მართალია, ისინი ჯერ არ დაბადებულან, მაგრამ ძარღვებში, სისხლში, სულში გვყავთ დაბუდებული და, დღეს თუ არა, ხვალ მოევლინებიან ქვეყანას.

**დუდა** - არა, სულიკო, მაგის იმედი, დიდი ხანია, აღარა მაქვს.

**სულიკო** - რა გული გაგტეხია, ბიჭო!

**ლიკა** - თქვენ არც ერთი ქალი არ გეტყვით უარს.

**დუდა** - სამაგიეროდ, მე ვიტყვი უარს.

**ლიკა** - რატომ?

**დუდა** - იმიტომ, რომ ჩემი შვილი შეიძლება დებილი დაიბადოს, უყურო ან უცხვირო, ან ეპილეფსიანი, ან კიდევ ასეთი მონგრეული ღრანჭით (*ყბას მოიღრეცს*).

**დათო** - (*ლიკას ეღლაბუცება*). შვილი გამიჩინე, მამიკო რომ გავხდე.

**პეტრე** - შვილებს გაუმარჯოს! (*სვამს*).

**დათო** - მე ორი ჭიქით უნდა დავლიო ეს სადღეგრძელო.

**ლიკა** - არ გინდა (*დალევის საშუალებას არ აძლევს*).

**დათო** - შენ ვინ გეკითხება, ჯერ ხომ დედიკო არა ხარ, ჰა, ჰა, ჰა!

**სულიკო** - (*დათოს*). კიდევ ერთი გადაბრუნებული სიტყვა და... შენ ამ გოგოს ფასი ჯერ კიდევ არ იცი. გაუფრთხილდი სიყვარულს, თორემ შენც ჩემს დღეში ჩავარდები, ნიკას დღეში ჩავარდები!

**ნიკა** - (*წაიმღერებს*). გაკოცებ და მაკოცებ, მაკოცებ და გაკოცებ, ვაი!

**დათო** - (*ცრემლნარევი ხმით*). თქვენა გგონიათ, მე ლიკა არ მიყვარს?

**დუდა** - მერე რას ტინგიცობ, ბიჭო, თუ გიყვარს?

**პეტრე** - ერთ სადღეგრძელოს მე ვიტყვი, თუ შეიძლება.

**სულიკო** - თქვი.

**პეტრე** - იმ ქალს გაუმარჯოს, რაც ფული ჰქონდა, დაუთვლელად რომ გასცა ერთ წიგნში.

**დუდა** - მაინც, რამდენი მოგცა?

**პეტრე** - ოცდაათი რკინის მანეთიანი, ოცდაათი ვერცხლი.

**დუდა** - სიმბოლურია - სახარებაში ოცდაათი მანეთი, თითქოს თვად ქრისტეს სულმა შეგვახსენა, რომ მისი სიცოცხლე არ დამთავრებულა, რომ იგი ჩამოვა დედამიწაზე და ყველას დედა ეტირება, ვინც პატივს არა სცემს მის მოძღვრებას.

**სულიკო** - ჩუმად, ჩუმად... იგი უკვე გამოფრინდა ჩვენკენ... დაეშვა... აქეთ მოდის, მოდის, მოდის... აგერ, შემოვიდა უკანა ოთახში... ახლავე მივეგებები, ვთხოვ, გვესტუმროს და ორიოდე სიტყვა გვითხრას ამ ცოდვის შვილებს. (*გადის*).

**პეტრე** - ღმერთიც ვეღარაფერს გვიშველის.

**დუდა** - მაშინ ჩვენ ვუშველით - თვალს ავუხელთ, დავანახვებთ, რა ხდება მის შექმნილ დედამიწაზე.

**დათო** - ერთი მაგის ოხერი დედაც ვატირე!..

**დუდა** - ვის აგინებ?

**დათო** - ღმერთს ვაგინებ, ვაგინებ, ვაგინებ და, თუ შნო აქვს, რამე მიყოს.

**დუდა** - მეტი რაღა უნდა გიყოს, გაუგიჟებიხარ, გაუტუტუცებიხარ და ეგ არი.

**დათო** - მე სიკვდილი მინდა. ერთსაც შევაგინებ და მომკლას.

**დუდა** - ღმერთს რა ხელი აქვს სიკვდილთან, მაგ საქმეს მიქელ-გაბრიელი განაგებს, როცა წასვლის რიგი მოგიწევს, გამოგეცხადება, ჩაგავლებს ქეჩოში ხელს და ჰერი სამოთხეში.

**დათო** - სამოთხეში არ მიმიღებენ.

**დუდა** - რადგან ღვინო გიყვარს, მიგიღებენ. ლოთები, პრასტიტუტკები და მათხოვრები იქ იყრიან თავს.

**სულიკოს ხმა** - მობრძანდით, აქეთ მობრძანდით.

(*შემოდის სულიკო. მას ზეწარი მოუხურავს, თმა ჩამოუშლია, თავზე მბზინავი ტაფა დაუდვია დიადემასავით, ხმა შეუცვლია და ცდილობს, ათასნაირი ნიუანსებით ღმერთს დაემსგავსოს*).

**სულიკო** - (*დამსწრეთ პირჯვარს გადასახავს*). მე ღმერთი ვარ, თქვენ კი შვილნი ხართ ჩემნი.

**დათო** - გამარჯობა, მამიკო!

**პეტრე** - (*ჭიქას აწვდის*). დაგვლოცე თუ შეიძლება.

**დუდა** - სამი ჭიქა უნდა მიაწოდო - ღმერთი სამებითაა.

**სულიკო** - სწორი ბრძანებაა, შვილო ჩემო, ჭეშმარიტი მართლმორწმუნე ყოფილხარ.

**პეტრე** - (*ორ ჭიქას მიუჩოჩებს*). მიირთვით, უფალო ჩვენო.

**სულიკო** - ღმერთი შეგეწიოთ. (*სვამს*).

**პეტრე** - შემოქმედო, გვითხარი, რა დაგიშავეთ ისეთი, რომ წვალებაში გვატარებინებ ამ წუთისოფელს.

**სულიკო** - პირიქით, თქვენ რჩეულნი შვილნი ხართ ჩემი და მარადიული ბედნიერებისთვის გამზადებთ.

**დათო** - მე დროებით ბედნიერებაზეც არ ვამბობ უარს.

**სულიკო** - შენ დაიბადე ამქვეყნიური სიკეთისა და იმქვეყნიური ნეტარებისთვის, მხოლოდ გაახილე თვალნი და შეიცან მოყვასი შენი, რომელიც მუდამ გვერდში გიდგას.

**პეტრე** - რისთვის მოგვაკითხე, მფარველო ჩვენო?

**სულიკო** - თქვენს შესახებ ანგელოზებმა მიგალობეს და აქეთ გამომაგზავნეს. გესტუმრეთ, რათა გაგამხნევოთ, შეგმატოთ ძალა და შეგახსენოთ, რომ ჭეშმარიტია გზა სიცოცხლისა მაშინ, როცა ხორცი შენი ფუფუნებისგან არ გადაიქცევა მძორად და სული შენი მილიონის ფასადაც კი არ დაემონება დემონს.

**დუდა** - ქადაგება ადვილია, მაგრამ...

**სულიკო** - უნდა გაუძლო ცდუნებას ეშმაკისასა.

**დუდა** - აკი ვუძლებ კიდეც, მეტი რა ჩარა მაქვს.

**სულიკო** - ქებათა-ქება შენ, შვილო ჩემო, ამისათვის... ახლა კი ყველა დაფიქრდით და გამანდეთ თქვენი ჭირ-ვარამი: ვის რა ხინჯი გაქვთ გულში, რას უსურვებთ თავსა საკუთარსა და მოყვასსა

ეროვნული ბიბლიოთეკა

თქვენსა?.. პირველი სიტყვა შენ გეკუთვნის, ქალო წმინდაო მირონივითა.

ლიკა - (*დაიჩოქებს და მოსასხამზე ემბორება*). მხოლოდ ერთს გევედრები მუხლმოყრით - მომეც ძალა, რომ არასდროს მივატოვო გაჭირვებაში ახლობელი ადამიანი, რომ მის გვერდით ვიყო სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე.

სულიკო - კეთილშობილ არს სიტყვანი ესე და ამიტომ შემისრულებია სურვილი შენი... (*დათოს*). შენი ჯერია, ჭაბუკო.

დათო - მე ფეხებზე მკიდია ეს ცხოვრება. არაფერსა გთხოვ. ღმერთიც ჩემშია და სატანაც! ჰა, ჰა, ჰა!

სულიკო - (*პეტრეს*). არც შენა გაქვს სათხოვარი?

პეტრე - როგორ არა, ყოვლის შემძლეო: სახლში რომ მივალ, ცოლთან ჩხუბსა და დავიდარაბას გადამარჩინე.

სულიკო - ეგ ადვილი საქმეა. (*რკინის მანეთიანებს აიღებს მაგიდიდან, რამდენიმე ცალს მისცემს, დანარჩენს კი ჯიბეში ჩაიყრის*). აიღე, მაგ ფულით რძესაც იყიდი და შენს ქალბატონს ყვავილებსაც მიართმევ. ქალებს უყვართ ყვავილები, (*ლიკას*). ასე არ არის?

ლიკა - რა თქმა უნდა. ყვავილები ხომ სიყვარულზე ჩურჩულებენ მუდამ.

სულიკო - (*დუდას*). შენი ჯერია, მსახურო მუზებისა. რას სთხოვ შენს მეუფეს?

დუდა - მე ვერ ვიტან მათხოვრებს.

სულიკო - მაშინ სურვილი შენი გამანდე, შვილო ჩემო.

დუდა - არავითარი სურვილი არ გამაჩნია.

სულიკო - პანთეონში დასაფლავებაზე რა აზრისა ხარ?

დუდა - ყველა პოეტი აი, ამ წუთას დაიკრეფდა გულზე ხელებს, ოღონდ ეგ ბედნიერება ღირსებოდა, მაგრამ მე მაინც ვარსკვლავებით მოჭედილ ცასთან საუბარი და ერთი ბოთლი არაყი მირჩევნია ყოველგვარ სასაფლაოსა და აკლდამას.

სულიკო - სტყუი... შენ უკვდავებაზე ფიქრმა მიგიყვანა პოზიორობამდე, ნიცშეს ფილოსოფიამდე, ღვინომდე, თრობამდე... უკვდავი მხოლოდ მე ვარ, ეს უნდა გახსოვდეთ ყველას.

დუდა - გმადლობთ, შემოქმედო.

სულიკო - (*ნიკაზე მიუთითებს*). აი, კიდევ ერთი მსხვერპლი განდიდებისა. (*ნიკას დაადგება თავზე*). წამოდექ, შვილო ჩემო, გაახილე თვალნი და იხილე გამჩენი შენი!

(*ყველა ერთად - ნიკა, ნიკა!*).

ნიკა - (*შეიშმუშნება*). რა გინდათ, მომეშვით!

დუდა - ადექი, ნიკა!

პეტრე - (*სავსე ჭიქით დაადგება თავზე*). ადგები თუ არა?! ხმა ამოიღე! (*ღვინოს შეასხამს, ნიკა უცებ წამოდგება და შეშინებული აცეცებს თვალებს*). ღმერთი გეახლა თავისი ფეხით, შენ კი კოტრიალობ!

ნიკა - (*თვალებს ისრესს, გაოცებული უყურებს სულიკოს*). ჰა, ჰა, ჰა! ღმერთისთვის ჯერ არ მიკოცნია. მოდი ერთი, ხოშიანად ჩაგპროშნო! (*უცებ მოეხვევა და ჩაებღაუჭება, სულიკო განზე გაიწევს და ნიკას ხელში მოსასხამი შერჩება*). შენ სულიკო ხარ. ჰა, ჰა, ჰა!

სულიკო - ახლა სულიკო ვარ, წეღან კი ღმერთი ვიყავი - ჩემში ჩასახლდა შემოქმედი, რომ მეღაღადა მისი სახელით.

ნიკა - ღმერთო!.. (*ზეწარს მოიხვევს*). ახლა მე ვარ ღმერთი. (*სულიკოს ტაფას მოაძრობს და ხელში აქრიალებს*). ტაფა ყოფილა... ერბოკვერცხს შეგიწვავთ, ჭკუით თუ იქნებით.

დუდა - კვერცხები რომ არა გაქვს?

ნიკა - კვერცხები, ჰა, ჰა, ჰა?! კვერცხებს შენ ამოგაჭრი და შევწვავ, მაინც არაფერში გარგია ჰა, ჰა, ჰა! (*მოსასხამი ფეხებში გაებლანდება და დავარდება. მერე წამოდგება, ზეწარს დაკუჭავს, მოისვრის და ტაფას ფეხს ამოარტყამს*). აღარ ვარ ღმერთი, თქვენთან ყოფნა მირჩევნია ზეცაში აღმაფრენას.

დუდა - (*აგრესიულად*). პირადად ჩემთან ხომ არა გაქვს ანგარიში გასასწორებელი?

ნიკა - კი, ვახტანგური დავლიოთ, თუ იკადრებ. (*მაგიდასთან მივა, ჭიქებს აავსებს, ერთს დუდას მიაწვდის, მეორეს თვითონ აიღებს*) მე შენ მიყვარხარ, ყველანი მიყვარხართ, ყველანი მიყვარხართ! (*მკერდზე მუშტს იბაგუნებს*). აი, აქ მიყვარხართ! თქვენ კი გეჯავრებით, იმიტომ, რომ ცინიკოსი ვარ... დავლიოთ. (*სვამენ*). სულიკომ გამარტყა... (*ტირილით სულიკოს*) მე ხელს არ შეგიბრუნებ. (*ლოყას მიუშვერს*) აჰა, რამდენჯერაც გინდა, გამარტყი, მე კი უფლება არა მაქვს, პასუხი გაგცე, რადგან მართლა ღმერთი ხარ ჩემი - სიკვდილს გადამარჩინე, სახლში შემომიყვანე, ლუკმა პურს შუაზე მიყოფ, საკუთარ ჭერქვეშ, მაცხოვრებ. (*გულამომჯდარი სლუკუნებს*).

სულიკო - (*ბეჭზე ხელს მიუტყაპუნებს*). კარგი, რა მოგივიდა, ქალი ხომ არა ხარ?

ნიკა - ქალი რომ ვიყო, საყვარლებს გავიჩენდი და ფულს ვიშოვიდი, ახლა კი არავის ვუნდივარ, შენც თავი მოგაბეზრე უკვე.

სულიკო - ნუ სულელობ!

ნიკა - (*ლიკას*) ბოდიში მომიხდია შენთან... რა ვქნა, სიყვარული მენატრება, სითბო მენატრება, ქალის ხელი მენატრება... რომ იცოდე, ერთ დროს ყველას ვუყვარდი, გოგოები ჩემთვის ჭკუას კარგავდნენ, მერე კი, როცა მამაჩემმა ჭირი მოგჭამა, როცა მისი დანატოვარი ფული უკანასკნელ კაპიკამდე მივაფუშვენი და სახლკარიც ზედ მივაყოლე, უცებ ყველა შემომეცალა და მარტო დავრჩი... ჰა, ჰა, ჰა! ფეხქვეშ გათელილი ქალი ყველას ეცოდება, მაგრამ შენნაირი გოგოებისგან გათელილი მამაკაცი კი სასაცილოა... სასაცილოა და მოსაკვდინებელი!.. ერთხელ გავბედე თავის მოკვლა და (*სულიკოზე მიუთითებს*) ამან გადამარჩინა. ახლა კი, ისე დავეცი, გამოვიფიტე, წავხდი, რომ ძალა აღარ მეყოფნის, თოკი ჩამოვაბა და თავი გავყო შიგ.

დუდა - ჩამოხრჩობა დანაშაულია, ამ დროს სული იკარგება... ამ დროს სული იგუდება სხეულში, ვერ ასწრებს მძორთან განშორებას და მარადიულ უსასრულობაში გადასახლებას.

ნიკა - მე, დიდი ხანია, დავკარგე სული.

სულიკო - სანტიმენტალიზმს მოეშვით!.. მაგიდასთან გთხოვთ ყველას! დავლიოთ, მეგობრებო!.. ერთი წინადადება შემომაქვს: ვისაც რა გსურთ, ის ჩაიფიქრეთ და შესვით უსიტყვოდ.

(*საოცარი სიჩუმე ჩამოვარდება. სადღეგრძელოს არავინ ამბობს, მაგრამ ისეთი თვალებით ევედრებიან ბუნების ძალას, ისე მეტყველებს მიმიკა და ცრემლი, ისე ჟღერს შინაგანი ექსპრესია, რომ უსიტყვოდაც გასაგები ხდება ყოველი მათგანის სულის ღაღადისი. ისმის ფეხის ხმა, რომელიც თანდათან ახლოვდება და რომელსაც უცებ ნონას სიმღერა ფარავს.*)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნონას ხმა - ბალი-ბული, ბალი-ბული.

*მე გული მაქვს, შენ კი ფული.
მაშ, მოდი და შევაერთოთ,
ჩემი გული, შენი ფული.*

(*ჯახანით იღება კარი და შემოდის ნონა - ნასვამი, გამომწვევად ჩაცმულ-შეღებილი ახალგაზრდა ქალი, ბალერინასთვის დამახასიათებელი მოძრაობითა და მანერით*).

საერთო შეძახილი - ნონა!

ნონა - (*სიმღერას აგრძელებს*).

*თუკი გინდა ჩემი გული,
თუკი გინდა სიყვარული,
უნდა გასცე ბევრი ფული.
ბალი-ბული, ბალი-ბული.*

პეტრე - ნონას სიცოცხლე!

სულიკო - სად დაგვეკარგე, გოგო!

დუდა - შენ გენაცვალოს დუდა!

ნონა - რა ბიჭები შეყრილხართ, თქვენ გენაცვალეთ! (*მეგობრულად გადაკოცნის სულიკოს, პეტრეს, დუდას და ნიკას გამომწვევად დაუდგება წინ*).

ნიკა - აკი აღარა გნახავო?

ნონა - მე სულიკოსთან მოვედი... ისე, სიმართლე თუ გინდა, შენც მომენატრე... რას მიყურებ, აღარ მოგწონვარ? (*გადაეხვევა და გადაკოცნის*). ეე, შენი საქმე ცუდად არის, კოცნაც დაგვიწყნია... ხომ არაფერი შეგემთხვა?

პეტრე - ცოლს გასცილდა.

ნონა - მართლა?

ნიკა - ჰო.

ნონა - მერე, ეგ რა სადარდებელია, მე აქ არა ვარ? (*ლიკასთან მივა*) ეს პატარა ფისუნია ვისია? აბა, კარგად შემომხედე. (*ნიკაპში ამოსდებს ხელს და თავს აუწევს*) აი, აგრე... რა გქვია შენ?

ლიკა - ლიკა.

ნონა - აქ რას აკეთებ?

ლიკა - დათომ მომიყვანა.

ნიკა - კარგი, მოეშვი.

ნონა - კადრებს შემოწმება უნდა.

სულიკო - კარგი გოგოა ლიკა.

ნონა - მე ცუდი გოგო ვიყავი, პირველად რომ გამიცანით?

პეტრე - შენ ახლაც კარგი გოგო ხარ.

ლიკა - (*ცრემლნარევი ხმით*) მე შემთხვევით მოვედი აქ.

ნონა - ჰა, ჰა, ჰა! ყველა შემთხვევით იწყებს იმ საქმეს, მე და შენ რომ ვიცით (*სიგარეტს ამოიღებს ჩანთიდან და მიაწვდის*).

ლიკა - არ ვეწევი.

ნონა - არც კონოს სვამ?

ლიკა - არა.

ნონა - (*დათოს*) შენ ვინა ხარ, ჩიტო?

დათო - დათო ვარ.

ნონა - ფისუნიას კავალერი, არა?.. მოჰკიდე ხელი ამ გოგოს და წადით, წადით, შვილო, აქედან, თორემ ამ სახლს, ამ ბიჭებს ისეთი ხიბლი აქვთ, რომ მიგიზიდავენ, მიგიწებებენ და დაიღუპებით.

დუდა - (*ხელს მოხვევს*) დღეს რატომ ხარ ასეთი აგრესიული, ჩემო საოცნებო გოგო?

ნონა - იმიტომ, რომ ჩემი თავი დავინახე... ამ ათი წლის წინათ მეც ფისოსნაირი ვიყავი. შენც კარგი ბიჭი იყავი მაშინ, მაგრამ ნიკა მაინც ყველას გჯობდათ. (*ნიკას*) ერთი გარეთ გაიხედე, ძღვენი გამომატანეს შენთან და კარებში დავტოვე. (*ნიკა გადის და შემოაქვს პირამდე გავსებული ჩანთა*).

სულიკო - რატომ შეწუხდი?.. დღეს ჩვენ ყველაფერი გვაქვს, ღვთის შემწეობით.

ნონა - ეს ნიკას მოურთმევია სუფრისთვის. (*ჩანთას გახსნის, ქათამს ამოიღებს და დიქტორივით აცხადებს*). ვარია უცხოური, დაპეპლილი, ცივად მოხარშული!.. ბოდიშს გიხდით, მეგობრებო, ჩვენებური ვარიები ვერ ვიშოვე, თორემ უცხოურზე როგორ გავცვლიდი... თქვენი არ ვიცი, მაგრამ მე პირადად, ყველაფერი ამ მიწისა და ცისა მირჩევნია, ქათამიც (*ღვინოს ამოიღებს*), ღვინოც, (*არაყს ამოიღებს*) არაყიც, კაცებიც. (*პეტრე ჩანთაში იხედება*) აქ რას უყურებ, კაცებს ჩანთაში რა უნდათ. (*გულზე დაიდებს ხელს*) ისინი, აი, აქა მყავანან. პატარა გული კი მაქვს, მაგრამ ყველა ეტევით.

პეტრე - შენ გენაცვალე, ჯიგარი ხარ!

ნონა - (*ჩანთიდან იღებს რიგრიგობით*) შამპანურებიც გამოუგზავნიათ, ესეც ხაჭაპურები, წიწაკის მწნილი, ყველი, ძეხვი და ჩემი თქვენდამი სიყვარული! (*ბოლო სიტყვები აღფრთოვანებულმა შეძახილებმა დაფარა*).

პეტრე - (*სუფრას დასტრიალებს*) ასეთი პურ-მარილი მეფესაც არ ექნება.

ნონა - (*სუფრას ახალისებს*) მეფეებიც აქა ვართ და დედოფლებიც. (*ლიკას*) მომეხმარე, ფისუნი. (*ლიკა დგება და მაგიდის გაწყობაში ეხმარება*) რამდენი წლისა ხარ?

ლიკა - ოცდაერთის.

ნონა - მე თვრამეტის ვიყავი, ნიკა რომ შემხვდა... შენ რას აკეთებ?

ლიკა - უნივერსიტეტში ვსწავლობ.

ნონა - მე კი მაშინ ვამთავრებდი ქორეოგრაფიულ სასწავლებელს... ბალეტი გიყვარს?

ლიკა - ჰო.

ნონა - მობრძანდით, ბატონებო! ნიკა, შენ, ალბათ, პატივს დამდებ და მხარს დამიმშვენებ.

სულიკო - ახლა იწყება ქეიფი. (*დათო თავჩაღუნულია*) დათო!

დათო - ჰა!

სულიკო - (*დათოს ჭიქას მიუჭახუნებს*). ალავერდი შენთანა ვარ... ნონას გაუმარჯოს! ჩვენს დიასახლისს, ჩვენს დედოფალს, ჩვენს სიყვარულს. ყველაზე თბილს, ყელაზე ალალს, ყველაზე გულიანს...

პეტრე - დაგვიტოვე სათქმელი, სულიკო.

სულიკო - (*ნონას მოეფერება*) მოკლედ, შენ გნახო გახარებული და მერე ჯანდაბამდე გზა მქონია! (*სვამს*).

ნონა - ჯანდაბა - შენს მტერს.

დათო - მე არ გიცნობთ, მაგრამ დალოცვით კი ალალად დაგლოცავთ - გაგიმარჯოთ! (*სვამს*)

ნონა - შენ რას იტყვი, ფისო?

ლიკა - კარგად ბრძანდებოდეთ. ვხედავ, რომ ყველას საოცრად დიდი სიყვარულით უყვარხართ და, რახან ცხოვრებაც სიკეთეზე და სიყვარულზეა აშენებული, თქვენ ბედნიერების ღირსი ხართ აუცილებლად.

ნონა - კარგი გოგო ხარ, ფისო... შენ ლიკა გქვია, არა?

ლიკა - ჰო.

ნონა - დალიე.

**ლიკა** - არ შემიძლია.

**დათო** - დალიე, რომ გეუბნებიან.

**ნონა** - ნუ აძალებ... და, საერთოდ, მორიდებით ელაპარაკე ამ გოგოს.

**დათო** - ჰა, ჰა, ჰა! (*ჭიქას მოიყუდებს*).

**ნონა** - (*დათოზე მიუთითებს*). ლიკა, მოეშვი ამასთან წანწალს, სანამ გვიან არ არის.

**დათო** - ჰა, ჰა, ჰა! ეგეც მე ვარ? დამანებე თავი და ვინმე წესიერი, დედიკოს ბიჭი ნახე, ის გირჩევნია.

**ლიკა** - (*ცრემლნარევი ხმით ჩურჩულებს*). არა, არა, არა!

**პეტრე** - ჩემო ნონა, შენნაირი გოგო სანთლით არის საძებარი. ნეტა, სადა აქვთ კაცებს თვალები! (*სვამს*).

**ნიკა** - მე ძველებურად, უხმოდ შევსვამ ამ სადღეგრძელოს და შენს ბაგეს გადავცემ ჩემს გულის ჩურჩულს. თანახმა ხარ?

**ნონა** - (*ღიმილით თავს აქნევს*). როგორც გაგიხარდება, ისე დალიე (*ნიკა ჭიქას გამოცლის და ტუჩებზე დააკვდება*). ახლა კი ვგრძნობ, რომ ისევ ის ნიკა ხარ (*წაიმღერებს*). ბალი-ბული, ბალი-ბული... შენ რაღას მეტყვი, დუდა?

**დუდა** - ვერაფერს. უჩემოდაც ითქვა, რაც სათქმელი იყო. მე მთელი გულით და სულით ვუერთდები სადღეგრძელოს (*სვამს*).

**ნონა** - ის აკროსტიქი წამიკითხე, ჩვენი გაცნობისას რომ მომიძღვენი.

**დუდა** - მე მაშინ ნიკას არ ვიცნობდი და არც ის ვიცოდი, რომ თქვენ... (*ხელს ჩაიქნევს*). რაც იყო, იყო. ნიკას ბოდიშიც მოვუხადე, მაგრამ გულში მაინც ბოღმა ჩაიყოლა.

**ნიკა** - ტყუილია, დუდა, მე ბოღმა არ ვიცი. მითუმეტეს, მას მერე იმდენმა ვინმემ ატარა დრო ნონასთან, რომ შენი ხელის მოსმა რა სახსენებელია... (*ნონა უცებ სილას გააწნავს და აქვითინდება*). დღეს რა ყველა მირტყამს!.. ივარჯიშეთ, მეგობრებო, კუნთები გაგიმაგრდებათ, ჰა, ჰა, ჰა! კიდევ ვისა აქვს სურვილი? მობრძანდით, ბატონებო და ქალბატონებო, გელოდებით!

**ნონა** - შენ... შენ გამცვალე, სხვა ქალი ითხოვე ცოლად და აქეთ მდებ ბრალს?.. გეგონა, ჩემზე უკეთესი გამოდგებოდა, ჩემზე მეტად შეგიყვარებდა, ჩემზე კარგად მოგივლიდა და მოგეფერებოდა?!

**ნიკა** - მაპატიე, ნონა... შენთანაც ბოდიშს ვიხდი, დუდა... ჰა, ჰა, ჰა! დღეს რაღაც უცნაური დღეა - მემუქრებიან, მცემენ და მე კი მაინც ბოდიშს ვიხდი... ის კი მართლა მაგარი ლექსია. ნეტა, მე დამეწერა.

**დუდა** - თუ მართლა მოგწონს, მიჩუქნია. ჩათვალე, რომ შენ დაწერე.

**ნიკა** - ჰა, ჰა, ჰა! მართლა მაგარი ვინმე ხარ, ზოგს კოცნას ჩუქნი და ზოგს კიდევ ლექსს.

**დუდა** - წეღანაც გითხარი: რაც გამაჩნია, იმასა ვჩუქნი. კიდევ გული მაქვს და ისიც წაიღოს, თუკი ვინმეს მოესურვება, არ დავამადლი.

**ნიკა** - რახან მაჩუქე, ვეცდები, ჩემად გავიხადო ეს ლექსი (*დამარცვლით კითხულობს და თან თითით მიანიშნებს ასოებს ზემოდან ქვემოთ*) ნ-ო-ნ-ა...

*ნუთუ მართლა ტყვედ ვიქეცი შენი თვალების?*
*ო, მაგ მკერდიდან გადმოღვრილი სექსი მაგიჟებს.*
*ნელ-ნელა შედის შენი ცეცხლი ამ ჩემს ძარღვებში,*
*ამანთებს, დამწვავს და ზღაპარში გამარონინებს.*

**ნონა** - (*ტაშს დასცხებს*). როგორ მატყობ, ნიკა, კიდევ მაქვს ძველებური ცეცხლი?

**ნიკა** - რა ვიცი, რამდენი ხანია, აღარ შემხვედრიხარ.

**ნონა** - თუ მოგენატრე, წამო, იქით ოთახში გავიდეთ (*ისტერიკულად*). ჰა, ჰა, ჰა! თუმცა გასვლა რად გვინდა, მე ხომ ყველასთან ვატარებ დროს და დაკარგული მაქვს სირცხვილის გრძნობა! (*გახდას აპირებს*). მიყურეთ, ბიჭებო, როგორი გოგო ვარ?

**დუდა** - ნონა!

**სულიკო** - გაგიჟდი?

**ნიკა** - (*მოეხვევა და გახდის საშუალებას არ აძლევს*). კარგი, ნუ გადაირიე.

**ნონა** - აღარ გინდივარ? მაშინ დუდასთან გამიშვი... თავის დროზე ხომ გაინაღდე, რაც გინდოდა, და ახლა რაში გენაღვლება, ვისთან ვიქნები.

**სულიკო** - (*მკაცრად*). ნონა!

**ნონა** - გისმენ, ჩემო კარგო.

**სულიკო** - დაამთავრე!

**სულიკო** - გახსენით შამპანური!

**ნონა** - დღეს ჩემი ბენეფისია - ათი წელიწადი გავიდა, რაც ქორეოგრაფიული სასწავლებელი დავამთავრე. ჩემი მეგობრები მას მერე სცენაზე ცეკვავენ, მე კი კაცებთან ვცეკვავ ლოგინში, ჰა, ჰა, ჰა!

**სულიკო** - ნონა, არ გვაინტერესებს, ლოგინში რას აკეთებ... ჩვენ ვქეიფობთ, გესმის, ვქეიფობთ?! (*სიმღერას წამოიწყებს, რომელსაც ყველა ბანს აძლევს*).

*გაუმარჯოს ზღვაში დამხრჩვალ თოლიას,*
*მაღალ კლდიდან დაგორებულ ლოდს,*
*არწივს - ცაში ნავარდის დროს განგმირულს,*
*ღვინის კასრზე დასვენებულ ლოთს.*

(*სიმღერა ჩათავდა. იწყება სმა. ვისაც როგორ სურს, ვისაც ვისთან სურს, ვისაც რამდენი სურს. ისმის შეძახილები, მკერდზე მუშტების ბაგუნი. ჭიქების ჭახანი. ნონა სადღაც ერთ წერტილს მიშტერებია და უხმოდ ტირის. მასთან ლიკა მიდის და ცდილობს, დააწყნაროს*).

**სულიკო** - (*შამპანურს დაუსხამს ნონას*). დალიე და გაგივლის.

**ნონა** - (*სვამს*). სულიკო, დღეს ჩვენი გამოშვების ათი წლისთავი გადავიხადეთ (*პუანტებს ამოიღებს*). აი, ეს პუანტები მეცვა გამოცდაზე ამ ათი წლის წინათ. მაშინდელი კაბაც აქა მაქვს (*კაბასაც ამოიღებს და მერე ისევ ჩანთაში შეინახავს*). ყველაზე მეტი პერსპექტივა მქონდა, დიდ მომავალს მიწინასწარმეტყველებდნენ (*აქვითინდება*). დავლიოთ ბალეტის, მუსიკის, პოეზიის, მხატვრობის სადღეგრძელო! (*სვამს*)

**სულიკო** - (*ლიკას*). შენ არა სვამ? (*ლიკა ჭიქას აიღებს*)

**ნონა** - არ გინდა. ლიკა (*ჭიქას გამოართმევს*). დათოსთან მიდი! (*ლიკა უსიტყვოდ ასრულებს ბრძანებას*).

**დათო** - ხელოვნებას გაუმარჯოს!

(*უცებ დუდა წამოხტება შეშინებული*).

**პეტრე** - რა მოგივიდა, დუდა?!

**დუდა** - თაგვი, თაგვი!

**სულიკო** - რა?

**დუდა** - თაგვები გყავს?

**სულიკო** - ჩემს ოჯახში თაგვებს რა უნდათ, საჭმელს აქ ვერ იპოვნიან და სასმელს.

**დუდა** - მე დავინახე! (*მიუთითებს*) აგერ, იქიდან გამოძვრა.

**პეტრე** - დავლიოთ თაგვის სადღეგრძელო, რომელმაც ჩვენი ქეიფის ამბავი გაიგო და მოგვაკითხა.

**დათო** - ხელოვნებას გაუმარჯოს! მეც ხელოვანი ვარ და ამიტომ ვსვამ ამ სადღეგრძელოს (*ჭიქას გამოცლის*). არა გჯერათ, რომ ხელოვანი ვარ? აი, ამ წუთას, შემიძლია, სასწაული მოვახდინო და ლიკა ისე შევცვალო, რომ ვეღარც კი იცნოთ.

**პეტრე** - შენ ილუზიონისტი ყოფილხარ და არა ხელოვანი.

**დათო** - მე ვარცხნილობის დიდოსტატი ვარ (*ნონას*). როგორ მოგწონს ლიკას ვარცხნილობა?

**ნონა** - კარგია, გადასარევია... რომელ სალონში ხარ?

**დათო** - არც ერთში... მე ლიკასი და მისი მეგობრების პარიკმახერი ვარ, მუქთად ვმუშაობ, საკუთარი სიამოვნებისთვის, საკუთარი სულისთვის... მამაჩემი მიმტკიცებს, რომ მის შვილს პარიკმახერობა არ ეკადრება, თვითონ კი რას წარმოადგენს, თუ იცით? ქურდია. არც ჯიბეზე დადის, არც სახლებს ძარცვავს, მაგრამ მაინც ნაქურდალით ცხოვრობს. ნაქურდალით მოიპოვა სახელი და პატივისცემა. ლუდის გამყიდველიდან რესტორნის დირექტორობას მიაღწია; ეკონომიკური ფაკულტეტი დაამთავრა, თუმცა თავის დღეში ერთი წიგნიც არ წაუკითხია თავიდან ბოლომდე; პარტიაში შევიდა და მისი სახელით ლაყბობს, თუმცა თავადაც კარგად იცის, რომ მისი წესდებისა და პროგრამის არც ერთ პუნქტს არ ასრულებს.

**დუდა** - (*ყვირის*). თაგვი, თაგვი!.. ისევ გამოძვრა... აგერ, აგერ, გარბის.

**პეტრე** - ირბინოს, ხოში აქვს და დარბის.

**დათო** - კარგი ვარცხნილობა რომ შექმნა, მხატვარი უნდა იყო, წინასწარ უნდა ხედავდე, უნდა გრძნობდე, ვის რა მოუხდება (*ნონას*). აი, მე შენში ნეფერტიტს ვხედავ.

**ნიკა** - (*ტაშს დასცხებს*). ბრავო!

**დათო** - დადგება დრო, როცა მოსკოვის, რომის, პარიზის კონკურსებში მივიღებ მონაწილეობას და იქიდან პრიზებს ჩამოვიტან. მერეც დამცინოს, ვინც კაი ბიჭია.

**ნონა** - შენი ადგილი თეატრშია. იქ პარიკმახერი ჭეშმარიტი მხატვარი უნდა იყოს. მხოლოდ იქ შეიძლება, მიაღწიო შემოქმედებით მწვერვალებს.

**დათო** - (*გულდაწყვეტილი*). თეატრში ვინ შემიშვებს.

**ნონა** - ჩემს მეგობრებს ვეტყვი და... მთავარ მხატვარსაც ვიცნობ... ერთი სიტყვით, ამას მე გპირდები - ბალერინა ნონა!.. შეეკითხე ბიჭებს: თუ ყოფილა შემთხვევა, რომ ვთქვა და არ შევასრულო.

**პეტრე** - არა ყოფილა.

**სულიკო** - შენ თუ მოინდომე...

**ნიკა** - სიტყვის პატრონი მართლა ხარ.

**ნონა** - მე ყველაფერის პატრონი ვარ. (*ნიკას უმღერის*).

*ბალი-ბული, ბალი-ბული,*
*მეც გული მაქვს და შენც გული.*
*ჩემი გული, შენი გული*
*ჯაჭვით არის გადაბმული.*

**პეტრე** - (*ჭიქას ასწევს*). გაუმარჯოს აინშტაინს!

**დუდა** - (*ხელებს იქნევს*). ალისა, დამანებე თავი, გადი აქედან!

**სულიკო** - (*მაგიდაზე მუშტს დაჰკრავს*). წესრიგი სუფრაზე!.. ვის სურს სადღეგრძელო?.. არავის?.. მაშინ მე ვიტყვი ერთს კიდევ - ოცნებას გაუმარჯოს! ჩვენ ამ ცხოვრებიდან თითქოს გარიყულები ვართ, მაგრამ ოცნებით მის შუაგულში ვტრიალებთ, მისი ავ-კარგის უპირველესი ჭირისუფლები ვართ... ღმერთო, ისეთი მუსიკა დამაწერინე, რომ მოაჯადოოს მთელი კაცობრიობა, ყველას სითბო, სიკეთე და სიცოცხლის წყურვილი ჩაუნერგოს, ადამიანებს ხელიდან დააყრევინოს დანები, თოფები, ბომბები და აამღეროს დიდი და პატარა, გულკეთილი და გულღრძო, მტერი და მოყვარე ისევე, როგორც თავის დროზე შტრაუსის მუსიკამ აამღერა და ააცეკვა მთელი ვენა. (*სვამს*).

**პეტრე** - ოცნება საწყისია წინსვლისა და პროგრესისა. უდიდესი ადამიანები ოცნებობდნენ პერპეტუუმმობილეს შექმნაზე, რომელიც სიკეთეს მოუტანდა მთელს პლანეტას, დღეს კი პოლიტიკოსებმა მეცნიერებას ფრთები შეაჭრეს და სული ამოხადეს, დაანაწევრეს და დააქუცმაცეს. ყველაზე დიდი მოაზროვნეები აპროგრამებენ ტექნიკის წინსვლასა და პროგრესს, მერე ამ პროგრამის მიხედვით შრომობენ რობოტებივით, ქმნიან ახალ-ახალ საშინელ იარაღებს და თვითონვე კანკალებენ მათი შიშით, თავიანთი ნააზრევის მონები ხდებიან. ეს იმიტომ რომ შემსრულებლები გახდნენ, ოცნებას გადაეჩვივნენ. (*ამაყად*). მე კი მთელი ჩემი სიცოცხლე მუდმივი ძრავის შექმნას შევწირე.

**ნიკა** - ასეთი ძრავის შექმნა სისულელეა.

**პეტრე** - სულელები ისინი არიან, ვინც მაგას ამტკიცებს. ფეხზე მკიდია მაგათი ტიტულები. მე აზროვნების დროს ვემორჩილები ჩემს მიერვე აღმოჩენილ და ჩამოყალიბებულ კანონს, რაც შემდეგში მდგომარეობს: ყველაფერი, რასაც ქმნი, სამყაროს კანონზომიერების მოდელს უნდა მიუსადაგო, რადგანაც მხოლოდ გალაქტიკის უზარმაზარ აკვანში ნებივრობს ყველა გენიალური ნააზრევის ჭეშმარიტი ტყუპისცალი.

**ნიკა** - ტყუილა გიჭყლეტია ტვინი, ვერაფერი ახალი აღმოჩენაა შენი ნაცოდვილარი. ადამიანები სამყაროს სწავლობენ მისი აღქმის პირველსავე დღიდან.

**პეტრე** - (*ჯიუტად*). ახალია, ახალი!.. მე ისიც აღმოვაჩინე, რომ ჩვენი დედამიწა მუდმივი ძრავაა, რომელიც ეთერში დასრიალებს აგერ უკვე მილიონობით წელიწადია და ჯერ ერთი გრამი ბენზინიც არ დახარჯულა მაგ საქმეზე. უფრო მეტიც, ადამიანმა უკვე შექმნა პერპეტუუმმობილე... ჰო, შექმნა, გაოცებული ნუ მიყურებთ. რა არის დედამიწის ხელოვნური თანამგზავრი, თუ არა ჩვენი ნანატრი და საოცნებო მუდმივი ძრავა, რომელიც ენერგიის დაუხარჯავად გვივლის გარშემო. საჭიროა მხოლოდ ამ მოდელის გადმოტანა ჩვენს სინამდვილეში და ადამიანის საუკუნოვანი ოცნება ასრულდება... მე უკვე ვმუშაობ მაგ საკითხზე.

**სულიკო** - გენიოსი ყოფილხარ, ძმაო.

**ნონა** - მაშ, ბრუნავს, ბრუნავს, ბრუნავს? გაუმარჯოს მუდმივ ძრავას!

**დათო** - (*ხელს ატრიალებს წრიულად*). ბუუ, ბუუ, უუ...

**დუდა** - ბრუნავს, ბრუნავს დედამიწა.
*ბრუნავს მწვადი მოშიშინე.*

ეროვნული ბიბლიოთეკა

*ბრუნავს სული ჯოჯოხეთში*
*და პერპეტუუმმობილე.* (ტაში).

ნიკა - ჰა, ჰა, ჰა!

პეტრე - რა გაცინებს?

ნიკა - მაშ, დედამიწა ისე ბრუნავს, თავისით, არა?

პეტრე - დიახ, ბატონო.

ნიკა - (*ნიშნის მოგებით*). მიზიდულების ძალაზე რაღას მეტყვი?

დუდა - პეტრეს ძრავამ უნდა იბრუნოს, ასეა საჭირო!

ნიკა - (*პეტრეს*). ჩაიჭერი?

პეტრე - ახლავე დაგიმტკიცებ, რომ...

სულიკო - არავითარი მტკიცება... გაუმარჯოს ახლად დაბადებულ ძრავას, რომელიც მომავალ თაობებს ენერგეტიკული კრიზისისგან გადაარჩენს. (*სვამს*).

ნიკა - (*ირონიით*). შენს აღმოჩენებს გაუმარჯოს. (*სვამს*).

პეტრე - დამცინი არა?.. აი, შენ ხომ მათემატიკოსი ხარ?..

ნიკა - (*გააწყვეტინებს*). მე ამჟამად არარაობა ვარ.

პეტრე - ხომ სწავლობდი მათემატიკურზე?

ნიკა - ვსწავლობდი, მერე?

პეტრე - თუ სწავლობდი, მიპასუხე: ჰაერში თითით მოხაზავს ფორმულას ∞-1= და თან კითხულობს, რას უდრის უსასრულობას მინუს ერთი?

ნიკა - უსასრულობას მინუს ერთი უდრის უსასრულობას. კმაყოფილი ხარ?

პეტრე - ასე ფიქრობს ყველა, მაგრამ მე ავაგე ნახაზები და დავამტკიცე, რომ უსასრულობას მინუს ერთი არ უდრის უსასრულობას.

ნიკა - კარგი, მომეშვი... თავის დროზე შენნაირ გიჟებს ვერ გავუძელი და იმიტომ დავანებე თავი უნივერსიტეტს.

პეტრე - უდიდესი გენიოსი აინშტაინიც გიჟად მიაჩნდათ თავისი ფარდობითობის თეორიით... სწორედ აინშტაინმა წარმოიდგინა სამყაროს მოდელი და მას უსასრულო სასრული უწოდა... აბა, დააკვირდით ამ გამოთქმას: უსასრულო სასრული... თუკი სამყაროს აქვს სასრული, მაშინ, მას რომ გამოვაკლოთ რაიმე, სულ მცირედი რიცხვიც კი, უსასრულობის სასრულამდე გზა შემოკლდება.

დუდა - ღამღამობით მე ხშირად დავფრინავ უსასრულობაში. (*ცდილობს, მოძრაობით გამოხატოს ფრენა*).

სულიკო - ოცნების სადღეგრძელო გრძელდება. შენ რას იტყვი, დუდა?

დუდა - ის დრო დადგებოდეს, რომ ლექსები უავტოროდ იბეჭდებოდეს, ლექსებში ფულს არავინ იხდიდეს და ნაღდი პოეტები ხალხში ამღერებული თავიანთი სტრიქონებით ინაზღაურებდნენ უძილო ღამეების საფასურს.

ლიკა - ასეთ ნათქვამს ერთი ლექსი მოუხდებოდა.

დუდა - ჰო, მოუხდება და წავიკითხავ კიდეც.

დათო - შენი ლექსები ხალხშია გასული.

ნონა - შენ ლექსები თქვი, სულიკო დაუკრავს, მე კი ვიცეკვებ.

დუდა - ლექსებს არავინ მიბეჭდავს, ფულს არავინ მიხდის, მაგრამ მე მაინც ვწერ, რადგან სხვანაირად სიცოცხლე არ შემიძლია.

პეტრე - გისმენთ, დუდა.

დუდა - ქალმა სიგარეტი გაირჭო პირში -
*სალოცავი ხატი შეიბღალა.*
*ბუღები დაკოდეს უსულგულოდ;*
*ცვედანი საქათმეში შეიპარა.*
................
*კრუხებს აღარ სურთ კვერცხებზე ჯდომა;*
*მამლები ყივიან კრინით.*
*მათხოვარმა ჯიბე გაისქლა*
*და თმა შეიღება ინით.*
................
*ქურდობა სირცხვილად აღარ ითვლება.*
*ბოზობამ დაკარგა ცნება.*
*კატები ძაღლებს დასდევენ კნავილით;*
*ლომი შეაშინეს მგლებმა.*
................
*ავტომობილებით ქუჩა გაიჭედა.*
*ვირებს მობეზრდათ ყროყინი.*
*მეორედ მოსვლა თუა - მაშ, მოვიდეს,*
*რაა ამდენი ლოდინი!*

დათო - ბრავო!

სულიკო - ყოჩაღ!

ნიკა - ჩემს გულში ზიხარ.

პეტრე - დიდებულია.

*(დუდა ღვინის წრუპვას იწყებს და თანდათან ეთიშება გარემოს, დროდადრო ვიღაცას ეჩურჩულება, აგინებს, ეფერება, მუშტებს უღერებს...*

სულიკო - შევსვათ, თორემ ძალიან გაგვიჯანჯლდა სადღეგრძელო.

ნონა - ჩვენი ცხოვრების გზა ისედაც მოკლეა, რატომ ვიჩქაროთ?

სულიკო - დათო, შენი ჯერია.

დათო - ჩემი ოცნებაა, რომ მამაჩემი სამსახურიდან მოხსნან, ფულები წაართვან და ციხეში ჩასვან.

ნიკა - (*ირონიით*) მაგარი ოცნებაა.

დათო - მე ეგრე მინდა.

სულიკო - შენ რაღას იტყვი, ლიკა?

ლიკა - ოცნებას შრომა არ უნდა, ბრძოლა არ უნდა, თავგანწირვა არ უნდა და იმიტომ არის მიმზიდველი. იმაზე ადვილი არაფერია, მხართეძოზე წამოწოლილმა ბროლის კოშკი ააგო, მერე შიგ ჩაჯდე და თავი მზეთუნახავად წარმოიდგინო, მაგრამ ეს ხომ ლამაზი მირაჟი, ავადმყოფური პატივმოყვარეობის მბზინავი ანარეკლი იქნება და მეტი არაფერი.

პეტრე - (*ირონიით*) ფილოსოფიურზე სწავლობ?

ლიკა - არა, ფიზიკურზე.

პეტრე - (*გახარებული*). ფიზიკოსობა ძალიან კარგია... თავისუფალი დრო როცა გექნება, მე შენ გაჩვენებ პერპეტუუმმობილეს ნახაზებს.

ნიკა - სოფელში მინდა წავიდე. იქ პაპაჩემის სახლია უპატრონოდ მიტოვებული, ჩავალ და დავსახლდები ბუნების წიაღში, სუფთა ჰაერზე, მიწასთან ახლოს. ცუდი ოცნებაა, ლიკა?

ლიკა - ეგ ოცნება კი არა, სურვილია, რომლის შესრულებაც ძნელი არ არის.

ნიკა - ჩემთვის ძნელია, ძალიან ძნელია, მაგრამ მეტი გზა არა მაქვს, ამპულას ჩავიკერებ და ისევ წავალ.

ნონა - მერე იქიდან ჩამოხვალ თეთრ კოსტიუმში გამოწყობილი, ვარდისფერ ეტლში ჩამსვამ და თან წამიყვან.

ნიკა - ჰო.

ნონა - სოფლის პატარა ცუგრუმელებს ცისფერ პუანტებს ჩავაცმევ და ყველას გედივით სრიალს, ბუმბულივით ფრენას, ლაჟვარდივით სუფთა ოცნებას ვასწავლი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიკა - (*ნონას*). მარტო ნუ გაუშვებ, ერთად წადით სოფელში. ნუღარ მოსცილდები, თუ შენი თავისთვის სიკეთე გინდა, თქვენ ერთმანეთისთვის ხართ დაბადებული, ერთმანეთს სჭირდებით.

ნონა - არ დავტოვებ, ლიკა, არა... ოღონდაც ერთი სიტყვა წამოცდეს და თუნდაც ცხრა მთის იქით გავყვები ამ წუთასვე.

ნიკა - და შენ ჩემი ცოლი გახდები, ჰა, ჰა, ჰა?! ქორწილი არ გადავიხადოთ?

ნონა - გადავიხადოთ, რატომაც არა.

ნიკა - როდისთვის დავნიშნოთ ქორწილი?

სულიკო - დღეისთვის!.. ახლავე გადავიხადოთ, ახლავე! შამპანური გვაქვს, არაყი გვაქვს, ღვინო გვაქვს და რაღაზე გადავდოთ?

პეტრე - (*ყვირის*). ქორწილია, ქორწილი!

სულიკო - ახლა მე თქვენს საპატივსაცემოდ ფორტეპიანოზე დავუკრავ საზეიმო მარშს.
(*სულიკო ტახტიდან ფრაკს ამოიღებს, ჩაიცვამს, ბაფთას გაიკეთებს, სკამს მიიტანს იქ, სადაც უწინ როიალი იდგა, დაჯდება და დაიწყებს "დაკვრას" არარსებულ ინსტრუმენტზე. იგი ხელების მოძრაობას ხმას აყოლებს და მუსიკის შესატყვის ბგერებს გამოსცემს. ნაწარმოები იმდენად ეფექტურად და ემოციურად "სრულდება", რომ თანდათან ცოცხლდება, ძალას იკრებს, გრგვინავს ეს საზეიმო მარში. დაკვრა დამთავრდა. სულიკო წამოდგა. გაისმა ტაში და მოწონების შეძახილები. ნონამ მიირბინა მასთან და გადაკოცნა*).

ნონა - დიდი მადლობა, სულიკო.

სულიკო - მე დღეს ბევრჯერ დავუკრავ და ვიმღერებ. თუ ქორწილია, ქორწილი იყოს! (*შამპანურის გახსნას აპირებს*).

ნონა - ჯერ ნუ გახსნი, სულიკო.

სულიკო - რა მოხდა?

ნიკა - გადაიფიქრე, ჰა, ჰა, ჰა?!

ნონა - (*ჩანთიდან კაბას და პუანტებს ამოიღებს*). გახსოვს, ნიკა, მე მაშინ, აი, ეს კაბა და პუანტები მეცვა, შენ რომ სიყვარული ამიხსენი... ის ქორწინების საღამო იყო ჩემთვის. მაშინ ვიყავი ყველაზე ბედნიერი და უბედური, რადგან ვგრძნობდი, რომ ერთდროულად გიყვარდი და გძულდი კიდეც.

ნიკა - ტყუილია, მე შენ არა მძულდი, მხოლოდ შინაგანი შიშის გრძნობა მქონდა რატომღაც... ჰა, ჰა, ჰა! თურმე სულაც არა ყოფილხარ საშიში.

ნონა - მოდი, მართლა გადავიხადოთ ქორწილი. ეს ბიჭები ჩვენს სადღეგრძელოს დალევენ, ალალი გულით დაგვლოცავენ და, იქნება, ბედი გვეწიოს.

ნიკა - გადავიხადოთ, აბა რა!

ნონა - ერთი წუთით, კაბას გამოვიცვლი და მოვალ (*კაბას და პუანტებს მკერდში ჩაიხუტებს და სირბილით გადის უკანა ოთახში*).

ლიკა - მეც გავალ, ნონას მივეხმარები (*გადის*).

სულიკო - (*თავზე დაადგება დუდას, რომელიც კარგა ხანია გათიშულია*). დუდა, დუდა!

დუდა - ჰა.

სულიკო - არ გესმის, ბიჭო?

დუდა - მამა, ძალიან გეხვეწები, დამანებე თავი.

სულიკო - შენ რა, აქ არა ხარ? (*ყვირის*). დუდა, დუდა!

დუდა - ჰა, რაშია საქმე?

პეტრე - ქორწილია, ქორწილი!

დუდა - რა ქორწილია, ვისი ქორწილია.

სულიკო - ნონას და ნიკას ქორწილია.

დუდა - როგორ თუ ქორწილია?

პეტრე - როგორ და ჩვეულებრივად. ნონა კაბას გამოიცვლის, გამოვა და ქორწილიც დაიწყება: ჩვენ მივულოცავთ, დავლოცავთ, დავლევთ, ვიმღერებთ და ვიცეკვებთ.

სულიკო - დედოფალი რომ იპრანჭება, სიძემ რა დააშავა?

პეტრე - ასე უცებ ახალ კოსტიუმს ვერ გავაჩენთ, თორემ...

დათო - (*გააწყვეტინებს*). ჩემს გამონაცვალს თუ იკადრებს... (*პიჯაკს იხდის*). გუშინ ჩავიცვი პირველად.

ნიკა - როგორ გეკადრება, არ მინდა.

დათო - (*ძალით აცმევს*) ღმერთმა ბედნიერებაში მოგახმაროს.

ნიკა - ჰა, ჰა, ჰა! თქვენ აღარა ხუმრობთ?

სულიკო - რა დროს ხუმრობაა.

ნიკა - (*გახდას აპირებს*) მათხოვარი ხომ არა ვარ.

დათო - არ გაიხადო, თორემ მეწყინება.

პეტრე - ძმაკაცებმა საქორწინო კოსტიუმი რომ გაჩუქონ, მათხოვრობაა?

სულიკო - ერთი წუთით, ახლავე, ახლავე. (*ტახტს სახურავს ახდის და შიგ იქექება*) აი, ვიპოვე. (*ჰალსტუხს ამოიღებს*). ზუსტად მაგ კოსტიუმის შესაფერისია. (*ჰალსტუხს უკეთებს ნიკას*). უკანასკნელი მოდაა... ეჰ, პირველი ჩამცმელი ვიყავი თავის დროზე, ახლა კი...

დათო - (*ნიკასთან მივა და კოსტიუმის შიდა ჯიბიდან დიდ რკინის სავარცხელს ამოიღებს*) ბიდიშს გიხდი, ეს ცნობილი პარიკმახერის ნაჩუქარია და...

სულიკო - (*ჰალსტუხს მოარგებს, ღილს შეუკრავს*) აი, ასე, ახლა კი ნამდვილად გავხარ სიძეს.

ნიკა - (*უხერხულად*). ეს რა გამოვიდა, ტანსაცმელი გავხადე უჩაღივით.

სულიკო - მერე მაგაზე დარდობ? დათოს მამას მუთაქებში აქვს ჩატენილი წითელი თუმნიანები, გამოაძრობს და ახალ კოსტიუმს უყიდის.

დათო - სრული სიმართლეა. (*შარვლის გახდას აპირებს*).

სულიკო - რას შვრები?

დათო - ვიხდი.

სულიკო - და შიშველი წახვალ სახლში?

დათო - მერე რა მოხდა. ტაქსს გამოვუძახებ და ტრუსებით მივადგები ჩემს დედიკოსა და მამიკოს.

ნიკა - (*კატეგორიულად*) არ არის საჭირო.

დუდა - (*გულჩათხრობილი*) მამაჩემსაც იმედი ჰქონდა, კაცი რომ დავდგებოდი.

სულიკო - კარგი, რას ბოდავ. კაცი ხარ, აბა რა ხარ?

დუდა - წეღანაც გამომეცხადა. აი, ასე, მედგა თვალწინ და ვსაუბრობდით... ალბათ, სიკვდილი მომიახლოვდა და ჩემი სული იმ ქვეყანაში წასულ ახლობლებთან ცდილობს კონტაქტის დამყარებას.

სულიკო - რა დროს შენი სიკვდილია, ბიჭო.

დუდა - ეტყობა, დროა. გამოვიფიტე, სულიკო. ალიოსაც გამუდმებით დამდევს დანით ხელში.
(*გამოდის ლიკა. კარს ბოლომდე გააღებს და ხელის მოძრაობით ნონას ეპატიჟება. უცებ გამოხტება იგი, ამჯერად უკვე როგორც ჭეშმარიტი ბალერინა - მსუბუქი, ჰაეროვანი, კდემამოსილი, მომხიბვლავი. შეჩერდება, ნაზად გაუღიმებს ირგვლივ მყოფთ და ისე ესალმება, როგორც ამას სპექტაკლის დასასრულს სცენაზე თავის დასაკრავად გამოსული ბალეტის მსახიობები აკეთებენ*).

დუდა - (*აღფრთოვანებული*). ნონა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

პეტრე - (*ნიკას*). ნამდვილი ანგელოზია!

(*დათო ტაშს დასცხებს, სულიკო მაყრულს წამოიწყებს, რომელსაც ყველა აჰყვება. ნიკა პატარძალთან მივა და თავს დაუკრავს*).

ნიკა - (*პატეთიკურად*). თქვენი ხელი მიბოძეთ, ქალიშვილო, ქორწინებაზე თანახმა თუ ხართ.

(*ნონა ხელს გაუწვდის*).

სულიკო - ახლა, ყველანი გარეთ გახვალთ და, როგორც წესია, ისე მოიყვანთ ოჯახში პატარძალს.

(*გადიან. გარედან ისმის ხმაური, შეძახილები, წამღერება, სიცილი. სულიკო ზღურბლზე თეფშს დადებს. შემოდის ნეფე-დედოფალი მაყრიონის თანხლებით. იმსხვრევა თეფში*).

პეტრე - ქორწილია, ქორწილი!

(*სულიკო საცეკვაო სიმღერას წამოიწყებს, დუდა დოლის მაგივრად სკამს უტყაპუნებს, სხვები ტაშს დასცხებენ და ნეფე-დედოფალი ასრულებს საქორწინო ცეკვას*).

სულიკო - მაგიდასთან გთხოვთ, მეგობრებო! ბედნიერი დღე გაგვითენდა - ჩვენი ძმაკაცი ცოლს ირთავს... ნეფე-დედოფალს გაუმარჯოს. კარგი ოჯახი, გამრავლება და გახარება ვუსურვოთ!

ხმები - გაუმარჯოს!... გაუმარჯოს!..

(*ბათქაბუთქით იხსნება შამპანურები და ისმება სადღეგრძელო ჭიქებით, მათლაფებით, ბოთლებით*)...

ნიკა - (*წამოდგება*). მეგობრებო!

სულიკო - სიძე ლაპარაკობს. ყურადღება!

ნიკა - მადლობელი ვარ, ქორწილს რომ გვიხდით... ახლა მე ყველას სადღეგრძელოს ვსვამ... არ ვიცი, ამ მაიმუნობიდან რა გამოვა, მაგრამ თქვენ ხომ გინდათ ჩვენი ბედნიერება, ეს უკვე ბევრს ნიშნავს... თქვენ გენაცვალეთ, გაგიმარჯოთ! (*სვამს*). აბა, დალიეთ ყველამ, დალიეთ!.. მე და ნონა ხვალიდან სოფელში დავსახლდებით, ჰა, ჰა, ჰა! სასაცილოა, არა?.. ბიჭებო, თუ მოგენატროთ, ჩვენთან ჩამოდით, კაკლის ძირში გაგიწყობთ პურ-მარილს და ჩემს დაწურულ ღვინოს დაგალევინებთ.

პეტრე - (*ბზუკუნით*). მეც მინდა სოფელში.

ნიკა - მერე ვინ გიშლის, ჩამოდი. პერპეტუუმმობილეზე დაჯექი და (*ხელებს ატრიალებს ბორბლებივით*) ჩუქ-ჩუქ, ჩუქ-ჩუქ, ჩუქ-ჩუქ! თუ გინდა, შვილიც წამოიყვანე თან. ბევრი ძროხები გვეყოლება დიდი ჯიქნებით და, რამდენიც უნდა, იმდენი რძე დალიოს. (*ძროხასავით ოთხზე დადგება და ფეხებს იქნევს*).

ნონა - კარგი, ადექი. (*წამოაყენებს*).

ნიკა - მე ძროხა ვარ... არა, ძროხა კი არა, ხარი ვარ, მმუუ!

პეტრე - მე სოფელში სტუმრად კი არ ჩამოვალ, სამუდამოდ დავსახლდები და ეზოში მუდმივ ძრავას ავამუშავებ. (*ხელებს ატრიალებს*). ჩუქ-ჩუქ, ჩუქ-ჩუქ, ბუუ, უუ, უუ! ჩემი გამოგონება რომ არავინ მომპაროს, ბომბორა ძაღლს გავიჩენ. ჰამ, ჰამ, ჰამ!

სულიკო - შენი ცოლის პატრონს ძაღლი რად გინდა?!

დათო - (*ყვირის*). მამაჩემის ნაქურდალი ფულები უნდა შევჭამო, მანქანა უნდა დავამტვრიო, სახლი უნდა დავწვა და მერე ცნობილი პარიკმახერი გავხდები. (*სავარცხელს ამოიღებს და მის წარმოსახვაში არსებულ ქალს თმას უვარცხნის*).

დუდა - (*პირთან მიიტანს ჭიქას და უცებ მოეჩვენება, თითქოს თაგვი ამოხტა იქიდან*). თაგვი, თაგვი! (*ჭიქას მოისვრის და მაგიდის ქვეშ შევარდება*). მიშველეთ!

ნიკა - შენ რას გააკეთებ სოფელში, ნონა?

ნონა - ცეკვის მასწავლებელი ვიქნები (*ბალეტის ილეთებს ასრულებს*). რამ პამ პამ, რამ პამ პამ, რამ პამ პამ, პამ!

პეტრე - (*ოთახში დარბის და თან ბორბალივით ატრიალებს ხელებს*). ჩუქ, ჩუქ, ჩუქ, ჩუქ! ბუუ, უუ, უუ! ჩუქ, ჩუქ, ჩუქ, ჩუქ! ბუუ; უუ, უუ!

ნიკა - ნონა, ისეთ მამალს ვიყიდი, რომ სულ მსხვილმსხვილი კვერცხები დაადებინოს ქათმებს. (*სკამზე ახტება და კაკანებს*). კა, კა, კა, კა! კა, კა, კა, კა!

დუდა - (*მაგიდის ქვეშიდან გამოძვრება*). მიშველეთ, ხალხი არა ხართ, შემჭამეს თაგვებმა?! (*ეჩვენება, რომ შარვლის ტოტში შეუძვრა თაგვი და ცდილობს მის გამოდევნას*) ააა, ააა, ააა!!

ლიკა - (*აკანკალებული ქვითინებს*). ღმერთო, აქედან ცოცხალი გამიყვანე!.. ღმერთო, გადამარჩინე!

(*სულიკოს ჯოხი უკავია და მთელი აზარტითა და ტემპერამენტით დირიჟორობს ამ ვაკჰანალიას*).

(*კარები ფართოდ იღება და შემოდის ნანა სახარებით ხელში*).

სულიკო - ნანა, ჩემი ნანა! (*ამ ხმამ ყველა იმ მოძრაობაში გაყინა, ვისაც სად მოუსწრო*). ნანა, დამიბრუნდი?!

(*ნანა ნელ-ნელა, უხმოდ მიუახლოვდება სულიკოს და სახარებას გაუწვდის. მუსიკა ძლიერდება. სულიკო მუხლს იყრის ამ დიდებული ქალის წინაშე*).

**ფარდა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# თემურ მირიანაშვილი

## ჩვენი ტრაგედიის ფესვები

(ოციან-ოთხმოციანი წლების ქრონიკა)

ათას ცხრაას ოთხმოცდამეოთხე წელს ერთი საქვეყნოდ ცნობილი კაცი გავიცანი. გავიცანი შემთხვევით, მატარებელში. მოსკოვამდე თითქმის ორი დღე-ღამე მოგვიხდა მგზავრობა. გაცნობისთანავე ჩვენს შორის გაიბა საუბარი, რომელიც დილამდე გაგრძელდა. დაუჯერებელია, მაგრამ თითქმის თხუთმეტი საათი ვისაუბრეთ. მთელი ღამე თვალი არ მოგვიხუჭავს. თუმცა საუბარი არც ეთქმის - ძირითადად ის ლაპარაკობდა მე კი გატაცებით ვუსმენდი. იგი ყვებოდა თავის ბავშვობაზე, ანუ ოცდაათიან წლებზე. ყვებოდა შემდგომ ათწლეულებზეც. დეტალურად მსჯელობდა თემებზე, რომლებიც იმხანად აკრძალული იყო. თუმცა ეს თემები იკრძალებოდა პრესისთვის, რადიო-ტელევიზიისთვის, საერთოდ, საჯარო მსჯელობისთვის. პირად საუბრებში კი, რაც თავი მახსოვს, ბავშვობიდან მოყოლებული უფროსებისგან - სანათესაოშიც, სამეზობლოშიც და სკოლაშიც კი მასწავლებელთაგან - სულ ეს თემები ჩამესმოდა ყურში: ოცდამეჩვიდმეტე წელი და სამამულო ომი, სტალინი, ბერია, ხრუშჩოვი... მაგრამ არ მახსოვს, როდისმე ვინმეს მონათხრობს ისეთი ღრმა შთაბეჭდილება მოეხდინა ჩემზე, როგორც იმ სახელოვანი თანამგზავრის მონათხრობმა.

მოსკოვში ჩასვლისა და სასტუმროში დაბინავებისათანავე შევუდექი მოსმენილის ჩაწერას. მოსკოვში ყოფნისას თითქმის ყოველსაღამო ბართან ჯდომით და ბარმენთან მასლაათით ვკლავდი ხოლმე დროს, იმჯერად ვიჯექი და ვწერდი მატარებელში მოსმენილს. დილაობით კი საქმეზე მეტროთი მგზავრობისას თითქმის მთელი საათი მქონდა საღამოს დასაწერის გონებაში დასალაგებლად და უკვე დაწერილ ტექსტში გამორჩენილის ჩასანიშნად. ჩემი მივლინებაც დამთავრდა და წერაც დავასრულე. თავიდან ბოლომდე ტექსტი უკვე თბილისში გადავიკითხე და შევინახე.

მას შემდეგ გავიდა არცთუ დიდი დრო და უზარმაზარი ქვეყანა აბორგდა. დაიწყო ის, რაც ოთხმოციანი წლების შუახანებიდან დაიწყო. სტარტი ამ გრიგალს მისცა რუსული პრესიდან (ქართულმა პრესამ დიდად დაიგვიანა) მოსახლეობის თავს დატეხილმა ნიაღვარმა პუბლიკაციებისა, რომელთა მსგავსი საბჭოთა მოქალაქეს კოშმარულ სიზმრებშიც კი არ უნახავს. იმ მილიონობით ადამიანს შორის, ვინც უდაბნოს მაშვრალივით დაეწაფა ბეჭდურ ნიაღვარს, გახლდათ ამ სტრიქონების ავტორიც. ვკითხულობდი ყველაფერს - გააფრთებით ანტიკომუნისტური პუბლიკაციებით დაწყებულს და გააფრთებით პროკომუნისტერით დამთავრებულს. წაუკითხავი არ დამრჩენია არაფერი, დაწერილი ან თარგმნილი რუსულ და ქართულ ენებზე. ვგულისხმობ, ცხადია, ასე თუ ისე, გახმაურებულ პუბლიკაციებს.

პუბლიცისტიკა ოთხმოციანი წლების შუა ხანებიდან იქცა არა წამყვან ჟანრად ლიტერატურისა, არამედ ერთადერთად. პროზამ, დრამატურგიამ, პოეზიამ თავიანთი კლასიკური სახით თითქმის შეწყვიტეს არსებობა. ყველაფერში, რაც პერესტროიკის დაწყების შემდეგ შეიქმნა - უიშვიათეს გამონაკლისთა გარდა - დომინირებს პუბლიცისტური საწყისი. ამ სტრიქონების ავტორი პრესის ბატალიებშიც ჩაება. ოღონდ საკუთარი სტატიების დაწერამდე მატარებელში მოსმენილის გამოქვეყნების სურვილი გამიჩნდა. მოვძებნე არქივში ჩანაწერები, გადავიკითხე და პირველი განცდა, რომელიც დამეუფლა იყო გაკვირვება: რით ჩამწვდა გულში ასერიგად თანამგზავრის მონათხრობი? ტექსტი ულიმღამო მეჩვენა და გამიკვირდა, რომ ცოტა ხნის წინათ ამ ისტორიამ დამატყვევა, მაიძულა მოსკოვური საღამოების მხიარულება ნაშუადღევამდე მაგიდასთან ჯდომაზე გამეცვალა. კუპეში მოსმენილ მოსაზრებებს, დასკვნებს არ ვეთანხმებოდი. არ ვეთანხმებოდი კატეგორიულად. თანაც, რაც მთავარია, არ ვეთანხმებოდი უკვე მაშინ, როცა ვისმენდი. რაც შეეხება ყოფით ამბებს - თანამგზავრი ბევრ ძველ, ისტორიას მომიყვა - ისინი სრულიად ბანალური მეჩვენა, ერთადერთი გამონაკლისის, ფინალური ამბის გარდა. ვიფიქრე, ჩემს თანამგზავრს, ალბათ მჭევრმეტყველების დიდი ნიჭი აქვს-მეთქი. კარგ ორატორებს ხომ ძალა შესწევთ, არაფრისმთქმელი ამბის თხრობითაც კი დაატყვევონ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მსმენელი. მაგრამ ეს კაცი არასოდეს ყოფილა გამორჩეული ორატორობით. ისიც კი გამეგონა, რომ მას, მეცნიერების კორიფეს, ძალიან მოსაწყენი ლექციები ჰქონია. თავადაც გრძნობდა თავის ამ ნაკლს და შეძლებისდაგვარად ერიდებოდა ლექციების კითხვასაც, საჯარო გამოსვლებსაც. სწორედ იმხანად, როცა ჩანაწერების გამოქვეყნებაზე ვფიქრობდი, ტელევიზიით ვნახე მისი გამოსვლა ერთ-ერთ სამთავრობო თავყრილობაზე. იგი კითხულობდა, თუმცა საკმაოდ მოკლე სიტყვა ჰქონდა წარმოსათქმელი. კითხულობდა ძალიან მონოტონურად. დროდადრო წყვეტდა კითხვას, ვიწრო სათვალის ზემოდან თვალს ავლებდა დარბაზს, მერე ნერწყვს ყლაპავდა ისე მძიმედ, თითქოს ზონდი გადაყლაპაო და თავს კვლავ ტექსტში რგავდა. მე კი ამ კაცის მონაყოლმა ღამე გამატეხინა. სრულიად დამავიწყა ძილი და შემდეგ კიდევ არაერთი კვირა მამყოფა საოცარ შთაბეჭდილებათა ტყვეობაში. ბოლოს ვიფიქრე, იქნებ, თვით მთხრობელის პიროვნებამ იქონია-მეთქი ზეგავლენა ჩემზე. ის ხომ, როგორც ვთქვი, ძალიან ცნობილი და აღიარებული კაცი იყო. მისმა ნათქვამმა შეიძლება „პრავდის" ან „კომუნისტის" ფურცლებზე ამოკითხულის შთაბეჭდილება მოახდინა-მეთქი. მაგრამ არც ამგვარი ახსნა ჩანდა უნაკლო. სამოცდაათიანი წლების მეორე ნახევრისა და ოთხმოციანთა პირველი ნახევრის მანძილზე საქართველოში, მგონი, ყველა მოკავშირე რესპუბლიკისგან განსხვავებით, იყო შექმნილი ისეთი ატმოსფერო, რომ პროზად და ლექსად, თეატრალური სცენიდან და კინოეკრანიდან ეზოპეს ენით, ზოგჯერ კი საყველპურო ენითაც ითქმოდა პრაქტიკულად ყველაფერი...

ერთი სიტყვით, ვერ გავუგე ჩემსავე თავს, სულ ორიოდე წლის წინანდელს და ტოლსტოი გამახსენდა: Не магу понять себя самого таким, каким был в прошлом году.

ჩანაწერები, რა თქმა უნდა, რედაქციაში არ წამიღია. ისიც კი გავიფიქრე, გადამეყარა ეს ფურცლები, განმეტვირთა უამისოდაც მეტისმეტად გაზრდილი ჩემი არქივი. მაგრამ მე არც ის რევოლუციური პუბლიკაციები მომწონდა, რომლებიც მთელს მსოფლიოში თმას ყალყზე უყენებდა მკითხველს და რომლებთან შედარებით ჩემი ჩანაწერები, ჩემსავე თვალში, გამოჩნდა უპილპილო, ტრივიალური, კონფორმისტულიც კი. ჩემთვის ცნობილ ვერც ერთ პუბლიკაციაში ვერ ამოვიკითხე მისაღები, ბოლომდე გასაზიარებელი ანალიზი, ახსნა ბოლშევიკური ტერორის და მთელი იმ ვითარებისა, გასულ საუკუნეში რომ სუფევდა აღმოსავლეთ ნახევარსფეროს უზარმაზარ სივრცეებზე.

რევოლუციის ჟამს, როგორც ცნობილია, ყველა ცრუობს, ეს არის რევოლუციური ეპოქის უმთავრესი ნიშანი. უფრო სწორად, ცრუობს ყველა, ვინც რევოლუციისთვის იბრძვის ან რევოლუციას ებრძვის. ცხადია, არიან ადამიანები, რომელნიც უნებლიეთ ან იძულების გამო იტყუებიან: თვით რევოლუციური აზროვნება (და კონტრრევოლუციურიც) თავისი არსით არ შეიძლება იყოს მართებული, ხოლო მართებული აზროვნება არც რევოლუციურია, არც კონტრრევოლუციური. რევოლუციას ბადებს ზომიერების გრძნობის ღალატი, რაც უწინარესად და უმთავრესად აზროვნებაში ვლინდება და მხოლოდ შემდეგ რეალიზდება დამანგრეველი, კაცთმოძულური მოქმედებებით. ბარიკადების ორივე მხარეს არის მოთხოვნილება "საჭირო" აზრზე და არა ჭეშმარიტ აზრზე. "საჭირო" აზრი რევოლუციის ჟამს აბსოლუტურად ჭეშმარიტიც ხდება და აბსოლუტურად ზნეობრივიც. საპირისპირო აზრი კი, რასაკვირველია, ყოვლად ყალბიც არის და უზნეოც...

საბჭოთა პროპაგანდა ხშირად იმეორებდა ჩვენი მოქალაქე არისო ყველაზე ერუდირებული მთელს მსოფლიოში. ადრე ეს ბოლშევიკური ტყუილი გვეგონა, დღეს კი ვიცით, რომ სრული სიმართლე ყოფილა და ერუდირებულმა საბჭოთა მოქალაქემ, ცხადია, ოთხმოციანი წლების შუახანებამდეც იცოდა, რა არის რევოლუცია, ანუ მანამდე იცოდა, ვიდრე თვითონ ამოჰყოფდა თავს რევოლუციის მდუღარე კუპრში. მაგრამ ერთია წიგნებიდან ცოდნა რისამე და სულ სხვა საკუთარ კისერზე წვნევა. პირველი შოკი განათლებული საბჭოელისთვის იყო იმის დანახვა, რომ თურმე კომუნისტებზე ნაკლები ტყუილები არც ლიბერალებს სცოდნიათ. თანაც ამ საქმეში მეორენი პირველებზე ნიჭიერნიც აღმოჩნდნენ! კომუნისტებმა მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში ვერ განავითარეს, ვეღარ დახვეწეს სიცრუის გავრცელების მეთოდები და ხელოვნება. ლიბერალებმა კი ამ სფეროში შექმნეს ნამდვილი მაღალი ტექნოლოგიები. არ ვაჭარბებ: ლიბერალთა გამომგონებლობა, მიღწევები იდეოლოგია-პროპაგანდის სფეროში ოდნავად არ ჩამოუვარდება გასული საუკუნის ბოლო ათწლეულთა ტექნიკურ სასწაულებს. კომუნისტები კი მესამე მსოფლიო ომში, რომელიც იდეოლოგიის ველებზე მძვინვარებდა, ათიან-ოციანი წლების მაუზერით, ვინტოვკით და ტაჩანკით იმედოვნებდნენ გამარჯვებას.

მესამე მსოფლიო ომის ბედი დემოკრატიის სასარგებლოდ გადაწყვეტილი ჩანდა მრავალი წლით ადრე კომუნისტების კრახამდე. ამას უკვე სამოცდაათიან წლებში ხედავდნენ ჭკვიანი კომუნისტებიც და დემოკრატებიც.

არავინ ელოდა გამარჯვებულთაგან სააქაო სასუფევლის დამკვიდრებას. საბჭოთა ადამიანმა იცოდა რომ ამქვეყნად სამოთხის ბაღი არ გაშენდება. მაგრამ ის კი ყველას გვწამდა, რომ ტრიუმფატორი ლიბერალდემოკრატია ხუნდებს ახსნიდა სიმართლეს, რომ დემოკრატიასთან ერთად დამკვიდრდებოდა სუფევა სიმართლისა. მაგრამ, გავიხსენოთ, რა მოგვესმა გამარჯვებულ ლიბერალთა ჯერ კიდევ მოზეიმე ბანაკიდან. მე გაგახსენებთ მათი "სიმართლის" ერთ-ორ ნიმუშს:

თურმე შვიდი კომუნისტური ათწლეულის მანძილზე არაფერი მომხდარა სასიკეთო;

თურმე ძალაუფლების და გამორჩენის გარდა არაფერი აინტერესებდათ ბოლშევიკებს, ბოლშევიკთა პირველ თაობებსაც კი, ანუ მათ, ვინც მსოფლიოს უჩვენა ფანატიზმის, თვითგვემის და თავგანწირვის ისეთი მაგალითები, როგორიც ადრეულ შუასაუკუნეთა ბერების შემდეგ აღარავის უჩვენებია საქრისტიანო სამყაროში;

და კიდევ, თურმე ლიბერალ-დემოკრატიასა და მის იდეალს - კაპიტალიზმს ნაკლი არ აქვს.

ჩვენ ვიჯერებდით ამ სისულელეებს. სიამოვნებით ვისულელებდით თავს, რადგან ეს იყო "საჭირო" ტყუილები. ანუ საჭირო იყო ამგვარი აზრების, ამგვარი იდეოლოგიის გამარჯვება, რათა ქვეყანა "ტოტალისტური რელსებიდან კაპიტალისტურზე გადასულიყო". კაპიტალიზმი კი - ესეც ლიბერალებმა გაგვაგებინეს - ყოფილა სწორედ ის, რასაც კომუნისტები აშენებდნენ: კომუნიზმი!

ვიმეორებ, რაკი დიად მიზანთა სახელით ცრუობდნენ ლიბერალები, მათი ტყუილები აბსოლუტურად ზნეობრივიც იყო და აბსოლუტურად ჭეშმარიტიც. მაშასადამე, არც ამ ტყუილთა მთქმელი ითვლება მატყუარად და არც დამჯერებელი - ბრიყვად.

ბარიკადების მეორე მხარეს, ერთი შეხედვით, ნაკლებად ცრუობდნენ. აკი აღიარეს პერესტროიკის

ეროვნული ბიბლიოთეკა

დროინდელმა კომუნისტებმა წარსულ ათწლეულთა "ზოგიერთი შეცდომა და დანაშაული". კაპიტალიზმის ერთი-ორი ღირსებაც დაინახეს. ამ ღირსებების გადმონერგვაზეც კი ალაპარაკდნენ. მოკლედ, ვიმეორებ, კომუნისტების ცრუპენტელობას თითქოს აღარ აქვს ლიბერალთა ცრუპენტელობისამებრ ტოტალური ხასიათი. მაგრამ საქმე აქ იმაშია, რომ პირველებისთვის, მეორეებთან შედარებით, პერესტროიკის დამდეგს ბევრად უფრო ძნელი იყო დემაგოგობა; კომუნისტურ წყობას ხალხი ძალიან კარგად იცნობდა, კაპიტალიზმს კი - სრულიად არა. დღეს, როცა, ასე თუ ისე, გავიცანით კაპიტალიზმი - ადგილობრივიც, ცივილიზებულიც - მისმა მეხოტბეებმაც დაუწიეს ტონალობას. სულ ბოლო დროს კაპიტალიზმის ზოგიერთი ნაკლოვანების აღმოჩენაც კი იწყეს...

დემოკრატიის ლოზუნგების ამფრიალებლებს პერესტროიკის დაწყებისთანავე კომუნისტებზე არანაკლებ გაუტყდათ სახელი. მაგრამ ეს შეეხებოდათ მხოლოდ ჩვენს ადგილობრივ ლიბერალებს. სულ სხვა რამ იყო ჩვენს თვალში დასავლური ლიბერალ-დემოკრატია. ის კიდევ დიდხანს რჩებოდა ჩვენი ხალხის უსაზღვრო მოწიწებისა და თაყვანების საგნად. დასავლეთისადმი რწმენა-თაყვანება რელიგიურ ექსტაზამდე გვქონდა მისული. იქაური აზრი ჩვენთვის უფლის აზრი იყო. იქიდან მივლინებით ჩამოსული მოხელეები - უფლის მოციქულნი. მაგრამ, ბოლოსდაბოლოს, მივხვდით, უფრო სწორად, დავინახეთ, რადგან აღარ შეიძლებოდა არდანახვა, რომ უფლის მოციქულნი, უბრალოდ, თავიანთ საბოლოო გამარჯვებამდე განაგრძობდნენ უკვე მოგებულ მესამე მსოფლიო ომს. ხოლო ფრონტის იმ უბნებზე, სადაც უკვე გარანტირებული აქვთ მოწინააღმდეგის სრული და უსიტყვო კაპიტულაცია (მაგალითად საქართველოში), მოსახლეობას ეპყრობიან ზუსტად ისე, როგორც ოდითგანვე ეპყრობოდნენ ომში გამარჯვებულნი დამარცხებულთ - იქვემდებარებენ, ეუფლებიან მათს ქონებას.

ამის შეგნება იყო ჩვენი ხალხისთვის განსაკუთრებით მწარე. თურმე მარტო ჩვენებური კომუნისტები და ლიბერალები როდი გვატყუებენ. გაღმერთებული დასავლეთიც - რომლის "ხმების" მოსასმენად ათწლეულების მანძილზე რადიოსთან სასოებით იყო მიყუჟებული მთელი საბჭოთა მოაზროვნე პუბლიკა - გვატყუებდა და გვატყუებს.

აქამდე ტყუილების მხოლოდ სამ წყაროზე მივუთითე. წყაროები კი სხვაც ბევრი გააჩინა გარდაქმნის ეპოქამ. მაგალითად, პერსონალური ან, ვუწოდოთ თუნდაც, ინტიმური. ვგულისხმობ თანამედროვე ავტორთა მიერ ამა თუ იმ ბოლშევიკი დამნაშავის გამართლებას იმის გამო, რომ ეს დამნაშავე არის ავტორის მამა, პაპა, ბიძა ან კეთილმყოფელი ავტორის თუ მისი წინაპრებისა. ამ კატეგორიის ტყუილი ოფიციალურადაც კი, უფრო სწორად, კანონმდებლურად, არ ითვლება ტყუილად. შენიანის მიერ ჩადენილი დანაშაული არ არის დანაშაული! ყოველ შემთხვევაში, შენი აზრით, არ უნდა იყოს! პავლიკ მოროზოვი ხომ არა ხარ! ამ ბიჭუნას სახელს დაუკავშირდა პერესტროიკული აზროვნების ერთი ყველაზე ამაზრზენი პლასტი. უკლებლივ ყველა ბოლშევიკ დამნაშავეს მლანძღველების გარდა დამცველებიც გამოუჩნდა, საზარელი წამებით მოკლული ცამეტი წლის ყრმა კი აბსოლუტურად ერთხმად გამოცხადდა იუდად. ამიტომ შენც, გინდაარგინდა, უნდა ათეთრო შენიანი ჯალათი.

სიცრუის წყაროდ გადაიქცა პატრიოტიზმიც. თანამემამულის დადანაშაულებაც პავლიკ მოროზოვობას გაუთანაბრდა. დანაშაულს ძირითადად, უფრო სწორად, მხოლოდ სხვა ერთა შვილები სჩადიოდნენ. ამ ფსიქოლოგიამ მხოლოდ საქართველოში ვერ მოიკიდა ფეხი. ჩვენ ისე ვლანძღეთ სტალინი, ბერია, ორჯონიკიძე, რომ, მგონი, ასერიგად არაქართველებსაც არ ულანძღავთ.

...რაკი ამქვეყნად ყოველივეს გაუდის ყავლი, გლასნოსტის ბუმიც ჩაბარდა ისტორიას და ხალხმა შვებით ამოისუნთქა.

ორტეგა ი გასეტს ეკუთვნის ეს ფრაზა: "*ჯობს, მოწამლული პროდუქტით კვებო ხალხი, ვიდრე მოწამლული იდეებით*". ხალხმა დაისვენა, როგორც ორგანიზმს ასვენებს ამორწყევა.

რაც შეეხება ამ სტრიქონთა ავტორს, ვინც ბოლო ყლუპამდე გამოცალა გლასნოსტის პუბლიკაციათა ოკეანე, იგი მოუთმენლად დაელოდა ახალ სიოს, რომელიც აუცილებლად დაჰქროლავს ხოლმე პოსტრევოლუციურ ეპოქაში. ვოცნებობდი კონტრევოლუციაზე! ოღონდ მხოლოდ აზროვნებაში! სისხლის და ნგრევისგან ღმერთმა დაგვიფაროს.

რა თქმა უნდა, კონტრრევოლუციური აზროვნებაც ყალბი და დემაგოგიურია. მაგრამ ეს არის მეორე პოლუსი, რევოლუციური აზროვნების დიამეტრულად საპირისპირო. ამიტომ იყო იმედი: პოლუსთა შეტაკებას ნაწილობრივ მაინც გაებათილებინა დაგროვილი სიცრუე. სამწუხაროდ, ეს არ მოხდა. ხალხს შეძულდა არამხოლოდ გლასნოსტის პუბლიკაციების კითხვა, არამედ, საერთოდ, კითხვა. სერიოზული კითხვა! ქართველებმა, ერთდროს, სხვა საბჭოელებთან ერთად, გამორჩეულად ერუდირებულმა ხალხმა, თანდათან იწყეს ღრმად ფიქრს, ღრმად აზროვნებას გადაჩვევა. საქართველოში დღეს კითხულობენ მხოლოდ ემპირიული ხასიათის ყოველდღიურად აუცილებელი ინფორმაციის მისაღებად ან გასართობად (და ზოგიერთნი - ქვენა მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად). პუბლიცისტიკა ჩვენში მოკვდა. და რაკი ლიტერატურაც, ხელოვნებაც, ჰუმანიტარული მეცნიერებაც, დიდი ხანია, უკვე სულს ღაფავენ, სულს ღაფავს იმედიც სიცრუის მყარი ჭაობის ამოშრობისა. ჭაობი დარჩა. უთვალავმა უწმინდურმა ჩაიბუდა მასში.

ბოლშევიკების გაკაპასებით მლანძღველებში თანდათან შევიცანით ბოლშევიკთავე ღვიძლ ნაშიერთა ნაკვთები. და გაჩნდა ფიქრი, ნუთუ კვლავ?..

მაგრამ არა! ძველი ბოლშევიკებისგან განსხვავებით, მათს დღევანდელ სისხლთა და ხორცთ არ შეუძლიათ რეპრესიების გაჩაღება. უბრალოდ, უნარი არ შესწევთ. ბოლშევიკებს ჰქონდათ რწმენა, ცოდნა, ჭკუა, სულის სიმტკიცე. ამათ არც ცოდნა აქვთ, არც ჭკუა ჰყოფნით, არც რწმენა, არც სულიერი ძალა...

ბოლშევიკები იყვნენ განათლებულნი, მგზნებარე პოლემისტები, პუბლიცისტები, მწერლები. ამათ განუკურნელი თეორიული სიბერწე სჭირთ.

ბოლშევიკებმა სახალხო ტერორი ხალხისავე ნებაზე დაამყარეს, რადგან უდიდესი ავტორიტეტი, ნდობა ჰქონდათ დამსახურებული თავიანთი ასკეტიზმით, შინაგანი ძლიერებით, ჯოჯოხეთური ენერგიით, თავზეხელაღებული გამბედაობით... მათი ბადიში ლიბერალები კი დიდმაც, პატარამაც პოლიტიკაში ფეხისადგმისთანავე შეიცნო: ქურდბაცაცები, მუცელღმერთები, მცონარენი, გულნამცეცანი...

არის, ცხადია, მსგავსებაც ბოლშევიკებსა და ლიბერალებს შორის.

ბოლშევიკი ამბობდა: "*ვინც მე არ მეთანხმება, არის ანტიმარქსისტი!*" ლიბერალ-დემოკრატი ამბობს: "*ვინც მე არ მეთანხმება, არის ანტიდემოკრატი!*" და, უკანასკნელის აზრით, ანტიდემოკრატი ზუსტად იმას იმსა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხურებს, რასაც, ბოლშევიკის აზრით, ანტიმარქსისტი იმსახურებდა. ოღონდ ძალა მხოლოდ იმისთვის ჰყოფნით ჩვენს ლიბერალ-დემოკრატებს, რომ დემაგოგიური პათოსით და ბოლშევიკური ყაიდის იარაღებით თავიანთი ოპონენტები დააფრთხონ (ყველა არა, მაგრამ დიდი უმრავლესობა), არც ძალა ჰყოფნით იმისთვის, რომ აზრი მოგუდონ და სიცრუის მყრალი ატმოსფერო შეინარჩუნონ.

...ნუთუ, მართლაცდა, არ თქმულა სინამდვილე იმაზე, რაც საბჭოთა სინამდვილის სახელით შევიდა ისტორიაში? ამაზე ბევრი მიფიქრია. ზოგჯერ ძილიც გამტეხია, რადგან არ მეშინია ტრივიალობისა - სიმართლეა ყველაზე მთავარი! მხოლოდ სიმართლემ შეიძლება გადაგვარჩინოს!

გასულ ზაფხულს ჩემს არქივში დავიწყე ქექვა. შენახული მაქვს პერესტროიკის ხანის ყველა პუბლიკაცია, რომელიც ოდნავ მაინც მომწონებია ან არ მომწონებია. ვინახავდი ყველა ასე თუ ისე დასამახსოვრებელ პუბლიკაციას. ყველაფერს, სრულიად არაფრისმთქმელ ნაწერთა გარდა. თითქმის მთელი ზაფხული შევალიე მათ თვალიერებას და კვლავ დავრწმუნდი, რომ სიმართლე საბჭოთა ეპოქაზე - თუნდაც მიახლოებული სიმართლე - არ თქმულა! მინდა, სწორად გამიგოს მკითხველმა. იმას კი არ ვჩივი, რომ შექსპირი არ დაიბადა (თუმცა ჟამის სიავემ წარმოშვა შექსპირისეული თემები). მე იმის თქმა მსურს, რომ პუბლიცისტიკის მჭლე ენითაც კი არ მისცემია მისაღები შეფასება დროებას. რაც შეეხება საქართველოს თავგადასავალსა და ბედს მეოცე საუკუნის მანძილზე, პერესტროიკის პუბლიკაციებში იგი მთლად უკუღმართადაა აღწერილი.

ბოლო თითქმის ოცი წლის წინანდელი, დაწუნებული ჩანაწერების სქელი დასტაც ავიღე ხელში და შუიდან დავიწყე კითხვა. ნაწერში ბევრი რამ მქონდა ჩანიშნული. პირველყოვლისა, მთხრობელის დასკვნები, მისი შეხედულებები პოლიტიკურ პროცესებზე. თუმცა ბევრი რამ დეტალურადაც ჩამიწერია. მოსმენილის კოლორიტის შენარჩუნებაც კი მიცდია. თავიდან ალაგ-ალაგ ვკითხულობდი, აქა-იქ რამდენიმე ფურცელს ვტოვებდი. მაგრამ თანდათან შევამცირე გამოტოვების ინტერვალი. მერე ნელ-ნელა უკან დავბრუნდი, დასაწყისისკენ. გამოტოვებულ ადგილებს ჩავხედე, ბოლოს გადავწყვიტე თავიდან, პირველი გვერდიდან დამეწყო და მთელი ტექსტი წამეკითხა. შუაღამე უკვე დიდი ხნის გადასული იყო. აზრი აღარ ჰქონდა გადაღლილი გონებით კითხვას. ჩანაწერებს თავი ვანებე, მაგრამ მაინც დილამდე არ ჩამეძინა. არაჩვეულებრივად ძლიერი შთაბეჭდილების ტყვე ვიყავი. ვტრიალებდი ლოგინში და ვფიქრობდი, რომ ჩემს საწერ მაგიდაზე დევს უკვე გაყვითლებული ფურცლების დასტა, რომლებზეც წერია სიმართლე. თუმცა იქნებ, კვლავ ვცდები? - ეს ფიქრიც გამიელვებდა ხანდახან. აკი განვიცადე ერთხელ უკვე ჯერ აღფრთოვანება მატარებელში მოსმენილით, მერე კი სრულიად საპირისპირო გრძნობა. მეორე დღეს დიდი დაკვირვებით დავიწყე კითხვა და, როცა დავამთავრე, გადავწყვიტე, გადამემუშავებინა ტექსტი, გამოსაქვეყნებლად მომემზადებინა. ეს გავაკეთე კიდეც არცთუ ხანმოკლე და იოლი შრომის ფასად.

მინდა, მკითხველს შევთავაზო ეს ტექსტი. არ ვიცი, დაეთანხმება თუ არა იგი ჩემი თანამოსაუბრის მოსაზრებებს, ოციან-ოთხმოციანი წლების პროცესთა მისეულ ანალიზს. პირადად მე ხელახლა კიდევ ერთხელ რომ გადავიკითხე ჩანაწერები, ბევრი ველარაფერი ვნახე მათში აღსაფრთოვანებელი. სახელოვანი თანამოსაუბრის დასკვნები კვლავ ძალიან საკამათო მეჩვენა. მაგრამ უდავოა ერთი: ახლო წარსულის მისეული შეფასება სრულიად ორიგინალურია. თუმცა ძალიან ბევრი თქმულა და დაწერილა იმ ეპოქაზე, ამგვარი შეფასება არავისგან მსმენია, არც წამიკითხავს. თუნდაც ამიტომ იმსახურებს ეს ტექსტი გამოქვეყნებას.

კიდევ ერთი განმარტება: ჩემმა თანამოსაუბრემ, რაკი შემატყო მონათხრობით აღფრთოვანება, მთხოვა, რომ თუ მე, პროფესიით ლიტერატორი, როდისმე გადავწყვეტდი მოსმენილის გამოქვეყნებას, არ გამემხილა მისი ვინაობა. ცხადია, ვასრულებ ამ სურვილს. ვცვლი მის, აგრეთვე, მის მიერ ნახსენები ადამიანების გვარ-სახელებს. გამონაკლისია მხოლოდ ერთი ადამიანი, მთხრობელის მეგობარი. მისი გვარის შეცვლა არ ხერხდება, რადგან იგი ამ სტრიქონების ავტორის მოგვარეა და ჩვენმა მოგვარეობამ, როგორც ტექსტიდან დაინახავს მკითხველი, არსებითი მნიშვნელობა იქონია ჩემსა და მატარებელში გაცნობილი კაცის ურთიერთობაში.

ეს და, აგრეთვე ზოგიერთი სხვა გარემოება, ალბათ, შეუძლებელს გახდის ჩემი თანამგზავრის ვინაობის აბსოლუტურად საიმედოდ გასაიდუმლოებას; შესაძლოა, გამოჩნდნენ ადამიანები, რომლებიც იცნობენ მას. თუ თხოვნის ჯეროვნად შესრულება ვერ მოვახერხე, ბოდიშს ვიხდი.

●

ათას ცხრაას ოთხმოცდამეოთხე წელს მოსკოვში მატარებლით იმიტომ გავემგზავრე, რომ დიდძალი არაყი და კონიაკი მიმქონდა იქაური მეგობრებისთვის. როცა მძიმე ტვირთი კუპეში შევათრიე, ჩემი თანამგზავრი კარგახნის მოსული დამხვდა. მას უკვე მოესწრო დაბინავება. ტანსაცმელიც გამოეცვალა და დერეფანში იდგა სარკმელთან. ჩემი მოსვლა ვერ თუ არ შენიშნა, როცა ჩვენს ორადგილიან კუპეს თვალი მოვავლე. იმწამს გავიფიქრე, ეს კაცი უცოლშვილო იქნება-მეთქი. კუპეში სუფევდა ისეთი სიმყუდროვე, როგორიც მხოლოდ ბერბიჭებს შეაქვთ ოთხ კედელში, თუმცა კონკრეტულად ვერც ავხსნი, რით აღწევენ ამგვარ სიმყუდროვეს. ჩემი მეზობლის ბარგი ჩვეულებრივად იდგა - ჩემოდანი საწოლის ქვეშ, ფეხსაცმელები იქვე, ჩემოდანთან, შარვალი საწოლზე იყო დაკეცილი, ხოლო პიჯაკი კედელზე ეკიდა. კუპის სარკმელთან მაგიდაზე სქელი წიგნი დავინახე. წიგნში დაკეცილი სათვალე იდო. ერთმა რამემ გამაკვირვა - კუპეში სპირტიანი სასმელის სუნი იგრძნობოდა. კიდევ ერთხელ მოვავლე თვალი იქაურობას და მაგიდაზე შევნიშნე კონიაკის ღია ბოთლი. ის პირდაპირ მინაზე იყო მიდგმული, მინას კი მზე აცხუნებდა. ამიტომ ვერ შევნიშნე თავიდან. ბოთლთან ჩაის ჭიქაც იდგა. მასში სულ ცოტა კონიაკი იყო ჩარჩენილი. ქართველი კაცისგან, თანაც აშკარად ინტელიგენტისგან, გამიკვირდა მარტო სმა. თანამგზავრისკენ გავიხედე. იგი ისევ სარკმელთან იდგა. შუახნისა ჩანდა, ტანმაღალი და გამხდარი. იდგა როგორღაც უცნაურად. ფეხისწვერებზე აწეულს თავი გარეთ გადაეყო. დაბლა დასჩერებოდა რაღაცას. თითქოს ლიანდაგს ათვალიერებსო.

დროის მოსაკლავად ბაქანზე ნაყიდი გაზეთი გავშალე. რამდენიმე წუთში მატარებელი დაიძრა. სექტემბრის დამდეგი იყო. ღია სარკმლიდან ნიავმა დაუბერა დახუთულ ვაგონში. გაზეთი გადავდე, მივეყრდენი კუპის კედელს და თვალები დავხუჭე. მცხეთას რომ გავცდით, ძილ-ღვიძილში ვიგრძენი, რომ ჩემი მეზობელი კუპის კარს მოადგა. თვალი ოდნავ გავახილე და პირველად დავინახე მისი სახე. გამიხარდა, რომ ბედმა მარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გუნა მგზავრობა მასთან, ვინც თანამედროვეთა შორის ერთ-ერთ ყველაზე ჭკვიან კაცად ითვლებოდა. ცოტა არ იყოს, დაბნეული ჩანდა; არც ჩემს წინგაწვდილ ფეხებზე სურდა გადაბიჯება და გაღვიძებაც ერიდებოდა. სწრაფად მოვხარე ფეხები. მან მომიბოდიშა, მომესალმა, ჩამოჯდა მაგიდასთან და წიგნი გადაშალა, თუმცა მომეჩვენა, რომ კითხვას გულს ვერ უდებდა. რამდენიმე წუთის შემდეგ, წიგნი ხმაურით დახურა, დადო მაგიდაზე და მომმართა:

- მოსკოვამდე მიდიხართ?

- დიახ.

- სასიამოვნო. მეც ბოლომდე მივდივარ. ეს იგი თითქმის ორი დღეღამე უნდა ვიყოთ ერთად. მე გახლავართ არჩილ ... ღიმილით ვაგრძნობინე, რომ ვიცნობდი. ამიტომ გვარი აღარ უთქვამს.

მეც ვუთხარი ჩემი გვარ-სახელი.

- რა გვარი ხართ? - მკითხა განცვიფრებით, თითქოს იტალიური ან იაპონური გვარი გაეგონოს ჩემგან და არა სრულიად ჩვეულებრივი ქართული. მე გავუმეორე. მომეჩვენა, რომ ჩემი გვარის ხელმეორედ გაგონებაზე შეკრთა კიდეც. რამდენიმე წამს თითქმის გაოგნებული ჩანდა. შემდეგ თქვა:

- მირიანაშვილი... მირიანაშვილი... საოცარია!

- რა არის საოცარი?! - ახლა უკვე მე ვეღარ დავმალე განცვიფრება. მაგრამ, მგონი, არც გაუგონია ჩემი სიტყვები. კონიაკის ბოთლს მიშტერებოდა. ხელახლა რომ ვკითხე, მერეღა მომაპყრო ყურადღება.

- მაპატიეთ, მაპატიეთ, - უხერხულობა ვიგრძენი მის ხმაში. - იცით, ჩემი საუკეთესო მეგობარი... - რამდენიმე წამით კვლავ კონიაკის ბოთლს მიაშტერდა. - ჩემი ერთადერთი მეგობარი იყო მირიანაშვილი. ბოლო სამი დღე მის საფლავზე დავდიოდი... ვესაუბრებოდი... სამი დღის წინ დავბრუნდი თბილისში. მრავალი წელი ვიცხოვრე სხვაგან... საფლავზე დიდხანს ვრჩებოდი. მეჩვენებოდა, რომ იგი მისმენდა...

დუმილი ჩამოვარდა. მე ვკითხე:

- ბატონო არჩილ, რა ერქვა თქვენს მეგობარს?

მცირე დუმილის შემდეგ მიპასუხა, იფიქრებდი, სახელი ერთბაშად ვერ გაიხსენაო.

- სოლიკო.

- არ ვიცნობდი, - ვთქვი მე.

- რა თქმა უნდა, - გაიღიმა ბატონმა არჩილმა, - ის რომ გარდაიცვალა, თქვენ დაბადებულიც არ იქნებოდით.

ერთხანს კვლავ დუმდა, მერე თქვა:

- ეს სამი დღე, თბილისში გატარებული, ერთ-ერთი ყველაზე მძიმე პერიოდია ჩემი ცხოვრებისა. ამიტომ მომენატრა მეგობარი, თუმცა აქამდეც არ ყოფილა დღე, რომ იგი არ გამხსენებოდეს... ბოლოს სოლიკო უკვე არამხოლოდ მისმენდა, მელაპარაკებოდა კიდეც. მირჩევდა, მითანაგრძნობდა...

ბატონი არჩილი საუბრისას თითქმის არ მიყურებდა. მისჩერებოდა ხან კონიაკის ბოთლს, ხან რაღაცას მაღლას. მერე ერთბაშად მომიბრუნდა.

- არა, ჰალუცინაციები არ დამწყებია, - მითხრა ღიმილით, - თუმცა ახლახანს, ბაქანზე რომ მოვდიოდი, მე თვითონ შემეშინდა ამისა. წარმოიდგინეთ, ბაქანზე შემხვდა... ჩემკენ მოდიოდა ადამიანი, რომელიც საოცრად ჰგავდა სოლიკოს. ალბათ, ისეთი თვალებით შევხედე იმ ახალგაზრდას - სოლიკოც ხომ სრულიად ახალგაზრდა წავიდა, ოცდასამი წლისა - ალბათ, ისე შევხედე, რომ შორიდან ამიარა გვერდი...

და, აი, შემოვდივარ კუპეში, მხვდება სოლიკოს მოგვარე...

დერეფანში რაღაცამ გაიჭრიალა. გამოჩნდა ურიკა, რომლითაც ვაგონ-რესტორნიდან საჭმელს დაატარებდნენ. თეთრხალათიანმა შუახნის რუსმა ჩვენს კუპეში შემოყო თავი და კი არ შემოგვთავაზა, იყიდეთ რამეო, შეგვეხვეწა. ბატონი არჩილი თავისქნევით დაეთანხმა, თუმცა, მგონი, არც კი ჰქონდა გარკვეული, რის ყიდვას სთხოვდნენ.

- სოსისს მიირთმევთ? - ჰკითხა რუსმა.

ბატონმა არჩილმა ისევ თავი დაიქნია. გამყიდველმა რამდენიმე ცალი მუყაოს თეფშით დადო მაგიდაზე და კვლავ ბატონ არჩილს მიმართა:

- ძეხვიც ხომ არ გნებავთ?

ჩემი თანამგზავრი ამაზეც დაეთანხმა, მიუხედავად იმისა, რომ ეჭვიც არ მეპარებოდა, არაფრისთვის პირის დამკარებელი არ იყო. შემდეგ ჩვენს მაგიდაზე თანდათან გაჩნდა კვერცხი, ყველი, ორი თუ სამი სახის თევზი.

სამოცდაათიან და ოთხმოციან წლებში რამდენჯერმე მომიხდა მოსკოვის მატარებლით მგზავრობა და არ მახსოვს შემთხვევა, რომ ეს რუსი არ შემხვედროდეს. მას ჰქონდა ძალიან დასამახსოვრებელი სახე; სწორედ ისეთ, თვითონ რუსები рязанская морда-ს რომ ეძახიან. მაგრამ ამ ტიპის სახეს, ჩვეულებრივ, პირქუში და მრისხანე გამომეტყველება აქვს, როგორც, მაგალითად, მარშალი ჟუკოვის სახეს. ჩვენ გამყიდველს კი პირზე სულ მორცხვი, მოკრძალებული ღიმილი ეფინა. იგი ლაპარაკობდა ძალიან წვრილი, თითქმის ქალური ხმით და მუდამ ბავშვურად იხვეწებოდა, იყიდეთ რამეო.

მაგიდაზე უკვე ადგილი აღარ იყო, მაგრამ გამყიდველს არ უნდოდა იდეალური მუშტრის ხელიდან გაშვება:

- ცხელი კერძებიც გვაქვს. ნამდვილი რუსული ბორში არაჟნით...

ბატონი არჩილი ამაზეც თანახმა იყო, მაგრამ მაგიდაზე ბორშის მათლაფისთვის ადგილი ვერ გამოინახა. სამაგიეროდ, გამყიდველმა არაჟნის ქილა დადგა.

- არაჟანი ძალიან სასარგებლოა, - ტკბილი, ალერსიანი ღიმილით აუხსნა მან მუშტარს. ეს უკანასკნელი, რა თქმა უნდა, ამაზეც დაეთანხმა. ამის შემდეგ გამყიდველმა უკვე პრასტაკვაშის, მისივე განმარტებით, რუსული მაწვნის - სასარგებლობაზე დაიწყო ლაპარაკი, მაგრამ ბატონ არჩილს ერთბაშად მობეზრდა მისი სმენა, პრასტაკვაშის ქილაც დაატოვებინა, კამფეტებზე კი უარი უთხრა, გაუწოდა ფული და ხელით ანიშნა, ხურდა საჭირო არ არის, დაგვტოვეო. არ დამინახავს, რამდენი გადაუხადა, მაგრამ გამყიდველის გაბრწყინებული თვალებით და უთვალავი მადლობით თუ ვიმსჯელებთ, ბევრად ზედმეტი მისცა. ბატონმა არჩილმა გაუმეორა, აღარ არის საჭირო ამდენი მადლობაო და გამყიდველი გაქრა. შემდეგ მე მომმართა:

- მოდით, მომეხმარეთ, თემო, თორემ მე ამდენ საკვებს ვერ მოვერევი. - თან ჩაის ჭიქაში კონიაკი ჩაასხა. ეს კაცი ბოთლით ხელში ისე ჩანდა, როგორც საჯარო ბიბლიოთეკის მერხზე წიგნებში ჩაფლული სახეშეშუპებული, ცხვირწითელა "პიანიცა". თანამგზავრმა თხოვნა გამიმეორა და თავაზიანი ჟესტით მიმითითა მაგიდასთან თავის პირდაპირ. მე მივიწიე. ბატონმა არჩილმა მოძებნა მეორე ჭიქა, წინ დამიდგა და კონიაკი ჩამოასხა.

- თუ საიდუმლო არ არის, მოსკოვში რა საქმეზე მიდიხართ? - მკითხა მან.

ვუთხარი, რომ მივლინება მქონდა მსოფლიო ლიტერატურის ინსტიტუტში.

- ლიტერატორი ხართ?

- დიახ, - ვუპასუხე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მან თავი გააქნია:

- საწყალი სოლიკოც ლიტერატორი იყო. ძალიან ნიჭიერი ლიტერატორი! საოცრად საინტერესო გეგმები ჰქონდა. ხშირად მიყვებოდა ხოლმე... - კვლავ მწარედ გააქნია თავი. - მოდით, ერთ სადღეგრძელოს ვიტყვი, მოსკოვში სადღეგრძელოები, ცოტა არ იყოს, დამავიწყდა და მათი თანმიმდევრობაც. - მომეჩვენა, რომ ახლა ფიქრობდა, რა ეთქვა, თუმცა ქართულ სუფრაზე პირველ სადღეგრძელოს რა მოფიქრება უნდა.

- მოგონებებს გაუმარჯოს! - თქვა და კვლავ მოიბოდიშა ქართული სუფრის წესის დარღვევისთვის. - ბოლო დღეებში, არ დაიჯერებთ, ჩემი ცხოვრების აბსოლუტურად ყველა დღე გავიხსენე, მოყოლებული იმ პირველი დღიდან, რომელიც მეხსიერებაში ჩამრჩა. დაუჯერებელია, მაგრამ საოცრად მკაფიოდ მაქვს აღბეჭდილი პირველი მოგონება. ჩემი ბავშვობის ხსოვნა სამ ფერადაა გაფერადებული - ხასხასა მწვანედ, ლაჟვარდოვან ლურჯად და კაშკაშა ოქროსფრად. იმიტომ, რომ მე მეგრულ სოფელში დავიბადე. - თვალი სარკმელს ისე მიაპყრო, თითქოს სარკმელში მისი სოფელი ჩანდა, - იცით, თემო, რას ნიშნავს მეგრულ სოფელში დაბადება! იქ ყველა ეზოში მწვანე მოლია. არსად მინახავს ასეთი მწვანე მოლი, არც იმგვარი ლურჯი ცა და ოქროსფერი მზე. ამიტომ აფერადებენ ეს ფერები ჩემს მოგონებებს. - ჭიქა გამოცალა.

მეც ავწიე ჭიქა, მაგრამ გამაწყვეტინა: - ბოდიში... ქართული ნათქვამია, კაცი სადაც დაბადებულა და გაზრდილა, იმისი ბალდადი იქ არისო... გისმენთ, თემო.

სადღეგრძელო ვთქვი და დავლიე. მან კვლავ დაასხა.

- ბატონო არჩილ, უბრალო მოკვდავთათვის ერთი ყველაზე დიდი სიამოვნება ამქვეყნად არის გამოჩენილ თანამედროვეთა მოსმენა, მათი ცხოვრების დეტალების გაგება...

ეს იმიტომ ვთქვი, რომ მას თავისი გულისტკივილის გამოთქმა, რაც, აშკარად ეტყობოდა, ძალიან სურდა, გაადვილებოდა. ის კვლავ სარკმელში იცქირებოდა.

- ჩვენს მშობლებს გაუმარჯოს! - ქართული სუფრის წესი გაიხსენა. - ჩემები, უკვე დიდი ხანია, წავიდნენ. თქვენ, ალბათ, გყავთ? - ვუთხარი, რომ დედაჩემიც წასულია. მისი შესანდობარი თქვა და დალია. მეც დავლიე.

- თქვენს მშობლებზე მიამბეთ, ბატონო არჩილ.

- მამაჩემი იმ დროისთვის ძალიან განათლებული კაცი იყო. ჯერ იურიევის, ანუ ტარტუს, შემდეგ კიონიგსბერგის უნივერსიტეტში ნასწავლი სამშაო ინჟინერი; პირველი ცოლი პეტერბურგში შეირთო. პირველი მსოფლიო ომის დაწყებისთანავე ფრონტზე გაიწვიეს. ერთი წლის შემდეგ დაიჭრა, ცალი თვალი დაკარგა და პეტერბურგში დაბრუნდა. შვილი გარდაცვლილი დახვდა, ცოლი კი, ზუსტად არ ვიცი, მგონი, გათხოვილი თუ რაღაც ამდაგვარი. ამის შემდეგ საქართველოში დაბრუნდა, სოფელში დასახლდა, მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი, აღარასოდეს დაქორწინებულიყო. მამას სამი უფროსი და ჰყავდა. დები ემუდარებოდნენ, ცოლი შეირთეო, მაგრამ გაგონებაც არ სურდა. უბრალო გლეხის ცხოვრებით ცხოვრობდა. დედაჩემიც ჩვენს სოფელში იყო დაბადებული, მაგრამ მშობლები ძალიან ადრე დაეხოცა და დეიდამ გუდაუთაში წაიყვანა. დედაჩემი დედით აფხაზი იყო. ჩვენი სოფელი აფხაზეთშია, სოხუმთან. მამა დედაზე ცხრამეტი წლით უფროსი იყო, მაგრამ ერთი ნახვით შეუყვარდათ ერთმანეთი და გატეხა ფიცი მამაჩემმა, ხელმეორედ შეირთო ცოლი. მაშინ იგი ოცდაჩვიდმეტის იყო, დედა თვრამეტის. ღმერთმა შვილი არ მისცათ დიდხანს და მათ ოდა-სახლში ბედნიერების დღეების შემდეგ ცივმა მდუმარებამ დაისადგურა. მხოლოდ ქორწინების თერთმეტი წლისთავზე, როცა შვილის ყოლის იმედი გადაწურული ჰქონდათ, მოულოდნელად დავიბადეთ მე და ჩემი ტყუპისცალი და - თინათინი.

ბატონი არჩილი კონიაკის ბოთლს მისწვდა, მაგრამ მე ვთხოვე, არ გვინდა ასეთი ტემპი-მეთქი. მან ბოთლს ხელი გაუშვა. ჩამოვარდნილი დუმილი მე დავარღვიე.

- თქვენ თქვით, რომ მკაფიოდ გიდგათ თვალწინ თქვენი ყველაზე ადრეული მოგონება. მართლაცდა დაუჯერებელია. პირადად ჩემთვის პირველი მოგონებები ბურუსშია...

- მე კი ძალიან კარგად მახსოვს, მანამდე ყველაფერს თითქმის სრული უკუნეთი ფარავს.. ის დღე კი სწორედ რომ დღესავით მახსოვს, - თქვა მან. - გაწვიმდა. ჩვენი ოდის ყავარზე აკაკუნებდა წვიმა. ქარი ზუზუნებს. საღამოს მამა დაბრუნდა, კარში შემოსვლამდე აივანზე ბერტყავს მოსასხამს. შემდეგ ბუხართან თბება. მე და თინიკო ტახტზე ვთამაშობთ. შემდეგ მამა უკვე მაგიდასთან ზის და დიდ წიგნს გვიკითხავს მე და თინიკოს. მამა გვეუბნება, რომ ეს არის ყველაზე კარგი წიგნი. ჩვენ არაფერი გვესმის, რადგან ქართული ჯერ არ ვიცით. მამიდა ეუბნება მამას (ერთი მამიდა გაუთხოვარი იყო და ჩვენთან ცხოვრობდა): - ეგ ძველი ენა მეც ძლივს მესმის და ბავშვები რას გაუგებენო. მამა კვლავ კითხულობს. ხანდახან წყვეტს კითხვას და გვითარგმნის. მე წაკითხული უფრო მომწონს, ვიდრე თარგმნილი. თინიკოს თვალები ეხუჭება და თავს მუთაქაზე დებს. ქართულ სიტყვებს ჰგავს ყავარზე წვიმის წვეთების კაკუნი. აფხაზური კი სხვანაირია. ჩვენს სოფელში აფხაზების რამდენიმე ოჯახი ცხოვრობდა. დედის ნათესავებისგანაც გამეგონა აფხაზური, როცა ისინი გუდაუთიდან ჩამოდიოდნენ. იმათი ენა ქარივით სტვენს და ფშვინავს. ქართული კი კაკუნობს. მე და თინიკოს დედა ნაქსოვ საბანს გვაფარებს. თინიკო კისერში მასუნთქავს. მამა კვლავ კითხულობს. თვალები მეხუჭება. ვხედავ "ვეფხისტყაოსნის" გმირებს ძალიან - ლამაზ ქალებს და ძალიან ღონიერ კაცებს, რომლებიც ხმლებს იქნევენ. მამა წყვეტს კითხვას. მე ვტირი და ვითხოვ, განაგრძოს. დედა ძალით მაწვენს ლოგინში. მე კვლავ ვტირი. მამა ლოყაზე მკოცნის, მეუბნება, რომ ხვალ აუცილებლად წამიკითხავს და მე ვიძინებ.

●

თავდაპირველად დარწმუნებული ვიყავი, რომ ბატონ არჩილს თავისი თავგადასავალი სურდა მოეთხრო. მაგრამ მისი მონათხრობის სმენის კვალობაზე, ცოტა ხანში აზრი შემეცვალა. მომეჩვენა, რომ მთავარი, რისი თქმაც სურდა, პოლიტიკასთან იყო დაკავშირებული. ამ თემაზე მსჯელობისას განსაკუთრებით დაეტყობოდა ხოლმე აღელვება. ორ-სამჯერ მუშტიც შემართა მაგიდაზე დასარტყმელად, მაგრამ ნელა დაუშვა და უხმოდ დადო. ეპაექრებოდა საბჭოთა ათწლეულების პოლიტიკურ პროცესთა შესახებ იმჟამად გაბატონებულ აზრს. მაგრამ დღეს, ორი ათწლეულიის შემდეგ გაბატონებულ აზრს უფრო მწვავედაც შეეპაექრებოდა, პერესტროიკის დამდეგს მისი აზრები, როგორც უკვე ვთქვი, მეტისმეტად მტკნარი და რეტროგრადულიც მეჩვენა. ორი ათწლეულის შემდეგ კი სწორედ იმიტომ მოვკიდე კალამს ხელი, რომ ეს აზრები გამეცნო საზოგადოებისთვის. თუმცა თავიდანვე მესმოდა, რომ შეუძლებელი იქნებოდა მათი სრულიად მოწყვეტა ბატონ არჩილის მიერვე მოთხრობილი ყოფითი ისტორიებისგან. მაგალითად, მისი განსჯა ოცდამეჩვიდმეტე წლისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და, საერთოდ, ოცდაათიანი წლების პროცესებზე ძალიან ბევრს დაკარგავს, თუ არ მოვყვები თვითონ მთხრობელს როგორ დაამახსოვრდა ოცდამეჩვიდმეტე. როგორ აღიბეჭდა ის ჯოჯოხეთი ათი წლის ბიჭუნას მეხსიერებაში. ჩანაწერებზე მუშაობის პროცესში ერთხანს ვფიქრობდი, მაქსიმალურად შემეკუმშა ყოფითი ამბები. მაგრამ ვიგრძენი, რომ ეს ხელს შემიშლიდა მატარებელში მოსმენილის არსის სრულფასოვნად გადმოცემაში. ვიფიქრე ისიც, რომ ზოგი ამბავი სრული სახით შემენარჩუნებინა, ზოგი კი შემეკუმშა ანდა გამომეტოვებინა, მაგრამ, ბოლოსდაბოლოს, გადავწყვიტე, მომეთხრო ყოველივე ისე, როგორც მოვისმინე და ჩანაწერებში დავაფიქსირე. ეს ძალიან გაზრდის ტექსტს. სამაგიეროდ, ვიმედოვნებ, შეიქმნება ხუთი-ექვსი საბჭოური ათწლეულის ნამდვილი ქრონიკა.

ბატონმა არჩილმა ჭიქებში ცოტა-ცოტა კონიაკი ჩაასხა და თქვა, რომ წასული მშობლების ხსენების შემდეგ სურდა ეხსენებინა ყველა, ვისაც ჩვენი ხელიდან შენდობა ეკუთვნის. მეც ვთქვი შესანდობარი და ორივემ დავლიეთ.

- საოცარია ჩემი თაობის ბედი! - თქვა მან. - ჩვენ განვიცადეთ ისტორიაში ყველაზე სისხლიანი ომი. ჩვენ განვიცადეთ ისტორიაში ყველაზე სისხლიანი.... ერთ-ერთი ყველაზე სისხლიანი რეპრესიები. მე კი ძალიან კარგად მახსოვს, თუმცა, ალბათ, ესეც დაუჯერებელია, პირველად რომ შევიგრძენი სიკვდილი. ჩემს მიერ სიკვდილის პირველად გაცნობიერება მახსოვს.

ჩემმა თანამგზავრმა კვლავ ბოთლისკენ წაიღო ხელი, მაგრამ, ალბათ, გაახსენდა, რომ სულ ახლახანს დალია, ბოთლის ნაცვლად ძეხვის ნაჭერი აიღო, ისე შეათვალიერა, იფიქრებდი, არ ესმის, რა უჭირავსო.

- სოფელში ჩვენი სახლის გვერდით ივლიტას სახლი იდგა. ივლიტა შესანიშნავი გოგო იყო. ძალიან ლამაზი, ბეჯითი მოსწავლე, საკოლმეურნეო შრომაშიც თავი ჰქონდა გამოჩენილი. მე რომ პირველ კლასში შემიყვანეს, ივლიტა უკვე ამთავრებდა სკოლას, მახსოვს, ერთ დღეს ჩემზე ორი-სამი წლით უფროს ბავშვს პიონერთა რიგებში იღებდნენ. ბავშვები გამწკრივებულნი იყვნენ. ივლიტა რიგრიგობით მიდიოდა ხან ერთთან, ხან მეორესთან, უკეთებდა ალისფერ ყელსახვევს, ადებინებდა პიონერის ფიცს და შუბლთან ხელის აწევით პიონერულად ესალმებოდა. მე საკლასო ოთახიდან ვიყურებოდი სარკმლის მინაზე ცხვირმიჭერილი. ყელსახვევი ივლიტასაც ეკეთა. მე ეს გამიკვირდა, რადგან მისი ტოლები უკვე აღარ იყვნენ პიონერები. ძალიან მინდოდა მეც ვმდგარიყავი იმ ბავშვებთან და ჩემთვისაც გაეკეთებინათ ალისფერი ყელსახვევი, დამედო პიონერის ფიცი...

ბატონმა არჩილმა სიცილით მითხრა:

- ხომ არ გახსოვთ პიონერის ფიცის ტექსტი?

დავფიქრდი, მაგრამ ველარ გავიხსენე.

- ზუსტად ვერ ვიხსენებ. ისე კი მასში ლაპარაკია მზადყოფნაზე... - ვთქვი მე.

- ჰო, მზადყოფნაზე, რომ დავიცავ მუშათა და გლეხთა პირველ სახელმწიფოს, პროლეტარიატის დიად საქმეს... საკლასო ოთახის სარკმელთან მდგომს, მინაზე ცხვირმიჭყლეტილს გული კი მწყდებოდა, რომ მე არ ვხდებოდი პიონერი, მაგრამ თან ივლიტას კარის მეზობლობა მეიმედებოდა; პიონერულ ასაკს ძალიან დიდი დრო მაშორებდა, ორი თუ სამი წელი და ვიმედოვნებდი, იქნებ, ივლიტა დამეხმაროს ცოტა ადრე გაპიონერებაში-მეთქი, ვიცოდი, რომ მამაჩემი კულაკად არ ითვლებოდა. მაშ, რატომ ვერ უნდა დამხმარებოდა ივლიტა?

ივლიტას ოჯახი მხოლოდ ქალებისგან შედგებოდა, დედამისის და ორი შინაბერა დეიდისგან. მათგან ყველაზე კოლორიტული იყო უფროსი დეიდა, ძალიან მაღალი და ძალიან გამხდარი ქალი. სიტყვაძუნწი და მკაცრი გამომეტყველების მქონე. პატარობაში სულ ამ ქალით გვაშინებდნენ მე და თინიკოს. ივლიტას დედა, ნაბოლარა დებს შორის, საპირისპირო ტიპი იყო - დაბალი ტანის და ჩამრგვალებული მუდამ გულკეთილად იღიმებოდა, წამდაუწუმ ცრემლები ადგებოდა თვალებზე. შუათანა და თითქმის არ დამამახსოვრდა. ალბათ, ჩვეულებრივი გარეგნობა და ხასიათი ჰქონდა. ივლიტას დედა ძალიან ადრე დაქვრივებულა. მგონი, შვილის შეძენამდე. ამის შემდეგ დაბრუნებულა მამისეულ ოჯახში დებთან. სამივეს ივლიტაზე ამოსდიოდათ მზე და მთავრე. ერთხელ სოხუმის გაზეთმა ივლიტას სურათი დაბეჭდა ჩალის ქუდი ეხურა და ჩაის კრეფდა. დეიდებმა და დედამ მთელს სოფელში შემოატარეს ეს გაზეთი. ქაღალდი რომ დაიჭმუჭნა და გაიცრიცა, მამაჩემს სთხოვეს, შენ ხშირად დადიხარ სოხუმში და როცა იქნები ამ გაზეთის ყიდვა არ დაგავიწყდესო. ეს თხოვნა დედაჩემის პირით შემოუთვალეს. მამას ხმამაღლა გაეცინა, სადღა იქნება ორი კვირის წინანდელი გაზეთიო! ივლიტას დედას და დეიდებს სხვა რა გზა ჰქონდათ, ძველი გაზეთიდან ამოჭრეს ფოტო, ფრთხილად გაასწორეს, მინიან ჩარჩოში ჩასვეს და კედელზე დაკიდეს.

ერთხელ ზაფხულის დახუთულ ღამით ხმამაღალმა ლაპარაკმა გამომაღვიძა. ჩემი მშობლები ფეხზე იდგნენ და ივლიტას უმცროს დეიდას ელაპარაკებოდნენ. მას ხელში ჭრაქი ეჭირა, თითქმის ტირილით ეუბნებოდა დედას, ივლიტა ძალიან ცუდად არიოს. დედამ ექთნობა იცოდა, თუმცა როცა მე ან ჩემი და ვხდებოდით ავად, ნემსს ვერ გვიკეთებდა, - ჩემი შვილებისთვის გაკეთება არ შემიძლიაო. ამიტომ ივლიტას ეძახდა. მე დედა და მამიდა მაკავებდნენ. მამა გარეთ გადიოდა, ჩემი ღრიალის გაძლება არ შეეძლო. ივლიტა კი მეუბნებოდა, - სულ არ გეტკინება, ცოტას გაუძელი, ვაჟკაცი არ ხარო! და, მართლაც, ოდნავ ვგრძნობდი ხოლმე ტკივილს.

დედამ კომოდიდან საექიმო ნივთები გამოიღო, მამას უთხრა, შენ დარჩი, ბავშვებს თუ გაეღვიძათ, შეშინდებიანო და სირბილით გაიჭრა კარში. მამამ ჭრაქი აანთო. ელექტროშუქი უკვე შემოყვანილი იყო ჩვენს სოფელში. მაგრამ მამას ჩვენი გაღვიძება არ უნდოდა. იგი ოთახში ნერვულად სცემდა ბოლთას. დროდადრო აივანზე გადიოდა. ივლიტას სახლიდან მოსულ ხმებს აყურებდა. მე ვფიქრობდი: "ნუთუ შეიძლება ივლიტა მოკვდეს, როგორც მამიდა მოკვდა შარშან? (ჩემი გაუთხოვარი მამიდა რამდენიმე თვის გარდაცვლილი იყო). არა! მამიდა მოხუცი იყო, ბოლო დროს სულ იწვა და კვნესოდა, ხანდახან ამბობდა, - ღმერთო, წამიყვანე, აღარ შემიძლია ამ წამების ატანაო". ამ აზრმა ცოტა ხნით დამამშვიდა, მაგრამ მაშინვე გადავიფიქრე, რომ ზოგჯერ ახალგაზრდებიც იხოცებოდნენ. გამახსენდა დედაჩემის ნათესავი გუდაუთელი ბიჭი, რომელიც მამიდაზე ცოტა ხნით ადრე გარდაიცვალა. ყელში ბურთი მომაწვა, ნიკაპი ამიკანკალდა. მეცოდებოდა ივლიტა და ნათესავი ბიჭი. თან, ცოდვა გატეხილი ჯობს, იმასაც ვფიქრობდი, ნაადრევად გაპიონერებაში შემეშლება-მეთქი ხელი.

მამამ ღრმად ამოიოხრა, კიდევ ერთხელ გავიდა აივანზე, მაგრამ იმწუთს დაბრუნდა, ჭრაქი ჩააქრო და ტახტზე წამოწვა. ჩამეძინა. გარიჟრაჟზე ისევ ლაპარაკმა გამაღვიძა. დედა მოსულიყო და მამას ეუბნებოდა, ძალიან ცუდადაა ივლიტაო.

- რა სჭირს? - ჰკითხა მამამ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

- მგონი, თვალნაცემიაო, ამბობენ, - უპასუხა დედამ.

საწოლიდან გადმოვძვერი და ჩაუცმელი ტრუსის ამარა გავიქეცი ივლიტას ეზოსკენ. იქ მთელი ჩვენი უბნის ხალხი შეკრებილიყო. ჭასთან კოცონზე ბალახის ფესვებს ხარშავდნენ. მე ვიცოდი, რომ ეს იყო წამალი ივლიტასთვის. ფეხაკრეფით ავედი ოდის კიბეზე, მაგრამ ოთახში არ შემიშვეს და აივნის მოაჯირს მივეყრდენი. ვხედავდი, ივლიტას დედამისთან ერთად დედაჩემიც ადგა თავზე. უფროსების ლაპარაკიდან გავიგე, რომ ავადმყოფი უგონოდ იყო. იგი კვნესოდა, დროდადრო შეჰკივლებდა ხოლმე. მზის პირველმა სხივმა გამოაჰყიტა თუ არა, აივანზე ჩქარი ნაბიჯით ამოვიდა ივლიტას უფროსი დეიდა.

- მივართვი ხატს, - თქვა მან და ავადმყოფთან შევიდა. უკვე ოთახიდან მომესმა მისი ხმა. - მივართვი, შვილო, ხატს შესაწირი. - ივლიტას ეუბნებოდა. ამის შემდეგ ივლიტამ კვნესა და ოხვრა ნელ-ნელა შეწყვიტა. კმაყოფილი დეიდა აივანზე გამოვიდა. ხალხი მას ირგვლივ შემოერტყა. სკამი მოართვეს და მან აშკარად დამშვიდებული გამომეტყველებით დაიწყო მოყოლა, როგორ ავიდა საყდარში უკუნეთ ღამით, როგორ მიართვა ღვთისმშობლის ხატს თაფლი, აბრეშუმი, სამი წლის საჯიშე მამალი. დაჩოქილმა შუმოუარა საყდარს და უშობელიც შეუთქვა, ოღონდ ივლიტა გამოკეთდეს. ვიგრძენი, რომ მსმენელებიც დამშვიდდნენ, იმედი მიეცათ. მკერდში ძალიან საამო გრძნობა ჩამიგუბდა. ივლიტას დეიდამ ხალხს თვალი მოავლო და შუათანა და მოიკითხა, არ დაბრუნებულაო? თქვა ეს თუ არა, მისი დაც გამოჩნდა ჭიშკარში. აივანზე მასაც შემოეხვია ხალხი. მკითხავთან იყო. მკითხავი ძალიან შორს ცხოვრობდა. თვითონაც ავად ყოფილა. წამოსვლა ვერ მოეხერხებინა, მაგრამ ნაკურთხი წყალი და ნაკურთხი ნახშირი გამოუტანებია. ეს ყველაფერი გზადაგზა თქვა. ავადმყოფთან მიიჩქაროდა, მაგრამ ზღურბლზე უფროსმა დამ შეაჩერა:

- ნაკურთხ წყალში ვერცხლის ორშაურიანის ჩაგდებაა საჭირო. - ვერცხლის ორშაურიანი არავის აღმოაჩნდა. საბჭოთა ხურდა ფული ბევრმა ამოიღო ჯიბიდან, მაგრამ საჭირო იყო ვერცხლის მონეტა. ერთმა მეზობელმა თქვა, მგონი, ჩვენ შემოგვრჩა სადღაც ნიკოლოზის ხურდებიო. იმწამს გაიქცეს შინ. სულ მალე უკან მობრუნდა, ორი თუ სამი ვერცხლის მონეტა ეჭირა ხელში. ერთი დოქში ჩააგდეს და დოქი ნაკურთხი წყლით ავადმყოფთან შეიტანეს. თანდათან ჩამოცხა. მოულოდნელად ივლიტამ ისევ შეჰკივლა და კვნესა დაიწყო. ოთახიდან დედაჩემი გამოვიდა, სწრაფი ნაბიჯით დაეშვა კიბეზე, რაღაც უთხრა მამას და კვლავ ავადმყოფთან დაბრუნდა. მამამ იქვე მდგომ თინიკოს მოკიდა ხელი. ორივემ, მამამაც და თინიკომაც აქეთ-იქით დაიწყეს ცქერა. მივხვდი, რომ მე მეძებდნენ და მათთან მივირბინე. მამამ ძალიან მღელვარე ხმით გვითხრა, შინ წავიდეთ, აქ ბავშვების გაჩერება აღარ შეიძლებაო. ჭიშკარში გამოსვლისას ისაკი ბიძია, ჩვენი კარის მეზობელი და ნათესავი შემოგვხვდა. ცხენს მოუძღვებოდა. ცხენზე კი დანიელა ურია იჯდა, ფერშალი, რამდენიმე სოფლის მკურნალი. დანიელა მეზობელ სოფელში ცხოვრობდა. ისაკი ბიძია ნაშუადღევს წასულა მის მოსაყვანად. დანიელა ადრეც მყავდა ნანახი, მამიდაჩემს მკურნალობდა. ძალიან თავაზიანი მოხუცი იყო. ბავშვებსაც კი ისე გვესალმებოდა, როგორც ხნიერ ადამიანებს. ისაკი ბიძია მამას გამოელაპარაკა, ავადმყოფის მდგომარეობა იკითხა. მამამ ხმადაბლა უთხრა რაღაც, ვერ გავიგე, მაგრამ მივხვდი, რომ ცუდად იყო საქმე. ისაკი ბიძიამ ბავშვივით ჩამოსვა ცხენიდან კაფანდრა დანიელა ურია. მამამ მე და თინიკოს ჩაგვჭიდა ხელები, ჩვენი ოდისკენ წამოგვიყვანა. შევედით თუ არა ეზოში, საზარელი კივილიც გაისმა...

ბატონი არჩილი უკან გადაიხარა და კუპის კედელს ზურგით მიეყრდნო. შეიძლება მოგჩვენებოდა, რომ დაამთავრა თავისი სათქმელი და აღარაფრის მოყოლას აღარ აპირებდა. მცირე ხნით თვალები ჰქონდა დახუჭული. მაგრამ სულ მალე თქვა:

- ერთი-ორი წელიწადი იყო დარჩენილი ოცდაჩვიდმეტამდე. როცა გავიდა ეს ერთი თუ ორი წელიწადი და დახვრეტები დაიწყო, მე შევნიშნე გარდაცვლილთადმი დამოკიდებულების შეცვლა. მათზე აღარ ლაპარაკობდნენ გაუთავებლად, აღარ აქებდნენ, აღარ ოხრავდნენ... ფასი დაკარგა სიკვდილმა. თუ პირიქით, სიცოცხლემ დაკარგა ფასი? ან, ალბათ, ერთმაც და მეორემაც! ჩემი ბავშვური თვალი და გული სიბრალულს ვეღარ ატყობდა უფროსებს. უფრო სწორად, ეტყობოდათ სიბრალული, ოღონდ არა იმდენად დაღუპულის, რამდენადაც საკუთარი თავისადმი. თავისი დღით დახოცილებსაც კი აღარ გლოვობდნენ ძველებურად. ოჯახის წევრთა და ყველაზე მახლობელთა გარდა, ცხადია. რიტუალი ოდნავაც არ შეცვლილა, მაგრამ მე მაინც ვგრძნობდი, რომ ეს არ იყო ძველებური გლოვა.

...გასვენებამდე ივლიტას ეზოში უამრავი ხალხი იყრიდა თავს. ქალები საზარელი ხმით მოთქვამდნენ, მამაკაცებსაც კი ღაპაღუპით ჩამოსდიოდათ ცრემლები. დაკრძალვის შემდეგ ეზო დაცარიელდა. ჩვენი უბნის მცხოვრებნი თავშეყრის ძველ ადგილს დაუბრუნდნენ, საუკუნოვანი ცაცხვის ქვეშ. ცაცხვი ისაკი ბიძიას ეზოში იდგა. მისი ტოტები ღობის აქეთ, ქუჩაში გადმოდიოდა. აქ ეწყო რამდენიმე კუნძი და საღამოობით აქ კლავდნენ დროს მეზობლები. ადრე იყო გართობა, მხიარულება, ბავშვების ცეკვა და მღერა, ახლა კი მხოლოდ ივლიტაზე ლაპარაკობდნენ, - როგორი კარგი გოგონა იყო, ჭკვიანი, კეთილი, ლამაზი... თანდათან ვიგრძენი, რომ, ცოტა არ იყოს, მშურდა ივლიტასი. ერთხელ ძილისწინ წარმოვიდგინე, რომ მეც მოვკვდი და ყველა მე მგლოვობს, ყველა მე მაქებს. არ ივიწყებენ ჩემს არც ერთ ღირსებას, არ სჯერათ ჩემი გარდაცვალება და ნატრობენ, ნეტა, სიზმარი იყოსო. მე კი კუბოში ვწევარ, მერე საფლავში და საფლავზე ყვავილების გორაა...

ეს ყოველივე ისე კინემატოგრაფიულად წარმოვიდგინე, რომ ახლაც ბურთი მომაწვა ყელში და ნიკაპი ამიკანკალდა. თუმცა სიამაყესაც ვგრძნობ, რომ ასე დავწყვიტე გული ყველას და ვტკბები პოპულარობით. გავა ბევრი-ბევრი ხანი, ვფიქრობდი ბალიშში თავჩარგული, ხალხი ყოველსაღამო შეიკრიბება ცაცხვქვეშ, მე და ივლიტა კი აღარასოდეს ვიქნებით იქ. და მეზობლები სულ ყოველთვის ჩემზე და ივლიტაზე ილაპარაკებენ, ქალები ცრემლს მოიწმენდენ, კაცები იოხრებენ... მე და ივლიტა სულ საფლავში ვიწვებით და ხალხი სულ ჩვენზე ილაპარაკებს...

ბატონმა არჩილმა გულიანად გაიცინა.

- ერთ დღეს, - განაგრძო მან, - ჩვეულებრივზე დიდხანს დარჩა ხალხი ცაცხვის ქვეშ. ჯერ მერცხლებმა დაიწყეს დაბლა ფრენა, მერე ბუმ იკივლა სადღაც. მოპირდაპირე მხრიდან ძაღლმა უპასუხა ყმუილით. ამას მოჰყვა ყეფა მთელს სოფელში. მთლად ჩამობნელდა. ერთბაშად სისინით დაუბერა ცივმა ქარმა. დედამ ხელი მოგვკიდა შვილებს და შინ წამოგვიყვანა. უკვე თვალები მეხუჭებოდა. ტანთ გახდა დავიწყე და უცებ ერთმა აზრმა შემაკრთო, გამახსენდა: დღეს ამდენი ილაპარაკეს მეზობლებმა და ივლიტა არავის უხსენებია...

- რას დგახარ ნახევრადგახდილი, - დამიყვირა დე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამ, - დაწექი ახლავე!

დავწექი, საბანში გავეხვიე და ჩათბუნება ვცადე. მაგრამ თითქოს ჩემს პატარა გულამდე ჩააღწია უცებ ამოვარდნილმა ცივმა ქარმა. შიგნით, გულ-მუცელში ვგრძნობდი გაუსაძლის ყინვას. მე ვიცოდი, რომ მკვდრები სამუდამოდ მიდიან და აღარასოდეს ბრუნდებიან. ვიცოდი, ივლიტაც აღარ დაბრუნდებოდა, მაგრამ როგორღაც მაინც დროებით წასულად ვთვლიდი მას. როგორც მამა იყო ერთი-ორჯერ თბილისში. ერთხელ ეკატერინოდარში წავიდა მამა. დაიბარა სამ დღეში დავბრუნდებიო და კვირაზე მეტ ხანს დააგვიანა. დედა და მამიდა ძალიან ღელავდნენ. მაგრამ დაბრუნდა მამა და ის მღელვარება ყველას მიგვავიწყდა. ივლიტა კი აღარასოდეს მოვა. მომეჩვენა, რომ გული გამიჩერდა ამის გაფიქრებაზე. მაგრამ უფრო საშინლად მეჩვენა ის, რომ აღარასოდეს დადგება დრო, როცა მხოლოდ ივლიტაზე ილაპარაკებენ. იქ კი, სადაც ახლა არიან ივლიტა და მამიდაჩემი, არ არის არაფერი. სულ, სულ არაფერია! ამის წარმოდგენა, ცოტა არ იყოს, გამიჭირდა. იქ არის, ალბათ, მხოლოდ წყვდიადი და ისეთი სისინა ქარი, ახლა რომ უბერავს გარეთ. თვალები გავახილე, სარკმელს შევხედე. ხეთა ჩრდილები ჭინკებივით დახტოდნენ მინებზე. წამოვიწიე, დედასთან მომინდა, მერე ვიფიქრე, რომ მამასთან ჯობდა. მამას რაღაცას ვკითხავდი, იგი მიპასუხებდა... მაგრამ ისევ ბალიშში ჩავრგე თავი. მთელი ძალით დავაჭირე კბილები კბილებს, რომ ტირილი არ წამსკდომოდა.

...დადგა შემოდგომა. ხალხი კმაყოფილი იყო, რომ ამინდმა მოსავლის დაბინავება აცალა. მერე კი დაიწყო და დაიწყო წვიმები, როგორც სჩვევია ჩვენს მხარეში. თანდათან გატკბა ბუხარი. მეზობლები თავ-თავიანთ ოდებში შეიყუჟნენ. ხანდახან თუ შემოგვივლიდა ვინმე. ერთხელ ერთი მეზობელი გვესტუმრა, მამის მეგობარი, ძალიან დინჯი, დარბაისელი კაცი - ასკალონ ნორაკია. იგი ბუხართან ჩამოჯდა და საოცარი ამბავი თქვა, - ივლიტასიანები სახლ-კარის გაყიდვას აპირებენო. უთქვამთ, ფული გვჭირდება ძალიანო. დედამ თითქმის შეიცხადა:

- თვითონ სად წავლენ?

- ერთი უპატრონოდ მიგდებული ქოხია სოფლის თავში, ტყისპირას. იქ გადავალთო, ამბობენ.

ამოძრავდა მთელი სამეზობლო, რა აღარ უთხრეს დედაბრებს, გაიყინებით იმ ფარღალალა ქოხშიო, ზამთარში იქ მგლები დაეხეტებიანო, სამი საწოლი არც კი დაეტევა იქო... ესეც გაახსენეს, ხომ გყავთ კიდევ ერთი და, ზუგდიდში გათხოვილი, იმის მონაგარს დაუტოვეთ სახლ-კარი, ეწყინებათო. მაგრამ დედაბრები შეუვალნი იყვნენ. უფრო სწორად, მათგან უფროსი. დანარჩენები დუმდნენ. ათასში ერთხელ მხოლოდ შუათანა ეპასუხებოდა გადასათქმევინებლად მოსულ მეზობლებს. მეზობლები დარწმუნდნენ, რომ უფროსმა დამ აიკვიატა სახლის გაყიდვა და უმცროსები შეწინააღმდეგებას ვერ უბედავდნენ. ამიტომ ხელი ჩაიქნიეს.

სახლი მალე გაიყიდა. აფხაზების ოჯახი ჩასახლდა ივლიტას მამულში და მეზობლებს თანდათან ეს თემაც მიავიწყდათ. ივლიტას კი დროდადრო იხსენებდნენ. ითქვა, მაგალითად გათვალვით მკვდარი არ უნდა იყოსო, მგონი, თვითონ დალია შხამიო. ესეც ითქვა, ივლიტას, მგონი ქვემოთაუბნელი ბიჭი უყვარებია და ჩუმ-ჩუმად ხვდებოდა კიდეცო... წინასაახალწლოდ საშინელი ამბავი მოხდა - მოკლეს ჩვენი სოფლელი ახალგაზრდა, დურმიშხანი, სწორედ ის ბიჭი, რომელზეც ამბობდნენ, ივლიტას შეყვარებული იყოო. ამ ამბავმა ყველაფერი სხვა დაჩრდილა, მაგრამ ჩვენს უბანში დაღუპულს კარგად არ იცნობდნენ და მასზე მაინცდამაინც ბევრი არ ულაპარაკიათ. მხოლოდ გაზაფხულის პირზე გაცოცხლდა ეს თემა, როცა მკვლელები დაიჭირეს, ორი რუსი ბიჭი. რუსები ყოველთვის ბევრნი ჩამოდიოდნენ ჩვენში სეზონურ სამუშაოებზე. ოცდაათიანი წლების პირველ ნახევარში კი მთელი ურდოები მოაწყდა საქართველოს, რაც ვოლგისპირეთში, უკრაინასა და ჩრდილოეთ კავკასიაში მძვინვარე საშინელი შიმშილობით იყო გამოწვეული. ზაფხულის დამდეგისთვის მკვლელთა სასამართლო დაინიშნა სოფლის ახალაშენებულ კლუბში. მთელი სოფელი ემზადებოდა. ყველა მოითხოვდა მკვლელების დახვრეტას, რომელთაც აღიარეს მკვლელობა. მიზეზს ვერც კი ასახელებდნენ. სასამართლოს დაწყებამდე ორი დღით ადრე მამა აფორიაქებული დაბრუნდა შინ და მაგიდასთან რაღაცნაირად უცნაურად დაჯდა. დედამ ვახშმის სუფრა გაუშალა. თეფშით კერძი რომ უნდა დაუდო, მაშინ თქვა მამა, ივლიტას დედა და დეიდები დააპატიმრესო.

- რაა? - შეჰკივლა დედამ.

- დააპატიმრეს. - გაიმეორა მამამ. - უღიარებიათ, ის ქვედაუბნელი ბიჭი რუსებს ჩვენ მოვაკვლევინეთო.

დედამ მაგიდაზე ველარ დადო თეფში, გაშეშდა. ისე ქანდაკებასავით მდგომს უამბო მამა, რომ დილით დებს შორის უფროსი სოფლის ცენტრში ჩასულა. იქ იყო მილიციის პუნქტი, ერთადერთი პატარა ოთახი. მილიციელიც ერთადერთი გვყავდა სოფელში. მასთან მისულა დედაბერი და უთქვამს, იმ ბიჭებს ფული ჩვენ გადავუხადეთ დურმიშხანის მოსაკლავადო. მილიციელს ყურებისთვის არ დაუჯერებია. იმერელი ბიჭი იყო, ჩვენთან სასწავლებლის დამთარვების შემდეგ მოვლინებული, და უფიქრია, ალბათ, ამ დედაბერმა არ იცის ხეირიანად ქართული და თვითონაც არ ესმის, რას ამბობსო. ამიტომ გამოსულა ოთახიდან მილიციელი, მოუხმია იქ მყოფი ორი ჩვენსოფლელი და დედაბრისთვის უთქვამს, მეგრულად თქვი, ესენი მითარგმნიანო. დედაბერს სიტყვა-სიტყვით იგივე გაუმეორებია. თან დაუმატებია, სახლი და კარ-მიდამო მკვლელების დასაქირავებლად გავყიდეთო. კი მაგრამო, უკითხავს მილიციელს, რას ერჩოდით იმ საწყალ ბიჭსო? ამაზე კრინტი აღარ დაუძრავს დედაბერს.

ეს ამბავი მეხივით გავარდა სოფელში. მე მკვლელობის მიზეზი მაინტერესებდა, რატომ უნდა მოეკლათ დედაბრებს ბიჭი, რომელიც ივლიტას უყვარდა. ვეკითხებოდი უფროსებს, ისინი კი არაფერს მპასუხობდნენ, თუმცა ვგრძნობდი, რომ მათთვის ყველაფერი ნათელი იყო. მერე მაინც გავიგე, რომ ბიჭი დაპირებია ივლიტას, ცოლად შეგირთავო, მაგრამ ბათუმში თუ ფოთში წასულა, პორტში დაუწყია მუშაობა. ივლიტას ამიტომ მოუკლავს თავი.

სასამართლო რამდენიმე თვით გადაიდო და ზაფხულის მიწურულს გაიმართა სოფლის კლუბში. დარბაზშიც, კლუბის გარშემოც ყოველთვის უამრავი ხალხი იყო. ერთხელ თქვეს, დღეს განაჩენს გამოიტანენო. იმ დღეს განსაკუთრებით მრავლად მოიყარა ხალხმა თავი. მე და ერთ-ორმა ჩემტოლა ბიჭმა სწორედ იმ დღეს შევძელით ბრბოში გაძრომა და ფართო დარბაზში შეჭყეტა სარკმლიდან. მოსამართლე ფეხზე იდგა და კითხულობდა. ბრალდებულებიც ფეხზე იდგნენ. მკვლელ ბიჭებს თავები ისე ჩაექინდრათ, რომ სახეები სრულიად არ უჩანდათ. ჩანდა მხოლოდ ორი ქერა კეფა. ივლიტას დედას თვალებზე ხელი აეფარებინა და სლუკუნებდა. შუათანა დაც იდგა. ისიც ტიროდა. იჯდა მხოლოდ უფროსი და. ცალი წარბი აზიდული ჰქონდა და იყურებოდა იქით, სადაც ჩაშავებულ ჯგუფად იდგნენ დურმიშხანის ჭირისუფალნი და ხანდახან მოგუდული ხმით მოთქვამდნენ: “დური! დური!” უფროს დას ცალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელი შემოღობილს აქეთ ჰქონდა გადმოდებული, როგორც სავარძლის სახელურზე გადმოსდებდნენ ხოლმე ხელს თავადის ქალები. მე დიდხანს ვიდექი სარკმელთან, ვუყურებდი ივლიტას უფროს დეიდას და მეჩვენებოდა, რომ იგი იღიმებოდა.

...ეს იყო ოცდამეჩვიდმეტემდე ერთი-ორი წლით ადრე, - განაგრძო მცირე პაუზის შემდეგ ჩემმა თანამგზავრმა - მაშინ ვერავინ წარმოიდგენდა, რომ სულ მალე ჩვენი სოფლის კლუბშიც, მრავალ სხვა შენობაში ბევრი პროცესი გაიმართებოდა და ბევრი იქნებოდა სასიკვდილო განაჩენი. მაგრამ საღამოობით შეჩვეულ ადგილებში თავმოყრილი სოფლელები გაუთავებლად აღარ ილაპარაკებდნენ ამ პროცესებზე, აღარ იდავებდნენ მტყუან-მართლის განსასჯელად...

ბატონი არჩილი ოცდაათიანი წლების პოლიტიკურ პროცესებზე ალაპარაკდა. ალაპარაკდა ისე ერთბაშად და სხაპასხუპით, თითქოს მის მიერ მოთხრობილი ივლიტასა და მისი ოჯახის ისტორია უშუალოდ იყო დაკავშირებული დიდ პოლიტიკასთან და ძალიან შორსმიმავალი დასკვნების გაკეთების საშუალებას იძლეოდა მისი მსჯელობის არსი იმაში მდგომარეობდა, რომ იგი კატეგორიულად არ ეთანხმება ინტელიგენციის წრეებში, განსაკუთრებით, ახალგაზრდებში დამკვიდრებულ, აბსოლუტურად ნეგატიურ შეფასებას ოცდაათიანი წლების ამბებისა.

- რამდენი წლის ხართ, თემო? - მკითხა მოულოდნელად.

- ოცდათერთმეტის ვხდები.

ბატონმა არჩილმა გამომეტყველებით მაგრძნობინა, ახალგაზრდობაში შენც გიგულისხმე, მიიღო გამოწვევა საპაექროდო. მის გამომეტყველებაში ისიც იგრძნობოდა, რომ მზად ჰქონდა მირიადი არგუმენტი. მაგრამ მე ვკითხე:

- განაჩენი როგორი იყო, ბატონო არჩილ?

- ჰო, განაჩენი... - თქვა მან და ხელი შეჭაღარავებულ, ფერფლისფერ თმაზე გადაისვა. დაფიქრდა. ივლიტას ოჯახის ისტორია, ეტყობოდა, უკვე დამთავრებული ჰქონდა, აღარ ელოდა შეკითხვას ამ თემაზე. დრო დასჭირდა ნახევარი საუკუნის წინანდელ თავის სოფელში დასაბრუნებლად. მერე უკან გადაიზნიქა, მიაწვა კუპის კედელს, სევდიანად გაიღიმა და თვალი ისევ კონიაკის ბოთლს გაუშტერა.

- ბიჭებს დახვრეტა მიუსაჯეს. ქალთაგან ყველაზე ნაკლებ დამნაშავედ ივლიტას დედა იქნა ცნობილი. მას ხუთი წელი მიესაჯა. შუათანა დას - ზუსტად აღარ მახსოვს - ერთი თუ ორი წლით მეტი. მკვლელობის მთავარ ორგანიზატორად კი უფროსი და გამოცხადდა. პროკურორმა მისი დახვრეტა მოითხოვა, მაგრამ მოსამართლემ თხუთმეტი წელი მიუსაჯა. შემდეგ სოფლელები ამბობდნენ, სასამართლომ გაითვალისწინა, რომ ქალია, თანაც უკვე სამოცდაათს გადაცილებულიო. უმცროსი დებისგან განსხვავებით, მას მკაცრი რეჟიმის კოლონია ჰქონდა მისჯილი, მაგრამ პატიმრობიდან მხოლოდ იგი დაბრუნდა. უმცროსი დები ციმბირში დაიხოცნენ. უფროსს კი ომის შემდგომ დიდი ამნისტია შეეხო...

კვლავ გაჩუმდა ბატონი არჩილი, თუმცა შევატყვე, რომ კიდევ რაღაც დეტალები გაახსენდა იმ დრამატული ამბისა და სევდიანი ღიმილით განაგრძო, - ოთხმოცდამეცამეტე წელს დედაჩემი გარდაიცვალა. მე მაშინ უკვე თითქმის ათი წლის წამოსული ვიყავი თბილისში. სოფლის ამბები იშვიათად მესმოდა. და აი, ვდგავარ სამძიმარზე, უეცრად კინაღამ წავბარბაცდი, კარში ივლიტას უფროსი დეიდა გამოჩნდა. რას ვიფიქრებდი, თუ ეს ქალი კიდევ ცოცხალი იქნებოდა! ზღურბლზე შედგა. ორივე ხელი ზეშემართა და მჭახე ხმით შეიცხადა - ახალგაზრდა ქალების ხმაც კი გადაფარა. ეს ერთ დროს ძალიან ტანმაღალი ქალი ორჯერ დაპატარავებული მეჩვენა, თუმცა მოხრილი თითქმის არ იყო. სასახლესთან მივიდა. გადაემხო მიცვალებულს და ათითხუთმეტი წუთი მოთქმით ტიროდა. მერე მე მომიახლოვდა, გადამეხვია. ჟრუანტელმა დამიარა, მომეჩვენა, რომ ჩონჩხი მეხვეოდა. ხორცი სრულიად აღარ ჰქონდა შერჩენილი. იფიქრებდი, პირდაპირ ძვლებზე აცვია სამოსიო. პანაშვიდის შემდეგ სავახშმოდ დავსხედით. საუბარში მეზობლებისგან შევიტყვე, რომ ციმბირიდან დაბრუნებისთანავე იმ საოცარმა დედაბერმა ერთი რამ აიკვიატა: კვირას ისე არ გაუშვებდა, რომ ქვემოუბანში არ ჩასულიყო და დურმიშხანის ქუჩაზე არ გაევლო. ყველა შემხვედრს ხალისიანად ესალმებოდა, მოიკითხავდა, ლოცავდა. ყოველივე ამას ძალიან ხმამაღლა აკეთებდა. დურმიშხანის ჭიშკარს კი ისე ჩაუვლიდა ხოლმე, რომ თვალი ერთხელაც არ გაექცეოდა მისი კარმიდამოსკენ. განსაკუთრებით უბნის ბავშვებს ლოცავდა. ტკბილეულს ურიგებდა. ბავშვებიც ყიჟინით ეგებებოდნენ მის გამოჩენას, გუნდ-გუნდად აედევნებოდნენ ხოლმე. ზოგი ბავშვი დასცინოდა, მაგრამ ქალი არავითარ ყურადღებას არ აქცევდა ამას, ყველას ლოცავდა. ასე ხმაურიან გუნდად ჩაუვლიდნენ ხოლმე დურმიშხანის ჭიშკარს. ერთხელ თურმე დურმიშხანის დედამ ვეღარ გაუძლო ამ ყოველკვირეულ წარმოდგენას, როცა ივლიტას დეიდა უკვე გაცდენილი იყო ჭიშკარს, გამოვიდა ქუჩაში და უკან წყევლა მიაყოლა. ივლიტას დეიდამ თურმე ჯერ ნაბიჯს უკლო, შემდეგ შეჩერდა, მობრუნდა, ზეაღმართა ხელები და ისეთი საშინელი წყევლა დაიწყო, რომ დამფრთხალი ბავშვები ჩიტებივით აქეთ-იქით გაიფანტნენ. დურმიშხანის დედას ხმა ჩაუწყდა თურმე და იმ საღამოს გულის შეტევა დაემართა, გარდაიცვალა. ბატონი არჩილი ცოტა ხნით გაჩუმდა. კიდევ რაღაც გაიხსენა:

- დედაჩემის დაკრძალვის საღამოს ჭირის სუფრასთან ერთი ქვემოუბნელი კაცი იჯდა ჩემს გვერდით. მან თქვა, ჩემი შვილიშვილი ერია ბავშვების გუნდში. უკვე წამოზრდილი ბიჭია, მაგრამ ისე შეაშინა დედაბრის წყევლამ, სანამ დედამისმა არ ჩაიწვინა ლოგინში, დაძინება ვერ შეძლოო.

კვლავ მცირე ხნით დუმილი.

- **1974** წელს დასავლეთ გერმანიაში ვიყავი მივლინებით, - განაგრძო ჩემმა თანამგზავრმა, - ნამდვილად მახსოვს, ეს სწორედ **1974** წელი იყო. იმ წელს მსოფლიო ჩემპიონატი იმართებოდა გერმანიაში. ერთ-ორ თამაშზე დასწრებაც კი შევძელი. იქიდან დაბრუნებული, სოფელში გავემგზავრე. იმ ჩასვლაზე ისაკი ბიძიას შვილმა მითხრა, ზეგ ივლიტას დეიდის დაკრძალვაა და დაესწარიო... თურმე **1974** წლამდე უცოცხლია! დავიწყეთ ანგარიში, რამდენი წლისა იქნებოდა. სასამართლო პროცესის დროს სამოცდაათს იყო გადაცილებული (თუმცა კაცმა არ იცის, რამდენით!), პროცესის შემდეგ კი ორმოცი წელიწადი იცოცხლა. აქედან ოცდაათი სრულიად მარტომ გაატარა ფარღალალა ქოხში...

●

როგორც ცოტა ხნის წინ, ბატონი არჩილი ახლაც ერთბაშად, მოულოდნელად გადავიდა პოლიტიკაზე. ოცდაათიანი წლების შესახებ დაიწყო ლაპარაკი. ლაპარაკობდა სხაპასხუპით, თითქოს დიდი ხნის დაზეპირებულ ტექსტს წარმოთქვამსო. ნათელი იყო, რომ მრავალი წლის ნაფიქრალს, საკუთარ თავთან და სხვებთან პაექრობით მიღწეულ დასკვნებს, მიზიარებდა. ისიც ნათელი იყო, რომ ამ დასკვნებში ვერაფერი

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ვერავინ შეატანინებდა ეჭვს, როგორც შუა საუკუნეების დაყუდებულ ბერს მოციქულთა დოგმატში. ოღონდ არ მინდა ისე გამიგოს მკითხველმა, რომ ჩემი თანამგზავრის მსჯელობა დოგმატური მომეჩვენა. ვგულისხმობ მის ულრმეს დარწმუნებულობას საკუთარი პოზიციის მართებულობაში. საპაექროდ კი აშკარად მზად იყო. დროდადრო ჩუმდებოდა, მომაცქერდებოდა. ამგვარად მთავაზობდა, უარყავი ჩემი დასკვნა, თუ ბიჭი ხარო! ეს პაუზები მოსდევდა ბატონ არჩილის იმ დასკვნებს, რომლებიც, მისი აზრით, განსაკუთრებით მიუღებელი უნდა ყოფილიყო ჩემთვის (ჩემი თაობისთვის, ახალგაზრდებისთვის). მაგრამ მე ერთხელაც არ ჩავრთულვარ მის ამ მსჯელობაში. მოსმენით კი ძალიან ყურადღებით მოვუსმინე, თუმცა - უკვე ვთქვი და კვლავ ვიმეორებ - ბევრს მისი დასკვნებიდან არ ვიზიარებდი და მიმაჩნდა, რომ ეს შეცდომები იყო საზოგადოდ დამახასიათებელი მისი თაობისთვის. თაობისთვის, რომელიც სტალინის რკინის მუშტქვეშ გაიზარდა.

ჩანაწერებზე მუშაობის პროცესში ბევრი ვიფიქრე და გადავწყვიტე, ჩემი თანამოსაუბრის შეხედულებები ოცდაათიანი წლების პოლიტიკურ პროცესებზე არა აქ, არამედ ცოტა ქვემოთ მომეთხრო.

ბატონ არჩილს აშკარად სიამოვნებდა ჩემი დუმილი. ეს მის თვალში ნიშნავდა ჩემს უუნარობას, არგუმენტირებულად უარმეყო მისი დასკვნები. უცებ ხალისიანად ასწია ჭიქა და თქვა:

- სულ წარსულ დროსა და წარსულ ადამიანებზე ვლაპარაკობთ. მოდით, ბავშვებს გაუმარჯოთ!... - დაკვირვებით შემომხედა და მკითხა: - შვილები ხომ გყავთ?

- არა, არ მყავს ცოლ-შვილი.

სახეზე ისეთი გაკვირვება გამოეხატა, თითქოს თვალით არ ჰყავდა ნანახი ოცდაათი წლის უცოლშვილო კაცი.

ორივემ ვთქვით სადღეგრძელო და დავლიეთ. ბატონი არჩილი ოცდაათიან წლებში დაბრუნდა.

- მახსოვს, ოცდამეჩვიდმეტე წლის აგვისტოა. ძალიან ცხელი დღეა. მე ათი წლის ბიჭუნა ვარ. ძმაკაცებთან წაველი გასართობად. ჩემთან ისაკი ბიძიას შვილები მეგობრობდნენ - რაული და ზაური. ისინიც ჩემსა და თინიკოსავით ტყუპები იყვნენ და ჩვენს კლასში სწავლობდნენ. რაულისა და ზაურის ერთმანეთისგან გარჩევა სრულიად შეუძლებელი იყო. მხოლოდ დედა არჩევდა მათ. ისაკი ბიძიასაც კი ერთმანეთში ერეოდა. მე, რაული და ზაური მორზე ვსხდებოდით მათს ეზოში და ვუყურებდით ისაკი ბიძიას. იგი ოდის აივანზეა, სკამზე დგას და რაღაცას აჭედებს მაღლა. მისი ცოლი, ოლია ბიცოლა დროდადრო საჭირო ნივთებს აწვდის სკამზე შემდგარ ისაკი ბიძიას. ოლია ბიცოლა მეტისმეტად მსუქანი ქალია და ისაკი ბიძია გულკეთილად დასცინის, რას დაბაჯბაჯებ, გაიქეც-გამოიქეციო... ისაკი ბიძია ძალიან ხუმარა კაცი იყო. ყოველი შეხვედრისას ან რაიმე სასაცილოს მეტყოდა ხოლმე, ან მხიარულად დამიჭყეტდა თვალებს, ან შემიღიტინებდა. ერთხელ, მახსოვს, მათს ოდაში შევედი. შინ მარტო ისაკი ბიძია იყო, მაგიდასთან იჯდა, რაღაცას წერდა. დროდადრო ფანქარს ყურზე შემოიდებდა, საანგარიშოს კოჭებს გააჩხაკუნებდა. მერე ისევ წერას განაგრძობდა. ისაკი ბიძია ბუღალტრად მუშაობდა კოლმეურნეობაში. მე ვკითხე, რაული და ზაური სად არიან-მეთქი? ახლაღა შენიშნა ჩემი მისვლა, მომაპყრო წითელი, აქეთ-იქით მოხტუნავე თვალის გუგები (დამავიწყდა, მეთქვა, რომ ისაკი ბიძია ალბინოსი იყო), მითხრა, არ ვიციო და წერა განაგრძო. ასეთ მშრალ შეხვედრას არ ვიყავი შეჩვეული ისაკი ბიძიასგან და, ცოტა არ იყოს, მეწყინა. ეს, ალბათ, მანაც იგრძნო და ზღურბლიდან მომაბრუნა, მოხტუნავე თვალებით მიმოიხედა, მაგიდაზე დადებული ტაბლიდან რამდენიმე ცალი ახალგამომშრალი ჩირი გამომიწოდა. როცა ვართმევდი ჩირს, მაჯაში მწვდა, მიმიზიდა თავისკენ, შემიღიტინა. მე გავუსხლტი ხელიდან, ჩირიც გამოვგლიჯე და სიცილით გამოვვარდი ეზოში... ახლა ისაკი ბიძია სკამზე დგას, რაღაცას აჭედებს და, როგორც ყოველთვის, გვაცინებს ბავშვებს. მისი ნათქვამი ამჯერად განსაკუთრებით სასაცილო გვეჩვენება, რადგან იგი ნახევარი პირით ლაპარაკობს, პირის მეორე ნახევრით კი ლურსმნები უჭირავს. ოლია ბიცოლა ეუბნება, დაანებე ყბედობას თავი, თორემ არასწორად აჭედებო და რაღაცას აწვდის. ისაკი ბიძიამ გადმოგვხედა ბავშვებს და ისეთი სასაცილო რამე თქვა, რომ ჩავბჟირდით. ტყუპისცალთაგან ერთი მორიდან გადავარდა. მეც გადავვარდი მორიდან. უფრო სწორად, უკან გადავწექი, ცისკენ ავიხედე და დავინახე, რომ მეორე ტყუპისცალი ხეზე ამძვრალიყო. ამ ხორხოცში ძლივს გავიგონეთ ჭიშკართან გაჩერებული ავტომანქანის ხმა და ძახილი: "ისაკი!" ეზოში სამი მამაკაცი შემოვიდა. სამივეს მაუზერები ჰკიდიათ. იქაურობას თვალი მოავლეს. ერთი აივანზე ავიდა. რაღაც უთხრა ისაკი ბიძიას. მან კი არაფერი უპასუხა. კაცმა გაუმეორა. ისაკი ბიძია კვლავ დუმდა. კაცმა მესამედ უთხრა. ისაკი ბიძია სკამიდან ჩამოვიდა. კაცმა ხელი მოკიდა იდაყვში და აივნის კიბისკენ წამოიყვანა. ისაკი ბიძია შედგა. თქვა, ტანსაცმელს გამოვიცვლიო. კაცი დათანხმდა. ორივენი შევიდნენ ოთახში. ეზოში მდგომი ორი კაცი აივანზე ავიდა. სარკმლიდან ოთახში დაიწყეს ცქერა. მალე ისაკი ბიძია გამოჩნდა. კრემისფერი საგარეო კიტელი ეცვა. კიბეებზე ჩამოვიდნენ. ეზოში ისაკი ბიძია შეჩერდა, ოლია ბიცოლას ახედა აივანზე. ოლია ბიცოლა იმ პოზაში დარჩენილიყო, რომელშიც კაცების მოსვლისას იდგა - სკამზე მდგომ თავის ქმარს რაღაცას აწვდიდა. ერთ-ერთმა კაცმა ზურგში უბიძგა ისაკი ბიძიას. მაგრად არ უკრავს ხელი, მაგრამ ისაკი ბიძია მაინც წაბორძიკდა. ოთხივე ჭიშკრისკენ წავიდნენ. ისაკი ბიძია კვლავ შედგა; ეხლა უკვე ჩვენსკენ, ბავშვებისკენ გამოიხედა. ჩემი და მისი თვალები ერთმანეთს შეხვდნენ. ძალიან შეწუხებული თვალები ჰქონდა. ნახევარი პირით ისევ ლურსმნები ეჭირა. მივხვდი, რომ მისი მოხტუნავე თვალები მე არ მეძებდნენ. ალბათ, ვერც კი შემნიშნა. ჩემს გვერდით მჯდომი თავისი შვილი მოძებნა თვალებით. მერე მეორე შვილს დაუწყო ძებნა. ზურგში წელანდელზე უფრო მაგრად უბიძგეს. ისაკი ბიძიამ უფრო მეტად წაიბორძიკა. კაცები ქუჩაში გავიდნენ, სწრაფად ჩასხდნენ ავტომობილში და დიდი, შავი ავტომობილი ღმუილით მოწყდა ადგილს. შარაგზაზე ბული დადგა. ბავშვები გარეთ გამოვცვივდით და თავქუდმოგლეჯილნი დავედევნეთ ავტომობილს. ვირბინეთ მანამ, ვიდრე არ გაუჩინარდა. მერე გავჩერდით. ჩემს ჭიშკართან ვიდექით. რაულისა და ზაურისთვის არც კი შემიხედავს, ისე შევედი ეზოში.

აივანზე ავედი. დედა კერძს ამზადებდა. თინიკო მაგიდასთან იჯდა. გაკვეთილს სწავლობდა. მათ არაფერი იცოდნენ. მოაჯირთან მივედი და ეზოში დავიწყე ცქერა. გავიფიქრე... არა, კი არ გავიფიქრე, კინოსავით დავიყენე თვალწინ, რომ მამაჩემის წასაყვანად მოვიდნენ. ქუჩიდან იძახიან: "ბოჩია!"... არა, ბოჩიას არ დაუძახებენ. ბოჩია საშინაური სახელია. მამაჩემის ნამდვილი სახელი კი ალექსანდრეა. თუმცა, ალბათ, არც ალექსანდრეს დაუძახებენ. მე რამდენჯერმე ვიყავი მამას სამსახურში. იქ მას ყველა ალიოშას ეძახის... ჰოდა, და-

ეროვნული ბიბლიოთეკა

იძახებენ კაცები: "ალიოშა!" მერე ეზოში შემოვლენ. ერთი აივანზე ამოვა. მამა არ დაიბნევა ისაკი ბიძიასავით, იმ კაცის თანხლებით შევა ოთახში. იქიდან გამოვა კრემისფერ კიტელში გამოწყობილი... არა, კრემისფერში არა, უფრო ახალი კიტელიც აქვს, ნაცრისფერი. ახლახანს იყიდა სოხუმში... გამოვა ოთახიდან ნაცრისფერ კიტელში გამოწყობილი. კიდევ ეცმევა ლურჯი გალიფე და აზიაცკები. აივნის კიბეზე დაეშვებიან. ეზოში მამა შედგება, მიმოიხედავს და მე დამიწყებს თვალებით ძებნას, როგორც ისაკი ბიძია ეძებდა თვალებით თავის შვილებს... უცებ გულისკოვზთან ძალიან მწარე წვა ვიგრძენი. მამასაც ისეთი საწყალი მზერა ექნება, როგორც ისაკი ბიძიას, მასაც უბიძგებენ ზურგში და მამაც წაიბორძიკებს...

თვალები ჯერ დამენისლა, მერე ლაპალუპით წამომივიდა ცრემლები. ჩვენებს რომ არ დაენახათ ეს, ეზოში ჩავირბინე და თხილის ბუჩქებში შევრგე თავი. თითქოს უკვე შემოსულ თხილს ვკრეფდი. ათჯერ მაინც დამიდგა თვალწინ მამას საწყალი მზერა, ბიძგი ზურგში, მამას წაბორძიკება. გულისკოვზთან ისე მწარედ ამეწვა, რომ გამართულად დგომა ველარ შევძელი. ჯერ მოვიკატუნე, მერე ჩავჯექი. ტრიალებს და ტრიალებს ჩემს თვალწინ ის სცენა, ტრიალებს და ტრიალებს. ავსლუკუნდი. ვგრძნობ, რომ მხრები მიცახცახებს. არ მინდა, ჩვენებმა დამინახონ. ამიტომ თხილის ბუჩქის ქვეშ გავძვერი და მას ამოვეფარე. სცენა კი ტრიალებს და ტრიალებს. უცებ იმედმა გამიელვა. არ ჰკრავენ! რატომ და იმიტომ, რომ, ჯერ ერთი, მამა ისაკი ბიძიაზე ბევრად უფროსია. მახსოვს, ერთხელ უთხრა, ისაკი, შენი დაბადება კარგად მახსოვსო, ესეც არ იყოს, მამა ნასწავლი და ძალიან დაფასებული კაცია სოფელში. ისაკი ბიძია კი ჩვეულებრივი გლეხი. ბუღალტრადაც მამამ დააწყებინა მუშაობა. ჯერ რაღაც ექვსთვიანი კურსები დაამთავრებინა და მერე დააწყებინა. თვითონ მამა კოლმეურნეობის მთავარი ეკონომისტი იყო. ამ ფიქრებმა შვება მომგვარა. ცოტა გამიარა გულისკოვზთან წვამ. აღარ ვტირი. უფრო მხნედ გავყევი იმედიან ფიქრებს. მამა ძალიან დინჯი და სერიოზულია, ისაკი ბიძია კი უბრალო და ხუმარა კაცი. საღამოობით ათას რამეს იგონებდა, რომ ჭადრის ქვეშ მსხდომი ქალები გაეცინებინა... აქ უკვე მთლად დავმშვიდდი: მამა ქალებს თავს როგორ გაუყადრებს! მამა ჭადრის ძირში, მგონი, საერთოდ არც მჯდარა. ჩვენს ჭიშკართან ჩამოჯდებოდა ხოლმე საღამოობით, გაჰყურებდა შორს კავკასიონის ცისფერ მთებს და ფიქრობდა თავისთვის ანდა ასკალონ ნორაკიას ებაასებოდა. ასკალონ ნორაკიაც მამასავით დინჯი და სერიოზული კაცია და არც ის წაუყვანიათ!.. უკვე სიხარულით ამიტოკდა გული. და თუ მაინც წაიყვანენ მამას, ძალიან თავაზიანად მოეპყრობიან. "ბოჩის" კი არ დაუძახებენ ქუჩიდან, არამედ "ალიოშა პატენის", თუმცა მე "ალექსანდრე პატენი" უფრო მომწონდა... საბოლოოდ დავმშვიდდი. ჩვენს ეზოში მოწანწკარე რუს წყლით პირი დავიბანე, რომ ნაცრემლარები არ დამტყობოდა. ავედი ოდაში და ჩვენებს ვუამბე მომხდარის შესახებ.

ბატონმა არჩილმა გულიანად გაიცინა და ისევ სევდიანად თქვა:

- მამაჩემი გადაურჩა რეპრესიებს. თავისი დღით გარდაიცვალა... ისაკი ბიძიას წაყვანის დღეს მამა შინ ასკალონ ნორაკიასთან ერთად მოვიდა. დედამ სუფრა გაშალა და ერთი დოქი ღვინოც დადგა. მამაკაცები ხმადაბლა ლაპარაკობდნენ. მე მათი საუბრის ფრაგმენტები მესმოდა. გავიგე, რომ თურმე ისაკი ბიძიას დაპატიმრება უდავო შეცდომაა, რომელსაც მალე გამოასწორებენ და ისაკი ბიძიას გაათავისუფლებენ.

- ბუღალტერი იყო, - თქვა ასკალონ ნორაკიამ, - იქნებ გაფლანგვა?..

- არა, არა! - გააწყვეტინა მამამ. - უწესიერესი ბიჭია, მე ხომ ვიცი!

როცა ერთი დოქი დაიცალა, დედამ მეორე დადგა და ბავშვებს გვითხრა, დაწექით ახლავეო. დავწექით, მაგრამ არ მეძინებოდა. სულგანაბული ვუსმენდი კაცებს, რომლებსაც ღვინო მოეკიდათ და ხმამაღლა ალაპარაკდნენ. ისინი მრავალგზის იმეორებდნენ, რომ შეცდომაა და აუცილებლად გამოსწორდება. ბოლოს ხმადაბალი, ხანმოკლე სიცილიც შემომესმა და ტკბილად ჩამეძინა.

ერთ-ორ დღეში მე და თინიკო მამიდასთან გაგვამგზავრეს მთიან სოფელში. იქ არანაირი დარდი აღარ გაკარებია ჩემს გულს, მთელი დღე დავრბოდი. ფიჭვებზე კევს ვაგროვებდით ბავშვები, კვარს ვამტვრევდით და ღამით ვაგიზგიზებდით. მხოლოდ ერთ ღამეს დამიბრუნდა დარდი. გვიან შინ დაბრუნებულმა შევიტყვე, რომ ასკალონ ნორაკიაც წაიყვანეს. ისევ ვიგრძენი წვა გულისკოვზთან. მეხსიერებაში ერთი ამბავი ამომიტივტივდა. ამ ამბავს ხშირად ვიხსენებდი ხოლმე გულის გასაკეთებლად. ახლა კი პირიქით, მაშინებდა მასზე ფიქრი. აი, ეს ამბავი: ერთ საღამოს ჩვენს ქუჩაზე უჩა-უჩამ ჩამოატარა თავისი საბარგო მანქანა. უჩა-უჩას იმიტომ ეძახდნენ, რომ უჩა ერქვა და თანაც ძალიან შავგვრემანი იყო, მეგრულად კი უჩა შავს ნიშნავს. მანქანა ცაცხვთან გააჩერა უჩა-უჩამ. აშკარად შეზარხოშებული იყო. გადმოვიდა კაბინიდან, დაუდგა წინ ქალებს და მოჰყვა ტრაბახს. ქალებმა სიცილი დააყარეს, დასცინოდნენ ტრაბახა უჩა-უჩას. ამასობაში ისაკი ბიძია გამოჩნდა. ისიც კაი მთვრალი იყო და მანაც დაიწყო ტრაბახი. უჩა-უჩა ხუმრობით დაეძიძგილავა ისაკი ბიძიას. დაიწყეს ჭიდაობა ქალების ხორხოცში. უჩა-უჩა ახალგაზრდა და ღონიერი იყო. ისაკი ბიძიამ კვნესა მორთო, ნუ მაჭანჭყარებ, ნასვამი ვარო. აბა, რა გეგონაო, პასუხობდა უჩა-უჩა. ამ დროს მამაჩემის ხმა გავიგონე, სიცილით დაიძახა, რა დღეში ხართ, რა ამბავიაო! მამა და ასკალონ ნორაკია ისე მოგვახლოვებიან, რომ ვერავინ შენიშნა ისინი. უჩა-უჩამ იმწუთას ხელი უშვა ისაკი ბიძიას, მამასთან მივიდა, უთხრა "გამარჯობა, როგორ ბრძანდებით, ალიოშა პატენი!" და წელში მოხრილმა ჯერ ერთი ხელი ჩამოართვა, მერე მეორეც მოჰკიდა მამას მარჯვენას. ასევე მიესალმა ასკალონ ნორაკიასაც. ამ ამბის გახსენება ყოველთვის მარწმუნებდა, რომ მამა და ასკალონი სხვა კაცებისგან განსხვავდებოდნენ, რომ მათ არავინ მოეპყრობოდა უპატივცემულოდ. ამიტომ ასკალონ ნორაკიას დაპატიმრებამ შიში გამიახლა. იმ ღამეს თითქმის დილამდე არ ჩამეძინა. მერე კვლავ იმ აზრმა დამამშვიდა, რომ, თუ წაიყვანენ მამას, წაიყვანენ პატივისცემით და მოწიწებით. თვალწინ რამდენჯერმე დავიტრიალე კინოფირი, ვხედავდი, როგორ თავაზიანად ეძახდნენ ქუჩიდან მაუზერიანი კაცები სულ ახლახანს წაყვანილ მამის მეგობარს: "ასკალონ პატენი!" და მერეც როგორი ზრდილობიანად ექცეოდნენ. ამ ფიქრმა ჩამაძინა. ერთ-ორ დღეში კი მამაჩემის მოულოდნელი გარდაცვალების ამბავი ამოვიდა მამიდის სოფელში. მე ტყეში ვიყავი. მამიდას გაუშლია თმა და ფეხშიველა დადგომია გზას ჩვენი სოფლისკენ აგვისტოს თაკარა მზის ქვეშ. მთელი გზა მოთქვამდა. მისმა თანმხლებებმა თქვეს მერე, ერთი წუთით არ გაჩერებულაო. არც გზაში შეუსვენია, არსად ჩამომჯდარა, ისე გაიარაო ოც კილომეტრზე მეტი ამ მოხუცმა ქალმა. მე და თინიკო უჩა-უჩამ წაგვიყვანა მანქანით, საგანგებოდ ჩვენთვის ამოსულა. ჩვენ არ ვიცოდით მამის სიკვდილი. თუმცა რაღაცას ვგრძნობ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დი ხალხის საქციელიდან. გული ავს მითქვამდა. უჩაუჩა ცდილობდა, ეხუმრა. ხუმარა ბიჭი იყო, მაგრამ ახლა არ გამოუდიოდა. მოკუნტული ვიჯექი მანქანის კაბინაში და ძლივს ვიკავებდი ტირილს, რადგან ვფიქრობდი, ალბათ, მამაც წაიყვანეს-მეთქი. ჩვენს ეზოში ბევრი ხალხი დაგვიხვდა, როგორც ივლიტას ეზოში იკრიბებოდნენ გასვენებამდე. ოდის კიბეზე რომ ავდიოდი გავიფიქრე, ალბათ, გარდაიცვალა მამა-მეთქი.

შავოსანმა ქალებმა დაგვინახეს თუ არა მე და თინიკო, საშინელი წივილ-კივილი მორთეს. შევედი ოთახში, შევხედე ტახტზე დასვენებულ მამაჩემს და... - ბატონ არჩილს ხმამ უმტყუნა. რამდენჯერმე ჩაახველა და განაგრძო. - მოვკარი თუ არა თვალი მამის ცხედარს... შვებით ამოვისუნთქე - მამა ვერასოდეს გამომხედავდა საწყლად, ზურგში არ უბიძგებდნენ მას და არ წაიბორძიკებდა...

●

- როცა მამაჩემი გარდაიცვალა, - განაგრძო ბატონმა არჩილმა, - მაშინ ჩემი ბავშვობა დამთავრდა. ამის შემდგომი ხანის მოგონებებში ჩემი სოფელი აღარ არის გაფერადებული ხასხასა მწვანედ, ლაჟვარდოვან ლურჯად და ოქროსფრად. დედაჩემმა მძიმე ძაძები ჩაიცვა სამუდამოდ. ჩემმა დამაც, თუმცა პატარა გოგო იყო, ჩაიცვა ძაძები. წლისთავის შემდეგ ;,აიხადა მხოლოდ. დედას კი აღარასოდეს გაუხდია. ჩემი მოგონებებიც იმდროიდან შავ-რუხი ფერისაა. მე, პატარა ბიჭმა, თანდათან ვიგრძენი, რომ ოჯახის უფროსი ვიყავი. შევეჩვიე შრომას ჩვენს ნაკვეთშიც, კოლმეურნეობაშიც. მერე დაიწყო ომი. ძალიან გაჭირდა. ლუკმაპური პრობლემად იქცა. თოთხმეტი წლის ყმაწვილი უკვე დიდი კაცივით ვშრომობდი.

ბატონმა არჩილმა კვლავ ვაგონის სარკმელში გაიხედა. თითქოს იქიდან ისევ მისი სოფელი ჩანდა, ოღონდ ამჯერად პირქუშად შეფერილი.

- ომზე რამდენი დაწერილა!.. - თქვა ისეთი ტონით, რომ ვიგრძენი, არ აპირებდა ბევრის თქმას ომზე.

- ომზე რამდენი დაწერილა და თქმულა!.. მე ომის დროიდან ყველაზე მეტად დამახსომდა ჩვენსოფლელი ბიჭების გაწვევა 1941 წლის ზაფხულში. კარგად მახსოვს, ზუსტად ოთხმოცდაჩვიდმეტი წვევამდელი წაიყვანეს. გამგზავრების წინა დღეს ყველანი შეიყარნენ და იქეიფეს. გამგზავრების მომდევნო დღეს კი ყველა, უკლებლივ ყველა დაიღუპა ზღვაში, ქერჩის მისადგომებთან. ქეიფის დღეს ეკლესიის ეზოში გაიშალა სუფრა. არც ერთი ჩვენსოფლელი მამაკაცი არ დაკლებია იქაურობას. მეც დილიდან იქ ვტრიალებდი. სამზადისში ვეხმარებოდი. როცა სანადიმოდ დასხდნენ, ღვინო და კერძები მომქონდა. შეზარხოშებულებმა მეც დამიწყეს ღვინის დაძალება, დალიე, უკვე კაცი ხარო. მეც დავლიე რამდენიმე ჭიქა. უარი ვერ ვთქვი, სუფრაზე ხომ თვრამეტი წლის ბიჭებიც ისხდნენ, ჩემზე ოთხიოდე წლით უფროსები. სასალდათე ასაკის ბიჭები უკვე გაწვეულნი იყვნენ 1939 წლის ტოტალური მობილიზაციის დროს. ორმოცდამეერთეში გაიწვიეს ისინი, ვისაც ის-ის იყო შეუსრულდა თვრამეტი და მათთან ერთად ოცდაათ-ორმოცი წლის კაცები. ლხინი რომ გახურდა, ჩემი და დავინახე, მე მეძახოდა. მერე მოირბინა და მითხრა, დედამ თქვა, ეხლავე მოვიდეს შინო. უკვე ბინდი იყო ჩამოწოლილი. ღვინისგან თავი გამბრუვდა. გული მერეოდა. წავყევი შინ. დავდე თუ არა ბალიშზე თავი, იმწამსვე ჩამეძინა. გამთენიისას ძალიან ცუდ გუნებაზე გამეღვიძა. ნელ-ნელა გავიხსენე წინა დღე. სიმღერა, ცეკვა, დოლ-გარმონი, სიცილ-ხარხარი. მაგრამ ეს ყველაფერი მახსოვდა არა როგორც ლხინი, არამედ როგორც ქელეხის სუფრა. გული მეწურებოდა ალბათ, მიგრძნობდა გული მოსახდენს. მალე ოთხმოცდაჩვიდმეტი სიკვდილის უწყება მოვიდა სოფელში. ეს მხოლოდ ამ ბიჭებისა და სხვა დროს გაწვეულებიც ხომ იღუპებოდნენ! ხალხში დაირხა ხმა, რომ ერთი ძალიან პატივცემული, გამრჯე მოხუცი, სახელად თეოფილე, სოფლის ფოსტალიონი ჭკუაზე შეშალა ამდენი შეცხადების ხილვამ და სმენამ. დილაობით გზაში მომავალი თეოფილე თავის თავს ელაპარაკებოდა ხმამაღლა, თუ გამოელაპარაკებოდი, სულელურ პასუხს გაგცემდა, საღამოობით კი თითქმის ყოველთვის მთვრალი ბანცალებდა სოფლის ქუჩებში. თუმცა ადრე არავის ენახა თეოფილეს ლოთობა.

დედა ყოველღამ ლოცულობდა, ჩემს შვილს არ მოუწიოს ფრონტზე წასვლაო. შეისმინა ღმერთმა. მეც შევსრულდი თვრამეტის და ომიც დამთავრდა. ორმოცდამეხუთეს მაისში მე უკვე თბილისის უნივერსიტეტის ბიოლოგიის ფაკულტეტის პირველ კურსს ვხურავდი.

ბატონმა არჩილმა ჭიქა აიღო სადღეგრძელოს სათქმელად, მაგრამ შენიშნა, რომ ჩემს ჭიქაში არ ესხა. ჩამისხა. ძალიან ცოტა-ცოტას ასხამდა, ოც-ოცდახუთ გრამს. ადღეგრძელა ისინი, ვინც საქართველოსთვის უთვალავ ომში თავი გაწირა. მეც ვადღეგრძელე. დავლიეთ.

- ორმოცდამეოთხის სექტემბერში დედაჩემისგან წერილი მივიღე. როცა ფოსტალიონმა ბარათი მომიტანა უნივერსიტეტში გავრბოდი, ლექციაზე მაგვიანდებოდა. ამიტომ მაშინვე არ წავიკითხე. ლექციების შემდეგ გამოვედი უნივერსიტეტის ბაღში წერილის წასაკითხად, მაგრამ თავისუფალი სკამი ვერ ვნახე. წავედი ბაღის სიღრმეში. იქ ერთი გრძელი სკამი იყო თავისუფლი, მხოლოდ ერთი ჭაბუკი იჯდა სკამის კიდეზე. მე მეორე კიდეზე ჩამოვჯექი. დავიწყე თუ არა კითხვა, ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ დედა მობოდიშების ტონზე მწერდა. ჩავიკითხე ბოლომდე და ძალიან ცუდ გუნებაზე დავდექი; ჩემი და გათხოვდა. მეწყინა, ჯერ ერთი, ის, რომ მე, ოჯახის უფროსს, ერთადერთ მამაკაცს ოჯახში, არაფერი მკითხეს. კიდევ ის მეწყინა, რომ ჩემი სიძე გამხდარა კაცი, რომლისადმი ანტიპათიით ვიყავი განწყობილი.

- რომელი საათია, ხომ არ იცი? - მითხრა იმ ახალგაზრდამ, რომელიც ჩემს სკამზე მჯდომი დამხვდა. იგი თავზე წამომდგომია. საშუალო სიმაღლისა იყო, ძვალმსხვილი. სამხედრო უნიფორმა ეცვა. მარჯვენა ხელი იდლიაში ჰქონდა მოკვეთილი. ცარიელი სახელო ფრენჩზე შემორტყმულ ქამარში ჩაეტანებინა. ვუთხარი საათი. ისევ სკამზე ჩამოჯდა. ამჯერად ჩემთან ახლოს.

- ცუდი ამბავი ხომ არაფერია? - მითხრა და თვალებით ბარათზე მიმანიშნა.

- ისე რა, - წერილი კონვერტში ჩავდე და გულისჯიბეში შევინახე.

- სოლომონი, - მითხრა ახალგაზრდამ და მარცხენა ხელი ჩამოსართმევად გამომიწოდა. - სოლომონ მირიანაშვილი.

მეც ვუთხარი ჩემი სახელი და გვარი.

- მაპატიე, კი არ გადაგკიდებივარ, - მითხრა მან, - მაგრამ გეტყობა, მთლად სასიამოვნო ამბავი არ უნდა შეგეტყო.

- მთლად სასიამოვნო არა.

ასე დაიწყო ჩემი და სოლიკოს მეგობრობა. უნივერსიტეტის ბაღში კარგა ხანს ვისაუბრეთ. მერე გაირკვა, რომ ერთი მიმართულებით ვიყავით წასასვლელი. მე შინ მივდიოდი. ვერეზე, ახლანდელი მელიქიშვილის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქუჩის მიდამოებში პატარა ოთახი მქონდა ნაქირავები. სოლიკო ზემელზე მიდიოდა. წამოვედით ერთად. იქ, სადაც ახლა სასტუმრო "საქართველოა", სოლიკომ იდაყვში ხელი მომკიდა.

- თითო ლუდი დავლიოთ, - მითხრა და პატარა დუქნისკენ მიმანიშნა.

უარი ვთქვი, დალევა არ მიყვარდა, არასდიდებით არ მომეშვა. შევყევი. ჯერ ორი კათხა დადგა მაგიდაზე, მერე ორი ულუფა კერძიც მოაყოლა. ლუდი ერთბაშად დალია და თავისთვის კიდევ ერთი კათხა დაასხმევინა. მე ოდნავ ვწრუპავდი. მან მეორე კათხაც გამოცალა. თან თავის თავგადასავალს ყვებოდა. ყველაფერი მიამბო, თითქოს ხვდებოდა, რომ ეს არ იყო ჩვენი უბრალო შეხვედრა, არამედ დიდი მეგობრობის დასაწყისი და ამიტომ მე ყველაფერი უნდა მცოდნოდა მასზე. გავიგე, რომ სოფელში დაბადებულა, კახეთში. დედა ადრე მოკვდომია, თითქმის არც კი მახსოვსო. მამას რამდენიმე წლის შემდეგ მეორე ცოლი შეურთავს. ახლა ოქროს უბანში ვცხოვრობ, გოგოლის ქუჩაზეო. მასაც პატარა ოთახი ჰქონია ნაქირავები. ჯარში 1939 წლის ნოემბერში გაუწვევიათ. უომია ფინეთში, ბესარაბიაში, ხელი სამიოდე თვის წინ დაუკარგავს მდინარე დასავლეთ დვინის ფორსირების დროს, ბელორუსიაში.

მეც გამიჩნდა სურვილი, მეთქვა მისთვის, რაზე ვიყავი გულმოსული. ოღონდ სრულად არ მითქვამს. ვთქვი მხოლოდ, რომ და გამითხოვდა ჩემს უკითხავად. სიძე საერთოდ არ მიხსენებია.

- მერე, შე კაცო, ეგ არის საწყენი! - წამოიძახა სოლიკომ. - ქეიფის ხასიათზე უნდა იყო, - თქვა თუ არა, წამოხტა და, ჩემი გაბრძოლების მიუხედავად, ორი ბოთლი ღვინო გამოართვა მედუქნეს. ბოთლები იარლიყების მხრით მომიტანა თვალებთან. - მშობლიური რვა ნომერი! ამის არდალევა როგორ შეიძლება, ჩემო აჩიკო?! ფრონტზე ამდენს არაყს ვსვამდი. რუსებმა დამაჩვიეს არაყს. ბოლოს მათზე მეტს ვსვამდი.

არანაირი სასმელი არ მსიამოვნებდა. ნახევარი ბოთლიც არ დამილევია. დანარჩენი თვავად გამოწრუპა. მერე შინ მიმაცილა. ზემელზე რომ საქმე ჰქონდა, მგონი, სულ გადაავიწყდა. მეორე დღეს გამთენიისას დამადგა თავზე. უნივერსიტეტში წავიდეთო. მას შემდეგ ერთი დღეც არ ყოფილა, რომ ერთმანეთს არ შევხვედროდით. საათობით ვსაუბრობდით. არაფერი გვქონდა ერთმანეთისგან დამალული. ორივეს საოცარ მოთხოვნილებად გვექცა შეხვედრა და საუბარი. დილაობით გმირთა მოედნამდე ტრამვაით მოდიოდა. მერე ამოუყვებოდა ვარაზის ხევს. მაშინ მართლა ხევი იყო და არა მოკირწყლული აღმართი. ამოვიდოდა უნივერსიტეტთან და იქიდან ჩემსკენ მოდიოდა. მერე ჩემი თანხლებით ბრუნდებოდა უკან.

ერთ დღეს, შვიდ ნოემბერს გადამეკიდა, ერთი კარგი დუქანი ვიცი საბურთალოსკენ, წამო, ვიქეიფოთო, რაღაც ძალიან მომწყურდა დღეს ღვინოო. არ მინდოდა, მაგრამ არაფრით არ მომეშვა. ძლიერი მკლავი რკინის სალტესავით შემომაჭდო ბეჭებზე და თითქმის წამათრია.

დოლიძის ქუჩაზე ნახევრად სარდაფში ჩამიყვანა.

- სეფე ძიას გაუმარჯოს! - ზღურბლიდან აწია ხელი:

- გაუმარჯოს სოლიკოს! - დახლს იქით ხნიერმა, სქელულვაშა კაცმაც ხელი აწია.

- პური გვაჭამე, სეფე ძია. ოღონდ შენ რომ იცი, იმ ღვინისა მომიტანე. სხვას არ დავლევ.

- დაბრძანდით, შვილო, დაბრძანდით.

სეფე ძიამ ვიღაც ქალი ახსენა, ავად გახდა, მის მაგივრობას რზგოე სწევსო.

- რზგოე! - გასძახა მეორე ოთახში სეფე ძიამ. - მოდი, მოხედე ბიჭებს.

- დაბრუნდა! - სიხარულით შესძახა სოლიკომ. ამ დროს კარში ქურთის ბიჭი გამოჩნდა. სოლიკო წამოხტა. ერთმანეთს გადაეხვივნენ.

- ვაა, ხელი რა უყავი? - ხუმრობის კილოზე თქვა რზგოემ.

- ფრონტზეა, ომობს.

- აი, მე სამი თითი დავტოვე, ეყოფათ ნემცებს, - მარჯვენა ხელი ასწია. ნახევარი მტევანი მოგლეჯილი ჰქონდა. რზგოე ერთი კვირის დაბრუნებული ყოფილა ფრონტიდან. ომამდე მტვირთავად უმუშავია. ჩიოდა, ეხლა არ ვიცი რა ვქნაო. სეფე ძიას შევეცოდე და მამუშავებს ცოტა ხანსო.

სუფრა მალე გაიშალა. სოლიკომ დაიჟინა, ორ კაცში თამადა არ ნახულა, რიგრიგობით ვთქვათ სადღეგრძელოებიო. მაგრამ არ დავთანხმდი. ბოლოს ხელი ჩაიქნია, რა იცით იმერლებმა სადღეგრძელოებისა და ქეიფისო. ადრე ვუხსნიდი იმერელი კი არა, მეგრელი ვარ-მეთქი. ბოლოს თვითონ ამიხსნა, კახელები ყველა დასავლელს იმერელს გეძახითო.

სოლიკოს თამადობის საოცარი ნიჭი ჰქონდა. პირველ სადღეგრძელოში, სავალდებულოში, ხომ ძნელია რაიმე ახლის თქმა, მაგრამ ის ახერხებდა, ისე ლაპარაკობდა მშობლებზე, დედმამიშვილებზე, წინაპრებზე, ჩვენგან წასულებზე, ბავშვებზე, სტალინზე, სამშობლოზე... იტყოდი, პირველად მესმის ეს სადღეგრძელოო. მე ძალისძალით ვსვამდი. ის ადგილებიც ადღეგრძელა, სადაც ჩვენ დავიბადეთ და გავიზარდეთ, ისე დახატა თავისი სოფელი, რომ მომეჩვენა, მეც იქ ვიყავი დაბადებული და გაზრდილი. რამდენიმე ჭიქა დავლიე და რაღაცნაირი, მანამდე უცნობი გრძნობა დამეუფლა. საოცარი სიამე ჩამღვარა სხეულში. სიამე და სიყვარული. მივხვდი, რომ ყველა და ყველაფერი მიყვარს. მინდა გადავეხვიო და გადავკოცნო სოლიკო, რზგოე, სეფე ძია. ის ორი კაციც მიყვარს, ახლა რომ დასხდნენ ჩემს წინ გრძელ მაგიდასთან. უცნაურად დასხდნენ, ორივე ზურგით კედლისკენ, გვერდიგვერდ, ფიროსმანის მოქეიფეებივით. ორივე ცალხელაა. ერთს, რომელიც, ეტყობა, რუსია, მარჯვენა აქვს მოკვეთილი იდაყვის ზემოთ. მეორეს, ქართველს, მთელი მარცხენა მკლავი აკლია... სოლიკომ თითქოს გულში ჩამხედა, სიყვარულის სადღეგრძელო თქვა. არაჩვეულებრივად ავარაყებს სიტყვას. ვუსმენ და მეც მინდა, შემეძლოს ასე მოვარაყება სადღეგრძელოსი, რომ ვთქვა, როგორ მიყვარს ყველა, ჩემი სიძეც კი, რომელიც მანამდე არასოდეს მეხატებოდა გულზე. სამწუხაროდ, მე ვერ ვთქვი სოლიკოსავით. თუმცა კი ვცადე. არაუშავს, ვიფიქრე, თანდათან მეც ვისწავლი, მეც შევძლებ-მეთქი სოლიკოსავით.

- ახალგაზრდებო, - მომესმა უცებ. გავიხედე და ვხედავ, ახლად მოსულები ფეხზე წამომდგარან, განსხვავებული სასმისები მაღლა, მხარს ზევით აუწევიათ და ჩვენ მოგვმართავენ. - ახალგაზრდებო, თუ შეიძლება ერთი წუთით მოგვაპყროთ ყურადღება. ამ სადღეგრძელოს თქვენ უთუოდ დალევდით, მაგრამ ჩვენ ახლა შემოვედით და ახლა ვადღეგრძელებთ დიად სტალინს!

მე და სოლიკო ფეხზე წამოვდექით და ჭიქები ავიღეთ.

- არა, განსხვავებულით, - თქვა კაცმა და რზგოეს გახედა. რზგოემ მაშინვე მოიტანა განსხვავებული სასმისები. დახლს იქით სეფე ძია იდგა, მასაც სასმისი ეჭირა.

- შენც, ახალგაზრდავ! - უთხრა კაცმა რზგოეს. მანაც დაიჭირა მარჯვენაზე შერჩენილი ცერით და საჩვენებელი თითით ჭიქა. თან შეხვეული მტევანი დაანახა

ეროვნული ბიბლიოთეკა

კაცებს. მოიბოდიშა, ახალნაოპერაციევი ვარ, დალევა ჩემთვის არ შეიძლებაო.

- დიად ბელადს გაუმარჯოს! - რუსულად ალაპარაკდა კაცი, რომ მის თანამეინახესაც გაეგო. ძალიან კარგად ლაპარაკობდა. თუმცა ისე ხატოვნად ვერ, როგორც სოლიკო. იქნებ, იმიტომ, რომ რუსულად ლაპარაკობდა. ახსენა იოსებ ბესარიონის ძე სტალინის დამსახურებები. სასწაული უწოდა იმას, რომ უზარმაზარი ჩამორჩენილი ქვეყანა, თანაც ჯერ მსოფლიო ომით, შემდეგ, განსაკუთრებით, სამოქალაქოთი დანგრეული სულ რამდენიმე წელიწადში ზესახელმწიფოდ აქცია. მერე დააზუსტა, - პარტიამ სტალინის ბრძნული ხელმძღვანელობით. თქვენო, მოგვმართა ახალგაზრდებს, ვერც კი წარმოიდგენთ, რა გვახსოვსო ჩვენ, უფროსი თაობის წარმომადგენლებს, თუმცა მე და მიტროფანიჩი, რუსს გადახედა, ჯერ არცთუ მაინცდამაინც ბებრები ვართო. ორმოცი-ორმოცდახუთი წლისანი იქნებოდნენ. ბედნიერები ხართ ახალგაზრდები, რომ ამ განსაცვიფრებელ აღმშენებლობას მოესწარითო. დამთავრდებაო ომი, უეჭველადო, ამბობდა. მე და მიტროფანიჩი დიდი ხანი არ არის, რაც ფრონტიდან დავბრუნდითო. მალე დამთავრდებაო, აღსდგება ფერფლიდან ქვეყანა და დატკბებითო სტალინის სასწაულებრივი საქმიანობის ნაყოფით. კაცმა ჩამოთვლა დაიწყო ამ სასწაული საქმეებისა...

უცებ ის დღე გამახსენდა, ოთხმოცდაჩვიდმეტი ჩვენსოფლელი ბიჭი რომ გაიწვიეს ფრონტზე. თამადა უჩა-უჩა იყო. ქეიფი რომ გახურდა და მორიგი სადღეგრძელო დალია, მე უჩა-უჩას წინ მსხდომებს შევუვსე სასმისები. უჩა-უჩა უცებ ფეხზე წამოიჭრა. მე ჩავიხითხითე. უჩა-უჩა ძალიან ენამოსწრებული ბიჭი იყო, სულ ხუმრობდა. ამჯერადაც რაღაც სასაცილოს თქმას ველოდი მისგან. მაგრამ შევხედე მას და გავვოცდი. არასოდეს შემინიშნავს მისთვის ასეთი გამომეტყველება. ნაკვთები ფოლადისა გახდომოდა, მზერა სამართებელივით ბასრი. "სტალინს გაუმარჯოს!" დაიძახა მან. "ჩვენს დიად ბელადს გაუმარჯოს!" მესუფრეები ხმაურით წამოიშალნენ. "გაუმარჯოს! ბელადს გაუმარჯოს!" გაისმა და აწკარუნდა ჭიქები. უჩა-უჩა სტალინის დიად საქმეებზე ალაპარაკდა. აი, კოლხეთიო, თქვა და ირგვლივ მოავლო ხელი. აი, კოლხეთი, ნახეთო, რა იყო და რა არისო! სადღააო ჭაობი! სადღააო მალარია! და მანაც ჩამოთვალა, როგორც ეს კაცი თვლიდა ახლა, სტალინისა და პარტიის მიერ მოხდენილ სასწაულებს. ახსენა საავადმყოფოები, ბიბლიოთეკები, სკოლები... ეხლა რომ გლეხებმა ოდა-სახლები წამოჭიმეს, წინათ შარვაშიძეებს არ ჰქონდათო! ჭაობის ადგილზე სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები ჩქეფსო... უჩა-უჩამ სულმოუთქმელად დალია. სადღეგრძელო ყველამ აიტაცა. ახმაურდა სუფრა.

- მომისმინეთ! - მთელი ხმით დაიყვირა უჩა-უჩამ, - მომისმინეთ, - ყვიროდა იგი, მაგრამ ხალხი ხმაურობდა.

- ფრონტზე თურმე... - ყვირის უჩა-უჩა და ორივე ხელს იქნევს, მომისმინეთო. მოქეიფენი თანდათან ჩაჩუმდნენ.

- ფრონტზე შეტევის წინ ან სიკვდილის წინ თურმე, იცით, რას შესძახიან ხოლმე ფრონტზე ჩვენი ბიჭები?...

სრული სიჩუმე ჩამოვარდა. უჩა-უჩამ კიდევ ერთხელ გაიმეორა ეს შეკითხვა და თავად უპასუხა:

- За родину! За Сталина!

სუფრამ იფეთქა, დიდხანს მოუხდა უჩა-უჩას ყვირილი და ხელების ქნევა, რომ კიდევ ერთხელ დაეშოშმინებინა თანამეინახენი და ეთქვა:

- ჩვენგანაც ყველა... - ჩაახველა ოდნავ შესამჩნევად ამოიოხრა, - ... ვერ დაბრუნდება. სიკვდილის წინ ჩვენც დავიძახებთ: За родину! За Сталина!

- За родину! За Сталина! За родину! За Сталина!... - ხმაშეწყობით აგუგუნდა სუფრა. დიდხანს იგუგუნა. ორი დღის სიცოცხლეღა ჰქონდათ. როცა გემს ყუმბარა მოხვდა, როცა ჩაძირვა დაიწყო, მაშინაც ესე გუგუნებდნენ: За родину! За Сталина! За родину! За Сталина!... შემეშინდა, ცრემლები არ წამომსვლოდა. თითებით შუბლის სრესა დავიწყე თვალების დასაფარავად.

- ყმაწვილო, რამდენი წლის ხარ? - მე შემომხედა კაცმა, სადღეგრძელო უკვე დაამთავრა, დალია კიდეც.

- ჩვიდმეტის, - ვთქვი მე.

- შენთან ვარ ალავერდს. ყველაზე ახალგაზრდა ხარ.

მეც ვილაპარაკე. არცთუ დიდხანს, არცთუ კარგად, მაგრამ ძალიან მგზნებარედ. შემდეგ ძია სეფე ალაპარაკდა. მან თქვა, რომ ძველი ტფილისიდან ახსოვს სოსო. ჩვენ ერთი წლისანი ვართო. ის სემინარისტი იყოო. ერთხელ, მახსოვსო, ბერიკაობაზე ხარფუხში იჭიდავაო. მაშინვე ეტყობოდა სიმარჯვეო. შემდეგ სოლიკო ალაპარაკდა. გავვოცდი, რომ წეღან სტალინის სადღეგრძელოზე თქმული არც ერთი სიტყვა არ გაუმეორებია. აზრი, ცხადია, იგივე იყო, მაგრამ სულ სხვა სიტყვებით მოაჩუქურთმა სადღეგრძელო. სოლიკოს შემდეგ რუსმა თქვა. ჯერ მოიბოდიშა, ქართველებს ვერ შეგედრებით სუფრაზე ოსტატობაში, ეს ხომ თქვენი მოგონილიაო. მაგრამ მანაც ძალიან შთამბეჭდავად ილაპარაკა. დროდარო გრუზა, ჭაღარაშერეული ქოჩორი, რუსები чуб-ს რომ ეძახიან, შუბლზე ჩამოეშლებოდა ხოლმე. ინსტინქტურად ხელს წევდა, чуб-ს უკან გადასავარცხნად, მაგრამ ახსენდებოდა, მკლავი რომ განახევრებული ჰქონდა, თავს გადაიქნევდა ხოლმე და უკან იყრიდა თმას. მიტროფანიჩზე უკვე ემძლავრა კახურ ღვინოს, ძალზე აღგზნებული იყო. სადღეგრძელო დაამთავრა, ჭიქა ტუჩებისკენ წაიღო, მაგრამ, ეტყობა, კიდევ რაღაც გაახსენდა, არ დალია, სადღეგრძელო განაგრძო.

- ის ხომ აქ დაიბადა, ამ მიწაზე, - განახევრებული ხელი მოავლო ირგვლივ. - აქ დაიბადა, აქ! - იმეორებდა, რადგან დარწმუნებული იყო, რომ არ გვესმოდა, ანუ ბოლომდე, მთელი სიგრძე-სიგანით არ გვქონდა გაცნობიერებული, რასაც გვეუბნებოდა: - აქ დაიბადა. მე იმ კურთხეულ მიწაზე მიდგას ფეხი, რომელზეც ეს გენიოსი დაიბადა!!! - ეს ფრაზაც გაიმეორა. ამას უკვე თავის თავს ჩასჩიჩინებდა, რომ ბოლომდე ეგრძნო, რა ბედნიერება ხვდა წილად ბელადის მშობელ მიწაზე ფეხის დადგმით.

- აქ... - კიდევ ერთხელ დაიწყო მიტროფანიჩმა, მაგრამ სიტყვა გაწყვიტა და მოკვეთილი ხელი ჩაიქნია. შეიძლება, ისიც იფიქრა, ბოლომდე ვერც მე გავაცნობიერებ, რა ბედნიერება მხვდა წილადო. ღვინო ისე გადაყლაპა, როგორც ას გრამს ყლაპავენ რუსები. მაგრამ მაინც არ დამჯდარა. ისევ სტალინის დიად საქმეებზე განაგრძო ლაპარაკი.

მე უცებ, როგორღაც ერთბაშად ვიგრძენი, რა ბედნიერებაა, რომ მეც ქართველი ვარ და ისიც! თვალები მივლულე და ისე ცხადად დამიდგა თვალწინ ჭაღარა, პირმრგვალი, სქელულვაშა კაცი, თითქოს ახლა აქ იყო და მე მიღიმოდა თავისი თბილი, მზრუნველი ღიმილით... იგი მიღიმის! მეც ქართველი ვარ ისევე, როგორც იგი! მეც გავუღიმე. მერე შემეშინდა ჩემი სითამამის, მაგრამ მან ღიმილითვე გამამხნევა. და მე მინდა, რაღაც ვუთხრა. მინდა, გამოვხატო მისდამი ჩემი მადლიერება, სიყვარული, მაგრამ ტუჩი ტუჩს ეწებება,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ენა გახევდა... მერე ათასი სურათი დატრიალდა ჩემს თვალწინ. ზურმუხტისფრად მობიბინე კოლხეთის დაბლობი, მოგუგუნე ფაბრიკა-ქარხნები, მშენებლობები... მშენებლობები... მშენებლობები....

- გაიღვიძე, გაიღვიძე! - მანჯღრევს სოლიკო მაგიდაზე შუბლდადებულს. წამომაყენა და მხარში შემიდგა. კაცებს უკვე პალტო ჩაუცვამთ და კართან გველოდებიან. გარეთ გამოსული ცივმა ნიავმა გამომაფხიზლა. კაცები ვეძისისკენ წავიდნენ. იქ ჰქონია სახლი ქართველს. ჩვენ გმირთა მოედნისკენ დავეშვით. პოლიტექნიკური ინსტიტუტის პირველი კორპუსის ფასადზე მარქსის, ენგელსის, ლენინისა და სტალინის დიდი, განათებული სურათები ჰკიდია, ომი ძალიან დაშორდა თბილისს და ღამით ქალაქს აღარ ნიღბავდნენ. კორპუსის ფანჯრებზე ჰკიდია უფრო პატარა სურათები პოლიტბიუროს წევრებისა. ჩვენ საპირისპირო ტროტუარზე მოვდივართ. გათოვებულა და ფეხქვეშ თოვლი ჭრაჭუნობს. სტალინის მოღიმარ სურათს ნიავი არხევს და სახის გამომეტყველებას უცვლის. თითქოს ცოცხალი სტალინია. ჩვენ გვაყოლებს თვალს. კვლავ არაჩვეულებრივი სიმწვავით განვიცადე ბედნიერება იმისგან, რომ ქართველი ვარ და კიდევ იმისგან, რომ იგი ასობით მილიონ ადამიანთან ერთად ჩემზეც ზრუნავს! რა იქნებოდა, რომ იგი არ დაბადებულიყო! ამაზე ფიქრიც არ მინდოდა!.. პოლიტბიუროს წევრთა სურათებს გავაყოლე თვალი. ომის დროინდელი პოლიტბიუროს შემადგენლობა ახლაც ზეპირად მახსოვს. არც ერთი არ გამომრჩება: ანდროპევი, ვოროშილოვი, კაგანოვიჩი, კალინინი...

მოულოდნელად ბატონმა არჩილმა ჩამოთვლა შეწყვიტა.

- არა, - თქვა მან. - მე მახსოვს ყველა მათგანის სახელი და მამის სახელიც. ომის დროს პოლიტბიუროს შემადგენლობა არ შეცვლილა. ამიტომ მახსოვს. ეხლაც ჩამესმის ყურში, რადიოში ლევიტანი რომ ჩამოთვლიდა ხოლმე მათ სრულ Ф.И.О-ს: ანდრია ანდრიას ძე ანდრეევი, კლიმენტ ეფრემის ძე ვოროშილოვი, ლაზარე მოსეს ძე კაგანოვიჩი, მიხეილ ივანეს ძე კალინინი, ანასტას ივანეს ძე მიქოიანი, ვიაჩესლავ მიხეილის ძე მოლოტოვი, ანდრია ანდრიას ძე ჟდანოვი, ნიკიტა სერგის ძე ხრუშჩოვი... გამომრჩა ვინმე? - თავის თავს ჰკითხა ჩემმა თანამოსაუბრემ და ცოტა დაფიქრების შემდეგ პასუხიც გასცა: - არავინ. წევრობის კანდიდატები იყვნენ: ლავრენტი პავლეს ძე ბერია, ნიკოლოზ ალექსის ძე ვოზნესენსკი, გიორგი მაქსიმილიანეს ძე მალენკოვი, ნიკოლოზ მიხეილის ძე შვერნიკი, ალექსანდრე სერგის ძე შჩერბაკოვი.

...გმირთა მოედაზე სოლიკო არ მეშვება, გინდა თუ არა შინამდე უნდა მიგაცილოო. ჩემზე 5-6 წლით უფროსი იყო და თავს მოვალედ თვლიდა, მამაშვილურად ეზრუნა ჩემზე. მე არ ვქენი. მან დაიჟინა. მე ავყვირდი, როგორც მეტისმეტად მზრუნველ მამას აუყვირდება ხოლმე განებივრებული შვილი. სოლიკო იძულებული გახდა, ჩემთვის თავი დაენებებინა. ჩელუსკინელების ქუჩას გაუყვა ოქროს უბნისკენ.

მოულოდნელად ბატონ არჩილს სახეზე ზიზღი გამოეხატა. გავოცდი. მაგრამ მან განაგრძო თხრობა და გავიგე, რაც იწვევდა მის ზიზღს.

- იცით, უკვე რამდენჯერმე მივეცი პირობა ჩემს თავს, რომ აღარასოდეს ვილაპარაკებდი ინტელიგენციის წარმომადგენლებთან, განსაკუთრებით ახალგაზრდებთან - არც რუსებთან, არც ქართველებთან - ოციანი, ოცდახუთიანი, ორმოციანი წლების შესახებ... მე საერთოდ ასეთი კაცი ვარ, - გულს მირევს სნობიზმი, მეზიზღებიან პიჟონები. ჩვენს ელიტაში ბოლო ხანს პიჟონური წარმოდგენები დამკვიდრდა იმ ეპოქაზე, მოდად შემოვიდა. - ბატონ არჩილს ღიმილი, ზიზღიანი ღიმილი დაეფინა ტუჩებზე. - პიჟონებმა ყველაფერი იციან, ყველაფერი! ვინ კარგი იყო, ვინ ცუდი იმ დროში. ორი ფერი - შავი და თეთრი ჰყოფნით საოცარი, ისტორიაში, შესაძლოა, ყველაზე საოცარი ეპოქის დასახატად...

ბატონი არჩილი კვლავ ოცდაათიანი წლების ვითარებაზე ალაპარაკდა. გაიმეორა ადრე უკვე მის მიერ თქმული, მაგრამ გაიმეორა დასკვნის სახით, მოკლედ, თეზისურად. აქ გადმოგცემთ მისგან ორგზის გამეორებულ მოსაზრებებს. თუმცა კი მიჭირს ამის გაკეთება, რადგან, როგორც უკვე მოვახსენე მკითხველს, თანამგზავრის თეორიული მსჯელობა თავის დროზე არ ჩამიწერია დაწვრილებით. არსის გადმოცემა კი შემიძლია:

- მეოცე საუკუნის პირველ ნახევარში ყველაფერი ძალიან მარტივად ყოფილა თურმე. ეს ყველამ ვიცით, ვინც ელიტის წრებში ვტრიალებთ. არ დაეთანხმები ამგვარ შეფასებას და ან ბრიყვი ხარ, ან უშიშროების ფარული ინფორმატორი. ამიტომ, ვინც არ ეთანხება, - არიან ასეთებიც, ძირითადად უფროს თაობაში, არიან, - პირად საუბრებში დუმს ან თავს იქნევს ასკილივით...

კარგად მახსოვს, ბატონმა არჩილმა ძალიან ბევრჯერ ახსენა სნობები და პიჟონები, თუმცა ჩანაწერებში, მათი ზოგადი ხასიათის გამო, ეს გამოთქმები არ დაფიქსირებულა. სნობთა და პიჟონთა წარმოდგენები ოციან-ორმოციან წლებში ჩემმა თანამოსაუბრემ ამგვარად დაახასიათა:

- კაპიტალიზმი არის ედემი და ჩვენს ქვეყანას ამ ედემში ედგა ფეხი საუკუნის დამდეგს. მართალია, საქართველო (და ამაზე ჩივილს ხშირად გაიგონებ ქართველებისგან) ედემში იყო არა თავისთავად, ანუ როგორც სუვერენული ქვეყანა, არამედ როგორც ნაწილი სხვა ქვეყნისა, ის სხვა ქვეყანა კი ვერ იყო მაინცდამაინც სანაქებო (ამას რუსებიც ჩივიან), მაგრამ, ასეა თუ ისე, მაინც ედემში ვიყავით, თუნდაც ცალი ფეხით. გავიდოდა ცოტა დრო და მეორე ფეხსაც აუცილებლად შევდგამდით იქ! ვინეტარებდით კაპიტალისტური ზღაპრით!.. მაშ, რატომ მოხდა, რომ მეორე ფეხის შედგმის ნაცვლად, პირველიც გამოვდგით ედემის ბაღიდან? მიზეზი ის ყოფილა, რომ დაიბადა რამდენიმე ცუდი კაცი. სულ რამდენიმე, მათს ჩამოთვლას ერთი ხელის ყველა თითიც კი არ სჭირდება. მერე კი ცუდი კაცები გახდნენ ბელადები და ამ ბელადებმა მიზნად დაისახეს, რადაც უნდა დასჯდომოდათ, გამოეთრიათ ხალხი ედემიდან, მოესპოთ კაპიტალისტური ზღაპარი, მოესპოთ განცხრომა სიმაძღრით, კომფორტით, ფუფუნებით...

კი მაგრამ, ხალხი რატომ აჰყვა ოთხიოდე ბელადს? აქ უკვე, ცოტა არ იყოს, უჭირს პასუხის გაცემა ჩვენს სნობ ელიტას. თუმცა პასუხი მაინც მზადაა: ჯერ ერთი, ბელადები იყვნენ არა მხოლოდ ოთხნი, არამედ, ნახევრად ბელადების ჩათვლით, რამდენიმე ათეული. არც ეს რაოდენობა კმარა რამდენიმე ასეული მილიონი ადამიანის ედემიდან ყურით გამოსათრევად? კი ბატონო, მაგრამ ბელადებს უამრავი ამფსონი გამოუჩნდათ. ეს იყო ბოროტი და შურიანი ხალხი, ვინც, ოღონდ ვინმესთვის ევნო, ბელადთა ნებისმიერ ბრძანებას ასრულებდა. რამ გააჩინა ამდენი ბოროტი კაცი? ამაზე პასუხის გაცემა კიდევ უფრო ძნელია პიჟონებისთვის. მაგრამ მაინც გვიხსნიან, რომ საქმე არა იმდენად შურსა და ბოროტებაშია, რამდენადაც რკინის ფარდაში; ჩვენი ხალხი მოატყუეს, დაუმალეს სიმართლე კაპიტალისტურ ედემზე...

ეს ტირადა ბატონმა არჩილმა თითქმის სხაპასხუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

პით და მოუცილებელი ზიზღიანი ღიმილით წარმოთქვა. შემდეგ გაჩუმდა, სახეზე სევდა გამოესახა.

- ცუდი ბედი ერგოთ ადამიანებს, რომელთაც ოციან-ორმოციან წლებში იცხოვრეს... - თქვა ეს და მაშინვე გაასწორა, - ცუდი ბედი გვერგო! ჩვენ თითქმის ერთსულოვნად ვიყავით აღტაცებულნი იმით, რაც ქვეყანაში ხდებოდა. მთელი არსებით ერთგულნი ვიყავით სტალინისა. დღეს კი გვეუბნებიან ან დამნაშავენი ხართ, ან ბრიყვებიო. მესამე არ არსებობსო... დამნაშავეობისა რა მოგახსენოთო, ჩემო თემურ, მაგრამ ბრიყვი ნამდვილად არის, ვინც ასე მსჯელობს!..

ბატონმა არჩილმა უცნაურად შემომხედა. უხერხულობა ჩანდა მის მზერაში. ეტყობა, იმან შეაწუხა, რომ უკანასკნელი მოსაზრება ჩემს თავზე არ მიმეღო. მაგრამ, ალბათ, იმწამს გაახსენდა, რომ მე არც ერთი ფრაზით არ გამომიხატავს აზრი ელიტაში დამკვიდრებული სტალინის ეპოქის შეფასებებისადმი. რა თქმა უნდა, სრულიად ვიზიარებდი ამ მოსაზრებებს, მაგრამ ვაგონში ამაზე კრინტი არ დამიძრავს. მაშასადამე, არც იმის საფუძველი მქონდა, რომ თანამოსაუბრის მკვახე გამოთქმები ჩემი თავისთვის მიმეწერა: ბატონი არჩილი, ეტყობა, დაამშვიდა ამის გაფიქრებამ და მან უფრო დინჯად ნაკლებად სარკასტული ტონით განაგრძო:

- გულსატკენია, როცა ბრიყვად გთვლიან შენც და თითქმის ყველას, ვინც ოდესღაც შენს გვერდით ცხოვრობდა. ვისაც შენსავით სწამდა... ვერავითარი ფარდა, გინდა რკინისა და გინდაც ფოლადის, ვერასდროს იქცევა გონების ლიბრად. ცხოვრებას კაცი ჭკუით ხედავს და არა თვალით. ნებისმიერმა ბელადმა თუ ცრუ ბელადმა შეიძლება მოატყუოს არა ბრმა, არამედ სულელი! სტალინს და ბოლშევიკებს რკინის ფარდის იქით არანაკლები მომხრე ჰყავდათ, ვიდრე რკინის ფარდის აქეთ... ახლანდელ ახალგაზრდებს გიჭირთ იმ ეპოქის გრანდიოზულ მოვლენათა გააზრება. იმიტომ გიჭირთ, რომ დღევანდელი ეპოქის რეალობის მიხედვით აფასებთ 30-50 წლის წინანდელ ამბებს...

ბატონმა არჩილმა უცებ მაგიდაზე ჩამოდებულ ჩემს ხელს მოჰკიდა ხელი, ჩემკენ გადმოიხარა, სახე ჩემს სახესთან ახლოს მოიტანა და თითქმის ხვეწნით მითხრა:

- მე მინდა, თემო, სცადოთ იმ ეპოქის წარმოდგენა! წარმოიდგინეთ, რომ ჩემი თაობის კაცი ხართ. უფრო სწორად, ჯერ ბავშვი ხართ ან ყმაწვილი, ჭაბუკი. თქვენ დღეს ან გუშინ, სულ ცოტა ხნის წინათ დაიწყეთ სამყაროს აღქმა და ხედავთ იმას, რაც მე დავინახე, როცა პირველად აღვიქვი სამყარო. ეს ოცდაათიანი წლების სამყარო იყო. თუ იმ დროის წარმოსახვას შეძლებთ, რკინის ფარდას არც თქვენ ჩათვლიდით თვალის ლიბრად. არამედ ჩათვლიდით ჯებირად, ციხის გალავნად, რომელიც ყოველი მხრიდან მომდგარი უთვალავი მტრის შესაკავებლად ააგეს ხალხის მოამაგე მეციხოვნეებმა...

ბატონმა არჩილმა კონიაკის ბოთლი აიღო, დაისხა, ასწია, მაგრამ კვლავ მაგიდაზე დადო.

- მე მესმის თქვენი თაობისა... - თქვა მან, - ვფიქრობ, მესმის, თქვენ უმზერთ დღევანდელ გაბრჭყვიალებულ კაპიტალიზმს, ლიბერალ-დემოკრატიის საუფლოს და გიკვირთ, როგორ შეიძლება ვინმეს, ბოროტმოქმედის ან ბრიყვის გარდა, ამ სამყაროსთვის სტალინური ყაზარმა ემჯობინებინა. მაგრამ იმ ეპოქაში სულ სხვას ხედავდა ჩვენი თვალი და გონება... კაპიტალიზმი მაშინ არც ეკონომიკურად, არც პოლიტიკურად, არც სხვა თვალსაზრისით არ ჩანდა მიმზიდველი. ისტორიაში იშვიათად მომხდარა ისეთი ეკონომიკური კოლაფსი, როგორც ამერიკაში მოხდა ოციან-ოცდაათიანი წლების მიჯნაზე. ყოველდღე ათასობით ადამიანი იკლავდა თავს, ათი ათასები შიმშილით დაიხოცნენ. შიმშილობის პრობლემა ყველა დასავლური ქვეყნის წინაშე იდგა. უფრო შემზარავ შთაბეჭდილებას დასავლეთი პოლიტიკური თვალსაზრისით ტოვებდა. ტირანები მბრძანებლობდნენ ევროპულ ქვეყანათა ნახევარში. იყო დემოკრატიული ქვეყნებიც, მაგრამ სწორედ მათ დაიპყრეს ყველა სუსტი სახელმწიფო, ყველა პატარა ხალხი. ან რომელ დემოკრატიაზეა ლაპარაკი? ამერიკა წმინდა წყლის ფინანსურ-ოლიგარქიული სახელმწიფო იყო. ასეთი იყო ინგლისიც, საფრანგეთიც. იქ ტარდებოდა არჩევნები? უდავოდ ტარდებოდა, მაგრამ ასევე უდავოდ ვერავინ გაიმარჯვებდა იმ არჩევნებში ძალიან დიდი ფულის დაუხარჯავად...

ბატონმა არჩილმა კვლავ ხელში წამავლო ხელი, კვლავ გადმოიხარა ჩემკენ.

- მე ბევრ ქვეყანაში ვარ ნამყოფი, განვითარებულშიც, განუვითარებელშიც და დამიჯერეთ, დღესაც არჩევნებში იმარჯვებს მხოლოდ ის, ვინც ძალიან მდიდარია. არა, შეიძლება ღარიბი კაცის შვილმაც გაიმარჯვოს, ოღონდ თუ ძალიან მდიდრების სამსახურში ჩადგება. ეს ასეა დღესაც! ოღონდ დღეს ეს იფარება ოცდაათიან წლებში კი არ იფარებოდა.

ჩემი თანამოსაუბრე გაჩუმდა. ალბათ, პასუხის მოლოდინში. მეც ვდუმდი, ზედმეტად მიმაჩნდა კამათი ამ თემაზე, რადგან ყოველივე, რასაც იგი ამტკიცებდა, ჩემთვის ჩვეულებრივი კომუნისტური პროპაგანდა იყო, თუმცა არცთუ ტიპური კომუნისტური სტილით გამოთქმული.

- მთავარი ჩემი თაობისთვის იყო, იცით, რა? - მარქსისტული იდეოლოგიის ხიბლი! დავაზუსტებ: მარქსისტებმა პირველებმა თქვეს, ყველა ადამიანი, აბსოლუტურად ყველა აბსოლუტურად თანასწორიაო: დასავლეთში იმ დროს ადამიანებს კატეგორიებად ახარისხებდნენ. იყო ცალკე ვაგონები და სასტუმროები აზიელებისთვის, აფრიკელებისთვის. საბჭოთა კავშირში კი ყველა ძმად ცხადდებოდა. ყველას ეძლეოდა დაპირება არსებობისთვის აუცილებელი მატერიალური სახსრისა...

აქ, მგონი, პირველად ჩავერიე თანამგზავრის მსჯელობაში და ღიმილით ვთქვი:

- დაპირებას კი, დაპირებას ნამდვილად იძლეოდნენ...

- და განა თუნდაც ეს ცოტაა?! - მგზნებარე ტონით მომიგო ბატონმა არჩილმა. - მით უმეტეს, იმ ეპოქაში, რომლის წარმოდგენაც მე გთხოვეთ. თუმცა მესმის, რომ ძალიან სქემატურად დავხატე ეს ეპოქა... რა შუაში იყო რკინის ფარდა?! ურკინისფარდოდ და უშავსათვალოდ რა ჰქონდა კაპიტალიზმს მიმზიდველი?! თქვენ, თემო, ლიტერატორმა, გაიხსენეთ, რამდენი გენიალური ევროპელი და ამერიკელი მოწიწებით მოიხსენებდა ლენინისა და სტალინის სახელებს!.. 1922 წელს დამთავრდა სამოქალაქო ომი და ერთნახევარ ათწლეულში ერთი ათად გაუმჯობესდა ხალხის ცხოვრების პირობები. საბჭოთა კავშირის ეკონომიკა, მრეწველობა, ინდუსტრია პრაქტიკულად გაუთანაბრდა დასავლეთის ქვეყნებისას. ნუთუ ეს არ მიგვიზიდავდა იმ დროს ახალგაზრდებს!..

კომუნისტებმა ორიოდ ათწლეულში შეძლეს ის, რასაც ბურჟუაზიამ თავისი არსებობის საუკუნეების მანძილზე ვერ მიაღწია; კომუნისტებს არ ჰყავთ მათხოვარი ბავშვები და უმწეოდ მიყრილი მოხუცები. კომუნისტებმა მიაღწიეს საყოველთაო განათლებას და საყოველთაო უზრუნველყოფას საცხოვრებელი მინიმუმით...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბატონი არჩილი წამით შედგა. შემდეგ მითხრა, თითქოს ჩემი აზრი წაიკითხა:

- ვიცი, რასაც მიპასუხებთ. დასავლეთსაც გააჩნიათ ეს მიღწევები. მაგრამ კაპიტალიზმი არ არის მხოლოდ დასავლეთი ევროპა და ჩრდილოეთი ამერიკა. კაპიტალიზმი ყველა კონტინენტზეა. კაპტალისტურ ქვეყანათა უმრავლესობაში მე ჩემი თვალით მინახავს ხალხი, რომელიც, მიწას ჭამს, მინახავს ბავშვები, რომელთაც ბუზები ეხვეოდათ, როგორც ლეშს... სოციალიზმის სამყაროში ცხოვრება ყველგან თანაბარია. თანაბრად ასატანი... არა, თანაბრად ნორმალური!

თანამოსაუბრემ თვალი თვალში გამიყარა და მტკიცე ტონით დასძინა:

- ასი პროცენტით განა "ამერიკული ოცნება" ახდა?! თუ, იქნება, გადაჭარბებით შეასრულეს ამერიკელებმა თავიანთი გეგმა-ოცნება?! - კვლავ დუმილი ჩემი რეპლიკის ამაო მოლოდინში...

- ვიცი, დღევანდელ ახალგაზრდებს გული გტკივათ, რომ საქართველო არ არის დამოუკიდებელი. მაგრამ მაშინ ჩვენხელა ერები და ბევრი ჩვენზე გაცილებით მრავალრიცხოვანიც დაპყრობილი იყო ან დასაპყრობთა სიაში შეტანილი. ჩვენც დაპყრობილნი ვიყავით? კი ბატონო. მაგრამ, გამიგეთ, ჩვენ ვერ ვგრძნობდით ამას, რადგან ჩვენ მაშინ გვქონდა ის, რაც დღესაც არ აქვთ - მე ეს კარგად ვიცი, მე ეს ჩემი თვალით მინახავს - კორსიკელებს, ბრეტონელებს, საფრანგეთში. ბასკებს, კატალონიელებს, გალისიელებს ესპანეთში... ჩვენ გვქონდა დროშა, გერბი. ჩვენ შეგვექმნა მეცნიერება, ეროვნული ფუნდამენტური მეცნიერება. ჩვენი დედაენა ისტორიაში არასოდეს გამხდარა იმგვარი ზრუნვის საგანი... ბრიტანეთში მცირე ერებს საერთოდ დაავიწყეს დედაენა. მიცხოვრია იქ. მიძებნია, მაგრამ ვერ მიპოვნია დედაენის მცოდნე. უელსელი, შოტლანდიელი, ირლანდიელი. ამერიკაზე, ამ თვალსაზრისით, ლაპარაკიც ზედმეტია. დამეთანხმებით. ამერიკელებმა საერთოდ ამოჟუჟეს მკვიდრი მოსახლეობა.

ბატონი არჩილი კვლავ ჩემს შეპასუხებას დაელოდა. ამაოდ. დუმილში ერთი-ორი წუთი გავიდა. შემდეგ განაგრძო.

- სამოციანი წლების მიწურულს მოსკოვში რომ გადავედი სამუშაოდ, შემომთავაზეს, პარტიაში გაწევრიანდიო. ვუპასუხე, რომ დაფიქრება დამჭირდებოდა, რომ ძნელია ჩემთვის ესოდენ საპასუხისმგებლო გადაწყვეტილების ერთბაშად მიღება. ვეშმაკობდი, რა თქმა უნდა. არ მინდოდა კომუნისტად გახდომა, რადგან იმხანად უკვე ბევრ რამეს ვაფასებდი უარყოფითად, ბევრ რამეს, რაც კომუნისტებმა ჩაიდინეს. რა საჭირო იყო სასტიკი დიქტატის დამყარება?! რა საჭირო იყო ამდენი ადამიანის მსხვერპლი?!. ჩემმა მზრუნველმა და საყვარელმა მასწავლებელმა აკადემიკოსმა ერმაკოვმა, მამაშვილურად მირჩია, ნუ იტყვიო უარს პარტიაზე. შენთვისო, მითხრა, უდიდესი მომავლის მქონე ბიოლოგისთვის, აუცილებელია მთელი პლანეტის, ყველა კონტინენტის მოვლა, მუშაობა უცხოეთის სამეცნიერო ცენტრებში. უპარტიობა ხელს შეგიშლისო საზღვარგარეთ გამგზავრებაში. ივან პეტროვიჩის, ჩემი მოძღვრის, შეგონებაც კი არ შევისმინე, როცა ხელახლა მომმართეს პარტიაში შესვლის წინადადებით, კვლავ დრო ვითხოვე დასაფიქრებლად, თუმცა ვიცოდი, რომ მეტად აღარ შემომთავაზებდნენ. დავრჩი უპარტიო და გულში ვამაყობდი ამით... რა საჭირო იყო ამდენი მსხვერპლი?! - ხშირად ვფიქრობდი. რა დააშავა გულკეთილმა, მხიარულმა ისაკი ბიძიამ, და კიდევ უთვალავმა მისნაირმა, დახვრეტიდან ოცი წლის შემდეგ უდანაშაულოებად რომ გამოაცხადეს?! ისაკი ბიძიას უდანაშაულობის შეტყობის დღეს, იმ საღამოს გარდაიცვალა მისი ქვრივი... ხშირად გულს მიღრღნიდა ფიქრი, რომ მამაჩემიც იმ რეპრესიების მსხვერპლია, თორემ არ გაუსკდებოდა გული... მტანჯავდა, ახალგაზრდობაში კი, პირდაპირ, მაგიჟებდა იმის გახსენება, ათი წლის ბიჭს მამის სიკვდილი რომ გამიხარდა... ფანატიკოსები იყვნენ ბოლშევიკები. ფანატიკურად სწამდათ, რომ სამოთხეს აშენებდნენ, მიწიერ სამოთხეს. მაგრამ რატომ არც ერთს არ მოსვლია აზრად, რომ ადამიანს არ სჭირდება სამოთხის დაძალება, რეპრესიებით შერეკვა, შედენა იქ? ამ ფიქრმა მათქმევინა უარი პარტიაზე. უპარტიობას ხელი თითქმის არ შეუშლია ჩემი მეცნიერული საქმიანობისთვის. აკადემიკოსი ერმაკოვი გამუდმებით აყენებდა მოთხოვნას ჩემი ექვსივე კონტინენტზე მივლინების შესახებ. თავიდან იყო სიძნელეები. მაგრამ ეს ღრმადმოხუცი კაცი იბრძოდა ჩვენი კვლევითი ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომებზე, პარტიულ კრებებზე. ამტკიცებდა, პირდაპირ ამბობდა, რომ მე ვარ ყველაზე ნიჭიერი, რომ იგი თავად ველარ იმოგზაურებს და ენდობა მხოლოდ ჩემს მიერ მოპოვებულ მასალასა და ჩემს დასკვნებს. როცა საჭირო იყო, ივან პეტროვიჩი იღებდა თავის განუყრელ ხელჯოხს და მისი ბაკუნით კრემლში მიდიოდა. იქიდან კი, როგორც წესი, გახარებული ბრუნდებოდა, მეუბნებოდა მოემზადე მივლინებისთვისო. ასე მოვიარე მთელი მსოფლიო. ვსწავლობდი ფლორას, ფაუნას, მაგრამ ადამიანებსაც, ქვეყნებსაც კარგად გავეცანი. და იცით, რომელ ქვეყნებში ჭამს ხალხი შიმშილისაგან მიწას, თვით ხალხს კი - ცოცხლად ჭამს ჭიალუა? ეს ხდება სწორედ იმ ქვეყნებში, სადაც ტარდება არჩევნები! ვგულისხმობ არა ჩვენებურ არჩევნებს - ამას არჩევნებად არც არავინ თვლის, - არამედ იმგვარ არჩევნებს, როგორიც დასავლეთშია. ასეა, თემო! არჩევნები ტარდება, მაგრამ არაფერი იცვლება, არაფერი უკეთესდება. როგორც ჩვენი არჩევნებია ფარსი, ისე იმათიც! დემოკრატია დღეს არსად არსებობს მსოფლიოში. მითუმეტეს, - ჩამორჩენილ ქვეყნებში. ის, რასაც დემოკრატიას ეძახიან დასავლეთში, არის ფინანსურ-ოლიგარქიული რეჟიმები. ბოლშევიკები უხეში ძალით აყალბებენ არჩევნებს, კაპიტალისტები კი - რბილად, დახვეწილად!... ესენი - რეპრესიების მუქარით, ისინი - ფულით. შედეგი ერთია! დამიჯერეთ, თემო, შედეგი ერთი და იგივეა! როცა ეს დავინახე, თანდათან გავუგე კომუნისტებს. ოღონდ ახლანდელებს კი არა - ძველებს. ძველი და ახლანდელი კომუნისტები - ესაა სულ სხვადასხვა კატეგორია ადამიანებისა, სხვადასხვა რასა, თუ გნებავს! ახლანდელებს წმინდა არაფერი გააჩნიათ, ძველები კი ნამდვილად მეოცნებენი იყვნენ. იმათ სწამდათ, რომ შეიძლება, აშენდეს საქაო სამოთხე.

ბატონმა არჩილმა ხელი გამიშვა. მარცხენა ხელის ხუთივე თითი გაფშიკა და ჩემსა და მის ხელებს შორის აღმართა. ასეთ უცნაურ პოზაში რამდენიმე წამს დუმდა. შემდეგ მარჯვენა საჩვენებელი თითით მარცხენა ნეკი მოკეცა.

- ბოლშევიკებს, ძველ ბოლშევიკებს, სამოთხის აშენება სურდათ. მაგრამ კარგად იცოდნენ - ჭკუაც ჰყოფნიდათ საამისოდ და გამოცდილებაც ძალიან დიდი ჰქონდათ, - რომ არჩევნებით, ანუ იმით, რასაც დღეს ცივილიზებულ არჩევნებს ეძახიან დასავლეთში, ხელისუფლებას ვერ აიღებდნენ. ამ გზით ვერასოდეს ვერავინ წაართმევს ხელისუფლებას ფინანსურ ოლიგარქიას. ეს სრულიად წარმოუდგენელია! თუ ცდიდნენ ამას კომუნისტები - უფრო სწორად, მათ ეს მრავალჯერ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცადეს სხვადასხვა ქვეყნებში - ოლიგარქია მათ დაუპირისპირებდა: პირველი - თქვა ბატონმა არჩილმა, მოკეცილი ნეკი გაშალა და კვლავ მოკეცა მეორე ხელის საჩვენებელი თითით. - პირველი, მათ ოლიგარქია დაუპირისპირებდა იმას, რასაც ჰქვია შავი და თეთრი პიარების ტაქტიკა; არჩევნებს იგებს ის, ვინც იგებს წინასაარჩევნო ბრძოლას. წინასაარჩევნო ბრძოლას იგებს ის, ვისაც მეტი ფული აქვს მოწინააღმდეგე ბანაკის კანდიდატთა გასაშავებლად ხალხის თვალში და თავის კანდიდატთა ანგელოზებად წარმოსადგენად. ფული არავის აქვს უფრო მეტი, ვიდრე ოლიგარქიას, ასე რომ...

- მეორე, - თქვა ბატონმა არჩილმა და არათითიც მოკეცა მეორე ხელის საჩვენებელი თითით. - თუ მოხერხდა პიარების ტაქტიკის გადალახვა - ასეთი რამ იშვიათად, მაგრამ მაინც მომხდარა ისტორიაში, ოლიგარქია საქმეში რთავს ბინძურ ტექნოლოგიებს. იწყება არჩევნების, უფრო ზუსტად, კენჭისყრის შედეგების გაყალბება საარჩევნო კომისიის წევრთა მოსყიდვით. ღარიბ ქვეყნებში ეს ძალიან იოლია. გროშებად იყიდებიან ადამიანები.

ჩემმა თანამოსაუბრემ შუათითიც მოკეცა.

- თუ ამ წინააღმდეგობასაც გადალახავს ანტიოლიგარქიული ძალა - რაც თითქმის წარმოუდგენელია! - და ხელისუფლებას აიღებს, ოლიგარქები იმწამს მესამე ტაქტიკაზე გადავლენ - ფარულ დივერსიებზე და აშკარა ბლოკადაზე. აბსოლუტურად ყველანაირ დივერსიებს ვგულისხმობ - ეკონომიკურს, იდეოლოგიურს, პოლიტიკურს, სამხედროს... შეიქმნება გაუსაძლისი ვითარება და კიდევ შეიქმნება შთაბეჭდილება, რომ ანტიოლიგარქთა ხელისუფლება ხალხმა დაამხო.

- თუ ამანაც არ გაჭრა: მეოთხე, - მარცხენა საჩვენებელი თითც მოკეცა, - იწყება პირდაპირი და აშკარა სამხედრო მოქმედებები. - აი, ეს არის, ჩემო ახალგაზრდა მეგობარო, “ცივილიზებული არჩევნები” ანუ “ხელისუფლების შეცვლის ცივილიზებული გზა” სუსტი, განუვითარებელი ქვეყნებისთვის. უცხოური ოლიგარქია - ადგილობრივთან კავშირში, რა თქმა უნდა, - არასოდეს გაუშვებს ხელიდან მის მიერ მიწასთან გასწორებულ ქვეყანას. ვგულისხმობ, რომ თავისი ნებით არ გაუშვებს.

ბატონმა არჩილმა ცერიც მოკეცა და მუშტი მძიმედ დადო მაგიდაზე.

- არც ლენინს, არც სტალინს სხვა გზა არ ჰქონდათ. აბსოლუტურად არ ჰქონდათ! მხოლოდ რევოლუციით შეიძლება ძალაუფლების აღება და მხოლოდ დიქტატურით შეიძლებოდა მისი შენარჩუნება! სხვა საქმეა, რომ დიქტატურა არ უნდა ყოფილიყო მარადიული, რევოლუციიდან მესამედი საუკუნის შემდეგ - აქ შედის ორი ოთხ-ოთხწლიანი ჯოჯოხეთური ომი, სამოქალაქო და სამამულო - ქვეყანა საკმარისად გამდიდრდა, გაძლიერდა. ბოლშევიკებმა შეიძინეს ქვეყნის მართვის გამოცდილება და უკვე შეიძლებოდა ფიქრი თანდათანობით საპირისპირო აზრის დაშვებაზეც, ეკონომიკის ლიბერალიზებაზეც. შეიძლება გაკეთებულიყო ეს ისე, რომ არ შემდგარიყო ოლიგარქიის რევანში, არ დამყარებულიყო კვლავ უმცირესობის ტირანია. მაგრამ ბოლშევიკები არ წავიდნენ ამ გზით, არც დღეს აპირებენ. ჩვენი ბოლოს წინა პირველი კაცი, ბრეჟნევის მემკვიდრე სტალინის მეთოდებით ცდილობდა ქვეყნის მართვას.. ეს ნონსენსია! სტალინივით რომ მართო, ჯერ ერთი, სტალინი უნდა იყო და არა ანდროპოვი, - გაიცინა ბატონმა არჩილმა. სიტყვა “ნონსენსი”, ეტყობა, საკმაოდ არ ეჩვენა და თქვა: - ეს სიგიჟეა! სისულელეა! სტალინის გზა სტალინის ეპოქაში იყო გამართლებული! ლენინის გზა - ლენინის ეპოქაში!

- რეპრესიების ჩათვლით, არა?... - ვთქვი და იმწამსვე ვიგრძენი, რომ რეპლიკა, ცოტა არ იყოს, ხმამაღლა ნათქვამი გამომივიდა.

- რეპრესიების ჩათვლით? - უფრო ხმამაღლა წამოიძახა ჩემმა თანამოსაუბრემ. ვერ გავიგე, მე მისვამდა კითხვას თუ თავის თავს. მაგიდაზე დადებული მუშტი ტუჩებთან მიიტანა, ჩაახველა. მღელვარე ხმით განაგრძო. ეტყობოდა, რომ ძლივსძლივობით ახერხებდა თავის შეკავებას..

- რეპრესიებზე ძალიან ბევრს წერენ. უცხოეთში, რა თქმა უნდა. ჩვენშიც წერენ ამ ბოლო დროს, თუმცა ჩვენში უფრო ლაპარაკობენ. მე რა მაოცებს, იცით? აბსოლუტურად ყველას მოგვეხსენება, რომ თანამედროვე დასავლური რეჟიმებიც საშინელი სისხლისღვრითაა მოსული. უთვალავი ადამიანის ძვლები უყრიათ საძირკველში. მაგრამ ეს მიიჩნევა გარდაუვალ მსხვერპლად. სავალალო, მაგრამ მაინც გარდაუვალ მსხვერპლად, გაღებულად პროგრესისთვის! ბოლშევიკების მიერ დაღვრილი სისხლია მხოლოდ მათი ხელისუფლების არალეგიტიმურობის მარადიული არგუმენტი და საფუძველი. ვინ იტყვის, მაგალითად, რომ საფრანგეთის დღევანდელი რეჟიმი უკანონო და დასამხობია, რადგან სისხლის ოკეანე დაიღვარა ამ რეჟიმის დასამყარებლად?! ...იყო ომი, თემო, ომი იყო! ომი კი არ არსებობს უმსხვერპლოდ. - ხოლო მსხვერპლი ძირითადად უდანაშაულოა, - უმრავლესობას პირველად მიეცა შანსი ოლიგარქიაზე, უმცირესობაზე - ეს სიტყვა ხომ სწორედ ამგვარად ითარგმნება! - გამარჯვებისა. იყო ბოლმაც და ადამიანურად ესეც გასაგებია. ჩვენს საუკუნემდე ხომ უმრავლესობას არ უცხოვრია! ის არსებობდა იმისთვის, რომ უმცირესობას ეცხოვრა!

- ილიაც უმცირესობის წარმომადგენელი იყო. ამიტომ მოკლა უმრავლესობის წარმომადგენელმა ჟორდანიამ... - ვიგრძენი, რომ კვლავ ხმამაღლა აღმომხდა რეპლიკა.

- ილიას მკვლელობა სულ სხვა რამ არის! - ამჯერადაც გადააჭარბა ჩემს ხმას ბატონ არჩილის ხმამ. - ნოე ჟორდანია ყველაზე ბნელი და ბინძური პერსონაა ჩვენს ისტორიაში! გადაუჭარბებლად ვამბობ, ყველაზე ბნელი და ბინძური!..

კუპის ღია კარში გამცილებელმა შემოყო თავი. ეტყობა, იფიქრა, რომ ვჩხუბობდით. ჩვენ ორივემ ვიგრძენით ეს და გამცილებლის გადასარწმუნებლად ჯერ მას გავუღიმეთ, შემდეგ ერთმანეთს გადავხედეთ ღიმილით.

- მობრძანდით, დაგვეწვიეთ, - უთხრა ბატონმა არჩილმა, ჩაის ჭიქა სანახევროდ გაუვსო კონიაკით და გაუწოდა.

- დაილოცეთ, ჩემო ბატონო. გამცილებელმა დიდი მოკრძალებით ჩამოართვა ჭიქა ბატონ არჩილს. აშკარა იყო, რომ იცნობდა. საკმაოდ ვრცელი სადღეგრძელო თქვა. მთელი სანათესაო დაგვილოცა, დააყოლა, - ასე მტერი დაგეცალოთო და ბოლო წვეთამდე გადაჰკრა. შესატანებელიც შევთავაზეთ, მაგრამ უარი თქვა, - რამდენიმე წუთში სადგურია, უნდა დაგტოვოთო.

●

გარეთ უკვე ჩამობნელებულიყო. მატარებელი გაჩახჩახებულ სადგურზე გაჩერდა. არც მე, არც ჩემმა თანამგზავრმა არ ვიცოდით, რომელ ქალაქში ვიყავით. სარკმელში ჩანდა სრულიად ტიპური კოლხური პეიზაჟი. პალმები, კვიპაროსები, დეკორატიულად გაკრეჭილი ბუჩქები. თანამგზავრმა მითხრა, მოგშივდებოდათო და დახორგილ საჭმელზე მიმითითა. ვატყობდი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ მას კრიჟა ჰქონდა შეკრული. ახალი სადღეგრძელოს თქმა მოუნდა. მაგრამ ბოთლში თითქმის აღარაფერი ესხა. ჩემოდნიდან მეორე ბოთლის ამოღება დააპირა, მაგრამ მე დავასწარი ჩემი ჩანთიდან ამოვიღე კონიაკი, - ესეც გავსინჯოთ-მეთქი, დამემორჩილა. ბოთლი შეათვალიერა, დაასხა და ჩვენი ერის სახელოვან წინაპართა სადიდებელი თქვა. ძალიან ლამაზი სადღეგრძელო გამოუვიდა. მრავალი სათაყვანებელი სახელი ახსენა ფარნავაზით და ვახტანგ გორგასლით დაწყებული და დამთავრებული ექვთიმე თაყაიშვილით და ივანე ჯავახიშვილით. სტალინი აღარ უხსენებია. არ ვიცი, დაავიწყდა თუ ამით მაგრძნობინა, კმარა ამ თემაზეო. მომეჩვენა, რომ თხრობის გაგრძელების სურვილი დაეკარგა ან, შესაძლებელია, ფიქრობდა, რომ გადამღლა და აღარ აპირებდა გაგრძელებას. ამიტომ ვუთხარი:

- ბატონო არჩილ, თქვენ თქვით, რომ სოლიკო ძალიან ადრე გარდაიცვალა. რა დაემართა?

- ომის მიწურულს, ორმოცდამეხუთის გაზაფხულზე ბრმა შემთხვევის მსხვერპლი გახდა... იმ გაზაფხულზე ორი დიდი უბედურება დამატყდა თავს... თუმცა... - ხელი ჩაიქნია, არ ღირს ლაპარაკიო.

- მესმის, რომ თქვენთვის მტკივნეული თემაა. - ვთქვი და დუმილი ჩამოვარდა. ბოლოს ისევ მე ვთქვი თხოვნის ტონით:

- თქვენმა მონათხრობმა ძალიან გამიტაცა... - ვიგრძენი, რომ გულწრფელი ტონით გამომივიდა ნათქვამი. შევხედე ბატონ არჩილს და ისიც ვიგრძენი, რომ სურდა თავისი ძველი ტკივილის გამოთქმა.

- ერთხელ, ორმოცდამეხუთის აპრილში მე და სოლიკო სადამოხანს მივედით ჩემთან. სანამ ოთახში შევიდოდით, ჩემი ბინის პატრონმა, ქრისტეფორე ბაბუამ ეზოდან სოლიკოს დაუძახა, - მოდიო. ვიფიქრე, ალბათ, მე მეძახის, სოლიკოსთან რა საქმე უნდა ჰქონდესმეთქი. მაგრამ მან დააზუსტა, სწორედ სოლიკოს ვეძახიო. სოლიკო მისკენ გაემართა, მე კი ოთახში შევედი. სოლიკომ დაიგვიანა, როცა მოვიდა, შევატყვე, ხასიათზე ვერ იყო. რა მოხდა-მეთქი. მან მცირე ყოყმანის შემდეგ მითხრა, რომ დეპეშა მოსულა დედაჩემისგან. ჩემს დას მძიმე მშობიარობა ჰქონია, მაგრამ ახლა კარგად ყოფილა. ბავშვი კი დაღუპულა. ვიზიარებო, თქვა და გადამეხვია. ...თინა გათხოვების შემდეგ არ მენახა. ქორწილში არ ჩავედი, საახალწლოდაც თბილისში დავრჩი. ამით პროტესტი გამოვხატე... ფიქრშიც კი არ ველაპარაკებოდი თინიკოს, გაბუტული ვიყავი, ჩემს უკითხავად რომ გათხოვდა. მის მიერ გამოგზავნილი ორი წერილი წაუკითხავად დავხიე. დედამ მომწერა, ძალიან განიცდის რომ არ სწერო... ახლა ძალიან შემეცოდა თინიკო, შვილმკვდარი დედა... სოლიკო ჩემს წინ იდგა და დუმდა. მერე კედლის საათს შეხედა.

- უნდა ვიჩქაროთ ვაგზალში, - თქვა მან. - ბილეთის შოვნა ძნელი იქნება.

ბილეთის შოვნა სოხუმის მატარებელზე ძნელი კი არა, წარმოუდგენელი აღმოჩნდა. სოლიკომ მითხრა, იქნებ, რომელიმე გამცილებელმა წაგვიყვანოსო. თავიდან ბოლომდე გავირბინეთ მთელი შემადგენლობა. ყველა გამცილებელმა უარი გვითხრა. უკვე ჩაქნეული მქონდა ხელი, გავჩერდი კიდეც, აღარ გავყევი სოლიკოს ბოლო ვაგონებამდე. მაგრამ დავინახე რომ იგი უკანასკნელი ვაგონის გამცილებელს გადაეხვია. მისი თანაპოლკელის მამა ყოფილა, ერთი წლის წინ დაღუპულის. კაცს დიდხანს ჰყავდა სოლიკო გულში ჩაკრული. მერე ჯიბიდან ცხვირსახოცი ამოიღო, ცრემლი მოიწმინდა. ჩვენი გასაჭირი რომ შეიტყო, გვითხრა, ჩემთანაც ყველა ბილეთი გაყიდულია, მაგრამ ჩემს კუპეში დაგაწვენთო. ავედით მერე. სოლიკო, როგორც ინვალიდი ქვედა თაროზე დაწვა, მე - ზედაზე. მატარებელი დაიძრა. აუწერელი სიმწვავით განვიცადე სიბრალურის მგლოვიარე თინიკოსადმი. სულ მისი სახე მედგა თვალწინ. რა აღარ გამახსენდა, - მთელი ჩვენი ბავშვობა. გავიდა საათი, მეორე, მესამე... მე კი არა და არ მეძინება. ვგრძნობ, რომ არც სოლიკოს სძინავს. წამდაუწუმ ბრუნავს თაროზე. უცებ მეხსიერებაში წამომიტივტივდა ერთი ამბავი და გამეღიმა. ეს ამბავი ორმოცდამეერთეში მოხდა, მისი ერთ-ერთი პერსონაჟი იყო თინიკო. პერსონაჟები სხვებიც იყვნენ. მათ შორის, მეც. ხოლო მთავარი მოქმედი გმირი გახლდათ პიმენია. იგიც საოცარი სიცხადით დამიდგა თვალწინ - ზორბა, ჩაპუტკუნებული ბიჭი. გარეგნობით ნამდვილი კოლხი იყო - ქერა, ცისფერთვალა. პუტკუნა ლოყები კი თურაშაულივით ჰქონდა დაბრაწული. პიმენია იმ ბიჭების კატეგორიას განეკუთვნებოდა, რომლებთან მშობლები შვილებს მეგობრობასაც უშლიან. სკოლა მიატოვა. მუდამ სოფლის ცენტრში იდგა, ღვინის და ხორცის წერტთან. თითქმის დიდი კაცივით სვამდა, პაპიროსსაც ეწეოდა. "ყაზბეგის" კოლოფი ყოველთვის ქამარში ჰქონდა გაჩრილი. მოკლედ, ავარა ბიჭი იყო პიმენია. ჩხუბიც უყვარდა. ხანდახან სულ ტყუილუბრალოდ აუხირდებოდა ხოლმე ვინმეს, - წამო, გავარტყათო.

გადამეღობა და დამიწყო შარიანი ლაპარაკი. ახლა აღარ მახსოვს, რას მშარობდა, მივხვდი, რომ ჩხუბი უნდოდა. მე ფრიადოსანი ვიყავი, დედის დამჯერი. პიმენიასთანა ბიჭები ჩემისთანებს არც კი თვლიდნენ ბიჭებად. ჩხუბი საერთოდ არ მიყვარდა, პიმენასი კი ჩემზე ბევრად უფროს ბიჭებსაც ეშინოდათ. ნირი წამიხდა. მაგრამ უცებ, ჩემდა ბედად, წერტში ყაყანი ატყდა. მთვრალებმა გაიწიეს ერთმანეთზე. პიმენიამ მე თავი დამანება და იქით გაიქცა. ამის შემდეგ ვცდილობდი, წერტთან აღარ მოვხვედრილიყავი. მაგრამ ეს ძალიან ძნელი იყო. ხომ არ შეიძლებოდა, საერთოდ არ გამევლო სოფლის ცენტრში. პიმენიზე ამბობდნენ, მას შემდეგ წავიდა ხელიდან, რაც მშობლები დაუჭირესო. მისი მამაც დაიჭირეს ოცდამეჩვიდმეტეში და დედაც. მამა დახვრიტეს, დედა კი გაასახლეს. ერთი და ჰყავდა, გათხოვილი. ასე რომ, ბებიის ანაბარა დარჩა. მაგრამ ბებია ძალიან მოხუცი იყო და პიმენია მას არაფერს უჯერებდა. თავიდან ჩემზე ერთი კლასით წინ იყო. მაგრამ ჩარჩა და წავიწიე. მერე კიდევ ჩარჩა და სკოლას თავი დაანება. მთელი დღეები უსაქმოდ დაყიალებდა.

ბატონი არჩილი გაჩუმდა. თავის ფიქრებს, მოგონებებს გაუღიმა. ხომ ძალიან უარყოფითი პერსონაჟი დახატა, მეტისმეტად ცუდი ბიჭი. მაგრამ ყვებოდა მასზე ძალიან თბილად, სიყვარულით.

- ერთხელ, - თქვა ბატონმა არჩილმა ისეთი ტონით, რომ მივხვდი, მიადგა მთავარ სათქმელს პიმენაზე, - ომის დაწყებამდე სულ რამდენიმე დღით ადრე ჩემს მუბნელ ბიჭებთან ერთად საბანაოდ წავედი. პიმენაც იქ დამხვდა, შორიდან შემნიშნა და ხელის აწევით მომესალმა. გამაოცა ასეთმა პატივმა. პიმენიასგან, უკეთეს შემთხვევაში, მოველოდი, რომ საერთოდ არ მომაქცევდა ყურადღებას, უარესში კი მისგან ახირებას უნდა მოვლოდებოდი. ვიბანავე და ნაპირზე ამოვედი. შემაღლებულ ადგილას წამოვწექი გულაღმა. თვალები დავხუჭე. გავიდა ცოტა ხანი და ვიღაცამ ტერფზე უხეშად წამკრა ტერფი. გავიფიქრე პიმენია იქნებამეთქი, მაგრამ გავახილე თვალი და ვხედავ დაურ სალია წამომდგომია თავზე, აფხაზი ბიჭი. იგი ჩემზე ორი კლასით წინ იყო. ჩვენს სკოლაში სწავლობდა, ოღონდ რუსულ სექტორზე.

- ადექი, რას გაწოლილხარ ჩემს ადგილზე! - ...სულად მითხრა დაურ სალიამ. მივხვდი, რომ შარს ვერ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ავიცილებდი. ეს ბიჭი ყოველთვის ანტიპათიას იწვევდა ჩემში, ცოტა არ იყოს მაშინებდა კიდეც. რაღაც უცნაური ტიპი იყო. მის სახეზე ღიმილი არ შემინიშნავს. თხელი ტუჩები მუდამ ბოღმით ჰქონდა მოკუმული, თითქოს სულ ვიღაცაზე თუ რაღაცაზე ბრაზობდა.

- ადექი, ვერ გაიგე, ყრუ ხარ! - უკვე ყვირილი დაიწყო და უფრო უხეშად წამკრა ტერფი ტერფზე.

მე ნელ-ნელა დავიწყე ადგომა. არა, მისთვის ადგილის დასათმობად კი არა - ეს ხომ გაქცევა იქნებოდა! ყოველი მხრიდან გვიყურებდნენ ბიჭები. მათ თვალში ლაჩრად გამოჩენას, სიკვდილი მერჩივნა. პიმენია რომ ამიხირდა წერტთან, პატარა ვიყავი. ეს ერთი წლის, თუ წლინახევრის წინ იყო. ახლა უკვე თოთხმეტი წლის ვარ და თუნდაც გავილახო, უკან არ დავიხევ. ნელ-ნელა იმიტომ ვდგები, რომ მოვიფიქრო, როგორ მოვიქცე, გეგმა შევიმუშავო. დაურ სალიას კი ჰგონია, მივდივარ, ვუთმობ ადგილს. უკვე გაიხადა ტანსაცმელი. ჩემს ტანსაცმელზე მიმითითა, აიღე და წადიო. მე ფეხსაც არ ვიცვლი. ფეხებიდან თავამდე ავათვალიერე მოწინააღმდეგე. ის, რა თქმა უნდა, ჩემზე ძლიერია. სად თოთხმეტი წლის ბიჭი და სად თექვსმეტისა. ამ ასაკში ბევრს ნიშნავს ორი წელი. მითუმეტეს, დაურ სალია თავის ტოლებში ყოჩად ითვლება. იდეალური აღნაგობა აქვს, ძველებურ ქანდაკებას ჰგავს. გარეგნობა საერთოდ ისეთი მისცა ღმერთმა, გოგოები რომ გიჟდებიან. ნაკვთებიც ძველებური ქანდაკებისა - სწორი, დახვეწილი. ყორნის ფრთასავით შავი თმა მზეზე უბზინავს. სახის კანი, ყოველთვის მკრთალი, ახლა მიტკალივით გათეთრებია ბრაზისგან. მისი მუქი ლურჯი თვალებიც მუდამ ცივად იმზირებიან, ახლა კი გაკაპასებაც ვიგრძენი მათს მზერაში.

- რამდენჯერ გაგიმეორო?! - უკვე აღრიალდა დაურ სალია. ის-ის იყო, ვაპირებდი, მეთქვა, ფეხსაც არ მოვიცვლი-მეთქი, რომ გვერდიდან ყვირილი შემომესმა:

- რა გინდა მაგ ბიჭისგან?! რა ნაყიდი გაქვს ადგილი?!

ყველა ბიჭის თავი იქით მიბრუნდა, საიდანაც ყვირილი მოისმა. ვხედავთ, პიმენია დგება ფეხზე. წელში რომ გაიმართა, ცალი ხელით დოინჯი შემოირტყა და კვლავ უყვირა დაურ სალიას:

- თქვი, ნაყიდი გაქვს თუ ბაბუაშენმა გიანდერძა?!

დაური შეცბა. მის გეგმაში აშკარად არ შედიოდა პიმენისთანა ავტორიტეტთან დაპირისპირება. მე იმიტომ ამიხირდა, რომ დაბალ ღობედ ჩამთვალა. პიმენია კი აღარ ეშვება. ჩვენთან მოვიდა. კვლავ უმეორებს კითხვას, ნაყიდი გაქვს თუ ბაბუაშენისგან ნაანდერძევიო. დაურ სალია დუმს, როგორც მე ვდუმდი რამდენიმე წამის წინ. მისი მუდამ ბოღმიანი სახე შხამით გადაილესა.

- მოეშვი ამ ბიჭს! წადი აქედან! - უყვირა პიმენიამ და ორივე ხელი ჰკრა მკერდში. დაურ სალია წაბარბაცდა. პიმენია მე მომიბრუნდა: - დაწექი, აჩიკო, შენ ადგილზე, - სწორედ ამ დროს დაურ სალიამ მთელი ძალით გაარტყა გვერდიდან სახეში. პიმენია დაბარბაცდა, მაგრამ არ დაცემულა. სალია მიახტა და ცდილობს, მიწაზე დასცეს. ყველა ბიჭი წამოცვივდა. წრე შეკრეს. პიმენიამ იმარჯვა, იდაყვი ჩასცხო სახეში. ორივე დაეცნენ, და თავდაღმართზე დაგორდნენ. ხან ერთია ზემოთ, ხან მეორე. ბიჭები ისე დაედევნენ, რომ წრე არ გაუხსნიათ. პიმენია ცდილობს, ხელიდან გაუსხლტეს, მოწინააღმდეგე კი სალტესავით აჭდობს ხელს, არ უნდა გაუშვება. პიმენია მაინც გასხლტა, ბარბაცით გაირბინა რამდენიმე ნაბიჯი და წელში გასწორდა. დაურ სალიაც წამოხტა. ნელნელა მიუახლოვდნენ ერთმანეთს. დაზვერვა დაიწყეს. წრიულად მოძრაობენ, როგორც მოკრივეებს სჩვევიათ. პიმენია ერთბაშად გადადის შეტევაზე. ხელებს ისე იქნევს, თვითმფრინავის პროპელერი მაგონდება. დაურ სალია აშკარად ველარ უძლებს მის გამუდმებულ დარტყმებს.

- გაჩერდით, ბიჭო! - მოისმა ამ დროს ყვირილი. ჩვენგან ახლოს კაცები ბანაობდნენ, თან ქეიფობდნენ. ჩხუბი რომ დაინახეს, გამოიქცნენ, წრეში შეიჭრნენ და მოჩხუბრები გააშველეს. დაურ სალია მაინც იწევს პიმენიაზე, უფროსებს არ ეპუება. კაცებმა გვერდზე გაიყვანეს. პიმენია ჩემთან წამოვიდა. ორივე მოჩხუბარს თავ-თავისი ძმაკაცები შემოეხვივნენ, ქართველები და აფხაზები ცალ-ცალკე გუნდებად ვიყავით დაყოფილი, მაგრამ ამის მიზეზი ეროვნული ურთიერთგაუტანლობა არ ყოფილა. უბრალოდ, აფხაზები ძირითადად ცალკე უბნად ცხოვრობდნენ. იყო ენობრივი ბარიერიც. ქართველებმა ცუდად ვიცოდით რუსული და აფხაზური, აფხაზთა სამეტყველო ენები. მათ კი მეგრული და ქართული იცოდნენ ცუდად. დაურ სალიას აფხაზები შემოეხვივნენ, პიმენიას - ქართველები.

- აჩიკო ჩემი ძმაკაცია, - თქვა პიმენიამ ქოშინით. - ვინც აჩიკოს აწყენინებს, ჩემთან ექნება საქმე.

ბიჭებმა გაოცებით შემომხედეს, სად მე და სად ისეთი დიდი ავტორიტეტი, როგორიც პიმენიაა! - ეს იკითხებოდა მათ მზერაში. ვიგრძენი, წამიერად როგორ ავმაღლდი ყველა ბიჭის თვალში. პიმენიამ ერთ ბიჭს მიმართა.

- დედაშენი ხომ აფხაზია?

- კი.

- ხომ იცი აფხაზური?

- კი.

- მიდი იმათთან, - დაურ სალიას ბანაკისკენ მიანიშნა თავის ოდნავ შესამჩნევი მოძრაობით, რომ ჩვენკენ მომზირალი კაცები არ მიმხვდარიყვნენ, ვისზე ლაპარაკობდა, - მიდი და უთხარი, სასაფლაოსთან გორაკზე რომ ახოა გაჭრილი იქ დაელოდება-თქო პიმენია მაგ მამაძაღლს. ბიჭი წასვლას აპირებდა, მაგრამ პიმენიამ გააჩერა, ჯერ კაცები წავიდნენო. თვითონ დანარჩენ ბიჭებს წამოგვიძღვა, ვითომ შინისკენ მოვდიოდით. სინამდვილეში სასაფლაოს მიმართულებით ავიღეთ გეზი. ნახევრად აფხაზმა ბიჭმა დაურ სალიას ბანაკს გადასცა პიმენის წინადადება და ისინი სხვა გზით წამოვიდნენ სასაფლაოსკენ.

პიმენიას მთელი გზა ხელი ჰქონდა ჩემთვის გადახვეული და განუწყვეტლივ მელაპარკებოდა. დღევანდელ ჩხუბზე კი არა - ეს ჩხუბი საერთოდ არ უხსენებია - ისე, სხვადასხვა თემებზე. ასეთი საოცარი პატივი - პიმენიასთან დაძმაკაცება - ჯერ კიდევ ვერ შემეფერებინა. უხერხულად ვგრძნობდი თავს. გულში კი ვზეიმობდი; პატარა საქმე იყო, პიმენისთან ხელგადახვეული სიარული! სხვა ბიჭების ჩემდამი დამოკიდებულებაშიც დიდ, ძალიან დიდ ცვლილებას ვგრძნობდი. თითქმის მოწიწებით მეპყრობოდნენ.

სასაფლაოსთან კარგა ხანს მოგვიხდა დაურ სალიას და მისი ძმაკაცების ლოდინი. როცა მოვიდნენ, ერთად ავედით გორაკზე. ახოში პიმენიამ წელსზევით გაიხადა. მოწინააღმდეგემაც მას მიბაძა. ყველაფერი მზად იყო პატიოსანი ჩხუბისთვის, მაგრამ მოულოდნელად დაურმა პიმენის ჰკითხა, რამდენი წლის ხარო? - თხუთმეტსო, უპასუხა.

- ჩემზე ერთი წლით უმცროსი ყოფილხარ... - მრავალმნიშვნელოვნად თქვა სალიამ. ვითომდა იმას გულისხმობდა, პატარა ხარ, შენზე ხელი როგორ გავისვაროო. მაგრამ მე მივხვდი, მიზეზს ეძებდა ჩხუბისგან თავის დასაძვრენად. უკვე ნაწვნევი ჰქონდა პიმენის პროპელერებივით მობზრიალე მკლავების გემო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

- უმცროსი კი ვარ, მაგრამ შენისთანას ხუთს დავნაყავ, - დამცინავად უთხრა პიმენიამ. ამის შემდეგ ფიქრიც აღარ შეიძლებოდა გაშველებაზე. პიმენიამ ერთბაშად ჩართო თავისი პროპელერები. დაური კარგა ხანს უმკლავდეობდა. ბოლოს ცალ მუხლზე დაეცა. პიმენია გამობრუნდა. დაურმა ჩხუბის გაგრძელება ითხოვა. პიმენიამ ისევ ჩართო პროპელერები და ცოტა ხანში მისი მოწინააღმდეგე ჯვრის ფორმით გაიშხლართა მიწაზე. წელის წამოწევას ვეღარ ახერხებდა. ბიჭები მიეხმარნენ, ფეხზე დააყენეს, მაგრამ დგომა უჭირდა. მაინც ყვიროდა, ემუქრებოდა პიმენიას.

ხელგადახვეულები წამოვედით მე და პიმენია. უკვე შევძელი მასთან დაძმაკაცების შეფერება. წეღან, სასაფლაოსკენ რომ მოვდიოდით, პიმენს ვეძახდი და არა პიმენიას, კნინობითში. ახლა პიმენიაც დავუძახე. იმ დღიდან ნამდვილი ძმაკაცები გავხდით.

სწორედ იმ ხანად სოფელში ხმა დაირხა, პიმენია გამოსწორდაო, აღარაა ის ავარა ბიჭი, ცოტა ხნის წინ რომ იყოო. გამოსწორება, უპირველეს ყოვლისა, ჩაცმულობაზე დაეტყო. წინათ ჩანჩურასავით დადიოდა, ახლა კი მამამისის ნაქონი კიტელი ეცვა. მართალია, კიტელი ალაგ-ალაგ დაკემსილი იყო და ცოტა დიდიც ჰქონდა, მაგრამ მაინც უხდებოდა, წელზე სქელი ქამარი ერტყა მისი ფართო, ოქროსფერი ბალთა ნამდვილ ოქროსავით ბზინავდა, ეტყობა, ყოველდღე საგულდაგულოდ აპრიალებდა პიმენია. კალოშებიც მუდამ უბზინავდა (ფეხმაცმელი საიდან ექნებოდა უდედმამო პიმენიას.). მთავარი, ცხადია, მაინც ის იყო, რომ ყოფაქცევა გამოუსწორდა. აღარ სვამდა, აღარ ჩხუბობდა (დაურ სალიასთან ჩხუბი ყველას თვალში პლიუსად ჩაეთვალა, რადგან უდანაშაულოს გამოესარჩლა). აღარც წერტთან დაყიალობდა მთელი დღე. სექტემბრიდან ფეზეოში დაიწყო სიარული. ფეზეოს პროფტექნიკურ სასწავლებელს ეძახდნენ მაშინ. ჩვენ სოფელში არ იყო ფეზეო და პიმენია თითქმის ყოველდღე მეზობელ სოფელში დადიოდა რამდენიმე კილომეტრზე. ხელობას სწავლობდა - ტრაქტორისტობას. ერთხელ ვკითხე, რატომ მაინცდამაინც ტრაქტორისტობა ინდომე-მეთქი. მიპასუხა, ეს ომი მალე არ დამთავრდება და მეც თუ მომიწია ფრონტზე წასვლა, ტრაქტორის ცოდნა ტანკისტობაში გამომადგებაო.

მე და პიმენია თითქმის ყოველდღე ვხვდებოდით ერთმანეთს. უკვე, ცხადია, აღარ ვერიდებოდი ცენტრში სიარულს, ისიც ხშირად მოდიოდა ჩვენს უბანში, თუმცა შორს ცხოვრობდა. ჩვენი უბნის ბოლოში მისი და იყო გათხოვილი და ამბობდა, დისშვილი მენატრება, იმის სანახავად დავდივარო, კიდევ რაღაც სხვა საქმეებიც მაქვს აქეთო. ჩემს სახლთან გამოვლისას შემომძახებდა ხოლმე. მეც გამოვდიოდი და ვსაუბრობდით. მაგრამ რამდენიც არ ვეხვეწე, შინ ვერა და ვერ შევიყვანე. ერიდებოდა. ერთხელ ორივე ხელი ჩავავლე განიერ მაჯაში. მინდოდა, ეზოში შემეთრია, მაგრამ გამომგლიჯა ხელი და თითქმის სირბილით გაერიდა იქაურობას.

ოქტომბრის ერთ მზიან კვირადღეს გამოვედი ჩვენ ჭიშკარში და ვხედავ, მოდის პიმენია თავისი დის სახლიდან. ვკითხე, ინახულე-მეთქი დისშვილი? ვერაო, დილით ხელი მოუტეხავს და სოხუმში წაუყვანია ექიმთან ბაბუამისს და დედამისსო. პიმენიას დის მამამთილი მძღოლად მუშაობდა კოლმეურნეობის საბარგო მანქანაზე. ადრე მისი შვილი, ანუ პიმენიას სიძე იყო იმ მანქანის მძღოლი, მაგრამ იგი ქერჩთან დაიღუპა ოთხმოცდათექვსმეტ თანასოფლელთან ერთად.

- როგორ მოიტეხა ხელი? - ვკითხე პიმენიას.

- ძალიან ცელქია...

ამ დროს ჩვენებურმა გოგოებმა გამოიარეს და თინას დაუძახეს, წავიდეთ კინოშიო. კვირაობით დღის კინოსეანსიც იმართებოდა კლუბში. თინიკო, ეტყობა, წინასწარ შეთანხმებული იყო გოგოებთან. უკვე ეცვა საგარეო კაბა. გოგოებს გამოსძახა, ნამდვილად ის ფილმიაო? კიო, უპასუხა ერთმა მათგანმა, ის ფილმია, მე რომ მოგიყევიო. იარეთო, დაიძახა თინიკომ, დედაჩემს ვეტყვი და წამოგეწევითო.

- ხელი როგორ მოიტეხა? - გავიმეორე კითხვა.

- ძალიან ცელქია, დაფნაზე ამძვრალა. რა უნდოდა დაფნაზე, ლეღვია თუ ხურმა, რომ ნაყოფი ჭამო...

თინიკო ჭიშკარში გამოვიდა. დაგვინახა, და, ვიდრე გოგონებს დაედევნებოდა, ჩვენთან მოვიდა.

- შენ ხარ, არა, პიმენია?

პიმენიამ თავი დაუქნია.

- შენ მიეხმარე, არა, იმ ბიჭთან ჩხუბში ამას? - თავით ჩემკენ მიანიშნა. ამ ჟესტით აგრძნობინა, რომ არცთუ მაღალი აზრისა იყო ჩემზე.

პიმენიას თავი აღარ დაუქნევია. მხრები აიჩეჩა თავმდაბლად.

- ყოჩაღ, პიმენია! შენ რომ არა, ის ბიჭი მიბეგვავდა ამ ბოთეს, - თქვა ეს თინიკომ და გოგოების დასაწევად გაიქცა.

მე მას თვალი გავაყოლე. ნერვები მეშლებოდა ხოლმე. ჩემს უკითხავად რომ მიდიოდა სადმე. ნერვებს მიშლიდა ის კაბაც, რომელიც ახლა ეცვა. ნამეტანი ჭრელი მეჩვენებოდა. გავიფიქრე, მოხვალ სახლში და გიჩვენებ სეირს-მეთქი. ძაღლ და კატასავით ვიყავით. თითქმის ყოველდღე ვჩხუბობდით.

- მერე, პიმენია? - მივმართე თანამოსაუბრეს.

- ჰააა?

- შენს დიშვილზე ამბობდი.

- ხო, მომენატრა. ჩემს დასთან მივდივარ, ბავშვი უნდა ვნახო...

- რაა? - ვიკითხე და პიმენიას შევხედე.

პიმენია მთლად წითელი იყო. პამიდორს ჰგავდა. თითქოს ერთი კასრი წითელი საღებავი გადაასხეს თავზეო. ყველაფერი გასწითლებოდა - ცხვირ-პირიც, ყურებიც, შუბლიც, თმაც, კიტელიც, ბალთაც, კალოშებიც...

- წავედი, წავედი. ბავშვი მენატრება. - თქვა და თავისი დის სახლისკენ გაბრუნდა. რამდენიმე ნაბიჯი რომ გადადგა, გაჩერდა. ვიგრძენი, შეატყო, რომ მე მივხვდი. შემობრუნებაც დააპირა, მაგრამ გაიაზრა, უარესი იქნებოდა შემობრუნება და ჩქარი ნაბიჯით მოეფარა თვალს.

ჩემთვის, რა თქმა უნდა, ყველაფერი ნათელი იყო. აი, თურმე რატომ არ გამოელია საქმე ჩვენს უბანში!

პიმენიას თინიკო უყვარებია!

ამიტომ აივლ-ჩაივლიდა ხოლმე თითქმის ყოველდღე ჩვენი სახლის წინ გაქათქათებულ კიტელში და მბზინავ კალოშებში გამოწყობილი!

ამიტომ შეასკდა დაურ სალიასაც. დიახ, ამიტომ და არა ჩემი გულისთვის!

საერთოდ, ჩემთან დამეგობრება... აზრი გამიწყდა, უფრო სწორად, გავწყვიტე, რადგან სასტიკად შეურაცხმყოფელი იყო ჩემთვის, მაგრამ მაინც დავასრულე აზრი: ჩემთან დამეგობრებაც თინიკოსთვის სჭირდებოდა!

ბრაზისგან თვალთ ამიჭრლდა.

მინდოდა, რომ ჩემი ოჯახის წევრები, პირველ ყოვლისა, თინიკო, ჩემი და, ჩემი ხათრით და პატივისცემით დაფასებულიყვნენ. პიმენიამ კი პირიქით... ამ აზრის დამთავრება ვერასდიდებით ვეღარ შევძელი.

მე, რასაკვირველია, ვიცოდი, რომ თინიკო ბევრ

ბიჭს მოსწონდა. და ყოველი ამგვარი ფაქტის შეტყობა მაგულისებდა. ხშირად გამეგონა თინიკოზე: "ძალიან ლამაზი გოგოა!" "უნაკლო გოგოა!" ცხადია, ბიჭებისგან არ მსმენია ეს. ისინი ჩემთან ამ თემაზე დუმდნენ. მაგრამ მსმენოდა უფროსებისგან, ქალებისგანაც და კაცებისგანაც. ერთხელ სკოლიდან მოვდიოდით მე და თინიკო. ის წინ მიდიოდა, მე ბიჭების გუნდში ვიყავი გარეული. ჩვენ თითქმის არასოდეს დავდიოდით ერთად. შევნიშნე, რომ თინიკოს იროდი მიაშტერდა, სოფლის გიჟი, თითო გიჟი რომ ყველა სოფელს ჰყავს. მიბრუნდა იროდი თინიკოსკენ და მიაშტერდა დაჭყეტილი თვალებით. თინიკომ ცოტა გზა გაიმრუდა, მოშორებით აუარა გვერდი იროდის. გიჟი თვალს არ აშორებდა. ნელ-ნელა შემობრუნდა ასოთხმოცი გრადუსით. იქვე ჭიშკართან ორი ქალი იჯდა: ერთმა სიცილით გასძახა იროდის:

- რაო, მოგეწონა ლამაზი გოგო?

იროდი სწრაფად მობრუნდა ქალებისკენ, თავი დააქნია და სიხარულით გაიკრიჭა, გამოაჩინა ჩამპალი კბილები.

- შეირთავდი, იროდი, ცოლად? - კვლავ სიცილით ეკითხება ქალი.

იროდიმ უფრო გამალებით დაიწყო თავის ქნევა და სახეზე უფრო მეტი სიხარული გამოეხატა.

- ღმერთო, შენი სახელის ჭირიმე! - თქვა მეორე ქალმა, - კარგი რომ ყველას მოსწონს! ამ გლახასაც კი!

- მართლა, რა კარგი გოგოა! - კვერი დაუკრა პირველმა.

- ვისია? - იკითხა მეორემ.

პირველმა დედაჩემი დაუსახელა და განუმარტა, ზემო უბანში რომ ცხოვრობს, ქმარი რომ მოუკვდა რამდენიმე წლის წინო.

- შარვაშიძის ქალიაო, რომ გეთქვა, დაგიჯერებდი, - თქვა მეორემ.

მე ამ სცენის ხილვაც არ მესიამოვნა. როგორც ვთქვი, ძალიან მაბრაზებდა ყურადღება ჩემი დისადმი. მაგრამ პიმენიას გრძნობის აღმოჩენამ მთლად გადამრია. გული ბაგაბუგით მიცემდა, მძიმედ ვსუნთქავდი, მთელი მკერდით ვქშინავდი, კი არა ვსუნთქავდი. სადისტური სიამოვნებით წარმოვიდგინე ჩემი და პიმენიას მომავალი შეხვედრა. ის ჩვენს უბანში, რასაკვირველია, აღარ გაიჭაჭანებდა. ყოველ შემთხვევაში, ძალიან დიდხანს. მაგრამ სადმე ხომ შემხვდებოდა! ჰოდა, ის სცენა წარმოვიდგინე, როგორ "ვერ შევნიშნავდი", როგორ ჩავუვლიდი ცხვირაწეული! გავანადგურებდი პიმენიას. თუმცა ვიცოდი, ახლა ისედაც განადგურებული იყო. ამის წარმოდგენამაც ვერ დამამშვიდა. უბანში გავედი. გავერიე ბიჭებში და, როგორც იქნა, გადავაყოლე გული. შინ მობრუნებულს, ის-ის იყო, კიბეზე უნდა შემედგა ფეხი, რომ თინიკოს აღფრთოვანებული ლაპარაკი შემომესმა:

- ძალიან ლამაზი კაცია, დედა. აი, ასეთი თმა აქვს, ტალღებივით, უკან გადავარცხნილი.

შევდექი. გულმა კვლავ ბაგაბუგი დამიწყო. ამის ლაპარაკიღა მაკლდა კაცებზე!

დედამ რაღაც უთხრა, მაგრამ ხმადაბლა, ვერ გავიგე. სამაგიეროდ, თინიკოს აღტაცებული ხმა ისმოდა კარგად.

- პირველ ცოლს გაცილდა. მეორე შეირთო. მე პირველი უფრო მომწონს. მაგრამ მეორე მსახიობია, ძალიან ცნობილია...

გავხევედი. ყველა ნაცნობი გამახსენდა, ვისაც მეორე ცოლი ჰყავდა. ვინაა მათგან მსახიობზე დაქორწინებული? თანაც ძალიან ცნობილზე? თინიკო უვება, როგორ გაცილდა ის კაცი პირველ ცოლს, როგორ წავიდა მსახიობ ქალთან. იმ კაცის სახელი და გვარიც ახსენა. მაგრამ მე ვერ გავიგე. ეტყობა, ვერც დედამ გაიგო და გამეორებინა: - იოჰან შტრაუსი, - თქვა თინიკომ. - დიდი კომპოზიტორი იყო. არაჩვეულებრივი მუსიკა აქვს. ცირამ მითხრა, სოხუმში მისი ფირფიტები იყიდება, ვიყიდი და მოვუსმინოთ ჩემს გრამაფონზეო. ძალიან ნიჭიერი კაცი ყოფილა და ისეთი ლამაზი! იცი... - თინიკო კიდევ რაღაცის თქმა აპირებდა.

- გეყოფა ლამაზ კაცებზე ლაპარაკი! - ხმამაღლა უთხრა დედამ. - გაკვეთილები ისწავლე!

თინიკო ერთბაშად დადუმდა. მივხვდი, რომ იმ დღეს "ვენის ტყის ზღაპარი" უჩვენებიათ კლუბში. მე ადრე მქონდა ნანახი ეს ლეგენდარული ფილმი. ნელა ავედი კიბეზე. დედას ვუთხარი, მშია-მეთქი და მაგიდასთან დავჯექი. თინიკო კუთხეში იჯდა ჩემგან გვერდულად, მუხლებზე სახელმძღვანელო ედო. დროდადრო გავხედავდი ხოლმე მას. გრძელი სიფრიფანა თითებით ფურცლავდა სახელმძღვანელოს, გაკვეთილს სწავლობდა. უფრო სწორად, ზუთხავდა, როგორც გოგოებს სჩვევიათ. წაიკითხავდა, მერე ახედავდა ჭერს და ზეპირად იმეორებდა წაკითხულს, როგორც ქათამი დალევს წყალს და ცას ახედავს. ასე იზუთხავენ გოგოები, ალბათ, შეგიმჩნევიათ? - მომმართა ბატონმა არჩილმა. მე თავი დავუქნიე. ნაცნობი სურათია-მეთქი.

- ვუყურებდი თინიკოს ნაზ პროფილს, პატარა ოდნავ აბზეკილ ცხვირს და, ჩემს გასაოცრად, ბრაზმა გამიარა. შინ რომ ვბრუნდებოდი, ვფიქრობდი ვეჩხუბები-მეთქი. იმისთვის, რომ ჩემს უკითხავად წავიდა კინოში. იმისთვისაც, რომ ის ჭრელი კაბა ეცვა და, რაც მთავარია, იმისთვის, ბიჭებს რომ მოსწონდათ, თუმცა ამ უკანასკნელ მიზეზს არ გავამხელდი, რა თქმა უნდა. მაგრამ ახლა სრულებით არ ვიყავი მასთან ჩხუბის ხასიათზე. პირიქით, პირველად გამოვუტყდი აშკარად, გულახდილად ჩემს თავს, რომ მიხაროდა, მეამაყებოდა ასეთი დის ყოლა. მიხაროდა, მეამაყებოდა, რომ ჩემი და იყო ასეთი გამორჩეული გოგო. დედამ კერძი მომიტანა. ნელა ვჭამდი და თანდათან იმაშიც გამოვუტყდი თავს, რასაც საგულდაგულოდ არ ვამხელდი, ჩემს თავს არ ვუმხელდი რატომღაც, რომ გულის სიღრმეში ძალიან ნაზად მიყვარდა თინიკო. რომ ვოცნებობდი მის მომავალზე. ამდენს ჩემს საკუთარ მომავალზე არ ვოცნებობდი. შეიძლება, იმიტომ, რომ ჩემს თავს სრულად ჩვეულებრივ ბიჭად ვთვლიდი, მას კი გამორჩეულ გოგონად. ან, შეიძლება, იმიტომ, რომ, უბრალოდ, ის ჩემი და იყო. ბოლოს ისიც კი ვაღიარე ფიქრში, რომ თუმცა ვგულისხდებოდი, როცა ვიგებდი, თინიკო ამა და ამ ბიჭს უყვარსო, მაგრამ სადღაც, ძალიან ღრმად, გულის რომელიღაც კუნჭულში ესეც მსიამოვნებდა. ვოცნებობდი, რომ თინიკოს მომავალი ყოფილიყო ძალიან სუფთა და რომანტიკული. პირველ ყოვლისა, სუფთა, მაგრამ აუცილებლად რომანტიკულიც...

ბატონმა არჩილმა მცირე დუმილის შემდეგ მკითხა:

- და თუ გყავთ?

- არა.

- მაშ, თქვენთვის უცხო იქნება ეს გრძნობა, - თქვა და კვლავ გაჩუმდა. მე დავარღვიე სიჩუმე:

- თქვენი და პიმენის მისთხოვდა?

- არა, არა, - გაიცინა მან - პიმენია გამოტეხია სიყვარულში თინიკოს. ეს დედაჩემისგან ვიცი. თინიკო ყველაფერს უყვებოდა მას, ის კი მე მიყვებოდა. თუმცა ყველაფერს, რა თქმა უნდა, არა. ქალები კაცს თავიანთ საიდუმლოს ბოლომდე არასოდეს გაუმხელენ. მაგრამ ძირითადი ამბების კურსში მაყენებდა დედა. იმ ზამთრის პირას პიმენიას თინიკოსთვის უთქვამს, მიყვარხარო. მგონი, ცოლობაც უთხოვია თხუთმეტი წლის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა



ბიჭს თოთხმეტი წლის გოგოსთვის. თინიკოს კატეგორიული უარი უტკეცია. წინასაახალწლოდ კვლავ დალაპარაკებია პიმენია. თინიკოს კიდევ უფრო კატეგორიული და მკაცრი უარით უპასუხია. ამის შემდეგ პიმენის ფრონტზე გადაუწყვეტია წასვლა მოხალისედ, მაგრამ ეშელონიდან ჩამოუგდიათ. ორმოცდამეორის ზაფხულში მაინც გაპარულა ფრონტზე. ორ წელიწადზე მეტხანს უომია. მერე დაიჭრა, დაკოჭლებული დაბრუნდა. სოფელში ორმოცდამეოთხის ბოლოს. იმ დროს მე თბილისში ვსწავლობდი, თინა კი უკვე გათხოვილი იყო.

- თქვენი სიძე ვინ არის? - ვიკითხე მე.

- ჩემი სიძე... - ბატონმა არჩილმა კვლავ გაიცინა, - ჩემი სიძე გახდა პიმენის მოსისხლე, დაურ სალია... - კვლავ დუმილი ჩამოვარდა მცირე ხნით. - მატარებლით სოლიკოსთან ერთად სოფელში მიმავალმა, თაროზე გულაღმა გაწოლილმა წინასწარ ვიცოდი, რას მეტყოდა დედჩემი, - დაური კარგი ოჯახის შვილიაო. პირველ ყოვლისა, ამით გაამართლებდა თინიკოს არჩევანს. და თავისსაც. გამორიცხულია, რომ დედის უკითხავად გათხოვილიყო ჩემი და. დაურს ნამდვილად ძალიან კარგი მშობლები ჰყავდა. მამამისი მუშაგ სალია პატიოსან და გამრჯე კაცად ითვლებოდა. დედამისიც. ამ ცოლ-ქმარს შორის თითქმის ნახევარი საუკუნე იყო განსხვავება. მუშაგ სალიას პირველი ცოლისაგან ორი თუ სამი შვილი და რამდენიმე შვილიშვილი ჰყოლია. მაგრამ **1918** წლის ზამთარში ისპანკამ დაუხოცა ყველა, მთელი ოჯახი! წარმოგიდგენიათ, თემო, მთელი ოჯახი ამოუწყდა! იმ ზამთარს სამიოდე თვეში ოც მილიონამდე ადამიანი იმსხვერპლა ისპანკამ ევროპის კონტინენტზე, ანუ მეტი, ვიდრე ოთხწლიანმა პირველმა მსოფლიო ომმა. ამოწყდა ოჯახები, მთელი დასახლებული პუნქტები გაიულიტა. მაშინ სამოცდაათ წელს გადაცილებული ყოფილა მუშაგ სალია, სამოცდათხუთმეტამდე. ხუთ წელს იგლოვა თურმე თავისიანები. მერე გადაწყვიტა, ცოლი შეერთო. დიდი ქონების პატრონი იყო და მემკვიდრე სჭირდებოდა... საოცარია, მუშაგ სალიასაც ამ ასი წლის მოხუცს, მის ცოლსაც სახეზე მუდამ გულკეთილი ღიმილი ეფინათ. მათი შვილი კი არავის უნახავს გაღიმებული. ხალხი ამბობდა, ნეტავ, ვის დაემსგავსა ასეთი კუშტი და უცხვირპიროო... ვაგონში მწოლს აღარ მინდოდა ჩემს სიძეზე ფიქრი. დაძინება ვცადე და, როგორც იქნა, შევძელი კიდეც.

სოხუმში ჩასვლისთანავე ავტოსადგურს მივაშურეთ მე და სოლიკომ. ვიყიდეთ ბლეთები ჩემი სოფლის ავტობუსზე. სოლიკომ მითხრა, ვისაუზმოთო. ავტობუსის გასვლამდე საკმაო დრო იყო დარჩენილი. მე არ ვთანხმდებოდი, მივიდეთ სახლში, იქ ვისაუზმებთ-მეთქი. მაგრამ სოლიკომ დაიჟინა და, როგორც ყოველთვის, გაიტანა კიდეც. შევედით სასადილოში. სოლიკომ თავისთვის ასი გრამი არაყიც დაასხმევინა. ერთბაშად გადაკრა და კიდევ დაასხმევინა. ვუთხარი, რა ლოთივით იქცევი-მეთქი. მან მითხრა, ვაგონში შემამცივნაო. მეორეც გადაკრა. უცებ ბეჭებზე ხელი მომხვია, თავი ჩაღუნა და სხაპასხუპით თქვა:

- ავტობუსში მაინც გაიგებ. უნდა გამაგრდე. და აღარ გყავს. შვილიც დაიღუპა და დედაც.

სოლიკო დაკრძალვამდე დარჩა. მე კი მხოლოდ ორმოცის შემდეგ დავბრუნდი თბილისში. სოფლად ჩემი ყოფნისას დამთავრდა ომი. აზეიმდა უზარმაზარი ქვეყანა. მე ვიჯექი დედასთან და ვისმენდი მის გამუდმებულ ტირილს. ტკივილის გამოუთქმელობით ვიტანჯებოდი. დედას ხომ არ შევჩივლებდი. ეს მისი მკვლელობა იქნებოდა. არაჩვეულებრივად მომენატრა სოლიკო, მასთან ლაპარაკი. თბილისში რომ დავბრუნდი მატარებლით, ვაგონის თაროზე მწოლს, მთვლემარეს, უცებ მომეჩვენა, რომ სოლიკო მეძახის, გაიღვიძე, ლექციებზე გვაგვიანდებაო. ასე იცოდა. დამადგებოდა დილაადრინად თავზე ჩემს ოთახში, მანჯღრევდა, გაიღვიძეო. ერთ-ორჯერ წყალიც დამასხა. მატარებელში მთვლემარეს მეჩვენება, რომ ჩემს ოთახში ვარ ვერაზე. სოლიკო მანჯღრევს. მე თავს ვერ ვართმევ ძილს. მაგრამ - უცებ გული არაჩვეულებრივ სიხარულით ამევსო - გამეღვიძება, ახლავე გამეღვიძება და დავრწმუნდები, რომ თურმე კოშმარულ სიზმარს ვხედავდი! კოშმარი ყოფილა ყველაფერი! თინიკო ცოცხალია, მისი შვილიც! რამდენიმე წამით, თუ, შეიძლება, მხოლოდ ერთი წამით ვიგრძენი უდიდესი შვება და სიხარული... მაგრამ მხოლოდ წამით. ვაგზლიდან პირდაპირ ოქროს უბანში წავედი. სოლიკოსთან. კვირადღე იყო და იმედი მქონდა, შინ იქნება-მეთქი. მისი ოთახის კარი დაკეტილი დამხვდა. მომეჩვენა, რომ რაღაცნაირად უცნაურად იყო დაკეტილი. რატომღაც ტანში გამცრა. იქვე მდგომ ათი-თერთმეტი წლის ბიჭს ვკითხე, სოლიკო ხომ არ გინახავს-მეთქი.

- რაა? - მკითხა მან.

მე კითხვა გავუმეორე. იგი კვლავ მეუბნება: “რაა?” ერთხანს ვდუმვართ. ბოლოს ბიჭი ამბობს:

- სოლიკო ხომ გუშინ დაასაფლავეს...

●

ავტობუსი დაჯახებია პლეხანოვზე. მე ვერ გავიგე ეს ამბავი, რადგან მისი ოჯახის წევრები არ მიცნობდნენ. ჩვენ თითქმის არ გვყავდა საერთო ნაცნობები. უნივერსიტეტშიც ხომ სხვადასხვა ფაკულტეტზე ვსწავლობდით, - თქვა და პაუზის გარეშე განაგრძო:

- ომი რომ დამთავრდა... სწორედ იმ ხანებში, როცა ახალდამთავრებული იყო ომი, სტალინის ავტორიტეტს ჩემს თვალში... ჩემს თვალში სტალინის ავტორიტეტს, ერთგვარად, ჩრდილი მიადგა.

ბატონმა არჩილმა შემომხედა. ალბათ, ელოდა, რომ განვცვიფრდებოდი. მაგრამ, როგორც ჩანს, ვერავითარი ემოცია ვერ შემატყო. მე ვდუმდი.

- ბელადი იმხანად დიდების მწვერვალზე იყო. დამთავრდა თუ არა ომი... უფრო სწორად, მსოფლიო ომის საბოლოოდ დამთავრებამდე, ორმოცდამეხუთის ზაფხულშივე წამოიწყო გასაოცარი აღმშენებლობა. ხარაჩოებით შემოსა ეს თვალუწვდენელი ქვეყანა. ორმოცდამეშვიდე წელში... ორმოცდამეექვსეში ხომ არნახული გვალვა იყო და მაინც ორმოცდამეშვიდეში, მეთოთხმეტე დეკემბერს სურსათზე საბარათო სისტემა გააუქმა; გამარჯვებიდან ორიოდე წელიწადში გადაჭრა სურსათის პრობლემა. დააპურა ხალხი. იმით, რასაც დღეს მინიმალურ სასურსათო კალათას ეძახიან, ყველა უზრუნველყო. ყველა! მოისპო შიმშილობა, მათხოვრობა. ორმოცდამერვის გაზაფხულზე გამოაცხადა ფასდაკლება მრავალ პროდუქტზე. მას შემდეგ ხუთი წლის განმავლობაში ხალხი მოუთმენლად ელოდა ყოველ ადრეულ გაზაფხულს, მორიგ ფასდაკლებას.

**1946** წლის ზაფხულში უნივერსიტეტის რამდენიმე ფრიადოსან სტუდენტთან ერთად მეც გამგზავნეს მოსკოვში ერთი თვით. იყო მაშინ პრაქტიკა წარჩინებულ სტუდენტთა მივლენებისა სახელმწიფოს დედაქალაქში. ეს იყო ჩემი პირველი გამგზავრება საქართველოდან. მთელი გზა ვაგონის სარკმელს არ მოვცილებივარ. მაოცებდა რუსეთის ხედები. ზღვასავით გაფენილი ველი. ზღვაში ზოგჯერ შეგვიცურავს ბიჭებს ნავით იქამდე, საიდანაც აღარსაით აღარაფერს წვდება თვალი გარდა წყლისა. ეს მახსენდებოდა რუსული ხე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დების მაცქერალს. ერთმა თანამგზავრმა, რომელიც ჩემსავით პირველად იყო რუსეთში, მითხრა, საქართველოში თითქოს ღმერთმა მოჭმუჭნა დედამიწა, როგორც ქაღალდი მოგიჭმუჭნავს. ეს ქვეყანა კი უთოთი გადაასწორაო. სადგურებზე მატარებელს ხვდებოდნენ შუახნის სქელი ქალები და მგზავრებს გვთავაზობდნენ მოხარშულ კარტოფილს, კიტრის მწნილს და გამხმარ თევზს. მამაკაცები, თითქმის ყველა ცალხელა ან ცალფეხა, დანგრეულ სახლებთან, რუსულ ხატებთან ტრიალებდნენ. ზოგი ხატა უკვე თითქმის გამართული იყო და ახლად შეღებილი. რუსებს ხომ სახლების გაფერადება უყვართ. მოსკოვიდან ერთი თვის შემდეგ იმავე გზით დაბრუნებულს მომეჩვენა, რომ სოფელსაც, ქალაქსაც ნაკლებად ეტყობოდა ნგრევის კვალი. მართლაც, საოცარი აღმშენებლობა სუფევდა! სამ-ოთხ წელიწადში სრულიად წარიხოცა ომის კვალი. მეორედ მოსკოვში 1950 წელს ჩავედი. უნივერსიტეტი უკვე დამთავრებული მქონდა, კვლევით ინსტიტუტში ვმუშაობდი და მივლინებით გამგზავნეს. თბილისიდან თვითმფრინავით გავემგზავრე, მაგრამ მოსკოვიდან უკვე აღარ მეჩქარებოდა. მატარებლით წამოვედი. ომის ნაიარევი აღარსად შემინიშნავს!

ბატონი არჩილი გაჩუმდა. თითქოს რაღაცას იხსენებდა.

- ახლა მეუბნებიან, - განაგრძო მან, - სტალინმა ამას მონური შრომის გამოყენებით მიაღწიაო... კი ბატონო, პატიმრებს ამუშავებდნენ. ამუშავებდნენ, - ხელი აღმოსავლეთისკენ გაიშვირა, - სადღაც ციმბირში. მაგრამ ვინ აშენებდა ქალაქებს, სოფლებს, ქარხნებს?.. ქვეყანაში მაშინ სუფევდა არაჩვეულებრივი ენთუზიაზმი, ოპტიმიზმი, სიცოცხლის ხალისი!..

მოულოდნელად ბატონმა არჩილმა ხმამაღლა გაიცინა.

- სტალინამდე ერთნახევარი ათასწლეულით ადრე გადავარდა მონური შრომა. იმიტომ გადავარდა, რომ უვარგისი იყო და უნაყოფო.

დუმილი ჩამოვარდა. კვლავ შეკითხვას ელოდა ბატონი არჩილი. ალბათ, ფიქრობდა, ვკითხავდი, მაშ, რაღა არ მოგწონდათ-მეთქი სტალინისა. მცირე ხანს დადუმდა, შემდეგ განაგრძო:

- დამთავრდა თუ არა ომი, ინგლისში არჩევნები ჩატარდა. მისმა შედეგებმა მარტო ჩემზე კი არა, ბევრ სხვა საბჭოთა მოქალაქეზე მოახდინა გამაოგნებელი შთაბეჭდილება. უინსტონ ჩერჩილი დამარცხდა. მისი ადგილი დაიკავა კლემენტ ეტლიმ. ჩერჩილი ომის პერიოდში ლეგენდარულ პიროვნებად იქცა საბჭოთა მოქალაქეებისთვის; ომის დროს ის ხომ ჩვენი მოკავშირე იყო. ჩვენი პროპაგანდა მას იმხანად თითქმის არ აკრიტიკებდა. იგი ომის ერთ-ერთ გმირად მიგვაჩნდა. და აი, ეს ლეგენდარული კაცი არჩევნებში დამარცხდა ვიღაც ჩვენთვის სრულიად უცნობ ეტლისთან!..

ბატონ არჩილს ისეთი განცვიფრება გამოეხატა სახეზე, თითქოს ახლა იდგა 1945 წელი, ახლა დამარცხდა არჩევნებში ჩერჩილი და მან, არჩილმა, 18 წლის სტუდენტმა, ეს-ესაა შეიტყო გამაოგნებელი ამბავი.

- არ ვიცი. კარგად აღარ მახსოვს, მაგრამ თუ არ ვცდები, იმ დღიდან ამეკვიატა აზრი: ეს ჩვენთან რატომ უნდა იყოს-მეთქი შეუძლებელი?!.. არა სტალინის შეცვლა ფიქრად არავის მოუვიდოდა! უბრალოდ, როგორ გითხრათ, პრინციპზე იყო საქმე. მე, წიგნისა და ჟურნალ-გაზეთების მოყვარულ ახალგაზრდას, იმაზე ფიქრი შემომიჩნდა, რომ ჩვენს არჩევნებში ყველა პრეტენდენტი 99 პროცენტზე მეტ ხმას იღებს და პრეტენდენტთა ასივე პროცენტი იმარჯვებს. განსაკუთრებით მაღიზიანებდა დოლ-გარმონი არჩევნების დღეებში. დოლ-გარმონი ქორწილებშიც არ მიყვარდა... გაშრა ყელი, არა? - უცებ მითხრა და ხელი კონიაკისკენ წაიღო.

- არაფრით არ შეიძლება ორ კაცში თამადობა. ერთი სადღეგრძელო თქვენზეა, თემო.

უარზე ვიყავი. ვუთხარი, თქვენ კარგად გამოგდითმეთქი, მაგრამ არ მომეშვა. დედმამიშვილები ვადღეგრძელე. მისი დის შესანდობარი ვთქვი. რა თქმა უნდა, წესი მოითხოვდა ამ სადღეგრძელოს, მაგრამ მე იმიტომ ვთქვი, რომ მეგონა, ამოწურა სტალინზე სალაპარაკო. მეც მომბეზრდა ეს თემა. მითუმეტეს, რომ ახალს არაფერს ამბობდა. მან მადლობა გადამიხადა დის გახსენებისთვის, ჩემი დედმამიშვილები დალოცა, დალია და სარკმელში დაიწყო ცქერა. გავიფიქრე, თავის სოფელში ან თავისი სიჭაბუკის თბილისში დაბრუნდება-მეთქი, მაგრამ შევცდი.

- ომის შემდგომ წლებში ანტისტალინისტი, რა თქმა უნდა, არ ვყოფილვარ. ანტისტალინისტი გაცილებით გვიან გავხდი. ალბათ, ორმოცდაათიანი წლების მეორე ნახევრიდან. სამოციან წლებში თანდათან ლამის ფიზიკურ განცდამდე მიმივიდა სტალინის და კომუნისტების სიძულვილი. იმხანად ეს ინტელექტუალთა მოდა იყო. მე არასოდეს ვყოფილვარ მოდის აყოლი, მაგრამ გვინდა თუ არა, მოდა, ალბათ, მაინც ყველა ჩვენგანს იყოლიებს. უდავოდ, ხრუშჩოვურმა პროპაგანდამ იმოქმედა. ხრუშჩოვის სიტყვას რა ფასი უნდა ჰქონოდა! ეს კაცი ნამდვილად დამთხვეული იყო და უკულტურო, ამაზრზენად უკულტურო! სიმთვრალეში ავლენდა.... თუმცა ერთნაირი იყო სიმთვრალეშიც და სიფხიზლეშიც...

ბატონ არჩილს შეაჟრჟოლა. ზიზღიანი გამომეტყველებით გადაიხარა უკან, თითქოს ახლა აქ, ჩვენს კუპეში იყო გალეშილი ხრუშჩოვი და მისკენ იწევდა გადასახვევად და საკოცნელად - რუსულად в засос.

... - პროპაგანდაც, მოდისა არ იყოს, ყველას იყოლიებს. მეტ-ნაკლებად, ცხადია, მაგრამ მაინც ყველაზე იყოლიებს... ჩემი შეხედულებისა სტალინსა და მის მიერ შექმნილ რეჟიმზე არაფრით განსხვავდებოდა სხვა ინტელიგენტთა შეხედულებებისგან. ბოლშევიკების პირველ დანაშაულად მეც ვთვლიდი მათს მოსვლას ხელისუფლებაში გადატრიალების გზით. ამით სამოქალაქო ომის პროვოცირება მოახდინეს: უკანონო გზით მოსულ ხელისუფლებას უჯანყდებიან კანონიერი ხელისუფლების არჩევის მსურველნი. ამის მერე ბოლშევიკებმა დაიწყეს ხელოვნური, არაბუნებრივი საწარმოო და სასოფლო-სამეურნეო წესების ადამიანებისთვის თავსმოხვევა. რაკი გაიზარდა ხალხის წინააღმდეგობა უკანონო და მოძალადე ხელისუფლებისადმი, რაკი საბჭოთა ხელისუფლებას დამარცხების საფრთხე შეექმნა, ბოლშევიკებმა წამოიწყეს ჯოჯოხეთური რეპრესიები. რეპრესიები შემდგომში შეწყდა, მაგრამ საპირისპირო აზრის ჩახშობაც ხომ რეპრესიების ფორმაა. ბოლშევიკებს კი არც უფიქრიათ აზრის გათავისუფლება. სტალინისა და ბოლშევიკების კიდევ ერთ უმთავრეს დანაშაულად ვთვლიდი მათ მიერ ჩემი სამშობლოს თავისუფლების ხელყოფას 1921 წელს... მოკლედ, როგორც ვთქვი, მე ვაზროვნებდი ზუსტად ისე, როგორც მრავალი ინტელიგენტი. და მეც ვდუმდი. ხანდახან ძალიან მაწუხებდა ჩემი დუმილი. არავის სიამოვნებს შეგრძნება იმისა, რომ ლაჩარია. მაგრამ ვახერხებდი უამურ ფიქრთა გაფანტვას და თავის მართლებას საკუთარივე თავის წინაშე: “მე ხომ პოლიტიკოსი არ ვარ, მე მეცნიერებით შემიძლია სიკეთის გაკეთება. პოლიტიკას რომ ავყვე, ამის საშუალებაც მომესპობა”. ვიმშვიდებდი ამ ფიქრებით თავს და როგორც

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხედავთ, თემო, ამ ფიქრებითაც ინტელიგენციის აბსოლუტური უმრავლესობისგან არ განვსხვავდებოდი.

კვლავ სულ მოკლე პაუზა და ჩემმა თანამოსაუბრემ განაგრძო:

- ანტისტალინისტად და ანტიკომუნისტად მას შემდეგ ჩამოვყალიბდი საბოლოოდ, რაც მოსკოვში გადავედი და მივლინებებით ბევრჯერ მომიხდა დასავლეთში ყოფნა.

თვალწინ მიდგას ჩემი პირველი მივლინება კაპიტალისტურ ქვეყნებში. ეს იყო 1969 წლის ბოლოს.

უცებ ბატონი არჩილი რატომღაც გამხიარულდა. - როცა შევიტყვე, რომ დასავლეთ გერმანიასა და დანიაში უნდა გავმგზავრებულიყავი, ისე ავნერვულდი, თითქოს გაციმბირებას მიპირებდნენ. ერთხანს უარის თქმაც კი ვიფიქრე. ბოლოს გადავწყვიტე, წავსულიყავი, მაგრამ იქ ძალიან მეფრთხილა. დეკემბრის დამდეგს ქალაქ ფრაიბურგში ჩავიდა ჩვენი მცირერიცხოვანი დელეგაცია. ამ ქალაქშია ევროპის ერთ-ერთი უძველესი უნივერსიტეტი. მე დავდიოდი ერთადერთი მარშრუტით: სასტუმრო - უნივერსიტეტი, უნივერსიტეტი - სასტუმრო. თანაც აუცილებლად ჯგუფთან ერთად. ჩემი პირველი შთაბეჭდილება, გერმანული ქალაქისგან მიღებული, იყო სიმყუდროვე და სიმშვიდე. და კიდევ რაღაცნაირი, ძნელად გადმოსაცემი განცდა ჰარმონიისა. სახაზო ავტობუსის სარკმლიდან თვალს ვერ ვწყვეტდი გაკრიალებულ-გაქათქათებულ შტრასეებს, ანუ ქუჩებს. მაოცებდა ხალხიც, თითქმის ყველას კეთილი ღიმილი ეფინა სახეზე.

სამი დღის შემდეგ კოპენჰაგენში გავემგზავრეთ და იქაც ზუსტად იგივე შთაბეჭდილება! მეც თავი ზუსტად ისე მეჭირა, როგორც ფრაიბურგში. მოსკოვში დაბრუნების წინა დილით ჩვენი ჯგუფის ორი წევრის საუბარს შევესწარი სასტუმროში. ორივე ახალგაზარდა მამაკაცი იყო. ერთი დაახლოებით ხუთი წლით უმცროსი ჩემზე, მეორე - თითქმს ათით. მაგრამ ორივეს უკვე საკმაოდ დიდი პრაქტიკა ჰქონდა კაპიტალისტურ ქვეყნებში ყოფნისა.

- თავი მისკდება, - თქვა ერთმა.

- ძალიან ბევრი მოგივიდა გუშინ?

- ნუ იტყვი!..

- რა სვი?

- ჯერ "ტუბორგი", რამდენიმე კათხა. მერე ვისკიც დავაყოლე.

ორივემ მე გადმომხედა ეშმაკური ღიმილით. მივხვდი, რაც აცინებდათ და გადავწყვიტე, რომ ქვეყანა არ დაიქცეოდა, თუ მეც ცოტა თავისუფლად მოვიქცეოდი. საღამოს მარტო წამოვედი სასტუმროსკენ. წამოვედი ფეხით. ერთი ბარის აბრაზე შორიდანვე შევნიშნე წარწერა "ტუბორგი". გადავწყვიტე შევსულიყავი. გულმა მაშინვე ბაგაბუგი დამიწყო. რაც უფრო ვუახლოვდებოდი ბარს, მით უფრო მატულობდა ბაგაბუგი. კუჭთან წვა ვიგრძენი. ბარის კარს რომ მივადექი, უკვე გადაფიქრებული მქონდა შესვლა, მაგრამ ერთბაშად ჩავიქნიე ხელი, რაც იყოს, იყოს-მეთქი და მედგრად შევაბიჯე ბარში.

- გისმენთ, - მითხრა ბარმენმა. ძალიან ლამაზი ქალი იყო. გამიღიმა და მარგალიტივით თეთრი, ქათქათა კბილები გამოაჩინა.

- ერთი "ტუბორგი", - ვუთხარი მე.

- თეთრი თუ შავი?

რა თქმა უნდა, შავი ავირჩიე, თეთრ ლუდს ხომ მოსკოვშიც დავლევდი.

- დაბრძანდით, მოგართმევთ, - მითხრა ქალმა და ხელის გრაციოზული მოძრაობით მიმანიშნა მაგიდისკენ.

დავჯექი. ლუდს ძალიან ნელა ასხამდა. მოუშვებდა ონკანს და მალევე კეტავდა. ქაფის დაჯდომას უცდიდა. როგორც იქნა, მომიტანა ლუდი, გამიღიმა და რაღაც მითხრა, ოღონდ ამჯერად არა ინგლისურად, არამედ დანიურ ენაზე. ალბათ მისურვა, შეგერგოსო. ლუდი კუპრივით შავი იყო. თუმცა არა, შვინდისფერნარევი შავი. მოვსვი. ბლანტი მეჩვენა. არასოდეს დამელია ასეთი დიდებული ლუდი.

ჩემსა და ბარმენს გარდა ბარში ერთადერთი ადამიანი იყო, ახალგაზრდა კაცი. ის ჩემს წინ იჯდა. ჩემგან გვერდულად. პროფილში ვხედავდი. წინ ედგა ყავის ფინჯანი. გაუნძრევლად იჯდა. ფინჯანს დასცქეროდა. ბარში ძალიან დაბალ ხმაზე უკრავდა მუსიკა, ფრანგი შანსონიეები მღეროდნენ.

მოვსვი კიდევ რამდენიმე ყლუპი და კათხა დაიცალა. დავფიქრდი, რამდენი კრონა მქონდა კიდევ. იმ დღეებში ფული თითქმის არ დამიხარჯავს, რამდენიმე კათხას კიდევ ეყოფოდა. საჩვენებელი თითი ავწიე და ბარმენს ვანიშნე, კიდევ ერთი კათხა-მეთქი. მომიტანა. გაიღიმა თავისი ჩაწიკწიკებული კბილებით და ძველი კათხა წაიღო.

ბარში ახალგაზრდა ქალი შემოვიდა. მამაკაცი გადაკოცნა. კაცმა სკამი შესთავაზა. ქალმა პალტო გაიხადა. სკამის საზურგეზე გადაიფინა. ქუდიც მოიხადა. თავი გაიქნია, მშვენიერი ქერა თმა ჩამოეშალა. ბარის ნაზ შუქზე ოქროსავით აბზინდა მისი თმა. დაჯდა თუ არა ქალი, რაღაც შეუკვეთა და ღიმილით დაიწყო ლაპარაკი. კაცი კვლავ გაუნძრევლად იჯდა. უსმენდა. ისიც ოდნავ იღიმებოდა. მეორე კათხაც გამოვცალე და კვლავ ვანიშნე ბარმენს მაღლა აწეული საჩვენებელი თითით.

საოცრად მღეროდნენ შანსონიეები. ვფიქრობდი: რა მყუდრო და ლამაზი ინტერიერია! ხელოვანია, ვინც ასე ლამაზად მოაწყო აქაურობა! ალკოჰოლმა გაჭრა, საამო ზარხოში ვიგრძენი. ჩემს წინ მჯდომ ქალსა და მამაკაცს ერთხელ არ გამოუხედავთ ჩემკენ. ჩემგან გვერდულად სხედან და მათ პროფილებს ვუმზერ. ქალი გაუთავებლად ლაპარაკობს. მამაკაცი გაუნძრევლად ზის, უსმენს და ოდნავ ეღიმება. ამ ადამიანებში იგრძნობა შინაგანი სიმშვიდე და თავისუფლება და კიდევ საოცარი შინაგანი... არ ვიცოდი, რა დამერქმია ამისთვის... შინაგანი სილაღე. რომელ ჰომო სოვეტიკოსში იგრძნობ რაიმე ამგვარს? გავიფიქრე და კინაღამ ხმამაღლა გამეცინა. კათხა ავწიე, მაგრამ უკვე ცარიელი იყო. კიდევ ერთი ლუდის შეკვეთა მომინდა. ხელიც წამოვწიე, მაგრამ მომერიდა. ვიფიქრე, რა ამბავია მეოთხე კათხა?! ჩემს წინ მჯდომ მამაკაცს ერთი ფინჯანი უდგას წინ, რაც მე მოვედი. ქალმა კოქტეილი აიღო და მეოთხედიც არ დაულევია. მერე ვიფიქრე, რომ ესეც ჩემი საბჭოური შებორკილობის ბრალია. თუ გინდა, დალიე, ვინ გიშლის, საერთოდ, ვინ გიყურებს. კვლავ წამოვწიე ხელი, მაგრამ კვლავ დავუშვი.

წამოვდექი. ბართან მივედი და ფული გადავიხადე. კვლავ ძალინ მომხიბვლელად გამიღიმა ბარმენმა ქალმა. ძალიან ლამაზი ქალი იყო. მომინდა, ქათინაური მეთქვა, მაგრამ შევყოყმანდი.

- გისმენთ, - ქალს არ გამორჩა, რომ რაღაცის თქმა მსურდა.

მე ვყოყმანობ.

- კიდევ რაიმე? - მეკითხება ქალი.

- არა, გმადლობთ, - ვთქვი და ბარიდან გამოვედი.

გათოვდა. უკვე ბნელა და ლამპიონები აუნთიათ. მოვდივარ და ჩემს ფეხქვეშ ჭრაჭუნობს ახალი თოვლი. თვალი მოვავლე იქაურობას. "რა სილამაზეა! რა სიმყუდროვე და ჰარმონიაა!"

ეროვნული ბიბლიოთეკა

სუფთა ჰაერზე უფრო მომეკიდა ზარხოში. ვგრძნობ, რომ თითქმის მთვრალი ვარ.

უცებ ერთი რუსი გამახსენდა. ოღონდ გვარი აღარ მაგონდება მისი... შაპკინი? კეპკინი?.. კარგად მახსოვს, რომ ქუდია მისი გვარის ფუძეში... ცილინდრინი? არა! არც შლიაპინი... ბოლოს, როგორც იქნა გამახსენდა: პაპახინი!

გამახსენდა თუ არა გვარი, მაშინვე მწვავე პაექრობა წამოვიწყე პაპახინთან:

"ამხანაგო პაპახინ, - მივმართე, - რატომ არ უნდა შემეძლოს მე მოსკოვში ან თბილისში, ანდა სადმე სხვაგან საბჭოთა კავშირში, მთელი ღამე ჯდომა ბარში ან რესტორანში?! რატომ მიმითითებენ კარისკენ თერთმეტ საათზე?!. კი ბატონო, თუნდაც თორმეტზე (ესეც - უკეთეს შემთხვევაში!) რატომ, ამხნაგო პაპახინ?"

რამ გამახსენა პაპახინი? პაპახინი მინდოდა იმ მიწიერ სამოთხეში!

ეს კაცი კაგებეს ოფიცერი იყო. მე, როგორც კაპიტალისტურ ქვეყანაში პირველად მივლინებულს, იგი "გამესაუბრა".

"ამხანაგო პაპახინ, რატომაა, რომ მოსკოვის რესტორნებში მოსახვედრად ორი საათი უნდა იდგე რიგში და გათოშილმა იკანკალო?"

პაპახინს არც ამ კითხვაზე გააჩნდა პასუხი და უმწეოდ იბუზებოდა.

"ან თუ გინახავს, ამხანაგო პაპახინ, სადმე საბჭოთა კავშირში ისეთი თავაზიანი ოფიციანტი, როგორიც მე მომემსახურა ახლახანს?!"

მობუზული პაპახინი თვალებს აქეთ-იქით აცეცებს, ეტყობა თავაზიანი საბჭოთა ოფიციანტის გახსენებას ცდილობს, მაგრამ ამაოდ და უფრო მეტად იბუზება.

"რაო? რა თქვით, პაპახინ? თბილისში არც რიგები დგას სასტუმროების კართან და ოფიციანტებიც უფრო თავაზიანები არიან? იმიტომ, რომ უზრდელ ოფიციანტს თბილისში ცხვირს დაუნაყავენ, რუსეთში კი უფრო მშვიდი და მორჩილი ხალხია. სამაგიეროდ, ოფიციანტებს რუსეთში აქვთ ჰუსარული მანქანები".

... ბატონმა არჩილმა ერთბაშად შეწყვიტა თხრობა და გულიანად გაიცინა.

- მოკლედ, თემო, იმ საღამოს კოპენჰაგენის ქუჩაში მომავალი, შეზარხოშებული, გადავეკიდე საბრალო პაპახინს. მას, რა თქმა უნდა, არავითარი კავშირი არ ჰქონდა არც რესტორნებთან, არც ბარებთან (საბჭოთა კავშირში ბარები იმხანად საერთოდ არ იყო და, მე რომ მკითხო, არც ახლაა). პაპახინში ჩემთვის მთელი საბჭოთა სინამდვილე პერსონიფიცირდა... უცებ გამახსენდა, რომ ეს იყო ჩემი ბოლო საღამო კოპენჰაგენში. ძალიან დამწყდა გული. უსაზღვროდ მომხიბლა, შემაყვარა თავი ევროპამ ექვსიოდე დღეში. ხვალ კი მოსკოვში ვბრუნდები და, ვინ იცის, როდის მოვხვდები კვლავ აქეთ... ნაბიჯი ძალიან შევანელე. მინდოდა, დიდხანს მევლო ამ ქალაქში. ერთი მაღაზიის ვიტრინას მივადექი. ესეც ხელოვნების ნიმუშია! რა გემოვნებით არის გაფორმებული!

კვლავ პაპახინი გამახსენდა. ვცადე, დამევიწყებინა. რაღა პაპახინზე ფიქრით გამეფლანგა, ამ სიმშვენიერეში ყოფნის უკანასკნელი საათები! მაგრამ მისი სახე თავიდან ვერ მოვიშორე და მივმართე:

"მითხარით, ამხანაგო პაპახინ, რატომ ჩვენში არ არის ასეთი მაღაზიები?! რატომ არის საბჭოთა მოქალაქე იძულებული, დანაშაული ჩაიდინოს იმისთვის, რომ ნორმალურად ჩაიცვას; გადამყიდველებთან დაუკავშირებლად ხომ ვერავინ ჩაიცვამს ნორმალურად! ცხადია, იმათ გარდა, - თვალები ზეაღვაპყრე. - ანდა ეს მითხარით, ამხანაგო ოფიცერო, რაში მჭირდებოდა ექვსდღიანი მივლინებით წამოსასვლელად ერთთვიანი "დამუშავება?!" რა, რეზიდენტად მაგზავნიდით გერმანიაში?! არ დამთავრებულა მეორე სამამულო?! თუ დანიამ გამოგვიცხადა ომი და მის ზურგში გადმოსასროლად მამზადებდით?! მითხარით, პაპახინ!"

პაპახინი მთლად მოიბუზა. ისე, მე რომ ვიყავი მის წინაშე მობუზული "გასაუბრების" დროს. ამის გაფიქრებაზე გამეცინა. უფრო სწორად, სიცილის შეკავება ვცადე, მაგრამ ვერ შევძელი, ფხუკუნი ამიტყდა. სხვა ბართან მოვსულიყავი. ჯიბეში ფული მოვსინჯე და უკვე თითქმის ყოველგვარი ყოყმანის გარეშე შევედი. აქ მამაკაცი იყო ბარმენი. ძალიან ახმახი, ჩაფსკვნილი და უღალწვერიანი. მან ძმაკაცურად გამიღიმა.

- ვისკი, - ვუთხარი მე.

- სოდით, თუ უსოდოდ?

- სოდით, აუცილებლად სოდით, - ვთქვი იმ კაცივით, ვისაც მთელი ცხოვრება ვისკის სმაში გაუტარებია. ისე, ვისკის ბოთლი კი ნამდვილად მენახა. კინოში, რა თქმა უნდა.

აღარ მახსოვს, რამდენჯერ დავასხმევინე ვისკი. ის კი კარგად მახსოვს, რომ მეორე დღეს თვითმფრინავის სავარძელში ჩაწოლილს თავი მისკდებოდა. ამაოდ ვცდილობდი დაძინებას. ისეთი ნაღველი მაწვა გულზე, მშობლიურ ადგილებთან განშორებისას რომ შემოაწვება ხოლმე კაცს. პირდაპირ ზოოლოგიური... არ ვაჭარბებ, ზოოლოგიური ზიზღი ვიგრძენი კომუნისტებისადმი ჩემი, ჩვენი დაკარგული ცხოვრების გამო...

ბატონმა არჩილმა კვლავ ცოტ-ცოტა კონიაკი დაასხა ჭიქებში და სამშობლო ადღეგრძელა. გრძელი სადღეგრძელო გამოუვიდა, გრძელი და ძალიან წრფელი. სამშობლოსგან განშორებული, ნოსტალგიით გულგამოხრული კაცის ტკივილი იყო მის სიტყვებში. მეც ვადღეგრძელე საქართველო. მეც საკმაო ხანს ვილაპარაკე და ჩემმა თანამგზავრმა განაგრძო:

- თვითმფრინავის სავარძელში ჩაწოლილს, პახმელიისგან თავგახურებულს პირველად გამიჩნდა ეს კითხვა: როგორ შეძლეს ბოლშევიკებმა ამდენი ბოროტების ჩადენა? გასაგებია, რომ ძალაუფლების პათოლოგიური წყურვილი ახრჩობდათ, მაგრამ საიდან მოიკრიბეს ამდენი ძალა? ვინ თუ რამ შთაბერა ესოდენ ჯოჯოხეთური ენერგია? ან ხალხის ასერიგად მონუსხვა, აყოლიება როგორ შეძლეს?

პახმელიისგან ფიქრის თავი არ მქონდა. მაგრამ ვერც დაძინებას ვახერხებდი და სწორედ მაშინ, თვითმფრინავის სავარძელში თვალმილულულს, ერთმა აზრმა გამინათა გონება. აზრი იმდენად კრამოლური იყო, რომ სწრაფად გავახილე თვალი, სავარძელში წამოვიმართე და აქეთ-იქით მივიხედ-მოვიხედე. ჩვენი დელეგაციის ყველა წევრი თვლემდა; წესად იყო დამკვიდრებული უცხოეთში მივლინების ბოლო დღეს მოლხენა და ყველას ჩემსავით უხურდა შუბლი.

ისევ გადავწექი სავარძელში და მშვიდად გავყევი წეღან გაჩენილ აზრს:

ცარისტული იმპერიალიზმის თავისებურებამ წარმოშვა ბოლშევიზმი და ნიაგადგიც მოსამძლავრებლად მანვე შეუქმნა. დიახ, ასეა! - ვფიქრობდი, ჩემი აღმოჩენით იმდენად გატაცებული, რომ, თქვენ წარმოიდგინეთ, თავის ტკივილიც კი მიმავიწყდა. - ნამდვილად ასეა. მხოლოდ რუსთა იმპერიის თავისებურებას, მის, ასე ვთქვათ, სტრუქტურას, შეიძლება, ეშვა ბოლშევიზმი!..

- უკაცრავად, რომ გაწყვეტინებთ, ბატონო არჩილ. ამასწინათ რომელიღაც დასავლურ ხმას ვუსმენდი. ცნობილი ევროპელი პოლიტიკოსი ლაპარაკობდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისიც ამტკიცებდა, ბოლშევიზმი მხოლოდ რუსი ერის მენტალიტეტს შეიძლებოდა მორგებოდაო...

თანამოსაუბრემ სიტყვა არ დამამთავრებინა:

– ... რადგან რუსეთს აქვს ბნელი და პირქუში ისტორია, არა?.. რაც შეეხება ისტორიის ბნელეთს, კათოლიკურ-პროტესტანტულ სამყაროს მართლმადიდებლურზე ათასგზის ჯოჯოხეთური წარსული აქვს. არა, ხალხში კი არ არის საქმე, არამედ სახელმწიფოს სტრუქტურაში... – ბატონმა არჩილმა თითებით შუბლი მოიჭმუხნა. – როგორ ვთქვა უფრო ნათლად? ჩემი აზრი იმაში მდგომარეობს... უფრო სწორად, მაშინ ჩემი აზრი იმაში მდგომარეობდა, რომ დასავლეთის ქვეყნებს დეკოლონიზაციის პროცესის დაწყება, სხვათა მიწებზე უარის თქმა რუსებთან შედარებით გაუადვილდებათ, რადგან მათ ცხრა მთისა და ზღვის იქით ჰქონდათ კოლონიები, რუსეთმა კი თავისი საზღვრების ირგვლივ შემოკრიბა დერჟავა. რუსეთისთვის მთელი ეს უზარმაზარი ტერიტორია ერთი სახელმწიფოა, მისი სამშობლოა. ინგლისელს ინდოეთი არასოდეს აღუქვამს ინგლისის ნაწილად, ინგლისიდან ხომ ინდოეთამდე ათასობით მილია. რუსეთმა კი ასამდე ერის მიწა-წყალი შემოიერთა, გააერთიანა და შეკრა მუშტივით. ერთ სახელმწიფოდ, დიდ რუსეთად აქცია! აი, ამიტომ გაუჭირდა რუსეთს დაპყრობილზე ხელის აღება!

ბატონმა არჩილმა თვალი თვალში გამიყარა.

– ეს დავასკვენი თვითმფრინავის სავარძელში ჩაწოლილმა. შემდგომ დიდხანს არ შემპარვია ეჭვი ამ აზრის ჭეშმარიტებაში.

– ბატონო არჩილ, თქვენ თვლით, რომ რუსეთის მიერ თავისი და დაპყრობილი მიწების ერთ სახელმწიფოდ შეკვრას აქვს კავშირი მარქსისტული დიქტატურის მაინცდამაინც ამ სახელმწიფოში დამყარებასთან?

– დიახ, დიახ, – მიპასუხა და მეტი დამაჯერებლობისთვის რამდენჯერმე ენერგიულად დაიქნია თავი. – სწორედ ასე ვთვლიდი. რუსებს, როგორც უკვე გითხარით, ევროპელებზე მეტად გაუჭირდათ კოლონიებზე უარის თქმა. მეცხრამეტე საუკუნის მიწურულს რუსეთი, როგორც ევროპა, თანდათან გაემართა დემოკრატიის დამკვიდრებისკენ. მაგრამ რუსმა დერჟავნიკებმა იცოდნენ, რომ დემოკრატია იპერიის დამანგრეველია; თავისუფლება ხალხთა თავისუფლებასაც ნიშნავს – ასე არ არის? იმპერიის შესანარჩუნებლად საჭირო იყო დიქტატურა. მაგრამ ყველა ძველი დიქტატურული იდეოლოგია იმხანად უკვე გაჭრილი კოზირი იყო, როგორც იდეოლოგიები უმცირესობის მბრძანებლობისა უმრავლესობაზე. და, აი, სწორედ ამ დროს მოევლინენ რუსეთის ბოლშევიკები მარქსისტული უტოპიიდან აღებული თვით უმრავლესობის დიქტატურისა!

ბატონმა არჩილმა კვლავ რამდენჯერმე დაიქნია თავი,

– ასე ვფიქრობდი მაშინ.

თქვა და თითქმის დამარცვლით გაიმეორა ეს სამი სიტყვა:

– ასე ვფიქრობდი მაშინ.

– ახლა სხვა გვარად ვფიქრობთ?

მგონი, არც გაუგია ეს კითხვა ფიქრებში გართულს.

– ამ აღმოჩენამ ყველაფერი ნათელი გახადა ჩემთვის, – განაგრძო მან. – ... მაშინ მეგონა, ყველფერი ნათელი გახდა-მეთქი: 1917 წლამდე გაგრძელდა დემოკრატიის და იმპერიული სულის ბრძოლა რუსეთში. ჯერ დემოკრატიამ გაიმარჯვა. შედეგად გათავისუფლდნენ ყოფილი კოლონიები. მაგრამ მერე ბოლშევიზმმა აიღო რევანში და მშრომელთა ინტერესების, მშრომელთა დიქტატურის დროშით აღუდგინა იმპერიას ძველი საზღვრები. მშრომელების ინტერესებზე დემაგოგობამ მიანიჭა რუსეთს განახლება, იმპერიის სასიცოცხლო ელექსირი. რეალური დასაყრდენი კი ბოლშევიკებისა იყო, რასაკვირველია, არა პროლეტარიატი, არამედ დიდმპყრობელური ძალები, რომელნიც, არ შეიძლება, არ ყოფილიყვნენ ძლიერნი, სწორედ იმის გამო, რომ დეკოლონიზაცია ძალიან ბევრი რუსისთვის ნიშნავდა Отчизна-ს რღვევას, დაქუცმაცებას...

– ბოლშევიკთა ლიდერებს შორის ძალიან ბევრი არარუსი იყო...

– იყო, რა თქმა უნდა, იყო! – გამაწყვეტინა თანამოსაუბრემ, – ამ ფაქტს მაშინ იოლად ვხსნიდი: ყველა ერში ურევია ისეთი ტიპის ხალხი, რუსები отщипенц-ებს რომ ეძახიან. ეს ხალხი მიეყიდა რუსულ დერჟავიზმს, რადგან სახელს და სახრავს გამოელოდნენ. ეს რომ დავასკვენი, მაშინ საბოლოოდ დაემხო ჩემს ფიქრში სტალინის ავტორიტეტი... ის დღეს იყო და ის დღე, ფიქრიც კი აღარ მინდოდა პოლიტიკაზე. გადავწყვიტე, მეცხოვრა მხოლოდ პროფესიით... ჩემი საყვარელი პროფესიით! წარმატებები დიდი მქონდა მოსკოვში გადასვლის შემდეგ. თანდათან, თუმცა ძალიან მალე, გამივარდა ერთ-ერთი წამყვანი ბიოლოგის სახელი. თანდათან სერიოზული შემოსავალი და კომფორტიც მომიტანა პროფესიამ. გამოჩნდა ცხოვრების დიდებული პირობები. ხშირად დავდიოდი დასავლეთში. პირველი მივლინებიდან სამიოდე წლის განმავლობაში ათჯერ მაინც ვიყავი იქ. ამ მივლინებების ნარკომანი გავხდი. მოსკოვში მყოფი დღეებს ვითვლიდი მომდევნო მივლინებაში წასვლამდე. ერთი სიტყვით, ლამაზად ვცხოვრობდი და პოლიტიკის გახსენებაც კი აღარ მინდოდა.

●

– პირველი მივლინების სამი წლისთავზე ბრაზილიაში მიმავლინეს. ეს იყო დასაწყისი მივლინებების ხანგრძლივი სერიისა სამხრეთ ამერიკაში, უფრო ზუსტად, ამაზონიაში. ალბათ, იცით, რომ ამაზონის აუზში უნიკალური ფლორა და ფაუნაა. არსად მთელს პლანეტაზე არ არის ცხოველთა და მცენარეთათვის უფრო ცხოველყოფელი გარემო. საბჭოთა ბიოლოგები სამოცდაათიან წლებამდე ნაკლებად მოგზაურობდნენ ამაზონიაში. შემდეგ კი დაიწყო მისი ინტენსიური შესწავლა.

მოსკოვიდან გავფრინდით 1972 წლის ბოლო, რამდენიმე საათში რუსული ზამთრიდან ბრაზილიის გაგანია ზაფხულში მოვხვდით. ილუმინატორიდან რომ დავინახე რიო დე ჟანეირო, გავუგე ოსტაპ ბენდერს, – გაიცინა ბატონმა არჩილმა, – ციდან მომზირალს მართლაც ოცნების ქალაქი გადამეშალა, არაჩვეულებრივი რელიეფით, არაჩვეულებრივი არქიტექტურით.

სასტუმროში ჩემოდნის დაგდებისთანავე ქუჩაში გამოვედი სახეტიალოდ.

გავყევი ქუჩებს და, მგონი, გარეუბნამდე გავედი. სიარულით რომ დავიღალე, კაფეში შევედი და ყავა მოვითხოვე; შეიძლება ბრაზილიაში იყო და ყავა არ გასინჯო?! დავლიე ყავა, ცოტა ზედმეტი გადავუხადე ოფიციანტს და გარეთ გამოვედი. წინ პატარა მოთხიპნილი ბიჭი გადამეღობა, ასე ათი-თორმეტი წლისა და რაღაც მითხრა. მე ინგლისურად ვუპასუხე, რომ არ ვიცი პორტუგალიური. ბიჭმა გამიმეორა, მეც გავუმეორე, არ მესმის-მეთქი. ამის შემდეგ ბიჭმა მომუჭული ხელი გამომიშვირა. მივხვდი, რომ მოწყალებას მთხოვდა. ჯიბეში ხელი ჩავიყავი, ხურდა ფულის ამოსაღებად და უეცრად, თითქოს მიწიდან ამოძვრნენო, უამრავი ბავშვი შემომეხვია ყველა მხრიდან. მიშვერდნენ მომუჭულ ხელებს და მიყვიროდნენ, არა მე მომეცი, არა მეო!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამდენ ბავშვს ნამდვილად ვერ ვაკმარდი. ბავშვების წრე უცებ შეიკრა და აქეთ-იქიდან მომაწვნენ. აღარ ვიცოდი, რა მექნა. კიდევ კარგი, რომ - უშველის ღმერთი! - ის ოფიციანტი გამოვიდა კაფედან, რომელიც წეღან მომემსახურა. ტანმაღალი, ძვალმსხვილი კაცი იყო. რაღაც დაიყვირა. ბავშვებმა მას შეხედეს და ერთი ნაბიჯით უკან დაიხიეს. კაცმა კიდევ დაიყვირა და ბავშვებმა კიდევ ერთი ნაბიჯით დაიხიეს. მესამედ რომ დაიყვირა კაცმა, ბავშვები აქეთ-იქით დაიფანტნენ. მადლობა გადავუხადე ოფიციანტს და გახუმრებაც ვცადე - კინაღამ გამჭყლიტეს ამ პატარა ავაზაკებმა-მეთქი. ოფიციანტმა დამტვრეული ინგლისურით მითხრა: "სად ცხოვრობთ, სენიორ?" დავუსახელე ჩემი სასტუმრო. "ტაქსით წაბრძანდით, სენიორ?" ვუთხარი, რომ არ მეჩქარება და ფეხით გასეირნება მირჩევნია. "ტაქსით წაბრძანდით, სენიორ", კვლავ მითხრა ოფიციანტმა და დაამატა: "უკვე ბინდდება". მე ცოტა უხერხულად ვგრძნობდი თავს, ბავშვებმა ასეთ დღეში რომ ჩამაგდეს. ვიცინოდი, უხერხულობის დასაფარავად. ოფიციანტს სერიოზული სახე ჰქონდა, პირქუშიც კი. მან კიდევ ერთხელ მითხრა, ტაქსით წადიო და კაფეში შებრუნდა. რამდენიმე ნაბიჯი გამოვიარე. მერე ტაქსი გავაჩერე. სასტუმროს შესასვლელთან რამონი შემხვდა, ბრაზილიელი ახალგაზრდა. მოსკოვში ჰქონდა გავლილი ასპირანტურის კურსი, ჩვენს ინსტიტუტში. ისიც ჩვენი დელეგაციის წევრი იყო. მას მოვუყევი სიცილით, მათხოვარი ბავშვები შემომეხვივნენ, კინაღამ გამჭყლიტეს-მეთქი. სერიოზული სახით მომისმინა. არც კი გაუღიმია და სასტუმროს ბარში დამპატიჟა ყავაზე. მაგიდასთან რომ დავსხედით, საჩვენებელი თითი ასწია და მითხრა, ფრთხილად უნდა იყოთო.. რას გულისხმობ-მეთქი? მითხრა, უნდა ერიდოთ გარეუბნებში მარტო სიარული. მათხოვრები ჯერ მოწყალებას მოგთხოვენ, მერე შეიძლება დედიშობილა დაგტოვონ და უარესიც შეიძლება მოხდესო... აწეული საჩვენებელი თითი გამაფრთხილებლად გააქნია აქეთ-იქით...

ამგვარად გავიცანი სამყარო, რომელსაც ვუწოდე "მეორე კაპიტალიზმი", ჩემთვის უკვე კარგად ნაცნობ "პირველ კაპიტალიზმზე" გაცილებით ნაკლებად მიმზიდველი.

როგორც უკვე გითხარით, შემდგომში მრავალჯერ ვიყავი სამხრეთ ამერიკის კონტინენტზეც, სხვა კონტინენტებზეც. და, რაოდენ ძნელიც უნდა ყოფილიყო ჩემთვის, მგზნებარე, თუმცა ჩუმი ანტიკომუნისტისთვის ამის აღიარება, "მეორე კაპიტალიზმის" ქვეყნები ბევრად უფრო უარესი მეჩვენა იმ ქვეყნებთან შედარებით, რომელნიც კომუნისტურ იდეოლოგიას მისდევდნენ და რომლებშიც მე პირადად არ მინახავს მშიერ ბავშვთა ბრბოები. არ მინახავს, საერთოდ, შიმშილობა. ლუკმა პური მაინც ყველას აქვს იქ. ისიც წარმოუდგენელია, კაცი უწამლობამ და უექიმობამ მოკლას, როცა არც წამლის დეფიციტია, არც ექიმისა. ეს მხოლოდ "მეორე კაპიტალიზმის" სამყაროში ხდება. კომუნისტურ ქვეყნებში კი არის რაღაც მინიმუმის გარანტია ყველასთვის... ნუ გეღიმებათ, თემო... ჩვენი რადიოსავით ვლაპარაკობ, არა? მაგრამ მე ვლაპარაკობ იმას, რაც აშკარაა, რაც ჩემი თვალით მინახავს. ჰო, კიდევ, - შევატყვე, რაღაც ძალიან არსებითი გაახსენდა, - სოციალიზმის ქვეყნებში არის კიდევ ერთი მეტად არსებითი რამ: კანალიზაცია! კანალიზაცია ყველასთვის!.. თქვენ გეცინებათ. მე კი მივლია ულამაზესი კაპიტალისტური ქალაქების გარეუბნებში... ქართულად როგორ არის трущобы?

- ალბათ, ქოხმახები.

- ქოხმახები?.. მგონი, ეს არ უნდა იყოს მთლად ზუსტი თარგმანი... იქ ქალაქთა "ტრუშჩობებში" რომ გაივლით, დარწმუნდებით, რომ მართლაც დიდი გამოგონებაა კანალიზაცია. - ბატონმა არჩილმა ხელი ჩაიქნია. ალბათ, იმის ნიშნად, შენ არ გინახავს და ვერ გაიგებ, რა სურათს წარმოადგენს "ტრუშჩობებიო".

- პირველი და მეორე კაპიტალიზმი... - მრავალმიშვნელოვნად ვთქვი მე. - საინტერესოა!..

- პირველი მეორის ხარჯზე ყვავის! - კატეგორიული ტონით მითხრა თანამოსაუბრემ. - თუმცა მე მანჰეტენზე და ელისეს მინდვრებზეც მრავლად მინახავს მათხოვრები და მაინც, რა თქმა უნდა, უფსკრულია პირველსა და მეორეს შორის. რით აიხსნება ეს?.. მე ბევრს ვფიქრობდი ამაზე ლათინური ამერიკის, აფრიკის, აზიის მოვლის შემდეგ. ჩემთვის, ორთოდოქსი ანტიკომუნისტისთვის, ძნელი იყო აღიარება იმისა, რაც უკვე გითხრით, - თავისუფალ სამყაროში ძლიერი ქვეყნები სუსტთა ხარჯზე ცხოვრობენ. მიჭირდა საკუთარი თავის წინაშე იმაში გამოტეხაც, რომ, თუ მესამე სამყაროზეა ლაპარაკი, ანუ ეგრეთ წოდებულ განვითარებად ქვეყნებზე, სოციალიზმის გზაზე მდგარნი არ ჩამოუვარდებიან, სჯობნიან კიდეც.

ᲓᲐᲡᲐᲡᲠᲣᲚᲘ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ



ეროვნული ბიბლიოთეკა

# კონსტანტინე გაჩეჩილაძე

## "ვერც ერთ სურვილს ვერ მივსწვდი"

დიდი ადამიანები ხშირად მოკრძალებულნი და ჩრდილში მყოფნი არიან და ასევე ჩუმად და უხმაუროდ მიდიან ამქვეყნიდან, თუმცა მათი ღვაწლისა და პიროვნული თვისებების, როგორც ზნეობის ნიმუშის, წარმოჩენა საჭირო და აუცილებელია მომავალი თაობებისთვის.

გვინდა, შეძლებისდაგვარად წარმოვაჩინოთ ადამიანი, რომლის ცხოვრება მაგალითი იქნება მომავალი თაობების აღზრდისთვის.

საუბარი ეხება ადამიანს, რომლის პროფესია, სამწუხაროდ, ნაკლებად დაფასებულია, რადგან ნაკლებად არის გაგებული მისი მნიშვნელობა.

ამ პროფესიის ადამიანს "მასწავლებელს" უწოდებენ.

მასწავლებელი ასწავლის საგანს მოსწავლე ახალგაზრდობას. ეს, თავისთავად, დიდი საქმეა. მაგრამ ეს მრავალს შეუძლია. სიტყვა "პედაგოგი" კი თავის თავში უფრო მეტს მოიცავს, ვიდრე რომელიმე საგნის სწავლებაა. პედაგოგი ზრდის და აყალიბებს მოსწავლის სულს, ხოლო სულიერი აღზრდა პედაგოგისგან მოითხოვს მაღალ ზნეობასთან ერთად დიდ ალღოსა და ფსიქოლოგიური ჭვრეტის უნარს - ეს კი რჩეულთა ნიჭია ღვთისგან ბოძებული.

პედაგოგი კონსტანტინე მაკარის ძე გაჩეჩილაძე სწორედ იმ განსაკუთრებულ ადამიანთა რიცხვს მიეკუთვნებოდა, რომლებიც თავიანთი არსებობით ცვლიან, აკეთილშობილებენ ადამიანებს. ფენომენური მეხსიერებისა და ენციკლოპედიური განათლების ადამიანი, იგი არა მარტო საგანს, არამედ ზნეობასაც ასწავლიდა მოსწავლეებს. უთუოდ ამიტომაც იყო, რომ მისი ყოფილი მოსწავლეები, უკვე ცხოვრების დიდ გზაზე გასულნი, მრავალი წლის შემდეგაც ხშირად მიდიოდნენ მასთან რაიმე რჩევის მისაღებად ან, უბრალოდ, სასაუბროდ.

მეტად საგულისხმოა მისი ერთ-ერთი მოწაფის, შუშანა მგელაძის წერილი: "ბატონო კოტე! თქვენ რომ ჩვენში - ამ თქვენს მოწაფეებში ყოველივე მშვენებისადმი სწრაფვა ისე გულმოდგინედ არ ჩაგენერგათ, მე, ალბათ, ვერასოდეს ვერ გავიგებდი რა იყო ბედნიერება... ჩვენ ხომ ჯერ კიდევ მაშინ, სულის სიღრმემდე ჩვენი დამრიგებლის სიყვარულითა და პატივისცემით გამსჭვალულები ვოცნებობდით ამაზე, მაგრამ თქვენ საჭიროდ როდი სცნობდით თქვენი დიდი გულისხმიერებისა და სიყვარულის გარეგნულად გამოხატვას, რომელსაც საქმიანობაში ვხედავდით ხოლმე თითოეული ჩვენგანი. თქვენ აგრძელებთ იმ კეთილშობილურ ზრუნვას თქვენი მოწაფეებისადმი და მოწაფეებიც შევეცდებით შესაფერისად დავაფასოთ ეს!.. თქვენს მოწაფეებს თქვენი საუბარი და რჩევა-დარიგება ახლაც ისევე გვესაჭიროება, როგორც მაშინ... მით უმეტეს... შემჩნეული გვაქვს, რომ ჩვენ იგი რამდენიმე ათეული წიგნის წაკითხვის საჭიროებისაგან გვათავისუფლებს!"

დამეთანხმებით, ბედნიერია მასწავლებელი, რომელიც შესძლებს, მისი მოწაფეების ასეთი ნდობა დაიმსახუროს, მათში ასეთი სინათლე აანთოს.

კონსტანტინე გაჩეჩილაძე დაიბადა 1899 წლის 24 ნოემბერს იმერეთში, სოფ. წევაში (მაშინდელ შორაპნის მაზრაში). მამამისი - წევის ეკლესიის დეკანოზი მაკარ ეფრემის ძე გაჩეჩილაძე თავის დროისთვის განათლებული და პროგრესულად მოაზროვნე პიროვნება იყო. იგი საეკლესიო საქმიანობასთან ერთად ხელმძღვანელობდა მის მიერ დაარსებულ წევის პირველდაწყებით სკოლას, სადაც ასწავლიდა სოფლის ბავშვებს საღვთო სჯულს, გალობასა და რუსულ ენას. კოტე გაჩეჩილაძე ოჯახში მეშვიდე შვილი იყო. პირველდაწყებითი განათლება მამის ხელმძღვანელობით მიიღო წევაში. 1908 წელს ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის უფროს განყოფილებაში, ხოლო 1909 წლის აგვისტოში ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში მიაბარეს. ცხოვრობდა მამიდასთან, დეკანოზ აბიათარ იაკობაშვილის მეუღლის ოჯახში.

ქუთაისის გიმნაზიაში ბრწყინვალე პედაგოგები ასწავლიდნენ. კოტე გაჩეჩლაძე ბავშვობიდანვე გამოირჩეოდა ცოდნის დიდი წყურვილით, თან სდევდა წიგნისადმი საოცარი სიყვარული. სრულიად პატარა დანაზოგი ფულით წიგნებს ყიდულობდა. სიცოცხლის ბოლომდე მუდამ დიდი ინტერესით ადევნებდა თვალს ყოველ სიახლეს მწერლობასა თუ მეცნიერებაში. უნიკალური ბიბლიოთეკა შეაგროვა, რომელიც შემდგომ მამისეული ოჯახიდან მემკვიდრეობით მიღებული წიგნებითაც შეავსო. წიგნების შერჩევაში, გარდა ცოდნისა, საოცარი, ინტელექტუალური ინტუიცია იგრძნობა.

წიგნის ან ჟურნალის წაკითხვისას ხშირად იქვე კომენტარებს უკეთებდა რაიმეს, რაც ღრმა ანალიზს და სწორ გააზრებას შეიცავს. მისი მინაწერები ცალკე შესწავლასა და განხილვას საჭიროებს.

1918 წელს კოტე გაჩეჩილაძე შედის ახლად გახსნილ თბილისის უნივერსიტეტის სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის ისტორიულ დარგზე, რომელსაც ამთავრებს 1922 წელს და მაშინვე შედის იმავე ფაკულტეტის სიტყვიერების განყოფილებაზე.

საქართველოს ისტორიის კურსს კოტე გაჩეჩილაძეს უკითხავდა ივანე ჯავახიშვილი, რომელმაც იმთავითვე გამოარჩია საოცრად ნიჭიერი, შრომისმოყვარე სტუდენტი და უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ შესთავაზა, მასთან ემუშავა კათედრაზე. ამ დროისთვის კოტე გაჩეჩილაძემ ბრწყინვა-

ლედ იცოდა ქართული, რუსული, ლათინური, ბერძნული, გერმანული ენები.

ამ პერიოდს დაემთხვა საქართველოს გასაბჭოება. შეზღუდეს სამღვდელოება, დაიკეტა ეკლესიები. კოტე გაჩეჩილაძე იძულებული იყო, უარი ეთქვა ივანე ჯავახიშვილის მიერ შემოთავაზებულ წინადადებაზე და ეზრუნა საარსებო მინიმუმის მოსაპოვებლად. დაიწყო მუშაობა სკოლაში. ამასთან, იგი არ წყვეტს მეცნიერულ კვლევას. არის გატაცებული ლურსმული დამწერლობით, ცდილობს ჩვენი ქვეყნის ისტორიის ფესვების მოძიებას, სწავლობს შუამდინარეთის კულტურას.

სკოლაში მისვლა მისთვის მძიმე უღელი და კატორღელის იძულებითი შრომა არ ყოფილა. მან მთელი პასუხისმგებლობით გაითავისა პედაგოგის უმნიშვნელოვანესი როლი მომავალი თაობის აღზრდის საქმეში, თანაც ისეთ რთულ დროს, როგორც 20-იანი, 30-იანი წლები იყო. აკრძალული იყო მთელი რიგი მწერლების ხსენებაც კი, მათ შორის, ერთი პერიოდი, ილია ჭავჭავაძისაც. კოტე გაჩეჩილაძეს კედლიდან არასოდეს ჩამოუხსნია მისი სათაყვანებელი ილიას სურათი, რის გამოც შესაძლო იყო კიდეც დაეჭირათ.

რუდუნებით ინახავდა საეკლესიო წიგნებს, ისტორიულ საბუთებს.

სკოლაში იმთავითვე მოწიწებით "ბატონი კოტე"-თი ახსენებდა ყველა, თუმცა მაშინ სულ 22 წლისა იყო.

გეოგრაფიის, ისტორიის, მშობლიური ენისა და ლიტერატურის ერთმანეთთან მჭიდრო კავშირით, წარსულის, აწმყოსა და მომავლის ერთ მთლიანობად აღქმით, ისტორიული, ზნეობრივი მაგალითებითა და საკუთარი პიროვნების უაღრესად ვაჟკაცური, მაღალი მორალის ჩამოყალიბებით აღზარდა მრავალი თაობა.

ცნობილია, ყველა დროს თავისი ზნეობრივი საზომი აქვს. იმ დროში რა საზომიც არსებობდა, რა მორალის დამკვიდრებასაც ცდილობდნენ, არც ამის ახსნა უნდა იყოს საჭირო ამ წერილში. ყოველგვარი პატრიოტული დანაშაულად ითვლებოდა.

ბატონი კოტე, თავადაც მარადიული ღირებულებების მატარებელი, მარადიულ ფასეულობებს ამკვიდრებდა თავის მოწაფეებშიც. წარმავალს, დროებითს უპირისპირებდა ჭეშმარიტსა და ნამდვილს.

ბრწყინვალე, უნიკალური მეხსიერების მიუხედავად, ყოველი გაკვეთილის წინ, 35 წლის განმავლობაში, თავიდან ამუშავებდა იმ დღის, იმ გაკვეთილის მასალას, რაც ბავშვებთან უნდა მიეტანა, რათა უფრო სრულყოფილი, უფრო მრავლისმომცველი გაეხადა ყოველი გაკვეთილი.

საოცარი თავდადებით ხვეწდა თითოეული მოსწავლის სულს, თითქოს თავისი სათაყვანებელი ქვეყნის ხატს ქმნისო და ამ პიროვნებებს ქვიდან ძვირფას თვლებად რომ აქცევდა, ამ ხატში სვამდა აელვარებულებს. თანაც ეს ხდებოდა ისე, რომ ვერც კი გრძნობდნენ მისი მოწაფეები, როგორ მიაკვლევდა ხოლმე ყოველი მათგანის სულის ლაბირინთებში მიმალულ ნიჭსა და სიკეთეს და რა სიფაქიზით გამოჰქონდა იგი სააშკარაოზე. ხატი კი უფრო სრულყოფილი და მშვენიერი ხდებოდა.

სწორედ ბატონი კოტეს შესახებ მისი ნამოწაფარის, ერლომ ახვლედიანის მონაყოლით შეასხა ხორცი რეჟისორმა ლანა ღოღობერიძემ მასწავლებლის სახეს ფილმში "როცა აყვავდა ნუში".

*"კაცად კაცმან ტვირთი თვისი იტვირთოს!"* - ხშირად იმეორებდა კოტე გაჩეჩილაძე საუბარსა თუ პირად წერილებში.

როგორც ითქვა, პედაგოგიურ მოღვაწეობას უთავსებდა მეცნიერულ კვლევასაც. ფუნდამენტური ნაშრომი თითქმის მზად ჰქონდა, რომ... ავარიულ მდგომარეობაში მყოფი მისი სახლი ადგილობრივი მმართველობის უგულისყურობის გამო ჩაინგრა და მისი ნაშრომი თან ჩაიტანა.

ოჯახი გადარჩა - მთავარი მაინც ეს იყო.

მუშები სახლის ნანგრევებთან არ მიუშვა, თვითონ ხელით ამოჰქონდა კედლების ქვეშ, მოყოლილი უნიკალური წიგნები, რომ წერაქვებით არ გაეფუჭებინათ და შემდეგ წლების განმავლობაში თითოეულ წიგნს ფურცელ-ფურცელ ფაქიზად წმენდდა. სახლის ჩანგრევის შემდეგ, ორ კვირაში, სამამულო ომიც დაიწყო და საერთო გაჭირვებამ ყოველივე შთანთქა. მაინც სულით არ დაეცა, იბრძოდა, დაკარგული ნაშრომი მეხსიერებით აღადგინა.

წლები კი მიდიოდა. მეცნიერებაც ახალ სიმაღლეზე ადიოდა და, რადგან ეს კარგად ესმოდა, თავიდან იყო გადასახედი ნაშრომიც, ახლებურად იყო დასანახი მრავალი საკითხი, ახალი თაობაც ახალს, უფრო მეტს მოითხოვდა.

კოტე გაჩეჩილაძე, როგორც გამსვლელი ლექტორი, სხვა ქართველ მეცნიერებთან: თედო ბეგიაშვილთან, სიმონ გაჩეჩილაძესთან, კარპეზ დონდუასთან, ტიტე სარიშვილთან, ვახტანგ რევიასთან ერთად ცხინვალის (მაშინდელი სტალინირის) პედინსტიტუტში კითხულობდა ლექციებს - ისტორია და ქართული ენის სწავლების მეთოდიკა.

წარსულის ცოდნა მომავლის წინასწარმეტყველების საშუალებას იძლევა, ისტორიკოსის საოცარი ალღოთი დაჯილდოებულმა კონსტანტინე გაჩეჩილაძემ იმთავითვე სწორად გაიგო სამაჩაბლოში არსებული ტენდენცია, განწყობა და სტალინირის პედინსტიტუტის შრომებში სამაჩაბლოზე სტატია გამოაქვეყნა, სადაც წყაროებზე დაყრდნობით სამაჩაბლოს ისტორიაა განხილული, რის საფუძველზეც ეს ტერიტორია საქართველოს უდავო კუთვნილებადაა მიჩნეული.

ამით კონსტანტინე გაჩეჩილაძემ გაანაწყენა პედინსტიტუტის მაშინდელი რექტორი, ეროვნებით ოსი. ამ უკანასკნელმა წყენა გულში ჩაიდო და შესაფერის მომენტს დაელოდა.

მეორედ დაწერილი სადისერტაციო ნაშრომი კონსტანტინე გაჩეჩილაძემ დაცვისთვის ლენინგრადში წაიღო, რადგან იქ იყო ის სპეციალური კათედრა, რომელიც მის თემატიკას შეესაბამებოდა. ერთ-ერთი მეცნიერი, გაეცნო რა ნაშრომს, მაშინვე სიამოვნებით დათანხმდა კონსტანტინე გაჩეჩილაძეს, ყოფილიყო ნაშრომის ოფიციალური ხელმძღვანელი. ამისათვის კი საჭირო იყო, სტალინირის პედინსტიტუტის დირექციას ეშუამდგომლა კონკრეტულ პიროვნებასთან ნაშრომის ხელმძღვანელობის თაობაზე, რაც გულისხმობდა პედინსტიტუტის მიერ ხელმძღვანელისათვის გარკვეული თანხის გადახდას. თანხა მიზერული იყო, მაგრამ ოფიციალური მხარე აუცილებლად უნდა შესრულებულიყო. ამის გარეშე ლენინგრადელ მეცნიერს უფლება არ ჰქონდა ყოფილიყო დისერტაციის ხელმძღვანელი.

პედინსტიტუტს თანხა "არ აღმოაჩნდა".

კონსტანტინე გაჩეჩილაძემ თხოვნით მიმართა სტალინირის პედინსტიტუტის რექტორს, მისი საკუთარი ხელფასიდან გადაერიცხათ თანხა ლენინგრადში, რაზეც ასევე უარი მიიღო, რადგან ამის ოფიციალური უფლება თურმე "არ ჰქონდათ".

ამის შემდგომ მას აღარ უცდია ნაშრომის გამოქვეყნება, თუმცა მეცნიერულ კვლევას სიცოცხლის ბოლომდე აგრძელებდა. რომ არა ურთულესი წინააღმდეგობები, კონსტანტინე გაჩეჩილაძე უდავოდ მრავალ საინტერესო ნაშრომს შესძენდა ქართულ ისტორიოგრაფიას. მისი ნაშრომების ნაწილი დღესაც ინახება პირად არქივში და გამოქვეყნებას ელის.

უთუოდ ცხოვრებასთან ჭიდილში დაღლილს ათქმევინა კონსტანტინე გაჩეჩილაძეს მეგობრისადმი მიწერილ წერილში: "დავსდევ, დავსდევ სურვილებს, მაგრამ ვერც ერთ სურვილს ვერ მივსწვდი!.."

კონსტანტინე გაჩეჩილაძე ხშირად დადიოდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში და აგროვებდა ხალხში გაბნეულ ძველ ქართულ ხელნაწერებსა თუ საბუთებს. მან დიდი მცდელობითა და განსაკუთრებული ზრუნვით ეს დოკუმენტები უვნებლად გამოატარა ომს და გაჭირვების მძიმე წლებში, შემ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დგომ კი ჩააბარა მუზეუმებსა და საცავებში, რათა შთამომავლობას არ დაჰკარგვოდა წინაპართა ნააზრევი. ამ დაწესებულებათა სამადლობელი მიმართვები დღესაც ინახება კონსტანტინე გაჩეჩილაძის არქივში.

ცალკე განხილვის ღირსია კონსტანტინე გაჩეჩილაძის სამწერლო მოღვაწეობა.

1916 წლიდან, ჯერ კიდევ გიმნაზიის მეექვსე კლასის მოსწავლე ბეჭდავდა იგი მინიატურებს ქართულ ჟურნალ-გაზეთებში. მისი პირველი ფსევდონიმი იყო "კონ. წეველი", ხოლო შემდეგ "კონნე სპერელლი". ერთი-ორი კორესპონდენცია "დავიწყებულის" ფსევდონიმითაც აქვს გამოქვეყნებული.

1916 წლიდან კონსტანტინე გაჩეჩილაძე თანამშრომლობდა გაზეთ "სამშობლოში", ჟურნალ "პირველ ნაბიჯში", გაზეთ "ახალ ნაკადში", ჟურნალში "გ. ტაბიძე", გაზეთ "ტრიბუნაში", ჟურნალ "მესამე ინტერნაციონალში", იყო ერთ-ერთი დამაარსებელი ჟურნალისა "კრონოსის სარკე" და გაზეთისა "ია".

განსაკუთრებული სიახლოვე აკავშირებდა ტერენტი გრანელთან, რომელიც 1918 წელს გაიცნო გიონ საგანელისგან, შემდგომ მრავალი წლის სულიერმა და შემოქმედებითმა სიახლოვემ ისინი უფრო დაამეგობრა.

ფსევდონიმის არჩევაც ტერენტი გრანელს კონსტანტინე გაჩეჩილაძისთვის უკითხავს და "წალენჯიხელის" ნაცვლად "გრანელი" აურჩევია.

ტერენტი გრანელის მიერ დაარსებულ ჟურნალსაც "კრონოსის სარკე" კონსტანტინე გაჩეჩილაძის ლექსის სათაურის მიხედვით ერქვა.

"კრონოსის სარკეშია" დაბეჭდილი ტერენტი გრანელის ლექსი - "ფანტასტიკური ღამე" მიძღვნილი კონსტანტინე გაჩეჩილაძისადმი, სადაც მისი ფსევდონიმია მოხსენიებული: "თავის ლექსებში იხედება კონნე სპერელი".

კოტე გაჩეჩილაძე იმ ათიოდე გამცილებელთა შორის იყო, ვინც "1934 წლის შემოდგომის ერთ ნისლიან დღეს" ტერენტი გრანელი პეტრე-პავლეს სასაფლაოს მიაბარა. მას არასოდეს მიუტოვებია მივიწყებული პოეტის საფლავი, თუმცა წლებით დამძიმებულსა და გულით დაავადებულს უჭირდა საკმაოდ მოშორებულ პეტრე-პავლეს სასაფლაოზე სიარული. გრძნობდა რა, რომ საფლავს დაკარგვის საშიშროება ელოდა, მისი თხოვნით და შეწევნით ადგილობრივმა მღვდელმა, აწ განსვენებულმა შიო თურქაძემ, იზრუნა ტერენტი გრანელის საფლავის შეძლებისდაგვარად მოწესრიგებაზე. საფლავს გისოსი შემოავლო და დაკარგვას გადაარჩინა.

კონსტანტინე გაჩეჩილაძე ყოველმხრივ ცდილობდა პოეტის მივიწყებული სახელი შეეხსენებინა საზოგადოებისათვის.

1985 წლის 25 ივნისს, გაზეთ "თბილისში" დაიწერა წერილი - "ხსოვნას ნათელი მოგონება აცისკროვნებს. თბილისი - პოეტის ოცნება და სინამდვილე", სადაც აღნიშნულია - "ტერენტი გრანელის ქართულ ლიტერატურაში დაბრუნებას პირველი ბიძგი გაზეთ "ახალგაზრდა კომუნისტში" 1960 წლის 17 ოქტომბერს გამოქვეყნებული ანონიმი ავტორის წერილმა მისცა".

ამ წერილის "ანონიმი" ავტორი - კონსტანტინე მაკარის ძე გაჩეჩილაძეა. მანვე მიაწოდა გივი მიქაძეს ("ფსევდონიმებისა და ავტორების" შემდგენელს) ტერენტი გრანელის ყველასთვის უცნობი რამდენიმე ფსევდონიმი.

კონსტანტინე გაჩეჩილაძის არქივში შემორჩენილია მრავალი წერილის ასლი, რითაც იგი მოითხოვდა ტერენტი გრანელის პეტრე-პავლეს სასაფლაოდან გადასვენებას, რადგან ეშინოდა, ამ სასაფლაოს გაუქმების შემდგომ პოეტის საფლავი არ დაკარგულიყო.

მან რამდენჯერმე მისწერა წალენჯიხის რაიონის ხელმძღვანელობას, ერთი ქუჩისთვის მაინც დაერქმიათ ტერენტი გრანელის სახელი მის უკვდავსაყოფად.

"საოცარი ბედი ავტორის თან სდევს მის ნაღვაწს". ტერენტი გრანელზე ნათქვამი კონსტანტინე გაჩეჩილაძის ეს ფრაზა, თვით მასაც მიესადაგება.

"გადავიდა მარადისობაში და არავისგან არაფერს ითხოვს", მაგრამ დარჩენილია კონსტანტინე გაჩეჩილაძის უამრავი ლექსი, მინიატურა, ნოველა, მოთხრობა, ლიტერატურული თუ ისტორიული წერილი და ნაშრომი, ორი რომანი, რომელიც დღის სინათლეს ელოდება.

წერილს კონსტანტინე გაჩეჩილაძის სიტყვებით დავასრულებთ: "ცხოვრება მრავალფეროვანია და მრავალმხრივი. რომელი მწერალი რომელი კუთხიდან შეხედავს მოვლენას, - ეს მისი საქმეა.

ვისთვისაა გამიზნული ნაწერი? - მისთვის, ვინც თავის ტკივილებს, თუ სიხარულს ნახავს მასში...

... დასაწუნი ლიტერატურული ჟანრი არ არსებობს, ყველა მისაღებია, სადაც შემოქმედი სრულყოფილად გამოაცხადებს თავს".

**მარინე ქადაგიძე**

## წვიმ ეზოში

ალვის ხეივანი... მოხუცი ტყემლები...
რა უჩვეულოდ შეტოკდა გული!..
რამ გააფითრა ასე მთვარე? რამ შეაშინა?
ღრუბლებიც კი ფრთხილად უვლიან გვერდს...
რამდენი წამების მოწმენი არიან ეს ღრუბლები! -
როგორ ზიდავენ ქვეყნის ამდენ მწუხარებას?
რატომ იჩქარიან ისინი ან საით მიიჩქარიან?
არ სურთ ქვეყნის წამებას უცქირონ!..
ისინიც ხომ მიწის შვილები არიან?
მათაც ხომ უნდა იტკინონ ჩემი ტკივილები!
შეხეთ, როგორ იჩქარიან, როგორ იმალებიან!
მე არ მშურს თქვენი ბედი, ღრუბლებო!
თქვენ გაექეცით ქვეყნის სიავეს, მე არ გავექცევი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე აქ დავრჩები უტეხი, როგორც რვალი!
მე არ მსურს თქვენსავით ხეტიალი უკვალოდ...
თქვენ არ გინდათ ჩემი მწუხარება განიცადოთ!..
თქვენ არ გინდათ ჩაიხედოთ ჩემს სულში...
მე თვითონ არ ჩაგახედებთ,
სულის სარქველებს მაგრად დავხურავ...
თქვენ მირბიხართ!..
გაიქეცით, მე ოცნებას შევბორკავ, რომ არ დაგედევნოთ...
მე არც მთვარესთან თქვენი სიახლოვე მშურს!
მთვარე ხომ მეც შემიძლია დავიახლოვო!?
თქვენ ყურსაც არ მიგდებთ, მე კი ამდენს გისაყვედურებთ...
თქვენ არც კი მისმენთ, მე კი ვკივი!..
არა, მომიახლოვდით, ღრუბლებო!..
მე ხომ ასე მწყურია ჩემი ნაღველი გაგანდოთ?!
რა სპეტაკია თქვენი მკერდი
რა რძისფერი გზა...
რა მსუბუქია თქვენი მუხლი
და უმიზნო სვლა!?.
არა, მე არ მსურს...
რა არ მსურს?..
ან რა მსურს?..
რამ აატოკა ასე გული, რამ აატოკა??..

1942 წ. 27/II. ქ. ტფილისი

## კლდეკარის მზე

ეს კლდე მოწმეა ათასი წლების,
ამ ბილიკებზე ვის არ უვლია?
აქ კვალი არის წინაპართ ძვლების,
კუნთების კვალი დაკარგულია...

აქ მგზავრი მგზავრულს დაბლა ღიღინებს
და ღილებს უხსნის აისის სიოს.
ამ დროს კლდეკარზე ქვაც არ იძინებს,
რომ დრომ მზის კვალი არ გადასწიოს.

გაღეღილ მკერდით იჭერ მზის სხივებს,
მზეს სვამ თვალებით, მკერდით, პეშვებით.
ყვითლად ძარღვებში ნდომა ისხივებს
და სიზმარეთში მთვრალი ეშვები...

იღება მზეში უხმოდ კლდის კარი
და ოქროსფერი იღვიძებს ნება.
გროვდება სულში ზღაპრების ჯარი
და გულში დგება მზის სურნელება.

1942 წ. 26/IV

## მარტოობა

ალვები მაღალი,
მოხუცი ალვები...
მეზობლის მამალი,
კვირიკეს კარვები...

წაიღეთ ალერსი...
მომეცით ფიქრები...
ამ მწუხარებაში
მარტოკა ვიქნები...

1942 წ. 28/II

ეროვნული ბიბლიოთეკა

## კლდეკარის შეღმართი

გრძლად გაწოლილი ვიწრო ბილიკი...
დარაჯად ჩამწკრივებული მოხუცი მუხები
და
ხევში შხუილით მსრბოლი გლინავის ღელე...
ფრთხილი ნაბიჯი, მარდი, მჩატე და მოსხლეტილი,
თორემ ღელეზე გაბიჯებას ვერ ეღირსები...
გული ნანაობს...
დევების მწვანე თვალებით გიცქერენ კლდეები...
რა თამამია და მოუსვენარი აგერ ის შაშვი:
ათი ნაბიჯის სიახლოვეც კი ეშორება...
აუწევია თავი მაღლა მას მედიდურად და,
მშვენიერების ხილვით მთვრალი გასძახის ღელეთს...
მაგრამ რა შაშვი? რას მიქვიან შაშვის ჭახჭახი,
სადაც ბულბული გატაცებით უგალობს კლდეკარს...
მგზავრო, იჩრდილე იმ ხის ჩრდილში, იქ ჩამოჯექი,
აივსე გული სიხარულით, ემთხვიე მიწას...
ვნებიან მზერით დაგეძებს მზე, მაგრამ ამაოდ:
რცხილნარის ტევრში ვერ მოგწვდება.
სიამით სავსე მიგაქვს გული კლდეკარის გზაზე...
მიდიხარ და თან მიგაქვს ტვირთად მოგონებები...
წლებმა შევერცხლა თმა, გულსა კი ვერ მოერია...
ისე მიდიხარ, ვით გლინავის მარდი ჭინკები.
აქ ყოველი ხე ცოცხალია, სუნთქავს და ფიქრობს.
გლინავის ხევში სხვა ზღაპრები იბადებიან.
ოჰ, ეს ზღაპრები, მომხიბლავი, ნაზი ზღაპრები,
კლდეკარის გზაზე ჭინკებივით ამოგყვებიან...
წაბლნარის ტყეში გამოგყვება ზღაპარი ხევზე,
ცაცხვები ამბავს გიამბობენ თხილნარის გვერდით.
და როცა ახვალ, და კლდეკარის შუბლს შემოუვლი, -
წევის ტაძარი წმინდა ლოცვით შეგეგებება...

1942 წ. 29/III

## და შემოვიდა ოთახში მთვარე

მე სიყვარული ბავშვებს ვაჩუქე, -
სხვა გასამეტი არარა მქონდა.
მზე - სიყვარულო, გამოაშუქე, -
თორემ უშენოდ გული დაღონდა!
უსიყვარულოდ გული ღონდება,
(სიყვარულითაც ღონდება გული!)
სხვა დანანებით მოგაგონდება
გრძნობა, ნაადრი და დაკარგული.
ვით ბედისწერას, დავეძებ ალერსს
და ლამაზ ქალის უპირო სიტყვას
(რომ გასცილდები სურვილთა არეს,
რაც უნდა ის თქვას, რაც უნდა, ის თქვას!)
ასე მიდიან სიცოცხლის დღენი.
(ყოფნის ზღაპარი მე დავამთვარე!)
ვამბობ: წავიდა დღე მოსაწყენი, -
რომ შემოვდა ოთახში მთვარე.

1924 წ. 4/X - ქ. თბილისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## უბრალო ადამიანი (უჩინარი ადამიანი)

დავაჟკაცდა ისევე, როგორც ყველა მისი ტოლნი დავაჟკაცდნენ...
მანაც შეიყვარა, გადაიყვარა და შეირთო ცოლი...
იქაც იყო სარკიანი გარდერობის ძებნა,
ყვავილებით ვაზები და ბავშვის საფენები...
ჭამა-ჩაცმას არ გასცილებია მისი იდეალი...
თმა შეევერცხლა, სახე დაეღარა და მკერდი შეედრიკა...
დაუსრულებელ ფუსფუსში მიდიოდა ცხოვრება.
მისგან მოითხოვდა ყველა, მაგრამ არავინ არაფერს იმეტებდა მისთვის...
მას ყვლა თვლიდა მცირე ადამიანად მცირე განცდებით...
მის მწუხარებას ნამდვილ მწუხარებად არავინ სთვლიდა, ისიც გადაეჩვია
მწუხარების გამომჟღავნებას...
მის სიხარულს სიხარულის მიბაძვად სთვლიდნენ, - მანაც დაჰკარგა ღიმილი...
და იყო მხოლოდ მექანიკური ადამიანი...
შრომობდა, მიტომ რომ შრომობდნენ...
იძინებდა, მიტომ რომ იძინებდნენ...
და...
ისიც შეურიგდა საკუთარ არარაობას...
უპროტესტოდ იღებდა დამცირებას.
მშვიდად ისმენდა ვიგინდარების ქირდვასა და...
შეუმჩნევლად მდიოდა უჩინარი ადამიანი.

1945 წ. 26/IX - ქ. თბილისი

## ასეც ხდება

*ვუძღვნი მამის ხსოვნას*

ოცნებაში ჩაიარა სიყმაწვილის დღეებმა...
ყველაზე მძიმე ტვირთი, ამ ასაკში რომ მას უზიდავს, -
ქრიზანტემების თაიგული იყო...
თმას უფრთხილდებოდა და უქუდოდ დადიოდა...
სხეულის სიყვარული მას საათობით აჩერებდა სარკის წინ...
სიბერე სძაგდა, როგორც ჯალათი...
მუზეუმშიაც არ უყვარდა სიარული...
მარტოობის შიშით ცოლი შეირთო.
თავისთავი რომ საუკუნეებში ენახა, შვილები გაიჩინა...
ახალგაზრდობის სურვილები მათ აკვანთან დააწყო...
სულის სათუთი ყვავილები ფეხქვეშ გაუფინა...
არ ყოფილა უჩვეულო და უცხო...
თავისთვის მას არაფერი დაუტოვებია...
მისი სიამე შვილების სიცილი იყო...
მისი ნაღველი შვილების მწუხარება.
წვერი შეუთეთრდა და ავაზაკი ამოეტუზა...
შვილებმა შვილები გაიჩინეს და მოხუცი მარტო დარჩა...
მარტოობა აავადებდა, შვილების ნახვა კი ჰკურნავდა.
მან ასწავლა შვილებს შვილის სიყვარული:
და თვითონ მარტო დარჩა.

მარტოობის შიში მოერია და დასნეულდა...
არაფერი უთქვამს მამას.
სიკვდილის სიახლოვე რომ იგრძნო, შვილები მოინატრა...
არავინ მისულა...
უპირისუფლო მოხუცი საავადმყოფოში მოათავსეს.
არ იყო მოცლა, არ იყო ნუგეში...
მარტოობის ეშინოდა და მარტოდ მიიცვალა...
სასახელო შვილებმა უსახელო მამა უხმაუროდ
დაასაფლავეს.
არც ცრემლი, არც შოპენის სამგლოვიარო მარში...
იყო მხოლოდ ერთადერთი ანგარიში...

1944 წ. 21/III. ქ. სტალინირი

## სიცოცხლის შემოდგომა

მატარებელი მიჰქრის...
ქარი და წვიმა, წვიმა და ქარი...
რა საცოდავად დგანან ხეები.
ისინი უკანასკნელად გრძნობენ ფოთოლთა სიახლოვეს - მალე ქარი
მოჰგლეჯს მათ მკერდს ამ უკანასკნელ ნუგეშს და
გაიტაცებს შორს... შორს...
რა ლამაზია ხეები, - ასეთი ისინი ზაფხულშიც - არ ყოფილან:
მწუხარებამ გააფითრა, გაანაზა, ოქროს ფერში ამოავლო... -
ხუმრობა ხომ არაა შვილების გაზრდა და დაკარგვა?!
უჰ, როგორი ტკივილებით შორდებიან ფოთლები საყვარელ რტოს.
ქარი და წვიმა, წვიმა და ქარი...
მატარებელი - კი, როგორც სიცოცხლე უმიზნოდ, უაზროდ განაგრძობს
თავის გზას...

1943 წ. 4/X.

●●●

ვმაღლდები...
მაგიდაზე სკამი მიდგია და კარის-ზემო სარკმლიდან ვიცქირები.
მე ვგრძნობ, რომ თანდათან ვმაღლდები. მაგრამ ჩემს
გაფრენას ჭერი უშლის ხელს.
უნდა დაინგრეს ჭერი.
მე მინდა გასვლა სივრცის გარეშე.
უნდა დაინგრეს ჭერი,
ბრახვანი?
მეზობელი ზედა სართულიდან?
მე ჭერს ვანგრევ! დიახ, ჭერს ვანგრევ.
ვერ ჰხედავ, რომ იგი მიშლის გაფრენას?
ლილიტ, ლილიტ, შენთანაა ფიქრი ჩემი.
ტკივილი ჩემი ხელების და დადენილი სისხლი ჩემს სახეზე
მიიღე მსხვერპლად!
ჩემი ოთახი გაგიჟებას აპირებს...

3 ივნისი, 1924 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

●●●

მივდივარ მარტო.
გრძნობის ძახილი.
ფიქრი არესი.
იქ ბალდები სიყვარულის გუბეში.
ძილნატეხი თვალები - მოსეირნე ქალები დაეძებენ ქუჩაში
გუნებაზე არეულს.
ო, რძისფერი სურვილი დასძლევს სურვილს ალეულს.
რომ დროის რკალში რიცხვი ჰპოვებს რღვევის ნაპირებს;
და საფლავიდან გამოსავალს მიცვალებული.
მივდივარ მარტო!
გრძნობის ძახილი. ფიქრი არესი.
ეს სიკვდილია თუ უარესი?
მე ასე ვიტყვი, რომ მე ძალზე მსურს
ის ყვავილები გაუშლელი და უალერსო.
რომ იმ მთის მკერდზე მიწვენილი ღრუბელი მართობს.
რომ...
მივდივარ მარტო...

30 ივლისი. 1924 წ. ს. წევა.

●●●

ვიღაცა კვნესის.
ყეფენ ძაღლები.
მივემგზავრები დედის ლოცვებით.
ო, იმ ხეების, ვით მკვლელების მე მეშინია.
მე მეშინია სიზმარივით ჩავლილ დღეების.
სულს სიახლოვე არაოდეს არ წყურებია.
ისე სჯობია სიშორეში და იყოს ასე.
მე კი ვიჩქარი, ლილიტ, როგორც ჯიუტი ბავშვი.
ქარვის ჰიები ესევიან სურვილის მტევნებს.
და მე ვიჩქარი,
თითქოს, თითქოს ვიღაც მიმელის.
ლილიტ, არ დამხვდე, მეშინია შენ მანდ რომ იყო.
და... მე ვიჩქარი...
ო, ეს ხეები მკვლელებივით მიცდიან გზაზე.

30 ივლისი. 1924 წ. ს. წევა.

●●●

რას მომიტანს ეს მაისი,
ან ის ტევრთა მთები?
ჩაიქროლებს ის გაისიც,
დაეშვება ფრთები.
სად მივდივარ? რათ მივდივარ?
ამ გზას სად მივყვები?
მაინც ვფიქრობ რაღაცაზე
და... იმედით ვწვები...

15/VII - 67 წ. წაღვერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## პოეტის საფლავი

აქ ჩუმი მწუხარებით სძინავს ცხოვრებისაგან განაპირებულ პოეტს. სიცოცხლეშიაც რიყის დიდი ლოდი ედო სასთუმლად, ვინაიდან დანატრებული იყო რბილ ბალიშს, ახლა კი ქვის ბალიში დაუდვია მწერალთა კავშირს ნამეტანი უბრალო წარწერით - ტერენტი გრანელი. მხოლოდ იგი გვაუწყებს, რომ აქ განისვენებს წმინდა გულის მესაიდუმლე, ცხოვრებისაგან უმართებულოდ გვემული, ყველას ტკივილებით ნატკენი, კოსმიურ ცეცხლში დაფერფლილი შემოქმედი.

მარადი ძიების სული, უთუოდ, ახლაც ბორგავს ასე ძუნწად მიზომილ მიწის ქვეშ.

1964 წ. ნოემბერი.

## ზამთარი მთაში

შემოდგომამ უბრად ჩაუარა ნოემბერსა და ფეხაკრეფით მიიმალა. ეს თვეც ზამთარს გადაულოცა. ზამთარმაც არ დააყოვნა: იგი ერთბაშად გადმოიჭრა მთის მიღმეთიდან, აუშვა გახელებული ქარაშოტი და მორეკა ღრუბლები. წამოვიდა თოვლი.

ცვივა და ცვივა თეთრი ფანტელები, მათ მობეზრდათ ცაში ფრენა, განერინენ ზეცას და მიწისკენ იბრუნეს პირი: ბედს დაძებენ.

თოვს...

დაიფარა მიდამო თოვლით. აქა-იქ გაჭირვებით გაარჩევს თვალი მთის მორჩილ კოშკურებს: სარკმელს არ ასცილებია ჯერ თოვლი.

გაკვალვა შეუძლებელია. საქონელთან თოვლში შეჭრილი გვირაბით მიდიან. ქარბუქმა დააშორა მეზობლები. აღარ შეუძლიათ ერთმანეთის მოკითხვა.

მოხუცი ცოლ-ქმარი შიშმა აიტანა: მათი ქოხი მიყრუებულ ხევშია ჩადგმული. კარგ დარშიაც უჭირთ მათი მოკითხვა მეზობლებს, ახლა მით უმეტეს.

გაგულისებული გრიგალი ღოჯებდალესილი აწყდება ღობეყორეს; მისახვევს დაეძებს.

შეშინდნენ მოხუცნი.

რა სიყვარულით ეფერებიან ისინი ერთმანეთს, რომ სიცოცხლე გაუხანგრძლივონ.

მოხუცს იმედი გადაუწყდა: არავინ მოაკითხა.

ღონემ უღალატა, მუხლებიც გადაუდგნენ.

ცოლმა უმატა ალერსს უცეცხლურს, უსახოს, უძალოს...

ბარდნის და ბარდნის თოვლი.

აღარ ჩანს ფანჯრები.

ბუქი კარებთან დავლურს უვლის.

სახლის ირგვლივ მშიერი მგლები დაძრწიან.

მოხუცს ნაღველი მოერია. მარტოობის შიშმა აიტანა.

ქალი გაძვალტყავებულ თითებს უსვამს თოვლისფერ თმაზე ქმარსა და ერთსა და იმავე საალერსო სიტყვას ძლივსგასაგონი ხმით იმეორებს, რომ...

იმ დროს, როცა ქალმა უკანასკნელი კვერი ჩააკრა, სარკმლის ალათებიდან ჩამოცვენილმა ფითქმა იმედის შუქი შეიტანა ქოხში.

ზამთრის ტყვეებმა სიხარულით მოიხედეს და გაჭექილ კარს ურდული გააძვრეს.

თოვლში ამოგანგლული ოთხი ვაჟკაცი ომახიანი შეძახილით შეიჭრა გაჭვარტლულ კოშკურში.

მოვიდა ადამიანი და მოიტანა მოყვრის დიდი სითბო.

ბორიოთ ხევში მიიმალა. მგლები შიშის გზას გაჰყვნენ...

## მე მოვალ

შენ მოხვედი, ღვთაებრივო, გაზაფხულზე ენძელასთან ერთად ოცნების ლურჯ ფრთებზე მთვლემარე.

სიცოცხლე შენი მზიანი იყო და ამიტომ შეგარქვეს მზექალა.

შენ მოგყვა ღიმილი იასამნისა და ალერსი სოსანის.

გეწყო უბეში განძი უბიწო და სურვა უწრეტი...

მოგქონდა გული ნდომით უვსები და ვნებით უძღები...

გეგონა დრო უძრავი და თმა ფერუცვლელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხოვრებამ გიტეხა პირი: თმა შეჭირხლა და გული დათრთვილა.

ბედი გაგისხლტა ხელიდან და ღმერთებს შეცოდების ცრემლები შეაყარე: არ მოგიბრუნეს!

სიმშვიდის სამოსელი შემოეხა სულს და მწუხარება წამოგეფარა.

კვნესა შენი შურისძიების ზეიმად იქცა და გლოვა შენი სათავლის ცეკვად.

სიამაყე შენი ფრთამოტეხილი დაეშვა შენს სასთუმალთან და გაჰქრები შენ, როგორც მეყსეულად ანთებული ნეშოს ბოლი.

არავის დაენანები!

არავის შეეცოდები!

მხოლოდ მე მოვალ ერთადერთი და საკუთარ მკერდიდან ამომსკდარ სისხლს პეშვით გადაგავლებ, რომ შენს გაცივებულ ძარღვებს სიცოცხლე დაუბრუნდეს და ის, ვისაც ცივსა და ბნელ ორმოში შენს გვერდით ყოფნა დაენატრება, რომ მარტოობის სიმწარე არ იგრძნო, - მე ვიქნები...

## ღრუბელი

· ღრუბელი, ცის უსასრულო სივრცეში ბამბის ქულებივით თეთრად გაწოლილი ღრუბელი!

იგი ხან კუნთებს დაძაბავს სახტომად შემზადებულ ვეფხვივით, ხან აქლემივით ამოიგდებს კუზსა და ხან ფასკუნჯივით გაშლის ფრთებს.

გაოცებს ქცევით: ნებივრობს, ერთობა, მზეს ელაციცება შორიდან.

მიწის შვილი მიწას მაინც ვერ ივიწყებს!

აგერ, ანაზდეულად, სახე მოექუფრება, უზარმაზარ ლეგა ტალღებად ჩაიხვევა და ქვეშეთს ქუხილით გადმოხედავს.

თურმე ნუ იტყვი, მიწის მკერდის გადასაბანად ემზადება, ბალახს რომ ტანის ამოზრდაში მიეშველოს, ყანას თავთავების დასრულებაში წაადგესა და ლერწი ტკბილი ჟანტით გააძლოს.

და ის ცრემლები, ასე უხვად რომ აბნევს, სიხარულისაა, დაიჯერე.

ვალმოხდილის ცრემლი მადლიანია მუდამ!..



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ვენედიქტეროფეევი

ავტორი ვადიმ ტიხონოვს, თავის საუკეთესო მეგობარს, უძღვნის ამ ტრაგიკულ ფურცლებს.

# მოსკოვ-პეტუშკი

პოემა

### ფრიაზევო – 61-ე კილომეტრი

- დიახ, საიდუმლო მრჩეველი იოჰან ფონ გოეთეს სადღეგრძელოსა ვსვამ.

როგორც კი დავლიე, ვიგრძენი, რომ უკვე ვილეშები და კიდევ რაღაცები...

- მე... ნება მომეცით, ერთი უბრალო, უმნიშვნელო რაღაც გკითხოთ - შავულვაშას ულვაშებიდან და ულვაშებში ჩაფინჩხული ბუტერბროდებიდან ძლივს გამოაღწია მისმა სიტყვებმა: ის ისევ მხოლოდ მე მომმართავდა. - ნება მომეცით, გკითხოთ: რატომა გაქვთ თვალებში ამდენი ნაღველი?.. განა შეიძლება, ნაღვლიანი იყოთ, როცა ამდენი რამ იცით? კაცმა შეიძლება, იფიქროს, რომ დილიდან არაფერი დაგილევიათ!

მე ეს მეწყინა კიდეც:

- როგორ თუ არაფერი დამილევია! და განა ეს ნაღველია? ეს, უბრალოდ, თვალების დაბინდვაა... ცოტათი მოვითენთე. ესაა და ეს...

- არა, არა, ეს დაბინდვა ნაღველითაა გამოწვეული! თქვენ გოეთესავითა ხართ! თქვენ მთელი თქვენი გამომეტყველებით უარყოფთ ერთს ჩემს, რამდენადმე გონებაჭვრეტით, მაგრამ მაინც გამოცდილებიდან ამოზრდილ ლემას! თქვენც, გოეთესავით, ყველაფერს უარყოფთ...

- კარგი, ერთი, რითი უარვყოფ? ჩემი დაბინდულობით?

- დიახ, დიახ! თქვენი დაბინდულობით უარყოფთ! აბა, მომისმინეთ, აი, რას წარმოადგენს ჩემი სანუკვარი ლემა: როცა ჩვენ საღამოს ვსვამთ, დილით კი არა ვსვამთ, როგორი ვართ საღამოს და როგორი ვხდებით დილისთვის? მე, მაგალითად, თუ ვსვამ, ძალიან მხიარული, მოძრავი და დაუცხრომელი ვარ, ადგილს ვერ ვპოულობ, აბა! ახლა, დილით როგორი ვარ? როგორი და, მხოლოდ არამხიარული კი არა, უბრალოდ, უმოძრაო არა ვარ. მე ზუსტად იმდენადვე უფრო პირქუში ვარ ჩვეულებრივად, სიფხიზლეში რომა ვარ, იმასთან შედარებით, რამდენით ჩვეულებრივზე უფრო მხიარული ვიყავი წინადღეს. მე თუ წინადღეს ეროსის ტყვეობაში ვიყავი, დილას ჩემი ზიზღი ზუსტად ჩემს გუშინდელ ოცნებებს, ზმანებებს უტოლდება. რისი თქმა მინდა მე? აი, შეხედეთ:

შავულვაშამ ქაღალდზე ასეთი იდიოტური რაღაც გამოსახა და აგვიხსნა: ჰორიზონტალური ხაზი ჩვეულებრივი სიფხიზლის, ყოველდღიური ხაზია. მრუდის უმაღლესი წერტილი დაძინების მომენტი, უდაბლესი - ნაბახუსევს გამოღვიძებისა.

- ხედავ? ეს ხომ შიშველი სარკისებრობაა! სულელი, სულელი არაფერზე უზრუნია ისე თავგამოდებით, როგორც წონასწორობაზე! არ ვიცი, ზნეობრივია თუ არა ეს ზრუნვა, მაგრამ ის მკაცრად გეომეტრიულია! შეხედეთ: ეს მრუდი ხომ ჩვენთვის მხოლოდ ტონუსს როდი გამოსახავს! არა, ის ყველაფერს გამოსახავს. საღამოს - უშიშრობას, შიშის საბაბი რომც არსებობდეს, უშიშრობას და ყველა ფასეულობის დაუფასებლობას. დილით ყველა ამ ფასეულობის გადაფასებას, შეფასებას, რომელიც სავსებით უმიზეზო შიშში გადადის.

საღამოს, სიმთვრალით, სიმთვრალეში მან "ზედმეტი მოგვცა", დილით ის, მათემატიკური სიზუსტით, იმდენსავეს დაგვაკლებს. საღამოს ჩვენ იდეალს ვესწრაფოდით, ნაბახუსევს კი მას სცვლის სწრაფვა ანტ[illegible]ეალისკენ და, იდეალი მაინც თუ რჩება, მაშინ ის ანტისწრაფვას იწვევს. აი, თქვენ ორიოდე სიტყვით ჩემი სა-

---

დასასრული. დასაწყისი „ცისკარი" №11-12, 2002 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნუკვარი ლემა... ის საყოველთაოა და ყველას ესადაგება, ჩვენთან კი ყველაფერი ისე კი არაა, როგორც ადამიანებთან, არამედ, გოეთესთან რომაა, ისეა!..

გავიცინე: "ის საყოველთაო თუა, ლემა რატომაა?..."

და დეკაბრისტმაც გაიცინა: "ის "საყოველთაო თუა, ლემა რატომაა?" ლემა იმიტომაა, რომ ანგარიშს არ უწევს დედაკაცს! სუფთა სახით კაცს ანგარიშს უწევს, დედაკაცს - არა! დედაკაცის გამოჩენისთანავე ყოველგვარი სარკისებრობა ქრება. დედაკაცი დედაკაცი რომ არ იყოს, ლემა ლემა არ იქნებოდა. ვიდრე დედაკაცი არაა, ლემა საყოველთაოა. დედაკაცი თუ, - ლემა უკვე აღარაა... განსაკუთრებით - თუ დედაკაცი ცუდია, ლემა კი კარგი...

ყველა ერთბაშად ალაპარაკდა. "კი, მაგრამ ლემა რაა?", „ცუდი დედაკაცი რაა?", "ცუდი დედაკაცი არ არსებობს, ცუდნი მხოლოდ ლემები არსებობენ..."

-მე, მაგალითად, - თქვა დეკაბრისტმა, - ოცდაათი დედაკაცი მყავს და ყველა ერთმანეთზე უფრო სუფთაა, თუმცა მე ულვაშებიც კი არა მაქვს. თქვენ კი, დავუშვათ, ულვაში გაქვთ და ერთი დედაკაცი გყავთ. და მაინც, ჩემი აზრით, ერთ თუნდაც საუკეთესო დედაკაცს ოცდაათი თუნდაც უცუდესი დედაკაცი სჯობია...

- ულვაშები რა შუაშია! ულვაშზე კი არა, დედაკაცებზე ვლაპარაკობთ!

- ულვაშებზეც ვლაპარაკობთ! ულვაშები რომ არ იყოს, სათქმელი არც არაფერი იქნებოდა...

- ეშმაკმა იცის, რას როშავთ!... მე მაინც ვფიქრობ, რომ ერთი კარგი დედაკაცი თქვენს ოცდაათივე დედაკაცად ღირს. თქვენი აზრი როგორია ამაზე?.. - შავულვაშა ისევ ჩემკენ მობრუნდა. - მეცნიერული თვალსაზრისით როგორ უყურებთ ამას?..

მე ვუთხარი: მეცნიერული თვალსაზრისით, რასაკვირველია, უდრის, პეტუშკიში, მაგალითად, ოცდაათ ცარიელ ბოთლში ერთ ზვერობოის სავსე ბოთლს იძლევიან და, თუ შენ მოიტან, დავუშვათ...

"როგორ ოცდაათში ერთს?! ოცდაათი თორმეტზე 3.62-ია, ზვერობოი კი 2.62 ღირს. ეს ბავშვებმაც კი იციან. პუშკინი რამ მოკლა, არ იციან, ეს კი უკვე იციან, და მაინც არავითარ ხურდას არ იღებ. 3 და 60, რასაკვირველია, ის 2-სა და 62-ს სჯობია, მაგრამ ხურდას მაინც არ იღებ, იმიტომ, რომ ვიტრინის იქით კარგი დედაკაცი დგას, კარგ დედაკაცს კი პატივი უნდა სცე...

- კი, მაგრამ რითია კარგი ვიტრინის იქით მდგარი ის დედაკაცი?

- რითი და იმით, რომ ცუდი დედაკაცი თქვენ ჭურჭელს არ გამოგართმევდათ, კარგი დედაკაცი კი თქვენ ცუდ ჭურჭელს გართმევთ და მასში კარგ ჭურჭელს გაძლევთ. და ამიტომ უნდა სცეს მას პატივი... და საერთოდ, რისთვის არსებობს ამქვეყნად დედაკაცი?

ყველა მრავლისმეტყველად გაჩუმდა. რას ამბობდა მაკსიმ გორკი კუნძულ კაპრიზე? ნებისმიერი ცივილიზაციის საზომი ქალთან დამოკიდებულების წესიაო. მეც ასე ვიქცევი: შევდივარ პეტუშკის მაღაზიაში და ოცდაათი ცარიელი ბოთლი შემაქვს. მე ვამბობ: "ჩემო ძვირფასო დიასახლისო!" - ისეთი ნაღვლიანი ხმით ვამბობ: "ჩემო ძვირფასო დიასახლისო! მოიღეთ მოწყალება და ზვერობოი მომეცით..." და მე ხომ ვიცი, რომ თითქმის რუპს ვაძლევ: 3,60-ს მინუს 2.62. მენანება. ის კი მე მიყურებს, ფიქრობს: ამ მამაძაღლს ხურდა მივცე თუ არაო? მე კი მას ვუყურებ: მომცემს თუ არა ეს ვირიშვილი ხურდას? ალბათ, არ მომცემს. მე ამ წამს მას კი არ ვუყურებ, იმის იქით შორეთს გავყურებ. და რა, რა ჩნდება ჩემი უაზრო მზერის წინაშე? კუნძული კაპრი დგება. იზრდება აგავები და ტამარინდები, მათ ძირში ზის მაკსიმ გორკი, რომელსაც შარვლის ქვემოთ ბანჯგვლიანი ფეხები მოუჩანს. და თითის ქნევით მემუქრება: "ხურდა არ აიღო! არ აიღო ხურდა!" მე მას თვალს ვუკრავ: რა ვქნა, დასაყოლებელი არ მექნებამეთქი. "კარგი, ჰო, დავლევ, მაგრამ რა დავაყოლო?"

ეგა კიდე: "არა უშავს, ვენია, მოითმენ. და თუ რამეს ჭამა გინდა, არ დალიო". ჰოდა, მოვდივარ ყოველგვარი ხურდის გარეშე. ვბრაზობ, რასაკვირველია, ვფიქრობ: "საზომი" "ცივილიზაციისა!" ეჰ, მაკსიმ გორკი, მაკსიმ გორკი-მეთქი, სისულელის გამო, ან სიმთვრალეში წამოროშე შენ ასეთი რამ იმ შენს კაპრიზე? შენა, რა, შენ კარგადა ხარ, იქ შენს აგავებს შესანსლავ, მე კი რა ვხეთქო?..

პუბლიკა იცინოდა, შვილიშვილო მიტრიჩი კი ჭყვიროდა: "უ-უ-უ-უ, რა კარგი აგავებია, რა კარგი კაპრებია..."

- ცუდ დედაკაცზე რას იტყვით? - იკითხა დეკაბრისტმა. - განა ზოგჯერ ცუდი დედაკაციც საჭირო არაა?

- რასაკვირველია, რასაკვირველია, საჭიროა, - ვუპასუხე მე მას. - კარგ კაცს ცუდი დედაკაცი ზოგჯერ აუცილებლად სჭირდება. აი, მაგალითად, მე ამ თორმეტი კვირის წინათ კუბოში ვიწექი, უკვე ოთხი წელი ვიწექი, ასე რომ, აღარ ვყარდი. იმ დედაკაცს კი ეუბნებიან: "აი, ის კუბოში წევს და, თუ შეგიძლია, მკვდრეთით აღადგინე"! ეგ დედაკაცი კიდე კუბოსთან მოვიდა - თქვენ უნდა გენახათ, როგორ მოვიდა!

- ვიცით! - თქვა დეკაბრისტმა. - "მოდის ისე, როგორც წერს, წერით ლიოვასავით წერს, ლიოვა კი დამპლურად წერს".

- ეგა თქვი და! მოვიდა კუბოსთან და ამბობს: "ტალიფა კუმი - ადექი და იარე". და რა გგონიათ? ავდექი და წავედი, და აგერ უკვე სამი თვეა თვალებდაბინდული დავიარები.

- დაბინდულობა ნაღველითაა გამოწვეული, - გაიმეორა შავულვაშა ბერეტიანმა. - ნაღველი კი ქალიდან მოდის.

- დაბინდულობა დანებებამ, გატეხვამ გამოიწვია, - შეაწყვეტინა მას დეკაბრისტმა.

- "დანებება, გატეხვა" რა შუაშია? კი, მაგრამ რატომ "დავნებდი, გავტყდი?" იმიტომ, რო, დავუშვათ, ადამიანი ნაღვლობს და დედაკაცისკენ მიემგზავრება. ხომ შეუძლებელია დედაკაცისკენ მიდიოდე და არ დალიო! - მაშასადამე, ცუდი დედაკაცი ყოფილა! ჩვენი ამბავი, ტურგენევთან რომაა, ზუსტად ისეა: ყველანი ვსხედვართ და სიყვარულზე ვლაყბობთ... მოდით, მეც მოგიყვებით რამეს განსაკუთრებულ სიყვარულსა და იმაზე, თუ ზოგჯერ როგორი აუცილებლები არიან ცუდი დედაკაცები! მოდით, ისე მოვიქცეთ, როგორც ტურგენევთანაა! ყველანი რაღაცას მოვყვეთ...

"მოდით!", "მოდით, როგორც ტურგენევთანაა!" მოხუცმა მიტრიჩმაც კი თქვა: "მოდით!"

## 61-ე კილომეტრი - 65-ე კილომეტრი

მოყოლა დეკაბრისტმა დაიწყო:

- ერთი ძმაკაცი მყავდა, იმას ვერასოდეს დავივიწყებ. ის ჩემთან ისედაც ყოველთვის რაღაც აკვიატებუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი აზრით იყო შეპყრობილი, ახლა კი, თითქოს ეშმაკმა დარია ხელიო, ის გადაირია - და იცით, ვისზე? ოლგა ერდელიზე, სახელგანთქმულ საბჭოთა მეარფეზე. შესაძლოა, ვერა დულოვაც სახელმოხვეჭილი მეარფე იყოს, მაგრამ ის სწორედ ერდელიმ გადარია. ოღონდ ის ცხოვრებაში ერთხელაც არ უნახავს, მხოლოდ რადიოთი მოისმინა, თუ როგორ უკრავდა არფაზე, - ჰოდა, რა გინდა ჰქნა, შეიშალა კაცი...

შეიშალა და წევს, არ მუშაობს, არ სწავლობს, არ ეწევა, არ სვამს, ლოგინიდან არ დგება, გოგოები არ უყვარს, ფანჯრიდან თავის გაყოფაც კი არ უყვარს... მოჰგვარე მას ოლგა ერდელი და, ვითომც არაფერი. მეარფე ოლგა ერდელით დავტკბები და გავცოცხლდები: ლოგინიდან ავდგები, ვიმუშავებ და ვისწავლი, დავლევ და მოვწევ, ფანჯრიდან თავს გავყოფო. ჩვენ ვეუბნებით:

- კი, მაგრამ მანდამაინც ერდელი რაში გინდა? მის ნაცვლად ვერა დულოვა აიყვანე, ის ბრწყინვალედ უკრავს!

ეგა კიდე:

- დამეკარგეთ აქედან თქვენი ვერა დულოვიანა! კუბოში ვნახე მე ის თქვენი ვერა დულოვა! თქვენი ვერა დულოვას გვერდით მოსაშარდავადაც კი არ დავჯდები!

ერთი სიტყვით, ვხედავთ, რომ ეს ჭეელი ვერაა, ვერა... სამი დღის შემდეგ ისევ მივდივართ მასთან.

- აბა, როგორაა საქმე, ისევ ოლგა ერდელი გაბოდებს? ჩვენ მოვნახეთ ამის წამალი: გინდა, ხვალვე მოგითრევთ ვერა დულოვას?

- რასაკვირველია, მინდა, - გვპასუხობს, - თუ თქვენ გნებავთ, რომ ის თქვენი ვერა დულოვა არფის სიმით მოვახრჩო. ჰო, თუ ეს გნებავთ, მოათრიეთ. მე კი მას მოვახრჩობ.

რა გინდა ჰქნა? ჭეელი ხელიდან გვეცლება. უნდა გადავარჩინოთ. წავედი ოლგა ერდელისთან, მინდოდა ამეხსნა, რაც ხდებოდა, მაგრამ ვერ გავბედე. ვერა დულოვასთანაც კი მინდოდა წასვლა - მაგრამ ვიფიქრე - არ ივარგებს, ეგ იმას კესანესავით გასრესს-მეთქი. საღამოსპირას მოსკოვში დავაბიჯებ და დარდი მკლავს: ეგენი ახლა იქ არფას უსხედან და უკრავენ, არფით სქელდებიან და ფუშფუშდებიან, ჩვენი ჭეელისგან კი ნანგრევები და ფერფლიღა დარჩა.

ამ დროს მხვდება დედაკაცი, რომელიც ძალიან-ძალიან ხნიერი არაა, მაგრამ უკვე მთვრალი-მთვრალია. "რრრუპ. მომეცი, - მეუბნება, - მომეც, რრრუპ!" და ამ დროს გონება გამინათდა. მე მას რუპ მივეცი და ყველაფერი ავუხსენი. ის ქალი ერდელიზე უფრო გამგებიანი აღმოჩნდა, და უფრო მეტი დამაჯერებლობისთვის ბალალაიკა წამოვაღებინე...

და აი, ის მე ჩემს ძმაკაცთან მივათრიე. შევედით: ეგ გაშოტილია და ჰმუნავს. მე მას ჯერ ბალალაიკა ვესროლე, პირდაპირ კარიდან ვესროლე, შემდეგ კი ეს დედაკაცი ჩავახუტე: „აგე ეგა, შენი ერდელი! თუ არა გჯერა, ჰკითხე!"

და დილით ვხედავ: გაიღო სარკმელი, იქიდან თავი გამოჰყო და ნელ-ნელა გაბოლა. შემდეგ ცოტ-ცოტათი ამუშავდა, სწავლა და სმა დაიწყო... და კაცი კაცს დაემსგავსა. ეგრე იყო ეს საქმე, აბა!

"კი, მაგრამ აქ ან სიყვარული სადაა, ან ტურგენევი?" - ავყაყანდით ჩვენ, თითქმის არ ვაცალეთ სათქმელის ბოლომდე თქმა. - "ეგ არა, ეგ არა, შენ სიყვარულზე ილაპარაკე! შენ ივან ტურგენევი წაკითხული გაქვს?" "ჰოდა, თუ წაიკითხე, მოჰყევ!" "პირველ სიყვარულზე, ზინოჩკაზე, მარაოზე მოგვიყევი და იმაზეც თუ როგორ გილაწუნეს სიფათში შოლტი - აი, დაახლოებით ყველაფერი ეს გვიამბე..."

- რასაკვირველია, - განაცხადა მან. - ივან ტურგენევთან ყველაფერი ცოტა სხვაგვარადაა, მასთან ყველანი, ცილინდრიანები, ბუხართან სხედან და მიდი... ჰო, კარგი, ჩვენ უბუხროდაც შეგვიძლია გართობა.

- რასაკვირველია, რასაკვირველია!

- ტურგენევურად სიყვარული, აი, რას ნიშნავს: ყველაფერს უნდა შეელიო გულის რჩეულის სასარგებლოდ! უნდა შესძლო იმის გაკეთება, რისი გაკეთებაც ტურგენევური სიყვარულის გარეშე შეუძლებელია! აი, მაგალითად, ("შენ"-ზე შეუმჩნევლად გადავდივართ), შენ, დეკაბრისტო, შესძლებდი თუ არა იმ ძმაკაცისთვის, რომელზეც გვიყვებოდი, თითი მოგეჭამა? საყვარელი ქალის საამებლად მოგეჭამა?

- კი, მაგრამ თითი რატომ უნდა მოვაჭამო?.. თითი რა შუაშია? - დაიკვნესა დეკაბრისტმა.

- არა, არა, მომისმინე. შენ თუ შესძლებდი პარტკაბინეტში ღამე ჩუმად შესვლას, შარვლის გახდას და მთელი ფლაკონი მელნის დალევას, შემდეგ კი იმ ფლაკონის თავის ადგილზე დადგმას, შარვლის ჩაცმას და შინ ჩუმად დაბრუნებას? საყვარელი ქალის საამებლად შესძლებდი ამას, შესძლებდი?..

- ღმერთო ჩემო! ვერა, ვერ შევძლებდი.

- ჰოდა, საქმეც ეგაა...

- მე კი შევძლებდი, - მოულოდნელად ხმა ამოიღო ბაბუა მიტრიჩმა. ისე მოულოდნელად ალაპარაკდა, რომ ჩვენ ისევ ავცქმუტდით და ხელებიდან ოფლის მოწმენდა ვიჩქარეთ...

- შენა? მოყოლა? შენ ტურგენევი, ალბათ, არც წაგიკითხავს!

- მერე რა, თუ არ წამიკითხავს... სამაგიეროდ ჩემმა შვილიშვილმა წაიკითხა ყველაფერი...

- კეთილი! კეთილი! შვილიშვილი მერე მოგვიყვება! შვილიშვილს სიტყვას მერე მივცემთ! მიდი, მამილო, მიდი, სიყვარულზე მოგვიყევ!..

"წარმომიდგენია, - გავიფიქრე, - რა სისულელესაც მოგვიყვება! როგორ გაუგონარ სისულელეს მოვისმენთ!" და მე უცებ გამახსენდა ჩემი დედოფლის გაცნობის დღეს ჩემს მიერ აღვლენილი ტრაბახი: "მე უფრო მეტად ვიაბდაუბდები! უფრო მეტად, უფრო მეტად!" რა გაეწყობა, ილაპარაკოს ამ ტირია მიტრიჩმა. პატივი უნდა ვცეთ, ვიმეორებ, სხვისი სულების სიბნელეს, წყვდიადს, უნდა ჩავიხედოთ მათში, თუნდაც მათში არც არაფერი იყოს, თუნდაც იქ მხოლოდ საძაგლობები იყოს. ამას მნიშვნელობა არა აქვს: იხედე მათში, იხედე და ნუ მიაფურთხებ მათ...

ბაბუამ მოყოლა დაიწყო.

## 65-ე კილომეტრი - ჰავლოვო-ჰოსადი

- თავმჯდომარე გვყავდა ჩვენა... ლოენგრინი ერქვა, რაღაცნაირად მკაცრი ვინმე იყო... ბატონივით დაბრძანდებოდა... ყოველ საღამოს მოტორიანი ნავებით დასეირნობს, აბა! ჩაჯდებოდა ნავში და მდინარეს მიუყვებოდა... მიცურავს, მიცურავს და არც არავისი არაფერი გაეგება...

მთხრობელის თვალებიდან ტენი იღვრებოდა, და ის აღელვებული იყო:

ეროვნული ბიბლიოთეკა

- და ის ნავებით გაისეირნებს თუ არა... მიდის თავისთან საგანმგებლოში და იატაკზე წვება... და ამ დროს მასთან ვერაფერს გააწყობ - დუმს და დუმს. და თუ მას რაიმე მისთვის არასასურველ სიტყვას ეტყვი, კუთხისკენ შებრუნდება და ტირილს იწყებს... დგას და ტირის, ტირის და ბალღსავით იატაკზე აფსამს.

ბაბუა უცებ გაჩუმდა. ტუჩები მიებრიც-მოებრიცა, მისი ლურჯი ცხვირი აელდა და ჩაქრა. ის ტიროდა! ქალსავით, თავზეხელებწავლებული, ტიროდა და მხრები ტალღებივით უთრთოდა.

- სუ ესაა, მიტრიჩ, მორჩა?..

- სუ ესაა, - გვიპასუხა თვალცრემლიანმა.

ვაგონი ხარხარმა შეარყია. ყველა იცინოდა, უმსგავსოდ და სიხარულით აცეტებული იცინოდა. შვილიშვილი მიტრიჩი კი აპარტყუნდა, ქვემოდან ზევითკენ აიყალყა, რათა მარცხნიდან მარჯვნივ არ გადაქანებულიყო.

- კი, მაგრამ აქ ტურგენევი სადაა? ჩვენ ხომ შევთანხმდით, რომ, როგორც ტურგენევთანაა, ისე... აქ კიდევ ეშმაკმა იცის, რა ხდება! ეს რა მიეთმოეთია? თანაც, ამას დამატებით "აფსამს!.."

- ეგ, ალბათ, კინოსურათის შინაარსს ჰყვება, - წამოაყრანტალა ვიღაცამ გვერდიდან, - კინოსურათ "თავმჯდომარის" შინაარსს!

- დალახვროს ეშმაკმა, კინოსურათი რა შუაშია?

მე კი ვიჯექი და მესმოდა მოხუცი მიტრიჩისა, მესმოდა მისი ცრემლებისა: მას, უბრალოდ, ყველა და ყველაფერი ებრალებოდა - თავმჯდომარე იმის გამო ებრალებოდა, რომ მას ასეთი სამარცხვინო მეტსახელი შეარქვეს, ის კედელიც, რომელიც მან დაასველა, ნავიც და, საერთოდ, ყველა და ყველაფერი ებრალებოდა, პირველი სიყვარული თუ პირველი სიბრალული. - რა განსხვავებაა? ღმერთი, რომელიც ჯვარზე კვდებოდა, ჩვენ სიბრალულს გვიქადაგებდა, ლაზღანდარობა, მასხარაობა კი მას ჩვენთვის არ უქადაგნია, სამყაროს შებრალება და სიყვარული ერთიანი რამაა. ყველა მარტოხელასი და ყველა ჭიის სიყვარული. და ყველანაირი ჭიის ნაყოფის შებრალება გვიქადაგა.

- მოდი, მამილო, - ვუთხარი მე მას, - მოდი, გაგიმასპინძლდები, შენ ეს დაიმსახურე! შენ კარგად მოჰყევი სიყვარულზე...

- მოდით, ორლოველ აზნაურს გაუმარჯოს!..

ისევ დაიწყო ის ბუყბუყი და ის ზრიალი, შემდეგ კი ფაჩუნი და კოცნაობა. ეტიუდი დო დიეზ მინორ, ფერენც ლისტის თხზულება, ბისზე სრულდებოდა.

ერთბაშად ვერავინ შეამჩნია, როგორ შემოვიდა ჩვენს "კუპეში" (მას "კუპე" დავარქვათ), როგორ მოვლინდა ყავისფერბერეტიანი, უაკეტიანი და შავულვაშა ქალის ფიგურა. ის გალეშილი იყო, თხემით ტერფამდე გალუმპული, და მისი ბერეტი აქეთ-იქით მიმოდიოდა...

- ტურგენევი და დალევა მეც მინდა, - ამოღერღა მან.

დაბნეულობა ორიოდ წამსლა გამიგრძელდა.

- მადა ჭამაში მოდისო, - გესლიანად თქვა ვიღაცამ.

ყველამ გაიცინა.

- სასაცილო რაა აქ, - თქვა ქალიშვილმა, - არა უშავს დედაკაცია, კარგიძ ფუმფულა...

- ასეთი კარგი დედაკაცები, - პირქუშად შეესიტყვა შავულვაშა და ბერეტი მოიხადა, - ასეთი კარგი მანდილოსნები ყირიმში უნდა გაგზავნო, რათა იქ ისინი მგლებმა - დათვებმა შეჭამონ...

- რატომ, რატომ! - პროტესტი განვაცხადე მე და ავწრიალდი. - ჩამოჯდეს, ჩამოჯდეს! და რამე გვიამბოს! "ტურგენევი წაიკითხეთ, მაკსიმ გორკი წაიკითხეთ, მაგრამ ვინა ხართ, რო!.." შევვიწროვდი. ის დედაკაცი დავსვი და ნახევარი ჭიქა "დეიდა კლავა" დავუსხი.

მან დალია და, მადლობის თქმის ნაცვლად, ბერეტი აიხადა "აი ამას ხედავთ?" და მან ყველას უჩვენა ყურს ზემოთ ნაიარევი. შემდეგ საზეიმოდ გაჩუმდა - და ისევ გამომიწოდა ჭიქა: "ჩამოაჩქაფუნე, ახალგაზრდავ, თორემ გონს დავკარგავ".

მე მას ნახევარი ჭიქაც ჩამოვუსხი.

## პავლოვო – პოსადი – ნაზარიევო

მან ესეც დალია, და როგორღაც მაშინალურად დალია, დალევის შემდეგ კი ყურთამდე გაიხია პირი და ყველას აჩვენა: "ხედავთ, რომ ოთხი კბილი მაკლია?" "ვხედავთ, მერედა სადაა ის კბილები?" "ეშმაკმა იცის, სადაა ისინი. მე განათლებული ქალი ვარ, მაგრამ, ა, უკბილებოდ დავიარები, იმან მე ის კბილები პუშკინის გამო ამომამტვრია. მე კიდე მესმის, რომ ლიტერატურული მუსაიფი გაქვთ, ჰოდა, ვიფიქრე, იმათ მივუჯდები, დავლევ და თან მოვყვები, პუშკინის გამო რატომ გამიტეხეს თავი და ოთხი კბილი ამომამტვრიეს-მეთქი..."

და მან დაიწყო მოყოლა, და თხრობის მისეული სტილი საოცარი რამ იყო...

- ყველაფერი სწორედ პუშკინით დაიწყო. ჩვენთან გამოგზავნეს კომკორგი ევტიუშკინი. ის სულ მჩქმეტდა და ლექსებს მიკითხავდა, ერთხელ კი როგორღაც ნაკუთალზე მეჭიდება და მეკითხება: “Мой чудный взгляд тебя томил?” მე ვეუბნები: "დავუშვათ, რომ მტანჯე და..." ის კიდე ნაკუთალზე მეჭიდება და: “В душе мой голос рядзфвался?” მე ვჭყივი და ვეუბნები: "ჰო, რასაკვირველია, გაისმოდა". ახლა ის ილლიაში მიჩრის და სადღაც მიმათრევს. და როცა უკვე გამათრია, მთელი ის დღეები გაოგნებული დავდიოდი და ვიმეორებდი და ვიმეორებდი: "პუშკინ-ევტიუშკინი მტანჯავდა-გაისმოდა", „გაისმოდა - მტანჯავდა - ევტიუშკინ-პუშკინი", შემდეგ ისევ: "პუშკინ-ევტიუშკინ"... - შენ საქმესთან უფრო ახლო მიდი, ახლოს მიდი წინა კბილებთან, - შეაწყვეტინა მას შავულვაშამ. - ახლავე, ახლავე კბილებიც იქნება! კბილები იქნება-მეთქი!.. რა იყო ამის შემდეგ? დიახ, ამ დღიდან ყველაფერი კარგად მიდიოდა, მთელი ნახევარი წლის მანძილზე ვხვდებოდით ერთმანეთს სათივეზე. ღმერთს ვარისხებდი, ყველაფერი კარგად იყო! შემდეგ კი ისევ იმ პუშკინმა წაახდინა საქმე!.. მე ხომ ჟანა დ'არკივითა ვარ. ისიც - არა! იმისთვის არა, ძროხები ემწყემსნა ან ხორბალი ემკა, - შეჯდა ცხენზე და ორლეანისკენ გააჭენა, რათა იქ თავისი ჭია ეხარებინა და ფათერაკები ეძებნა. აი, მეც ასე ვარ - როგორც კი შევთვრები, მაშინვე მასთან მივბორიალობ და ვეუბნები: "ბაღლებს შენს მაგივრად ვინ დაზრდის? პუშკინი?" ეგ კიდე მიღრენს: "რა ბაღლები, რის ბაღლები? ბაღლები ხომ არ გვყავანან! პუშკინი, აბა, რა შუაშია!" მე კიდე ამაზე ვპასუხობ: "როცა ისინი, ბაღლები, გვეყოლებიან, გვიან იქნება პუშკინის გახსენება!" და ყოველთვის, როცა კი შევთვრებოდი, ერთი დაკა-დაკა გვქონდა. "შენს მაგივრად, - ვეუბნები, - ბავშვებს ვინ, ვინ?.. პუშკინი?" ის კიდე პირდაპირ ცოფდება, "წადი, დარია, - ყვირის, - წადი! ადამიანის

ეროვნული ბიბლიოთეკა

სულიდან ცეცხლის ამოფრქვევას შეეშვი!" მე ის ასეთ წუთში მძულდა, ისე მძულდა, რომ თავი მისკდებოდა. შემდეგ, მაინც ისევ მიყვარდა, ისე მიყვარდა, რომ ამის გამო ღამე მეღვიძებოდა ხოლმე... და, აი, ერთხელ როგორღაც გავილეშე. ეგრევე ბორძიკ-ბორძიკით მივდივარ მასთან და ვღრიალებ: "შენს მაგივრად ბალღებს პუშკინი დაზრდის? პუშკინი დაზრდის-მეთქი?" პუშკინის ხსენებაზე ის გაშავდა და აძაგძაგდა: "სვი, დათვერი, ოღონდ პუშკინს შეეშვი! ბალღებს შეეშვი! ყველაფერი სვი, ჩემი სისხლი სვი, ოღონდ...!" მე კი ამ დროს ბიულეტენზე ვარ, ტვინის შერყევა და ნაწლავების გადახლართვა მაქვს, სამხრეთში კი ამ დროს შემოდგომა იყო და, აი, მე მას რა ვუღრიალე: "წადი ჩემგან, წადი, სულთამხუთავო, სუ წადი! იოლად გადავალ! ერთ თვეს ვიბოზავებ და მერე მატარებელს ჩავუვარდები! შემდეგ კი მონასტერში წავალ და მონაზვნად აღვიკვეცები! შენ ჩემთან მიტევების სათხოვნელად მოხვალ, მე კი, სუ თლა შავსამოსიანი, ძალიან მომხიბვლელი ქალი გამოვალ და სიფათს დაგიკაწრავ, აი, ჩემი საკუთარი ბრანწით დაგიკაწრავ! წადი!!" შემდეგ ვუყვირი: "შენ სული მაინც თუ გიყვარს ჩემში? სული გიყვარს?" ეგ სულ ცახცახებს და შავდება: „გულით, - ღრიალებს, - გულით კი, გულით მიყვარს შენი სული, მაგრამ სულით, სულით კი არ მიყვარს!!" და როგორღაც უცნაურად, ოპერულად, გაიცინა, ხელი მტაცა, თავის ქალა გამიტეხა და ვლადიმირ ნა კლიაზმეში წავიდა. რისთვის წავიდა? ვისთან წავიდა? ჩემს შეცბუნებას მთელი ევროპა იზიარებდა. ბებიაჩემი კი, ყრუ-მუნჯი, ღუმელზე წევს და იქიდან მეუბნება: "აი, ხომ ხედავ, რა შორს წახვედი შენ, დაშენკა, შენი "მეს" ძიებებში!"

დიახ! ერთი თვის შემდეგ კი ის დაბრუნდა! ამ დროს მე გამომტყვრალი გახლდით და, როცა ის დავინახე, იატაკზე დავეცი, გავიცინე და ფეხები ზევით ავყარე: "აჰა! - ვუყვირე. - ვლადიმირ ნა კლიაზმეზე დაითესე არა? არა! კი, მაგრამ შენს მაგივრად ბალღებს..." ეგა კიდე, ერთი სიტყვაც რომ არ უთქვამს, ისე მოვიდა ჩემთან და ოთხი წინა კბილი ამომამტვრია და წავიდა როსტოვ ნა დონუში, კომკავშირის საგზურით წავიდა...

- გულის წასვლას არაფერი მაკლია, ძმაკაც, ჰოდა, ცოტაც ჩამომისხი...

ყველანი სიცილისგან იხჩობოდნენ. ყველას ბოლო მოუღო მთავარმა რამემ - იმ ყრუ-მუნჯმა ბებიამ.

- სადაა ახლა ის, ის შენი ევტიუშკინი?..

- ეშმაკმა იცის, სადაა! ან ციმბირშია, ან შუა აზიაში, ის თუ როსტოვში არ ჩავიდა და ჯერ ცოცხალია, მაშასადამე, სადღაც შუა აზიაშია. და თუ როსტოვამდე ვერ მიაღწია და მოკვდა, მაშასადამე, ციმბირშია...

- სწორს ამბობ, - მხარი დავუჭირე მას. - შუა აზიაში არ მოკვდები, შუა აზიაში შესაძლებელია ცხოვრება, პირადად მე იქ არ ვყოფილვარ, მაგრამ ჩემი მეგობარი, ტიხონოვი - იყო. ის ამბობს: მიდიხარ, მიდიხარ, ხედავ - კოშლაკოა, მასში კი ღუმელს წივით ახურებენ და იქ დასალევი სულ არაა, მაგრამ სახეთქი ბლომადაა: აკინები, საქსაული... და ის თითქმის ნახევარი წლის მანძილზე ასე იკვებებოდა: აკინებსა და საქსაულს ჭამდა. და კარგადაა - შესუქებული და თვალებგადმოკარკლული ჩამოვიდა.

- ციმბირში?..

- ციმბირში ვერა, ციმბირში ვერ იცხოვრებ. ციმბირში საერთოდ არავინ ცხოვრობს, იქ მხოლოდ ზანგები არიან. მათთან პროდუქტები არ ჩააქვთ, იქ დასალევი არაფერია, „საჭმელზე" რომ არაფერი ვთქვათ. მათთან წელიწადში მხოლოდ ერთჯერ ჟიტომირიდან ჩააქვთ მოქარგული პირსახოცები და ზანგები იმით იხრჩობენ თავს...

- რა ზანგებიო, რის ზანგებიო? - შეშფოთდა თითქმის ჩათვლემილი დეკაბრისტი, - ციმბირში ზანგებს რა უნდათ? ზანგები შტატებში ცხოვრობენ და არა ციმბირში! თქვენ, დავუშვათ, ციმბირში იყავით, მაგრამ შტატებში იყავით?

- შტატებში ვიყავი! და იქ არავითარი ზანგები არ არიან!

- არავითარი ზანგები? შტატებში?

- დიახ, შტატებში! იქ არც ერთი ზანგი არაა!

ყველა როგორღაც ისე გამოშტერდა და ისეთი რაღაცეები მოისმინეს, რომ გაოცების თავი უკვე არ ჰქონდათ. რთული ხვედრის, ნაიარევიანი და უკბილებო ქალი ყველამ ერთად და დაუყოვნებლივ დაივიწყა. და თვითონ ის ქალიც როგორღაც გაითიშა, და ყველა სხვაც გაითიშა, გარდა უმცროსი მიტრიჩისა, რომელიც მანდილოსნის იქ ყოფნის ვითარებაში ყოჩაღ ვინმედ გამოჩენილიყო, კეფის გარდიგარდმო რაღაც სითხეს ისხურებდა...

- მაშასადამე, თქვენ შტატებში იყავით, - ამოილუღლუღა შავულვაშამ, - ეს უკვე ძალიან და ძალიან განსაკუთრებული რამაა. ვთქვათ, იქ ზანგები არ არიან და არც არასოდეს ყოფილან, მე ამის დაშვება შემიძლია... მე თქვენი მჯერა, როგორც ჩემიანისა... მაგრამ მითხარით: იქ თავისუფლებაც არ ყოფილა და არაა?.. ამ მწუხარების კონტინენტზე თავისუფლება მხოლოდ მოჩვენებაა? მითხარით...

- დიახ, - ვუპასუხე მას, - ამ მწუხარების კონტინენტზე თავისუფლება მოჩვენებად რჩება და ისინი ამას ისე შეეჩვივნენ, რომ თითქმის ვერ ამჩნევენ. აბა, დაფიქრდით, დაფიქრდით! მათთან - მე იქ ბევრი ვიარე და ვაკვირდებოდი, - არცერთ გრიმასაში, არცერთ ჟესტში და არცერთ რეპლიკაში არ იგრძნობა ოდნავი უხერხულობაც კი, რასაც ჩვენ ასე შევეჩვიეთ. იქ ყველა სიფათზე იმდენი ღირსება აღიბეჭდება, რომ ჩვენ ყველას მთელი ჩვენი დიადი ხუთწლედის მანძილზე გვეყოფოდა. "რატომ უნდა იყოს ეს ასე? - ვფიქრობდი მე, მანჰეტენიდან მე-5 ავენიუსკენ ვუხვევდი და ჩემს თავს მევე ვპასუხობდი: ეს მათი საძაგელი თვითკმაყოფილების შედეგია და მეტი არაფრისა. მაგრამ თვითკმაყოფილება საიდან მოდის?" მე შუა ავენიუზე ვირინდებოდი, რათა ამომეხსნა: "პროპაგანდული ფიქციებისა და სარეკლამო კაურების სამყაროში რატომ უნდა იყოს ამხელა თვითკმაყოფილება?" ჰარლეებში მივაბიჯებდი და მხრებს ვიჩეჩავდი: "როგორ ხდება ეს? მონოპოლიათა იდეოლოგების სათამაშოების, ზარბაზნების ხელმწიფეთა მარიონეტების ქვეყანაში საიდანა აქვთ ამხელა მადა? დღეში ხუთჯერ სანსლავენ, და ძალიან მაგრად, და ისეთივე უსაზღვრო ღირსების გრძნობით სანსლავენ, რომ გებადება კითხვა - და განა შესაძლებელია კარგ ადამიანს, მით უმეტეს, შტატებში ასეთი მადა ჰქონდეს!.."

- დიახ, დიახ, დიახ, - კვერს მიკრავდა მოხუცი მიტრიჩი. - ისინი იქ ჭამენ, ჩვენ კი უკვე თითქმის არა ვჭამთ... მთელი ბრინჯი ჩინეთში მიგვაქვს, მთელი შაქარი - კუბაში... ჩვენ თვითონ კი რაღა ვჭამოთ?..

- არაფერი, მამილო, არაფერი!.. შენ შენი წილი საჭმელი უკვე შეჭამე, ასე რომ, შენგან ამის გამო [illegible]ლებით ცოდვას ნუ აიკიდებ. შტატებში თუ იქნები,

ეროვნული ბიბლიოთეკა

გახსოვდეს მთავარი რამ: შენი დედაბერი სამშობლო და მისი სიკეთე არ დაივიწყო, მაკსიმ გორკი მარტო დედაკაცებზე კი არა, სამშობლოზეც წერდა, ხომ გახსოვს, რას წერდა?..

- როგორ არა... მახსოვს... - და რაც კი შესმული ჰქონდა მოხუც მიტრიჩს, თვალებიდან ღვარად მოსდიოდა, - მახსოვს: "მე და ბებია სულ უფრო ღრმად შევდიოდით ტყეში..."

- და განა ეს სამშობლოზეა ნათქვამი, მიტრიჩ! - ბრაზობდა შავულვაშა. - ეს ბებიაზეა და არა სამშობლოზე!..

და მიტრიჩი ისევ ატირდა...

## ნაზარიევო-დრეზნა

შავულვაშამ კი თქვა:

- აი, თქვენ ბევრი რამ გინახავთ, ბევრი გიმოგზაურიათ. მითხარით: სად უფრო მეტად აფასებენ რუს ადამიანს, პირენეების იმ თუ ამ მხარეს?

- იმ მხარეს არ ვიცი, მაგრამ ამ მხარეს სულ არ აფასებენ. მე, მაგალითად, იტალიაში ვიყავი. იქ რუს ადამიანს ზედაც არ უყურებენ. იტალიელები მხოლოდ მღერიან და ხატავენ, ერთი, ვთქვათ, დგას და მღერის, მეორე კი ზის და ხატავს თუ როგორ მღერის ის... სევდიანნი არიან! და როგორი და ისინი ჩვენს სევდას ვერ იგებენ...

- და საერთოდ, იტალიელებს რამე გაეგებათ? - კვერს მიკრავს შავულვაშა.

- ეგრეა. როცა მე ვენეციაში ვიყავი, წმ. მარკოზის დღეს, - ნიჩბოსანთა რბოლის ნახვა მომინდა. და ამ რბოლამ ისეთი სევდით გამმსჭვალა, რომ გული მეკუმშებოდა, კრინტს ვერ ვძრავდი. იტალიელებს კი ეს არ ესმით, იცინიან, თითს ჩემკენ იშვერენ: "შეხედეთ, ერთი, შეხედეთ, ეროფეევი ისევ ნატყნავივით დადის!" და განა მე ნატყნავივითა ვარ? უბრალოდ, კრინტს ვერ ვძრავ...

იტალიაში მე, კაცმა რომ თქვას, არც არაფერი მჭირდებოდა. მხოლოდ სამი რამის დანახვა მინდოდა: ვეზუვისა, ჰერკულანუმისა და პომპეასი. მაგრამ მითხრეს, ვეზუვი უკვე დიდი ხანია აღარ არისო და ჰერკულანუმში გამგზავნეს. იქ მე, სულელს, მითხრეს: "რად გინდა, შე სულელო, რად, ჰერკულანუმის ნახვა? ისა სჯობია, პომპეიში წახვიდე". მივდივარ პომპეაში და იქ მეუბნებიან: რა პომპეა აგიტყდა? ჰერკულანუმში წადიო!..

ხელი ჩავიქნიე და საფრანგეთში ამოვყავი თავი. მივდივარ, მივდივარ, უკვე მაჟინოს ხაზს ვუახლოვდები და უცებ გამახსენდა: მოდი, დავბრუნდები, ცოტა ხანს ლუიჯი ლონგოსთან ვიცხოვრებ, საწოლს მისგან ვიქირავებ, წიგნებს ვიკითხავ, რათა ფუჭად არ ვიბორიალო, პალმირო ტოლიატისთან ვიქირავებ საწოლს, მაგრამ ის ხომ ამ ცოტა ხნის წინათ მოკვდა...

და მაინც, უკან არ მივბრუნდი. ტიროლის გავლით სორბონაში ჩავედი, შევდივარ სორბონაში და ვამბობ: ბაკალავრი მინდა გავხდე-მეთქი. ისინი კიდე მეკითხებიან: "შენ თუ ბაკალავრი გინდა გახდე, რამე ფენომენს უნდა ფლობდე, ჰოდა, რა ფენომენს ფლობ?" აბა, რა მეპასუხნა? ვეუბნები: "აბა, მე რა ფენომენს შეიძლება ვფლობდე? მე ხომ ობოლი ვარ". "ციმბირიდან ხარ?" - მეკითხებიან. ვპასუხობ: "ციმბირიდანა ვარ", "აბა, რაკი ციმბირიდანა ხარ, ეს შენს ფსიქიკაში მაინც უნდა იყოს აღბეჭდილი. ჰოდა, რაა შენს ფსიქიკაში აღბეჭდილი?" დავფიქრდი: რაც არ უნდა იყოს, ეს ხრაპუნოვო კი არა, სორბონაა, რაღაც ჭკვიანურის თქმაა საჭირო. ვიფიქრე და ვთქვი: "მე, როგორც ფენომენს, მახასიათებს თვითმზარდი ლოგოსი". სორბონას რექტორი კი, ვიდრე მე ჭკვიანურზე ვფიქრობდი, უკნიდან ჩუმად მომეპარა და ალიყური მაჭამა: "სულელი ხარ შენა, - მეუბნება, - სულელი, და არავითარი ლოგოსი არ ბრძანდები! გააძევეთ, - ყვირის, - გააძევეთ ეროფეევი სორბონადან!" პირველად მაშინ ვინანე, რომ საცხოვრებლად ამხანაგ ლუიჯი ლონგოს ბინაზე არ დავრჩი...

პარიზში წასვლის გარდა რაღა დამრჩენოდა? ჩავდივარ, ნოტრდამის მიმართულებით მივდივარ, მივდივარ და მიკვირს: ირგვლივ ბარაკებია! და დგას მხოლოდ ეიფელის კოშკი, მასზე კი გენერალი დე გოლი დგას, წაბლს ჭამს და ბინოკლით ოთხივე მხარეს გაჰყურებს. გახედვას რა აზრი აქვს, თუ ოთხივე მხარეს მხოლოდ საროსკიპოებია?!..

ვთქვათ, იქ ბულვარებში სიარულის არავითარი საშუალება არაა. ყველა საროსკიპოდან კლინიკაში, კლინიკიდან საროსკიპოში მიდი-მოდის. და ირგვლივ იმდენი ტრიპერია, რომ სუნთქვა ჭირს. მე როგორღაც რაღაც დავლიე და ელისეს მინდვრებისკენ გავწიე - ირგვლივ კი იმდენი ტრიპერია, რომ ფეხებს ძლივს ადგამ. ვხედავ ორ ნაცნობს - კაცსა და ქალს. ორივე წაბლსა ჭამს, ორივე მოხუცია. სად მინახავს მე ისინი? გაზეთებში? არ მინახავს, მოკლედ, ვიცანი: ლუი არაგონი და ელზა ტრიოლე არიან. "საინტერესოა, - გამიელვა აზრმა, - საიდან სად მიდიან ისინი: კლინიკიდან ბარდაკში თუ ბარდაკიდან კლინიკაში?" და ჩემი თავი მევე დავამუნათე: "გრცხვენოდეს, შენ პარიზში ხარ და არა ხრაპუნოვოში. ის აჯობებს, რომ მათ სოციალური კითხვები დაუსვა, ყველაზე მტანჯველი სოციალური კითხვები..."

ვეწევი ლუი არაგონს და გულს ვუშლი, ვეუბნები, რომ ყველაფრის იმედი დავკარგე, სასო წარმეკვეთა, მაგრამ არაფერი ოდნავადაც კი არ მეეჭვება, შინაგანი წინააღმდეგობებისგან ვკვდები და ბევრი რამ სხვაც ვუთხარი - მან კი, მან მხოლოდ შემომხედა, ვეტერანივით მხედრულად მომესალმა, ხელმკლავი გაუყარა თავის ელზას და გზა განაგრძეს. მე ისევ ვეწევი მათ და ახლა უკვე ლუის კი არა, ტრიოლეს ვეუბნები, რომ შთაბეჭდილებათა უკმარისობით ვკვდები, და რომ ეჭვები მჯაბნის, როცა სასოწარკვეთას წერტილს ვუსვამ, მაშინ როცა სასოწარკვეთის წუთებში ეჭვები არ აღმეძვრის. მან კი, ბებერმა ბოზმა, ლოყაზე ხელი მომიცაცუნა, თავის არაგონს ხელმკლავი გაუყარა და გზა განაგრძეს...

შემდეგ მე, რასაკვირველია, პრესიდან გავიგე, რომ ესენი სულაც ლუი და ელზა არ იყვნენ, ესენი, თურმე, ჟან-პოლ სარტრი და სიმონა დე ბოვუარი იყვნენ, მაგრამ რა განსხვავებაა? ნოტრდამიდან წამოვედი და მანსარდაში ვიქირავე ბინა. მანსარდა, მეზონინი, ფლიგელი, ანტრესოლი, სხვენი - ყველაფერი ეს ერთმანეთში მერევა და მათ ერთმანეთისგან ვერანაირად ვერ ვანსხვავებ. მოკლედ, მე ის სადგომი ვიქირავე, სადაც წოლა, წერა და მოწევა შეიძლებოდა. თორმეტი ჩიბუხი მოვწიე და "რევიუ დე პარის" გავუგზავნე ესე ფრანგული სახელწოდებით "იმმერ ელეგანტის პეწი და ბრწყინვალება". ესე სიყვარულის საკითხებზე.

თავადაც მოგეხსენებათ როგორ ჭირს საფრანგეთში სიყვარულზე წერა. იმიტომ, რომ ყველაფერი, რაც კი სიყვარულს ეხება, საფრანგეთში უკვე დიდი ხანია და-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წერილია. ჩვენს საშუალო განათლების ადამიანს აჩვენე მაგარი შანკრი (სიფლისით დაავადების პირველი ხილული ნიშანი - მთარგ.) და ჰკითხე: "რომელი შანკრია ეს, მაგარი თუ რბილი?" ის აუცილებლად: "რბილია, რა თქმა უნდა". მაგრამ საკმარისია, მას რბილი შანკრი აჩვენო, რომ მთლად დაკარგავს თავს. იქ კი ეს ასე არაა. იქ, შესაძლოა, არ იცოდნენ რა ღირს "ზვერობოი", მაგრამ, აი, შანკრი თუ რბილია, ის უკვე ყველასთვის რბილი იქნება, და მას მაგრად არავინ ჩათვლის...

მოკლედ, "რევიუ დე პარიმ" ჩემი ესე დამიბრუნა იმ საბაბით, რომ ის რუსულად იყო დაწერილი და ფრანგული სათაურიღა ჰქონდა. თქვენ რა გგონიათ - სასო წარვიკვეთე? ანტრესოლებში კიდევ ოცდაათი ჩიბუხი მოვწიე და ისევ სიყვარულისადმი მიძღვნილი ახალი ესე შევქმენი. ამჯერად ის მთლიანად, თავიდან ბოლომდე, ფრანგულად იყო დაწერილი, მხოლოდ სათაური ჰქონდა რუსული: "ურცხვობა, როგორც ბოზობის უმაღლესი და უკანასკნელი სტადია", და ის "რევიუ დე პარის" გავუგზავნე.

- და თქვენ ისიც დაგიბრუნეს? - მკითხა შავულვაშამ ჩემდამი, მთხრობელისადმი, თანაგრძნობის ნიშნად და ეს თითქოს ბურანში მყოფმა მკითხა.

- რა თქმა უნდა, დამიბრუნეს. ჩემი ენა ბრწყინვალე ენად აღიარეს, ძირითადი იდეა კი არასწორად, მცდარად. რუსულ ვითარებას ეს, - ამიხსნეს მათ, - შესაძლოა, ესაბამებოდეს, მაგრამ ფრანგულს არა. ურცხვობა ჩვენთან ჯერ არამც და არამც უმაღლესი საფეხური არაა. თქვენთან, რუსებთან, თქვენი ურცხვობის ზღვარს მიღწეული ბოზობა ძალდატანებით გაუქმდება და ის ონანიზმის სავალდებულო პროგრამით შეიცვლება. ჩვენთან კი, ფრანგებთან, თუმც კი მომავალში სულაც არაა გამორიცხული რუსული ონანიზმის, უფრო თავისუფალი პროგრამის, ზოგიერთი ელემენტის ორგანულად გადმონერგვა ჩვენს სამამულო სოდომიაში, რომელშიც - სისხლის აღრევის მეშვეობით - ტრანსფორმირდება ჩვენი ურცხვობა, ეს გადმონერგვა ჩვენი ტრადიციული ბოზობის კალაპოტით და სავსებით პერმანენტულად წარედინება!..

ერთი სიტყვით, მათ მთლად დამაფსეს თავზე. ასე რომ, მე გადავაფურთხე, ჩემი ხელნაწერები მანსარდასა და ანტრესოლებთან ერთად დავწვი და ვერდენით ლამანშისკენ გავუტიე. ალბიონისკენ მივდიოდი, მივდიოდი და ვფიქრობდი: "მაინც რატომ არ დავრჩი ლუიჯი ლონგოს ბინაში?" მივდიოდი და მივიმღეროდი: "ბრიტანეთის დედოფალი ცუდადაა, მისი დღე-ღამეები დათვლილია..." ლონდონის მიდამოებში კი...

- მომიტევეთ, მომიტევეთ, - შემაწყვეტინა შავულვაშამ, - მე მაოცებს თქვენი გაქანება, არა, მჯერა თქვენი, როგორც ჩემიანისა, მაგრამ მანცვიფრებს ის სიადვილე, რომლითაც ასე იოლად გადადიოდით ყველა სახელმწიფო საზღვარზე...

## დრეზნა - 85-ე კილომეტრი

- რა არის აქ ასე განსაცვიფრებელი? საზღვარი იმისთვისაა საჭირო, რომ ნაციები ერთმანეთში არ აირიონ. მაგალითად, ჩვენთან დგას მესაზღვრე და დაბეჯითებით იცის, რომ საზღვარი არც ფიქციაა და არც ემბლემა, იმიტომ, რომ საზღვრის იმ მხარეს რუსულ ენაზე ლაპარაკობენ და უფრო მეტს სვამენ, მეორე მხარეზე - ნაკლებს სვამენ და არარუსულად ლაპარაკობენ...

იქა? აბა, რა საზღვრები შეიძლება არსებობდეს, თუ ყველგან თანაბრად სვამენ და ყველანი რუსულად ლაპარაკობენ? იქ, შესაძლოა, უხარიათ სადმე დაყენება მესაზღვრის, მაგრამ არსადაა დასაყენებელი ადგილი. ჰოდა, იქ მესაზღვრეები სავსებით უსაქმოდ დაბორიალობენ, ნაღვლით არიან ხელდარეული და სიგარეტის მოკიდებას ითხოვენ... ასე რომ, იქ ამ მხრივ სრული თავისუფლებაა... მაგალითად, შენ გინდა ებოლიში გაჩერება? როგორც გენებოს, გაჩერდი ებოლიში. კანოსაში გინდა წასვლა? ამას არავინ დაგიშლის - ადექი და წადი კანოსაში. რუბიკონზე გინდა გადასვლა? გადადი...

ასე რომ, აქ განსაცვიფრებელი არაფერია... გრინვიჩით თორმეტსა და ნოლ-ნოლზე უკვე წარმადგინეს ბრიტანეთის მუზეუმის დირექტორთან, რომელსაც რაღაცნაირად მუღერი და სულელური გვარი აქვს, სერ ქრომში ქორმის მსგავსი რაღაცა: "რა გნებავთ თქვენ ჩვენგან?" - მკითხა მუზეუმის დირექტორმა. "მე თქვენთან ანგაჟირება მინდა. უფრო სწორად, თქვენგან ანგაჟირება მნებავს, აი, რა მნებავს..."

"ასეთშარვლიანს გინდათ ჩემგან ანგაჟირება?" - მკითხა ბრიტანეთის მუზეუმის დირექტორმა. "როგორ - შარვლიანს?" - იქით ვკითხე ოდნავ ნაწყენმა, თუმც ეს წყენა სახეზე არ დავიტყვე. ის კიდე, ვითომ ეს კითხვა არც გაუგონიაო, ჩემს წინ ოთხზე დადგა და ჩემი წინდების ყნოსვა დაიწყო. ყნოსვას რომ მორჩა, წამოდგა, შეიჭმუხნა, გადააპურჭყა, შემდეგ კი მკითხა: "თქვენ, ასეთწინდებიანს, გინდათ ჩვენგან ანგაჟირება?"

- ვითომ როგორწინდებიანს?! - ამოვილუღლუღე უკვე წყენის დაუფარავად. - როგორწინდებიანს-მეთქი? აი, იმ წინდებს, რომლებსაც ჩემს სამშობლოში ვატარებდი, მართლაც სუნი ასდიოდა. მაგრამ წამოსვლის წინ ისინი შევიცვალე, იმიტომ, რომ ადამიანში ყველაფერი მშვენიერი უნდა იყოს: სულიც, ფიქრებიც და...

იმან კიდე არც ისურვა ჩემი მოსმენა. ლორდების პალატაში წავიდა და თქვა: "ლორდებო! აი, აქ, ამ კარს უკან ერთი ვიგინდარაა, ის თოვლიანი რუსეთიდანაა, მაგრამ ძალიან მთვრალი ჩანს. რა ვუყო მე იმ ბედშავს, რა? ვაანგარაჟირო ეს ფიტული, ეს საფრთხობელა? თუ ამ კაცს ყოველგვარ ანგაჟირებაზე უარი ეთქვას?" ლორდებმა კი მონოკლით ამათვალიერ-ჩამათვალიერეს და თქვეს: "შენა კიდე, სცადე, უილიამ! სცადე, სცადე მისი ანგაჟირება! ეს მთვრალი დეგენერატი ნებისმიერ ინტერიერს მოერგება!" ახლა სიტყვა უკვე დედოფალმა აიღო. მან ხელი ასწია და იკივლა:

- კონტროლიორები! კონტროლიორები!.. - მეხივით იქუხა ამ ხმამ მთელ ვაგონში: "კონტროლიერები!.."

ჩემგან ამბის თხრობა უპიკანტურეს ადგილზე გაწყდა. მაგრამ მხოლოდ თხრობა კი არ გაწყვეტილა: შავულვაშას ნახევრად თვლემაცა და დეკაბრისტის ძილიც გაწყდა, - ყველაფერი გაწყდა შუა გზაზე. თვალცრემლიანი მოხუცი მიტრიჩი გონს მოვიდა, ახალგაზრდამ კი ყველა მოაჯადოვა სიცილსა და დეფეკაციაში გადამავალი მსტვინავი მთქნარებით. მხოლოდ რთული ხვედრის ქალმა ბერეტი აიფარა თავის კბილებამომტვრეულ პირზე და ფატა-მორგანას დაემსგავსა.

კაცმა რომ თქვას, პეტუშკის ტოტზე კონტროლიორებისა არავის ეშინია იმიტომ, რომ ყველა უბილეთოდ მგზავრობს. და თუ რომელიმე გარეწარი სიმთვრალის გამო მაინც იყიდის ბილეთს, ის, რასაკვირვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლია, უხერხულ დღეში ვარდება, როცა კონტროლიორები მოდიან: როცა მას ბილეთისთვის დაადგებიან, ის არავის უყურებს - არც რევიზორს, არც პუბლიკას, თითქოს მიწა უსკდება და შიგ ვარდება. რევიზორი მის ბილეთს რაღაცნაირი ზიზღით დაჰყურებს, მის მფლობელს კი განმგმირავ თვალებს შეავლებს. პუბლიკა კი, პუბლიკა "კურდღელს" ისეთი დიდი, ლამაზი თვალებით შეჰყურებდა, თითქოს ეუბნებაო: ერთიც შენა ხარ, რა, შე ყურუმსაღო, შე ურიის სიფათიანო, შენა! რევიზორს კი უფრო თამამად უსწორებს თვალს: აი, ჩვენ რომგორები ვართ - ჰოდა, შეგიძლია დაგვძრახო? მოდით ჩვენთან, სემიონიჩ, ჩვენ თქვენ არ გაგანაწყენებთ... სემიონიჩის უფროს რევიზორად გახდომამდე სხვა ვითარება იყო: მაშინ უბილეთოებს ინდუსებსავით აქუჩებდნენ რეზერვაციებში და თავში უხათქუნებდნენ ეფრონსსა და ბროკჰაუზს, შემდეგ კი აჯარიმებდნენ და ვაგონიდან კუდს აძუებინებდნენ. მაშინ ისინი კონტროლს ეთესებოდნენ პანიკურ ჯოგებად ვაგონიდან ვაგონში და ბილეთიანებსაც კი დააწიოკალებდნენ. ერთხელ ჩემს თვალწინ საერთო პანიკას აყოლილი ბიჭუნა ჯოგთან ერთად გაიქცა და მათ ზედ გადაუარეს - ისინი ტამბურში ეყარნენ და გალურჯებულ ხელებში მუჭავდნენ თავიანთ ბილეთებს.

უფროსმა რევიზორმა სემიონიჩმა ყველაფერი შეცვალა: მან ყოველგვარი ჯარიმები და რეზერვაციები გააუქმა. ის უფრო მარტივად იქცეოდა: ყოველი უბილეთო მგზავრისგან კილომეტრში გრამს იღებდა. მთელ რუსეთში შოფრები "ჭილყვავებისგან" კილომეტრში კაპიკს იღებენ, სემიონიჩი კი ერთნახევარჯერ ნაკლებს - კილომეტრში გრამს იღებდა. მაგალითად, შენ ჩუკალინკიდან უსადში მიემგზავრები, მათ შორის მანძილი ოთხმოცდაათი კილომეტრია. შენ სემიონიჩს უსხამ ოთხმოცდაათ გრამს და გზას სავსებით მშვიდად, ღუმელზე ნეგოტივით მშვიდად წამოწოლილი აგრძელებ...

ჰოდა, სემიონიჩის მიერ შემოღებული და დანერგილი ახალი წესი განამტკიცებდა რევიზორის კავშირს ფართო მასებთან, აიაფებდა ამ კავშირს, ამარტივებდა და აჰუმანურებდა მას... და ნასახიც არ დარჩა იმ საყოველთაო კანკალისგან, რომელსაც ყვირილი "კონტროლიორები!" იწვევდა.

სემიონიჩი ვაგონში ავხორცულად მომღიმარე შემოვიდა. ის უკვე ძლივს იდგა ფეხზე, ჩვეულებრივ მხოლოდ ორეხოვო-ზუევამდე აღწევდა, იქ ძირს ჩადიოდა და რწყევამდე გატრეტილი თავისი კანტორისკენ მიდიოდა.

- ეს ისევ შენა ხარ, მიტრიჩ? ისევ ორეხოვოში მიდიხარ? კარუსელზე უნდა იქანაო? თქვენგან, ორივესგან, ასოთხმოცი გრამი მეკუთვნის. ო, ეს შენა ხარ, შავულვაშავ? სალტიკოვსკაია-ორეხოვო-ზუევო, არა? გაალვიძეთ ეს ბოზი და ჰკითხეთ, მისგან რამდენი უნდა მივიღო. შენა კიდე, კოვერკოტო, საიდან მოდიხარ და სანამდე მიდიხარ? სერპ ი მოლოტიდან პოკროვამდე? გეთაყვათ, თქვენ ას ხუთი გმართებთ. "კურდღლების" რაოდენობა მცირდება და მცირდება, ეს ოდესღაც "მრისხანებასა" და „ალშფოთებას" იწვევდა, ახლა კი "კანონიერ სიამაყეს" იწვევს. შენა, შენა, ვენია?..

და სემიონიჩმა თხემით ტერფამდე გამჟღენთა არყის სუნით - შენა, ვენია, როგორც ყოველთვის, პეტუშკოში მიდიხარ, არა?

## 85-ე კილომეტრი - ორეხოვო - ზუევო

- დიახ, როგორც ყოველთვის, და ახლა უკვე სამუდამოდ: მოსკოვი - პეტუშკი.

- და შენ ფიქრობ, შე-ხე-რე-ზადა, რომ ამჯერადაც დამიძვრები?!

აქ მე ცოტათი უკან უნდა დავიხიო და, ვიდრე სემიონიჩი მის კუთვნილ საჯარიმო დოზას სვამს, ერთ წუთში აგიხსნით, რატომ მეძახის "შეხერე-ზადას" და რა შუაშია "დამიძვრები"?

უკვე სამი წელი გავიდა მას აქეთ, როცა პირველად გადავეყარე სემიონიჩს. მაშინ ის თავის თანამდებობაზე ახალი დაწესებული იყო. მომადგა და მკითხა: "მოსკოვი - პეტუშკი? ას ოცდახუთი". და როცა ვერ გავიგე, თუ რას ნიშნავდა ეს, ამიხსნა, რასაც ნიშნავდა. და როცა ვუთხარი, რომ ერთი გრამიც კი არ მომქონდა, ასე მიპასუხა: "აბა, რა ვქნათ ახლა? ერთი გრამიც თუ არა გაქვს, სიფათში უნდა გირტყა?" მე ავუხსენი, რომ ჩემი ცემა საჭირო არ იყო და რომის სამართლის სფეროდან რაღაც წავილუღლუღე. ის ძალიან დაინტერესდა და მთხოვა, უფრო დაწვრილებით მელაპარაკნა ყველაფერი ანტიკურსა და რომაულზე. დავიწყე ლაპარაკი და უკვე ლუკრეციუსისა და ტარკვინიუსის სკანდალურ ამბამდე მივედი, რომ ის უკვე უნდა ჩამომხტარიყო ორეხოვო - ზუევოში, და მან ვერ მოასწრო ბოლომდე მოესმინა, მაინც რა დაემართა ლუკრეციუსს: ხელთ იგდო მისი ცუდლუტი ტარკვინიუსი თუ ვერა...

სემიონიჩი კი, ჩვენში დარჩეს და, უიშვიათესი მექალთანე და უტოპისტია. მსოფლიო ისტორიაში მას მხოლოდ ეროტიკული აქციები აინტერესებდა. და როცა ერთი კვირის შემდეგ ფრიაზევის რაიონში კონტროლიორები შემოვიდნენ ვაგონში, სემიონიჩს ჩემთვის არ უკითხავს: "მოსკოვი - პეტუშკი? ას ოცდახუთი". არა, ის მოიჭრა ჩემთან ჩემს მიერ მოყოლილის გაგრძელების მოსასმენად: "აბა, რა მოხდა იქ? იმან მაინც დაადო ლუკრეციას?"

და მე მოვუყევი მას, რაც მერე მოხდა. რომის ისტორიიდან ქრისტიანული სამყაროს ისტორიაში გადმოვინაცვლე და უკვე ჰიპატიას ამბამდე მოვაღწიე. მე მას ვუთხარი: "და აი, პატრიარქ კირილის მიერ წაქეზებულმა ფანატიკოსმა ალექსანდრიელმა ბერებმა სამოსელი შემოახიეს მშვენიერ ჰიპატის და..." მაგრამ ამ დროს ჩვენი მატარებელი წელმოწყვეტით გაჩერდა ორეხოვო-ზუევოში და უკვე უსაშველოდ დაინტერესებული სემიონიჩი ჩახტა ბაქანზე.

და ასე გრძელდებოდა მთელი სამი წლის მანძილზე, ყოველ კვირას. "მოსკოვ-პეტუშკის" ხაზზე მე ვიყავი ერთადერთი უბილეთო მგზავრი, ვისაც სემიონიჩისთვის არცერთი გრამი არ მიუცია და მაინც ცოცხალი და უცემელი რჩებოდა. მაგრამ დასასრული ყველაფერსა აქვს, მათ შორის მსოფლიოს ისტორიასაც...

გასულ პარასკევს ინდირა განდიმდე, მოშე დაიანამდე და დუბჩეკამდე მოვედი. ამის აქეთ უკვე არაფერი მრჩებოდა სათქმელი...

და აი, სემიონიჩმა თავისი საჯარიმო დალია, ისე შემომხედა, როგორც მახრჩობელა გველმა შეხერეზადას და დამიყვირა:

- მოსკოვი - პეტუშკი! ას ოცდახუთი!

- სემიონიჩ! - თითქმის ვედრებით ვუპასუხე მე. - სემიონიჩ! შენ დღეს ბევრი დალიე?

- საკმაოდ ბევრი, - თვითკმაყოფილად მიპასუხა სემიონიჩმა. ის გალეშილი იყო...

ეროვნული ბიბლიოთეკა

- ყური მიგდე: შენი წარმოსახვა ხომ არ გამქრალა? მომავალში გადაბიჯების ძალა გაქვს? ჩემთან ერთად შეგიძლია ბნელეთის სამყაროდან ოქროს საუკუნეში გადაბარგდე, იმ ოქროს საუკუნეში, რომელიც უკვე კარს მომდგარია?

- შემიძლია, ვენია, შემიძლია, დღეს მე ყველაფერი შემიძლია!

- ჩემთან ერთად თუ შეგიძლია მესამე რაიხიდან, მეხუთე რესპუბლიკიდან და მეჩვიდმეტე ყრილობიდან ყველა იუდეველისთვის ნანატრი მეხუთე სამეფოს, მეშვიდე ცისა და მეორედ მოსვლის სამყაროში გადასვლა?

- შემიძლია! - ბობოქრობდა. - ილაპარაკე, ილაპარაკე, შეხერაზადა!

- აბა, მისმინე. ის დღეთა შორის უურჩეულესი დღე იქნება. იმ დღეს მოქანცული სიმეონი, როგორ იქნა, იტყვის: "მომიტევე, უფალო, მონასა შენსა..." და იტყვის მთავარანგელოზი გავრიილი: "ღვთისმშობელო ქალწულო, კურთხეულო დედაო ჩვენო". და დოქტორი ფაუსტი წარმოთქვამს: "წამო! გაგრძელდი და შეჩერდი". და ყველა, ვისი სახელიც ჩაწერილია ცხოვრების წიგნში, იმღერებს: "ისაია, იზეიმე!" და დიოგენი ჩააქრობს ფარანს. და იქნება სიკეთე და სილამაზე, და ყველაფერი იქნება კარგად, და ყველა კარგი იქნება, და სიკეთისა და სილამაზის გარდა არაფერი იქნება და ერთმანეთს ჩაკოცნიან...

- ერთმანეთს ჩაკოცნიან? - აცქმუტდა სემიონიჩი, რომელსაც მოუთმენლობისგან სუნთქვა უჭირდა...

- დიახ! და ერთმანეთს ჩაკოცნიან მწამებელი და მსხვერპლი; და გულებიდან აღმოიფხვრება ბრაზი, ბოღმა, ანგარება, და ქალი...

- ქალი!!! - ათრთოლდა სემიონიჩი. - ქალი? რა, რა? ქალი რა?!!!

- და აღმოსავლელი ქალი ჩადრს მოიხდის! ტანჯული აღმოსავლელი ქალი საბოლოოდ მოიცილებს ჩადრს და დაწვება...

- დაწვება?! - ახლა ის უკვე წამოვარდა. - დაწვება?!!

- დიახ. და დაწვება მგელი კრავის გვერდით, და არცერთი კურცხალი არ ჩამოვარდება, და კავალერი იმ ქალიშვილს აირჩევს, რომელიც მას მოსწონს! და...

- ო-ო-ო-ო! - დაიკვნესა სემიონიჩმა. - მალე მოხდება ეს? მალე მოხდება? - და უცებ ელდანაკრავსავით დაიწყო თითების მტვრევა, შემდეგ იგი გაფაციცებით შეუდგა მუნდირისა და ფორმის შარვლის, და ყველაფრის, - თვით ქვედა ინტიმური საცვლისაც, - გახდას.

მე ხომ მთვრალი ვიყავი, მაგრამ განცვიფრებით შევხედე მას, საზოგადოება კი, ფხიზელი საზოგადოება, თითქმის წამოხტა ადგილებიდან, და ათეულობით თვალში ეწერა უზარმაზარი "ოჰო!" ამ საზოგადოებამ ყველაფერი ისე არ გაიგო, როგორც უნდა გაეგო...

და უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენს ქვეყანაში ჰომოსექსუალიზმი აღმოფხვრილია სამუდამოდ, ოღონდ არა მთლიანად, უფრო სწორად, მთლიანად და სავსებით, მაგრამ არა საბოლოოდ, ახლა პუბლიკა რაზე ფიქრობს? მხოლოდ ჰომოსექსუალიზმზე. ჰო, კიდევ არაბებზე, ისრაელზე, გოლანის სიმაღლეებზე, მოშე დაიანზე ფიქრობს. მაგრამ მოშე დაიანს გოლანის სიმაღლეებიდან გააგდებენ, არაბებს კი იუდეველებთან შეარიგებენ, მაშინ? - რაზე იფიქრებენ ადამიანები? მხოლოდ ნამდვილ ჰომოსექსუალიზმზე.

დავუშვათ, ისინი ტელევიზორს უყურებენ: იქ გენერალი დე გოლი და ჟორჟ პომპიდუ ერთმანეთს დიპლომატიურ მიღებაზე ხვდებიან. ბუნებრივია, ორივენი იღიმებიან და ერთმანეთს ხელს ხელზე უჭერენ. საზოგადოება კი: "ოჰო! - ამბობს, - გენერალი დე გოლიც!" ან: "ოჰო! ჟორჟ პომპიდუც კი!"

აი, ახლა ისინი ჩვენც ასე გვიყურებდნენ. ყველა მათგანს ეს "ოჰო!" ეწერა თვალებში.

- სემიონიჩ! სემიონიჩ! - ხელები მოვხვიე მას და ვაგონის ტამბურისკენ წავათრიე. - ჩვენ ხომ გვიყურებენ!.. გონს მოდი!.. წავიდეთ აქედან, სემიონიჩ, წავიდეთ!..

ის საოცრად მძიმე იყო. მომლბალი და მერწევი იყო. ძლივს მივათრიე ტამბურამდე და ვაგონში შემოსასვლელ კართან დავაყენე...

- ვენია! მითხარი... აღმოსავლელი ქალი... ჩადრს თუ მოიხსნის... მას რამე ეცმევა?.. ჩადრის ქვეშ მას რამე აქვს?..

პასუხის გაცემა ვერ მოვასწარი... მატარებელი ელვის სისწრაფით გაჩერდა სადგურ ორეხოვო-ზუევოში და კარი ავტომატურად გაიღო...

## ორეხოვო - ზუევო

უკვე ათასმეერთედ დაინტრიგებული, ნახევრად მკვდარი, ტანსაცმელშემოღელილ-შეხსნილი უფროსი რევიზორი ბაქანზე გადავარდა და თავი მოაჯირს მიარტყა... ორ თუ სამ წამს კი იდგა ფეხზე, მოაზროვნე ლერწამივით ირხეოდა, შემდეგ კი ვაგონიდან ჩამომავალი პუბლიკის ფეხებთან გაიშოტა, და უფასოდ მგზავრობისთვის მიღებული ყველა ჯარიმა მუცლიდან ამოენთხა და ბაქანი მოიდღაბნა...

ყველაფერ ამას თვალნათლივ ვხედავდი და მთელ ქვეყანას შემიძლია დავუმოწმო. მაგრამ არაფერი დანარჩენი მე არ მინახავს და შემდგომ ვითარებაზე არაფრის დამოწმება არ შემიძლია. გონის რაღაც მცირე, სულ მცირე - მცირე ღველფით დამამახსოვრდა ორეხოვო-ზუევოში პუბლიკის ნიაღვარმა როგორ შემისრუტა, რათა ბითურულ ნერწყვად ვექციე და ორეხოვოს ბაქანზე გადავეფურთხებინე. მაგრამ ამას ვერ ახერხებდა, რადგან ვაგონში ამომავალი პუბლიკა ჩამსვლელს პირში ბურთს ჩრიდა...

და თუ იქ უფალი მე მკითხავს: "ვენია, ნუთუ შენ მეტი არაფერი გახსოვს? ნუთუ შენ მაშინვე მოგეკიდა რული, რომლისგანაც დაიწყო შენი ზოგიერთი ვაება?.." - მე მას ვეტყვი: "არა, უფალო, მაშინვე არა..." გონის ისევ იმ მცირე, სულ მცირე - მცირე ღველფის მეშვეობით ისიც დამამახსოვრდა, რომ, როგორც იქნა, შევძელი სტიქიების დაძლევა და ვაგონის ცარიელ სივრცეში გაჭრა, ვიღაცის კარიდან პირველ საწოლზე განრთხმა.

და, როცა განვერთხე, უფალო, მაშინვე ზმანებებისა და ზარმაცი მთქნარების ღვარცოფში ჩავყურყუმალავდი, თუმცა, არა! მე ისევ ვცრუობ! მე ისევ ვცრუობ შენს თვალწინ, უფალო! მე კი არ ვცრუობ, ჯიბეში ყუბანურის გაუხსნელი ბოთლი აღმოვაჩინე და იქიდან ხუთჯერ თუ ექვსჯერ მოვსვი, ამის შემდეგ კი ნიჩბებს ხელი ვუშვი და ზმანებებისა და ზარმაცი თვლემის ღვარცოფს მივნებდი.

"ყველა თქვენი მონაგონი ოქროს საუკუნეზე, - ვჩიჩინებდი მე, - სულ სიცრუე და ნაღველია. მაგრამ მე ხომ ოცი კვირის წინათ ვნახე მისი პირველსახე და ნახე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვარ საათში თვალში ჩამაშუქებს მისი ანაბზინი - უკვე მეცამეტედ ჩამაშუქებს. იქ ჩიტების გალობა არც დღისით წყდება და არც ღამე, იქ ჟასმინი არც ზამთარში ჭკნება და არც ზაფხულში, - მაგრამ რა არის იმ ჟასმინში? ვინაა ის, ვინც, მეწამულმოსახხამიანი და დაგრეხილვისონიანი, აფახულებს წამწამებს და აფრქვევს ასეთ სურნელს..."

და მე იდიოტივით ვიღიმები და ჟასმინის ბუჩქს გვერდზე ვწევ...

## ორესტოვო - ზუევო - კრუტოე

ჟასმინის ბუჩქებიდან კი ნამძინარევი ტიხონოვი გამოდის და ჩემი და მზის მიზეზით თვალებს ჭუტავს.

- შენ აქ რას აკეთებ, ტიხონოვ?

- თეზისებს ვამუშავებ. თეზისების გარდა ყველაფერი უკვე დიდი ხანია მზადაა გამოსასვლელად. ახლა კი უკვე თეზისებიც მზადაა...

- მაშასადამე, შენ მიიჩნევ, რომ სიტუაცია მომწიფდა?

- აბა, როგორ გითხრა? მე, როგორც კი ცოტას დავლევ, მეჩვენება, რომ მომწიფდა, მაგრამ ნაბახუსევს - მეჩვენება, რომ ის არ მომწიფებულა, იარაღის ხელში აღება ჯერ ადრეა...

- შენაც, ადექი და ღვინისა დალიე, ვადია...

ტიხონოვმა ღვინისა დალია, შეჭყვირა და დანაღვლიანდა.

- აბა, რას იტყვი? სიტუაცია მომწიფდა?

- დაიცა, ახლა მომწიფდება...

- როდის გამოვიდეთ? ხვალ?

- ეშაკმა იცის!.. მე, როგორც კი ცოტას დავლევ, მგონია, რომ თუგინდ დღეს უნდა გამოვიდეთ, რომ არც გუშინ გამოსვლა იქნებოდა ნაადრევი. არადა, როგორც კი გამივლის, ვფიქრობ, რომ გუშინ ნაადრევი იყო, ზეგ კი უკვე ნაგვიანევი იქნება.

- შენც, ადექი და, კიდევ დალიე, ვადიმჩიკ, კიდევ დალიე ღვიისა...

ვადიმჩიკმა დალია და ისევ დანაღვლიანდა.

- ახლა რას იტყვი? შენ მიგაჩნია, რომ ხვალ?..

- დროა...

- პაროლი არ დაგვავიწყდეს. და ყველას უთხარი, რომ არ დაავიწყდეთ: ხვალ დილას, სოფელ ტარტინოსა და სოფელ ელისეიკოვოს შუა, ფარეხთან, გრინვიჩით ცხრა ნოლ-ნოლზე...

- დიახ, გრინვიჩით ცხრა ნოლ-ნოლზე.

- ნახვამდის, ამხანაგო. შეეცადე, ამაღამ დაიძინო...

- შევეცდები, დავიძინებ, ნახვამდის, ამხანაგო...

აქ კი მთელი კაცობრიობის სინდისისთვის თვალის გასასწორებლად უნდა აღვნიშნო, რომ მე იმთავითვე ამ ლლევის ხესავით უნაყოფო (შესანიშნავადაა ნათქვამი: "ლლევის ხესავით უნაყოფო") ავანტიურის მოწინააღმდეგე ვიყავი. იმთავითვე ვამბობდი, რომ რევოლუცია რაიმე საჭირო შედეგს მაშინ აღწევს, თუ ის გულებში ხდება და არა, ეშმაკმა იცის, სად, მაგრამ რაკი ის უჩემოდ დაიწყეს, მე არ შემეძლო, განვდგომოდი მის დამწყებთ. ყოველ შემთხვევაში, მე გულების მეტისმეტად გასასტიკების თავიდან აცილება და სისხლისღვრის მასშტაბის შემცირება შემეძლო...

უკვე გრინვიჩით ცხრა საათამდე საქონლის სადგომთან ვისხედით და ველოდით. ყველას, ვინც კი მოდიოდა, ვეუბნებოდით: "დაჯექი, ამხანაგო, ჩვენს გვერდზე - სიმართლე აქაა", მაგრამ არავინ ჯდებოდა, ფეხზე მდგარი აჟღარუნებდა იარაღს და იმეორებდა დათქმულ ფრაზას ანტონიო სალიერიდან: "მაგრამ სიმართლე არც მაღლაა". ეს პაროლი გიუმაჟური და ორაზროვანი რამ იყო, მაგრამ ჩვენ ამისთვის არ გვცხელოდა: გრინვიჩით ცხრა ნოლ-ნოლი ახლოვდებოდა...

რითი დაიწყო ყველაფერი? იმით დაიწყო, რომ ტიხონოვი ელისეისკოვოს სოფლსაბჭოს კარს მიადგა თავისი თეზისებითურთ. უფრო სწორად, კარებს კი არ მიდგომია, ღობეზე ცარცით მიაწერა სიტყვები და ის, რაც წააწერა, სიტყვები იყო და არა თეზისები, მკაფიო და ლაპიდარული სიტყვები იყო და არა თეზისები, სულ ორიოდე ასო იყო და არა თოთხმეტი. ასე იყო თუ ისე, ყელაფერი ამით დაიწყო.

ჩვენ, ხელებში შტანდარტებიანები, ორ კოლონად დავიძარით: ერთი კოლონა ელისეე სკოვოსკენ, მეორე - ტარტინოსკენ. და თითქმის მზის ჩასვლამდე დაუბრკოლებლად ვიარეთ: არც მოკლულები, არც დაჭრილები არცერთ მხარეს არ ყოფილა, ტყვე იყო მხოლოდ ერთი - ლარიონოვკის სოფლსაბჭოს ყოფილი თავმჯდომარე, რომელიც ხანდაზმულ ასაკში მემთვრალეობისა და თანდაყოლილი ჭკუასუსტობის გამო ჩამოაქვეითეს. ელისეისკოვო დაემხო. ჩერკასოვო ჩვენს ფეხქვეშ იყო განრთხმული, ნეუმოდოვო და პეკშა შეწყალებას გვევედრებოდნენ. პეტუშკის უეზდის ყველა სასიცოცხლო ცენტრი - პოლოვკის მაღაზიით დაწყებული და სოფლის კოოპერატივის ანდრეევის საწყობით დამთავრებული, - ამბოხებულთა ხელში აღმოჩნდა...

მზის ჩასვლის შემდეგ კი სოფელი ჩერკასოვო გამოცხადდა დედაქალაქად, სადაც მიიყვანეს ტყვე, და იქვე იმპროვიზაციულად, გაიმართა გამარჯვებულთა ყრილობა. ყველა გამომსვლელი გალეშილი იყო და ყველას პირზე ერთი და იგივე სახელები და მოვლენები ეკერა: მაქსიმილიან რობესპიერი, ოლივერ კრომველი, სონია პეროვსკაია, ვერა ზასულიჩი, დამსჯელი რაზმები პეტუშკიდან, ომი ნორვეგიასთან, და ისევ სონია პეროვსკაია და ვერა ზასულიჩი...

ადგილებიდან ყვიროდნენ: "ეს ნორვეგია სად ჯანდაბაშია?" "ეშმაკმა იცის სადაა", - პასუხობდნენ მეორე მხრიდან. "წკვარამსა და მოუსავლეთშია!" "სადაც უნდა იყოს, - ვაყუჩებდი ხმაურს, - უინტერვენციოდ არაფერი გამოგვივა. ის ჯერ უნდა დავანგრიოთ, ამისთვის კი სამოქალაქო ან თუნდაც რამენაირი ომია საჭირო, მინიმუმ თორმეტი ფრონტი მაინც დაგვჭირდება..." "თეთრპოლონელები გვჭირდებიან!" - ყვიროდა გამოუსწორებელი ტიხონოვი. "შე იდიოტო, - ლამის ყანყრატოში ვწვდი მას, - სულ ჰაიჰარაოდ, სულსწრაფობ! ბრწყინვალე თეორეტიკოსი ხარ, ვადიმ, შენს თეზისებს გულზე მივიბნევდით, მაგრამ, როგორც კი საქმის გაკეთების საჭიროება დგება, შენ მძლნერი-მძლნერი ხდები! აბა, შე სულელო, შენა, თეთრპოლონელები რა ჩემ ფეხებად გინდა?.." "გეკამათები, რო! - დამნებდა ტიხონოვი. - თითქოს ისინი მე უფრო მეტად მჭირდებოდნენ, ვიდრე თქვენ! ისე, ნორვეგია..."

ასე მოჩქარეებსა და აზარტში შესულებს როგორღაც დაგვავიწყდა, რომ ის ნორვეგია უკვე ოცი წელია ნატოს წევრია, და ვლადიკ ც-სკი უკვე ლარიონოვსკის ფოსტამტკისკენ მიარბენინებდა ღია ბარათებსა და წერილებს. ერთი წერილის ადრესატი ნორვეგიის მეფე ოლაფი იყო - მას ნორვეგიასთან ომის დაწყებას აუწყებდნენ, თანაც, მისგან წერილის მიღების შესახებ

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეტყობინების გამოგზავნას მოითხოვდნენ. მეორე წერილი, უფრო სწორად, წერილი კი არა, კონვერტში ჩალუქული სუფთა ფურცელი გენერალ ფრანკოს ეგზავნებოდა: იმანაც, იმ ვირიშვილმა, კეთილი ინებოს და, დაინახოს რა დღეც ელის, ამ ქაღალდსავით გათეთრდეს ის მიხრწნილი იმის მიმცემი კაუდილოთ!.. ბრიტანეთის იმპერიის პრემიერ ჰაროლდ ვილსონისგან სულ ცოტა რამ მოვითხოვეთ: პრემიერო, შენი სულელური კანონიერუკები (კანონიერი - მომცრო სამხედრო ხომალდი, რომელიც განკუთვნილია ნაპირებთან და თავთხელში - ზღვებსა და მდინარეებზე - ბრძოლის საწარმოებლად - მთარგმ.) აქაბის ყურიდან, შემდეგ კი, რაც გინდა, ის ქენი... დასასრულ, მეოთხე წერილი ეგზავნებოდა ვლადისლავ გომულკას: პოლონეთის დერეფნის სრულად და შეუზღუდავად გამოყენების უფლება გაქვს, იუზეფ ცირანკევიჩს კი ამის სულ მცირე უფლებაც კი არა აქვს...

და გავგზავნეთ ოთხი ღია ბარათი, რომელთა ადრესატები ასე აბანი , მოშე დაიანი, გენერალი სუხარტო და ალექსანდრ დუბჩეკი იყვნენ. ოთხივე ღია ბარათი ძალიან ლამაზი, ვინიეტებიანი იყო. დაე, ბალღებივით გაიხარონ, იმ ბემურაზებმა ამის გამოისობით, იქნებ, საერთაშორისო კანონის სუბიექტად გვაღიარონ...

იმ ღამეს არავის უძინია. ყველა ენთუზიაზმმა ალატკინა, ყველა ცას აჰყურებდა, ყველანი ნორვეგიულ თვითმფრინავებს, მაღაზიებისა და ინტერვენციების გაღებას ელოდნენ და წარმოისახავდნენ, თუ როგორ გაიხარებდა ვლადისლავ გომულკა და როგორ დაიგლეჯდა თმებს იუზეფ ცირანკევიჩი...

არც ტყვეს, ყოფილ სოფლსაბჭოს თავმჯდომარე ანატოლ ივანიჩს ეძინა, ის თავისი ფარდულიდან დარდით ხელდარეული ნაგაზივით ყმუოდა:

- ბიჭებო!.. მაშასადამე, ხვალ დილას მე სასმელსაც კი არავინ მომიტანს?..

- ოჰო, კიდევ რა გინდა?! მადლობა მაინც გვითხარ იმის გამო, რომ ჟენევის კონვენციის შესატყვისად გამოგკვებავთ!..

- ეს რა ოხრობაა?!..

- გაიგებ, რაცაა! ანუ, ივანიჩ, ფეხით კი იჩოჩიალებ, მაგრამ ბოზებისკენ უკვე არ გაგიწევს გული!..

## კრუტოე - ვოინოვო

დილიდან კი, ჯერ კიდევ მაღაზიების გაღებამდე, პლენუმი გაიმართა. ის გაფართოებული და ოქტომბრის პლენუმი გახლდათ. მაგრამ რამდენადაც ჩვენი ოთხივე პლენუმი ოქტომბრისა და გაფართოებული იყო, ჩვენ, რათა ის სხვაში არ არეულიყო, გადავწყვიტეთ ისინი დაგვენომრა: I პლენუმი, II პლენუმი, III პლენუმი და IV პლენუმი.

მთელი I პლენუმი მიეძღვნა პრეზიდენტის არჩევას, ანუ პრეზიდენტად ჩემს არჩევას. ამისთვის სულ წუთნახევარი-ორი წუთი დაგვჭირდა, მთელი დანარჩენი გაიხარჯა პოლემიკაზე, რომლის თემაც მთლიანად გონებაჭვრეტითი ხასიათისა იყო: ყველაზე ადრე ვინ გააღებს მაღაზიას, დეიდა მაშა ანდრეევსკში თუ დეიდა შურა პოლომიში?

მე კი, ჩემს პრეზიდიუმში მჯდარი, ვუსმენდი ამ პოლემიკას და ასე ვსჯიდი: პოლემიკები უეჭველად საჭიროა, მაგრამ გაცილებით უფრო აუცილებელია დეკრეტები. რატომ ვივიწყებთ ჩვენ იმას, რითიც უნდა დავგვირგვინდეს ყველა რევოლუცია, ანუ "დეკრეტებს"? მაგალითად, ასეთ დეკრეტს: დეეკალოს დეიდა შურას პოლომიში მაღაზიის დილის ექვს საათზე გაღება. თითქოს ამაზე ადვილი რა უნდა იყოს? - ჩვენ, ძალაუფლების მპყრობელები, ავდგეთ და, დეიდა შურა ვაიძულოთ, რომ მაღაზია დილის ცხრა საათზე კი არა, ექვსზე გააღოს! ეს ადრე როგორ ვერ მოვიფიქრე!

ან, მაგალითად, დეკრეტი მიწის შესახებ: უეზდის მთელი მიწა, მთელი მისი უძრავ-მოძრავი ქონებითურთ, მთელი სპირტის სასმელებითურთ ყოველგვარი გამოსასყიდის გარეშე გადაეცეს ხალხს. ანდა: საათის ისრები ორი საათით წინ გადავწიოთ, ან საათნახევრით უკან გადმოვწიოთ. რა მნიშვნელობა აქვს, საით გადავწევთ? შემდეგ: უნდა დავაკანონოთ, რომ სიტყვა "черт" ისევ "о"-თი იწერებოდეს, რომელიმე ასო კი საერთოდ გავაუქმოთ, ოღონდ მოსაფიქრებელია, რომელი. დასასრულ, ვაიძულოთ დეიდა მაშა ანდრეევსკიში, მაღაზია დილის ექვსის ნახევარზე გააღოს და არა ცხრაზე...

ჩემს თავში აზრები ირეოდა, ისე ირეოდა, რომ დავნაღვლიანდი, ტიხონოვი კულუარებში გავიხმე და ჩვენ ისევ დავლიეთ თითო სირჩა და ვეუბნები:

- ყური მიგდე, კანცლერო!

- გისმენ, რა გინდა?..

- რა მინდა და, შენ მძლნერი კანცლერი ხარ, ამის თქმა მინდა.

- სხვა მოძებნე, - იწყინა ტიხონოვმა.

- ამაზე კი არ ვლაპარაკობ, ვადია საქმე ისაა, რომ, შენ თუ კარგი კანცლერი ხარ, დაჯექი და დეკრეტები წერე. მე ყური მოვკარი, რომ შენ თავი მაინც ვერ შეგიკავებია და ანატოლ ივანიჩისთვის ბარძაყზე გიჩქმეტია. აბა, რას შვრები? ტერორს ამკვიდრებ?

- ისე რა... ცოტათი...

- და როგორ ტერორს ამკვიდრებ? თეთრს?

- თეთრს.

- ამაოდ ირჯები, ვადია. თუმცა, კარგი, ჰო, ახლა ამისთვის არ გვცალია. ჯერ დეკრეტი უნდა დაიწეროს, თუნდაც ერთი, ყველაზე საძაგელი რომელიმე დეკრეტი... ქაღალდი, მელანი გაქვს? დაჯექი, წერე. შემდეგ დავლიოთ და უფლებების დეკლარაცია გამოვაცხოთ, ტერორი კი მხოლოდ ამის შემდეგ დავიწყოთ. ამის შემდეგ კი დავლევთ და - სწავლა, სწავლა და სწავლა.

ტიხონოვმა ორი სიტყვა დაწერა, დალია და ამოიოხრა:

- მდა ... მე ამ ტერორთან დაკავშირებით ჩავიჭერი... მაგრამ ჩვენს საქმეში ხომ შეუძლებელია არაფერი შეგეშალოს, იმიტომ, რომ ჩვენი საქმე გაუგონრად ახალი რამეა და ჩათვალე, რომ პრეცენდენტები არ ყოფილა. მართალია, პრეცედენტები იყო, მაგრამ...

- კარგი, ჰო, ეს რა პრეცედენტებია! ეს ისე, რა! არაფერია! ეს პრეცენდენტები კი არა, ნაზი სიოა, ცელქი ონავრების სეირობებია, წელთაღრიცხვაზე რას იტყვი? ხომ არ შევცვალოთ? შევცვალოთ თუ, როგორცაა ისე დავტოვოთ?

- აჯობებს, დავტოვოთ, ნაგავს ნუ შეეხები და ის არ აყროლდება.

- მართალს ბრძანებ, დავტოვოთ, შენ ბრწყინვალე თეორეტიკოსი მყავხარ, ვადია, და ეს კარგია, პლენუმი ხომ არ დავხუროთ? დეიდა შურამ პოლომიში მაღაზია უკვე გააღო. ამბობენ, იმას როსსიისკაია აქვსო.

- დახურე, რასაკვირველია. სულერთია, ხვალ დილიდანვე II პლენუმი იქნება. წავედით პოლომიში.

დეიდა შურას მართლაც აღმოაჩნდა როსსიისკაია. ამასთან დაკავშირებით და იმის გამოც, რომ რაიცენტრიდან დამსჯელი ძალების შემოტევებს ელოდნენ, გადაწყვიტეს დედაქალაქ ჩერკასოვიდან დროებით გადაეტანათ პოლომიში, ანუ თორმეტი ვერსით გადაეწიათ რესპუბლიკის ტერიტორიის სიღრმეში.

და იქ მეორე დღეს გაეხსნათ მთლიანად პრეზიდენტის პოსტიდან ჩემი გადადგომისთვის მიძღვნილი II კონგრესი.

- მე ვტოვებ პრეზიდენტის სავარძელს, - განვუცხადე პლენუმს, - პრეზიდენტის სავარძელი ფეხზე მკიდია. მიმაჩნია, რომ პრეზიდენტის პოსტი უნდა დაიკავოს ადამიანმა, რომელიც ნასმურევზე სამ დღეს მაინც გაძლებს უბახუსოდ, მაგრამ ასეთები განა არიან ჩვენს შორის?

- არ არიან, - ერთხმად პასუხობენ დელეგატები.

- მაგალითად, ნაბახუსევობიდან ჩემი სამ დღეში გამოყვანა შეუძლებელია?

ყველანი ორ-სამ წამს ამწონ-დამწონი, შემფასებლური თვალით მიყურებდნენ, შემდეგ კი ერთხმად მიპასუხეს: "შესაძლებელია".

- ჰოდა, - განვაგრძე მე, - უპრეზიდენტოდაც იოლად გავალთ, აჯობებს, აი, როგორ მოვიქცეთ: ყველანი გავიდეთ მდელოზე პუნშის დასაუენებლად, ბორია კი აქ ჩავკეტოთ, რაკი ის დიდბუნებოვანი ადამიანია, იჯდეს აქ და კაბინეტი შეადგინოს...

სიტყვა ოვაციით შემაწყვეტინეს და პლენუმი დაიხურა: ახლომახლო გადაშლილი მდელოები ლურჯი ალებით ალდა, საერთო სიხალისესა და წარმატების რწმენას მხოლოდ მე არ ვიყავი აყოლილი და კოცონებს შორის ერთი საგანგაშო ფიქრით შეპყრობილი დავბორტებდი: მთელ მსოფლიოში ვინმე ოდნავ, ერთ ბეწოზე მაინც რატომ არ გვაქცევს ყურადღებას? რატომ დუმს მთელი მსოფლიო? უეზდს ხანძარი უკიდია და მსოფლიო, დავუშვათ, იმიტომ დუმს, რომ დამუნჯებულია. მაგრამ არც აღმოსავლეთიდან და არც დასავლეთიდან ხელს რატომ არავინ გვიწვდის? საით იყურება მეფე ულაფი? სამხრეთიდან რეგულარული ნაწილები რატომ არ გვაწვებიან?

გვერდზე უხმაუროდ გავიყვანე კანცლერი, რომელსაც პუნშის სუნი ასდიოდა:

- ვადია, შენ ჩვენი რევოლუცია მოგწონს?

- მომწონს, - მიპასუხა ვადიამ, - ის ალგზნებულია, მაგრამ მშვენიერია.

- მდა... მაგრამ ნორვეგიაზე რას იტყვი, ვადია, ნორვეგიიდან რატომ არაფერი ისმის?

- ჯერ არაფერი ისმის... ნორვეგია შენ რაში გენაღვლება?

- როგორ თუ ნორვეგია რაში მენაღვლება?!.. ჩვენ მასთან ვომობთ თუ არ ვომობთ? ძალიან სულელურად გამოდის ეს ყველაფერი. ჩვენ მას ვეომებით, იმას კი ჩვენთან ომი არ ნებავს... ჩვენს დაბომბვას ხვალაც თუ არ დაიწყებენ, მე ისევ პრეზიდენტის სავარძელში ვჯდები - და მაშინ ნახავ, რაც მოხდება!

- ჩაჯექი, - მიპასუხა ვადიამ, - ვინ გიშლის ამას, ეროფეიჩიკ?.. თუ გინდა, ჩაჯექი...

### ვოინოვი – უსაძი

ჩვენ დილითაც არ დაგვცემია ერთი ბომბიც კი. და მაშინ, III პლენუმის გახსნისას, ვთქვი:

- სენატორებო! ვატყობ, მთელ მსოფლიოში არავის სურს ჩვენთან არც მეგობრობა, არც ჩხუბი. ყველამ ზურგი შემოგვაქცია და ყველა გაიტრუნა. მაგრამ, რამდენადაც დამსჯელები პეტუშკიდან აქ ხვალ საღამოს მოვლენ, მთელ ძალაუფლებას ხელში ვიპყრობ, ანუ თუ ვინმე სულელს არ ესმის, ვუხსნი: კომენდანტის საათს ვაწესებ. მეტიც - პრეზიდენტის სრულუფლებიანობას საგანგებოს სტატუსს ვანიჭებ და, ამავდროულად, პრეზიდენტი ვხდები, ანუ კანონსა და წინასწარმეტყველებზე მაღლა მდგარი პიროვნება ვხდები...

არავინ შემომდავებია. მხოლოდ პრემიერი ბორია ს. გააოგნა სიტყვა "წინასწარმეტყველებამ", მან განცვიფრებით შემომხედა და შურისგების მიზნით სხეულის მთელი ზედა ნაწილი აატოკა...

ორი საათის შემდეგ მან თავდაცვის მინისტრის ხელებში დალია სული, ის კაეშნისა და განზოგადებებისკენ უზომო მიდრეკილების გამო მოკვდა. სხვა მიზეზები თითქოს არ ყოფილა, გაკვეთით კი ჩვენ ის არ გაგვიკვეთავს, რადგან ეს საზიზღარი რამ იქნებოდა. იმავე დღის საღამოსთვის კი მსოფლიოს ყველა ტელეტაიპმა მიიღო შეტყობინება: "ის ბუნებრივი მიზეზების შედეგად გარდაიცვალა". იქ ნათქვამი არ იყო, ვინ მოკვდა, მაგრამ მსოფლიო ხვდებოდა.

IV პლენუმი სამგლოვიარო იყო.

მე გამოვედი და ვთქვი:

"დელეგატებო! თუ მე როდესმე ბავშვები მეყოლება, გთხოვთ, მათ, რათა სუფთანი დაიზარდონ, კედელზე დაუკიდოთ პროკურატორ იუდეა პრინტიუს პილატეს პორტრეტი. პილატე დგას და ხელებს იბანს - აი, როგორი იქნება ის პორტრეტი. მეც ზუსტად ასე ვიქცევი: ვდგავარ და ხელებს ვიბან. მე თქვენ მხოლოდ სიმთვრალისა და ყოველგვარი თვალსაჩინოობის საწინააღმდეგოდ შემოგიერთდით. მე თქვენ გეუბნებით, რომ გულის რევოლუციონიზირება საჭირო, რომ საჭირო სულების ამაღლება მარადიული ზნეობრივი კატეგორიების ასამაღლებლად, - და რომ სხვა ყველაფერი, რაც თქვენ აქ დაატრიალეთ, ამაოება და სულის წამება, ფუჭი და ბითურული რაღაცაა...

და თვითონ დაფიქრდით, რის იმედი შეიძლება გქონდეთ! საერთო ბაზარში თქვენ არავინ შეგიშვებთ, ამერიკის მეშვიდე ფლოტის ხომალდები აქ არ გაივლიან, და არც ისურვებენ აქ გავლას..."

ამ დროს ყველამ იღრიალა ადგილებიდან:

- შენა კიდე სასოს ნუ წარიკვეთ, ვენია! ნუ წუწუნებ! ჩვენ მოგვცემენ ბომბდამშენებს! ბ-52-ს მოგვცემენ!

- აბა, როგორ! ბ-52-ს მოგცემენ! არსად დაგეკარგოთ! სენატორებო, თქვენ რომ გისმენთ, სიცილით ვკვდები!

- "ფანტომასებს" მოგვცემენ!

- ხა-ხა-ხა! ვინ თქვა "ფანტომასებს" მოგვცემენო? კიდევ ერთი სიტყვაც თქვით "ფანტომასებზე" და სიცილით გავიფხრიწები...

ამ დროს ტიხონოვმა თავისი ადგილიდან თქვა:

- "ფანტომასს" ჩვენ, ალბათ, არ მოგვცემენ, მაგრამ ფრანკის დევალვაციას უეჭველად მოგვცემენ...

- როგორც ვხედავ, სულელი ხარ შენ, ტიხონოვ! მე არ ვდავობ, რომ შენ კარგი თეორეტიკოსი ხარ, მაგრამ ისეთ რამეებს წამოაყრანტალებ ხოლმე! მაგრამ ეგ არაფერი. სენატორებო, მე თქვენ გეკითხებით, რატომ უკიდია ხანძარი მთელ პეტუშკის რაიონს, ამას რატომ არავინ, არავინ არ ამჩნევს, არ ამჩნევს პეტუშკის რაი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ონშიც კი? მოკლედ, მე მხრებს ვიჩეჩავ და მივდივარ პრეზიდენტის პოსტიდან. მე, ისევე როგორც პონტი პილატე, ხელებს ვიბან და როსსიისკაიას მთელ ნარჩენს ვცლი. ეგრეა. მე ფეხებით ვქელავ ჩემს უფლებამოსილებებს - და თქვენგან მივდივარ. პეტუშკიში მივდივარ.

შეგიძლიათ, წარმოიდგინოთ, დელეგატებს შორის როგორმა ქარიშხალმა იფეთქა, განსაკუთრებით მაშინ, როცა როსსიისკაიას ნარჩენის დაცლაზე ვლაპარაკობდი!

და როცა წასასვლელად გავეხაზირე, და როცა წავედი, როგორი, როგორი სიტყვები მომაყოლეს! ისიც მინდა, გაუწყოთ, რომ იმ სიტყვებს არ გაგიმხელთ...

ჩემს გულში მონანიების ნასახიც არ იყო. პატარა მდელოებსა და საძოვრებს, ასკილის ბარდებს ვკვეთდი, ძროხების ჯოგის შუაგულში მივალაჯებდი და მე მესალმებოდნენ ხორბლები და მიღიმოდნენ ღიღილოები. მაგრამ, ვიმეორებ, ჩემი გული არაფერს ინანიებდა... მზე ჩავიდა, მე კი გზას განვაგრძობდი.

"ღვთისმშობელო, ჯერ რა შორია პეტუშკიმდე! - ვუთხარი ჩემს თავს. - მივდივარ, მივდივარ, პეტუშკი კი არა და არ ჩანს. უკვე სიბნელე ჩამოწვა - პეტუშკი სადაა?"

"პეტუშკი სადაა?" - ვიკითხე ვიღაცის განათებულ ვერანდასთან მისულმა. საიდან გაჩნდა ეს ვერანდა, საიდან? იქნებ ის სულაც ვერანდა კი არა, ტერასა, მეზონინი ან ფლიგელი იყოს? მე ხომ ამისა არაფერი გამეგება, სუ მეშლება ხოლმე ისინი ერთმანეთში.

დავაკაკუნე და ვიკითხე: "პეტუშკი სადაა? იქამდე ჯერ შორია?" აი, იმათი პასუხი: ყველა, ვინც იმ ვერანდაზე იყო, ახარხარდა და არაფერი უთქვამთ. გავნაწყენდი და ისევ დავაკაკუნე - ვერანდაზე ხვიხვინი გამეორდა. უცნაური რამ ხდება! მეტსაც გეტყვით - ვიღაც ჩემს ზურგს უკანაც ხვიხვინებდა.

მივიხედე - "მოსკოვ-პეტუშკის" მგზავრები თავიანთ ადგილებზე ისხდნენ და ბინძურად იღიმებოდნენ. ვაიმე! მაშასადამე, მე ჯერ ისევ მივემგზავრები?

"არა უშავს, ეროფეევ, არა უშავს. იცინონ, ყურადღებას ნუ მიაქცევ. როგორც საადიმ თქვა, იყავ კვიპაროსივით სწორი და უბრალო და პალმასავით უხვი. არ მესმის, პალმა აქ რა შუაშია, მაგრამ ეგ არაფერი, მაინც პალმასავით იყავი. ჯიბეში კურანსკაია დაგრჩა? დაგრჩა. ჰოდა, გადი ტამბურში და დალიე, - ასე რომ არ გერეოდეს გული".

ყოველი მხრიდან სულელური ქილიკი და ქირქილი დაუშურველად გამომაყოლეს ტამბურისკენ მიმავალს. განგაში ჩემი სულის მთლად სიღრმეში იკრებდა ძალას და შეუძლებელი იყო იმის გაგება, თუ რა განგაში იყო ეს და რატომ იყო ის ასე ბუნდოვანი...

- უსადში შევდივართ, არა? - კართან ჩასასვლელად გამზადებული მგზავრები იყვნენ მოქუჩებული და მე მათ ვკითხე: უსადში შევდივართ, ხომ?

- შენა, რა სულელურ რაღაცეებს გვეკითხები, აჯობებს, ასეთი მთვრალი შინ იჯდე და გაკვეთილებს ამზადებდე. ალბათ, საუზმემდე გაკვეთილები ჯერ არ მოგიმზადებია და დედა გაგჯორავს.

შემდეგ კი დასძინა:

- ერთი ციდა ხარ და უკვე ლაქლაქი გისწავლია!..

ამ ბაბუას რა ბუზანკალი შეუჯდა, გაგიჟდა? რა დედა? რა გაკვეთილები?.. ერთი ციდა ვინაა?.. არა, ალბათ, ბაბუა კი არა, მე თვითონ გავგიჟდი. იმიტომ, რომ ეგერ მეორე თეთრსახიან - თეთრთმიანი ბერიკაციც გვერდით დამიდგა, ქვემოდან ზემოთ ამომხედა თვალებში და მითხრა:

- ისე კი, კაცმა რომ თქვას, საით მიდიხარ შენა? პატარძლობა შენთვის უკვე გვიანია, სასაფლაოზე დაბინავება ადრეა. საით მიდიხარ, ძვირფასო მწირო ასულო?

ძვირფასო მწირო ასულოო!!!?

შევკრთი და ტამბურის მეორე ბოლოსკენ წავედი, რაღაც სიავე ჭირს ამ ქვეყანას. მთელი სამეფო დამპალია და ყველას ტვინი ნაღრძობი აქვს. ყოველ შემთხვევაში სხვის დაუნახავად, ჩუმად მოვისინჯე თავი: რომელი "ძვირფასი მწირი ასული" მე ვარ? ეს საიდან მოიტანა იმან? თან, რისთვის სჭირდებოდა? რასაკვირველია, იანგლა, მაგრამ ეს ხომ ასეთი უაზრო, გაუგონარი რამაა!

მე ჩემს ჭკუაზე ვარ, ესენი კი ყველანი თავისაზე - ან, პირიქით: ისინი ყველანი ერთი ჭკუისანი არიან, მე კი მეორისა? სულის ძირში გაჩენილი განგაში სულ მაღლა და მაღლა ამოდიოდა. და, როცა მატარებელი გაჩერდა და კარი გაიღო, თავი ვერ შევიკავე და ერთ ჩამსვლელს ისევ ვკითხე:

- ეს უსადია, არა?

ისა კიდე (სავსებით მოულოდნელად) გამომეჭიმა და მიღრიალა: "არა და არა!!" შემდეგ კი, შემდეგ ხელზე ხელი მომიჭირა, ჩემკენ დაიხარა და ჩამჩურჩულა: "მე თქვენს სიკეთეს ვერასოდეს დავივიწყებ, ამხანაგო უფროსო ლეიტენანტო!"

და ჩავიდა მატარებლიდან და თან ცრემლი გადმოაგდო.

## უსადი - 106-ე კილომეტრი

ტამბურში სუ მარტო და გაოცებული დავრჩი. თუმცა, ეს გაოცება სულაც არ გახლდათ, ეს ისევ ის ვაებაში გარდამავალი განგაში იყო. ბოლოს და ბოლოს, ჯანდაბას, ვიყო ის "ძვირფასი მწირი ასული" და ის "უფროსი ლეიტენანტი", - მაგრამ ფანჯრის იქით რატომ ბნელა, მითხარით, თუ ღმერთი გწამთ, ფანჯარას იქით სიშავე რატომაა, თუ მატარებელი დილით გამოვიდა და ზუსტად ასი კილომეტრი გამოიარა?.. რატომ?..

თავით ფანჯარას მივეყრდენი - ღმერთო, როგორი სიშავეა! და რაა იქ, იმ სიშავეში - წვიმს თუ თოვს? თუ მე, თვალცრემლიანი, ვერაფერს ვარჩევ იმ სიშავეში? ღმერთო!..

- ოჰ! შენა ხარ! - ვიღაცამ თქვა ჩემს ზურგსუკან ისეთი სასიამოვნო, თან ღვარძლიანი ხმით, რომ მე შეტრიალებას არც ვაპირებდი. მაშინვე მივხვდი, ვინც იდგა იქ, ჩემს ზურგსუკან. "ახლა ცთუნებას დამიწყებს ეს გონებაჩლუნგი, ესა! მონახა, რა, ცთუნების დრო!"

- ეს შენა ხარ, ეროფეევ? - მკითხა სატანამ.

- რასაკვირველია, მე ვარ, აბა, სხვა ვინ უნდა ვიყო?..

- მძიმე დღე გადგას, ეროფეევ?

- რასაკვირველია, მძიმე დღე მადგას. გაიარე, გაიარე, მისამართი შეგეშალა...

ისევ თავით ფანჯარას მიყრდნობილი შემოუტრიალებლად ვლაპარაკობდი.

- რაკი მძიმე დღე გადგას, - განაგრძობდა სატანა, - მოთოკე შენი სულიერი აღტკინება და შვებას იგრძნობ.

- არავითარ შემთხვევაში არ მოვთოკავ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

- ჰოდა, სულელი ხარ.

- სულელის ხმა მესმის.

- კარგი, ჰო, კარგი... ამასთან კრინტი არ უნდა დაძრა, არა!.. იცი, ამას რა აჯობებს? - ადექი და მიმავალი ელექტრომატარებლიდან ეგრევე გადახტი. იქნებ, არც დაიმტვრე...

ჯერ დავფიქრდი, მერე კი ვუპასუხე:

- არა, არ გადავხტები, მეშინია. აუცილებლად დავიმტვრევი.

და სატანა თავლაფდასხმული წავიდა.

მე კი სხვა რა დამრჩენოდა? - სასმისის ყელიდან ექვსი ყლუპი მოვსვი და ისევ მივეყრდენი თავით ფანჯარას. ფანჯრის იქით ისევ სიშავე იწვა და ისევ მაგანგაშებდა. და შავ აზრებს აღმიძრავდა, ამ აზრების თავიდან გამოსაძევებლად თავზე ხელებს ვიჭერდი, მაგრამ ისინი, მაგიდაზე ლუდი რომ ილვრება, ისე ილვრებოდნენ. "არ მომწონს მე ეს წყვდიადი ფანჯრის იქით, ძალიან არ მომწონს".

მაგრამ კუბანსკაიას ექვსი ყლუპი უკვე გულს ეპარებოდა, ერთმანეთზე მიყოლებით, თითო-თითოდ ეპარებოდა, გულთან გუბდებოდა და გული უკვე ორთაბრძოლას უმართავდა გონებას...

"კი, მაგრამ მაინც რატომ არ მოგწონს ეს წყვდიადი? წყვდიადი წყვდიადია და მას ვერაფერს მოუხერხებ. წკვარამი სინათლით იცვლება, სინათლე კი წყვდიადით - ასეთია ჩემი აზრი. და იმით, რომ შენ არ მოგწონს, ის წყვდიადობას არ შეწყვეტს. მაშასადამე, ერთადერთი გამოსავალი რჩება: აღიარო მისი არსებობა. ყოფიერების ოდინდელ კანონებს ჩვენ, სულელები, ვერ მოვერევით. მარცხენა ნესტოზე თითებს თუ მოვიჭერთ, მარჯვენა ნესტოთი უნდა ვისუნთქოთ, ხო სწორია? ჰოდა, ფანჯრის იქით სინათლე რატომ უნდა მოითხოვო, თუ იქ წყვდიადია..."

"კი, ეს ასეა, ასეა... მაგრამ მე დილით გამოვედი... რვა და თექვსმეტზე, კურსკის ვაგზლიდან..."

"მერე რა, რომ დილით გამოხვედი!.. ახლა, მადლობა ღმერთს, შემოდგომაა, მოკლე დღეებია. რიგიანად გამოღვიძებას ვერ ასწრებ და - ბახ! - უკვე ბნელა... პეტუშკიმდე გზის გალევას კი - ო-ო-ო-ო რამდენი დრო სჭირდება! მოსკოვიდან პეტუშკიმდე, ო-ო-ო რამდენ ხანს უნდა იმგზავრო!"

" - და რა "ო-ო-ო"! შენ ყველაფერზე რა "ო-ო-ო"! და "ო-ო-ო"! აგიჩემებია! მოსკოვიდან პეტუშკიმდე გზის გავლას ზუსტად ორი საათი და თხუთმეტი წუთი სჭირდება. წინა პარასკევს, მაგალითად..."

" - ის შენი წინა პარასკევი არსად დაგეკარგოს! წინა პარასკევს ცოტა რამე მოხდა? წინა პარასკევს მატარებელი ხომ თითქმის გაუჩერებლად მიჰქროდა. და, საერთოდ, წინათ მატარებლები უფრო სწრაფად დაჰქროდნენ. ახლა, ახლა კი ეშმაკმა იცის რა ხდება!.. ყოველ ბოძთან ჩერდება და დგას, დგას, მაგრამ რატომ დგას? ზოგჯერ პირდაპირ გული მერევა: ის სულ რატომ დგას და დგას? და ყველა ბოძთან ასეა. ესინოს გარდა..."

ფანჯრიდან გავიხედე და ისევ მოვიღუშე: "მდა-ა... მაინც უცნაური რამაა... დილის რვაზე გამოვედით... და მაინც მივდივართ და მივდივართ..."

ამ დროს უკვე გულმა იგრგვინა: "სხვები? სხვები, რა, შენზე უარესნი არიან? სხვებიც ხომ მოდიან და არ კითხულობენ, ასე დიდხანს რატომ არიან გზაში და რატომ ბნელა ასე? უხმაუროდ, მშვიდად სხედან და ფანჯრიდან იხედებიან... შენ მათზე ჩქარა რატომ უნდა იმგზავრო? სასაცილოა შენი მოსმენა, ვენია, სასაცილო და გულისამრევი... დიდი პრეტენზიული ვინმე ხარ! თუ დალიე, ვენია, უფრო მოკრძალებული, თავმდაბალი იყავ, ნუ გგონია, რომ შენ სხვებზე ჭკვიანი და უკეთესი ხარ!"

აი, ამან კი მთლად დამამშვიდა. ტამბურიდან ისევ ვაგონში შევედი და მერხზე ჩამოვჯექი, თან ვცდილობდი, რომ ფანჯრიდან არ გამეხედა. მთელი პუბლიკა, ხუთი თუ ექვსი ადამიანი, ვაგონში იყო, ძუძუთა ბავშვებივით მოშვებულნი, თავდაწეულნი თვლემდნენ... ლამის მეც ჩავთვლიმე...

და უცებ წამოვიჭერი: "ღმერთო მოწყალეო! "მაგრამ ის ხომ დილის 11-ზე, უნდა დამხვედროდა... მაგრამ გარეთ ჯერ ისევ ბნელა... გამოდის, რომ მე გათენებამდე მომიწევს დალოდება. მე ხომ არ ვიცი, სად ცხოვრობს ის. მე მასთან თორმეტჯერ მოვხვედრილვარ და ყოველთვის გამომტყვრალი და ტვინგადაბრუნებული ვიყავი. როგორ გულსატკენია, რომ ამ მეცამეტეჯერ მასთან სავსებით ფხიზელი მივდივარ. ამის გამო მომიწევს მანამ დალოდება, ვიდრე ინათებს! როდის გათენდება ჩემი მეცამეტე პარასკევის დილა?

თუმცა, სდექ! მე რომ მოსკოვიდან გამოვემგზავრე, ჩემი პარასკევის დილა ხომ უკვე გათენებული იყო. მაშასადამე, უკვე დღესაა პარასკევი! რატომ ბნელა ძალიან ფანჯრის იქით?.."

"კი, მაგრამ წინა პარასკევს ხომ..."

"ისევ წინა პარასკევზე ლაპარაკობ?! ვენია, შენ მთლიანად წარსულში ხარ, ვხედავ, რომ სულ არ გინდა, მომავალზე იფიქრო!.."

"არა, არა, მომისმინე... წინა პარასკევს, ზუსტად დილის 11-ზე ის, გრძელნაწნავიანი, ბაქანზე იდგა... და იქაურობა ძალიან განათებული იყო, კარგად მახსოვს, ნაწნავიც კარგად მახსოვს, კარგად..."

"ნაწნავი" რა შუაშია! გაიგე, შე სულელო, გაიგე, გიმეორებ: ახლა დღის ხანგრძლივობა კლებულობს, რადგან შემოდგომაა. იმ პარასკევს კი, დილის 11-ზე, არ გედავები, კარგა ხნის გათენებული იყო. ამ პარასკევს კი, დილის 11-ზე, რაც არ უნდა იხტუნაო, შეიძლება, ძალიან ბნელოდეს. შენ ხომ იცი, ახლა დღე რომ იკლებს? იცი? მე ვხედავ, რომ შენ არ იცი, მხოლოდ ბაქიბუქობ ყველაფერი ვიციო! "ნაწნავიო", გესმით! ნაწნავი, კი ბატონო, შეიძლება იზრდებოდეს, წინა პარასკევის შემდეგ ის შეიძლება, კოჭებამდე ჩამოდიოდეს... შემოდგომის დღე კი - მაგის კარგიც! - მოკლდება. მაინც როგორი ბენტერა ხარ, ვენია!.."

ლოყაზე არცთუ მაინცდამაინც მაგრად შემოვირტყი ხელი, სამი ყლუპიც ჩავუშვი და ავცრემლდი. სულის ფსკერიდან განგაშის ნაცვლად სიყვარული ამოდიოდა ზევითკენ. მთლად ამიჩუყდა გული: "შენ მას ძოწეულისფერ ძვირფას სამოსელსა და შროშანებს შეჰპირდი. და აგერ, სულ ოც წუთში პეტუშკიში იქნები, მზით გაჩახჩახებულ ბაქანზე ჩახვალ და მას ამ "ვასილიოკს" გაუწვდი. და ყველანი იტყვიან: "ჩვენ უკვე ზედიზედ მე-13-ჯერ ვხედავთ მხოლოდ "ვასილიოკს". მაგრამ არასოდეს გვინახავს არც ძოწეულისფერი სამოსელი და არც შროშანები." ის კი გაიცინებს და ყველანი იტყვიან:

"ჩვენ უკვე ზედიზედ მე-13-ჯერ ვხედავთ უკვე "ვასილიოკს". მაგრამ არასოდეს გვინახავს არც ძოწეულისფერი სამოსელი და არც შროშანები". ის კი გაიცი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნებს და იტყვის: "..."

ახლა კი თითქმის ჩავთვლიმე. თავი ძირს ჩამომივარდა და პეტუშკიმდე არ მინდოდა მისი აწევა. მე ისევ ბურანში წავედი...

## 105-ე კილომეტრი - ჰოკროვი

მაგრამ ვინ გაცალა ბურანში ყოფნა! სუ ცოტა ხანში შევკრთი და შემოვბრუნდი: ჩემს წინ იდგა ვიღაც უფეხებო, უკუდო და უთავო.

- ვინა ხარ? - ვკითხე განცვიფრებით.

- გამოიცან, ვინა ვარ! - მან გაიცინა, მაგრამ კაციჭამიურად გაიცინა.

- კარგი, ერთი! მეტი საქმე არა გაქვს!..

განაწყენებით შევაქციე ზურგი, რათა ისევ ბურანში დავნთქმულიყავ. მაგრამ ამ დროს ვიღაცამ გამოქანებით მრეკა თავი ზურგში. ისევ მოვტრიალდი: ჩემს წინ იდგა ისევ ის უფეხებო, უკუდო და უთავო ვიღაც...

- რატომ მცემ? - ვკითხე მას.

- შენა, კიდე, გამოიცან, რატომ გცემ!.. - მიპასუხა მან ისევ ისეთი კაციჭამიური სიცილით გაცინებულმა.

ამჯერად მე მაინც ვცადე გამოცნობა. "თორემ, იმას რომ ზურგი შევაქციო, შეიძლება ზურგში ორივე ფეხი მდურთოს..."

თვალები დავხარე და დავფიქრდი. ვიდრე ვფიქრობდი, ის მელოდა და ამ დროს ზედ ჩემს ნესტოებთან ვეება მუშტებს ჩუმად ამოძრავებდა აქეთ-იქით - თითქოს ის მე, სულელს, ნერწყვს მწმენდსო...

პირველმა ხმა მაინც მან ამოიღო:

- შენ პეტუშკიში მიემგზავრები? ქალაქში, სადაც არც ზამთარში და არც ზაფხულში არ ჭკნება და ასე შემდეგ? სადაც...

- დიახ, სადაც არც ზამთარში და არც ზაფხულში არ ჭკნება და ასე შემდეგ.

- სადაც შენი მურდალი ქალი ჟასმინსა და ვისონში გორაობს და მის თავზე ჩიტები დაფრთხიალებენ და, სადაც მათ მოეგუნებებათ, იქ კოცნიან მას.

- დიახ, სადაც მათ მოეგუნებებათ.

მან ისევ გაიცინა და უბაში მითავაზა.

- აბა, მომისმინე. შენს წინაშე სფინქსია. და ის ამ ქალაქში შენ არ შეგიშვებს.

- ვითომ რატომ არ შემიშვებს? მაინც რატომ არ შემიშვებ? რაო, იქ, პეტუშკიში, შავი ჭირი მძვინვარებს? იქ ვიღაც თავის ქალიშვილს მისთხოვდა და შენ...

- იქ ქალიშვილსა და ჭირზე უარესი რამაა. მე უკეთ ვიცი, რაცაა იქ. მაგრამ არ შეგიშვებ-მეთქი, ესე იგი, არ შეგიშვებ. უფრო სწორად, ერთი პირობით შეგიშვებ: შენ ჩემს ხუთ გამოცანას გამოიცნობ.

"ამ გარეწარს რა გამოცანები აუტუდა?" - გავიფიქრე გულში, ხმამაღლა კი ვუთხარი:

- კარგი, ჰო, ნუ მტანჯავ, მაიტა ის შენი გამოცანები. შენი იმსისხო მუშტები იქით გასწიე და უბაში კი ნუ მირტყამ, გამოცანები ჩამოცანცლე.

და მან პირველი გამოცანა დაიწყო:

"სახელგანთქმული დამკვრელი ალექსეი სტახანოვი პატარა საჭიროებისთვის დღეში ორჯერ გადიოდა, დიდისთვის - ორ დღეში ერთხელ, როცა მას გაბმით სმის ჟამი ედგა, მცირე საჭიროებისთვის დღეში ოთხჯერ გადიოდა, დიდისთვის კი - არცერთხელ. იანგარიშე, დამკვრელი სტახანოვი მცირე საჭიროებისთვის რამდენჯერ და დიდი საჭიროებისთვის რამდენჯერ გადიოდა წელიწადში, იმასაც თუ გავითვალისწინებთ, რომ მას წელიწადში სამას თორმეტ დღეს ედგა გაბმით სმის ჟამი".

ჩემთვის გავიფიქრე: "ეს საქონელი რას მიქარაგმებს? ტუალეტში არასოდეს გადის? გამოულევიძებლად სვამს? ვისზე მიქარაგმებს ეს საქონელი, ვისზე?"

გავნაწყენდი და ვთქვი:

- ეს ცუდი გამოცანაა, სფინქსო, ეს გოჭური ქვეტექსტის გამოცანაა. მე არ გამოვიცნობ ამ ცუდ გამოცანას.

- არ გამოიცნობ, არა? ნახავ, როგორ ამიჭიკჭიკდები! მეორე მოისმინე.

"როცა ამერიკის მეშვიდე ფლოტის ხომალდები ბაგირით მიაბეს სადგურ პეტუშკიში, მანდ პარტიული ქალწულები არ იყვნენ, მაგრამ კომკავშირულ ქალწულებს პარტიულებს თუ დავარქმევთ, მაშინ მათგან ყოველი მესამე ქერა იყო. ამ ხომალდების წასვლის შემდეგ გაირკვა, რომ ყოველი მესამე კომკავშირელი ქალიშვილი გაუპატიურებული იყო, ყოველი მეოთხე გაუპატიურებული კომკავშირელი ქალიშვილი აღმოჩნდა, ყოველი მეცხრე გაუპატიურებული ქერა ქალიშვილი კომკავშირელი აღმოჩნდა. თუ პეტრუშკიში სულ 428 ქალწულია, გაარკვიე, მათ შორის რამდენი ხელუხლებელი უპარტიო შავგვრემანი დარჩა?"

"ვისზე, ვისზე მიქარაგმებს ახლა ეს მამაძაღლი? ყველა შავგვრემანი ხელუხლებელი რატომ აღმოჩნდა ხელუხლებელი, ყველა ქერა კი ერთიანად გაუპატიურებელი? რისი თქმა სურს ამით ამ პარაზიტს?"

- მე არც ამ გამოცანას ამოვხსნი, სფინქსო. მაპატიე, მაგრამ არ ამოვხსნი. ეს ძალიან ულამაზო გამოცანაა. ის აჯობებს, მესამე მითხრა.

- ხა-ხა-ხა! მესამე მითხარიო!

"როგორც ცნობილია, პეტუშკიში არ არის A პუნქტები, მით უფრო, იქ C პუნქტები არაა. არის მხოლოდ B პუნქტები. ჰოდა, პაპანინი, რომელსაც ვოდოპიანოვის გადარჩენა უნდოდა, გამოვიდა B-1 პუნქტიდან B-2 პუნქტისკენ. ვოდოპიანოვი, რომელსაც პაპანინის გადარჩენა უნდოდა, ზუსტად იმ წამს გამოვიდა B-2 პუნქტიდან B-1 პუნქტისკენ. არ ვიცით, ორივენი რატომ აღმოჩნდნენ B-3 პუნქტში, რომელიც პუნქტ-1-დან ვოდოპიანოვის 12 ნაფურთხის, ხოლო B-4 პუნქტიდან პაპანინის 16 ნაფურთხის მანძილზე იყო. იმას თუ გავითვალისწინებთ, რომ პაპანინი 3 მეტრისა და 72 სანტიმეტრის სიგრძეზე აფურთხებდა, ხოლო ვოდოპიანოვს გადაფურთხება საერთოდ არ შეეძლო, ამოვხსნათ, გამოვიდა თუ არა პაპანინი ვოდოპიანოვის გადასარჩენად?"

"ღმერთო ჩემო! ეს ბითური სფინქსი ხომ არ შეირყა? რას ახურებს ესა? პეტუშკიში ვითომ რატომ არ არის არც A და არც C პუნქტები და რატომ არის მხოლოდ B პუნქტები? ვისზე მიქარაგმებს ეს ყურუმსალი?"

- ხა-ხა-ხა! - იყვირა სფინქსმა და ხელების ფშვნეტას შეუდგა. - არც ამას ამოხსნი? არც ამას ამოვხსნიო! გული ნუ შემიჭამე, გესმის? კარგი, ჰო, აგე მეოთხე გამოცანა:

"ლორდ ჩემბერლენს, ბრიტანეთის იმპერიის პრეზიდენტს, სადგურ პეტუშკის რესტორნიდან გამოსვლისას ვიღაცის ნარწყევზე ფეხი დაუცურდა და დაცემისას იქვე მდგარი პატარა მაგიდა გადააყირავა, იმ პატარა მაგიდაზე იყო 35-35 კაპ. ღირებული ორი ლევზელი, 78-78 კაპ. ღირებული ორი ულუფა ბეფსტროგანოვი და ორი გრაფინი ხერესი - თითოეული 800 გრამის ოდენობით, ყველა თეფში მთელი დარჩა. ყველა კერძი უვარგისი გახდა, ხერესს კი ასეთი რამ დაემართა: ერ-

თი გრაფინი არ დაიმტვრა, მეორე დანაკუწდა, მაგრამ მისგან ერთი წვეთიც კი არ დაქცეულა. იმას თუ გავითვალისწინებთ, რომ ცარიელი გრაფინი ბეფსტროგანოვის ულუფაზე ექვსჯერ მეტი ღირს, ხერესის ფასი კი ყოველმა ბავშვმაც კი იცის, - გაიგე, რა ანგარიში წარუდგინეს ლორდ ჩემბერლენს, ბრიტანეთის იმპერიის პრემიერს სადგურ კურსკის ვაგზლის რესტორანში?"

- როგორ თუ "კურსკის ვაგზლისა"?

- როგორ და ეგრე "კურსკის ვაგზლისა".

- მაგრამ მას დაუცურდა ფეხი? პეტუშკიში - ხომ ასეა? ლორდ ჩემბერლენს ხომ ფეხი პეტუშკის რესტორანში დაუცურდა?

- თანხა კი მან კურსკის ვაგზალში გადაიხადა. რამდენის გადახდა მოუხდა მას?

"ღმერთო, ღმერთო! საიდან მოდიან ასეთი სფინქსები? უფეხებო, უთავო, უკუდო არსებები, თანაც, ასე აბდაუბდურად ჩმახავენ რაღაცეებს და როგორი ბანდიტური სახეები აქვთ!.. რას მიქარაგმებს ეს ვირიშვილი?.."

- ეს გამოცანა არაა, სფინქსო. ეს მასხრად აგდებაა.

- არა, ეს მასხრად აგდება არაა, ვენია, ეს გამოცანაა. შენ ესეც თუ არ მოგწონს, მაშინ...

- მაშინ მაიტა მეხუთე, მეხუთე მაიტა!..

"აი, მოდის მინინი, მისკენ კი პოჟარსკი მოემართება. "შენ დღეს რაღაც უცნაური ხარ, მინინ, - ეუბნება პოჟარსკი, - ეტყობა, ძალიან ბევრი დალიე". "შენც უცნაური ხარ, პოჟარსკი, დადიხარ და ფეხზე გძინავს". "კაცურად მითხარი, მინინ, რამდენი დალიე დღეს?" "ახლავე გეტყვი: თავიდან 150 როსსისკაია, შემდეგ 150 პერცოვაია, 200 სტოლიჩნაია, 550 კუბანსკაია... შენა?" "მეც ზუსტად ამდენი დავლიე, მინინ". "ჰოდა, საით მიდიხარ ახლა, პოჟარსკი?" "როგორ თუ საით მივდივარ? პეტუშკიში, რასაკვირველია. შენა, მინინ?" "მეც ხომ პეტუშკიში მივდივარ. თავადო, შენ სულაც იმ მიმართულებით არ მიდიხარ!" "არა, შენ არ მიდიხარ იმ მიმართულებით, მინინ". მოკლედ, მათ ერთმანეთი დაარწმუნეს იმაში, რომ უკან უნდა შებრუნებულიყვნენ. პოჟარსკი იქით წავიდა, საითკენაც მინინი მიდიოდა, მინინი კი იქით, საითკენაც პოჟარსკი მიდიოდა, და ორივენი კურსკის ვაგზალზე აღმოჩნდნენ.

ასე იყო. ახლა კი მითხარი: ორივეს კურსი რომ არ შეეცვალა და თითოეულ მათგანს მანამდელი გზით ევლო, სად მოხვდებოდნენ ისინი? სად მივიდოდა პოჟარსკი? თქვი".

- პეტუშკიში? - ვუკარნახე მას იმედიანად.

- სულაც არა! ხა-ხა-ხა! პოჟარსკი კურსკის ვაგზალში მოხვდებოდა! ასეა ეს!

სფინქსმა გაიცინა და ორივე ფეხზე დადგა.

- მინინი? მინინი სად მოხვდებოდა, თავისი გზით რომ წასულიყო და პოჟარსკის რჩევა ყურად არ ეღო? სად მივიდოდა მინინი, სად?..

- პეტუშკიში? - უკვე ცოტა რამის იმედი მქონდა და ლამის ავტირდი. - პეტუშკიში, არა?

- კურსკის ვაგზალზე რას იტყოდი? ხა-ხა-ხა!. და სფინქსს თითქოს დაცხაო, თითქოს სიხარულისა და ნიშნის მოგების გამო ოფლიანდებაო, კუდი მოიქნია. - და მინინი კურსკის ვაგზალში მივიდოდა!.. ჰოდა, მათგან პეტუშკიში მაინც რომელი მოხვდებოდა? ხა-ხა-ხა! პეტუშკიში არც ერთი მოხვდეს და არც მეორე.

როგორ იცინოდა ეს გარეწარი! ასეთი კაციჭამიური სიცილი ჩემს სიცოცხლეში არ მომისმენია! თანაც, მხოლოდ რომ ეცინა, რა უშავდა! - ის გაუთავებლად იცინოდა, ცხვირში ორი სახსარი ჩამავლო და საითკენღაც წამათრია...

- საით მიმათრევ, საით, სფინქსო? საით მიმათრევმეთქი?

- დაინახავ საითკენაც მიგათრევ, დაინახავ! ხა-ხა-ხა! დაინახავ!..

## პოკროვი - 113-ე კილომეტრი

მან ტამბურში გამათრია, სიფათით ფანჯრისკენ შემაბრუნა და ჰაერში განზავდა... რისთვის სჭირდებოდა მას ეს?

ფანჯარაში გავიხედე. მართლაც, "იმის იქით უწინდელი სიშავე არ იყო. დაორთქლილ მინაზე ვიღაცას თითებით დაუწერია: "..." - და დავინახე ქალაქის ჩირაღდნები, ბევრი ჩირაღდანი და სადგურის გაელვებული წარწერა "პოკროვი".

"პოკროვი! პეტუშკის რაიონის ქალაქი! სამი გაჩერებაც და შემდეგ - პეტუშკია! შენ სწორი გზით მიდიხარ, ვენედიქტ ეროფეევ! და ის განგაში, რომელიც სულის ფსკერიდან ზევით ამოდიოდა და ამოდიოდა, ერთბაშად დაინთქა სულის ფსკერზე.

ის სამ თუ ოთხ წამს, მიჩუმებული, იწვა იქ. შემდეგ კი - შემდეგ მან არა მარტო იწყო სულის ფსკერიდან ისევ მაღლა ამოსვლა, არამედ ამოხტა. ერთმა აზრმა, ერთმა საოცარმა აზრმა ისე გამთანგა, რომ მუხლებიც კი დამისუსტდა:

აი, ახლა მე პოკროვიდან გავდიოდი. მე ვნახე წარწერა "პოკროვი" და ბარჩხალა სხივები. ყველაფერი ეს კარგია - "პოკროვიც" და ბარჩხალა სხივებიც. მაგრამ ისინი მატარებლის სვლის მარჯვენა მხარეს როგორ აღმოჩნდნენ?.. მე ვუშვებ იმას, რომ ჩემი გონება რამდენადმე დაბნელებულია, მაგრამ მე ხომ ბალღი არა ვარ, ვიცი - სადგური პოკროვი მარჯვნივ თუ აღმოჩნდა, პეტუშკიდან მოსკოვისკენ მივდივარ, და მოსკოვიდან პეტუშკისკენ!.. ო, საძაგელო სფინქსო!

გავხევდი, ავწრიალდი და ვაგონში ბოლთას ვცემდი. ჩემს სხეულში ახლა სული აღარც იყო. "დაიცა, ვენიჩკა, ნუ ჩქარობ. სულელო გულო, ნუ თრთი. შენ, იქნებ, უბრალოდ, მხარი გეცვალა: შესაძლოა, პოკროვი მაინც მარცხნივ იყო და არა მარჯვნივ! გამოდი, ისევ გამოდი ტამბურში, უკეთ შეხედე, მატარებლის სვლის რომელ მხარეზე აწერია მინას "..."

ტამბურში გავვარდი და მარჯვნივ გავიხედე: დაორთქლილ მინაზე მკაფიოდ და ლამაზად ეწერა "..." ღმერთო! თავში ვიტაცე ხელები, ვაგონში შევბრუნდი, ისევ გავხევდი და ბოლთას ვცემდი გაუთავებლად...

"დაიცა, დაიცა... გაიხსენე, ვენიჩკა, რომ მოსკოვიდან აქამდე გამოვლილ მთელ გზაზე მატარებლის სვლის მარცხენა მხარეს იჯექი და ყველა შავულვაშა, ყველა მიტრიჩი, ყველა დეკაბრისტი - ყველა - მატარებლის სვლის მარცხენა მხარეს იჯდა. მაშასადამე, თუ სწორად მიდიხარ, შენი პატარა ჩემოდანი მატარებლის სვლის მარცხენა მხარეს უნდა იდოს. ხომ ხედავ, რა უბრალო რამეა ამის გარკვევა!.."

ჩემი პატარა ჩემოდნის მოსაძებნად მთელ ვაგონში ვიძუნძულე, მაგრამ, ფაფუ, ის არსად იყო - არც მარცხნივ და არც მარჯვნივ.

სადაა ჩემი პატარა ჩემოდანი?

"კარგი, ჰო, კარგი, ვენიჩკა, დამშვიდდი. რას იზამ. პატარა ჩემოდანი რა ბედენაა, ის შემდეგ მოინახება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯერ შენი გამოცანა ამოხსენი: საით მიემგზავრები? შენი პატარა ჩემოდანი კი ამის შემდეგ ეძებე. რა სჯობს: ჯერ ამ გამოცანის ამოხსნა თუ მილიონის შოვნა? რასაკვირველია, ჯერ გამოცანა უნდა ამოხსნა, მილიონი კი მერე ეძებე".

"შენ კეთილშობილი ადამიანი ხარ, ვენია. შენი კუბანსკაიას დარჩენილი მთელი გრამი დალიე - იმის სადღეგრძელო დალიე, რომ კეთილშობილი ხარ".

და უკან თავგადაგდებულმა დავცალე ჩემი კუბანსკაიას ნარჩენი. და მაშინვე განიბნა წყვდიადი, რომელშიც ვიყავი დანთქმული, და ჩემი სულისა და გონების სიღრმეებიდან ინათა, ირიჟრაჟა, და ყლუპს ყლუპი მოჰყვა.

"ადამიანი მარტოხელა არ უნდა იყოს" - ასეთია ჩემი აზრი. ადამიანმა მთელი თავისი თავი საზოგადოებას უნდა უძღვნას, თუნდაც ამ ძღვენის მიღების სურვილი არ ჰქონდეთ. და თუ ის მაინც მარტოხელაა, მან ვაგონები უნდა დაიაროს. მან ადამიანები უნდა იპოვოს და მათ ასე უნდა უთხრას: "ასეა. მე მარტოხელა ვარ. მე ჩემს თავს გრუქნით უნარჩენოდ (იმიტომ, რომ ნარჩენი ეს-ესაა გამოვცალე. ხა-ხა-ხა!). თქვენ კი თქვენი თავი მე მიძღვენით და, როცა მას მიძღვნით, მითხარით: მაინც საით მივდივართ ჩვენა? მოსკოვიდან პეტუშკიში თუ პეტუშკიდან მოსკოვში?"

"და, ჩემი აზრით, სახელდობრ ასე მოიქცეს ადამიანი?" - ვკითხე ჩემს თავს მარცხნივ თავგადახრილმა.

" - დიახ, სახელდობრ ასე უნდა მოიქცეს, - ვუპასუხე ჩემს თავს უკვე მარჯვნივ თავგადახრილმა. - დალოცვილ მინებზე სულ "..." ხომ არ უნდა ათვალიერო და გამოცანით თავი დაიტანჯო!"

და დავუყევი ვაგონებს. პირველში არავინ იყო, ღია ფანჯარაში წვიმის შხეფები ისხურებოდა, და მორჩა. არც მეორეში იყო ვინმე: იქ წვიმის შხეფებიც კი არ ისხურებოდა...

მესამეში ვიღაც იყო...

## 113-ე კილომეტრი - ომუტიშჩე

... თხემით ტერფამდე შავსამოსლიანი ქალი ფანჯარასთან იდგა, გულგრილად გაჰყურებდა ფანჯრისიქითა წყვდიადს და ტუჩებთან მაქმანიანი ცხვირსახოცი ჰქონდა მიჭერილი.

"ზედგამოჭრილი "უნუგეშო მწუხარების" ასლია, შენი ასლია, ეროფეევ," - მაშინვე გამიელვა ამ აზრმა და ასევე მაშინვე გავიცინე.

ჩუმად, ფეხის წვერებზე, ისე რომ არ დამეფრთხო, მივადექი მას უკნიდან და გავიტრუნე. ქალი ტიროდა...

აგე! ადამიანი განმარტოვდა, რათა ეტირა, მაგრამ ის მარტოხელა იმთავითვე როდია, როცა ადამიანი ტირის, მას, უბრალოდ, არ უნდა, რომ ვინმე მისი ცრემლების თანაზიარი იყოს. და სწორადაც იქცევა, რადგან ამქვეყნად უნუგეშობას რამე აღემატება?.. ო, ახლა რამე ისეთი მათქმევინა, ისეთი, ცრემლები დაიღვაროს ყველა დედის თვალებიდან და ტრაურით დაიფაროს ყველა სასახლე და ქოხი, კიშლაკი და აული!..

მაინც რა ვუთხრა მას?

- კნეინა, - ჩუმად დავუძახე.

- რა გინდა, რა? - ფანჯრისთვის თვალმოუცილებლად გამომეხმიანა კნეინა.

- არაფერი, ზურგიდან პირის გარმონი გიჩანს, აი, ეს მინდა...

- რაღაცას ნუ ბოდავ, უმაწვილო, ის გარმონი კი არა, ცხვირის ფუძეა... ის გირჩევნია, დაჯდე და იფიქრო, ვინმეს ჭკვიანი ეგონები...

"ეს მე, ჩემს დღეში მყოფი ადამიანი, უნდა გავჩუმდე! მე, ვინც გამოცანის ამოსახსნელად ყველა ვაგონი გამოიარა!.. დასანანია, რომ დამავიწყდა თუ რა გამოცანა უნდა ამომეხსნა, მაგრამ ის კი მახსოვს, რომ ძალიან მნიშვნელოვანი რამ იყო... თუმცა, არა უშავს, შემდეგ გავიხსენებ... ქალი ტირის - ეს კი გაცილებით მნიშვნელოვანი რამაა... ო, სამარცხვინონო! ჩემი მიწა ყველაზე საშინელ ჯოჯოხეთად აქციეს და ცრემლებს აიძულებენ, ადამიანებს არ დაენახონ, სიცილი კი გააბაზრონ!.. ო, საზიზღარო არამზადებო! მათ ადამიანებს "მწუხარებისა" და "შიშის" გარდა არაფერი არგუნეს - და ამის შემდეგ მათთან სიცილი გასაჯაროებულია, ცრემლს გამოჩენა კი იკრძალება!.

აი, ახლა რამე ისეთი მათქმევინა, რომ ისინი, ის გარეწრები - ყველანი - დაიწვან და დაიხრუკონ!.."

დავფიქრდი და ვთქვი:

- კნეინა, ა, კნეინა!..

- რა გინდა, არ მეშვები?

- გარმონი აღარა გაქვს, ვერა ვხედავ.

- თუ ასეა, აბა, რას ხედავ?

- მხოლოდ ბუჩქებს ვხედავ. (ის ჩემსკენ შემოუბრუნებლად, ფანჯარას მიჩერებული მპასუხობდა...)

- ვხედავ, რომ შენ თვითონა ხარ ბუჩქი...

- "კარგი, ჰო, ვიყო ბუჩქი". როგორღაც ერთბაშად მოვლბი, მერხზე ჩამოვჯექი და მოვდუნდი. ვერა და ვერ ვიხსენებდი, თუ რისთვის დავიარე ვაგონები, მაგრამ ამ ქალს შევხვდი... მაინც რაა ის "მნიშვნელოვანი"?

- ყური მიგდე, კნეინა!.. შენი კამერდინერი პიოტრი სადაა? წინა აგვისტოს აქეთ არ მინახავს.

- რას ბოდავ?

- ღმერთმანი, მას აქეთ არ მინახავს... სადაა ის, შენი კამერდინერი?

- ის შენიც ისევეა, როგორიც ჩემია! - შემომიღრინა კნეინამ. და უცებ მოწყდა ადგილს და კარისკენ წავიდა - მიდიოდა და კაბით ვაგონის იატაკს გვიდა. კართან გაჩერდა, დანაოჭებული სახე ჩემკენ მოაბრუნა, ცრემლით სავსე თვალები მომაპყრო და მიყვირა:

- მძულხარ, ანდრეი მიხაილოვიჩ, მძულხარ! მძუ-უუ-ლხარ!! და მიიმალა.

"აი, მესმის, - ზეიმით ვუთხარი ჩემს თავს, - მარჯვედ კი მომიჭრა სიტყვა, მარჯვედ!" და თანაც ისე წავიდა, რომ ყველაზე მთავარზე არაფერი უთქვამს!.. ღვთისმშობელო, რაა ეს მთავარი, რა? მოიღე მოწყალება და გამახსენე, გამახსენე!.. ჰო, კამერდინერო!.."

ზანზალაკი დავაჟღრიალე... ერთი საათის შემდეგ ისევ დავაჟღრიალე.

- კა-მერ-დი-ნერ!!

შემოვიდა თხემით ტერფამდე ყვითელსამოსლიანი მსახური, ჩემი კამერდინერი პიოტრი. მე, მთვრალმა, მას როგორღაც ვურჩიე, რომ ყოველთვის, სიკვდილამდე ყვითლები ცმოდა - იმ სულელმა დამიჯერა და დღემდე ყვითლები აცვია.

- იცი, რა, პიოტრ? მე ახლა მეძინა თუ არ მეძინა? როგორ გგონია? მეძინა?

- იმ ვაგონში - კი, გეძინა.

- ამ ვაგონში - არა?

- ამ ვაგონში არა.

- ჩინებული რამაა ეს, პიოტრ... კანდელაბ ́ ბი აანთე, გეთაყვა. მიყვარს კანდელაბრების ნათება,

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუმც რიგიანად არ ვუწყი, რაა ეს. თორემ, უნდა გითხრა, განგაში მეუფლება... მაშასადამე, პიოტრ, შენ თუ გერწმუნები, მე იმ ვაგონში მეძინა და ამ ვაგონში გავიღვიძე, ასეა, არა?

- არ ვიცი. მე თვითონაც მეძინა - აქ, ამ ვაგონში.

- ჰმ, გასაგებია. მაგრამ შენ რატომ არ ადექი და არ გამაღვიძე? რატომ?

- კი, მაგრამ რისთვის უნდა გამეღვიძებინე! ამ ვაგონში შენი გაღვიძება საჭირო არ იყო, რადგან იმ ვაგონში გეძინა. ამ ვაგონში კი რატომ უნდა გამეღვიძებინე, თუკი აქ შენით გაიღვიძე?

- ნუ მაბნევ, პიოტრ, ნუ მაბნევ... მაცალე, დავფიქრდე, ხომ ხედავ, პიოტრ, რომ აზრს ვერა და ვერ ვწვდები. ისე დიადი აზრია ეს აზრი.

- რა აზრზე ლაპარაკობ?

- აი, რა აზრია: რამე დასალევი დამრჩა?

## ომუტიცე - ლეონოვო

იცოდე, ეს უბრალოდ საშუალებაა, გამოცანის ამოხსნის საშუალება. შენ იცი, როცა ბრუარი გადადის გულიდან, ჩნდება შიშები და გონის მერყეობა. ახლა მე რომ დამელია, ასეთი დანაფოტებული და დაფანტული არ ვიქნებოდი... ძალიან მეტყობა, რომ დანაფოტებული ვარ?

- არაფერიც არ გეტყობა. მხოლოდ სიფათი შეგიშუპდა.

- ეგ არაფერი. სიფათი არაფერია.

- და დასალევიც არაფერი გაქვთ, - თქვა პიოტრმა, წამოდგა და კანდელაბრები აანთო.

შევკრთი. "კარგია, რო აანთე კანდელაბრები, კარგია, თორე იცი? - ცოტათი ვშფოთავ. ჩვენ მივდივართ და მივდივართ, მთელი ღამეა მივდივართ, და ჩვენთან ჩვენს გარდა, არავინაა".

- შენი კნეინა სადღაა, პიოტრ?

- ის უკვე დიდი ხანია ჩავიდა.

- სად ჩავიდა?

- ხრაპუნოვოში ჩავიდა. ხრაპუნოვოში პეტუშკიდან მოდიოდა. ორეხოვო-ზუევოში ამოვიდა, ხრაპუნოვოში ჩავიდა.

- რა ხრაპუნოვოში, რის ხრაპუნოვოში! აფრინე, პიოტრ? ნუ მაბნევ მე შენ, ნუ მაბნევ... მდა... მთავარი, უმთავრესი აზრი... თავში რატომღაც ანტონ ჩეხოვი მიტრიალებს. ჰო, და ფრიდრიხ შილერი. ფრიდრიხ შილერი და ანტონ ჩეხოვი, და რატომ - აზრზე არა ვარ, დიახ, დიახ... ახლა ეს უფრო გასაგებია: ფრიდრიხ შილერი, როცა ტრაგედიის დასაწერად ჯდებოდა, ფეხებს ყოველთვის შამპანურში ყრიდა. თუმცა, არა, არა. ამას საიდუმლო მრჩეველი გოეთე აკეთებდა, სახლში ფეხის წვერებზე და შლაფროკიანი დადიოდა. მე კი სახლშიც უშლაფროკოდა ვარ, ქუჩაშიც ჩუსტები მაცვია... აბა, შილერი აქ რა შუაშია? აი, რა შუაშია: როცა მას არყის სმა უხდებოდა, ფეხებს შამპანურში ყრიდა. ყრიდა და სვამდა. კარგია! ანტონ ჩეხოვმა კი სიკვდილის წინ თქვა: "დალევა მინდა". და მოკვდა...

ჩემს უკან მდგარი პიოტრი თვალს არ მაცილებდა. და ჯერ ისევ ცოტა რამღა ესმოდა.

- თვალი მომაცილე, ბემურაზო, ნუ მიყურებ. მე აზრებს ვაგროვებ, შენა კიდე მიყურებ. აი, ჰეგელიც იყო, ეს კარგად მახსოვს. ის ამბობდა: "არ არსებობს სხვაობა, გარდა განსხვავებულ ხარისხთა და სხვაობის არარსებობას შორის ხარისხის სხვაობისა". ანუ, ამას კარგ ენაზე თუ გარდმოვთქვამთ: "ახლა ვიღა არა სვამს?" რამე დასალევი გვაქვს, პიოტრ?

- არაფერი გვაქვს. ყველაფერი შეისვა.

- და მთელ მატარებელში არავინაა?

- არავინაა.

- მდა...

ისევ დაფიქრდა. და ეს უცნაური ფიქრი იყო. ის ეყრდნობოდა რაღაც ისეთს, რაც თავის მხრივ რაღაცას ეყრდნობოდა. და ეს "რაღაცაც" უცნაური რამ იყო. და ეს ფიქრი მძიმე, მძიმე ფიქრი იყო...

რას ვაკეთებდი მე იმ წამებში - ვიძინებდი თუ ვიღვიძებდი? არ ვიცი, საიდან უნდა მცოდნოდა? არის ყოფიერება, ყოფა, მაგრამ რა დავარქვათ მას - ის არც ძილია და არც სიფხიზლე". ასე 12 ან 35 წუთით წავთვლიმე.

და, როცა ცნობიერება დამიბრუნდა, ვაგონში აღარავინ იყო, პიოტრიც კი გამქრალიყო. მატარებელი კი მაინც მიდიოდა და მიდიოდა იმ წვიმასა და სიშავეში. უცნაური ამბავი იყო ყველა ვაგონში კარების ჯახუნი: უცნაური იმიტომ, რომ არცერთ ვაგონში არცერთი სულიერის ჭაჭანება არ იყო...

ყინულიან დაორთქლილ ჭურჭელში გვამი რომ წევს, ისე ვიწექი, და გულსქვემოთ შიში სულ უფრო და უფრო ძლიერდებოდა...

- კა-მერ-დი-ნერ!

კარში პიოტრის ლურჯი და ბოროტი სახე დაჩნდა. "მოიწი აქეთ, პიოტრ, მოიწი, შენც მთლად სველი ხარ - რატომ? კარი ახლა შენ მიაჯახუნე, არა?"

- არაფერი არ მიმიჯახუნებია. მე მეძინა.

- აბა, ვინ მიაჯახუნა?

პიოტრი თვალების დაუხამხამებლად მიყურებდა.

- არა უშავს, ეგ არაფერი. გულს ქვემოთ თუ ტკივილი იწყება, მაშასადამე, ის უნდა გააყრუო, მაგრამ მის გასაყუჩებლად უნდა დალიო, ჩვენა კიდე გვაქვს რამე დასალევი?

- არაფერი გვაქვს. ყველაფერი შეისვა.

- და მთელ მატარებელში არავინაა?

- არავინაა.

- ტყუი, პიოტრ, შენ მე სულ მატყუებ!!! თუ არავინაა, მაშ ვინ ახმაურებს კარებსა და ფანჯრებს? ჰა? შენ ეს იცი?.. გესმის?.. შენ, ალბათ, დასალევიცა გაქვს, შენ კიდე სუ ტყუილებს მეუბნები!..

პიოტრი ისევ ისე თვალების დაუხამხამებლად და გულისწყრომით მიყურებდა. სიფათზე ვატყობდი, რომ მივუხვდი, გავიგე, ვინც იყო და რაც იყო, და ახლა მას ჩემი ეშინოდა. დიახ, დიახ. კანდელაბრი ჩააქრო და გაუყვა ვაგონებს და აქრო და აქრო შუქი. "მას რცხვენია, რცხვენია!" - გავიფიქრე მე. მაგრამ ის უკვე გადახტა ფანჯრიდან.

- მობრუნდი, მობრუნდი, პიოტრ! - ისე ვიყვირე, რომ ჩემი ხმა ვერ ვიცანი. - მობრუნდი.

- არამზადა! - მიპასუხა მან ფანჯრის იქიდან.

და უცებ ეს ისევ შემოფრთხიალდა ვაგონში, მოფრინდა ჩემთან, თმები დამაგლიჯა ჯერ წინ, მერე უკან, შემდეგ ისევ წინ დამაგლიჯა და ამას უსაშველო გაფთრებით აკეთებდა...

- რა გჭირს, პიოტრ? რა გჭირს-მეთქი?!..

- არაფერიც არ მჭირს! რა სჭირთ იმათ, ყველას?" შევტოკდი და მოვიკუნჭე. ჩემთან ერთად შეტოკდნენ და მოიკუნჭნენ ვაგონებიც. თურმე ისინი, კარგა ხანია, იკუნჭებოდნენ და კანკალებდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ლეონოვო - პეტუშკი

... ვაგონების კარები ატკაცუნდნენ, შემდეგ აგუგუნდნენ, სულ უფრო და უფრო ხმამაღლა, მკვეთრად აგუგუნდნენ. და აი, ჩემს ვაგონში შემოფრინდა და უველა ვაგონი გაიფრინა შიშისგან სახეშეცისფერებულმა ტრაქტორისტმა ევტიუშკინმა, ათიოდე წამის შემდეგ კი შემოიჭრნენ ერინიის ურდოები და კვალში მიჰყვნენ მას. დაირებისა და წინწილების ხმები ცას წვდებოდა...

თმა ყალყზე დამიდგა. შეშლილივით წამოვხტი და ფეხები დავაბაკუნე:

"შეჩერდით, გოგოებო! ამქვეყნად არ არიან დამნაშავენი!.." ისინი კი, უველანი, მირბოდნენ.

და, როცა უკანასკნელი მათგანი ჩემს გვერდით აღმოჩნდა, ავფეთქდი და უკნიდან ვტაცე ხელი. მას, სირბილისგან ქანცგაცლილს, სუნთქვა უჭირდა.

- საით, საით გარბიხართ თქვენ უველანი, საით?..

- შენ რა გინდა? შეგვეშვი! გაგვიშვი-ი-ი!..

- საით? და ჩვენ უველანი საით მივდივართ?

- ეს რა შენი საქმეა, ერთი?!

ის უცებ ჩემკენ მობრუნდა, თავზე მომხვია ხელები და შუბლზე მაკოცა - უველაფერი ეს ისე მოულოდნელად მოხდა, რომ აღვშფოთდი, ჩამოვჯექი და მჯესუმზირის კნატუნს შევუდექი. ვიდრე მჯესუმზირას ვაკნატუნებდი, ის სწრაფად გახტა ჩემგან ცოტა მანძილზე, შემომხედა, დაბრუნდა და მარცხენა ლოყაზე სილა გამაწნა. გამაწნა, ჭერისკენ აფრინდა და დაქალების დასაწევად გავარდა. მე მის კვალს დამნაშავურად უელწაგრძელებული მივყევი.

ჩამავალ მზეს ცეცხლი ეკიდა, შიშისგან ცხენები იძაგრებოდნენ. და სადაა ის ბედნიერება, რომელზეც გაზეთებში წერენ? მე მივრბოდი და მივრბოდი, იმ გრიგალსა და წკვარამში მივრბოდი, თან გზა-გზა კარებს ანჯამებს ვაგლეჯდი. ვიცოდი, რომ მატარებელი "მოსკოვი-პეტუშკი" ფერდობს მიუყვებოდა. ვაგონები მაღლა იწევდნენ და მერე ისევ რეტიანივით ძირს ეშვებოდნენ... და მაშინ მე ავბორგდი და ვიყვირე:

- ო-ო-ო-ო-ო! შ-შე-ჩე-რდი! ა-ა-ა-ა!

ვიყვირე და გავოგნდი: ერინიის გუნდი უკან მორბოდა, პირველი ვაგონის მხრიდან ჯოგური პანიკით ხელდარეული პირდაპირ ჩემკენ მოიწევდა. მათ გამძვინვარებული ევტიუშკინი მოსდევდა. მთელი ეს ზვავი მეტაკა და ქვეშ მომიქცია... ხოლო წინწილები განაგრძობდნენ ჟღარუნს, დაირები კი გრგვინავდნენ. და ვარსკვლავები სოფლსაბჭოს პარმაღზე ცვიოდნენ, და ხარხარებდა სულამიჩი.

## პეტუშკი. ბაქანი

შემდეგ კი, რასაკვირველია, ერთი კორიანტელი დადგა. თქვენ თუ იტყვით, ეს ჯანღი იყოო, დაგეთანხმებით - კი, ჯანღს ჰგავდა. და თუ თქვენ იტყვით, არა, ის ჯანღი კი არა, ალია და ყინული იყოო, - მე გეტყოდით, კი, სწორი ხართ-მეთქი, მონაცვლეობით ხან ალი იყო და ხან ყინულიო, ანუ ჯერ სისხლი ცივდება, ცივდება, და, როგორც კი გაიყინება, მაშინვე იწყებს დუღილს და, ადუღებული, ისევ იყინება.

"ეს ციებ-ცხელებაა, - გავიფიქრე. - უველგან ეს ცხელი ბურუსი ციებ-ცხელებისგანაა, იმიტომ, რომ მე მაჟრჟოლებს, ირგვლივ კი სუ ჯანღია". ჯანღიდან კი გამოდის ვიღაც ძალიან ნაცნობი, არა აქილევსი, მაგრამ ძალიან ნაცნობი ვიღაც. ო! ახლა ვიცანი: ეს პონტოს მეფე მითრიდატეა, სუ ტვინტლითაა გათხვრილი, ხელში კი დანა უჭირავს...

- მითრიდატე, შენა ხარ? - ისე ცუდად ვიყავი, რომ ძლივს გასაგონად ვლაპარაკობდი. - შენა ხარ, მითრიდატე, შენა ხარ?

- მე ვარ, - მიპასუხა პონტოს მეფე მითრიდატემ.

- სუმთლად გათხვრილი რატომა ხარ?

- მე სუ ესე მემართება. მთვარის სისავსისას წვინტლი მდის...

- სხვა დღეებში არ გდის?

- ზოგჯერ მდის. მაგრამ ისე არა, როგორც მთვარის სისავსისას.

- და შენა, რა, იმას სულ არ იწმენდ? - თითქმის ჩურჩულზე გადავედი. - არ იწმენდ?

- აბა, როგორ გითხრა? ხდება, რომ ვიწმენდ, მაგრამ მას მთვარის სისავსის დროს განა მოიწმენდ? აბა, ერთი სცადე, უარესად მოითხვრები. უველას ხომ თავისი გემოვნება აქვს, - ერთს წვინტლის ჩამოწურწურება უყვარს, მეორეს - მოწმენდა, მესამეს - მისით სახის გათხუპნვა. მთვარის სისავსისას კი...

გავაწყვეტინე:

- ლამაზად ლაპარაკობ, მითრიდატე, მაგრამ ეგ დანა რისთვის გიჭირავს?

- როგორ თუ რისთვის?.. შენ უნდა დაგჩრა - აი, რისთვის! ეგეც მეკითხება: რისთვის გიჭირავსო?.. დასაჭრელად მიჭირავს, რასაკვირველია...

და ერთბაშად როგორ გადასხვაფერდა ის! აქამდე ლაპარაკით უწყინრად ლაპარაკობდა, ახლა კი კბილები გააღრჭიალა, აიბურძგნა, გაშავდა - და ის წვინტლები ხომ გაუქრა და გაუქრა! და თანაც, უველაფერთან ერთად, გადაიხარხარა. შემდეგ ისევ გააღრჭიალა კბილები და ისევ გადაიხარხარა!

ისევ ჟრჟოლამ ამიტანა. "რას ამბობ, მითრიდატე, კარგი, ერთი! - ვჩურჩულებდი თუ ვყვიროდი, არ ვიცი. - იქით გასწი დანა, იქით გასწი, რად გინდა...?" მას კი აღარაფერი ესმოდა, თითქოს სხეულში ათასი გაშავებული ეშმაკი ჩაუბუდდაო, იქნევდა და იქნევდა დანას... "ურჯუკო!" და მე მარცხენა მკლავი გამეჩრა და ჩუმად ავკვნესდი, იმიტომ, რომ მისი დანისგან ხელით მაინც თავის დაცვის ძალა არ მქონდა... "თავი დამანებე, მითრიდატე, თავი დამანებე..."

მაგრამ ამ დროს ჯერ მარჯვენა, მერე მარცხენა და ისევ მარჯვენა მკლავი გამეჩრა, - მე მხოლოდ უმწეოდ ზმუილს ვასწრებდი, - და ბაქანზე ტკივილისგან მოვიკუნჩე, ძალიან მოვიკუნჩე, გავილვიძე, კრუნჩხვას ვუყვდი ატანილი. ირგვლივ მხოლოდ ქარი, წყვდიადი და აუტანელი სიცივე იყო. "რა მემართება და სადა ვარ? რატომ ყინულავს? ღმერთო..."

და ისევ დავიძინე. და ისევ ის დაიწყო, ჟრჟოლა და ციებ-ცხელება, და იქიდან, შორიდან, ჯანღიდან, მუხინას ქანდაკებიდან გარდმოვიდა ის ორი ახმახი - ურთიანი მუშაკაცი და ნამგლიანი გლეხი ქალი, ძალიან ახლოს მომადგნენ და ჩაიცინეს. და მუშაკაცმა ურო მდღურთა თავში, გლეხმა ქალმა ნამგალი მკრა კვ...ხებში, ვიყვირე და ისევ გამეღვიძა, ამჯერად კრუნჩხვაკრუნჩხვით, იმიტომ, რომ ახლა უველაფერი მიძაგძაგებდა, - სახეც, ტანსაცმელიც, სულიც და აზრებიც.

ო, ასეთო ტკივილო! ო, ასეთო აუტანელო სიცივევ! ო, გაუსაძლისობავ! უოველი პარასკევი ჩემთვის დღევანდელი პარასკევისთანა იქნება, ერთ-ერთ ხუთშა-

ბათს თავს ჩამოვიხრჩობ! ასეთ კრუნჩხვებს ველოდი მე შენგან, პეტუშკი? ვიდრე შენამდე მოვაღწევდი, ვინ დახოცა შენი ჩიტუნიები და ვინ გაქელა შენი ჟასმინე-ბი?.. ღვთისმშობელო, პეტრუშკიში ვარ...

"არაფერია, არაფერი, ეროფეევ... ტალიფა კუმი, როგორც მაცხოვარმა ბრძანა, ანუ ადექი და წადი. ვი-ცი, ვიცი, რომ შენ განადგურებული, გასრესილი ხარ, განადგურებულია, გასრესილია მთელი შენი სხეული და სული, და ბაქანზე სისველე და სიცარიელეა, და შენ არავინ დაგხვდა, და არასოდეს არავინ დაგხვდება. მა-ინც, ადექი და წადი. სცადე... ისე, შენი პატარა ჩემო-დანი სადაა? ღმერთო, სადაა შენი პატარა ჩემოდანი, მოსაკითხებიანი, ძღვნებიანი პატარა ჩემოდანი?.. ორი ჭიქა თხილი ბიჭისთვის, კამფეტი "ვასილიოკი" და ცა-რიელი ბოთლები... სადაა პატარა ჩემოდანი? ვინ და რატომ მოიპარა ის - მასში ხომ მოსაკითხები, ძღვნები იდო!.. ისე კი ნახე, ნახე, ფული, ცოტა ფული მაინც გაქვს?.. ო, ეფემერულობავ! ო, ამაოებავ! ო, უსაძაგლე-სო, უსამარცხვინოესო დროვ ჩემი ხალხის ცხოვრებაში - გათენებამდე მაღაზიების დაკეტვის დროვ!..

არა უშავს, არა უშავს, ეროფეევ... ტალიფა კუმი, როგორც ბრძანა შენმა დედოფალმა, როცა კუბოში იწექი, ანუ ადექი, პალტო გაიფერთხე, ფეხსაცმელი გაიწმინდე, ძალა მოიკრიბე და წადი. სცადე, ორი ნაბი-ჯი გადადგა, მერე კი უფრო იოლად ივლი. რაც მეტს გა-ივლი, მით უფრო მეტ შვებას იგრძნობ. თვითონ შენც ხომ ეუბნებოდი ავადმყოფ ბიჭს: "ერთი - ორი - ტუფ-ლი ჩა-ი-ცვი, როგორ არა გრცხვენია, რო გძინავს..." უმთავრესი ისაა, რო რელსებს გაექცე, აქ სუ მატარებ-ლები დადიან, მოსკოვიდან პეტუშკიმდე, პეტუშკიდან მოსკოვამდე დაჯლიგინობენ. რელსებს მოშორდი, ახ-ლა შენ ყველაფერს გაიგებ, იმასაც, რატომ არაა ძე-ხორციელის ჭაჭანება, იმასაც, რატომ არ დაგხვდა ის, და ყველაფერს გაიგებ... წადი, ვენიჩკა, წადი..."

## პეტუშკი, ვაგზლის მოედანი

"მარცხნივ თუ გინდა წასვლა, ვენიჩკა, - მარცხნივ წადი. მარჯვნივ თუ გინდა წასვლა, მარჯვნივ წადი. მა-ინც არსადა გაქვს წასასვლელი. ასე რომ, წინ, ძალიან შორს წასვლა აჯობებს..."

მე ვიღაც მეუბნებოდა ოდესღაც, სიკვდილი სუ იო-ლი რამაა, ამისთვის, რაც შეიძლება მაგრად, მაგრად ორმოცჯერ უნდა ჩაისუნთქო და გულის სიღრმიდან ამ-დენჯერვე უნდა ამოისუნთქო - და, მორჩა, სული გაგ-ძვრებაო. იქნება მეცადა, ა?

ო, დაიცა, დაიცა!.. თუმცა, ჯერ ის ხომ არ გამეგო, რა დროა?.. არადა, როგორ უნდა გაიგო, როცა მოედანზე ძეხორციელის ჭაჭანება არაა და, თან, ასე გათოშილმა და ნაღვლიანმა, პირი როგორ უნდა გააღო? დიახ, გა-თოშილმა და ნაღვლიანმა? ო, სიმუნჯევ!..

და თუ მე როდესმე მოვკვდები - მე კი ძალიან ჩქარა მოვკვდები, - ისე მოვკვდები, რომ ამ სამყაროს არ ვა-ღიარებ, ახლოდანაც და შორიდანაც, გარედანაც და შიგნითაც ჩავწვდები მას, მაგრამ არ ვაღიარებ, - მოვ-კვდები და ის მკითხავს: "კარგად თუ იყავი შენ იქ? თუ ცუდად იყავი?" მე კრინტს არ დავძრავ, თვალებს დავ-ხრი და ხმას არ ამოვიღებ, და ეს სიმუნჯე ნაცნობია ყვე-ლასთვის, ვინც იცის, მრავალდღიანი და მძიმე ნასმუ-რევობის შედეგი რაცაა. ადამიანის სიცოცხლე ხომ სუ-ლის გამრუდებაა? და სულის დაბნელებაც. ჩვენ, ყვე-ლანი, თითქოს მთვრალები ვართ, ოღონდ თითოეული ჩვენგანი თავისებურად ვართ მთვრალები - ერთმა მე-ტი დალია, მეორემ - ნაკლები. და ის ყველაზე სხვადას-ხვაგვარად ზემოქმედებს: ერთი შესციცინებს ამ სამყა-როს, მეორე კი ტირის ამ სამყაროს გულზე თავმიდე-ბული. მე, მე როგორ მოვიქცე? ერთმა უკვე აღებინა და კარგადაა, მეორე კი ახლა იწყებს ღებინებას, ჩემზე რა შემიძლია, ვთქვა? მე ბევრი რამ გადავიტანე, მაგრამ არაფერი მემართება, ერთხელაც კი არ გამიცინია გუ-ლიანად, და ერთხელაც კი არ მიღებინებია. მე იმდენ რამეს მოვუსინჯე კბილი, რომ სათვალავი დამეკარგა და, რა რის შემდეგ იყო არ ვიცი. მე ამქვეყნად ყველა სხვაზე უფრო ფხიზელი ჯეელი ვარ. მე სუ სხვანაირი ვარ. "რატომ დუმხარ, რატომ?" - მკითხავს მთლიანად ლურჯი ელვებით გარემოცული უფალი. აბა, რა შემიძ-ლია, ვუპასუხო მას? ჰოდა, ასე მოვიქცევი: კრინტს არ დავძრავ, კრინტს არ დავძრავ...

იქნებ, მაინც ამოვიღო ხმა? გირჩევნია იარო, ქარის-გან სახე დაიფარო და ნელ-ნელა იარო... შენ ოდესღაც ზეციურ სამოთხეში იყავი, დრო წინა პარასკევს გაგე-გო, ახლა უკვე არა ხარ ზეციურ სამოთხეში და დრო რაში გჭირდება? გრძელწამწამებიანი დედოფალი პირქვედამხობილი არ დაგხვედრია ბაქანზე: ღვთაებამ ზურგი შემოგაქცია, - ჰოდა, დრო რაში გჭირდება? "ქა-ლი კი არა, ბლამანჟე", როგორც შენ მას ხუმრობით ეძახდი, ბაქანზე არ დაგხვდა. შენი სულის ზიარება, დაბლობის შროშანი, არ მოვიდა და არ დაგხვდა. ამის შემდეგ დროის გაგებას შენთვის რა მნიშვნელობა აქვს, ვენიჩკა?..

რაღა დამრჩენია? დილით - კვნესა, საღამოს - ტი-რილი, ღამე - კბილების ღრჭიალი... და მსოფლიოში ვის, ვის რა ესაქმება შენს გულთან? ვის-მეთქი? ათ, შე-დი პეტუშკის ნებისმიერ სახლში, ნებისმიერ ზღურ-ბლთან იკითხე: "თქვენ ჩემს გულთან რა გესაქმებათ? ღმერთო ჩემო..."

კუთხეში შევუხვიე და პირველივე კარზე დავაკა-კუნე.

## პეტუშკი, სადავოე კოლცო

დავაკაკუნე და სიცივისგან აკანკალებული ველო-დებოდი, როდის გამიღებდნენ...

"პეტუშკიში უცნაურად მაღალი სახლები ააშე-ნეს!.. თუმცა, ეს მძიმე და გადაბმული, მრავალდღიანი სმის შემდეგ, ყოველთვის ასეა: ადამიანები უმსგავსოდ გაბრაზებულად, ქუჩები უზომოდ ფართოდ, სახლები კი უცნაურად დიდებად გეჩვენებიან...

ერთხელაც, ოღონდ ახლა უფრო მაგრად დავაკაკუ-ნე. "ნუთუ ასე ძნელია ადამიანისთვის კარის გაღება და გასათბობად მისი სამიოდე წუთით სახლში შეშვება? მე ეს არ მესმის... იმათ, სერიოზულებს, ეს ესმით, მე კი, ჭკუამჩატე, ამას ვერასოდეს გავიგებ... მენე, ტეკელ, ფარეს - ანუ "შენ სასწორზე აგწონეს და მსუბუქი წონი-სა "ტეკელ" აღმოჩნდი"... კარგი, ჰო, ეგრე იყოს...

მაგრამ იქ არის სასწორი თუ არ არის - ეგ სულერ-თია, იმ სასწორზე ოხვრა და ცრემლი გადასწონიან გა-ანგარიშებასა და განზრახვას. მე ეს იმაზე უფრო დაბე-ჯითებით ვიცი, ვიდრე თქვენ რამე იცით. მე დიდხანს ვიცოცხლე, ბევრი დავლიე და ბევრი რამ ავწონ-დავ-წონე და ვიცი, რასაც ვამბობ. ყველა ჩვენი გზის მანა-თობელი ვარსკვლავი დასალიერისკენ მიჭქრის, და თუ

არ მიჭქრის, ძლივს ბჟუტავს, მე თქვენ არ გიცნობთ, ადამიანებო, მე თქვენ ცუდად გიცნობთ, მე თქვენ იშვიათად გაქცევდით ყურადღებას, მაგრამ მე თქვენთან საქმე მაქვს: მაინტერესებს, გავიგო, სადაა თქვენი სული, რათა დანამდვილებით ვიცოდე, ისევ გაკაშკაშდება თუ არა ბეთლემის ვარსკვლავი, თუ ისევ ბჟუტავს დაიწყებს - ამის ცოდნა კი უმთავრესი რამაა. იმიტომ, რომ ყველა სხვა ვარსკვლავი დასალიერისკენ მიექანება, და თუ არ მიექანება, ოდნავ ბჟუტავს, და თუ კაშკაშებს კიდეც, ორ ნაფურთხადაც არ ღირს.

არის იქ სასწორი თუ არ არის - იქ ჩვენ, მსუბუქწონოსნები, გადავწონით და ვძლევთ. მე უფრო მტკიცედ მწამს ეს, ვიდრე თქვენ რამე გჯერათ. მწამს და ვიცი, და ამას მსოფლიოს ვუმოწმებ. მაგრამ ასე უცნაურად რატომ გააფართოვეს ქუჩები პეტუშკიში?.."

კარს მოვშორდი და მძიმე მზერა გადამქონდა სახლიდან სახლზე, სადარბაზოდან სადარბაზოზე. მე სულ მივდიოდი და თვალმიშტერებით ვაკვირდებოდი ყველა სახლს, მაგრამ მათი საფუძვლიანად დათვალიერება არ შემეძლო: სიცივისა თუ კიდევ რაღაცის გამო თვალები ცრემლით მევსებოდა...

"ნუ ტირი, ეროფეევ, ნუ ტირი... აბა, რად ტირი? და რატომ თრთი ასე? სიცივისგან თუ კიდევ რაღაცისგან?.. გეყოფა..."

ერთი ოცი ყლუპი კუბანსკაია მაინც რომ მქონოდა! ისინი მოუნახავდნენ გულს გასაღებს, გული კი შესძლებდა ჩემს იმაში დარწმუნებას, რომ პეტუშკიში ვარ! მაგრამ კუბანსკაია არ მქონდა, მარჯვნივ მოსახვევში შევუხვიე, ისევ ავთრთოლდი და ავტირდი.

და ამ დროს დაიწყო ის, ყველაზე საშინელი, სიზმარში ნანახი ამბავი: სწორედ ამ მოსახვევში ჩემკენ მოდიოდნენ ოთხნი... ისინი მაშინვე ვიცანი, და არ დაგიწყებთ იმის ახსნას, თუ ვინ იყვნენ ის ოთხნი... ახლა უფრო მეტად ავძაგძაგდი და ვიკრუნჩხებოდი, ვიკრუნჩხებოდი!..

ისინი კი ახლოს მოვიდნენ და შუაში მომიქციეს. როგორ აგიხსნათ, რანაირი სიფათები ჰქონდათ მათ? არა, ყაჩაღური სიფათები არ ჰქონდათ, სწორედ რომ პირიქით, რაღაც კლასიკურის იერი დაჰკრავდათ, მაგრამ ოთხივეს რანაირი თვალები ჰქონდა, იცით? პეტუშკის ვაგზლის ტუალეტში როდესმე მჯდარხართ? გახსოვთ თუ არა იქ, დიდ სიღრმეში, მრგვალი ნახვრეტების ქვეშ ის წაბლისფერი წუმპე როგორ თქაფუნებს და ბრწყინავს? - აი, ისეთი თვალები ჰქონდა ოთხივეს. მეოთხე კი ჰგავდა... თუმცა, მერე გეტყვით, ვისაც ჰგავდა.

- მაშ ასე, გაები, ჩიტო, მახეში, - თქვა ერთმა.

- ეს როგორ... გავები? - ნასვამობისა და ურჟოლის გამო ხმა ძალიან მიკანკალებდა. მათ ჩათვალეს, რომ ეს შიშის გამო მჭირდა.

- ჰოდა, გაები! ამიერიდან ვერსად წახვალ.

- კი, მაგრამ რატომ?

- რატომ და იმიტომ.

- მომისმინეთ, - ხმა მიწყდებოდა, რადგან თრთოდა ჩემი ყოველი ნერვი, და არა მხოლოდ ხმა, ღამე არავის შეუძლია, დარწმუნებული იყოს თავის თავში, ანუ მე ცივ ღამეს ვგულისხმობ. უფრო სწორი იქნება, ასე თუ ვიტყვით: მოციქულმა მამლის ყივილამდე სამგზის უღალატა. ვიცი, რატომაც უღალატა, - იმიტომ, რომ სიცივისგან ძაგძაგებდა. ასე იყო. ის ჯერ ისევ თბებოდა კოცონთან, იმათთან ერთად თბებოდა. მე კი კოცონი არ მინთია და მთელ კვირას ვსვამდი გადაბმულად. და თუ ახლა გამომცდიდნენ, მას შვიდჯერ სამოცდაათგზის ვუღალატებდი, მეტჯერაც ვუღალატებდი...

- მომისმინეთ, - ვეუბნებოდი მათ, როგორც შემეძლო, - მე გამიშვით... მე რა ვარ თქვენთვის?.. მე, უბრალოდ, ვერ მივაღწიე გოგომდე... მოვდიოდი და ვერ მივაღწიე... უბრალოდ, ჩამეძინა და, ვიდრე მეძინა, პატარა ჩემოდანი მომპარეს... შიგ სულ უბრალო რამეები ეყარა, მაგრამ მაინც გულსატკენია... "ვასილიოკ" - ღიღილო, რა...

- რა ღიღილო? - ღვარძლიანად მკითხა ერთმა.

- რა და კამფეტები, "ვასილიოკი" ჰქვია, და კიდევ ორასი თხილი, ბალღისთვის მიმქონდა ისინი, და მას იმის გამო, რომ ასო კარგად იცის, შევპირდი, რომ... მაგრამ ეგ სისულელეა... აი, მინდა გათენებას დაველოდო და ისევ გავემგზავრები... მართალია, უფულოდ, უძღვენოდ, მაგრამ ისინი მიმიღებენ და არც არაფერს მეტყვიან... პირიქით.

ოთხივე ჯიქურ მიყურებდა და, ალბათ, ოთხივე ფიქრობდა: "ეს ნაძირალა როგორი მშიშარა და ელემენტარულია!" სად, რომელ გაზეთებში ვნახე ეს სიფათები?..

- ისევ პეტუშკიში მინდა გამგზავრება...

- შენ არავითარ პეტუშკიში არ გაემგზავრები!

- კარგი, ეგრე იყოს, კურსკის ვაგზალში მინდა ყოფნა...

- ვერავითარ ვაგზალს ვერ ეღირსები!

- კი, მაგრამ რატომ?

- რატომ და იმიტომ.

ერთმა ხელი მოიქნია და ლოყაზე მხია, მეორემ მუშტი სახეში გამარტყა, სხვებიც ჩემკენ მოიწევდნენ, - არაფერი მესმოდა. მაინც შევძელი ფეხზე დგომა და მათგან ჩუმად, ჩუმად, ჩუმად ვიხევდი, ეგენი კი - ოთხივენი - ჩუმად მიახლოვდებოდნენ.

"გაიქეცი, ვენიჩკა, გაიქეცი, სულერთია, საით გაიქცევი! კურსკის ვაგზლისკენ გაიქეცი! მარცხნივ ან მარჯვნივ - მაინც იქ მოხვდები! გაიქეცი, ვენიჩკა, გაიქეცი!.."

თავზე ვიტაცე ხელები და გავიქეცი. ისინი გამომეკიდნენ...

## პეტუშკი. კრემლი, მინინისა და პოჟარსკის ძეგლი

"და მაინც, ეს, იქნებ, პეტუშკია?.. იქნებ, "მიშველეთ!", ვიყვირო; შესაძლოა, ვინმემ გაიგონოს? რამ გააუკაცრიელა აქაურობა? და ფარნებიც ფანტასტიკურად ანათებენ, თვალის დაუხამხამებლად ანთიან. იქნებ, მართლა პეტუშკია? ა, ის სახლი, რომლისკენაც ახლა მივრბივარ, რაისოცუზრუნველყოფა, მის უკან კი ჯანღი და წყვდიადია. პეტუშკის რაისოცუზრუნველყოფა, მის უკან კი წყვდიადი უკუნითი უკუნისამდე და გარდაცვლილთა სულების საუფლო. ო, არა, არა!.."

ეს პეტუშკი არაა, არა! ჩემს თვალწინ კრემლი ბრწყინავდა მთელი მისი ბრწყინვალებით, და თუმცა უკნიდან ჩემი მდევრების ფეხების თქარათქური მესმოდა, მაგრამ მაინც მოვასწარი გაფიქრება: "შეხედე! რამდენჯერ გადავსერე მოსკოვი სიგრძე-სიგანეზე, გონს მყოფმა თუ გონდაკარგულმა, რამდენჯერ გადავსერე, მაგრამ კრემლი ერთხელაც არ მინახავს, კრემლის ძებნისას კი ყოველთვის კურსკის ვაგზალში ვხვდებოდი. და, აი, ახლა, მაშინ ვნახე, როცა [illegible]უნად ყველაფერზე მეტად კურსკის ვაგზალი მჭირდე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოდა!.."

გამოუცნობია, უფალო, ნება შენი...

თქარათქური ახლოვდებოდა და ახლოვდებოდა - და მე უკვე არაფერი შემეძლო. მივბორძიკდი კრემლის კედელთან - და ჩავიკეცე. "ვინ არიან ესენი და რა დავუშავე მათ?" - ჩემი თავისთვის ეს არ მიკითხავს, მე მთლად გავითოშე და შიშისგან გავითანგე. ახლა ჩემთვის ყველაფერი სულერთი იყო, და ისიც სულერთია ისინი მე შემნიშნავენ თუ არ შემნიშნავენ. "მე არ მჭირდება ძაგძაგი, მე მჭირდება სიმშვიდე, აი, რაა ჩემი სურვილი. მომეც ამის ძალა, უფალო..."

ისინი ოთხი მხრიდან თითო-თითოდ მიახლოვდებოდნენ. საშინელი ქშინვა-ქშინვით მომიქციეს შუაში. კარგია, რომ ფეხზე წამოდგომა მოვასწარი - ისინი მაშინვე მომკლავდნენ...

- შენ გინდოდა, რომ ჩვენ, ჩვენ გაგვქცეოდი? - დაისისინა ერთმა, თმაში მწვდა და, რაც ძალია და ღონე ჰქონდა, თავი კედელზე მახლევინა. მომეჩვენა, რომ ტკივილისგან დავიკუწე, სახიდან და საყელოდან სისხლი წურწურით ჩამომდიოდა... თითქმის წავიქეცი, მაგრამ ფეხზე დგომა შევძელი... დაიწყო და როგორი ცემა დაიწყო!

ღმერთო! მათ გავუსხლტდი და ქვევით, მოედნისკენ გავიქეცი. "გაიქეცი, ვენიჩკა, თუ შესძლებ, გაიქეცი, შენ გაიქცევი, ისინი სულ ვერ დარბიან, არ შეუძლიათ!" ორ წამში ძეგლთან შევჩერდი, წარბებიდან სისხლი ჩამოვიწმინდე, რათა უკეთ დამენახა ირგვლივ ყველაფერი - ჯერ მინინს ავხედე, შემდეგ პოჟარსკის, მერე ისევ მინინს - საით, საით გავიქცე? კურსკის ვაგზალი საითაა და საით გავიქცე? ფიქრის დრო არ იყო, იმ მხრისკენ გავქანდი, საითაც თავად დმიტრი პოჟარსკი იყურებოდა...

## მოსკოვ – პეტუშკი. უცნობი სადარბაზო

და მაინც, სულ უკანასკნელ წამამდე იმედი მქონდა, რომ მათ გადავურჩებოდი. და, როცა უცნობ სადარბაზოში შევვარდი და სულ ბოლო მოედნამდე ავფოფხდი და ისევ ჩავიკეცე - მაინც მქონდა გადარჩენის იმედი... "არაფერია, არაფერი, გული ერთ საათში დაგიმშვიდდება, სისხლი ჩამოგეწურება, იწექი, ვენიჩკა, იწექი გათენებამდე, მერე კი კურსკის ვაგზლისკენ გაუტიე... ასე არ უნდა ითრთოლო, მე ხომ გითხარი, რომ არ...

გული ისე მიცემდა, რომ მოსმენას მიშლიდა და მაინც გავიგონე: ქვევით სადარბაზოს კარი ნელა გაიღო და ხუთ წამს არ მიხურულა.

სუმთლად შეძრწუნებულმა ჩემს თავს ვუთხარი "ტალიფა კუმი", ანუ "ადექი და აღსასრულისთვის მოემზადე"... ეს უკვე "ტალიფა კუმი" არაა, ანუ "ადექი და აღსასრულისთვის მოემზადე სავახშანის ღამაა. ესე იგი: "უფალო, რატომ მიმატოვე მე, რატომ მიმატოვე?"

უფალი დუმდა.

"ზეციურო ანგელოზებო, ისინი ამოდიან! რა ვქნა? რა შემიძლია გავაკეთო იმისთვის, რომ არ მოვკვდე?"

და ანგელოზებმა გაიცინეს. თქვენ იცით, როგორ იცინიან ანგელოზები? ესენი სამარცხვინო ვინმეები არიან, ახლა ეს ვიცი - გითხრათ ახლა, მათ როგორ გაიცინეს? ოდესღაც, დიდი ხნის წინათ, ლობნაში, ვაგზალთან მატარებელმა გაიტანა და, ღმერთო, რა დღე დააყარა: მისი მთელი ქვედა ნახევარი დაკუწმაწდა და გაისრისა, ზედა ნახევარი კი, ქამარს ზევით, თითქოს ცოცხალი დარჩაო, ისე იდგა რელსთან, როგორც გაჩერებებთან სხვადასხვა ჯურის ვიგინდარების ფიგურები დგას, მატარებელი წავიდა, ის კი, მისი ეს ნახევარი, ასევე დარჩა ფეხზე, და მის სახეზე რაღაცნაირი დაფიქრებულობა იყო აღბეჭდილი, პირი კი ნახევრად ღია ჰქონდა. ბევრს არ შეეძლო მისი ყურება, გაფითრებულნი და გულამოვარდნილნი ზურგს აქცევდნენ მას, ბავშვები კი მირბოდნენ მასთან, სამმა თუ ოთხმა ბავშვმა სადღაც ნამწვი მოიხელთა და ის მკვდრის ნახევრად ღია პირში ჩადეს. და ნამწვი ბოლავდა და ბოლავდა, ბავშვები კი მკვდრის ირგვლივ ხტოდნენ და ამ სასეირო რამის შემყურენი ხარხარებდნენ...

ზეციური ანგელოზები ახლა მეც ასე დამცინოდნენ. ისინი იცინოდნენ, ღმერთი კი დუმდა... ის ოთხნი კი მე უკვე დავინახე - ბოლო სართულიდან ამოდიოდნენ... მაგრამ როცა ისინი დავინახე, შიშზე უფრო ძლიერი (ღმერთმანი, უფრო ძლიერი) გრძნობა გაოცება იყო: ისინი, ოთხივენი, ფეხშიშველნი ამოდიოდნენ და ფეხსაცმელი ხელებში ეჭირათ - რისთვის სჭირდებოდათ ასეთი რამ? იმისთვის, რომ სადარბაზოში არ ეხმაურათ? არ ვიცი, მაგრამ ეს იყო ის ბოლო რამ, რაც დამახსომდა, იმ გაოცებას ვგულისხმობ.

მათ თავიანთ თავს სულის მოთქმის უფლებაც კი არ მისცეს - ბოლო საფეხურებიდანვე გაგუდვა დამიწყეს, - ერთბაშად ხუთი თუ ექვსი ხელით მგუდავდნენ. მე, როგორც შემეძლო, იმ ხელების მოცილებას ვცდილობდი და შესაძლებლობისამებრ ვიცავდი ჩემს ყელს. და ამ დროს მოხდა ყველაზე საშინელი რამ: ერთმა მათგანმა, ყველაზე მძვინვარემ და კლასიკურპროფილიანმა, ჯიბიდან ხელისსახელურიანი უშველებელი სადგისი, თუმცა, იქნებ, სადგისი კი არა, სახრახნისი ან სხვა რაღაც, - არ ვიცი რა, - დააძრო. მაგრამ სხვებს უბრძანა, მაგრად მოეჭირათ ჩემთვის ხელები, თავს გააფთრებით კი ვიცავდი, მაგრამ სანახევროდ ჭკუას გადამცდარი იატაკს მიმალურსმნეს...

- რატომ მიქენით ეს?.. რატომ - რატომ - რატომ? - ვლუღლუღებდი მე.

მათ მე თავიანთი სადგისი შიგ ყელში გამირჭეს...

მე არ ვიცოდი, ამქვეყნად ასეთი ტკივილი თუ არსებობდა და ვეწამე. ჩემს თვალებში სქელი წითელი ასო "ბ" განერთხა და მას აქეთ გონს არ მოვსულვარ და არც არასდროს მოვალ.

დაიწერა შერემეტიევო-ლობნიაში კაბელურებზე მუშაობის დროს 69 წლის შემოდგომაზე.

**დასასრული**

თარგმნა
ჯუმბერ თითმერიამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნუგზარ შავგულიძე

## ორი ლიტერატურული წერილი

### (ნაწყვეტები წიგნიდან: "მიწურვილ იყო ზაფხული...")

## დანგრეული ბუდეები

ორი ათასი წლის წინ ადამიანის მამა ღმერთთან შესარიგებლად ადამიანისავე ცოდვებისთვის ჯვარზე აზიდულმა, "სიკვდილითა სიკვდილისა დამთრგუნველმა" უმაღლესმა ეთიკურმა კატეგორიამ, ძე ღმერთმა, ადამიანი შეაფასა, როგორც "სახედ მისად" შექმნილი მარადიული ღირებულება;

ასე მოდიოდა დღემდე...

ასე მოაღწია დღემდე იმავე ორი ათასი წლის წინ გაჩენილმა და საუკუნიდან საუკუნეში "მოძრავმა" ერეტიკულმა კითხვებმა - "რა არის ადამიანი?", "სად არის დღეს, სად და ვისთან იქნება ხვალ?".

შუა საუკუნეების ორთოდოქსული თუ "თავისუფალი" (აღორძინების ეპოქა) აზროვნება ამგვარად "ამბოხებულ" ადამიანს (ერთადერთ რეალურ სიდიდეს, რომლის მეშვეობითა და რომელშიც პირველსაწყისი, ღმერთი, საკუთარ არსს შეიცნობდა) იმით "აშოშმინებდა", რომ ლიტერატურის, ხელოვნების თუ, უბრალოდ, მოქნილი თეოლოგიური და ფილოსოფიური დოქტრინებით ეგზოთერული სამყაროდან ეზოთერული სიმაღლეებისკენ მსწრაფველ ღირებულებრივ იერარქიაში ყველაზე მაღალ საფეხურზე ათავსებდა. ადამიანი უბრალო ღვთის მონაზე და ღვთის მოსილ მსახურზე მეტი რომ იყო, ამის დასტურია საყოველთაო ფაქტი - შუა საუკუნეების ქართული იდეოლოგიური დოგმატით თამარ მეფის წმინდა სამების მეოთხე ჰიპოსტასად გამოცხადებაც კმარა).

ღვთისმეტყველთა მიერ მიღებული პასუხით - "ადამიანის განღმრთობა შესაძლებელია" შუა საუკუნეებშივე შემოიფარგლა ერთიანი და პროგნოზირებადი სამყაროს სივრცე, სადაც "პატარა ადამიანი" თავს მყუდროდ და დაცულად გრძნობდა (ჯორდანო ბრუნოს "ჯიუტობას" თუ კოპერნიკის ან აინშტაინის აღმოჩენებს "სიმღერისათვის შექმნილი ადამიანისთვის" ბედნიერების საწყაულზე ერთი მისხალიც არ დაუმატებიათ).

ახალ დროში კი, როცა უკვე აღარ არსებობს არამცთუ ერთიანი, ოდესღაც ადამიანისთვის ბედნიერების მომტანი სამყარო, არამედ გაქრა ერთიანი, მყუდრო სივრცეც კი (თავად სივრცე განიხილება, როგორც თითოეული ჩვენგანის გამაერთიანებელი საერთო განცდა, რომელიც მხოლოდ ჩვენი გრძნობათა ორგანოების მეშვეობითაა წარმოქმნილი), ხოლო დრო, რომელიც "ადრე" ისტორიული ფაქტების "ჩვენკენ" ("ჩვენი" დროისკენ) მსწრაფველი დროითი ვექტორებით რეგულირდებოდა (არცთუ იშვიათად, იმართებოდა კიდეც და ჩვენს არსებობას "ყოფიერების აუტანელი სიმსუბუქით" ამძიმებდა), გაქრა; ამიტომ ღმერთი, რომელიც "მოძრავ" დროში თავისი "უძრაობით" ამოიცნობოდა, "აიძულეს", "წასულიყო" და, შესაბამისად, ღვთაებრივი ემანაციით მნიშვნელობამინიჭებულ და უკვე პოსტულატებად ქცეული საყრდენები - დრო და სივრცე ადამიანს საბოლოოდ გამოეცალა.

ევროპული აზროვნება "იძულებული გახდა", ღმერთი "მოეკლა", რაც მან ევროპული სინატიფითა და გერმანული, პედანტიზმამდე მისული, "ამომწურავი" სიზუსტით "აღასრულა" (ფ. ნიცშე).

ღმერთი " მოკვდა"; შესაბამისად, გაქრა თავად ადამიანისთვის "ფასის დამდები" არგუმენტიც. ამიტომ ახალი ძალით გახმიანდა კითხვაც - "რა არის ადამიანი და სად იმყოფება იგი დღეს?" ან, უფრო ზუსტად, "რა არის ადამიანი და როდის იმყოფება იგი დღეს?"

რამდენადაც სამყარო მისი არსებობის უმთავრესი საზრისის, ღმერთის გარეშე დარჩა, შესაბამისად, ამ სამყაროს მნიშვნელობისა და რეალური ღირებულე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბის განმსაზღვრელად გაჩნდა ახალი "ფასის ეტალონი" - ადამიანი, რომელიც უკვე თავის თავში ატარებდა და საკუთარ თავშივე ამოიცნობდა ზემოთ ნახსენებ პირველსაწყისს. ამით იგი ჩამოყალიბდა ავტონომიზირებული სამყაროს (მხოლოდ "მისი" სამყაროს) ერთადერთ რეალურ სიდიდედ - ღმერთად, საკუთარი თავის ღმერთად. იგი გაუუცხოვდა "სხვისი" და ამიტომ "უცხო" სამყაროების" ასევე "უცხო ღმერთებს" და შესაბამისად, გაუუცხოვდა საკუთარ თავსაც.

სამყარო არამდგრადი, აბსურდული და საშიში გახდა.

ეს პრობლემა, ევროპულის დარად, მტკივნეული იყო ახალი დროის (XIX-XX სს.) ქართული აზროვნებისთვის, ცხადია, ლიტერატურისთვისაც, რომელიც მუდამ "ევროპის რადიუსზე გამართვის" მოსურნე იყო; იგი, ლიტერატურა, ევროპიდან "იმპორტირებული", შემდგომ კი "ადგილობრივი მნიშვნელობის" პრობლემად ქცეულ გლობალური ტკივილების განსაკურნი "რეცეპტების" გამონახვას ცდილობდა.

ეს პროცესი ჯერ კიდევ XIX საუკუნის 90-იან წლებში დაიწყო, როცა "საუკუნეთა გასაყარის" ქართულ მწერლობაში მწერალთა ერთი ჯგუფი (უმეტესად ახალგაზრდები და "ძველგაზრდა" დავით კლდიაშვილი) "შეურიგდა" ღმერთის "სიკვდილს" როგორც გარდუვალ ფაქტს, მაგრამ, სამწუხაროდ, უკვე ვეღარც "ახალ ღმერთს" - ადამიანს - „კითხულობდა" როგორც სამყაროს ერთპიროვნულ და სრულფასოვან მბრძანებელს. "ადამიანი-ღმერთი" მხოლოდ მაშინ იყო "დიდი", როცა შინაგანი სრულყოფისკენ ("განღმრთობისკენ") ტანჯვის გზით ლტოლვა მხოლოდ მისი "საკუთრება" იყო და არა "ალიბი" სხვის დასატანჯად. ამ წლებში "განღმრთობილი" ადამიანის (ან პირიქით) არა მხოლოდ "დამცრობას", "დეჰეროიზაციას" ჩაუყარა საფუძველი (ცხადია, საუბარი აქ მხოლოდ ქართულ მწერლობაზეა, რომელიც დიდი კულტურებიდან წამოსულ იმპულსებს ცოტა მოგვიანებით იღებდა), არამედ გამოიკვეთა ადამიანის დეჰუმანიზაციის პროცესის დასაწყის პარამეტრებიც.

ღმერთის "სიკვდილმა" და ამ ფაქტის აღორძინებამ (შ.არაგვისპირელი, დ.კლდიაშვილი, მ.ჯავახიშვილი, ი.ელეფთერიძე, ა.დეკანოზიშვილი, ი.ზუბაშვილი და სხვა) სამყაროს სხვა განზომილება შესძინა, რომლის ფუნდამენტადაც ეჭვი გაცხადდა. ამ წლებში ყველაფერი საეჭვო იყო, მათ შორის კი უმთავრესი - რამდენად "საიმედო" და "ლოგიკურია" ამ "ახალი ღმერთის" - ადამიანის მიერ კონსტრუირებული "სამყარო"? "ახალი სამყარო?". რის "ფასად" ჩაეწერება ადამიანი მის არეებში - მსხვერპლშეწირვით (დ.კლდიაშვილი - "მსხვერპლი") თუ თვითგანწმენდით (მ.ჯავახიშვილი - "ჯილდო").

ე.ი. ქართულმა მწერლობამ გასული XX საუკუნის გარიჟრაჟზე უკვე კარგად დააფიქსირა და განამხოლოვა "გამოყენებითი ლიტურგიკის" ვარიანტული სისტემები (კ.გამსახურდიას, დ.შენგელაიას, ნ.ლორთქიფანიძის ძიებები).

ამ, "ახალღმერთთან" სამყაროში "ღმერთადქცეული" ადამიანის სულის (ან რაც კიდევ შერჩა სულისაგან, რადგანაც არაცნობიერი - ულმერთო ქმედებათა "ალიბი" ჯერ კიდევ არ იყო ქცეულ ფართო მოხმარების საგნად") იდუმალ გზებზე "მოძრაობისას" ნიკო ლორთქიფანიძემ მისთვის (და არა მხოლოდ მისთვის) მოულოდნელად გამოკვეთა ამ ახალი სამყაროს ერთპიროვნული "კონსტრუქტორის" სულის კონცეპტუალიზების "ძველი ჰორიზონტები" და ჩვენს მწერლობაში ერთბაშად დამკვიდრდა "ხსოვნისა და მოგონების" ტრაგიკული პარადიგმა ("ხსოვნა" "მოგონებას" შეიცავს, "მოგონება" კი "წარსულს"; ხოლო "წარსულის" "დღევანდელობაში" ჩართვა ადამიანის პიროვნული გამთლიანებისა და სულიერ ტოპოსზე დამაგრების ულტერნატივო გზაა - ეს არის ნ.ლორთქიფანიძის ძირითადი სტრატეგია - ამ რომანის ფარგლებში მაინც).

მწერალმა რომანში ზუსტად დააფიქსირა მის მიერ ქვეცნობიერად ნაგრძნობი, ადამიანის ცნობიერების რადიკალური ცვლილებების მიმანიშნებელი "ტექტონიკური რყევების" ამპლიტუდა. ახალი, ადამიანის მიერ უკვე "რაციონალურად აწყობილი" სამყაროსთვის "ზედმეტი" პროვიდენციალური "მოცემულობის" (ღმერთი) "სიკვდილი" განიხილა არა მხოლოდ როგორც სამყაროს უმაღლესი წესრიგისადმი რწმენის გაქრობის, ამ წესრიგის სიმბოლოს "დაშლის" პროცესი, არამედ როგორც მისი სულიერი გამოცდილების საძირკველზე "აგებული" ეთნოკულტურული "სხეულის" რღვევა; მისი, როგორც თვითკმარი ღირებულების სრული დევალვაცია.

ნიკო ლორთქიფანიძე "იძულებული" გახდა ამ საზღვრებდარღვეულ და, შესაბამისად, "არაკონცეპტუალურად გადინებად" სამყაროში ფორმადაკარგული ადამიანისთვის ოდინდელი კონფიგურაციის აღსადგენად, თუ შეიძლება ასე ითქვას, "ფორმის მიმცემი" ნიში მოენახა. ასეთად მწერალმა ცნობიერებაში ჯერ კიდევ მყარად გამჯდარი წარსული მიიჩნია. მწერლის აზრით, წარსული სწრაფადცვალებადი სამყაროს ფონზე დროის გადასახედიდან სტაბილურად "დახსომებული" ღირებულებების სისტემით ადამიანური არსებობის კლასიკურ ნორმად განიხილება.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, "წარსული" ნიკო ლორთქიფანიძესთან არ განიხილება ადამიანის ცნობიერებისგან იზოლირებულ "მოცემულობად", რომელიც მხოლოდ "მოგონებით" ("წარსულში" განცდილის ობიექტივირებული ფორმა) იმართება. იგი ზუსტი სტრუქტურის მქონე, "ამწამიერ" დროზე და "ამ" სივრცეზეა დამაგრებული და რეალური ადამიანებითა და მოვლენებითაა დატვირთული.

ნაწარმოების სივრცულ მოდელებზე პროეცირებულ პერცეპტუალურ და კონცეპტუალურ დროით მოდელებში, მწერლის სურვილით, დროის უწყვეტობაა "შენახული". ეს უკანასკნელი კი უზრუნველყოფს ნიკო ლორთქიფანიძის მიერ კონსტრუირებულ მხატვრულ სახეთა არა მხოლოდ" ამ წუთში" და "აქ" რეალიზაციას, არამედ სივრცულად "აქ", მაგრამ დროითი თვალსაზრისით "წარსულში" განხორციელებას და "მომავალში" (ანუ "დღეს") მომხდარ მოვლენებთან მიზეზ-შედეგობრივ კავშირს.

"დანგრეული ბუდეების" ესთეტიკაში "ჩაშენებული" დრო-სივრცული კორცონიუმი, ბუნებრივია, მხოლოდ ერთი კულტურის განმსაზღვრელ ნიშანთა სისტემაში ვერ ჩაიკეტება და, შესაბამისად, პოლიკულტურული სამყაროსა და ადამიანის ურთიერთობების პრობლემას ნიკო ლორთქიფანიძე არა მხოლოდ ერთი რომანის, არამედ ერთი პერსონაჟის ხასიათის ფარგლებშიც კი აქტიურად ამუშავებდა. კულტურათა ოპოზიციური თუ დიალოგური დამოკიდებულებების პრობლემის ნიკო ლორთქიფანიძისეული სპეციფიკური ხედვის საილუსტრაციოდ საკმარისია ცნობილი "შელოცვა რადიოთი".

ამ რომანის ფარგლებში გამოყენებული "წარსულის" მოდელი განსაზღვრავს მთავარი პერსონაჟის როგორც სოციოკულტურულ პარამეტრებს, ისე მხატვრული ხასიათის განვითარების შესაძლებლობათა მიმართულებებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომანის არქიტექტონიკა ორი - "წარსულში" და "აწმყოში" სიმეტრიულად განლაგებული სოციოკულტურულ ნიშანთა სისტემისგან შედგება, რომელიც თავის მხრივ ნაწარმოების მთავარ პერსონაჟზეა "დამაგრებული". მწერალი ამ სისტემაში განფენილ (როგორც ზემოთ უკვე ვახსენეთ - კლასიკურ ნორმად ქცეული) ღირებულებების "აზრობრივი ობიექტივაციით" ახდენს ადამიანის მუნყოფიერების საფუძვლების მეტნაკლებ მოდერნიზაციას.

მწერლის ეს აქცია, თავისი არსით, იქითკენაა მიმართული, რომ რომანის ე.წ. "ხსოვნითი" ნაწილის ცალკეულ ეპიზოდებში მოთხრობილი, გარკვეული თვალსაზრისით, რიტუალიზებული ისტორიები ერთბაშად გამოკვეთენ "იმ" დროში მცხოვრებთ, როგორც სიმბოლურ ხატებს. ეს უკანასკნელნი კი შეიძლება განვიხილოთ წარსულ კულტურაზე (თუ ამ რომანში გამოყენებულ სხვა კულტურათა "ამონარიდებზე") აქცენტირებულ "საავტორო" მანიპულაციების მითოსურ არქეტიპებად, რომლებიც რომანში ფიქსირებულ დროთა კავშირის "უხმაურო" აქტად გვევლინება.

დროთა კავშირის ზემოთ ნახსენებ "უხმაურო" აქტში კი მწერალმა ნებსით თუ უნებლიეთ შენიღბა თავისი არსით მისტერიალური აქტი - ოდესღაც სამყაროს გამაერთიანებელი, ახლა კი დაკარგული (თუ "დამალული") სამყაროს სულის უკან გამოხმობის მცდელობა. მწერლის კონცეფციით, სამყაროს სულის გარეშე ადამიანის სასიცოცხლო ენერგია არამცთუ ქვეითდება, არამედ შეიძლება გაქრეს კიდეც, ხოლო თავად ადამიანის იდეა სასრულ ფენომენად - ჩამოყალიბდება.

ადამიანის იდეის ბოლოვადობა კი მწერალთან ტრაგიკული ინტონაციების ახალ წყებას აჩენს, რადგანაც ადამიანის "ინტროში" წვდომა, მისი არსის უსასრულობის შეგრძნება მისთვის იმის მიმანიშნებელია, რომ ადამიანში დაფარული ძალის ფიქსირებითა რეპრეზენტაციით აღძრული "სუბიექტივიების" ობიექტივირებით ინაკვთება არა მხოლოდ ადამიანის, არამედ სამყაროს ცვალებადი საზღვრების "დინამიკური" კონფიგურაცია. აი, აქ კი ნიკო ლორთქიფანიძე სუბიექტური განწყობებით გაჩენილ, მითოპოეტური "იმპულსებით" მართულ, ზოგჯერ დემატერიალიზებელ რეალისტურ ხატებს ჩაანაცვლებს წამიერად გაჩენილ და არაიშვიათად მოუხელთებელ განწყობებს. ამავე დროს, ესთეტიკური თვითკმარობით თითქმის ხელშესახებ მატერიალურობამდე მისული ფორმებით შექმნილი ვერბალური ველები არ თავისუფლდება მეტაესთეტიკური ინფორმაციის მატარებელი საგნებისა თუ "გასაგნებული" ადამიანებისგან აღძრული ემოციური დაძაბულობისგან.

რომანის "წარსულ" დროზე მიბმულ სივრცეში განთავსებული საგნები თითქმის საკრალიზებული არსის მატარებელია, რადგანაც "წარსულში", საითკენაც ასე გულდაწდობით მიისწრაფვის შინაგანი გამთლიანების მსურველი პერსონაჟი, დომინირებს სხვადასხვა კულტურული (ევროპული, რუსული, ქართული) ტექსტებიდან "ამონარიდი" მატერიალური და არამატერიალური "ციტატები" (საგნები, მივიწყებული მოვლენები, მივიწყებული და კვლავ გახსენებული ხმებისგან გაჩენილი წამიერი განწყობები, რომლებიც მთლიანობაში "მე"-ს ილუზორულ გამთლიანებას იწვევდა), რომლებიც "დღეს", "ამ წუთის" ქართული სამყაროსთვის მნიშვნელობადაკარგულ სიმბოლოებად გვევლინებიან და არა მწყობრად სტრუქტურირებული სამყაროს არსებობის არგუმენტებად.

ამგვარ გარემოში კი, სადაც მოგონებები განცდილისა და გადატანილის პასიური "საცავები" კი არა, რომანის მთავარი პერსონაჟის მიერ ოდესღაც აღქმული და განცდილი სინამდვილის ფსიქიკაში განტოტვილი ვირტუალური მოდელების ერთობლიობაა, რომელთა კონცეპტუალური რეკონსტრუქციები თვითკმარ ღირებულებებად ყალიბდება.

ამ კონსტრუქციებს (რომლებიც "ამბის" შემცველი ეპიზოდებითაა ხორცშესხმული და, შესაბამისად, გაცოცხლებული) ერთმანეთისაგან დისტანცირებას (ალბათ, უფრო უპრიანი გაუცხოება იქნებოდა) კი თხრობის ფრაგმენტულობა უფრო გამოჰკვეთავს. თუმცაღა აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ თხრობის ფრაგმენტულობა უფრო გარეგნულია, ვიდრე არსებითი, რადგანაც რომანის მხატვრული სივრცის საკმაოდ რთული არქიტექტონიკური სქემა აუდიო-ვიზუალური დესკრიპტორებითაა "არმირებული".

ზემოხსენებული აუდიო-ვიზუალური დესკრიპტორების მრავალშრიანი სტრუქტურის ე.წ. "მოდალური ოპერატორებით" (წარსულთან შეხვედრის "აუცილებელი", "შემთხვევითი", "შესაძლებელი" და ა.შ. მოდალობები) "დეკოდირებისას" მკითხველის წინაშე ამ სამყაროს ("წარსულში" დარჩენილი "ღია" ლანდშაფტები, სადაც საგნები და ადამიანები "აქედან" ჩარევით გადაადგილდებიან და იმართებიან) მთლიანი მოდუსი ყალიბდება, რომელთან მედიტაციური დიალოგიც ქმნის რომანის მთავარი პერსონაჟის შინაგანი ტრანსფორმირების მსაზღვრელებს.

სამყაროთა ("წარსული" და "ახლანდელი") ასეთი გაერთიანებით ნ.ლორთქიფანიძე ახდენს სამყაროს "დაფარული სულის" ენერგეტიკის კონცენტრაციას, რომლითაც მოინიშნება ღირებულებათა ახალი წრე, იკვეთება ღირებულებათა იერარქიული დონეები და მათზე დაყრდნობით შორეულ ჰორიზონტებზე "ახალი ადამიანის" სილუეტი იკვეთება.

ამ რომანით ნიკო ლორთქიფანიძემ სხვადასხვა დროით პლასტებში განფენილ კულტურათა შეხვედრის მიჯნაზე "დამაგრებული" ადამიანი იმ ექსტრემალურ სიტუაციაში ჩააყენა, სადაც კულტურას კულტურის ნიშანთა (ზოგჯერ კი სიმულაკრების) სისტემა ცვლის და, შესაბამისად, იცვლება თავად ადამიანიც... "ახალი მოდიფიკაციის" მოდელით. ეს უკანასკნელი კი ფორმირების პროცესში დრო-სივრცის პარადიგმის რიტმს ემყარება, რომელიც იმით დასრულდა, რომ ახალმა მითმა ჩამოაყალიბა პიროვნების გამთლიანების ფილოსოფიური საფუძველი - სამყაროსადმი ისტორიული მიდგომა.

ამდენად, ქრონოლოგიურად მოახლოებული და ამიტომ "ხელმისაწვდომი", დროში "ჩაკარგული" მიკრორეალობის (მხოლოდ ერთი სოფლის, მხოლოდ ერთი გვარის, მხოლოდ ერთი ოჯახის წევრთა ფსიქო-ფიზიკური მოდელების ტრანსფორმაციები) მეტ-ნაკლებად "აღდგენითა" და კონცეპტუალური ტრანსფორმაციით მწერალი შეეცადა, ადამიანისათვის ახალი ტოპოლოგიური ცენტრი შეექმნა, მაგრამ ეს ცდა პერსონაჟის ცნობიერებაში "განფინა" არა საგნობრივი რეალობებით ("შერწყმული" ძველ და ახალ კულტურათა სიმბიოზურ სივრცეში, მათი არსის "გამხსნელი" "ინფორმაციულ-საძიებელი" ლექსიკური ერთეულები კულტურის მრავალფასოვან ნიშნურ სისტემაში გაერთიანდა), არამედ კულტურის ნიშანთა ახალი რიგით.

ახალი მითოსურ-არქეტიპული მოდელით შექმნილ "საბაზო ველებზე" აშენებულ "ახალ სამყაროში" მწერალმა "ძველი"-"ახალი" ადამიანი შეიყვანა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მთლიანი სამყარო

მეოცე საუკუნის დასაწყისის ქართული ლიტერატურისთვის პრობლემამ, "ადამიანი სამყაროში", ერთბაშად შეიძინა ტრაგიკული ინტონაცია, როცა გასაგები გახდა, რომ ქართული ცნობიერებისთვის ტრადიციად ქცეული ტრიადის - "ენა, მამული, სარწმუნოება" ერთ-ერთი წევრი - "მამული" ("სამშობლო") ქართველი კაცისთვის უკვე აღარ მოიაზრებოდა ისტორიულ პერსპექტივაში განფენილი ("აწმყო თუ არა გწყალობს, მომავალი შენია...") და ეთნოკულტურული დისკურსით ("სადაც ვშობილვარ, გავზრდილვარ...") შემოფარგლულ საიმედო თავშესაფრად.

ეს ფაქტი უფრო სავალალოდ რეალური გახდა მას შემდეგ, რაც ქართული მენტალობის კიდევ ერთი საყრდენი - "სარწმუნოება" (ღმერთის ინსტიტუციური რეპეზენტაცია) ევროპულმა აზროვნებამ (რომლისკენაც მუდმივი სწრაფვა ქართული კულტურის ასევე მუდმივი ატრიბუტი და "სამარკო" ნიშანია) ქრისტიანულ ერებს კარგა ხნის წინ "გამოაცალა" და საქართველოში, არამცთუ მედასავლეთენი, არამედ ორთოდოქსი პატრიოტებიც კი იძულებულნი გახდნენ ეს ფაქტი (ევროპელთაგან ღმერთის "სიკვდილი") ნომინალურად მაინც ეღიარებიათ (დავით კლდიაშვილი, ნიკო ლორთქიფანიძე და სხვ.).

ცხადია, ამ ფაქტორების გავლენით, მთლიანმა სამყარომ, რომელიც ამ ფაქტამდე მნიშვნელობდა, როგორც ეთნოკულტურული დისკურსითა და ტრანსცენდენტური წინასწარგანზრახულობით "კონსტრუირებული" ტოპოსი, დაშლა დაიწყო. შესაბამისად, "ქვეყანადაკარგულმა", უფრო ზუსტად "სამშობლოდაკარგულმა" არავის შვილებმაც სხვა სივრცეებს მიაშურეს (ამ პროცესებისადმი თანმხლები კულტურული მიგრაციით, "შინაგანი ემიგრაციით" და ა.შ.).

სწრაფადცვალებად გარემოში ზემოხსენებული მიზეზებით დაშლილი სამყაროს ხელახალი გამაერთიანებელი მყარი ღირებულებების სისტემა ასე სწრაფად ველარ ჩამოყალიბდა (ეს პროცესი განსაკუთრებულად მტკივნეული გახდა პირველი მსოფლიო ომის შემდეგ, რომლის შედეგებიც ვიქტორიანული სამყაროს "უშფოთველობის" რეკვიემად აჟღერდა; სამყაროში სრული სიმძლავრით ამუშავდნენ დესტრუქციული ძალები, ხოლო რუსული "დერჟავის" სამხედრო-პოლიტიკურმა კატასტროფამ კი დაბალანსებული სოციო-კულტურული სისტემის სრული ქაოსი გამოიწვია) და შესაბამისად, ევროპული მწერლობის ერთ-ერთ მაგისტრალურ თემად (სხვა თემების გვერდით) "დაკარგული თაობის" (რომელიც ერთიანი იყო დაცემისა და დაღუპვის თითქმის იდენტური სიმპტომატიკით - ჰ. სტაინი, ე. ჰემინგუეი, ე. რემარკი) დრო-სივრცული (ამ ეპოქაში ეს კატეგორიები ჯერ კიდევ არსებობდნენ) კონფიგურაციის განსაზღვრა და შეფასება გადაიქცა.

სავსებით ბუნებრივია, რომ ამ ვითარებაში, ქართულმა მწერლობამ ადამიანის ექსისტენციური საფუძვლების მეტ-ნაკლებად "ევროპეისტული" მოდერნიზებით სამყაროს (ყოველ შემთხვევაში ქართული და ქართველის სამყაროს) კვლავ გამაერთიანებელი, "დამალული" სულის უკან გამოხმობა სცადა.

ცხადია, ამგვარი ძალისხმევა ჩვენი (ჯერ კიდევ XX საუკუნის შუა ხანებიდან დამკვიდრებული) ტრადიციით იმას გულისხმობდა, რომ სამყაროს გაერთიანების საფუძველი გამხდარიყო პიროვნება (სამყაროს ერთიანობის ერთადერთი ფაქტორი), როგორც ეთნოკულტურულ ტოპოსზე "დამაგრებული". ყოფიერების ისტორიულ საზრისი (ვ. ბარნოვი, შ. არაგვისპირელი, ა. ერისთავ-ხოშტარია და სხვა), ან პროლეტარულ-ინტერნაციონალური ერთობით შექმნილი "ახალი სამყაროს" მშენებელი "ახალი ადამიანის" კვაზიჰეროიკული მოდელი (ნ. ზომლეთელი, ს. ეული, რ. კილაძე და სხვები).

ამგვარ ნაივურ ან "კონცეპტუალურ" ძიებებს, ცხადია, უკურეაქცია მოჰყვა და ოციანი წლებიდანვე ქართულმა მწერლობამ, დაშლილი სამყაროს ახალ საფუძველზე გაერთიანებისთვის ან, უკეთ, გამთლიანებისთვის აუცილებელი არსის ძიება სხვა კატეგორიებით და სხვა სივრცეებში დაიწყო. მოისინჯა მითოსურ-ონტოლოგიური საწყისები (დ. შენგელაია), მითოსურ-რასობრივი საწყისებიც (გრ. რობაქიძე), "არქეტიპული და სიმბოლური ჰიპოსტასები" (კ. გამსახურდია) თუ მითოპოეტური საყრდენები (ნ. ლორთქიფანიძე).

"მთლიანი სამყაროსთვის" პარამეტრების "წინასწარი" მონიშვნა, სამყაროს ხელახალი "რეკონსტრუირების", "რესტავრირებისა" თუ "სტაბილიზაციის" გაერთმნიშვნელიანებისაკენ მიმართული ცდები არც მიხეილ ჯავახიშვილისთვის იყო უცხო.

მწერლის ძიებები, თუ შეიძლება ასე ითქვას, "კომპლექსურ" ხასიათს ატარებდა და მოიცავდა როგორც სოციოკულტურულ ("არსენა მარაბდელი") და ნეომითოლოგიურ ("თეთრი საყელო"), ისე პროვიდენციალურ ("გივი შადური", "ჯაყოს ხიზნები", "ხუთის ამბავი" და სხვა) პლასტებს, რომლებიც მწერლის შემოქმედებაში არსებობენ არა დისტერილებული, არამედ "დიფუზიური" ტენდენციების სახით. მწერლის ძიებათა ამ სპექტრიდან მაინც შეიძლება გამოიკვეთოს "ბედის" პროვიდენციალური ფენომენის "პრაქტიკული" მიზნებისათვის გამოყენების მეტ-ნაკლებად თვალში საცემი ტენდენცია, რომელიც მწერლის შემოქმედებაში განტოტვილია როგორც პერსონაჟთა ქმედებების მოტივაციური სქემების ერთ-ერთი ძირითადი სეგმენტით.

როგორც ანალიზმა აჩვენა, "ბედის" ფენომენი, რომელიც მწერლის შემოქმედებაში მეოცე საუკუნის ოციანი წლებიდან, ე.წ. მეორე პერიოდში ფიქსირდება, მწერლის მსოფლმხედველობრივ პოზიციას განსაზღვრავს და არა სამყაროსადმი ადამიანის სუბიექტური დამოკიდებულების პარამეტრალურ ბაზას. "ბედი" ექსისტენციურიდან კოსმოლოგიურ ფენომენად ჩამოყალიბდა, რომელიც მწერლის შემოქმედებაში ჩვენს მიერ ინტერპრეტირებულია, როგორც ადამიანისა და სამყაროს ურთიერთდამოკიდებულების თითქმის მთელი სპექტრის მომცველი მრავალშრიანი სტრუქტურა, რომელსაც სამყაროს ზუსტად რეგლამენტირების ფუნქცია ეკისრება. მიხეილ ჯავახიშვილის კონცეფციით, "ბედი"-თ რეგლამენტირებული სამყაროს "არხე" იმ კულტურულ ნიშანთა ერთობლიობაა, რომლებიც ამ რეგლამენტაციის ფარგლებში და მასზე დაყრდნობითაც კი აყალიბებს ტოპოსის - "სამშობლოს" და, შესაბამისად, "ახალი სამშობლოს" - "გამთლიანებული სამყაროს" კოორდინატთა სისტემას. ეს უკანასკნელი კი, თავის მხრივ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ემყარება "ბედის" მიერ რეგლამენტირებული სამყაროს კოსმო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლოგიურ მოდელს, რომლის არქეტიპულ სრულყოფილებას (ადამიანი - სამყარო) გამოხატავს პარადიგმატული წყვილი "სამშობლო - ბედი".

მყარად ფორმულირებული "სამშობლო-ბედის" პარადიგმული მოდელი მწერლის შემოქმედებაში მუდმივად მოძრაობს ერთი ტექსტის (მოთხრობა, რომანი) სივრციდან მეორეში (რაც, თავის მხრივ, ერთიანი ღირებულებრივი სისტემით კონსტრუირებული ჰიპერსივრცის განცდას ბადებს) და თავის გარშემო, როგორც "ორსაწყისიანი ერთი", იკრებს ნაწარმოების (თუ ნაწარმოებთა რიგის) სიუჟეტურ, სემანტიკურ თუ მოტივაციურ პლასტებს.

ცხადია, ამგვარად "აგებული" მხატვრული კონსტრუქცია, თავისი პოლისემანტიკური ბუნების გამო, მიხეილ ჯავახიშვილის თხზულებათა ერთ ნაწილში თუ მთლიანად მისი შემოქმედების მხატვრულ სტრუქტურაში, როგორც სამყაროს "გამთლიანების" არგუმენტი, ასევე მრავალშრიანი სახითაა წარმოდგენილი:

ა. "სამშობლო-ბედი" ადამიანის ბიოვიტალური ბირთვის ბიოადეკვატი" (რომელიც ეთნოკულტურული "სხეულის" მიერ საუკუნეთა მანძილზე ჩამოყალიბებული კულტურულ-გენეტიკური კოდითაა ფორმირებული).

ბ. "სამშობლო-ბედი" ადამიანის, როგორც პიროვნების, ინტელექტუალური და მედიტაციური "ცენტრია" (რომელიც, თავის მხრივ, აქსიოლოგიური ველის რეგლამენტირების უკუპრექციაა).

გ. "სამშობლო-ბედი" ადამიანის ბიოგრაფიულ-ეგზისტენციალური ველების "მარეგლამენტირებელი" ტრანსცენდენტური არგუმენტია (რომელიც ახალი ტოპოსის მაფორმირებელ კულტურულ ნიშანთა რიგითაა წარმოდგენილი).

მიხეილ ჯავახიშვილის კონცეფციით, "მთლიანი სამყაროს" რღვევა, რომელიც, თავის მხრივ, პიროვნების რღვევას უკავშირდება, ყოველ კერძო შემთხვევაში (კონკრეტულ ნაწარმოებთა ფარგლებში) სუბიექტურ არგუმენტთა ერთობლიობითაა მოტივირებული, რომელიც თავის მხრივ ობიექტური ან ობიექტივირებული ფონითაა განპირობებული (სოციალური, პოლიტიკური და სხვა სახის კატაკლიზმები და ა.შ.) და ქაოსური კოსმოსი განაპირობებს მათი ამ სივრციდან (საკუთარი თავიდან) წასვლას.

ზემოთ მოყვანილი სქემიდან ერთ-ერთი - ინვარიანტული მოდელი, მწერლის მიერ მათი მთლიან (ან გამთლიანებულ) სამყაროში დაბრუნების (ან შინაგანი გამთლიანების) ინსტრუმენტარიადაა "მოწოდებული". ეს პროცესი, რომელიც ცალკეულ ნაწარმოებში ცალკეული პერსონაჟისთვის სხვადასხვა ბიოგრაფიული ფაზიდან იწყება ("ფინჯანი" - სამეცნიერო აღმოჩენა, ხუთის ამბავი" - რუსეთის რევოლუცია და თანმდევი კატაკლიზმები, "მიწის ყივილი" - ქართული წიგნი, როგორც ადამიანის შინაგანად მაპროვოცირებული ფაქტორი და ა. შ.), სამყაროს ხელახალი "შეკვრის" (გამთლიანების) აუცილებელი პირობა და მწერლის შემოქმედებაში ერთიანი ჰიპერტექსტუალური პარამეტრებით შემოფარგლულ ტოპოსთან - სამშობლოსთან პერსონაჟის (პერსონაჟთა) იდენტიფიცირების საშუალებაა.

"სამშობლო-ბედის" პარადიგმული მოდელის ტექსტიდან ტექსტში "მოძრაობას" და ერთიანი ჰიპერტექსტური სივრცის ფორმირებას, სადაც თითოეულ სივრცულ მოცემულობას თუ დროით ნიშანს მხოლოდ მისთვის განკუთვნილი ფუნქცია აქვს დაკისრებული, მწერლის შემოქმედებაში გარკვეული "კონსტრუქციული" დატვირთვა აქვს. შესაბამისად, ალბათ, შეიძლება ითქვას, რომ ეს პარადიგმა ("ბედი-მდევარი" - ნ.შ.) მწერლის შემოქმედებაში მოტივის ნიშან-თვისებას ამჟღავნებს, რომელიც სამყაროს მთლიანობის ("მე - სამყაროში", "სამყარო - ჩემში") განმსაზღვრელ ტრანსცენდენტური რეგლამენტაციის უპირობობას ამტკიცებს. ამ მოსაზრებიდან კი უკვე ერთი ნაბიჯიღა რჩება მწერლის, მსოფლმხედველობრივი სისტემის კორექტირებისაკენ.

ალბათ, ეს დროც მოვა.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ოთარ ჯანელიძე

# "დიად საქმეს დიადი ენთუზიაზმი შობს"

(სპირიდონ კედია და გაზეთ "საქართველოს" დაარსება)

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მომავალი თავმჯდომარე სპირიდონ კედია 1906-1913 წლებში სორბონის, ტულუზისა და მონპელიეს უნივერსიტეტებში საბუნებისმეტყველო განათლებას ეუფლებოდა. უცხოეთში გატარებული წლები ნაყოფიერი გამოდგა მისთვის. ცოდნასთან ერთად ევროპაში სპირიდონმა ცხოვრებისეული გამოცდილებაც შეიძინა. მისი ჭაბუკური მაქსიმალიზმი დინჯმა და გააზრებულმა ჭკუა-გონებამ შეცვალა, ხოლო იდეურ-მსოფლმხედველობრივ სფეროში ადრინდელი ფედერალისტური მიდრეკილება ეროვნულ-პატრიოტულმა სულისკვეთებამ დაძლია. სპ. კედიამ თვალნათლივ დაინახა და გააცნობიერა, რომ სოციალისტურ იდეოლოგიას არ შეეძლო, შვება მოეტანა ისეთი პატარა და სხვის უღელქვეშ მოქცეული ქვეყნისთვის, როგორიც საქართველო იყო. იგი არათუ არ პასუხობდა საქართველოს ეროვნულ მისწრაფებებს, არამედ საერთოდაც მცდარი გზით მიჰყავდა ქვეყანა, რადგან ერის სხვადასხვა ნაწილებს ერთმანეთს უპირისპირებდა და კლასობრივი ბრძოლის სისხლიან მორევში ექაჩებოდა.

საქართველოს ხსნა ეროვნული იდეის ირგვლივ "ყოველი საქართველოს" მჭიდროდ დარაზმვით, ერის შინაგანი ერთიანობითა და მონოლითური სიმტკიცით შეიძლებოდა. სამშობლოს თავისუფლებაზე მეოცნებე სპირიდონ კედია საქართველოში სწორედ ამ მისწრაფებით, გააზრებული გეგმითა და ჩანაფიქრით დაბრუნდა. როგორც დიდ ილიას ხუთი ათეული წლის წინათ, სპირიდონ კედიასაც მოსვენებას არ აძლევდა კითხვები: როგორ შეხვდება ხალხი, საზოგადოება მის განზრახვას? იპოვის კი იგი სოციალიზმის ბანგით გათანგულ ქვეყანაში იმ ადამიანებს, ვისაც თავის გრძნობას გაანდობს, ფიქრს გაუზიარებს? მომავალმა პოლიტიკოსმა პრაგმატულ დასავლეთში ისიც კარგად შეითვისა, რომ არანაირი სერიოზული საქმე - თვით ყველაზე კეთილშობილურიც კი, უსახსროდ არ გამოვა, თუმცა დიდი ძალაა ენთუზიაზმიც. მთავარია, დაიწყოს, გადაიდგას პირველი ნაბიჯი, მერე და მერე იქნებ ფულიც გამოჩნდეს.

სპირიდონ კედიას საქართველოში არყოფნის პერიოდში აქაურ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში ბევრი არაფერი შეცვლილიყო. ილიას სიკვდილმა მხოლოდ დროებით გამოაფხიზლა და შეკრა ქართველობა, მერე ყველაფერი ისევ ძველებურად წარიმართა. დაქსაქსული და დათითოკაცებული ინტელიგენცია, ერთმანეთთან დაპირისპირებული და სამტროდ შემართული პოლიტიკური მიმდინარეობანი თუ პარტიები - ასეთი იყო იმ დროის ქართული რეალობა.

ვის მიმართოს, ვისგან დაიწყოს, ვის გაუმხილოს პირველს თავისი გულისნადები? სპირიდონ კედიამ ნიადაგი ჯერ ფედერალისტებთან, ყოფილ თანაპარტიელებთან მოსინჯა. ამ ორგანიზაციაში არჩილ ჯორჯაძის გარდაცვალების შემდეგ ხელმძღვანელ როლს გიორგი ლასხიშვილი, კიტა აბაშიძე, სამსონ ფირცხალავა ასრულებდნენ. სპირიდონი გიორგი ლასხიშვილს დაუკავშირდა, პარტიის სოციალიზმისგან გამიჯვნა და მთლიანად ეროვნულ პოზიციებზე გადაყვანა შესთავაზა.

ახალგაზრდა მამულიშვილის ძალისხმევა ამაო გამოდგა, გიორგი ლასხიშვილი ვერ დაიყოლია - ფედერალისტებს სოციალიზმი არ ეთმობოდათ.

პირველმა ცდამ შედეგი არ მოიტანა. ცხადია, ამან გული ატკინა, დაალონა, მაგრამ ფრთები არ შეუკვეცია. უკან დახევა აღარ შეიძლებოდა, მიზანი ღირდა ბრძოლად. საჭირო იყო სოციალიზმისგან განზე მდგომი სხვა ძალების პოვნა ანდა სრულიად ახალი ამგვარი დარაზმულობის შექმნა.

"არასოდეს ისე საჭირო არ ყოფილა თავმოყრა და შეკავშირება იმ ძალებისა, რომლებსაც ჰქვია არასოციალისტური ეროვნული დემოკრატია, რომლის კულტია საქართველო, რომლის მმართველი იდეა - ეროვნული იდეაა და რომელიც ქვეყნის ქონებრივი და სულიერ-გონებრივი შემოქმედების ბურჯია", როგორც ამჟამად - წერდა სპირიდონ კედია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს არ იყო მარტივი და იოლი საქმე, როგორც ერთი შეხედვით შეიძლება მოეჩვენოს კაცს. საქართველოს პოლიტიკური ასპარეზი იმხანად მარქსიზმს ჰქონდა დაპყრობილი. სოციალ-დემოკრატიის ბანაკში, საქართველოს ავტონომიაც რომ მიუღებლად მიაჩნდათ, თანამოაზრეთა ძიებას აზრი არ ჰქონდა. პატრიოტული სულისკვეთების ეროვნულ-საზოგადოებრივი ძალების თავმოყრა და შეკავშირება შესაძლებელი იყო ახალი დამოუკიდებელი ქართული გამოცემის გარშემო. სპირიდონ კედიამ მტკიცედ გადაწყვიტა გაზეთის დაარსება.

მან იცოდა, რომ ქ. ბაქოში არსებობდა მძლავრი ქართული კოლონია, სადაც მოღვაწეობდნენ ცნობილი მრეწველ-მეწარმენი: ძმები ზუბალაშვილები, აკაკი ხოშტარია, იოსებ დადიანი, თ. ჯაყელი და სხვ. ისინი თავიანთ სხვა თანამემამულეებთან ერთად დიდ ყურადღებას უთმობდნენ ეროვნულ საქმიანობას. ამ ქალაქში 1909 წლიდან მოქმედებდა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების განყოფილება, გახსნილი იყო ქართული სკოლები, ბიბლიოთეკა, ჩამოყალიბდა ქართული თეატრალური დასი და სხვ. ამასთან, მნიშვნელოვანი იყო ისიც, რომ ბაქოში ჯერ კიდევ 1908 წელს შეიქმნა ეროვნულ-დემოკრატიული მიმართულების პოლიტიკური ორგანიზაცია "საქართველოს ნაციონალური პარტიის" სახელწოდებით. ორგანიზაციის საპროგრამო მოთხოვნებს საქართველოს ფართო ეროვნულ-ტერიტორიული ავტონომია, ქართული ეკლესიის ავტოკეფალია, დემოკრატიული წეს-წყობილების დამყარება და სხვ. შეადგენდა (სცსსა, ფ.94, ანაწ. 1, საქ. 433, ფურც. 19).

ბაქოელ ეროვნულ-დემოკრატთა უმთავრესი ლოზუნგი - "ქართველებო, ყველა კლასისა შეერთდით" - მიზნად ისახავდა ცალკე აღებულ არა პროლეტართა, გლეხურ, თავადაზნაურულ, საეკლესიო და სხვა მისწრაფებებს, არამედ ზოგადქართული, - საერთო ეროვნული ინტერესების სამსახურს. ორგანიზაციას სათავეში ედგა სამთამადნო ინჟინერი და მდიდარი მრეწველი იოსებ დადიანი, რომელიც 1915 წლის დამდეგიდან ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ბაქოს განყოფილებას ხელმძღვანელობდა. ალექსანდრე ასათიანის სიტყვით, იოსებ დადიანს პირადი ქონება "ეროვნულ სალაროდ ჰქონდა გადაქცეული". სამშობლოს კერაზე არ მიტანილა არც ერთი ნაკვერცხალი, მის ასაღვივებლად და ასანთებად, რომელსაც არ მისწვდენოდეს ი. დადიანის ხელი. ქართულ სკოლას, ეკლესიას, მეცნიერებას, ხელოვნებას, მწერლობას თუ სხვ. ი. დადიანი უწევდა დახმარებას "თაოსნობით, შრომით, ქონებრვი სახსრით" (ალ. ასათიანი, თავადი იოსებ დადიანი, ჟურნ. "სამშობლო", 1937, პარიზი, № 21-22, გვ.38-39).

ცნობილი ქველმოქმედები და ეროვნულ საქმეთა დიდი ჭირისუფალნი იყვნენ, აგრეთვე, ბაქოსა და სპარსეთში მოღვაწე აკაკი ხოშტარია, ძმები ზუბალაშვილები და სხვ. ყველა ამათი იმედით სპირიდონ კედია ბაქოში ჩავიდა. იქაური შეძლებული ქართველობა მოწონებით შეხვდა ახალგაზრდა თანამემამულის განზრახვას, დიდი ნდობა გამოუცხადა და თანადგომაც აღუთქვა მას. აღსანიშნავია, რომ ბაქოელმა ქართველებმა მომავალი გაზეთისთვის გარკვეული თანხაც გაიღეს, რომელიც სპირიდონ კედიას გადაეცა. ეს თანხა უმთავრესად სტამბის შეძენას მოხმარდა.

თბილისში იმ დროს გამოდიოდა ეროვნული და დემოკრატიული მიმართულების ჟურნალი "კლდე". იგი ყოველკვირეული გამოცემა იყო 700-750-იანი ტირაჟით და თავისი არსებობის სამი წლის მანძილზე უკვე მოესწრო გაეტეხა "უიმედობით დაბურული ცხოვრების ტყე". ჟურნალის გარშემო შემოკრებილი იყო ეროვნულ მოღვაწეთა მტკიცე ჯგუფი რევაზ გაბაშვილის, შალვა ამირეჯიბის, შალვა ქარუმიძის, დავით კასრაძის, დავით ვაჩნაძის, დიმიტრი ჯავახიშვილის, იროდიონ სონღულაშვილის, ალექსანდრე სარაჯიშვილის, ალექსანდრე ფრონელის (ყიფშიძე) და სხვ. შემადგენლობით. სპირიდონ კედიამ ახლა ამ ჯგუფის წევრებს მიმართა. გადაწყდა, "კლდის" ბაზაზე დაეფუძნებინათ ყოველდღიური გაზეთი, რომელიც ჟურნალთან შედარებით უკეთ მოახერხებდა იმავე მიზნების სამსახურს და "ქართული ეროვნული მომავლისაკენ გაჭრილ ბილიკს" კიდევ უფრო გააფართოებდა.

გაზეთის დაარსებისთვის სახსრების მოძიება საქართველოშიც გაგრძელდა. ქუთაისის არქიმანდრიტმა ნაზარმა ამ საქმისთვის 800 მანეთი გამოგზავნა, ხოლო თბილისის გუბერნიის (ქართლ-კახეთის) თავადაზნაურთა მარშალმა დიმიტრი ჩოლოყაშვილმა 5000 მანეთი გაიღო. ახალი გაზეთის დამფუძნებლებს მატერიალური დახმარება გაუწიეს, აგრეთვე, თბილისში თევზეულით მოვაჭრე ძმებმა ძეგველაშვილებმა და სხვა კერძო პირებმა (გ. ციციშვილი, სანდრო შანშიაშვილი, თბ., 1962, გვ.37).

ევროპაში უკვე მძვინვარებდა პირველი მსოფლიო ომის ხანძარი. საქართველო, როგორც ერთ-ერთი მეომარ სახელმწიფოს - რუსეთის შემადგენელი ნაწილი, ძალაუნებურად აღმოჩნდა ჩაბმული ამ ომში. ამასთან, ოსმალეთთან გაჩაღებულმა საბრძოლო შეტაკებებმა ჩვენი ქვეყანა ფრონტისპირა მხარედ აქცია. ასეთ პირობებში ეროვნული სულისკვეთების გაზეთის დაარსება მეტად ძნელი და სარისკო ჩანდა.

ადმინისტრაცია ეჭვით უყურებდა პატრიოტულ გამოცემებს. "კლდის" რედაქციასა და ცენზურას შორისაც მუდმივი დაპირისპირება იყო. ჟურნალის მესვეურთა წრეში მომავალი რედაქტორის შერჩევა თითქმის შეუძლებელი გახდა, ამ როლს ვერც სპირდონ კედია იკისრებდა - იგი ხომ საპყრობილიდან ახალი გამოსული იყო.

უნდა გამოძებნილიყო ხელისუფლების თვალში "კეთილსაიმედო" რეპუტაციის მქონე ნეიტრალური პიროვნება, რომელიც მომავალ გამოცემას გაუძღვებოდა. არჩევანი ნიჭიერ ახალგაზრდა პოეტსა და დრამატურგ სანდრო შანშიაშვილზე შეჩერდა. იგი ციურიხისა და ბერნის უნივერსიტეტებში მეცნიერების სხვადასხვა დარგებს ეუფლებოდა, მაგრამ 1914 წლის ზაფხულში სამშობლოში არდადეგებზე ჩამოსულს მსოფლიო ომმა სწავლის დამთავრების საშუალება აღარ მისცა.

ს. შანშიაშვილმა 1915 წლის 12 თებერვალს თბილისის გუბერნატორისგან მიიღო ოფიციალური ნებართვა, გამოეცა ყოველდღიური პოლიტიკური, ლიტერატურულ-მხატვრული ილუსტრირებული ქართულენოვანი გაზეთი. მის სახელწოდებად "საქართველო" შეირჩა. ახალი გაზეთის პროგრამა ასე განისაზღვრა: 1. სააგენტოთა დეპეშები: 2. მთავრობის მოქმედება და განკარგულებანი; 3. საშინაო და უცხოური ქრონიკა; 4. კავკასიის, რუსეთისა და უცხოეთის სავაჭრო-სამრეწველო ცხოვრების მიმოხილვა; 5. ცალკეული სტატიები ადგილობრივი საერთო-სახელმწიფოებრივი ცხოვრების საკითხებზე; 6. სტატიები სოფლის მეურნეობაზე და მეოჯახეობაზე; 7. პოპულარული და სამეცნიერო-პოლიტიკური წერილები; 8. საშინაო და საგარეო მიმოხილვა; 9. ფელეტონები დღის თემებზე; 10. საზოგადოებრივი, სასამართლო და სამეცნიერო ორგანიზაციების ანგარიშები; 11. ბელეტრისტიკა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოთხრობები, ლექსები; **12.** თეატრი და ხელოვნება; **13.** კრიტიკა და ბიბლიოგრაფია; **14.** კორესპონდენციები; **15.** საცნობარო განყოფილება; **16.** საბირჟო ცნობები და სხვადასხვა საქონელზე ბაზრის ფასები; **17.** ცნობილ ადამიანთა პორტრეტები, კარიკატურები, ილუსტრაციები; **18.** იუმორი და განცხადებები; **19.** ნარევი; **20.** წერილები რედაქციას (სცსსა, ფ. **480**, ანაწ. **2**, საქ. **1088**, ფურც.**1-2**).

"საქართველოს" გამომცემლისა და პასუხისმგებელი რედაქტორის პოსტზე სანდრო შანშიაშვილი დამტკიცდა. ზემოთ ხსენებული "კლდის" ჯგუფის გარდა, გაზეთმა შემოიკრიბა ქართული ინტელიგენციის თვალსაჩინო წარმომადგენლები, მწერლები, პოეტები, პუბლიცისტები, რომელთა შორის აღსანიშნავია შიო არაგვისპირელი, შალვა დადიანი, მიხეილ ჯავახიშვილი, კოტე მაყაშვილი, გერონტი ქიქოძე, სანდრო ახმეტელი, რაფიელ ინგილო (ივანიცკი), დავით ჩიქოვანი და სხვ.

რედაქციამ ბინა დაიდო მოსკოვის ქუჩაზე მდებარე ეკატერინე გაბაშვილის სახლში, რომლის სამი ოთახი მწერალმა ქალმა უფასოდ დაუთმო გაზეთის გამომცემლებს (ს. შანშიაშვილი, თქვენც რომ გახსოვდეთ ახალგაზრდებო, თბ., **1977**, გვ.**68**).

"საქართველოს პირველი ნომერი **1915** წლის **24** მაისს გამოვიდა. იგი იხსნებოდა მოწინავე წერილით, რომელიც მკითხველს აცნობდა რედაქციის მიზნებსა და ამოცანებს. აღნიშნული იყო, რომ გაზეთის გამოცემა მძიმე მომენტში იწყებოდა. დასავლეთ ევროპა, რუსეთი და ჩვენი სამშობლოც ომის ალშია გახვეული, ძველ ჭეშმარიტებებსა და იდეალებს საფუძველი ეშლებათ, ხოლო ახალი ცხოვრების სახე ჯერაც გაურკვეველია. ასეთ ვითარებაში, რედაქციის აზრით, "უწინარეს ყოვლისა ეროვნული თავდაცვის ორგანო გვესაჭიროება. სადღეისო საკითხი ეროვნული ძალების თავმოყრა და დარაზმვაა. ხვალ მათი ამოძრავება დაგვჭირდება". "საქართველოს" მესვეურებს თავიანთი გაზეთი სწორედ ასეთ ორგანოდ ჰქონდათ წარმოდგენილი, ამიტომ იგი არ უნდა ყოფილიყო ვიწრო ჯგუფური და არც ვიწრო კლასობრივი. ახალ გამოცემას მთელი ერის ინტერესების დაცვა უნდა ეკისრა, "პარტიული მართლმორწმუნოება-სულიერი ხალვათობისა და მუდმივი ეჭვიანობისათვის - თავისუფალი ძიება დაეპირისპირებინა."

მოწინავეში შემდეგ გამოკვეთილი იყო საქართველოს სასიცოცხლოდ აუცილებელი ის ეროვნული პრიორიტეტები, რომელთა განხორციელებას მტკიცედ შეკრული და საერთო იდეით განმსჭვალული მთელი ერის ძალისხმევა უნდა მოხმარებოდა. უპირველესი მნიშვნელობის საკითხად, "ურომლისოდ ყოვლად შეუძლებელია ეროვნული შემოქმედება", დასახელებული იყო ტერიტორია.

ეროვნული თვითმმართველობის (წაიკითხე - თავისუფლების - ო.ჯ.) მიღწევის საფეხურებად გაზეთის რედაქციას ქართული სკოლა და ეროვნული ეკლესიის თვითმწყემსობა მიაჩნდა. დიდი როლი ენიჭებოდა, აგრეთვე, ეროვნული მეურნეობის, წარმოებისა და ალებმიცემობის განვითარებას. ხაზგასმით იყო მითითებული, რომ "ნამდვილი თავისუფლების მოპოვება მხოლოდ ისეთ ერს შეუძლიან, რომელმაც სათანადო დისციპლინა და საქმიანობის უნარი გამოიჩინა ეკონომიკურ სფეროში."

"ჩვენ ვიცავთ ეროვნულ თავისებურობას და არა განკერძოებას და კარჩაკეტილობას" - აცხადებდნენ გაზეთის დამფუძნებლები. გვწყურია ვეზიაროთ თანამედროვე მოწინავე ერების კულტურას, მაგრამ არ გვინდა, რომ ერთი რომელიმე ერის გავლენას დავემორჩილოთ. დაწინაურებული და კულტუროსანი ქვეყნების გამოცდილება ჩვენ ბუნებასა და მოთხოვნილებებს უნდა შევუფარდოთ, სხვანაირად "თავს ვერ დავაღწევთ უმწეო და მონურ წაბაძულობას, რომელიც უნიჭო და სუსტ ერთა ხვედრია", - ნათქვამი იყო იქვე.

წერილის დასასრულს გამოთქმული იყო რწმენა, რომ "დიად საქმეს დიადი ენთუზიაზმი შობს" და რომ საქართველოში "ბლომად მოიპოვება ის მდუღარება სულისა", რომელიც დასახულ მიზანს რეალობად აქცევს ("საქართველო" **1915**, **№ 1**).

"საქართველოს" პირველი ნომრის მოწინავეს შემთხვევით არ დავუთმეთ ასეთი ყურადღება. მიუხედავად იმისა, რომ ეს სარედაქციო წერილი ხელმოუწერლად დაიბეჭდა, ჩვენ მის ავტორად სპირიდონ კედია მიგვაჩნია. საამისოდ მრავალი არგუმენტი არსებობს, მათ შორის სპ. კედიას ხელმოწერილი სხვა პუბლიკაციები ამავე გაზეთის ფურცლებზე, რომლებშიც დაბეჯითებით სწორედ იგივე აზრებია გატარებული. ამასთან, საგულისხმოა სპირიდონ კედიას სტილიც - ოდნავ ამაღლებული და დახვეწილი, რომელიც საერთოა მისი ნაწერებისთვის და განირჩევა "საქართველოს" სხვა ავტორთა წერის მანერისგან. სანიმუშოდ გაზეთის დასახელებულ ნომერში დაბეჭდილი სპ. კედიას ერთი სტატიის მოკლე ნაწყვეტიც გამოდგება: "ეროვნული სხეული მაგრად, მტკიცედ უნდა იდგეს მჭიდრო ტერიტორიაზედ, რომელიც ერთსა და იმავე დროს მისი აკვანიცაა და საფლავიც", - წერდა ეროვნულ-დემოკრატთა მომავალი ლიდერი. "არ ვეკრძალვით ვსთქვათ, ჩვენი მისწრაფების ლურსმანი სწორედ ამ აკვან-საფლავის დაცვაა, საქართველოს საზღვრების აღდგენაა, ... საქართველო ყველა ქართველისაა" - მიუთითებდა ავტორი. "მისი საზღვარი ყველა ჩვენის საზღვარია. მაშ ნუღა ვიქნებით გათიშული ამ თავი და თავი საკითხის გარშემო. ფსიქოლოგიურად შემოვიმიჯნოთ თავი ჩვენი და ნივთიერი ზღუდე გარშემოუდგათ ჩვენსა ქვეყანას" (სპ. კედია, ჩვენი სიტყვა, "საქართველო", **1915**, **№ 1**).

ახალი გაზეთის დანიშნულება სპირიდონ კედიასა და მის თანამოაზრეებს ასე წარმოედგინათ: "ერის ძირითადი ინტერესების დაცვა, მისი მრავალფეროვანი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება, ქვეყნის მმართველი იდეის შექმნა და მაგიერობა იმ ორგანოს, რომელიც ეროვნულ-პოლიტიკურ უფლებით აღჭურვილ ერში ამ იდეის განაღდებას და განხორციელებას ემსახურება."

"საქართველოს" გამოსვლამ ფართო რეზონანსი გამოიწვია. საზოგადოდ, ეს დიდმნიშვნელოვანი ისტორიული და კულტურული მოვლენა იყო, რომელიც თავისთავად იმსახურებდა ყურადღებას, მაგრამ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ძალთა უმეტესობამ ახალი ეროვნული გამოცემა მხოლოდ საკუთარი სამრეკლოდან შეაფასა. სოციალ-დემოკრატებისთვის მიუღებელი იყო "კლასთა თანხმობა და თანამშრომლობა". მათ ვერც კი წარმოედგინათ ერთიანი ეროვნული ინტერესების არსებობა. ამიტომ ამ მიმართულების პრესა ეჭვით შეხვდა "საქართველოს" განზრახვა-ჩანაფიქრს. გაზეთი "ახალი კვალი" შენიშნავდა: "საქართველოს მიმართულება არც ისე ახალია. ის აღმოცენდა ჟურნალ "კლდის" საფუძველზე, რომელმაც "გაბედულად უკუაგდო სოციალისტური სამოსელი და ნაციონალურ ბურჟუაზიული დროშით მოევლინა ჩვენს საზოგადოებას". "საქართველოს" სურს აწარმოოს ზეკლასიური პოლიტიკა... ეს ძველებური ხერხია: კლასიურ პოლიტიკას ეროვნულად ასაღებენ, ეროვნულ მანტიაში "ვიწრო ჯგუფობრივ" ინტერესებისათვის იბრძვიან, ეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენს მკითხველს კარგად უნდა ახსოვდეს" ("ახალი კვალი", 1915, № 5).

გაზეთ "თანამედროვე აზრის" სიტყვით, "ყველა ჯურისა და ფერის ნაციონალისტს თავის თავი მთელი ერის დამცველად და ჭირისუფლად მოაქვს, თუმცა ნამდვილად იგი ერთი კლასის და ისიც გაბატონებულის მებაირაღტრეა. "საქართველოც", რასაკვირველია, ზეკლასიურ დროშას აფრიალებს... ეს არის დროშა მებრძოლი ნაციონალიზმის" ("თანამედროვე აზრი", 1915, № 69).

ფედერალისტური "სახალხო ფურცელი" თავის მკითხველს მოკლედ აუწყებდა "საქართველოს" პირველი ნომრის გამოსვლას, აცნობდა მისი სარედაქციო წერილის ძირითად დებულებებს და დასძენდა: "საქართველოს" საქმიანობის სრული სურათი მხოლოდ მაშინ წარმოგვიდგება, როდესაც ყველა ეს საკითხი შინაგანი თვისებებით ერთმანეთს შეუთანხმდება და ერთ მთლიან მიმართულებად იქცევა" ("სახალხო ფურცელი", 1915, № 290). სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის ეს მომლოდინე პოლიტიკა სულ რაღაც 5 თვის შემდეგ შეუნიღბავ აგრესიასა და დაპირისპირებაში გადაიზარდა. 1915 წლის 12 ოქტომბერს ახლად დაარსებული გაზეთი "ზვიოთი" წერდა: "ქართველ საზოგადოებაში ეხლა არც ერთი ჯგუფი ისე შორს არ არის ჩვენგან, როგორც "საქართველოელთა" ჯგუფი... წინათ ჩვენ და მათ გვაახლოებდა ეროვნული საკითხი, იმიტომ რომ ეროვნულ-პოლიტიკური სახე არ იყო სათანადოდ ჩამოყალიბებული. ეხლა ეს ბურჟუაზიულ-ფეოდალური წრეები აშკარად დაადგნენ შოვინიზმის გზას და პაწია იმპერიალისტების პოლიტიკას... თუ აწმყო არ წყალობს "საქართველოს", უეჭველია მომავალი მისი სამარეა" ("ზვიოთი", 1915, № 1) - წინასწარმეტყველებდა ფედერალისტი პუბლიცისტი.

ცოტა მოგვიანებით "სახალხო ფურცლის" თანამშრომელი მიუთითებდა: "საქართველო" არ შეიძლება იყოს სერიოზული მიმართულების ორგანო, ვინაიდან სერიოზულობა და გამოურკვევლობა შეუძლებელია". გამოურკვევლობაში ავტორი გულისხმობდა იმას, რომ ვითომდა "გაზეთ "საქართველოს" არ მოეპოვება სოციოლოგიური კონცეპცია და პოლიტიკური დოქტრინა".

ერთადერთი გამოცემა, რომელიც კმაყოფილებით მიესალმა სპირიდონ კედიასა და მის თანამოაზრეთა ახალ ორგანოს, ქუთაისში გამომავალი გაზეთი "სამშობლო" იყო. მის ფურცლებზე ვკითხულობთ: "სიამოვნებით ვეგებებით გაზეთ "საქართველოს". ჩვენ ყოველთვის გვწამდა, რომ მადლი საქართველოს ჭირნახულობისა არ დაიკარგებოდა და ერთხელაც იქნებოდა საქართველოს საუკეთესო შვილნი თავს გამოიდებდნენ ჩვენი სამშობლოს სახელით, ამავე სამშობლოს ასაყვავებლად და გასაძლიერებლად. ჩვენც ჩვენს სუსტ ძალ-ღონეს ეროვნულ-დემოკრატიული იდეების გავრცელებას ვახმარდით და რაკი ამ დღეს მოვესწარით, რომ "საქართველოს" გარშემო შემოიკრიბნენ ფხიზელი ძალები, სიხარულით გილოცავთ, მკითხველებო" ("სამშობლო", 1915, № 82).

გაზეთ "საქართველოს" მრწამსი და სულისკვეთება კარგად ჩანს 1915 წლის ერთ მეთაურ წერილში, რომელიც ცენზურას ლამის გაუნახევრებია. მოწინავის ავტორი სპირიდონ კედია წერდა: "ჩვენი სიტყვის და საქმის საგანია: "ჩვენი თავი ჩვენვე გვეყუდნოს", ყოველდღიური საქმიანობა ამის მისაღწევად და ამ მიზნით უნდა იქნას გაშუქებული" (სპ. კედია, ჯერ საქართველო, "საქართველო", 1915, № 37). ეს, არსებითად, სამშობლოს თავისუფლების ილია ჭავჭავაძისეული ლოზუნგის გაცოცხლება იყო უილიო საქართველოში.

მართლაც, "საქართველოს" დამფუძნებლებმა ფარზე აზიდეს ილიასგან წარმოჩენილი და ხაზგასმული ტრიადა - "სამი ღვთაებრივი საუნჯე - მამული, ენა, სარწმუნოება" და სიტყვით თუ კალმით მათი დაცვა-შენარჩუნებისთვის იწყეს ბრძოლა. გაზეთის პუბლიცისტებს მშობლიური ენა ქართველი ერის მორალური სიმდიდრის პანთეონად მიაჩნდათ, ქართული ეკლესია - ქართველი ხალხის სულიერი სიდიადის, საქართველოს მიწა-წყალი კი ერის ქონებრივი სიდიადის პანთეონად. "დედა ენა, ეროვნული ეკლესია და ეროვნული ტერიტორია, - აი, დღევანდელი სამი მცნება ყოველი ქართველისა, რომელმაც იგი გულში ჩახუტული უნდა ატაროს... ქართველმა ერმა არ უნდა დაივიწყოს, რომ ეს განძი ის სამი ბურჯია, რომელზედაც აღორძინდება მომავალი ძლიერი საქართველო", წერდნენ ისინი.

"საქართველო" მყისვე ეხმაურებოდა ქვეყნის ცხოვრებაში მომხდარ ყველა მნიშვნელოვან მოვლენას და მათ შესახებ პირუთვნელ აზრს გამოთქვამდა. გაზეთი იშვიათად გამოვიდოდა მეთაური წერილის გარეშე. ყოველი მოწინავე ერის ამა თუ იმ საჭირბოროტო პრობლემას ეხებოდა, მკითხველს ნათლად და მკაფიოდ განუმარტავდა საკითხის არსს, მიუთითებდა მოსალოდნელ საფრთხესა და შესაძლო სარგებლიანობაზე. წერილებს გამოარჩევდა მკვეთრად გამოხატული ეროვნული და სახელმწიფოებრივი ინტერესი, სიმართლისკენ სწრაფვა და ჭეშმარიტების ძიება, მომავლის რწმენა და იმედი. გაზეთი უპირატესობას ზომიერ და თავდაჭერილ ტონს ანიჭებდა.

ცენზურის სულისშემხუთველ ატმოსფეროში ძნელი იყო მკითხველისთვის აზრისა და სათქმელის პირდაპირ გაზიარება, მაგრამ "საქართველოს" პუბლიცისტთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ისინი მაინც ახერხებდნენ ამას. გაზეთი მტკიცედ ესწრაფოდა საქართველოს თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას, თუმცა ამ ცნებათა საჯაროდ გამოყენებას ერიდებოდა. ამის მიუხედავად, დაკვირვებული და საზრიანი მკითხველი ადვილად მიხვდებოდა, რომ "ეროვნული თვით-აღდგენა", რომელიც "საქართველოს" "ყოველი ქართველის უდავო დევიზად" მიაჩნდა ("საქართველო", 1915, № 167), სხვა არაფერი იყო, თუ არა სამშობლოს თვითმპყრობელობის უღლისგან დახსნა, მისი თავისუფალი, სახელმწიფოებრივი განვითარება. ამის მიღწევის უმთავრეს პირობად გაზეთს "ეროვნული ერთობა" ესახებოდა. "ამას ვემსახუროთ, ამაზედ ვწეროთ, ეს ვიქადაგოთ" - მიუთითებდა გამოცემის ერთ-ერთი ნომრის მოწინავე.

"საქართველოს" მესვეურებს ღრმად ჰქონდათ შეგნებული, რომ, "რაც კეთილშობილება, მაღალი ზნეობა, სიფაქიზე და პატიოსნება გაზეთის მუშაკსა და ხელმძღვანელს მოეთხოვება, იმდენი იშვიათად თუ ვინმეს მოეკითხება". რედაქცია ერთგულად იცავდა მისსავე პრინციპს: "დიდი მამულიშვილობა და მორალური სიმტკიცე ჰმართებს, ვინც სათავეში მოექცევა ჩვენს საზოგადოებრივ აზროვნებას თუ სხვადასხვა ქართულ დაწესებულებას, ... ყველგან, ყოველს ადგილზე უნდა იდგეს პიროვნება, რომელსაც ესმის მშობლიური ქვეყნის განცდანი, სწამს ქართული საქმე და მომავალს იმედით შეჰყურებს".

თანამედროვენი "საქართველოს" ევროპული დონის გამოცემად მიიჩნევდნენ. ამაში, ცხადია, არ იგულისხმება გაზეთის ტექნიკური მხარე და პოლიგრაფიული მახასიათებლები. ამ მხრივ "საქართველოს" შესაძლებლობანი ერთობ მოკრძალებული იყო. შედარებისას ყურადღება ძირითადად პუბლიკაციათა ანალი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტიკურ ხასიათზე, მასალის შინაარსობრივ ღირსებებზე და საერთო სტილზეა გამახვილებული, რითაც ქართული გამოცემა მართლაც რომ მოწოდების სიმაღლეზე იდგა. ტიციან ტაბიძის სიტყვით, "საქართველოს" ეტყობა მეტი ევროპულობა, შეიძლება ითქვას, წერის ფრანგული მანერა. ეს სპირიდონ კედიას ხელია".

მიხეილ მაჩაბელი წერდა, რომ "საქართველო" ჩინებული გაზეთი დადგა... ჯანსაღი მიმართულება, სწორი კურსი, საქმისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულება და გულწრფელობა მოსჩანს მის ხელმძღვანელობაშიო.

"საქართველოს" უმთავრეს თანამშრომელთა შორის სპირიდონ კედიასა და ყოფილ "კლდეელთა" გარდა უნდა დავასახელოთ: ნიკო ნიკოლაძე, ვასილ ბარნოვი, გიორგი გვაზავა, ალექსანდრე ასათიანი, გრგოლ ვეშაპელი, ექვთიმე თაყაიშვილი, ტიციან ტაბიძე, ლელი ჯაფარიძე, ივანე მაჭავარიანი, ივანე ზურაბიშვილი და სხვ. გაზეთმა თავისი არსებობის **6** წლის მანძილზე რამდენიმე რედაქტოორი გამოიცვალა.

დაარსებიდან **1917** წლის **12** აპრილამდე გამოცემას სანდრო შანშიაშვილი უძღვებოდა. იგი რედაქტორის პოსტზე გრიგოლ ვეშაპელმა შეცვალა. როდესაც ეროვნულ-დემოკრატთა შორის განხეთქილება მოხდა და პარტიის მთავარ კომიტეტს წევრთა ერთი ნაწილი გამოეყო დამოუკიდებელი ნაციონალ-დემოკრატების (იგივე ეროვნული, იგივე მიწის მესაკუთრეთა ეროვნული პარტია) სახით, გ. ვეშაპელი ამ ორგანიზაციის თავმჯდომარედ მოგვევლინა. ბუნებრივია, იგი "საქართველოს" რედაქტორად ველარ დარჩებოდა და არც დარჩენილა. მან ჯერ გაზეთი "კლდე" დააფუძნა, რომელიც მოგვიანებით "სალი კლდის", "პიტალო კლდის", "ნაციონალისტისა" და "მიწის" სახელწოდებით გამოიცემოდა.

**1918** წლის აგვისტოს შუა რიცხვებიდან "საქართველოს" გაძღოლა გერონტი ქიქოძეს დაეკისრა. მისი რედაქტორობით გაზეთი **1919** წლის **18** მაისამდე გამოდიოდა. ამის შემდეგ კი გამოცემას უშუალოდ სპირიდონ კედია ხელმძღვანელობდა (გ. ქიქოძე საერთოდ გავიდა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის რიგებიდან). სპირიდონისთვის, ცხადია, ძნელი იყო ერთდროულად პარტიის თავმჯდომარეობა, დამფუძნებელ კრებაში მოღვაწეობა და ყოველდღიური ორგანოს რედაქტორობა, მაგრამ იგი თავდაუზოგავად მუშაობდა და ყველაფერს ასწრებდა. მის მოუცლელობას არც ერთი საქმისთვის ხელი არ შეუშლია. გაზეთის პოპულარობა მატულობდა, ფართოვდებოდა მკითხველთა და ხელისმომწერთა რაოდენობა, იზრდებოდა ტირაჟიც, მაგრამ მალე ყველაფერი შეიცვალა...

"საქართველოს" უკანასკნელი ნომერი **1921** წლის **23** თებერვალს დაიბეჭდა, როდესაც ბოლშევიკური ურდოები თბილისის კარიბჭეს მოადგნენ და დედაქალაქში შემოჭრილი მტრის ზარბაზანთა ქუხილი ისმოდა.



ეროვნული ბიბლიოთეკა

თეიმურაზ მთიბელაშვილი

# მერაბ მამარდაშვილი და ქართული ეროვნული გონი



უკვე თემის სათაურიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, გამოვთქვათ ზოგიერთი მოსაზრება იმის თაობაზე, თუ რა აზრითა და რა კონტექსტში შეგვიძლია მივიჩნიოთ მერაბ მამარდაშვილის ფილოსოფია ქართული ფილოსოფიის ნაწილად, უფრო ზოგად კონტექსტში კი, მასში დავანებული გონი - ქართული ეროვნული გონის ერთ-ერთ საუკეთესო კერძო გამოვლენად.

ამ საკითხის გარკვევა მნიშვნელოვანია იმის გამოც, რომ მერაბ მამარდაშვილის ფილოსოფია, მის მთლიანობაში, ნამდვილად სრულად ვერ აკმაყოფილებს იმ მოთხოვნებს, ცალსახად არ ფლობს იმ, ემპირიულის სიბრტყეში მდებარე ნიშნებს (სამუშაო ენა, გარემო და ა.შ.), რომელთა მიხედვით შესაძლებელი იქნებოდა მის ამა თუ იმ ეროვნულ კუთვნილებაზე მსჯელობა. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს უაღრესად მაღალი დონის, ჭეშმარიტად ორიგინალურ ფილოსოფიურ აზროვნებასთან, რომელიც, როგორც ასეთი, ორიენტირებულია საერთოდ სინამდვილის და საერთოდ ადამიანის (კერძოდ კი მისი აზროვნების) პრობლემებზე და ნებისმიერი ერის კულტურული თუ ისტორიული სინამდვილე და მასალაც მისი ყურადღების სფეროში ექცევა, უპირველესად, სწორედ ამ პრობლემების გადაჭრისა და გააზრების სიბრტყეში და შუქზე. საერთოდაც, ფილოსოფია, მით უმეტეს მერაბ მამარდაშვილისა, როგორც ჩანს, მისი საგნის სპეციფიკის გამო, ადამიანის სულიერი მოღვაწეობის ისეთი სფეროა, რომლის ამა თუ იმ ეროვნულ კუთვნილებასაც ფილოსოფოსის ეროვნულ კუთვნილებასთან, სამუშაო ენასთან, გეოგრაფიულ და კულტურულ გარემოსთან, ისტორიულ დროსთან და სხვა ამგვარ, თავისთავად ძალზედ მნიშვნელოვან მახასიათებლებთან ერთად განსაზღვრავს და განაპირობებს კიდევ რაღაც სხვა, უფრო სიღრმისეული და მნიშვნელოვანი ფენომენიც.

ამ ფენომენის წარმოსაჩენად, იმის იმედით, რომ ასეთი რამ, ასე თუ ისე, შეესაბამება თვით მერაბ მამარდაშვილის აზროვნების სტილს, თავს უფლებას მივცემთ, მოვიყვანოთ ერთი ასეთი მაგალითი ჩვენი პირადი სულიერი გამოცდილებიდან:

ოთხმოციანი წლების დასაწყისში "ფუტბოლ-ხოკეიში" სამოციანი წლების ცნობილი ფეხბურთელი ვ.პონედელნიკი თბილისის დინამოს ფეხბურთელთა მიერ ჩატარებული მატჩების ერთ-ერთ არსებით თავისებურებად მიიჩნევდა იმას, რომ თავისთავად სრულყოფილი ყოველი საფეხბურთო სპექტაკლი, თავის მხრივ, შედგებოდა ისეთი, თავის გვარში განუმეორებელი და უნიკალური, იერსახის მქონე პატარ-პატარა საფეხბურთო მინიატურებისგან, რომელთაგანაც არც ერთი არ იყო მთლიანად გათვლილი მაინცადამაინც მატჩის საბოლოო შედეგზე და რომელთაგან თითოეულიც, იქნებ, სწორედ ამიტომაც, თამამად შეიძლებოდა მიჩნეული ყოფილიყო საფეხბურთო ხელოვნების შედევრად და უმშვენიერეს ნიმუშად.

მრავალი წლის შემდეგ, მერაბ მამარდაშვილის ერთ-ერთი ნაშრომის კითხვისას, ქართული ფეხბურთის საუკეთესო ნიმუშთა სწორედ ეს, ვ. პონედელნიკისეული ანალიზი ამომიტივტივდა მეხსიერებაში და ეს, ვფიქრობ, შემთხვევითი არ იყო. მე ვეცნობოდი ადამიანის აზროვნებას, რომლის ყოველი ნაწილი თუ მონაკვეთი თავისთავად ასხივებდა დიდ ფილოსოფიურ სიბრძნეს. ამასთან, არც ერთი ამ მონაკვეთთაგანი, როგორც ფილოსოფოსის ცნობიერების სიცოცხლის აი ახლა და აქ, აწმყოში მიმდინარე ხდომილება, თითქმის არასოდეს იყო გათვლილი რაღაც შორეულ მომავალზე, თუნდაც მხოლოდ თვით ფილოსოფოსისთვის წინასწარ ცნობილ შედეგზე, რომელთანაც ამ აწმყოს უნდა დაეახლოებინე და მიეეყვანე.

კულტურა, აღნიშნავდა მერაბ მამარდაშვილი, *არის არა მზა ღირებულებებისა და პროდუქტების ჯამი, რომლებიც მხოლოდდა ელიან მოხმარებასა და გაცნობიერებას. ისაა ადამიანის უნარი და ძალისხმევა - იყოს; ესაა უწყვეტი და კვლავ და კვლავ განახლებადი და გაფართოებადი ფლობა ცოცხალი განსხვავებებისა.*

ჩვენს გარშემო (და ჩვენშიც) არსებული ურთიერთგანსხვავებული საგნებისა და მოვლენების, ხდომილებების ეს დაუფლება გაფართოებადი პროცესია და, როგორც ასეთს, თვით მერაბ მამარდაშვილის ფილოსოფიის მაგალითზე თუ ვიმსჯელებთ, დიდი შინაგანი მთლიანობა და ერთიანობაც ახასიათებს. მაგრამ აქ ამ ერთიანობის საფუძველია არა იმდენად აზროვნების მარტივიდან რთულისკენ, სამყაროს ემპირიული შრეებიდან მისი მეტაფიზიკური სიღრმეებისკენ თანდათანობითი სვლა, არამედ თვით ჭეშმარიტება, სამყაროული წესრიგის საფუძველმდებარე სიბრძნე, რომელსაც ფილოსო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფოსი აზროვნების ყოველ საფეხურზე, აწმყოს ყოველ წერტილში თითქმის სრულყოფილად ეუფლება და წარმოაჩენს. ამიტომ მერაბ მამარდაშვილის ნააზრევის შინაგანი სიმწყობრე და ერთიანობა ისევე, როგორც საერთოდ კულტურისა, ემყარება და წარმოადგენს არა იმდენად ზოგადისა და ერთეულის, რამდენადაც მთელისა და ისეთი ნაწილების ერთიანობას, რომელთაგან თითოეულს (ისევე, როგორც მთელს), როგორც თავის გვარში განუმეორებელ და უნიკალურ მოვლენას, აქვს არა მხოლოდ ვიწრო შემეცნებითი, არამედ სრულყოფილი ზოგადკულტურული ღირებულებაც. მისი აზროვნება, - ესაა დიდი მოაზროვნის მიერ სამყაროსა და საკუთარი თავის დაუფლების თავისთავადი და უნიკალური გზა, რომლის ყოველ, თუნდაც სულ მცირე მონაკვეთსაც კი, ის სულიერი ძალების მაქსიმალური დაძაბვითა და ენერგიის დაუზოგავი ხარჯვით, ყოველთვის აი ახლა და აქ, ჩვენს თვალწინ და ჩვენივე თანდასწრებით გადის ისე, რომ არც ერთი ამ მონაკვეთთაგანი არაა მომავალ მონაკვეთებზე დასადგენი რალაც უფრო ზოგადი ცოდნისა და ჭეშმარიტების მხოლოდლა საშუალება.

ეს გზა სრულიადაც არაა ის გზა, რომელზე სვლის მიზანიც მის ბოლოში არსებულ იმ "ტაძრამდე" მიღწევაა, რომლის უეჭველი არსებობაც ვინმესთვის წინასწარაა ცნობილი. საკუთრივი აზრით, მას არც ბოლო არა აქვს, რის გამოც, არც მისი ბოლომდე გავლა და ფინიშის ხაზის ერთხელ და სამუდამოდ გადაკვეთა შეიძლება, რომლის შემდეგაც შესაძლებელი იქნებოდა მოსვენება და ყოველგვარი სულიერი დაძაბულობის გარეშე არსებობის ერთხელ უკვე მიღწეულ სიმაღლეზე დარჩენა. ამიტომ აქ უფრო მნიშვნელოვანია თვით ეს გზა, რომელიც ყოველთვის ხელახლა უნდა განვლო, და მასზე გადადგმული თითოეული ნაბიჯი, რომელიც ყოველთვის ხელახლა უნდა გადადგა, თუ გსურს, ჯერ მიაღწიო, შემდეგ კი დარჩე და იყო იმ სამყაროში, რომელსაც თვით მერაბ მამარდაშვილი "უცნობ სამშობლოს" უწოდებდა.

აცნობიერებ ყოველივე ამას და ინტუიციით ხვდები: ქართული ფეხბურთის საუკეთესო ნიმუშებსა და მერაბ მამარდაშვილის ფილოსოფიას შორის, მთელი მათი განსხვავების მიუხედავად, ძევს რალაც საერთო ძირი; რალაც, თითოეული მათგანის არსებითი თავისებურებების განმსაზღვრელი ძალიან მნიშვნელოვანი საერთო და გარეგადამწვდომი ფენომენი. ინტუიციავე გვკარნახობს იმას, რომ ასე ცხოვრებაც, თამაშიცა და აზროვნებაც ბევრი სხვისთვისაც შეიძლება, მაგრამ ამ ბევრთა შორის სწორედ ქართულ ბუნებაში, ისტორიაში და კულტურაში აღზრდილი ადამიანებისთვის უნდა ყოფილიყო ბუნებრივი და ორგანული.

ევროპის ფილოსოფიურ წრეებში მერაბ მამარდაშვილს სოკრატეს ადარებდნენ. ასეთ შედარებას, ალბათ, მართლაც აქვს თუნდაც ის მყარი საფუძველი, რომ ორივე მათგანმა საკუთარი რისკის, ტანჯვისა და "ჯვარცმის" ფასად შეძლო რუბიკონის გადალახვა, იმ ზღვარის გავლა, რასაც ადამიანის მეორედ დაბადება ჰქვია. მაგრამ მათ შორის, ვფიქრობ, არის ის არსებითი განსხვავებაც, რომ მათ მეორედ დაბადების წინარე სამშობლოდან რალაც არსებითად ურთიერთგანსხვავებული და კულტურისთვის მეტად მნიშვნელოვანი რამ შეაქვთ იმ "ქვეყანაში", რომელშიც ამ "მეორედ დაბადებისას" შედიან, რის გამოც, მეორედ დაბადებულნიც კი, ერთი მაინც ძველი საბერძნეთის შვილია, მეორე კი საქართველოსი.

ძველ საბერძნეთს - ზღვის თვალუწვდენი სივრცეებით გარშემორტყმული კუნძულოვანი ქვეყნის ამ ბუნებას, ღმერთთა, ბრძენთა და ორაკულთა თანამონაწილეობით გაჯერებულ ამ ისტორიას, ტერმინ მეტაფიზიკის შემქმნელ ამ კულტურას სწორედ სოკრატული სულის ადამიანი უნდა ეშვა, რომელიც, არსებითად, ბრძენია ამ სიბრძნის მოყვარეთა შორის. ესაა ბრძენი, რომელმაც უკვე გაწია რისკი, უკვე იტანჯა, იდეაში მაინც უკვე გაკვლია და გაიარა თავისი გასავლელი გზა, მთლიანად და საბოლოოდ დაეუფლა სიბრძნეს და პლატონის დიალოგებიც უფრო საშუალება, ერთგვარი მეთოდიღაა მხოლოდ მათი მთავარი პერსონაჟის იმ საქმისა თუ მისიის შესრულებისა, რომელსაც თვით სოკრატე ბებია ქალის საქმიანობას ადარებდა.

სხვა ქვეყნის, სხვაგვარი ისტორიისა და კულტურის შვილია მერაბ მამარდაშვილი.

ესაა ქვეყანა, რომელშიც ხედვის ჰორიზონტი უმეტესწილად საგრძნობლად ჩამორჩება ადამიანის თვალის ბუნებრივ შესაძლებლობებს და რომელშიც ყველაზე უფრო ძნელად დასაპყრობი სიმაღლეც კი თითქოს სულ ახლოს, სწორედ შენს წინ მდებარე მთის წვერზე მოსჩანს, რომელსაც, თუ ახლავე და ბოლომდე დაიხარჯები, ძალიან იოლად და მთლიანად დაიპყრობ, რაც ხელსაყრელ ნიადაგს ქმნის "სპრინტერული" (და არა "სტაიერული") ტიპის სულიერი წყობის ადამიანთა ფორმირებისთვის;

ესაა ქვეყანა, რომელშიც ჰაერი ხშირად იმდენად წმინდა და გამჭვირვალეა, რომ ღამეული ცის კაშკაშა ვარსკვლავებს, თუ მოინადინებ, თითქოს ხელითაც შესწვდები; რომელშიც თითქოს თვით ცაა მიწად ჩამოსული და ისინი მხოლოდ ერთიანობაში დაინახება და აღიქმება, რაც ბადებს ადამიანთა ისეთ მსოფლგანცდას, რომლისთვისაც, ფაქტობრივ, უცხოა "ცისა" და "მიწის" ცხადად გამოკვეთილი დუალიზმი;

ესაა ქვეყანა, რომელშიც ყველაფერი, ღვთის ყველა "ღირებულებითი ჰიპოსტასი", აქვე, შენს თვალწინ, "ფიზიკური" სინამდვილის ემპირიულ სიბრტყეშივეა "განთავსებული" და მათი ხილვისა თუ მოხელთებისთვისაც თითქოს სრულიად ზედმეტი სჩანს ყოველგვარი მეტაფიზიკური წიაღსვლა და განაზრება;

ესაა ქვეყანა, რომლის თითქმის ყოველი ნაწილი თანაბრად მშვენიერია, რომელშიც ადამიანები ბუნების უმშვენიერესი მოვლენებით არიან გარშემორტყმულნი და რომელშიც, ალბათ, ამის გამოც, ისტორიულად თანდათან ყალიბდება ადამიანთა ისეთი ესთეტიკური ცნობიერება, რომლისთვისაც უფრო ბუნებრივი სჩანს მშვენიერების ხილვა ხედვის უახლოეს პერსპექტივაში მყოფ საგნებში და მოვლენებში; ხილვა, რომელიც იმის გამო, რომ ისინი ძალიან ახლობელი და ნაცნობია, შეიძლება სულ იოლად გაგიქრეს, თუ ის ყოველთვის ხელახლა და თავიდან არ განახორციელე.

ესაა უკიდურესად მძიმე ისტორია, რომელშიც ადამიანებს, უპირატესად, მხოლოდ ფიზიკური გადარჩენისთვის უწევდათ ზრუნვა და რომელშიც წინ თითქმის არავითარი ისტორიული პერსპექტივა არ სჩანდა. შესაბამისად, ერთობ ბუნდოვანი და გაურკვეველი იყო ამ პერსპექტივაში საგულვებელი მიზანი და ერთობ მიწრი - ამ მიზანზე გათვლილი ხდომილებებიც. იმავდროულად, ესაა ისტორია, რომელშიც, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ორიოდ საუკუნეს, ძალიან იშვიათად, ისიც უკიდურესად ხანმოკლე დროით, დგებოდა სულიერი ცხოვრებისთვის ასე თუ ისე დამაკმაყოფილებელი პერიოდები. აქედან, ერთი მხრივ, ადამიანთა ლტოლვა ამ ხანმოკლე პერიოდებში მაქსიმალურად სრული თვითგამოხატვისკენ, ხოლო, მეორე მხრივ კი, თვითრეფლექსიისა და რალაც საერთო და "შორეული" მიზნის მიხედვით საკუთარი ცხოვრების კორექტირების დეფიციტი. ყოველივე ეს კი იყო საფუძველი იმისა, რომ ესაა ისტორია, სადაც ყველაფერი: კარგიც და ცუდიც, სიკეთეც და ბოროტებაც, უპირატესად, ყოველთვის აქ და ახლა, აწმყოში ხდება და სადაც იგივე აწმყოა მათი ერთადერთი საფუძველი; თანაც ისე, რომ ამ ხდომილებების ღირებულებითი განცდა თანამედროვეთა მიერ ძალიან იშვიათად ან თითქმის სულ არ ხდება ერის რაიმე ნათლად გამოკვეთილი და გაცნობიერებული ისტორიული პერსპექტივის შუქზე.

და ბოლოს, ესაა კულტურა, რომლის ტაძრების უმშვენიერესი ორნამენტული შემკულობა შედგება ასეთივე უმშვენიერესი ნაწილებისგან, - ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებული და დამოუკიდებელი ესთეტიკური ღირებულების მქონე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორნამენტებისგან, რომელთაგან თითოეულში ცალ-ცალკე შეიძლება ხილვა იმ დიადი ჰარმონიისა, რაც, გარკვეული აზრით, სამყაროული წესრიგის საფუძველმდებარე სიბრძნის ერთ-ერთ ჰიპოსტასადაც შეიძლება მივიჩნიოთ.

ესაა კულტურა, რომელიც თავიდან ბოლომდეა განმსჭვალული და ერთ მთლიანობად შეკრული ქართველთა დედაენის უმტკიცესი სულიერი "ძაფებით"; ერთიანადაა გაჯერებული ამ ენაში უაღრესად ცხოველმყოფელ სულიერ ძალად გარდასახული, ვრცეულად მცირე, მაგრამ სიღრმისეულად მდიდარი და მრავალფეროვანი ქართული ცისა და მიწის მარადმოძრავი, წყაროსთვალივით მოუსვენარი და, იმავდროულად, უაღრესად "ზნეკეთილი" ენერგიით. და კიდევ: ესაა კულტურა, რომელშიც, ალბათ, ამ ენის წყალობითაც, ძალუმად იგრძნობა სიცოცხლის ფენომენთან კავშირი, რაც მხოლოდ ამ სიცოცხლის ყოველწამიერმა, მუდმივ აწმყოში განხორციელებულმა განცდამ შეიძლება უზრუნველყოს. ქართველმა ერმა შესძლო (და ამას მერაბ მამარდაშვილი ხშირად ხაგზასმით აღნიშნავს), ბოლომდე შეენარჩუნებინა სიცოცხლის ფენომენთან ფუნდამენტური კავშირი და ამას, ვფიქრობთ, ჩვენს ენასთან ერთად ჩვენი ისტორიისა და ჩვენი "მიწის" თავისებურებებსაც უნდა ვუმადლოდეთ: არყოფნის საფრთხის წინაშე მუდმივად მდგარნი რომ ვყოფილიყავით, უნდა ყოველი ძალით, ფიზიკური და სულიერი ენერგიის მაქსიმალური დაძაბვით ჩავჭიდებოდით ყოფნის უპირველეს გარანტსა და საფუძველს - სიცოცხლეს; რაც შეიძლება მყარად უნდა ვმდგარიყავით ჩვენს მიწაზე, მთლიანად უნდა შევზრდოდით ჩვენს ბუნებას და ცხოველმყოფელ სულიერ ძალად გარდაგვექმნა მისი მძლავრი და მრავალფეროვანი სასიცოცხლო ენერგია; უნდა ყოველთვის აქ და ახლა, ამ კონკრეტულ დროსა და კონკრეტულ სივრცეში მთელი სისრულით გვეგრძნო და განგვეცადა ამ მიწასთან და სიცოცხლესთან ჩვენი კავშირი, მათ შესატყვის ფორმებში გამოგვეხატა ამ განცდით გამოწვეული სიხარული. და თუ, ვთქვათ, კულტურის ისეთი მოვლენის საფუძვლად, როგორიც სიმღერაა, სიცოცხლის სიხარულის უშუალო განცდასაც მივიჩნევთ, უნდა გვემღერა ყველგან და ყოველთვის; სიხარულშიც და მწუხარებაშიც, ლხინშიც და ჭირშიც. ჩვენც ვმღეროდით, ვმღეროდით თვით სიკვდილის წინაშე პირისპირ მდგარნიც, (რისი დასტურიცაა საქართველოს მთიანეთში დღემდე შემორჩენილი, მიცვალებულის სიმღერით დატირების ჩვეულება), თანაც ისე, რომ ეს სიმღერები, - ქართველი კაცის ისტორიული ბედის ერთგვარი "მუსიკალური გამოძახილები", იმავდროულად, თითქმის აბსოლუტურად სრულყოფილ ჰარმონიაში არიან ჩვენსავე ბუნებასთან, არაჩვეულებრივი სიზუსტით ასახვენ ჩვენი თვითმყოფადი და "თვითკმარი" ცისა და მიწის მასშტაბურსა და ესთეტიკურ მრავალფეროვნებას: კახური "მრავალჟამიერისა" და "ჩაკრულოს" სიღრმეებიდან თითქოს ალაზნის "ძარღვმაგარი" ველის უმშვენიერესი "მოზაიკური" სრულყოფილება და ფართოდ "მკლავგაშლილი", მაგრამ მაინც სადღაც სულ ახლოს მაღალი მთების ზღუდეებით შემორკალული სივრცეც "იმზირება"; გურულ "კრიმანჭულში", - მცირე და დიდი გორაკ-ბორცვების მიჯრით მიწყობილი თანაარსებობა და ჰარმონიული მონაცვლეობა; მეგრულ "ჩელაში" და "დიდავოი ნანაში", - კოლხეთის დაბლობის უაღრესად მშვიდი, ნატიფი სილბილე და თუნდაც მხოლოდ ერთ მხარეს, მაგრამ მაინც ბოლომდე გახსნილი ცის უსასრულო შორეთის მიუწვდომლობით ნაშობ-ნაკვები და მთლად საქართველოს დუხჭირი ისტორიული ბედის "ქურაში" გატარებული მრავალსაუკუნოვანი სევდა და ნაღველი; სვანურ "ლილესა" და "ზარში" კი სვანეთის "მცირე", მაგრამ საოცრად მაღალი და მზის ბრწყინვალებით უხვად გაჯერებული ცა და ამ ცისკენ გოროზად აწვდილი მთების ამაყი სიმტკიცე და შეუვალობა.

აცნობიერებ ყოველივე ამას და ხვდები: მერაბ მამარდაშვილის ფილოსოფია, რომელიც ადამიანის გონისა და ცნობიერების სიცოცხლის და ამ სიცოცხლის კანონზომიერების გაგების ნათელი მაგალითია, მისი ფილოსოფოსობის სტილი და ხასიათი, საერთოდაც, მთელი მისი სულიერი ცხოვრებაც, მთელი თავისი თვითმყობადობის, უნიკალობისა და განუმეორებლობის მიუხედავად, ერთ-ერთი ყველაზე უფრო სრულყოფილი გამოვლენაა საერთო ქართული ეროვნული გონის სიცოცხლის წესისა და ხასიათისა. გონისა, რომლის შემოქმედმა და მატარებელმა ერმაც შეძლო, შეემუშავებინა სულიერი ცხოვრებისა და კულტურაში თვითგამოხატვის ისეთი წესი და რიტმი, ყველაზე უფრო ოპტიმალურად რომ შეესაბამებოდა მოცემულ გეოგრაფიულ სივრცეს და მოცემულ ისტორიას.

ამ წესისა და რიტმის ერთ-ერთი არსებითი თავისებურება ვლინდება ამ გონის სწრაფვაში, - სწორედ აქ და ახლა, სიცოცხლისა და არსებობის მოცემულ მომენტში, მოცემულ დროსა და მოცემულ სივრცეში, შემეცნების მოცემულ მონაკვეთში, მოცემულ ესთეტიკურ განცდაში, შემოქმედების მოცემულ აქტში, პრაქტიკულ ქმედებაში (და ა.შ.) მთლიანად გასცეს საკუთარი ენერგია, მთლიანად გააობიექტუროს და გაასაგნოს საკუთარი თავი, მიაღწიოს იმ მდგომარეობას, რასაც ფილოსოფიურ ენაზე "მე"-ს ყოფიერების სისრულეც შეიძლება ვუწოდოთ. სწორედ სიცოცხლის ეს წესი და რიტმი, გონის პულსაციის ასეთი თავისებურება, მისი ცხოველმოქმედების ასეთი ტემპერამენტული ნიუანსები (რაც, ვფიქრობთ, ჰქონდა კიდეც მხედველობაში თვით მერაბ მამარდაშვილს, როდესაც ის თავის ქართულ ტემპერამენტზე მსჯელობდა) არის ის უმთავრესი რამ, რაც ეროვნულობის ნიშნით აღბეჭდავს, თავისებური ქართული "სურნელით" ჟღენთავს მთელ ჩვენს კულტურას და, ცხადია, ფილოსოფიასაც.

ამ გონის "ბუნებრივი" სასიცოცხლო სივრცე, მისი, ასე ვთქვათ, მსოფლმხედველობრივი საფუძველია ადამიანური აღქმის სიბრტყეში სიმაღლითა და სიღრმით ერთგვარად ურთიერთმოცილე მრავალი მთითა და უფსკრულით აღსავსე ქართული მიწის ძალიან მაღალი რყევის ამპლიტუდის მქონე მჩქეფარე ენერგიით გაჯერებული და ბრწყინვალე გამარჯვება-ამაღლებებისა და სამარცხვინო დამარცხება-დაცემების მონაცვლეობით დაღდასმული ქართველთა ისტორიული ბედის "ქურაში" გატარებული ისეთი მსოფლგანცდა, რომელშიც დროის სხვადასხვა განზომილებებიდან აქსიოლოგიურად, უპირველესად, სწორედ აწმყო დომინანტობს. როგორც ასეთი, იგი ძნელად იგუებს როგორც ყოველგვარ "საშუალოობას", ასევე "ყოფიერების წერტილების" ერთხელ და სამუდამოდ მკაცრად განსაზღვრულ იერარქიულ წყობას და ცალკე აღებული რომელიმე ამ "წერტილთაგანის" უპირობო აბსოლუტიზირებას. ამიტომ აქ, სადაც თითქმის ყველაფერსა აქვს შანსი (და პრეტენზიაც) სინამდვილის ერთგვარ "პრივილეგირებულ წერტილად" წარმოჩენისა და ყველას - თითქმის თანაბარი შანსი ამაღლებისა (ისევე, როგორც დაცემისა), ყოფიერების საფუძველმდებარე სიბრძნის უმაღლეს გამოხატულებად წარმოჩნდება არსებობის ისეთი ფორმა, რომელშიც, როგორც ერთ ორგანულ მთელში, მიიღწევა "ამაღლებულთა" ისეთი ჰარმონიული თანაარსებობა, სადაც მთლიანადაა შენარჩუნებული თითოეული მათგანის "სიმაღლე", უნიკალობა და განუმეორებლობა, ღირსება და შეუცვლელი ღირებულება; თითოეული მათგანის ინდივიდუალური "სახე". გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას: სწორედ ასეთ ფორმებში ავლენს ქართული ეროვნული გონი ყველაზე უფრო სრულყოფილად საკუთარ თავს; სწორედ ამ ფორმებში გრძნობს ის თავს ყველაზე უფრო ლაღად და თავისუფლად; სწორედ ამ ფორმებში აქვს ყველაზე უფრო მეტი შანსი, მიაღწიოს ისეთ მდგომარეობას, რომელსაც, პირობითად, ამ გონის საკუთარ თავთან ყოფნაც შეიძლება ვუწოდოთ; და ვფიქრობთ, ეს სადავო არ უნდა იყოს, ყოველ შემთხვევაში, იმათთვის მაინც, ვისაც ხელეწიფება, ჭეშმარიტად სულიერ სიბრტყეში ეზიაროს ქართული ეროვნული კულტურის უმაღლეს ნიმუშებს, იგრძნოს და განიცადოს მათში დავანებულ გონთან სულიერი ნათესაობა. მართლაც, ალბათ, შეიძლება ბევრ სხვასაც, მაგრამ, უპირ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ველესად, სწორედ ქართველს შეიძლება (და უნდა) ხელეწიფებოდეს თავდავიწყებული თანაგრძნობა და თანაგანცდა იმ შემოქმედის სულიერი მდგომარეობისა, რომლის მთელი სიცოცხლეც ერთ პატარა ლექსს "ახლავს თან"; ასევე, უპირველესად, სწორედ ქართველმა შეიძლება (და უნდა) იგრძნოს და განიცადოს მთელი ძალით ესთეტიკური ღირებულება ქართული ტაძრების ზემოთ ნახსენები ორნამენტული შემკულობებისა; მთელი მადლი იმ ქართული მრავალხმიანი სიმღერისა, რომელ ხმათაგანაც თითოეულის თუნდაც სულ მცირე არასრულყოფილებამაც კი შეიძლება მთლიანად დაარღვიოს ამ სიმღერის შინაგანი ჰარმონია და ესთეტიკური ღირებულება.

ალნიშნული მსოფლგანცდის წიაღში ნაშობი ქართული ეროვნული გონის სწორედ ამ თავისებურებებითაა გაჯერებული მთელი ქართული კულტურა: განსულიერებული - ქართული ბუნება და ისტორია, ქართული ცეკვა, სიმღერა, ხუროთმოძღვრება, ლიტერატურა (და ა.შ.), დაბოლოს მთლიანად ქართული დედაენა, - უალრესად "დემოკრატიული" მსოფლხატი, რომელიც გადაუჭარბებლად შეგვიძლია მივიჩნიოთ ამ გონის ყველაზე უფრო სრულყოფილ ობიექტივირებულ ფორმად. თავის მხრივ, ეს კულტურა, თვით მერაბ მამარდაშვილის ტერმინი რომ ვიხმაროთ, წარმოადგენს იმ "არტეფაქტების" ორგანულ მთლიანობას, რომლებთან ურთიერთობებშიც და რომელთა მზრუნველობითაც იბადებოდა, იბადება და კვლავაც დაიბადება (თუ, ცხადია, ჩვენ ამ კულტურას ზურგი არ შევაქციეთ) გონი "ყოველთა ქართველთა" შემდგომი და შემდგომი თაობებისა; გონი, რომლის საუკეთესო ინდივიდუალური გამოვლინებებისთვისაც სრულიად უცხოა ცალმხრივი, შიშველი და ცივი რაციონალიზმი; რომელიც მთლიანადაა გამსჭვალული "ჭეშმარიტების მომენტში" ნაშობი "გულის ლოგიკით", რის წყალობითაც ქართველთა ისტორია, უფრო და უპირატესად, გმირთა (და ანტიგმირთაც, - იქ, სადაც ეს "ლოგიკა" მთლიანადაა მოწყვეტილი ამ "ჭეშმარიტებას") ისტორიაა და არა ბრძენთა, რადგანაც გმირი (და, ვფიქრობთ, ჭეშმარიტი ბრძენიც) უფრო ის კი არაა, ვინც სინამდვილის რეალური და კონკრეტული ხდომილებების მიღმა ნაგულვებ "სიბრძნეში" უარყო ეს ქვეყანა და სტოიკური სიმშვიდით განერიდა მას, როგორც "ამაოებათა ამაოებას", (რასაც ასე თუ ისე მაინც "იტანს" ბრძენის ცნების შინაარსის თანამედროვე ყოფითი გაგება), არამედ ის, ვინც სწორედ აწმყოში, მოცემულ ფაქტში თუ ხდომილებაში, სწორედ აქ და ახლა, ყოფნის სწორედ მოცემულ "წამში" იხილა, იგრძნო და განიცადა ეს "ჭეშმარიტების მომენტი" და საკუთარი შესაძლებლობებისა და სულიერი წყობის შესატყვის ფორმებში და გზებში შეძლო მასში სრული თვითრეალიზაცია (ხშირად თავგანწირვის ფასად) და თვითდაფუძნება.

როგორც უკვე ითქვა, ამ გონის ერთ-ერთი საუკეთესო და თანაც ზედმიწევნით ტიპური კერძო გამოვლენაა მერაბ მამარდაშვილიც მთელი თავისი ცხოვრებითა (რომელშიც ის ბოლომდე "იხარჯებოდა" აღნიშნულ სიბრძნესთან წილუყარ ნებისმიერ მოვლენასთან და ხდომილებასთან შეურიგებლობაში) და შემოქმედებითი მემკვიდრეობით, რომელიც მისივე ცნობიერების სიცოცხლისა და ფილოსოფიური შემეცნების ისეთი წიაღსვლების ორგანულ მთლიანობას წარმოადგენს, რომელთაგანაც თითოეულს გააჩნია დამოუკიდებელი და თავისთავადი, როგორც შემეცნებითი, ასევე ზოგადკულტურული ღირებულებაც, რადგანაც თითქმის ყოველ მათგანს (ცალკე აღებულსაც კი), თუ ჩვენც ბოლომდე დავიხარჯებით და ღმერთიც გადმოგვხედავს, შეუძლია რაღაც ძალიან მნიშვნელოვანი რამ გაგვაგებინოს როგორც იმ სამყაროზე, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ, ასევე საკუთარ თავზეც და ამ გზით ახალ სიბრტყეში გამოგვავლენინოს და ახალ საფეხურზე აგვაყვანინოს ჩვენივე საკუთარი ყოფიერება.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

რევაზ ბერულავა

# ენობრივი გლობალისტიკა უძველეს საქართველოსა და თანამედროვე სამყაროში

## წინაპირობები.

*მე-11-მე-12 საუკუნეების საქართველოში ბიზანტიური ცივილიზაციის, მეცნიერული მიღწევების გასაცნობად უპირველესი როლი ენიჭებოდა ბერძნულიდან ქართულ ენაზე მთარგმნელობით საქმიანობას. წარსულიდან ვიდრე მე-20-21-ე საუკუნეებში მსოფლიოს წამყვანი სახელმწიფოების მხრიდან (აშშ, რუსეთი და სხვ.) სხვა ქვეყნების მიმართ რეგიონული და ეროვნული პოლიტიკის განხორციელების მცდელობის ერთ-ერთ მთავარ ფაქტორად იქცა ფუძემდებლური ენობრივი და ტერმინოლოგიური რეალიების რეალიზაცია. ამგვარ სავარეო-ეკონომიკურ ურთიერთობაში დიდი როლი ენიჭება ეროვნებათშორისი საკომუტაციო ენის საერთაშორისო ტერმინოლოგიურ სტანდარტებს. ამასთან ერთად დიდი თუ პატარა ქვეყნის ყოველი სოციალური მოვლენისა და ეკონომიკური პროცესის ცვლილებასთან ერთად იცვლება და გარკვეული კანონზომიერებით ვითარდება ეროვნებათშორისი სამეცნიერო-პრაქტიკული თუ კულტურული ურთიერთობის ენა. ამგვარი ცვლილებების მომსწრენი ვართ დღევანდელი საქართველოს მაგალითზე.*



### საკითხის დასმა; ტერმინოლოგიური იდეოლოგია.

ჩვენი ქვეყანა, ეკონომიკური კავშირებით დანგრეული, ქვეყნის შიგა დამშლელი ძალების მოქმედების შემდგომ ახალ საფინანსო-ეკონომიკურ მოდელებზე გადასასვლელად მოემზადა, სათანადო საკანონმდებლო აქტებით აღიჭურვა, აგვარებს საფინანსო, საგადასახადო და საბაჟო სისტემებს და სხვ. მეწარმეებისა და სამეურნეო დარგის მუშაკების ინტელექტის, გამოცდილებისა და შესაძლებლობების დროში გამოცდამ, მარცხმა და მეტ-ნაკლებად გამარჯვებებმა, უმრავლესობისათვის აქამდე უჩვეულო კომერციული საქმიანობის სხვადასხვა დარგობრივი მოდელების შექმნა გამოიწვია, მოდელებისა, რომლებიც ერთიანსახელმწიფოებრივი და კომერციული სტრუქტურების მართვის კანონზომიერებებს, სამართლებრივ საფუძვლებს შეესაბამება, ითვალისწინებენ შიგა და გარე ბაზრის კონკურენციის წესებს და სხვ. ბევრი იურიდიული და ფიზიკური პირი, ინდივიდები და ჯგუფი ებმებიან სამეწარმეო საქმიანობაში, საკუთარ ბიზნეს ეწევიან. როგორც ყოველგვარი სიახლის გაცნობა-ათვისება-დანერგვის ეტაპებს, ასევე ახალ ფინანსურ და ეკონომიკურ წამოწყებებს თავისი იდეოლოგია სჭირდება, იდეოლოგია აქამდე ათეული წლობით მიჩვეულისგან განსხვავებული როგორც შეხედულებებით, არსით, ასევე ცნებებით. ამ სიახლეებისკენ დროის შესაბამისმა იძულებითმა ლტოლვამ წარმოქმნეს თანამდევი პროცესების, მოვლენების, საგნების, ღირებულებების, მომსახურებათა და კავშირურთიერთობათა შესატყვისი უახლესი სიტყვებისა და გამოთქმების დარგობრივი ტერმინოლოგიური, ძირითადში, ინგლისურენოვანი ტერმინობრივი ნაკადი. საჭირო შეიქნა უცხოენოვანი ტერმინების ქართული ეკვივალენტების დადგენა ან შექმნა. გაჩნდა შესაბამისი ორ და სამენოვანი დარგობრივი ლექსიკონები, ითარგმნა საფინანსო-ეკონომიკური და სხვა დარგობრივი მონოგრაფიები, ნაშრომები, შეიქმნა ქართული სახელმძღვანელოები და წიგნები. საერთაშორისოდ სახმარ, ინტერნაციონალურ ტერმინებთან დაკავშირებით პირველ ქართულ სატერმინოლოგიო კომიტეტში დღეისთვისაც მისაღები პრინციპით ხელმძღვანელობდნენ. ცნობილი ტერმინოლოგი "ტექნიკური ტერმინოლოგიის" რედაქტორი რუსთველოლოგი, პროფესორი ვუკოლ ბერიძე წერდა (1926 წ.): „ინტერნაციონალური ტერმინების თარგმნა საჭირო არაა; უცხოური ფუძეების შემოტანა უფრო ამდიდრებს ქართულ ენას, ვინემ მისი თარგმნა". ამრიგად, საჭიროების - და მიხედვით "უცხო სიტყვებისათვის კარის გახსნა" (მიხ. ჯავახიშვილი) და "ქართული ენის სტრუქტურის მოდელის მიხედვით გამართვა ჩვენი ლექსიკის გამდიდრების

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთ-ერთი მიმართულებაა. იგი ხელს არ უშლის ამ ლექსიკის ტრადიციულ განვითარებას" (რ. ბერულავა, ი. ქვაჩახია, შემდგენლები, "ინგლისურ-ქართული ლექსიკონი გამოთვლით ტექნიკასა და მონაცემთა დამუშავებაში", პირველი ტომი, "განათლება", 1984 წ., გვ.6). ამრიგად, საბაზრო ეკონომიკის ეტაპებზე უცხოური ტერმინთსისტემის მიმართ მნიშვნელოვანი ენობრივი მოვლენის მომსწრენი ვართ: "ქართული ენის ბუნების სტრუქტურის მოდელად ჩამოყალიბებით ჩვენი ლექსიკა ივსება, მდიდრდება და ფართოვდება, სამეცნიერო და საურთიერთო ენა მნიშვნელოვნად იხვეწება, მოქნილი ხდება" - (რ. ბერულავა, თ. ბერულავა - "ქართულ-ინგლისურ-რუსული პროფესიული განმარტებითი ლექსიკონი. ენციკლოპედიურ-ტერმინოლოგიური ცნობარი". გამომცემლობა "იბერთედპრესი, 1999, წ. გვ. XV). ქართული ენის გამდიდრების ამგვარ ტენდენციას ყოველდღიურად ვხვდებით. მოვიტანოთ რამდენიმე წინადადება: "ოფიციალური კრემლის რეაქცია ვაშინგტონის ანტიტერორისტულ კომპანიაზე აბსოლუტურად პოზიტიურია - Реакция официального Кремля о антитеррористическую компанию Вашингтона абсолютно позитивная"; "პარლამენტის საფინანსო-ეკონომიკური ოფისის ანალიზი ტენდენციადქცეულ საბიუჯეტო სეკვესტრზე ნეგატიურია - Анализ финансово-экономического офиса Парламента о тенденциозности секвестра бюджета негативный"; "ენერგიის მარეგულირებელი კომისიის დირექტივები - Директивы коммисии по урегулированию энергий"; "საფონდო ბირჟის ტექნიკური ანალიტიკოსი - Технический аналитик фондовой биржи" და ა.შ. ასეთი ბუნებრივენობრივი მაგალითების გაგრძელება უსასრულოდ შეიძლება და ხშირად აზრადაც არ მოგვდის, რომ ამ და უამრავ სხვა წინადადებებში არც ერთი სიტყვა, არც ერთი არსებითი სახელი და ზედსართავი სახელი არ არის ქართული ფუძის! ამასთან, ეს სიტყვები არ არის ერთი რომელიმე ენის ფუძისაც. განვიხილოთ ეს სიტყვები. სიტყვა "ოფიციალური" ლათინურიდან მომდინარეობს ("ოფიციალის" სახელმწიფოებრივი; სამსახურეობრივი; თანამდებობრივი. ამ სიტყვიდან მომდინარეობს, აგრეთვე, "ოფიციოზი" - სახელმწიფო პოლიტიკის მატარებელი ბეჭდვის ორგანო და "ოფიციოზური" - ნახევრად ოფიციალური, სახელმწიფოს დირექტივების მატარებელი), "კრემლი" და "ვაშინგტონი" რუსული და ამერიკული პოლიტიკის მაჩვენებელი სიმბოლოებია; "რეაქცია" (ასევე ლათინური ორკომპონენტიანი სიტყვა "რე" - უკუ, საწინააღმდეგო და "აკციო" - მოქმედება); წინსართი "ანტი" ბერძნულია (ნიშნავს წინააღმდეგ, საპირისპიროს); "ტერორი" (ლათინურად „ტერრორ" - შიში, საშინელება); "კომპანია" (ფრანგულად "კამპანიე" ნიშნავს სავაჭრო ან სამრეწველო გაერთიანებას; ერთად მყოფ ადამიანთა ჯგუფს); "აბსოლუტური" (ლათინურად "აბსოლუტუს" - სრული, დასრულებული და სხვ.) "პოზიტიური" (ლათინურიდან "პოზიტივუს" - დადებითი); "პარლამენტი" (იტალიურიდან ინგლისურად "პარლიამენტ", იტალიურად "პარლამენტო"); "საფინანსო" (ლათინურიდან "ფინანსია" შევიდა ფრანგულში და ინგლისურში "ფინანსე" - ნიშნავს შემოსავალს, არსებულ თანხას და სხვ.); "ეკონომიკური" (ძველბერძნულად "ოეკონომიკ" - საოჯახო მეურნეობის გაძღოლის ხელოვნება); "ოფისი" (ინგლისურიდანაა "ოფის" - სასამსახურო შენობა, ოთახი და სხვ.); "ტენდენცია" (შუა საუკუნეების ლათინურიდან "ტენდერე" - მიმართულება; შემოვიდა გერმანულში როგორც "ტენდენც" - მისწრაფება, მიდრეკილება, მიმართულება); "საბიუჯეტო" (ფრანგული "ბიუჯეტ" ინგლისურად იკითხება "ბაჯიტ" - სახელმწიფოს ან რომელიმე ორგანიზაციის შემოსავლისა და გასავლის განაწესი); "სეკვესტრი" (ლათინურად "სეკვესტრუმ" - ჩამოჭრა, შემცირება (მაგალითად, თანხისა) სახელმწიფოს ინტერესებიდან გამომდინარე); "ნეგატიური" (ლათინურად "ნეგატივუს" - უარყოფითი); "ენერგეტიკა" (ბერძნული "ენერგეია" - შემოქმედება; აქ ორი მომენტია: "ენერგია" - მატერიის მოძრაობისა და ურთიერთობის ზოგადი რაოდენობრივი ზომა, ხოლო იმავე ტერმინიდან გამომდინარე "ენერგეტიკა" - სხვადასხვა ენერგიის მიღების, გარდაქმნის, გადაცემის და გამოყენების პროცესების შემსწავლელი მეცნიერება); "მარეგულირებელის" ფუძეა ლათინური "რეგულარე" (მოწესრიგება); "კომისია" (ლათინურიდან "კომმისსიო" - დავალება, დავალდებულება); "დირექტივა" (ფრანგული "დირექტივე" ნასესხებია ლათინურიდან "დირიჯერე" - მიმართვა, სახელმძღვანელო მითითება); "სა-ფონდ-ო" (ფრანგული "ფონდ" ნასესხებია ლათინურიდან "ფონდუს" - საფუძველი; აქ, კერძოდ, კაპიტალის, ფულადი და მატერიალური საშუალებების წყარო და სხვ.); "ბირჟა" (ლათინურად "ბურსა", გერმანულად "ბორსე" - საქონლის, ფასიანი ქაღალდების, მუშახელის და სხვათა ბითუმად გაყიდვის რეგულარულად მოქმედი ბაზარი); "ტექნიკ-ური" (ბერძნულიდან "ტექნიკე" - ხელოვნური; ასევე ბერძნულიდან "ტექნე" - ხელოვნება, ოსტატობა); "ანალიტიკოსი" (ბერძნული "ანალიტიკოს" ზუსტადაა გადმოტანილი ქართულში, რაც ნიშნავს ანალიზთან (ბერძნულად "ანალისის"-თან დაკავშირებულს ან ანალიზის ჩამტარებელს).

უცხოენოვანი სიტყვების "გაშიფვრა" მკითხველისთვის შეიძლება ჩაითვალოს ზედმეტად, მაგრამ ჩვენ სხვა მიზანს ვისახავდით - გვეჩვენებინა სიტყვები, რომლებიც თანამდროვე ზემძლავრ სახელმწიფოებში (ინგლისი, აშშ, რუსეთი, საფრანგეთში გერმანია და სხვ.) და ასევე მოსახლეობით მცირერიცხოვან ქართულში შემოსულია პრაქტიკულად უკვე მკვდარი ლათინური ენიდან და ძველბერძნულიდან. ახალი ტერმინების ქართულში მასობრივი შემოტანა მოხდა მე-12 საუკუნის განმანათლებლების - ძმები ათონელებისა, იოანე პეტრიწის, ეფრემ მცირის, იოანე ტარიჭისძის, არსენ იყალთოელის, თეოფილეს მეშვეობით. მაშინ, როცა დედამიწაზე არ არსებობდა არც ერთი ჩამოთვლილი სახელმწიფო (აშშ, ინგლისი, საფრანგეთი, გერმანია და სხვა, იტალიის გამოკლებით).

დასკვნა-1: ქართული ენის განვითარების ტრადიციული გზის პარალელურად დღესაც, ეკონომიკური გლობალიზაციის მცდელობის პირობებში მისი ერთი მიმართულებით "უცხო სიტყვებისათვის კარის გახსნით" მუშაობა სასარგებლოდ და აუცილებლად მიგვაჩნია.

## ენობრივგლობალისტიკური საწყისები ძველ ქართულ ენაში

სხვადასხვა ერების სამეცნიერო ენის განვითარება ბევრადაა დაკავშირებული ძველბერძნულ ცივილიზაციასთან. აქ გამოვყოფთ ძველბერძნულ და ლათინურ სამეცნიერო (ფილოსოფია, ეთიკა, ფიზიკა, ასტრონომია, მათემატიკა და სხვ.) და საეკლესიო ლიტერატურას. ამ ენებზე იწერებოდა მსოფლიოს შედევრები (არისტოტელე, პლატონი და სხვ.), იქმნებოდა მართლმადიდებლური საეკლესიო ნაწარმოებები. სხვადასხვა ერების თვალსაჩინო სწავლულები თარგმნიდნენ და იყენებდნენ მსოფლიო ცივილიზაციის მეცნიერულ შედევრებს.

ელინისტური და ბიზანტიური პერიოდიდან იწყება მცირე აზიისა და შემდეგ კი შუა და ჩრდილოეთ ევროპის ქვეყნების სამეცნიერო ენობრივი განვითარება. ეს ქვეყნები იყენებდნენ და იყენებენ იმ სამეცნიერო ტერმინოლოგიას, რაც დანერგილი იყო ძველბერძნულ და ლათინურ სამეცნიერო ძეგლებში.

სწორედ ძველბერძნული და ლათინური ენებია ენობრივგლობალისტიკური საწყისი ენები. ცნობილია: ენები ჩნდებიან და იკარგებიან დროთა განმავლობაში. მაგალითად, ლათინური ენა - ენობრივი გლობალისტიკის ერთ-ერთი ფუძემდებლური ფენომენი, კარგა ხანია, მკვდარი ენაა. მას მხოლოდ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძალზე ვიწრო გამოყენება აქვს (მედიცინა, ფარმაცევტია, მათემატიკური ასო-ნიშნები და სხვ.)

ოცი-ოცდახუთი საუკუნის წინანდელ ენობრივ რეალიებში, ცხადია, საქართველოს დიდი წვლილი აქვს შეტანილი. ზემოთქმულის შედეგად დავასკვნით:

დასკვნა-2: საქართველო ერთ-ერთი პირველი ქვეყანაა, რომელშიც გაჩნდა ენობრივი გლობალიზაციის მარცვალი.

განვიხილოთ თუ როგორ ვითარდებოდა ეს პროცესი. საამისოდ ჯერ განვმარტოთ ქართული დამწერლობის საწყისი ეტაპი, გავარკვიოთ თუ რას ეფუძნება ჩვენი დასკვნა ოცდახუთსაუკუნოვანი ქართული ენის საწყისის შესახებ. დავიმოწმებთ ერთ-ერთ პირველწყაროს ("მითოგრაფი გრეცი"; III, 2; რედაქტორი ნ. ფესტა. ტეუბნ. ლიპსი, 1902 წ.), რომელიც გამოიყენა ცნობილმა ქართველმა მეცნიერმა ა. ურუშაძემ (ა. ურუშაძე. "ცნობა კოლხური დამწერლობის შესახებ". წიგნში: "ძველი კოლხეთი არგონავტების თქმულებებში", თბ. 1964 წ. გვ.150). ამ წყაროებით შევიტყობთ, რომ ჰალეფატეს (ცხოვრობდა ძვ. წელთაღრიცხვის მესამე-მეოთხე საუკუნეში) თხზულების მიხედვით უცნობი ავტორის მიერ წარმოდგენილ ტექსტში ("ოქროს საწმისისათვის") წერია: "კოლხეთში დაცული (ტყავი) ნამდვილად ოქროს საწმისი კი არ იყო (ეს პოეტური მონაჭორია), არამედ ტყავზე ნაწერი წიგნი, რომელიც შეიცავდა იმის აღწერას, თუ როგორ შეიძლება მივიღოთ ოქრო ქიმიის საშუალებით". დავიმოწმოთ იოანე ანტიოქიელი (ახ. წ. მეშვიდე საუკუნე): "იასონმა და მისმა მხლებლებმა პონტოს გზით კოლხეთს მიღწეულებმა, მოიპოვეს მედეა და ეგრეთ წოდებული ოქროს საწმისი. ეს ისე კი არ იყო როგორც პოეტურად გადმოგვცემენ, არამედ წიგნი (იყო) ტყავებზე ნაწერი, შემცველი იმისა თუ ვით უნდა გაკეთდეს ოქრო ქიმიის საშუალებით" ("გეორგიკა" IV, 2. გვ.316-317; IV, გვ.545).

მეტად მნიშვნელოვანი სხვა ბერძენი მეცნიერების უძველესი ცნობები კოლხური დამწერლობის არსებობის შესახებ იმ პერიოდში, როდესაც კრეტა-მიკენის კულტურა აღმავლობის ზენიტში იმყოფებოდა. კერძოდ, აპოლონიოს როდოსელის "არგონავტიკის" მეოთხე წიგნში აღნიშნულია, რომ აია-კოლხეთში დღესაც აქეთ "შენახული თავიანთ მამა-პაპათაგან ნაწერი კვირბები (კირბები, იგივე "კირიბიში" - მეგრულად ბატკნისა), რომელზედაც ირგვლივ მოგზაურთათვის ნაჩვენებია ზღვისა და ხმელეთის ყველა გზა და საზღვარი" (მეათე საუკუნის ავტორის, სვიდას ლექსიკონი, რედაქტორი ადა ადლერი I-IV, Lips., 1928-1936. დამოწმებულია ა. ურუშაძის ზემოხსენებულ ნაშრომში და ბ. კილანავას წიგნში "ქართული დამწერლობისა და მწერლობის სათავეებთან", თსუ-ის გამომც., 1990 წ. გვ.28-29). აპოლონიოს როდოსელის "არგონავტიკაში" მოთხრობილი გამოიყენეს ძველ კოლხეთში დამწერლობის არსებობის დამადასტურებელ მასალად მ. ჯანაშვილმა, მაქს. ბერძენიშვილმა, ა. ურუშაძემ და სხვებმა. ცნობილმა გერმანელმა მეცნიერმა კარლ რიტერმა კი დაასკვნა, რომ "სქოლასტების მიერ აპოლონიოს როდოსელის მოთხრობის ამ ადგილის ახსნით აშკარად ჩანს, რომ ადგილის კარტოგრაფიული ხელოვნების გამოგონების პატივი არ შეიძლება მიეწეროს მცირე აზიის ბერძნებს. მას ბევრად ადრე იყენებდნენ კოლხი ვაჭრები" (კ. რიტერის ლექციები ბერლინის უნივერსიტეტში. თარგმანი გერმანულიდან რუსულად ნ. ბაკსტის რედაქციით, სანკტ-პეტერბურგი, 1864 წ. გვ.52).

ამ ფაქტებიდან ჩანს, რომ ძველ ქართულ სამყაროში უკვე არსებობდა დამწერლობა, გამოგონებული იყო კარტოგრაფიული მეთოდი, შედგენილი ჰქონდათ საზღვაო-სანაოსნო რუკები (ცხადია, წარწერებით, სპეცნიშნებით და სხვ.). ზემოხსენებულის შედეგად დავასკვნით

დასკვნა-3: ენობრივგლობალისტიკური საწყისებისთვის ქართული არეალი მეცნიერულად მომზადებული იყო, რადგანაც გააჩნდა საკუთარი დამწერლობა, კარტოგრაფიული ხელოვნება, ოქროს მრეწველობა, ქიმიური დამუშავების მეთოდები და ყველაფერი ეს წერილობით აღწერილი იყო ქართულად.

ამრიგად, ევროპულ და ჩრდილო ამერიკულ (აშშ, კანადა) სახელმწიფოებზე თითქმის ოცი საუკუნით ადრე საქართველო მომზადებული იყო ქართული მეცნიერული ენის განვითარებისთვის და გლობალურ ენობრივ არეალში ადგილის დასამკვიდრებლად.

## მეხუთე-მეთორმეტე საუკუნეების საქართველოს ენობრივი გლობალისტიკის ზოგიერთი საკითხი

1. მე-5-მე-7 საუკუნეების "ხანმეტი ტექსტების" თარგმანები.

ხანმეტი ოთხთავის (მეხუთე-მეშვიდე საუკუნეები, სახარებაი მათესი) ტექსტებში დამოწმებულია დღეს ასე ფართოდ გამოყენებული სიტყვები, როგორიცაა ერი ("მისდევდა მას ერი მრავალი". მოსე, 12,15; "ეტყოდა ერი", მოსე, 13,14; და სხვ.), მეცნიერება ("დახმალეთ კლიტენი მაცნიერებისაი" ლუკა, 11,52); ბრძანება, ბეჭედი, დანერგვა, ვერცხლი და ა.შ.

2. მე-10-მე-11 საუკუნეები ("იოვანე ოქროპირის ცხოვრების" თარგმანები).

თარგმანი შეასრულა გიორგი ალექსანდრიელმა (ცხოვრობდა მეშვიდე საუკუნეში). ამ თარგმანის საფუძველია 968 წლის პალესტინური ხელნაწერი. მასში ვპოულობთ ორი კატეგორიის ტერმინებს:

- ა) წმინდა ქართულ სამეცნიერო: ძიება, მოღვაწეობა, ჟამი, ფასი, განჩინება, ვასხება (სესხება), ვახში (მევახშეობა), ძვრა (მოძრაობა), ჯერ-ჩინება (საჭიროდ ჩათვლა), მნე (მეურნე), ერგასი (ორმოცდაათი), დაბეჭდვა (ორი გაგებით: გამოსახვა და დამტკიცება, სიტყვის დასრულება), დასტური, საჩინო (შესამჩნევი), ურვა (ზრუნვა), ცდომილება (შეცდომა), შეჭურვა (შეიარაღება). (ფრჩხილებში მოთავსებული განმარტებანი აქ და ქვემოთ ჩვენია - რ.ბ.) და სხვები;

- ბ) უცხოურ კალკებს (ბერძნულიდან ნასესხებ სიტყვებს): იკონომოსი, ვიკონომოსი (თანამედროვე გაგებით იგულისხმება ეკონომია, ეკონომიკა); კანონი, ლიტრა (ფულის ერთეული), მილიონი (მანძილის ერთეულის მნიშვნელობით, ათასი ნაბიჯი), სქემა და სხვები.

3. მე-10 საუკუნე ("ბასილ კესარიელის "სწავლათა" ეფთვიმე ათონელისეული თარგმანები"). ბასილი კესარია-კაბადოკიელი - ცხოვრობდა მეოთხე საუკუნეში. ზოგიერთი მეცნიერის ჰიპოთეზით დიდი ბასილი ქართველი იყო (იხ. ელგ. ხინთიბიძე, სსრ მეცნ. აკადემიის "მოამბე", № 3, გვ.125-151). დიდმა ქართველმა სწავლულმა და განმანათლებელმა ეფთვიმე ათონელმა ქართულ სამეცნიერო ლექსიკაში პირველად შემოიტანა ბერძნული სიტყვები (არე, მარგალიტი, მელანი, ნავთი, პაპა (წინაპარი), ტალანტი, ქარტა, ფისი, მანქანება, მილიონი და სხვები. მანვე დანერგა შესანიშნავი ქართული სიტყვები: მწყობრი, ძალი (ძალა), შ(უ)რომა (შრომა), ზომა, მთავრობა (პირველობა, ბატონობის გაგებით), აზნაური (თავისუფალი), აზნაურება (თავისუფლება), სავაჭრო, საეჭვო და მრავალი სხვა, აგრეთვე, შესანიშნავი სიტყვათშერწყმები: დღეკეთილი (ბედნიერების, სიხარულის, წარმატების განმსაზღვრელი სიტყვა), ტაბლაკეთილი (სტუმართმოყვარე), ოქროქსო(ვ)ილი, ნუგეშ(ნი)სცემა.

4. მე-12 საუკუნე ("ამონიოს ერმისის თხზულებანის" თარგმანები).

მეხუთე საუკუნის ბერძენი ფილოსოფოსი ამონიოს ერმისი (დაიბადა 445, გარდაცვალების წელი სავარაუდოდ არის 517 ან 526 წ.) ბიზანტიური (ბერძნული) ალექსანდრიული ნეოპლატონური სკოლის მეთაური იყო. მისი მეცნიერული მსოფლმხედველობის ერთ-ერთი პირველი დანერგვა-გამოყენება ქართულ სააზროვნო სინამდვილეში მოხდა ათიოდე საუკუნით ადრე, ვიდრე ცენტრალური და ჩრდილო ევროპის ქვეყნებში. მთარგმნელის თუ მთარგმნელების ვინაობა დადგენილი არ არის. კორნელი კეკელიძის აზრით, მთარგმნელია

ეროვნული ბიბლიოთეკა

იოანე ტარიჭისძე. იგი მოვიდა ათონის აკადემიიდან, ცხოვრობდა დავით აღმაშენებლის დროს (1089-1130 წწ.), ი. ლოლაშვილმა და ს. გორგიძემ ივარაუდეს, რომ მთარგმნელია იოანე პეტრიწი. ამასთან, "ქართლის ცხოვრების" ტექსტის მიხედვით დავით აღმაშენებლის ზეობის ეტაპზე ცნობილი განმანათლებლები იყვნენ ეფრემ მცირე, თეოფილე, არსენ იყალთოელი, იოანე ტარიჭისძე. ეს სია მოხსენიებულია სულხან-საბა ორბელიანის მინაწერებში. არსებობს ცნობა, რომ იოანე პეტრიწმა თარგმნა "კატეღორია" არისტოტელისა და წიგნი ამონიოს ერმისისა.

ა. ერმისის თხზულებათა თარგმანების ავტორმა ერთ-ერთმა პირველმა შეასრულა დიდი როლი ქართული დარგობრივი ტერმინოლოგიის შემუშავებისა და დახვეწის მხრივ. ამ "თხზულებებში" მოტანილი ტერმინობრივი მასალა ("ამონიოს ერმისის თხზულებანი ქართულ მწერლობაში", გამომც. "მეცნიერება", გამოსაცემად მოამზადეს ნათელა კეჭაღმაძემ და მაია რაფავამ, ლექსიკონი დაურთო მაია რაფავამ, 1983 წ.) შეიძლება სამ კატეგორიად დავალაგოთ.

**პირველი კატეგორია** - ენობრივ გლობალისტიკური ელემენტები ბერძნულიდან ძველ ქართულ ენაში, რომლებიც დანერგილია მე-12 საუკუნიდან: ანალიტიკა ("ანალიტიკა"), არსი (ბერძ. "არსი"), ართრონი (ბერძ. "ართრონ"), აირი (ბერძ. "აირ"), არტერია (ბერძ. "არტერია"), დიათესი (ბერძ. "დიათესი"), დრამატიკოსი (ბერძ. "დრამატიკოს"), ეტიმოლოგია (ბერძ. "ეტიმოლოგია"), კანონი ("კანონ"), კატოღორიაი (კატეგორია - "კატეღორია"), მათემატიკოსი; მათემატიკა ("მათემატიკოსი"), სოფისტიკა ("სოფისტიკოს"), სფერი; სფერო ("სფერა"), სქეტიკი ("სქეტიკოს"), სქესი ("სხესი"), ფილოსოფოსი ("ფილოსოფოს") და მრავალი სხვა.

**მეორე კატეგორია** - ქართული მეცნიერული ტერმინები ძველ ქართულ ენაში.

ენობრივი გლობალისტიკის ძირითადი დანიშნულება და თვითმიზანი არ არის მისი ყველა ენაში შეჭრა და განვრცობა. როდესაც ამა თუ იმ ენას ახალი მოვლენის, მოწყობილობის, მეთოდის აღმნიშვნელი ცნება-ტერმინის ეკვივალენტი არ მოიპოვება, ბუნებრივად ხდება ახალი ტერმინის სესხება ენის ნორმების დაცვითა და ენობრივი პოტენციალის გათვალისწინებით.

**მესამე კატეგორია** - ძველი ქართული ტერმინები, რომლებსაც დღესაც არ შეუცვლიათ ცნებითი არსი:

არსებისზედაი (თანამედროვე ტერმინით არაარსებითი, არაძირითადი), ასოი (ელემენტი, მატერია; შემადგენელი ნაწილი), ალსიტყვაი (შესაბამისობა), ალსიტყვითი (ასახული: აღბეჭდილი), აჩრდილისსახე (მოჩვენებითი; ლანდეული), ბოლო (მიზანი; შედეგი), გათითოფერება (ურთიერთდაცილება; განცალკევება - რ.ბ.), გამოკულევაი (გამოკვლევა), გამომაჩინლებობითი (მტკიცებითი), გამოჩინება (დედუქციური მტკიცება), გამოცდილება, განგებულებითი (განგებულება, ეკონომიკა; იხ. აქვე სასახლისსჯულობითი), განყენებული, განჩენა (განმარტება, გადმოცემა), განჩინებითი (მტკიცებითი), გარდამეტობა (მეტობა), გარდაქმნა, გაუდრეკელი, დანიშვნა (მნიშვნელობა), დანიშნულობითი, ექვსკუთხი (ექვსკუთხედი; თანამედროვე ენობრივგლობალისტიკით: ბერძნულად - ექსაგონი), ზედმიწევნულობა (მეცნიერება; ზედმიწევნითი; დაწვრილებითი), ზედმოგონება (წარმოდგენა), ზედსახელობა; ზედწარწერა (სათაური; სახელწოდება, თანშეთხზული (შეკავშირებული), თანხმევა (შესაბამისობა), კერძოი, კერძოობითი (კერძო; კონკრეტული), კუთხი (კუთხე), მამული (ბერძნულად "პატრია"), მეტყველება, მენცავი (მცოდნე; გამგები; მეგრულად მენცარი არის მეცნიერი), მეხრიკეობა (საშუალება, ღონისძიება), მიმოცვლა, მისაზრება, მიუმთხვევლობა (შეცდომა, ნაკლი), მოგება (შეძენა), მომრგვალებული (წრე), მოურნე (მფარველი, მცველი), მოურნეობითი (განმგებლობითი), მოძრავი, მრვალწილება; მრავალწილ-ყოფა (გამრავლება), მუცელწინაობა (ლიპიანობა), მცოდვობა (მცდარობა; შეცდომის დაშვება), ნივთი, ნიშანი, ორძება (აღორძინება), ორწილი, ორწილობა (ორმაგი; გაორმაგება), რიცხვ (რიცხვი), რიცხვსშორისი (აღრიცხული), რწმუნებაი (რწმენა; დაჯერება), საგები (შესაძლებლობა), საზოგადო, საზრი (მიზანი), საზღვრობაი (საზღვრის დადება), საკუთარი (ჭეშმარიტი; ნამდვილი), საკუთარი მატერია (საგანი; თავისთავადი მატერია), საკუთარი ჩვენება (თავისთავადი მტკიცება), სახე (დღესაც სახის გაგებითაა: ფორმა; ფიგურა; სახეობა; ხასიათი; ჟანრი), საჯეროი (სარწმუნო; დასაჯერებელი), სიგრძე, სიდიდე, სიმართლე, სივაკე (სისწორე), სიმკაცრით (მათემატიკაში: სიზუსტით), სიმრავლე, სიმძიმე სისწორე, სიტყუაი (მნიშვნელობები: მსჯელობა; აზრი; შინაარსი; ხმა, ბგერა; მეტყველება), სამყური, სამძგიდი (სამკუთხედი), სიტყვისმოქმედნი (თანამედროვე გაგებით: ტერმინოგრაფი - რ.ბ.), სიტყვისყოფა (ლაპარაკი), სხვაობაი, ტრფიალებაი, ტყუილი, უბუნებიერესი (ბუნებრივი), უზენაესი (უმაღლესი; უდიდესი), უსახოი, უსწორო (არატოლი), ულონისძიებო, უძალობაი (ძალის არქონა), უწყებაი, ქადაგი (მაუწყებელი), ქვებურობაი (გრძნობათაღუძვრელობა, იმპოტენცია), ქმნაი (შექმნა, წარმოშობა), ყანობირი (ყანა), ყოფაი (ყოფა, არსებობა), შემეცნებაი, შემსგავსება (შეხამება), ცოდნაი, ძალი (შესაძლებლობა; პოტენცია; აზრი; მნიშვნელობა), ძარღუ (ძარღვი), ძიებაი, ძუელნი (წინაპრები), წადიერებითი (სურვილის აღმძვრელი), წესი (ადგილი; თანამდებობა; რიგი), წიგნი, წინაბგერება (წინათქმა წიგნისა), წინათქუამი (წინასიტყვა), ხელოვანი (ოსტატი, ხელოსანი), ხელოვნება (საქმიანობა; ოსტატობა; დღევანდელი გაგებით: ბიზნესი; მეწარმეობა), ჯეროვნად და მრავალი დღესაც ხმარებული სხვა ტერმინი.

ამ მოკლე სიტყვარით გვინდოდა, გვეჩვენებინა, რომ სულხან-საბა ორბელიანამდე ხუთი საუკუნით ადრე პეტრიწონის სკოლის სწავლულებმა ჩამოგვიყალიბეს სამეცნიერო ტერმინოლოგია და აქ მოტანილი ტერმინების უმეტესობა გამოყენებულია სულხან-საბას "ლექსიკონი ქართულში" (შექმნა 1785-1825 წწ.).

ზემოთ მოყვანილ ტერმინთა სპექტრის განხილვიდან გამომდინარეობს

დასკვნა-4: ევროპულ და ჩრდილო ამერიკული ერების ენებთან შედარებით ქართული ენა ათას ხუთასი წლის მანძილზე არსებითად არ შეცვლილა, მაშინ, როდესაც სხვა ენები (სლავური, გოთური და სხვ.) შეიცვალა 4-5 საუკუნის განმავლობაში.

**მეოთხე კატეგორია** - პურიზმი, ანუ მცდელობა ენობრივი გლობალისტიკის უარყოფისა (მე-12 საუკუნე). ძველქართულ ენაში პეტრიწონის სკოლის წარმომადგენლები იმთავითვე შეეცადნენ სამეცნიერო ტერმინოლოგია, კერძოდ, მეცნიერებათა დარგების ტერმინები და ტერმინოლოგიური გამოთქმები მხოლოდ ქართული ყოფილიყო. ქვემოთ ვნახავთ, რომ წმინდა ქართული ბუნების ტერმინები ქართული ფუძის სიმარტივისა და სემანტიკური გამჭვირვალობის მიუხედავად დროთა ვითარებაში, საუკუნეების შემდეგ, დარგობრივმა მეცნიერებამ და ენათმეცნიერებამ უკუაგდო. მოვიტანოთ რამდენიმე მაგალითი მეცნიერების დარგებისა და მიმართულებების სახელწოდებების ტერმინებზე: აღლევითი - (შემდგომ ეპოქებში დაინერგა, როგორც ანალიზი), აღმლეველი (ანალიტიკოსი), აღსიტყუაი (ანალოგია); ბუნებაი (ფიზიკა), ბუნებათმეტყველებითი (ფიზიოლოგია), ბუნებითი ფიზიკური მეტერიალური, ბუნებითი საქმე (ფიზიკური საგანი), ბუნებითი სხეული (ფიზიკური სხეული), განვლაი (რადიუსი), განრემზომი (დიამეტრი), განრემზომობაი (დიაგონალი), დადებაი (სინთეზი), ერთსახელი (სინონიმი), ზედმიწევნულობაი (მეცნიერება), ზღაპარმეტყველება (მითოლოგია), თანასახელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

(სინონიმი), თანშეტყუება (ანალოგია), თესლი (ბერძნ. "სპერმა"; თესლი შეიძლება იყოს მცენარისა), იგივე სახელი სინონიმი), მელორეობაი (მეთოდი), მოქალაქეობითი (პოლიტიკა), მოქმედებითი (პრაქტიკული ფილოსოფია), მრიცხუელობითი (მათემატიკა, როგორც თეორიული ფილოსოფიის დარგი), მხოლოი (ბერძნულად "მონო"), ნათესავმეტყველებაი (გენეალოგია), ნაკუეთი (ფიგურა), ნიშნიანი (სემანტიკოსი), ნიშნოვნობითი (სემანტიკა), სამოქალაქოი (პოლიტიკა), სამოქალაქო ფილოსოფოსი (პოლიტიკოსი), სასახლისჯულოი (ბერძნ. "ოეკონომიკოს", ეკონომიკა), საჩუეულებოი (ეთიკა), სახელმოდგამი (პარონიმი), სახილავი (თეორია), სახლისსჯულებითი (ეკონომიკა), სიტყვიერი (ლოგიკური), სიტყვიერებითი (ლოგიკა), სიტყვითი (ლოგიკა), სწავლულებითი (მათემატიკა, ძველად - როგორც თეორიული ფილოსოფიის დარგი), ქუეყანისმზომელობაი, ქვეყნის მზომელობა (გეომეტრია), ღირსებაი (აქსიომა), ღონისძიებაი (მეთოდი), შიმადგინებელი (სტატისტიკოსი), შეცულებაი (პერიფერია), შეწყობაი (ჰარმონია), ძალი (დინამიკა) და სხვები. ამრიგად, ჩამოვაყალიბეთ

დასკვნა-5: მეცნიერების განვითარება ენათმეცნიერებაზე გადის და ამიტომაც მარტო ერთი ქვეყნის ფარგლებში კარჩაკეტილობას იწვევს. დროთა ვითარებამ გვიჩვენა, რომ ეს კარჩაკეტილობა, ანუ ენობრივი ანტიგლობალიზმი უპერსპექტივოა.

მეხუთე კატეგორია - ძველ ქართულ ენაში ენობრივი გლობალისტიკის სფეროსთვის შემოთავაზებული და საუკუნეების პრაქტიკაში უარყოფილი ტერმინები: ევთიაი (ბერძნულად "ევთია" დაინერგა, როგორც რადიუსი), ელატი ("ელატიკ", დაინერგა, როგორც მდევარი, გამრეკავი), ენსტასი ("ენსტასიკ", დაინერგა, როგორც დებულება), ეპეიფანია ("ეპიფანეია", ზედაპირი), ზმილი ("სმილიო", დანა; ლანცეტი), ილისტიკი (თარაზო), პიდალიონი ("პიდალიონ", ნიჩაბი), პიკტი ("პიკტიკ" - ფალავანი), პნევმატოსი ("პნევმატოს" - გრამატიკაში: ფშვინვა, ასოთა გამოთქმაში), პროტასია, პროტასი ("პროტასიკ" - წინადადება), პროფორიკონი სიტყუაი ("პროფორიკოს ლოგოს" - ნათქვამი სიტყვა, გამონათქვამი), პტოსი ("პტოსიკ" - ფლექსია), პურეიონ ("პურეიონ" - კაჟი), რიმა ("რიმა" - ზმნა, პრედიკატი), როპი ("როპი" - მიდრეკილება; უნარი), სირაი ("სეირა" - სერია; წყება), სიმპერაზმაი ("სუმპერაზმა" - მსჯელობა; დასკვნა), სქეტიკი ("სხეტიკოს" - განმამტკიცებელი, დამცველი), ხრონოი ("ხრონოს" - დრო) და ასე შემდეგ.

ამ სიტყვებით შეუძლებელია, გავიგოთ მარტივი წინადადება, რომელიც ასე გამოისახება: სიმპერაზმაით პროფორიკონი სიტყუაი პროტასია არის ეპიფანიაზე ევთაიას ზმილით დაჩნევა - მისი "თარგმანია": მსჯელობითი გამონათქვამი წინადადებაა ზედაპირზე დანის წვერით რადიუსის გამოხაზვა. ძნელი წარმოსადგენია ამგვარი ბერძნულ-ქართული სიტყვებით მთელი წიგნის ან ნაშრომის დაწერა და გაგება.

დასკვნა-6: ქართული ენით გამოხატული საგნისა და მოვლენის, ცნებების მრავალმხრიობამ და ქართული სიტყვების მნიშვნელობათა მრავალასპექტურმა შესაძლებლობებმა იმთავითვე განდევნეს ისეთი უცხო სიტყვები, რომელთა ეკვივალენტები ყოველდღიურ ცხოვრებაში იხმარებოდა.

## ენობრივგლობალისტიკური საწყისების სხვა წყაროები

სულხან-საბა ორბელიანმა (ცხოვრობდა 1758-1825 წწ.) თავის ფუძემდებლურ ტერმინოლოგიურ ნაშრომში "ლექსიკონი ქართული" (შექმნა 1785-1825 წწ.) შეიტანა მეცნიერებისთვის ცნობილი ტერმინები (ხაზგასმული არის უცხო ენებიდან შემოსული სიტყვები): კანონი, ნივთი, ფასი (ბაჰსიდან), ნიშანი, მუშაკი, პატრონი, მილიონი, ნავთი, ხაზინა და ა.შ. მეორე დიდმა ლექსიკოგრაფმა ნიკო ჩუბინაშვილმა (1788-1845 წწ.) თავის "რუსულ-ქართულ ლექსიკონში" (შექმნა 1812-1832 წწ.) შეიტანა დღეს უკვე ენობრივგლობალისტიკური ეპოქის კომპიუტერულ მეცნიერებაში გამოყენებული ტერმინები: პაკეტი, ფორმატი, ტაბელი და მრავალი სხვა (დაინტერესებული დაწვრილებით იპოვის ნაშრომში "ფიზიკა-მათემატიკურ და ტექნიკურ მეცნიერებათა ქართული ტერმინოლოგიის საწყისებთან" - ავტორები რ. ბერულავა, ი. ქვაჩახია, ჟურნ. "მეცნიერება და ტექნიკა", № 5, 1984 წ.).

## კომპიუტერული სატერმინო სიტყვები "ხანმეტ ტექსტებში"

ცნობილია, რომ კომპიუტერი მუშაობს მრავალი ნულისა და ერთიანის მრავალრიცხოვანი საკომპიუტერო პროგრამით წინასწარ განსაზღვრული კომბინაციებით. ამასთან, სრულდება ოთხი ელემენტარული მათემატიკური ოპერაცია: შეკრება, გამოკლება, გამრავლება და გაყოფა. ამის გარდა კომპიუტერი იყენებს რიცხვების ძვრას მარჯვნივ და მარცხნივ. ამრიგად, ურთულესი კომპიუტერული სისტემის მოქმედება დაიყვანება რამდენიმე არითმეტიკულ ოპერაციაზე (თანამედროვე მანქანებში მხოლოდ ორი ოპერაცია ხორციელდება - მიმატება და ძვრა, ძვრა მარჯვნივ ან მარცხნივ). ამრიგად, ეს ოპერაციათა ნაკრები არის კომპიუტერული არითმეტიკულ-ლოგიკური ენის ბაზისი. ამ ენაში მიმატება გამოისახება სიტყვით "ან", - გამრავლება - სიტყვით "და", უარყოფა - სიტყვით "არა", ოპერაცია ძვრა იგივე სიტყვით - "ძვრა" გამოიხატება. გაყოფისას (სკოლაში ნასწავლი კუთხით გაყოფის მიხედვით) ხდება რიცხვის ძვრა მარჯვნივ, ხოლო გამრავლებისას - მარცხნივ. ამ ათიოდე წლის წინათ შევნიშნეთ, რომ მეხუთე საუკუნის "ხანმეტი ტექსტები", კერძოდ, სახარების ტექსტი შეიცავს საკომპიუტერო სიტყვებს, რომლებმაც მომდევნო თხუთმეტი საუკუნის შემდეგ მიიღეს ტერმინობრივი დატვირთვა. ეს სიტყვებია მიმატება (შეკრება), მცირე, (შემცირება, გამოკლება), განყოფაი (გაყოფა), გამრავლებაი (გამრავლება) და ძვრაი (ძვრა). ამის შემდეგ ადვილი შეიქმნა სახარების ტექსტების ლოგიკური საკომპიუტერო სქემების აგება (იხ. რ. ბერულავა, ი. ქვაჩახია გამოთვლითი ტექნიკისა და ინფორმატიკის არითმეტიკულ-ლოგიკური სატერმინო სიტყვები "ხანმეტ ტექსტებში" (წარმოადგინა აკად. შოთა ძიძიგურმა). სსსრ მეცნ. აკადემიის "მოამბე", ტ. 137, № 2, 1990 წ.). ზემოთქმულთან დაკავშირებით შეიძლება გამოვიტანოთ

დასკვნა-7: ბიბლიის ტექსტების ანალიზი ყოველი თაობის ადამიანებს არა მარტო სულიერ სიძლიერეს, ღვთისმეტყველების სიყვარულსა და ღმერთთან მიახლოების გრძნობას აღუძრავს, არამედ დიდი შემეცნებითი მნიშვნელობა და პრაქტიკული გამოყენება აქვს მეცნიერებაში და ყოფაცხოვრებაში.

## ენობრივგლობალისტიკური ტერმინოლოგიური ინოვაციები

ზემოთ აღნიშნული კომპიუტერული ლექსიკონის სამტომეულის შექმნისას (შევადგინეთ იდელა ქვაჩახიასთან ერთად 1975-2000 წლებში) თავისთავად წარმოიქმნა ახალი მოვლენების, პროცესების, მოწყობილობებისა და სისტემების შესატყვისი ცნება-ტერმინების ქართული ეკვივალენტების წარმოქმნის აუცილებლობა. ამასთან, ჩვენს მიერ 1963 წელს შექ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მნილი დინამიკური ელემენტებისა და მოწყობილობის (იხ. რ. ბერულავა - ტრანზისტორული დინამიკური ელემენტები და მოწყობილობები. გათვლა და დაპროექტება. გამომცემლობა "ენერგია", მოსკოვი, 1970 წ., რუსულ ენაზე) ერთი რეჟიმის შესატყვისად შევქმენით ტერმინოლოგიური „გამოთქმა დინამიკური მოდულურობა", რაც ნიშნავს დინამიკური სისტემის შემგუებლობას სწრაფად ცვლადი პირობებისადმი და სათანადო რეჟიმული გადაწყობის ავტომატურ ორგანიზებას. ეს ტერმინი შეტანილია სამტომეულის პირველ ტომში (გამოიცა 1984 წ. გვ.6). შევქმენით, აგრეთვე, ტერმინი "მიოელექტრონული მართვა", რაც ნიშნავს ადამიანის ბიოპოტენციალების მეშვეობით კომპიუტერული სისტემის ან რთული დანადგარის მართვის ტექნიკას. ეს ტერმინი შეტანილია იმავე პირველ ტომში (გვ.6) და მეორე ტომში (გამოიცა 1995 წ., გვ.74). რთული ობიექტების ავტომატიზაციასთან დაკავშირებით შევქმენით ტერმინი "კომპიუტერული ტექნიზაცია", რაც მოიცავს რობოტიზებული ქარხნების კომპიუტერული აპარატულ-პროგრამული უზრუნველყოფის სისტემას (იხ. რ. ბერულავა - პატენტთმცოდნეობისა და ახალი ტექნიკის ეკონომიკური ეფექტიანობის საფუძვლები. თსუ-ის გამომცემლობა, 1983 წ., გვ.189-192). ჩვენს მიერ 1999 წელს შექმნილი ტერმინი "ტერმინალი ინტელ-ლეგო" ეხება გაფართოებული ლოგიკის თვისებისა და ინტელექტუალური შესაძლებლობის მქონე კომპიუტერულ მაგროვებელ-მაანალიზებელ სისტემას, რომელიც შესაბამის გადაწყვეტილებასაც იღებს (იხ. რ. ბერულავა, თ. ბერულავა - ქართულ-ინგლისურ-რუსული პროფესიული განმარტებითი ლექსიკონი. ენციკლოპედიურ-ტერმინოლოგიური ცნობარი. 1999 წ., გვ.319).

## ძველქართული ტერმინების ახალი გამოყენება

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ უძველესი დროიდან კოლხი ზღვაოსნები ფლობდნენ საზღვაო კარტოგრაფიის საიდუმლოებას. ქართული საზღვაო ტერმინებიც იმ დროიდან მომდინარეობს. ან განსვენებულმა ეთნოგრაფმა, თსუ-ის დოცენტმა ზურაბ კუტელეიშვილმა გამოიკვლია ძველი საზღვაო ტერმინები, ხოლო ისტორიკოსმა, თსუ-ის პროფესორმა რევაზ ბერიძემ - სამდინარო ტერმინოლოგია. ყურადღებას იმსახურებს ტერმნები "აფრა" (უნდა ვიხმაროთ იალქნის ნაცვლად), "ეგუტი" (სათევზაო ნავის წინა სარტყელი. აქედან წარმოდგება გვარი ეგუტია). რუსული ტერმინი пярус მომდინარეობს ბერძნულიდან "ფაროს" (ბერძნებამდე ქართველებს ჰქონიათ ეს ტერმინი (მე-14 ს. ჩვ.წ. აღრიცხვამდე). მეგრულსა და ძველქართულში დადასტურებულია ტერმინი "გოლაკორონი" (მეგრულად "გოლა", "გვალა" მთას ნიშნავს და სიმაღლის მიმთითებელია). გოლაკორონი არის გადახურული ხომალდი. რუსულ და ინგლისურ ენებში ერთი სიტყვით არ გამოისახება (რუსულადაა "перекрытый корябль", ინგლისურად "covered ship" და სხვ.). ქართულში გვაქვს სიტყვა "თალარი", რომლის რუსული ეკვივალენტად მიმაჩნია ორსიტყვიანი боцмянская беседка (რ. ბერულავა - ქართული საზღვაო ტერმინოლოგიისათვის. გაზ. "აღორძინება", 1999 წლის 17 სექტ. და 10 ნოემბრის ნომრები). ეს ტერმინები გამოვიყენეთ რ. და თ. ბერულავებისა და ი. ქვაჩახიას ახალ ნაშრომში "ინგლისურ-რუსულ-ქართული საზღვაო ლექსიკონი" ("გვექნება საზღვაო ტერმინთა ლექსიკონი" გაზ. "ახალი ეპოქა", 31 აგვ. - 3 სექტ. 2001 წ. და გაზეთი, „აღორძინება" ოქტომბერი, № 11 (102), 2001 წ.). ამ ლექსიკონში შეგვაქვს დოც ზ. კუტელეიშვილის მიერ შემოთავაზებული ოდიშური ნავის ელემენტების სახელწოდებანი: კირჭი (კიჩოს სინონიმი), ხოფი (ნიჩაბი), ნერჩი (ძირი), კაპო (ეგუტი), კირნაპი (კოპები), ელე (უკანა ეგუტი). ძველი სანაოსნო ტერმინებია ნიში, ანუ ნუშა (ნუშა-მცირე ნავი. ს.-ს. ორბელიანი), ხოლო სათევზაო ნავია ოლეჭკანდერი (ხშირად ხმარობდნენ სიტყვას ოლაჭგანდერი), ხოლო ხეჭება კი დიდი საბრძოლო ხომალდია და სხვ. ძველქართული (მე-12 ს.) ტერმინი "წინაბგერება" გამოვიყენეთ მობილური ტელეფონის ან კომპიუტერული სისტემის ხმოვანი (ბგერითი) სიგნალით ჩართვის საშუალების აღსანიშნავად, ხოლო ძველქართული სიტყვით ჰარი გამოვსახეთ იმპულსთშორისი შუალედი; ცარიელი ადგილი; სემანტიკით შეესაბამება ინგლისურ ტერმინს space character (სივრცული მახასიათებელი, პარამეტრი). ეს ტერმინები შეტანილი გვაქვს "ინგლისურ-რუსულ-ქართულ ტექნიკურ განმარტებით ლექსიკონში" (ავტ. რ. ბერულავა, ი. ქვაჩახია), გამომც. "მეცნიერება", 1994 წ., გვ.105).

## სიტყვათშემოკლებანი - გზა გლობალისტიკური წესებიდან ლოკალურ (ეროვნულ) აბრევიატურებამდე

საერთაშორისო წესად მიღებულია, რომ უმეტეს შემთხვევაში აბრევიატურა შესამოკლებელი სიტყვების პირველი ასოებისგან მიღებული ლექსიკური წარმონაქმნია, რომელიც ენას ამდიდრებს (გაერო, ეუთო, და სხვ.). ამასთან, ერთიანი წესები არც ერთ ქვეყანაში არ არის შექმნილი.

სამწუხაროდ, აბრევიოლოგიას - მეცნიერებას აბრევიატურების შესახებ, საქართველოში ყურადღება არ ექცევა. ამ ტერმინს არც კი ხმარობენ. სიტყვათშემოკლებებს (აბრევიატურა, აკრონიმი) დღესაც თითქმის არავინ არ იკვლევს სხვადასხვა მიზეზებისა გამო. ჩვენი აზრით, ამ მიზეზთაგან ძირითადია წმინდა ენათმეცნიერული კლასიკური მიდგომის პოზიციიდან საკითხის გადაწყვეტის შეუთავსებლობა აბრევიატურების, ანუ ხელოვნური მეთოდით შედგენილი ლექსიკური ერთეულების წარმოქმნასთან.

ჩავთვალეთ, რომ სიტყვათშემოკლება ერთიანი სისტემური წესებით შექმნილი ხელოვნური ენაა. ხელოვნურობა გამოიხატება ევრისტიკული მეთოდის გამოყენებაში, ამასთან, მთავარი პირობით - დაცულ იქნას ენის ეკოლოგიის პრინციპი. ორიოდე განმარტება ევრისტიკისა და ეკოლოგიის თაობაზე.

ევრისტიკა (ბერძნულად heurisko ნიშნავს ვპოულობ; აღმოვაჩინე; ინგლისურად heuristics) კვლევა-სწავლების პროცესში ახლის აღმოჩენის ინდივიდუალური მეთოდია. ევრისტიკა ავითარებს ადამიანის მიხვედრილობას და აქტივობას პრაქტიკული ხასიათის სხვადასხვა საკითხში, მათ შორის, ხელოვნური სიტყვების შესაქმნელად: კომპიუტერული მნემონიკები, აბრევიატურები, შემოკლებული სიტყვანაერთები და სხვ.

ენის ეკოლოგიაში ვგულისხმობთ ენათმეცნიერულ მიმართულებას - სწავლებას მშობლიური ენის სიწმინდისა და შესაძლო დაბინძურებისგან თავის დაღწევის შესახებ. ამ როლს ვუკავშირებთ თვით ეკოლოგიის თავდაპირველ განმარტებას; ბერძნული სიტყვა ეკოლოგია ორკომპონენტიანია oikos - სამშობლო, სახლი, logos სწავლება, ცნება. ენის ეკოლოგია, ჩვენი აზრით, მიზნად ისახავს მშობლიური ენის დაცვას შესაძლო დაბინძურებისგან. ამ წერილში დაბინძურების შესაძლო წყაროდ ვგულისხმობთ უსისტემოდ და ქაოსურად მოძალებულ სიტყვათშემოკლებებს. ამ უსისტემობისა და ქაოსის თავიდან ასაცილებლად შევიმუშავეთ "სიტყვათშემოკლებითი ტერმინოგრაფიის მეთოდი" (ეს ტერმინოლოგიური გამოთქმა ჩვენია; იხ. რ. ბერულავა - სიტყვათშემოკლება და მისი ტერმინოგრაფია", გაზ. "თბილისის უნივერსიტეტი", 10 სექტ. 2000 წ.). სიტყვათშემოკლებითი ტერმინოგრაფია ენის ახალი ლექსიკური ერთეულის - ტერმინის შექმნაა (ძველბერძნულად "გრაფოს" ნიშნავს ნაწერს, "ვწერ", "ვხატავ") ამ ერთეულის შესაქმნელად ენის ეკოლოგიური სისუფთავის დაც-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვის პირობებში. ეს პირობები სააბრევიაციო ერთეულის ეკოლოგიურ-ტერმინოგრაფიულ ფილტრში გატარებას, გაფილტვრას, ტერმინობრივად "დაწურვას" ნიშნავს.

ტერმინოგრაფიული ფილტრაციის ძირითადი მომენტებია: ა) აბრევიატურა უნდა შეიცავდეს ერთ ხმოვანი ასო-ნიშანს მაინც, რომ იგი ისევე წავიკითხოთ, როგორც იწერება; ბ) აბრევიატურის წაკითხვისას არ დამახინჯდეს ქართული ასონიშნის სახელწოდება; გ) აბრევიატურა უნდა ეფუძნებოდეს ქართული ენის პრაქტიკაში არსებულ მოვლენებს; საამისოდ გამოყენებულ იქნეს ტრადიციული გზაც (მაგალითად, ტერმინები ტიპის თემქა, აგრეთვე, თელასი და სხვ.); დ) აბრევიატურა გამართული უნდა იყოს ეტიმოლოგიურად და შეექმნას სემანტიკური გარსი. მაგალითად, ცნობილი მოწყობილობის "ციფრული დიფერენციალური ანალიზატორი" აბრევიატურად არ გამოდგება აქამდე არსებული ტრადიციული ინიციალური აბრევიატურული ხერხი, რითაც მიიღებოდა „ცდა". ამ შემთხვევაში მიიღება უაზრობა "ცდა ცდაში" ტიპისა; არ გამოდგებოდა, აგრეთვე, პირველი მარცვლით მიღებული შემოკლება ციდა, რაც ასევე სხვა აზრობრივი დატვირთვისაა. ამიტომ ჩვენი მეორე წესით სწორი აბრევიატურული ერთეული არის ციფდა); ე) გათვალისწინებულ იქნეს სიტყვათშემოკლებების საერთაშორისოდ აღიარებული აზრობრივი, ემოციური (მათ შორის სარეკლამოდ გამოსადეგი) გარეგნული მხარეები; ვ) უნდა წარმოადგენდეს ისეთ ახალ ლინგვისტურ წარმონაქმნს, რომელიც თითქოსდა უკვე არსებობდა და ესესაა მოხდა მისი ბგერითი აღქმა (მაგალითად, სიტყვების "ელექტრონული გ-ამომთვლელი მ-ანქან-ა" აბრევიატურა ეგმა მოგვაგონებს სიტყვას გეგმა); ზ) აბრევიატურული ერთეული უნდა შეიცავდეს მხოლოდ და მხოლოდ ქართულ ენაში დასაშვებ თანხმოვანთა კომბინაციებს, რომლებიც აღიარებულია ენათმეცნიერებაში (ივ. ჯავახიშვილი, თ. უთურგაიძე, ზ. სარჯველაძე, გ. გოგოლაშვილი და სხვ.). ამ პრინციპით თანხმოვანთა დასაშვებ წყობას ვპოულობთ ქართული ენის რვატომეულ განმარტებით ლექსიკონში (არნ. ჩიქობავა) და მის საფუძველზე შექმნილ ინვერსიულ ლექსიკონში (ბიძ. ფოჩხუა), ძველი ქართული ენის ლექსიკონში (ზ. სარჯველაძე, და სხვ. ხშირ შემთხვევაში ამ ლექსიკონებში არ მოიპოვება ზმნური თანხმოვანფუძიანი ერთეულები, რომლებიც თანამედროვე დარგებისთვის ახალი აბრევიატურული ერთეულების შედგენისას წარმოჩინდება ხოლმე, მაგრამ არ წარმოადგენენ აკრძალულ თანხმოვანთწყობებს.

ჩვენს მიერ 1988-89 წლებში შექმნილი წესებიდან (რ. ბერულავა "ქართული სამეცნიერო-ტექნიკური აბრევიატურისა და აკრონიმის ძირითადი წესები (წარმოადგინა აკად. შოთა ძიძიგურმა)." სსსრ მეცნ. აკადემიის "მოამბე", ტ. 136, № 3, 1989 წ.) აქ სამ ძირითადს განვიხილავთ, რომელთა შეცნობა მეხუთე-მეექვსე კლასელსაც არ გაუჭირდება (ჩვენი წესები თსუ-დან წარდგენილია აკად. თ. გამყრელიძის, პროფ. ზ. ჭუმბურიძის, პროფ. ზ. სარჯველაძის, პროფ. ე. ბაბუნაშვილის, დოც. პ. ცხადაიას, დოც. ო. ქაჯაიას და პროფ. ა. ხელაშვილის მიერ საქართველოს სახელმწიფო ენის მუდმივმოქმედ კომისიაზე დასამტკიცებლად. ამ კომისიის წევრებია აკად. თ. გამყრელიძე, პროფ. ზ. ჭუმბურიძე და სხვები).

პირველი წესი: სიტყვათშემოკლება როგორც იწერება, ისე იკითხება და შენარჩუნებულია ასოთა ისტორიული სახელწოდებები.

მეორე წესი: თანხმოვნებით დაწყებული შესამოკლებელი სიტყვათშემოკლების ასაჟღერებლად საკმარისია ერთი ხმოვნის არსებობა, ხელოვნური საბრევიაციო მოდელის შექმნა ან არსებულის გამოყენება. კერძოდ, შევამჩნით, რომ ტერმინში თემქა (თ-ბილისის ე-ლმავალ მ-შენებელი ქ-არხან-ა) ბოლო სიტყვის ბოლოსართი "ა" (ანი), როგორც თანმხოვანასოიანი აბრევიატურის "გახმოვანების" საშუალება - თვით ჩვენი ენის ბუნებიდან გამომდინარეობს: შესამოკლებელი სიტყვების ბოლო სიტყვის ბოლო ასო, ჩვენდა საბედნიეროდ, ყოველთვის ხმოვანი ასო-ნიშანია. ამ გამჭვირვალე წესით შედგენილი სიტყვათშემოკლება ისე გამოითქმის, როგორც იწერება. თემქა-ს ანალოგიით დავამოდელეთ სიტყვების "გამომთვლელი მანქანა" ლექსიკური ერთეული გმა, "ე-ლექტრონული გ-ამომთვლელი მ-მანქან-ა" - ეგმა და სხვ.

მესამე წესი: თანხმოვნებით დაწყებული რამდენიმესიტყვიანი გამოთქმიდან აბრევიატურა მიიღება პირველი სიტყვის პირველი მარცვლისა და მომდევნო სიტყვების პირველი ასოების დართვით. მაგალითად: ცე-ნტრალური ს-აარჩევნო კომისი-ა" არის ცესკა. ბრუნვები ცესკა, ცესკამ, ცესკას, ცესკის, ცესკით, ცესკად). მაგალითები: (აირჩიეს) ცესკა, (განიხილა) ცესკამ, (გადაეგზავნა) ცესკას, ცესკის (თავმჯდომარე), ცესკის (მდივანი), (კმაყოფილია) ცესკით და სხვ. ამ პრინციპით "ს-აქართველოს ე-ნერგეტიკის მ-არეგულირებელი კომისი-ა" არის სემეკა (და არა სემეკი, როგორც მასმედიაში დაუსაბუთებლად ცდილობენ დანერგვას).

ზემოთ აღნიშნული პრინციპებით შედგენილი სიტყვების "თ-ავისუფალი ე-კონომიკური ზ-ონ-ა" აბრევიატურა არის თეზა (აქ "ა" ასო არის ამ გამოთქმის ბოლო ასო. მაგალითები: თეზას მართავს, თეზაში შედის, თეზად გადაკეთდა და ა.შ. ყველაფრის გარდა, ზოგიერთი პარლამენტარის მიერ ნახმარი თეზი კაცის კნინობითი სახელის ასოციაციისაა); "შ-ეზღუდული პ-ასუხისმგებლობის ს-აზოგადოება" - შპსა (მესამე წესით სწორია შეპსა, მაგრამ ასე არ დაინერგა); "დ-ამატებული ღ-ირებულების გ-ადასახად-ი" - დღგი (არ დაინერგა დალგი) და ა.შ. ასო-ნიშან "ო"-ზე დამთავრებული ბოლო შესამოკლებელიი სიტყვა ფუძეუკვეცია და მთელი აბრევიატურა - გამჭვირვალე. მაგალითად, "ს-წავლულ ე-ქსპერტთა ს-აბჭო" აბრევიატურულად არის სესო (ზოგიერთი ჟურნალისტის ნახმარი სესი ქალის სახელია) და ა.შ. "დ-ამოუკიდებელ ს-ახელმწიფოთა თ-ანამეგობრობ-ა" შემოკლებით როგორც იწერება, ისე გამოითქმება - დსთა.

დასკვნა-8: ა) წარმოდგენილ სიტყვათშემოკლებათა წესებზე დაყრდნობით (სულ არის ხუთი წესი) შექმნილია პირველი რუსულ-ქართული სიტყათშემოკლებათა ლექსიკონი (რ. ბერულავა - "სამეცნიერო-ტექნიკური დარგების ტერმინებისა და გამოთქმების რუსულ-ქართულ შემოკლებათა ლექსიკონი". წიგნში: რ. ბერულავა - რუსულ-ქართული ლექსიკონი, თსუ-ის გამომც. 1993 წ., გვ.265-326).

ბ) ამავე წესებით შექმნილია პირველი ინგლისურ-ქართული სიტყათშემოკლებათა სქელტანიანი ლექსიკონი (ზემოთ აღნიშნული სამტომეულის მესამე ტომში, 16 თაბახის მოცულობის, 15 ათასი სიტყვათშემოკლება).

## ქართული აბრევიატურული მოდელების პოტენციალის მეტობა ევროპული ენების პოტენციალზე

დაგვაინტერესა აბრევიატურული მოდელების და ლექსიკური ერთეულების ჯამური რაოდენობის გამოანგარიშებამ. "ა"-თი აღვნიშნავთ რომელიმე ენის ანბანის ასოთა რაოდენობას და "მ"-თი ამ კონკრეტული ანბანის ასოებისგან შედგენილ სიტყვა-მოდელთა რაოდენობას (აზრობრივსა და არააზრობრივს, ანუ სამომავლოდ აბრევიატურულად შესაძლო მოდელებს - ასოთა კომბინაციებს). ამ ანბანის სიტყვა-მოდელთა საერთო რაოდენობა იქნება "ა" ხარისხად "მ". ქართულში არის 33 ასო, მაშასადამე, "ა - ქართული" ტოლია 33-ის. ინგლისურ, ფრანგულ და გერმანულ ენებშია 26-26 ასო; იტალიურშია 21 ასო; ესპანურში 28 და ა.შ.

გამოვიანგარიშოთ რამდენი ორასოიანი მოდელი შეიძლება შედგეს ქართული ანბანის "ა"(უდრის 33-ს) ასოებისგან, ანუ როდესაც "მ" უდრის 2-ს. მაშინ ნებისმიერი კომბინაციის ორასოიანი მოდელების რაოდენობა იქნება "ა" ხარისხად "მ",

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანუ 33 ხარისხად 2, რაც ადგენს 1089 ორასოიან მოდელს. იტალიური ენისთვის ("ა-იტალიური" უდრის 21-ს) ორასოიანი მოდელების რაოდენობა იქნება 21 აყვანილი 2 ხარისხში ანუ 441 მოდელი. ინგლისურში, ფრანგულსა და გერმანულში "ა-ინგლ., ფრანგ., გერმ." ტოლია 26-ისა). ამ ენებში ორასოიანი მოდელების რაოდენობა, ზემოთქმულის ანალოგიურად, იქნება 26 ხარისხად 2 (ვინაიდან "მ" სამივე ენისა არის 2), ანუ ამ ენებში ცალ-ცალკე შესაძლებელია მხოლოდ 676 მოდელი არსებობდეს. ესპანურ ენაში ("ა-ესპანური" ტოლია 28-სა) არის 784 მოდელი. რუსულ ენაში აბრევიატურებს არ ადგენს დამხმარე ასოები (მაგარი "ი", მარბილებელი და მაცალკევებელი ასოები და რუსული გრამატიკით ამ ასო-ნიშნების კომბინაციები "კ", "იუ", "ია" და "ე" შებრუნებით ასოსთან დაუშვებელ კომბინაციებად ითვლება. ამიტომ უნდა ჩავთვალოთ, რომ რუსულში მოქმედ ასოთა რაოდენობა არის არა 33, არამედ 7-ით ნაკლები (ანუ 27) და ამიტომ რუსულში ორასოიან სიტყვა-მოდელთა რაოდენობა მერყეობს 676-სა და 784-ს შორის. ყველა ეს ენა ქართულ ენასთან შედარებით შეიცავს ორასოიან მოდელთა გაცილებით ნაკლებ რაოდენობას (ქართულშია, როგორც ზემოთ ვიანგარიშეთ, 1089 ორასოიანი მოდელი). ელემენტარული მათემატიკით - რაც მეტია გამოსაანგარიშებელ მოდელთა რაოდენობა (სამ-, ოთხ-, ხუთ- და მეტასოიანი მოდელები), მით მეტი სხვაობა იქნება ქართული სიტყვა-მოდელის პოტენციალსა და სხვა დანარჩენი უცხოენოვანი მოდელების რაოდენობას შორის (ამ საკითხით მეტად დაინტერესებული მკითხველი გაეცნობა ნაშრომს რ. ბერულავა - ქართულ სიტყვა-მოდელთა პოტენციალი. ჟურნ. "მეცნიერება და ტექნიკა", № 9, 1984 წ. და ზემოთ აღნიშნულ ნაშრომს, სსსრ მეცნ. აკად. "მოამბე", № 3, 1989 წ.).

დასკვნა-9: ქართული ენის შესაძლებლობათა წარმოჩენის რეალური საშუალება არის სიტყვათშემოკლებათა შექმნით მიღებული ლექსიკური ერთეულებით გამდიდრების გზა. ამ შემთხვევაში ქართულ ენას აბრევიატურულ სიტყვა-მოდელთა გაცილებით მეტი რაოდენობის წარმოქმნის საშუალება აქვს, ვიდრე ევროპულ (ინგლისურ, ფრანგულ, გერმანულ, იტალიურ, ესპანურ) და რუსულ ენებს.

## ფისკალური, საგარეო-ეკონომიკური და სატრანსპორტო გლობალისტიკური ტერმინები

ლათინური სიტყვა "ფისკუს" (ნიშნავს სახელმწიფო ხაზინას; ფინანსებს) შესულია ინგლისურ ("ფისკალ" - ფისკალური), გერმანულ ("ფისკალიშ" - სახელმწიფო ხაზინა; ფისკი; სახელმწიფო ინსპექტორი); ფრანგულ ("ფისკალ" - საგადასახადო, ფისკალური), იტალიურ (არს. სახელი "ფისკო", ზედს. სახ. "ფისკალე" - ფისკალური) და ა.შ. ქართულ ენაში დაინერგა ფრანგულისა და ინგლისურის გავლენით - ფისკალური (ანუ საფინანსო, საგადასახადო, სახაზინო).

ამერიკისა და ევროპის საბანკო-საფინანსო სისტემებში დანერგილია იტალიური სიტყვა ჯირო ("ჯირო" - ბრუნვა; გადაგზავნა). იგი ნიშნავს ფასიანი ქაღალდის თანხის გადახდას-გადაცემას იმავე ბანკის სხვა მეანაბრისთვის და სხვ. ასევე დანერგილია იტალიურ-ფრანგული ტერმინი ჯიროჩეკი (ჩეკი ფრანგულია) და ჯიროსისტემა. რუსულში და ქართულში ამ ტერმინებს არასწორად წერენ და გამოთქვამენ: ასოს "ჯ" (ჯან) ნაცვლად არასწორად წერენ - "ჟ" (ჟირო, ჟირობანკი, ჟიროსისტემა). საბანკო სისტემებში ასევე ფართო გამოყენებაშია იტალიური აჯო. იტალიურად იწერება "აჯჯო", ნიშნავს ფულის გადაცვლისას მიღებულ პრემიას, საფასურს; გასესხებით მიღებულ მოგებას. აქაც, რუსულში და ქართულში ტერმინებს არასწორად წერენ და ხმარობენ - აჟიო. საერთოდ, რუსული ანბანის მწირ შესაძლებლობას არ უნდა მიეწეროს, რომ ასოს ჯ (ჯანი) არ წერენ სწორად. ვინაიდან ასეთ შემთხვევებში ხმარობენ ორ ასოს "დჟ". მაგალითად, რუსულში თვითნებურად დანერგეს "ბორჟომი" (წყალზეა ლაპარაკი), მაგრამ ქალაქს ეძახიან სწორად "ბორდჟომი" (რ. ბერულავა - "ბორჯომი თუ ბორდჟომი", გაზ. "საქართველოს რესპუბლიკა", # 268, 17 ოქტ. 1998 წ.).

ეკონომიკაში გამოყენებული ლათინური სიტყვა ლიცენზია ("უფლება; უფლების გაცემა) ინგლისურად იწერება "ლიცენსე" ("ს" იწერება "ეს"-ით), ამერინგლისურში (ინგლისური ენის ამერიკული ვარიანტით, ამერიკულად) კი იწერება "ლისენსე" (აქ კი "ს" იწერება "სი"-თი). ტრანსპორტირებაში, ვაჭრობასა და საგარეო-ეკონომიკურ ურთიერთობებში ფართო გამოყენებაშია იტალიური ტერმინი "ფრანკო" (გადასახადისგან განთავისუფლებული, მაგ., გადასატანი ტვირთის შესახებ). ამასთან დაკავშირებით ცნობილია ტერმინები: ფრანკო-ბორტი, ფრანკო-ვაგონი, ფრანკო-პორტი. ბევრ ენაზე და, მათ შორის ქართულად, იწერება "ფრანკო". ინგლისურად კი "ფრიი" (თავისუფალი). გერმანული ტერმინი "ფრახტი" (გემით ან სხვა ტრანსპორტით, ან მისი ნაწილით სარგებლობის საფასური), ინგლისურად "ფრეით" შესულია ტერმინებში ფრახტ-რილიზი, (სატრანსპორტო ზედნადებზე ტვირთის გადაცემის დოკუმენტი), ქართული ტერმინები: მეფრახტე, ფრახტული განაკვეთი, ფრახტის ბაზარი (იხ. რ. ბერულავა, თ. ბერულავა - ქართულ-ინგლისურ-რუსული პროფესიული განმარტებითი ლექსიკონი", 1999 წ., გვ.349-350). ტრანსპორტირებაში თითქმის ყველა ტვირთს ლათინური ასოებით აწერია ესპანური ტერმინი "კარგო" (ესპანურად ნიშნავს დატვირთვას, ჩატვირთვას), ასეთი ტვირთი დაზღვეულია).

დასკვნა-10: საგარეო-ეკონომიკურ ურთიერთობაში დიდი როლი ენიჭება ეროვნებათაშორისი საკომუტაციო ენის საერთაშორისო ტერმინოლოგიურ სტანდარტებს. მსოფლიოში მიმდინარეობს ფუძემდებლური ენობრივ-ტერმინოლოგიური ინტერნალიონალიზაცია, რაც, ჩვენი აზრით, სხვა სიტყვებით ნიშნავს ენობრივი გლობალისტიკის რეალიზაციას.

## პაატა გუგუშვილის ტექნიკურ-ეკონომიკური ტერმინთსისტემა

"მერგო ბედნიერება ლექსიკონების შედგენის პროცესში ბ-ნ პაატა გუგუშვილისაგან მიმეღო ჩემთვის მეტად საჭირო, კვალიფიცირებული რჩევები და კონკრეტული დახმარება ტერმინებისა და ტერმინოლოგიური გამოთქმების გამართვა-დახვეწისათვის. ბ-ნი პაატა გუგუშვილი საოცარი პედაგოგი იყო: გულისხმიერი, მომთმენი, დახმარებისათვის მუდამ მზადმყოფი, უშუალ - მამაშვილური კეთილშობილებით" (რ. ბერულავა - "პაატა გუგუშვილი და ტექნიკურ-ეკონომიკური ტერმინოლოგია". გაზ. "თბილისი", 28 ნოემბერი, 1991 წწ.). ბატონმა პაატამ გადმომცა წიგნი, სადაც იგი იგონებს გასული საუკუნის 30-იან წლებს: "ზოგიერთი ეკონომისტი, როგორც ეს ცნობილია, მაშინ აცხადებდა, რომ რუსულში და შესაბამისად ქართულში ადრე ტერმინი "ეკონომიკა" არ ყოფილა და არც ახლაა აუცილებელი, მით უფრო რომ ის ახლაც არაა გერმანულშიო. და რამდენადაც ადრე ეკონომიკური ტერმინები გერმანული და სხვა დასავლეთევროპული ქვეყნებიდან შემოდიოდა, ამიერიდან ამ გზას უნდა გავყვეთო" (წიგნიდან: სოციოლოგიისა და დემოგრაფიის პრობლემები. მეორე წიგნი. პ. გუგუშვილი - დემოგრაფიული ტერმინოლოგიის საკითხები. ქვეთავი: "ტერმინოლოგიისა და თარგმანის პრობლემა", გვ.113, გამომც. "მეცნიერება", 1984 წ.). აკადემიკოსმა პაატა გუგუშვილმა დანერგა არა მარტო ტერმინები "ეკონომიკა", "ეკონომია", "ეკონომიკური", არამედ ეკონომიკისა და ტექნიკისთვის ფუძემდებლური ტერმინები: მწარმოებლურობა, აღწარმოება, ფასეულობა და სხვები. ბატონი პაატა წერს: "ქართული მხატვრული სიტყვის დიდოსტატი კონსტანტინე გამ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახურდია მხარს მიმაგრებდა, როდესაც აცხადებდა: ცნობილია, ორის სიტყვით ერთი ცნების გამოხატვა ენობრივი სიღატაკის მომასწავებელია უთუოდ". დიდი კონსტანტინეს ამ გამონაქთვამის საილუსტრაციოდ გამოდგება ბ-ნ პაატა გუგუშვილის მიერ შემჩნეული ფაქტი, რომ სამი რუსული სიტყვა: 1. счет; 2. рясчет; 3. отсчет ქართულად არასწორად იყო გადმოტანილი მხოლოდ ერთი სიტყვით "ანგარიში". აკადემიკოსმა პაატა გუგუშვილმა ამ სამ ტერმინს სამი ქართული ეკვივალენტი მოუნახა: 1. ანგარიში; 2. ანგარიშსწორება; 3. ანგარიშგება. ამასთან, შევნიშნავთ, რომ დღემდე სახელმძღვანელოდ მიჩნეულ "რუსულ-ქართულ ლექსიკონში" (ენათმეცნიერების ინსტიტუტი, 1983 წ.), ორი რუსული სიტყვა отсчет და счет ქართულად წარმოდგენილია ერთი ტერმინით "ანგარიში". სწორედა ამ ფაქტს მიესადაგება დიდი მწერლის გამონათქვამი: "ორის სიტყვით ერთი ცნების გამოხატვა ენობრივი სიღატაკის მომასწავებელია უთუოდ".

დასკვნა-11: პაატა გუგუშვილი, როგორც გასული საუკუნის ერთ-ერთი უძლიერესი და უნიჭიერესი ეკონომისტი, ამავე დროს იყო დიდი ტერმინოგრაფი, ეკონომიკური და დემოგრაფიული მეცნიერული ტერმინოლოგიის შემქმნელი. მის მიერ შექმნილია თანამედროვე ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგიის ქვაკუთხედი - ეკონომიკური და დემოგრაფიული ტერმინოსისტემა (მოკლე სიტყვა "ტერმინოსისტემა" ჩვენია; ნიშნავს ტერმინოლოგიურ სისტემას - რ.ბ.).

## ესპერანტოს მიმართულება – ენათა ინტერნაციონალიზაციის მცდელობები და შედეგები

მეოცე საუკუნის დასაწყისში პოლონელმა ექიმმა-ოკულისტმა ლუდვიგ ზამენჰოფმა (1859-1917 წწ.) სხვადასხვა ენების სიტყვებზე დაყრდნობით შექმნა ხელოვნური ენა, რომელსაც ეწოდა ესპერანტო. ლ. ზამენჰოფმა ამ ხელოვნური ენის პროექტისთვის ფსევდონიმად გამოიყენა "დოქტორ ესპერანტო". სიტყვა ესპერანტო ფრანგული წარმოშობისაა - "ესპერრე" და ნიშნავს "მოიმედეს", "იმედის მომცემს". ესპერანტოს განვითარებისთვის ბიძგის მიმცემი იყო უდიდესი ავსტრიელ-გერმანელი ენათმეცნიერის ჰუგო შუხარტის (4.02. 1842 წ. გოთა - 21.-4.1927 წ. გრაცი) "ენათა შერევის" პრინციპის დამუშავება (ჰ. შუხარტმა გამოიკვლია, გარდა ევროპული ენებისა, ბასკურ-კავკასიური, სემიტურ-ქამიტური და სხვა ენები. მისმა ნაშრომებმა დიდი გავლენა იქონიეს, აგრეთვე, ქართველ ენათმეცნიერთა შემოქმედებაზე). პოლონელი ენათმეცნიერი ივან ალექსანდრეს ძე ბოდუენ დე კურტენე (1.03.1845 წ. - 3.11.1929 წ., ვარშავა) ენათმეცნიერებას მიიჩნევდა "ფსიქოლოგიურ-სოციოლოგიურ მეცნიერებად". წერდა, რომ ყველა ენა ნარევია. ამით ის არ უარყოფდა ენის ხელოვნურობის თეორიას. მე-20 საუკუნის ოციან წლებში ესპერანტოსთან დაკავშირებით ა. მეიემ დაასკვნა: "ხელოვნური ენა უკვე არსებობს და იარსებებს". პრაღის სკოლის წარმომადგენლებმა - სტრუქტურალისტებმა (ნ.ს. ტრუბეცკოი, რ. იაკობსონი და სხვ.) გამოიტანეს დასკვნა, რომ ერთმანეთზე ურთიერთგავლენით დანათესავებული ენები და, მათი განმარტებით, ამით მიღებული "ენათა კავშირი" ერთ-ერთი ფენომენია ესპერანტოს სასარგებლოდ (საერთოდ, სტრუქტურალიზმი საკითხს იკვლევს სიღრმითი სტრუქტურით: სიმბოლოების, სიტყვების, ნიშნების გამოყენებით და მათი კომბინაციებით. ამტკიცებს, ასეთი გამოწვლილვითი კვლევა-ანალიზი მეცნიერული ობიექტურობის გარანტია არისო). ესპერანტოს პირველი სახელმძღვანელო გამოქვეყნდა ვარშავაში 1887 წ. მასში შედიოდა მხოლოდ ცხრაასი სიტყვა. შედარებისთვის: "ესპერანტო-რუსული ლექსიკონი", რომლის ავტორია ევგენი ალექსანდრეს ძე ბოკარიოვი (1904-1971 წწ.), შეიცავს ოცდაექვსი ათას ტერმინს (მოსკოვი, 1974 წ.). ამ წერილში ადგილის ეკონომიის გათვალისწინებით ვერ დაეტევა ესპერანტოს დადებითი და უარყოფითი მხარეების აღნიშვნა. ამიტომ მხოლოდ მოკლე დასკვნას ვაკეთებთ.

დასკვნა-12: ა) ესპერანტო არის სხვადასხვა ენების სიტყვებისგან შემდგარი "ენათა კავშირის" მადასტურებელი ხელოვნური ენა. მას აქვს ელემენტარული გრამატიკული წესები - სულ 20 წესი; ბ) ესპერანტო შეიცავს დაახლოებით 60 პროცენტ რომანულ სიტყვებს, ორმოც პროცენტ გერმანულსა და ათ პროცენტ სლავურ სიტყვებს; გ) ესპერანტოს ენაზე გამოდის ასამდე ჟურნალ-გაზეთი და მხატვრული ლიტერატურა; დ) ესპერანტოს ენაზე თარგმნილია შექსპირის, შილერის, გოეთეს, ბალზაკის, პუშკინის, გოგოლის, ტოლსტოის, სერვანტესის და სხვათა დიდი თუ მცირე ნაწარმოებები; ე) ქართულად ესპერანტოს პირველი სახელმძღვანელო გამოქვეყნდა 1910 წ. (ე. გოგიტიძე - "გრამატიკა ესპერანტოს ენისა". ტფ., 1910 წ.); ვ) ესპერანტოს ენას ასწავლიან ყველა დიდ უნივერსიტეტში, მათ შორის, თბილისშიც.

## უცხო სიტყვათა ლექსიკონები – ენათა ინტერნაციონალიზაციის მცდელობა

ენათა ინტერნაციონალიზაციას დიდი ხნის ისტორია აქვს. ამაში დავრწმუნდით ქართული დამწერლობის შემდგომ პერიოდში ფართო მთარგმნელობითი მუშაობის შედეგებით (იხ. ზემოაღნიშნული მე-11-მე-12 საუკუნეებში ბერძნულიდან ნათარგმნი ძეგლები და იმ პერიოდიდან ქართულში შემოტანილი ბერძნული სიტყვები).

ქვეყნებს შორის საგარეო-ეკონომიკური, სავაჭრო, საფინანსო და პოლიტიკური ურთიერთობების განვითარება ბუნებრივად იწვევს სხვადასხვა ენაში, მათ შორის, ქართულში ახალი უცხო სიტყვების შემოჭრას, რაც უნდა დარეგულირდეს ენის ნორმების დაცვით.

შედეგად ამისა ჩნდება უცხო სიტყვათა ნაკადი, რომელთა გარკვეული შერჩევითი შემოტანა სამეცნიერო-კვლევითი, საერთაშორისო ურთიერთობითი თუ ეკონომიკური აუცილებლობითაა განპირობებული. იურიდიული კონტრაქტები, საქონლის ტრანსპორტირება, დაზღვევა, სამეცნიერო თუ პოლიტიკური ფორუმების ენაში სამართლებრივი და სამეცნიერო ტერმინების საკმაო დოზა შეინიშნება. ამიტომ ყველა ენა ივსება უცხო სიტყვათა ლექსიკით.

ესპერანტოს ლექსიკონში (ა. ბოკარიოვი, 1974 წ.) არ შედიოდა ტერმინები: ინვესტიცია, ჰიპერინფლაცია, სეკვესტრი, კლეპტოკრატია და სხვები. ამასთან, ამ ლექსიკონში სწორადაა მოცემული ჩვენი ქვეყნის სახელწოდება "საქართველო", კერძოდ, "ჯორჯიასთან" მიმართებაში, და არა თურქულ-რუსული კონგლომერატი "გრუზია". საქართველოსთან მიმართებით გაჩნდა, აგრეთვე, ტერმინები "ოქროს საწმისის ქვეყანა", "ბორჟომ" (უნდა იყოს, "ბორჯომი" და სხვ.), "თბილისის სინდრომი" (1989 წლის 9 აპრილთან დაკავშირებით) და სხვ. ქალაქ 2002 წელს ბოხუმში ჩატარდა საერთაშორისო გამოფენა "სიძველეები ოქროს საწმისის ქვეყნიდან", ქართული არქეოლოგიური ძეგლების თაობაზე და სხვა საკითხებზე. ევროპის, აზიისა და ამერიკის თითქმის ყველა ქვეყანაში გამოცემულია უცხო სიტყვათა ლექსიკონები.

ქართულ ენაზე პირველი "უცხო სიტყვათა ლექსიკონი" გამოსცა ცნობილმა საზოგადო მოღვაწემ იოსებ იმედაშვილმა (1876-1952 წწ.). ეს იყო 1904 წელს, ამას მოჰყვა მეორე (1918 წ.) და მესამე (1928 წ.) გამოცემები. ცნობილმა ენათმეცნიერმა გიორგი ახვლედიანმა 1933 წელს გამოსცა ახალი "უცხო სიტყვათა ლექსიკონი". ამ გამოცემებისა და რუსული გამოცემის გამოყენებით მიხეილ ჭაბაშვილმა შეადგინა ლექსიკონი. ეს ვარიანტი პრაქტიკულად წარმოადგენს რუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სული ტექსტის თარგმანს ("უცხო სიტყვათა ლექსიკონი", მესამე შესწორებული და შევსებული გამოცემა. გამომცემლობა "განათლება", № 1989 წ.), ამასთან, ზოგიერთი უზუსტობით თანამედროვე ტერმინების მიმართ. მაგალითად, რუსულ ვარიანტში სიტყვა "კიბერნეტიკა" არასწორი სემანტიკით იყო შეტანილი. კიბერნეტიკა ძირითადი არსით არის მეცნიერება უკუკავშირიანი სისტემების შესახებ, ხოლო სიტყვა "უკუკავშირი" საერთოდ არ ფიგურირებს, ამასთან, შეცდომით არ არის ძირითად პარამეტრად ჩათვლილი კიბერნეტიკის ასევე მთავარი თვისება "ინფორმაციის დამუშავება", რომელიც შედეგია ცოცხალ და არაცოცხალ ბუნებაში ზემოაღნიშნული უკუკავშირის ხარისხზე. გარდა ამისა, ლექსიკონში გამოტოვებულია არამცთუ ახალი ცნება-ტერმინები, არამედ ლექსიკონის შედგენის პერიოდში არსებული მთელი წყება ახალი მეცნიერული დარგებისა და ძირითადი ტერმინებისა: მიკროელექტრონიკა, მიკროეკონომიკა, მეგაეკონომიკა, მეზოეკონომიკა, გეოპოლიტიკა, აგრეთვე, მრავალი სხვა ტერმინი: გიგაეკონომიკა, გიგაჰერცი, გიგაბაიტი, გლობალიზაცია, ლიზინგი, ლისტინგი, პრინტერი, ლოგოტიპი და ა.შ. ეს გარემოება მიუთითებს იმ პასუხისმგებლობაზე, რაც ავალია ლექსიკოგრაფს: მხოლოდ ენათმეცნიერი უძლურია, შექმნას დარგობრივი ლექსიკონი. აღნიშნულ ლექსიკონში არ შედის ბევრი ტერმინი, რომელთა რაოდენობა ათასამდე ლექსიკურ ერთეულს აღწევს. დაინტერესებული პიროვნება ამ ტერმინებს და მათ განმარტებებს, აგრეთვე, მათგან შემდგარ ტერმინოლოგიურ გამოთქმებს ადვილად იპოვის ჩვენს ზემოაღნიშნულ ორ და სამენოვან ეკონომიკური, იურიდიული, სატრანსპორტო და ტექნიკური ხასიათის განმარტებით ლექსიკონებში, ენციკლოპედიურ-ტერმინოლოგიურ ცნობარებსა და ინგლისურ-ქართულ სამტომეულ ლექსიკონში. ლექსიკონები ცხრა წიგნადაა გამოცემული, მათი მოცულობაა 272 საგამომცემლო თაბახი (4352 სტამბურად ნაბეჭდი გვერდი), მთლიანი ტერმინების, ტერმინოლოგიური გამოთქმებისა და სიტყვათშემოკლებათა რაოდენობაა 193 ათასი ერთეული; აღნიშნულიდან შვიდი წიგნი გამოიცა "რევაზ ბერულავას გამომცემლობაში "იბერთედ-პრესი" 1995-2003 წწ. უცხო სიტყვების ლექსიკონებთან დაკავშირებით საგაზეთო ადგილის სიმცირის გამო მოკლედ დავასკვნით.

დასკვნა-13: ა) ესპერანტოს ენის გაჩენამდე რამდენიმე საუკუნით ადრე სხვადასხვა ენებში და, მათ შორის, ქართულ ენაში ენობრივი და სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობების გამო ხდებოდა უცხო სიტყვათა შემოჭრა. ამ პროცესს საქართველოში ხელს უწყობდა მთარგმნელობითი საქმიანობა. ბიბლიური წიგნების თარგმნა (სახარება, ფსალმუნი და სხვ.) მეოთხე-მეხუთე საუკუნეებიდან ხდება, ხოლო სხვადასხვა ხასიათის ქრისტიანული ძეგლები: ლიტურგიული, ჰიმნოგრაფიული, ჰაგიოგრაფიული, აპოკრიფული, დოგმატური, ეგზეგეტიკური, ჰომილეტიკური და სხვები თარგმნილია ბერძნულიდან, არაბულიდან, სირიულიდან, ძველი სომხურიდან; ბ) დროთა განმავლობაში ამ უცხო ენების ასეულობით სიტყვით ივსებოდა ქართული ლექსიკა, ხოლო გიორგი მთაწმინდელის "იოანეს და ეფთვიმეს ცხოვრებისა" და იოანე პეტრიწის ფილოსოფიური ნაშრომების წყალობით, შემდგომ კი "ვეფხისტყაოსნის" შექმნით ჩამოყალიბდა ქართული მხატვრული და მეცნიერული ენა, რომელშიც საკმაო დოზითაა უცხოური სიტყვები; გ) სულხან-საბა ორბელიანის "ლექსიკონი ქართული", რომელიც პირველი ქართული განმარტებითი ლექსიკონია, დიდძალ უცხო სიტყვას შეიცავს, ამასთან, როგორც თვითონ აღნიშნავს, მან გამოიყენა მანამდე ქართულ ლექსიკაში არსებული უცხოური სიტყვები: ბერძნული, ლათინური, თურქული, სპარსული, სომხური და სხვ.

## საერთო დასკვნა:

გლობალიზაცია რაიმე მოვლენის (ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალური, ენერგეტიკული, ინფორმაციული და ა.შ.) მთლიანად, მასშტაბურად, მოცულობითად აღმნიშვნელი ცნებაა. ამიტომ არსებობს შესაბამისი გლობალიზაციათა სახეები (ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალური, ინფორმაციული და სხვ.).

გლობალიზაციის ეს სახეები ხშირად იძულებასთანაა დაკავშირებული: დიდი და მდიდარი სახელმწიფოები მსოფლიო მართვის სადავეების ხელში ჩასაგდებად ცდილობენ პატარა ქვეყნებში თავიანთთვის მომგებიანი სტრუქტურების დანერგვას, მთლიანი რესურსების (ნედლეული, ენერგეტიკა და სხვ.) ერთიანად დაპატრონებას, ანუ პრაქტიკულად, პატარა ქვეყნების გაღატაკებას და საბოლოოდ, ფიზიკურად მოსპობას.

ენობრივი გლობალიზაცია, რომელსაც ამგვარი იძულებითობისგან განსხვავებით ვუწოდებთ "ენობრივ გლობალისტიკას", განსხვავებული მოვლენაა. იგი ენობრივ ინტერნაციონალიზაციას გულისხმობს და არ არის ერთი ქვეყნის ენის სხვა ქვეყნის ენის მიმართ საწინააღმდეგო ქმედება, არ აიძულებს ენებს, მიიღონ ახალი სიტყვები, ტერმინები, გამოთქმები. უფრო მეტიც, მეცნიერულ-ტექნიკური განვითარებისთვის ენობრივი გლობალისტიკის არსებობა აუცილებელია. ამის მაგალითები უძველესი ეპოქიდან დღემდე საკმარისზე მეტია: შექმნილია უცხო სიტყვათა ლექსიკონები, ხელოვნური ენები, როგორც საერთაშორისო მეცნიერული (ესპერანტო), ასევე საერთაშორისო საინფორმაციო სისტემური კომპიუტერული ენები (მათი რიცხვი რამდენიმე ათასია), საერთაშორისო ურთიერთობის ქსელები - (ინტერნეტი, ინტრანეტი და სხვ.), რომელთა ფუნქციონირება წარმოებს კომპიუტერულ-პროგრამულ სისტემებზე. ეს სისტემები მხოლოდ და მხოლოდ ინგლისურენოვანია (მიზეზი: თავიდანვე, 1944 წლიდან, კომპიუტერების შექმნისთანავე მათი არქიტექტონიკა და მოქმედების ლოგიკა ინგლისური ტერმინებით განისაზღვრა).

დავსძენთ, რომ ახალი ტერმინების შექმნისას მეცნიერებაში ასევე მიღებულია აქამდე ცნობილი გზა - ლათინურფუძიანი ტერმინების გამოყენება.

დაბოლოს, ერთი საკითხიც. ინგლისური ენის გავლენით ინტერნეტულ ქსელში ყოველი აბონენტი ნებით თუ უნებლიეთ ერთვება ამერიკული კულტურის და ამიერინგლისურის (ინგლისური ენის ამერიკული ვარიანტის) სფეროში. სამწუხაროდ, ამგვარი საინფორმაციო-ენობრივი გლობალიზაცია და ამერიკული "კულტურის" ვიდეოპორნოგრაფიული და ძალადობრივი ფილმების რეკლამირება არაამერიკელებისთვის (მცირე ერებისთვის) ენობრივი წარღვნის ტოლფასი ხდება და, სავალალოდ, ცნობილი ჯონ ფოსტერ დალესის (აშშ-ის სადაზვერვო დეპარტამენტის დირექტორი) 1952 წლის გეგმა სხვა ქვეყნების ხალხების, განსაკუთრებით კი ახალგაზრდობის, გარყვნას, უეროვნებო, უსახო, უმომავლო პიროვნებებად "გამოყვანას" ემსახურება.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ფასი 2 ლარი



ნომერში გამოყენებულია **ია არსენიშვილის** ნამუშევართა რეპროდუქციები











